ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი




**5**

**1975**

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახ...
№ 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე
საქართველოს სახალხო პოეტი

# გამარჯვების დღესასწაული

დიდება კიდევ ქალაქს და სოფელს,
გმირულად შეხვდეს შობილი მშობელს;
აღდგენა ცეცხლით გადამწვარ მხარეს,
სიკვდილი ხალხის შეურაცხმყოფელს!

ცამდის ასული ბოლი დუნდება,
ტოლი და სწორი შინ დაბრუნდება,
სიბნელისა და სისხლის მორევზე —
სხვა განთიადი აგუგუნდება.

ასე გულწრფელის, ასე დამწვარის —
ყველა შვილი ვართ სამშობლო მხარის,
მისი, რომელიც უძველეს დროით
წმინდათა წმინდის დაცვას იჩქარის.

იგი სიმწარის ფიალას სცლიდა,
მაგრამ თვის დროშას სხვებზე არ სცვლიდა,
გუშინაც კარზე მომდგარი მტერი
გაანადგურა კალმით და ხმლითა.

ვხედავთ უნდობარ დროის სულხდომას,
თავისუფლებას სხვაგვარად მდგომარს,
საკუთარ სისხლით სამშობლოს დამცველს
ჩვენ გამარჯვებულს შევხვდეთ მეომარს!

გაქანებული უახლეს სიბრძნით,
დროშებიანი ეტლი ჰქრის გრგვინვით,
მაისმან ცხრამან გვირგვინი ეკლის
მას შეუცვალა დაფნის გვირგვინით.

გამარჯვებულო სამშობლო მხარევ!
სულ დღესასწაულთ გზებით იარე,
დიდება მამულს, დღევანდელი დღე
ბრწყინვალეა და სხივ-მსხმოიარე!

9 მაისი, 1945 წ.

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე № 5. მაისი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ომის წლების გახსენება (მწერალთა და მეცნიერთა წერილები და მოგონებები) . . . . . 3
სანდრო შანშიაშვილი — საძმო სამარესთან. ლექსი . . . . . 59
კარლო კალაძე — ცხრა მაისი. ლექსი . . . . . 60
ოთარ ჭელიძე — არსენალი. ბალადა . . . . . 61
ვესილ გვეტაძე — ლექსები . . . . . 63
გულნარა ბახტაძე — ტყვია და მალამო. მოთხრობა . . . . . 65
გიორგი პაპუაშვილი — არაგვო, უყარაულე!.. მოთხრობა . . . . . 72
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. გაგრძელება . . 81
ალუდა არაბული — ლექსები . . . . . 98
ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები . . . . . 100
ნაილი ნეკერიშვილი. ლექსები . . . . . 102
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . 105


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


შოთა აფრიდონიძე, დავით ჯაბიძე — დიადი გამარჯვება . . . . . 138
თენგიზ ბუაჩიძე — მიხეილ შოლოხოვი. დასასრული . . . . . 151
ნიკოლოზ ჯაში — ფერფლისაგან აღმდგარი ქალაქი . . . . . 170
რევაზ სირაძე — ძველი ქართული ლიტერატურული აზროვნების საფუძვლებიდან . . . . . 177


### წიგნების მიმოხილვა


გ. პაიჭაძე — მონოგრაფია ანთიმოზ ივერიელზე . . . . . 190



საქ. სსრ კ. მარ...
სახ. სახ. რესპ...
ბიბლიოთე...

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, გ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 20/VII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/V-75 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00038. ტირაჟი 14.750. შეკვ. № 1230.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1975 წ.




ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ, ᲪᲮᲠᲐ ᲛᲐᲘᲡᲝ,
ᲛᲐᲘᲡᲔᲑᲖᲔ ᲐᲡᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲝ,
ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲘ ᲮᲐᲠ,
ᲡᲐᲣᲙᲕᲓᲐᲕᲝᲓ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ!

**გიორგი ლეონიძე**

ომი, რომელიც გერმანიის ფაშიზმმა მოახვია თავს საბჭოთა კავშირს, იყო მსოფლიო იმპერიალიზმის ბნელი ძალების ყველაზე დიდი შეიარაღებული გამოსვლა სოციალიზმის წინააღმდეგ, უმძიმესი განსაცდელი, როგორიც ოდესმე განუცდია ჩვენს სამშობლოს. ამ ომში წყდებოდა მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბედი, მსოფლიო ცივილიზაციის, პროგრესისა და დემოკრატიის მომავალი.

საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ჰიტლერულ გერმანიასა და მის სატელიტებს, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეასრულეს დიდი განმათავისუფლებელი მისია, პირნათლად მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი.

ქართველმა ხალხმა, მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, ყველაფერი გააკეთა ფრონტზეც და ზურგშიც, მთელი თავისი ძალღონე და ენერგია წარმართა ერთი მიზნისკენ — მტერზე გამარჯვებისაკენ. საბჭოთა საქართველოს შვილებმა უბრწყინვალესი ფურცლები ჩაწერეს სამამულო ომის გმირულ მატიანეში.

ჩვენი მწერლები და მეცნიერები — ბევრი მათგანი ფრონტზე იყო, ბევრი ზურგში იღვწოდა სახალხო საქმისათვის — ქვემოთ დაბეჭდილ მოკლე მოგონებებსა და ნარკვევებში იხსენიებენ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ცეცხლოვან წლებს...

ისინი მოგვითხრობენ მოსკოვსა და სტალინგრადზე...

ყირიმისა და კავკასიის დასაცავად გაჩაღებულ ბრძოლებზე...

მოგვითხრობენ საბჭოთა ხალხების ლენინურ ძმობაზე, ხალხის უძლეველ სულზე, მილიონთა ძლევამოსილებაზე, პარტიამ რომ წარმართა დიდი გამარჯვების გზით.

უღრმესი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებენ ბრძოლის ველზე დაცემულ გმირებს, რომელთა სახელები მარად უკვდავი იქნება ხალხის ხსოვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

# როცა ზარბაზნები ჰქუხდნენ

სამამულო ომისდროინდელმა საბჭოთა ლიტერატურამ საბოლოოდ უარჰყო და უკუაგდო ანდაზასავით მოარული სიბრძნე: როცა ზარბაზნები ჰქუხან, მუზები სდუმანო.

საბჭოთა მწერლობის მუზამ ომის პირველ დღესვე ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და ცეცხლის ხაზზე დადგა.

იგი მრისხანებით ანთებული, გულჩაწყვეტილი, მაგრამ გაუტეხელი მიიბრძოდა წინ, ხანძრების კვამლში გახვეულ მშობლიურ მიწაწყალზე და გამარჯვების სალუტებით განათებული შედიოდა ჩვენი სამშობლოსა და ევროპის განთავისუფლებულ ქალაქებში.

იგი თმაგაშლილი, ცეცხლში გარუჯული დაახიჯებდა სანგრებსა და მიწურებში და თავისებურად მშვენიერი მისი გამკაცრებული სახე იმ შუქით იყო გაბრწყინებული, უკვდავებას რომ ახლავს განუყრელად.

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა რამდენიმე ენაზე ჰქმნიდა არნახული ომის დიდებულ მატიანეს.

მარცხის სიმწარე და გამარჯვების სიხარული ერთნაირი გულწრფელობით აღიბეჭდებოდა ამ მატიანეში და ჩვენს თვალწინ იწერებოდა საბჭოთა ხალხის გმირობის ის წიგნი, რომელიც სამარადისოდ შეუნახავს შთამომავლობას ვაჟკაცობისა და თავდადების, მეგობრობისა და გმტანობის, ადამიანობისა და კეთილშობილების უჭკნობ მაგალითებს.

მხედრული ტრადიციებით მდიდარი ქართული კლასიკური ლიტერატურის ღირსეული მემკვიდრე, ჩვენი მწერლობაც მის პირველ წუთებიდანვე ჯარისკაცის ძნელი, მაგრამ იმედიანი ცხოვრებით ცხოვრობდა.

არაერთმა ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა მარტო შემოქმედება კი არა, თავისი ახალგაზრდული სიცოცხლეც მიუძღვნა სამშობლოს გადარჩენასა და ბედნიერებას და ერთხელ კიდევ, საქვეყნოდ გამოაჩინა თეიმურაზისა და არჩილის, გურამიშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ხმლისა და ლექსის ბრწყინვალება.

უხუცესი მწერლებით დაწყებული და პირველი ლექსების ავტორებით დამთავრებული — მთელი ქართული მწერლობა, ფრონტსა და ზურგში, ხიშტითა და კალმით იბრძოდა საძულველ მტერზე გამარჯვების მოსაახლოებლად.

ქართულ ენაზე შეიქმნა სამამულო ომის დღეებში მდიდარი, მაღალ მხატვრული ლიტერატურა. ქართული მწერლობის ომისდროინდელმა თაობებმა ღირსეულად მოიხადეს თავისი მოქალაქეობრივი და მწერლური ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ სამამულო ომის დიდი წიგნის წერა ჯერ არ დამთავრებულა და არც დამთავრდება, რადგან ჩვენი ხალხის ფიქრსა და ხსოვნაში არასოდეს დამთავრდება მათი სიცოცხლე, ვინც სამშობლოსათვის თავგანწირვით უკვდავებას ეზიარა.

ამ დიდებული წიგნის ახალი ფურცლების წერას ქართული მწერლობის ახალი თაობები გააგრძელებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# მეოცნებე უდაბნოელები

შუა აზიის უდაბურ ტრამალებიდან მოსულ კურსანტებს სოფელი პანსკოე და მისი შემოგარენი ულამაზეს წალკოტად გვესახებოდა ერთხანობას. წვიმაში, დარში მთვრალებივით დავალაჯებდით აქეთ-იქით. ვტკბებოდით, ვიბნიდებოდით ლურჯი ბალახის ბიბინითა და ცეცხლოვანი ყვავილების ბრიალით. ოც კაცს ოროთახიანი ბინა გვქონდა დათმობილი. დროებით სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასულ ოჯახის წევრებს ერთადერთი გამურული თუჯის ქვაბილა დარჩენოდათ, რომელიც თავისი მოყვანილობით მუცელზე გადაპრილ ჩვენებურ ორჩაფიან ქოცოსა ჰგავდა...

კურსანტები-მეთქი, წამომცდა ამბის დასაწყისშივე; დიახ, ჩვენ კურსანტები ვიყავით, სერპუხოვიდან ყიზილ-ორდაში გადაადგილებულ საავიაციო სასწავლებლის კურსანტები, ავიატექნიკოსები უნდა გამოვსულიყავით. ჩვენს განკარგულებაში იყო რკინის პალოებზე დაბმული „ილ-2"-ის მარკის რამდენიმე თვითმფრინავი. ვუვლიდით, ველოლიავებოდით, მთელი საათობით ვსწავლობდით თვითეულ ნაწილს, წესრიგში მოგვყავდა ყოველივე, მერე რიგრიგობით კაბინებში ვსხდებოდით და საგულდაგულოდ მოშანდაკებულ აეროდრომზე გრიალი გაგქონდათ ვეებერთელა პროპელერებს.

მაისის პირველ რიცხვებში, რკინიგზის სადგურის ახლოს უეცრად ერთ მწკრივად გაგვწელეს მეორე კურსის მსმენელები, ამოგვარჩიეს ამორჩევნი, სამი ნაბიჯით დაგვაცალკევეს საერთო მწკრივს წინ, ფერხთით ჩვენი საველე ჩანთები დაგვაყრევინეს, სათითაოდ გასინჯეს, შიგ რა გვედოგა. უკან დაიბრუნეს საავიაციო საზელმძღვანელოები. ჩემსას სერგეი ესენინის წიგნიც ზედ მიაყოლეს, ამის საკითხავად იქ არ გეცლება, სადაც მიდიხართო... შერჩეულებმა ერთმანეთს გადავხედეთ და მაშინვე მივხვდით სასწავლებლიდან ჩვენი გასტუმრების მთავარ მიზეზს: სწავლაში ყველანი სამოსნები ვიყავით... „მარჯვნისაკენ! ნაბიჯით იარ!" — გაისმა ბრძანება და ჩვენი დამჩატებული ჩანთებით რუსეთისაკენ მიმავალ ეშელონს მივადექით...

პირველი რანგის ინჟინერ-პოლკოვნიკმა კონსტანტინე ლიხტმანმა გასამხნევებლად ესღა მოგვაძახა დაბლიდან: გულს ნუ გაიტეხთ, თქვენი პროფესია იქაც გამოგადგებათო.

ახლა პანსკოეში ახალი დივიზია ყალიბდებოდა და ხმა იყო დარხეული, რომ მისთვის განკუთვნილ ტანკებს მეტი სიჩქარისა და სიმძლავრის მიზნით თვითმფრინავ „ილ-2"-ის ძრავები ექნებოდათ მორგებული. ჩვენც გვჯეროდა, რადგან შუა აზიის შორეულ ცისქვეშაც არაერთხელ გვსმენია მსგავსი რამ ჩვენი უფროსებისაგან. გვჯეროდა და მოუთმენლად ველოდით კიდეც იმ ბედნიერ წუთებს, როცა „ილ-2"-ის მოტორებიან ტანკებზე „ტექნიკოსებად" დაგვანაწილებდნენ მეოცნებე უდაბნოელებს...

დივიზიას მარტო ჩვენ და ჩვენსასთანები ხომ არ შევავსებდით. მოდიოდნენ და მოდიოდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად მტრის ალყას თავდაღწეული ჯარისკაცები, არმიელი ოფიცრები, მათთან ერთად პარტიზანებიც. მოდიოდნენ წვერმოშვებულები, კურტკებგადათქლეშილები, ფარაჯებჩამოძენძილები, დახეული ჩექმებით, ტყაპუჭებითაც... მოდიოდნენ დაღლილები, მოქანცულები, სახენაჰრილობევნი... მოდიოდნენ, რათა კვლავ ერთ უზარმაზარ მუშტად შეკრულიყვნენ მტრის ჯინაზე...

შუა აზიიდან ჩამოსულ ჩემს ტოლამხანაგებს ვარწმუნებდი, რომ ყოველივე კეთილად ჩაივლიდა და კურსდამთავრებულ ტექნიკოსებს ტანკების მოვლა-პატრონობას მაინც მოგვანდობდნენ...

ბოლოს, ჩემი ეს ვარაუდიც ზღაპრად იქცა. ხელთ მხოლოდ მწარე სინამდვილე შეგვრჩა. მივხვდით, „ილ-2“-ის მოტორებიანი ტანკები ლამაზი ტყუილი იყო. მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, ჩვენი ტექნიკოსობა წარსულს ჩაბარდა სამუდამოდ...

მაისის ერთ დილას ოთხი ახალგაზრდა ლეიტენანტი გვეწვია შტაბიდან. გამოგვკითხეს, ვის რა ცოდნა, ვის რა ხელობა გვქონდა, ვის რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა დივიზიაში. ტექნიკოსობაზე კრინტიც არ დაგვიძრავს. გვკითხეს ბიოგრაფიული ამბებიც, რის შემდეგ თავიანთი წინადადებანი შემოგვთავაზეს. მე, პირადად, ჩოფურა ლეიტენანტმა მითხრა: ჩემს ოცეულში წამოხვალ ცხენოსან მზვერავადო. ცხენზე ჯდომა კი ვიცოდი, მაგრამ ცხენოსან მზვერავად თუ გამოვდგებოდი, ეს აღარ მეგონა და დავიწყე თავის მართლება:

— რასაც ვფიქრობ, ყველაფერი სახეზე მეტყობა... ვთქვათ, მტრის გარემოცვაში ჩავვარდი, როგორ მოვიქცე მაშინ, რომ საკუთარი თავი არ გავცე, საიდუმლო საიდუმლოდ შევინახო!.. მთელ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გავივლე გულში: მავან და მავან კაცს ჩემს გაჯავრებას არ შევარჩენ-მეთქი და მაშინაც შავი ძაღლი მეცა შარვლის ტოტებში. ფაშისტები იმ შავ ძაღლზე უარესები არ იქნებიან?!.

ჩოფურა ლეიტენანტმა ეშმაკურად ჩაიღიმა და მოსწრებულად მომიგო: სწორედ ასეთი კაცი მჭირდებაო დაზვერვაში... ჯარისკაცების შერჩევაში მას არც სხვა ლეიტენანტები ჩამორჩნენ... ასე დავცილდით ერთმანეთს მეოცნებე უდაბნოელები... გავიცანი ახალი თანამებრძოლები. მეც მომცეს იმათებური ტანისამოსი, ჩექმები, ჩექმებზე მოსარგები ლითონის ბრჭყვიალა დეზები, აგრეთვე დურბინდიც... თითქოს გადავხალისდი, გავმხიარულდი, წელში გავიმართე: ხანდახან წავიღიღინებდი კიდეც: „გლოვა მაშინაც გვეყოფა, შავ მიწას შემოვცქეროდეთ“. ახლა ჩვენი საერთო ოცნება იყო, რაც შეიძლება მალე მოეცათ თოფ-იარაღი, მალე შევმსხდარიყავით ცხენებზე, დეზებზე ჟანგი არ მოგვკიდებოდა. ალბათ, ამასვე ფიქრობდა ჩვენი ჩოფურა ლეიტენანტიც... მაგრამ ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, ხისაგან გამოჩორკნილი ხმლები და შაშხანები ჩამოგვირიგა ზემდეგის ხელით.

გაბრაზებულმა რატომღაც დურბინდი მოვიმარჯვე და იქაურობას მზერა შემოვატარე. ჩემს თვალში ყველაფერი დაჩიავდა, დაპატარავდა. თურმე, დურბინდი მჭეროდა შებრუნებით.

ალბათ. დარდით გავთავდებოდით, რომ ყოველდღე მეცადინეობაზე არ გვევლო სოფლიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით, ხის ხმლები არ გვექნია აყოტებული ანწლიხათვისა და თრიმლის ქოჩორა ბუჩქებისათვის, უჩახმახო ხის თოფები არ ამოგვეღო ნიშანში ერთმანეთისათვის, ძეძვნარში გრძელდეზებიანი მამალივით გაბლანდულ „მოენისათვის“ მართლაც ბრჭყვიალა დეზებში ხელი არ გვეტაცნა ხოლმე...

თითქოს ვხუმრობდით კიდეც, თითქოს თავსაც ხალისიანად ვგრძნობდით, მაგრამ უცხენობა მაინც გუნებას გვიმღვრევდა, დამამცირებლად მოქმედებდა ჩვენზე. ცხენოსანი მზვერავები გვერქვა და ოც კაცს ერთი ცხენიც არ გვახლდა საბრძოლო მეცადინეობის დროს. ახლა სულ იმას ვნატრობდით თოფ-იარაღი დროზე მოეცათ და უბრალო ჯარისკაცებად მაინც მოვხვედრილიყავით ფრონტზე.

აბა, რა ვიცოდით, თუ ისედაც მალე დაირღვეოდა ერთფეროვანი ჩვენი „მხედრული“ ცხოვრება. მაისის ბოლო რიცხვები იქნებოდა, ის იყო, საბრძოლო მეცადინეობიდან დაბრუნებულებმა გული ვიჯერეთ კონსერვის ყუთებში დამზადებული წვნიანი კერძით, რომ ცაში გაბმული ზუზუნი გაისმა. ასეთი ზუზუნი კრაზანებმა იციან ხოლმე, როდესაც ბუდეს უნგრევენ... მივხვდით, რა კრაზანებიც გვიახლოვდებოდნენ ამჟამად... ატყდა განგაში, ხუხულა ძელმიწურები სწრაფად დავტოვეთ და ღრმად გათხრილ სანგრებში განვლაგდით. ხის ხმლები წამდაუწუმ ფეხებში გვედებოდა და აქი სამსართულიანი გინებაც გადადიოდა სანგრიდან სანგარში.

ზუზუნმა იმატა და პანსკოეს ღამეული ცა ვარდისფრად განათდა. შევხედე, პარაშუტიანი შუშხუნები ქანაობდნენ ჰაერში. ისინი ნელნელა ეშვებოდნენ დაბლა, სინათლეს კლებულობდნენ და მერე თითქმის ყველანი ერთად ქრებოდნენ...

შუშხუნების ახალი წყება რომ დაეშვებოდა პარაშუტებით, ცა კვლავ ვარდისფრად ნათდებოდა. იმ წუთებში მარტო პანსკოე კი არა, მიჩურინსკიც და კოჩეტოვკაც იმავე სინათლის წრეში ექცეოდნენ.

ხელმარჯვნივ, შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე დამაყრუებელი გრიალი გაისმა, მერე ხანძარმაც იფეთქა, ჰორიზონტი წითლად შეიღება. ალი ზენიტში ავარდა. გრიალმა უფრო და უფრო იმატა... კოჩეტოვკა დაბომბეს! — დაიყვირა ვილაცამ შემზარავი ხმით.

ამ სიტყვის გაგონება იყო და გულიანად ამოვისუნთქეთ კიდეც. რადგან თავი მეომრებად ვიგრძენით უკვე. ღამის ორ საათზე ლეიტენანტმა დასაზვერავად გეზი კოჩეტოვკისაკენ აგვაღებინა. ხის ხმალს ხელი ისე მქონდა მიჩვეული, მის მაგივრად პანსკოედან სახრის ოდენა ჯოხი გავიყოლიე თან.

ჰორიზონტი ჯერ კიდევ წითლად ბრიალებდა. ხშირად ისმოდა ცეცხლწაკიდებული ცის-

ტერნების აფეთქებათა გულშემზარავი ხმებიც. კოჩეტოვკამდე კილომეტრნახევარი მანძილიდა დაგვრჩა და გაგიჟებული ცეცხლის ფერფლი და მხურვალება ჩვენამდე აღწევდა.

დღისა და ცეცხლის სინათლე ერთმანეთში აირია გათენებისას. სადგურის მისასვლელთან შავსვასტიკიანი თვითმფრინავი ეგდო ფრთებდამსხვრეული. სადგურში დაჭრილთა ეშელონებიც მდგარიყო და ბევრი ხელმეორედ დაჭრილიყო. მათი კვნესა და გმინვა თმას ყალყზე გვიყენებდა. მთელი მიდამო ნაბომბარებით იყო დალარტაფებული. ვცდილობდით, ცეცხლწაუკიდებელი ვაგონები როგორმე გადაგვერჩინა, მაგრამ გვიან იყო, უმეტესობა ცეცხლწაკიდებულთა შორის აღმოჩნდა და მათი დაცალცალება შეუძლებელი შეიქმნა. მხოლოდ სამი სანიტარული ვაგონის გადარჩენა შევძელით, რის გამოც ექიმებისა და დაჭრილ ჯარისკაცთა დიდი მადლობა დავიმსახურეთ.

დამწვარი ვაგონები რკინის ჩონჩხებად ქცეულიყვნენ. რკინის ჩონჩხად ქცეულიყო ვეებერთელა სატვირთო ვაგონიც, რომლითაც თურმე ცხენები მოჰყავდათ. კაცს ეგონებოდა სძინავთო, მაგრამ ვაი, რომ არ ეძინათ, რა მდგომარეობაშიც ყოფილიყვნენ, ისევე დანაცრებულიყვნენ.

მე რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ის ცხენები ჩვენი ოცეულისათვის მოჰყავდათ... ალბათ, სხვებიც ასე ფიქრობდნენ, თორემ სევდისაგან სახე ყველას ერთდროულად არ მოგვეღრუბლებოდა. ნაწილში დაბრუნებისას ზეზეურად დანაყრებაც ვერ მოვასწარით, რომ ყელამდე იარაღში ჩაგვსხეს. საიდანღაც უავშარო, უაღვირო ცხენებიც მოგვგვარეს ჯოგურად. ზემდეგმა ხელი წაბლისფერ იაბოზე დამიდო, ეს შენი იქნებაო. მომხდარი ამბავი თავისთავად ყველას გაგვეხარდა, მაგრამ უუნაგირობამ დაგვაღონა ძალიან... უმეტესად ძუაშეუკრეჭავი ფაშატები არიან, თითო გარსაკრი და თითო თექალთო მაინც მოჰყოლოდათო „მზითვად" მშობლიურ არტელიდან, იხუმრა ჩოფურა ლეიტენანტმა. ბიჭებს მეტი კი აღარ უნდოდათ, ენას გასადევარი მისცეს: გაწვრთნილებს არა ჰგვანან, სადა გვაქვს მაგათი საალერსო დრო, ვორონეჟამდე ვიდრე ჩავალთ, ათასჯერ გაგვექცევიანო.

მე კი თვალწინ ისევ ეშელონში დანაცრებული ცხენები მედგნენ, სულგაფრთხობილებს კი არა, მძინარეებს რომ ჰგავდნენ.

პანსკოეში ჩვენი გაჩერება აღარ შეიძლებოდა, მტრის მიერ უკვე შენიშნულები ვიყავით, განსაკუთრებით წუხანდელი პარაშუტიანი შუშხუნებისა და ბომბარდირების შემდეგ... შემოვიხსენით ქამრები, დავგრიხეთ წნელები, გადავაბით ერთმანეთზე და ცხენებს ავშარებად მოვარგეთ... ჩემს იაბოს ბირკები მოვაცილე და ორივე მუჰაში ჩამოქნილი ძუა მუშტის ფორმაზე გამოვუკვანძე. მართალია, ცხენის სილამაზე ჭენებაშია, მაგრამ არც მუშტად შეკრულმა ძუამ მისცა ნაკლები შნო და სილამაზე. ბიჭებმა ყბები დაალეს, თვალები დაბრიცეს: ყველაზე უკეთესი თოხარიკი შენთვის უფეშქაშებიათო...

მძიმე აღჭურვილობის მიუხედავად, შიშველ ბედაურებზე შესხდომა ოდნავადაც არ გაგვეჭირვებია. საქმე მერე იყო, ასიოდე კილომეტრს რომ გავივლიდით, რა გუნებაზე დავდგებოდით. თითქოს გუმანს მიგვიხვდაო, მაშინვე სიტყვა შეგვაშველა ჩოფურა ლეიტენანტმა: ნუ გეშინიათ ბიჭებო, უნაგირებს ვორონეჟის მისადგომებთან დაგვახვედრებენო. ჩვენ კარგად ვგრძნობდით, იქ რასაც დაგვახვედრებდნენ, მაგრამ რად უნდა შეგვშინებოდა, როცა ქართველ კაცს ხევსურული მხედრობის ადათ-წესები მამხნევებდა, რუსებს კიდევ — სკვითური... პირიქით, გული სიამაყით გვიცემდა, ხუმრობა ხომ არ იყო, „ცხენოსანი მზვერავები" გვერქვა უკვე...

მივდიოდით... მეოცნებე უდაბნოელთაგან მარტო მე ვახლდი მზვერავთა ოცეულს. დანარჩენებიც ჩვენთან ერთად მოდიოდნენ, მხოლოდ სხვა ოცეულებში, უმთავრესად მეკავშირეთა შორის... მივდიოდით. წინ ვაჟკაცობის გამოსაცდელი ათასი ხიფათი და თავგადასავალი გველოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ასაევი

# ერთი ღამე

ჩემი თაობის ბიოგრაფიაში სამამულო ომს დიდი ადგილი უჭირავს. აგერ, უკვე რამდენი ხანი გავიდა ომის დამთავრების დღიდან, მაგრამ ის ცეცხლიანი დღეები ხან ხად გაგახსენებს თავს და ხან სად! ხან ნაცნობის თუ მეგობრის საუბარში გაცოცხლდება ესა თუ ის მოგონება ომიდან, ხან რომელიმე წიგნი დაგაბრუნებს იმ დღეებთან და ხელახლა განიცდი უკვე გარდასულს, იმ დღეების შემართებას...

მაგრამ ყველაზე საოცარი გრძნობა ადამიანს ეუფლება მაშინ, როცა წიგნში, ჟურნალში ან გაზეთში წაიკითხავ იმ ბრძოლის აღწერას, რომლის მომსწრე თვითონ იყავი. აქ მკითხველის ინტერესი გაათკეცებულია — კითხულობ და შენც იხსენებ, აკვირდები როგორ დაინახა სხვის თვალმა ის, რაც თვითონ ნახე, რაც სამუდამოდ აღიბეჭდა მეხსიერებაში.

ახე დამემართა მე, როცა წავიკითხე საბჭოთა კავშირის გმირის ნატალია კრავცოვას ნარკვევი-დღიური „მგზნებარე სიჭაბუკის ფურცლები", გამოქვეყნებული „კომსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე (1965 წელი, 28 თებერვალი, № 49). ამ ნარკვევში ავტორი წერდა:

„იმ ღამეს, 1943 წლის პირველ აგვისტოს დუმდნენ საზენიტო ქვემეხები. დასაბომბი ობიექტის ზემოთ, ცაში „პო-2" სისტემის თვითმფრინავებს ფაშისტი გამანადგურებლები-ასხები ებრძოდნენ. ისინი ესროდნენ ჩვენს თვითმფრინავებს, რომლებიც პროჟექტორის შუქში ხვდებოდნენ: იმ ღამეს ოთხი თვითმფრინავი დაიწვა... რვა ქალიშვილი... და მათ შორის, გალია. იმ ხანებში ჩვენ ჯერ კიდევ უპარაშუტოდ დავფრინავდით. მე ვხედავდი, როგორ წაეკიდა ცეცხლი თვითმფრინავს, როგორ წამოვიდა დაბლა და უკანასკნელად ავარდა ალი მიწაზე დაცემის დროს". შემდეგ მოყვანილი იყო ლექსები, რომლებიც გალია დოკოტუჩოვს ეკუთვნოდა.

იმ ღამეს მეც ვუცქეროდი ამ საჰაერო ბრძოლას. მაშინ 61-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის 221-ე პოლკის მეორე ბატალიონის კომორგი ვიყავი. დივიზია მოქმედებდა ე. წ. „ცისფერ ხაზზე", ნოვოროსიისკის მიმართულებით, სტანიცების — აბინსკაიას, კრიმსკაიას, მოლდავანსკაიას მიდამოებში. იმ წუთებში საკომანდო პუნქტზე ვიმყოფებოდი. და როცა დავინახე, დასავლეთით, შავი ზღვის მხარეს, ცაში როგორ დაესიენ ფაშისტი ყორნები ჩვენს თვითმფრინავებს, გულმა საოცრად შემომიკვნესა, ადგილს ველარ ვპოულობდი... მე, რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდი, რომ იმ თვითმფრინავებს ჩვენი მამაცი ქალიშვილები მართავდნენ, რომლებიც პოდპოლკოვნიკ ბერშანსკაიას ლეგენდარულ საავიაციო პოლკში ირიცხებოდნენ. მწარედ განვიცდიდი ჩვენი თვითმფრინავების მარცხს, მით უფრო, რომ ომის პირველ თვეებში მე თვითონ ვეუფლებოდი „პო-2"-ის (მაშინ „უ-2" ეწოდებოდა) მართვას, ფრენას მასწავლიდა ჩვენი მამაცი მფრინავი შალიკო კოზაევი, რომელიც გმირული სიკვდილით დაიღუპა ფრონტზე სარდლობის დავალების შესრულების დროს.

მას მერე ოცდაათზე მეტმა წელმა გაიარა. ძნელია დაიხსომო არა მარტო ბრძოლის დეტალები, არამედ მთელი ეპიზოდებიც კი, თუ თავის დროზე დღიური არ გიწარმოებია. მაგრამ ეს საჰაერო ბრძოლა მუდამ მახსოვს და გული მეწვის დაღუპული ქალიშვილების ტრაგიკული ბედის გამო! მათ ხომ მანამდე არაერთგზის დაბომბეს მტრის ჯარები და მუდამ გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ. იმ ღამეს კი მათ ბედმა უმტყუნა.

მახსოვს ის ღამე კიდევ იმიტომ, რომ გა-

რიჟრაჟისას, შეტევაზე რომ გადავედით, მე მძიმედ დავიჭერი და „ომის ბალანსიდან“ ჩამომწერეს. რა დამავიწყებს იმ დილას და იმ იერიშს, როცა ჩვენი პოლკის კომკავშირელები მამაცურად იბრძოდნენ, რათა სამაგიერო მიეზღოთ მტრისათვის — ყველა მათგანს თვალწინ ედგა იმლამინდელი საჭაერო ბრძოლის სურათი...

ყველაფერი ეს მოხდა ყუბანის პატარა ხუტორის — სვობოდკას ახლოს, ბორცვზე, რომელიც მთელ მიდამოს გადაჰყურებს. 1961 წელს, პირველ აგვისტოს მე წავიყვანე მამარემი და ჩემი უმცროსი ძმა ამ ადგილების სანახავად. ირგვლივ შრიალებდნენ ლალად გადაჭიმული ვენახები და არაფერი ახსენებდა ადამიანს ომის საშინელ სურათებს. მაგრამ მე თვალწინ მედგა ის ღამე, ის განთიადი, და კვლავ ჩამესმოდა მეორე ბატალიონის ჯარისკაცების საბრძოლო ყიჟინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბარამიძე

# თოხიანი პროფესორები

დიდი სამამულო ომის დროს ყველაზე მძიმე განსაცდელი საბჭოთა ხალხებს დაატყდა 1942 წლის ზაფხულში. მაშინ ფაშისტური ურდო, ერთი მხრივ, სტალინგრადისაკენ გაიჭრა, ხოლო, მეორე მხრივ, მან კავკასიონს შემოუტია, მოადგა ქალაქ ორჯონიკიძეს და აქა-იქ მთების გადმოსასვლელებში შემოძვრა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, 1942 წლის აგვისტოში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი — რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა ძნელია იმის ნათლად წარმოდგენა, თუ რა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს ჩვენი საზოგადოება. უზომო ხალისითა და გაასკეცებული ენერგიით შეუდგა ინსტიტუტის კოლექტივი თავისი საპატიო მოვალეობის შესრულებას.

საკვლევაძიებო და პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობასთან ერთად არც საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეს ვაკლებდით ყურადღებას. პირადად მე ლექციებს ვკითხულობდი ჯარის ნაწილებში, ვიყავი უნივერსიტეტის სახალხო მოლაშქრე („ოპოლჩენეცი") და საჰაერო თავდაცვის რაზმეულის წევრი. ღამღამობით ვგუშაგობდით ჩვენი სახლ-კარის მიდამოებს. არასოდეს დამავიწყდება, რომ ჩემთან ერთად მორიგეობდა ფრიად სიმპათიური მოქალაქე და ჩინებული მოსაუბრე, ჩემი კარისმეზობელი, „მეჭლანე" სტეფანე ავეტისოვი. რაც შეგვეძლო, ძალ-ღონეს არ ვიზოგავდით, მაგრამ, რა დასამალია, ძლიერ გვიჭირდა, განსაკუთრებით წვრილშვილიანი ოჯახების პატრონებს. ერთგვარი გამოსავალი გამოინახა. მთავრობამ წარმოება-დაწესებულებებს გამოუყო დასამუშავებლად (საბოსტნედ და საყანედ) მიწის ნაკვეთები. მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანამშრომლებს წილად გვერგო ყარაიაზი (აწინდელი გარდაბანი). ღამის გასათევი კუთხეც გვქონდა — მემინდვრეობის საცდელი სადგურის შენობა. ყოველ შაბათსალამოს თოხით მხარზე და ხელში მწირი საგზლით მივეშურებოდით რკინიგზის სადგურისაკენ. ალბათ, სასაცილონი ვიყავით ჰალსტუხიანი თოხოსნები. ეს კია, რომ საზოგადოება ყველგან (ქუჩაში, ტრამვაიში, მატარებელში) ყურადღებითა და პატივისცემით გვეპყრობოდა. შეგვარქვეს „თოხიანი პროფესორები" (რასაკვირველია, ამაში ირონიის ნიშანწყალი არ ყოფილა შერეული). მე, მიხეილ ჩიქოვანს, სოლომონ ყუბანეიშვილს, გაიოზ იმედაშვილს, გრიგოლ კიკნაძეს და დავით კობიძეს მეზობლად გვქონდა სიმინდის ყანები. დავით კობიძის ამოუწურავი იუმორისტული იმპროვიზაციები შრომის ტვირთის სიმძიმეს გვიმსუბუქებდა.

გვარიანი მოსავალი მოვიწიეთ. საფქვავი სიმინდიც გვქონდა და ქვინტიც (ქვინტი სიმინდით ძლიერ გავახარეთ ბავშვები). ჩვენი ბინა აივსო გასახმობად უწესრიგოდ მიმოყრილი სიმინდის ტაროებით. ძნელაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი და მარცვლეულის საფქვავი წისქვილი ახლოს გვქონდა, მტკვარზე, მადათოვის კუნძულის პირდაპირ (ახლა სადღაა ეს კუნძული!). სიმინდის დაფქვის ორგანიზაცია მივანდე ჩემს უფროს შვილს, პირველი საშუალო სკოლის მოწაფეს, არჩილს. იგი თავის საქმეს კარგად უძღვებოდა.

ოქტომბრის მიწურული იყო. არჩილმა წის-

ქვილიდან ახალი ფქვილი მოგვიტანა. გადავწყვიტეთ, ეს აქტი ალგვენიშნა საოჯახო საზეიმო ვახშმით. ერთი სტუმარიც მოვიპატიჟეთ — ლენინგრადის გარემოცვიდან ევაკუირებული პროფესორი ვარლამ დონდუა. მე და ვარლამი მაშინ რუსულ ენაზე გამოსაცემად ვამზადებდით იოვანე ბატონიშვილის „კალმასობას“ (ეს წიგნი გამოქვეყნდა 1945 წელს, მთარგმნელი იყო ვარლამ დონდუა, მე — რედაქტორი).

დიასახლისებმა (ჩემმა მეუღლემ და დებმა) ყველაფერი იღონეს, რომ ვახშამი სანაქებო გამოსულიყო, მოახდინეს „შინაგანი რესურსების სრული მობილიზაცია“. რაც მთავარია, დააცხვეს მჭადის პატარ-პატარა კვერები. ჩვენს სუფრას ამშვენებდა გუდის ყველი, ძმრითა და ხახვით შეკმაზული ქაშაყის ნაჭრები, საუცხოო მწვანილი. ნატურმორტს აგვირგვინებდა ორი ბოთლი კახური ღვინო. აბა, ამის უკეთესს მაშინ რას ინატრებდა კაცი? ნამდვილად „ლუკულის პურობა“ გამოგვივიდა.

სანოვაგეს მადიანად შევექცეოდით და დიდი გულისყურით ვისმენდით ვარლამ დონდუას მონათხრობ სევდიან ამბავს ლენინგრადის გარემოცვის ეპიზოდებზე. პირველი სადღეგრძელო მივუძღვენით საბჭოთა მეომრებს. მოვიგონეთ ჩემი დისწული შოთა სხილაძე, თბილისის უნივერსიტეტის ფიზკულტურის მასწავლებელი (სწორედ იმის დედამ დაგვიცხო მჭადის კვერები), ვუსურვეთ მას გამარჯვება და შინ მშვიდობით დაბრუნება. სამწუხაროდ, ეს ნატვრა არ აგვისრულდა, შოთა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

პურობა დიდხანს გაგრძელდა, თუმცა რესურსები მალე ამოგვეწურა. დიასახლისებმა მახვილგონივრული გამოსავალი იპოვეს — შეგვაშველეს ცხელი ჩაი საკვნეტი შაქრით (ესეც დიდ სიკეთედ ითვლებოდა მაშინდელ დროში). პურობა დამთავრებული არ გვქონდა, რომ სტეფანე აკეტისოვმა ეზოდან ამოგვძახა, მორიგეობა არ დაგავიწყდესო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფეზი

# ბატალიონი იერიშზე

1942 წლის მაისი... ქერჩი... მაისის პირველ რიცხვებში მოღრუბლული, ბურუსიანი დღეები იდგა. ჩვენი საზღვაოსნო ბრიგადა თავდაცვის მეორე ხაზზე, შევსებისათვის იყო განლაგებული.

ექვს მაისს, ღამით, ჩვენი ბრიგადა დაცვის ზღუდეებზე გაეშურა. რვა კილომეტრის გავლის შემდეგ ბრიგადამ სიმაღლე 84,8 დაიკავა. დილით შტაბში გამომიძახეს. შტაბის უფროსმა რუკაზე მიმითითა:

— ეს არის დასახლებული პუნქტი კოშაი. იქ სომხების დივიზია იდგა, გუშინ მეორე ეშელონში გადაიყვანეს, ჩვენმა ბრიგადამ კი ამ დივიზიის პოზიციები უნდა დაიჭიროს. ჩვენ არ ვიცით გერმანელებმა კოშაი აიღეს თუ არა. ჩვენ ბრიგადის ნაწილებისაგან შევქმენით ნაკრები გაძლიერებული ბატალიონი. შენ კი მეთაურად დაგნიშნეთ. ბატალიონი მზადაა გასამგზავრებლად. შენ ეს სოფელი უნდა დაიკავო, შემდეგ კი დაცვა უნდა მოაწყო და ჩვენი პოლკების მოსვლას დაელოდო.

როდესაც საკომანდო პუნქტიდან გამოვედი, ნაკრები ბატალიონი უკვე გამწკრივებული დამხვდა. შტაბის უფროსმა ბატალიონს ჩემი თავი გააცნო. მე მხოლოდ ასეულის უფროსებს ვიცნობდი, დანარჩენები ჩემთვის უცნობები იყვნენ. ეს მე ძალიან მაღელვებდა, მაგრამ რაღას ვიზამდი!

ჩვენ გავემგზავრეთ. სველი, მძიმე ნისლი დასწოლოდა იქაურობას. ასი მეტრის შემდეგ არაფერი ჩანდა. ჩვენი გზა შემოდგომის ნათესებზე იდო. მინდვრები წვიმით იყო გაჟღენთილი. ტალახში კოჭებამდე ვეფლობოდით.

როცა დაახლოებით ოთხი კილომეტრი გავიარეთ, ბატალიონი გავაჩერე. მართალია, ხილვადობა ცუდი იყო, მაგრამ ასე ხელდახელ დასახლებულ პუნქტზე იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო. თუ იქ გერმანელები იმყოფებოდნენ, მოგვცელავდნენ. პირველი და მეორე ასეული შემოვლითი გზით გავგზავნე, რათა სოფლისათვის მათ ფლანგებიდან შეეტიათ, ხოლო მესამე ასეულთან მე დავრჩი; ეს ასეული გერმანელებს ფრონტის ხაზიდან დაესხმოდა თავს.

სოფელთან გერმანელებმა შეგვნიშნეს. ტყვიამფრქვევისა და ნაღმტყორცნების ცეცხლი გახსნეს. ჩვენმა ასეულმა გააფთრებით შეუტია და გერმანელების ყურადღება მიიპყრო. ჰიტლერელებმა მთელი ძალები ჩვენს წინააღმდეგ მომართეს და ვერ ხედავდნენ შეტევაზე გადასულ დანარჩენ ჩვენს ასეულებს. ამ დროს ისინი კოშაიში შეიჭრნენ. მოკლე დროში სოფელი დავიკავეთ, თვრამეტი გერმანელი ტყვედ ჩავიგდეთ და სოფლის ირგვლივ თავდაცვის ხაზი მოვაწყვეთ.

ოპერაციის დამთავრების შემდეგ ბრიგადის უფროსს ყველაფერი მოხსენებით შევატყობინე. ტყვეები შტაბში გავგზავნე.

შვიდი მაისი მზიანი, თბილი დღე იყო. გერმანელები არ გვაწუხებდნენ, ძნელი წარმოსადგენიც კი იყო, სად იყვნენ ისინი განლაგებული. ბრიგადის ნაწილები, როგორც ეს ბრიგადის უფროსმა აღგვითქვა, რატომღაც არ მოვიდნენ, წარმოიდგინეთ ბრიგადასთან კავშირიც კი არ გვქონდა გაყვანილი.

რვა მაისს გერმანელთა ბომბდამშენები გამოჩნდნენ. ისინი ტალღისებურად, მცველავი ფრენით მოდიოდნენ, ჯერ წინა პოზიციების დაბომბვა დაიწყეს. ეს ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. რამდენიმე ბომბდამშენი ჩვენს

თავზე დიდხანს ტრიალებდა. თითქოს დაგვცინოდნენ და ნერვებს გვიშლიდნენ, შემდეგ კი ტვირთი ჩამოყარეს. ასე და ამგვარად, მათ რამდენჯერმე გაიმეორეს. ჩვენგან ბევრი დაიხოცა და დაიჭრა. ამის შემდეგ დაიწყო საარტილერიო მომზადება.

ორი 45-მილიმეტრიანი ქვემეხისა და სამი ხელის ნალმსატყორცნიდან მთელი დაგვრჩა მხოლოდ ერთი ქვემეხი და ორი ნალმმტყორცნი. გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. ისინი მთელი ტანით გამართულნი მოდიოდნენ, უდარდელად, თითქოს სასეირნოდ გამოსულანო, ტალღისებურად მოიწევდნენ წინ.

გადარჩენილმა ჯარისკაცებმა შეტევაზე გადმოსულ ჰიტლერელებს ცეცხლი შეაგებეს. სროლა ძალიან ადვილი იყო, დამიზნებაც არ იყო საჭირო, გერმანელები წელში გამართულები მოდიოდნენ, ყველაფერი თვალსა და ხელს შუა ხდებოდა. კარგად მუშაობდნენ მეტყვიამფრქვევეები და მეავტომატეები. ჩვენი სანგრების წინ ასეულობით ეყარა მტრის გვამები.

სათვალთვალო პუნქტიდან ძალიან კარგად ჩანდა, ეს ერთი პოლკის შეტევა კი არ იყო, უფრო მეტი ძალები მოდიოდნენ. მე ყველაფერი ეს სასწრაფოდ ჩავიწერე და ბრიგადაში შეტყობინება გავაგზავნე.

ბრძოლაში მრავალჯერ ვყოფილვარ და ვიცოდი, როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ მეზღვაურები. გამახსენდა როგორ მაფრთხილებდა ნოვოროსიისკელი კომისარი:

— მეთორმეტე ცალკე მეზღვაურთა მსროლელი ბრიგადა ყოფილი მეზღვაურებისაგან შესდგება. მათ ლაჩრები არ უყვართ, თვითონვე იქვე უსწორდებიან ტყვიით. დაფიქრდით, შემიძლია სხვა ნაწილში გაგამწესოთ.

რა უნდა მეფიქრა, მამაც ადამიანებთან ყოფნა მსურდა. უყოყმანოდ წავედი ქვეითთა ასეულის პოლიტხელად.

ამ ბრძოლაში კი ბატალიონს ვმეთაურობდი...

გერმანელებმა შენიშნეს, რომ ჩვენი თავდაცვა მათთვის ძნელად გასატეხი იყო. მათ მთელი ფრონტით შეტევაზე უარი თქვეს და ჩვენ თავდაცვას მარცხენა მხრიდან შემოუარეს. იქვე გერმანელების სატანკო კოლონა უტევდა. ორი ტანკი სოფელში შეიჭრა. სხვებმა უფრო შორს გაუტიეს, ხოლო ჩვენი ბატალიონი და სოფელი ალყის შემოსარტყმელად უკან მოიტოვეს.

ტანკების სოფელში დატოვება შეუძლებელი იყო.

— მე პირველი სტატიის ზემდეგი ვარ... — მითხრა ჩემთან სირბილით მოსულმა მეზღვაურმა და თან გვარი დამისახელა... ერთ ტანკს მე შევუტევ.

კიდევ სამი მეზღვაური წამოდგა. სწრაფად ალიქურვნენ და სახლების უკან გაუჩინარდნენ. ორმა მეზღვაურმა ერთი ტანკი ააფეთქა. ზემდეგი, რომელმაც პირველმა მოისურვა ტანკზე შეტევა, როგორღაც შეფერხდა, ვერ მოახერხა ერთად შეკრული ხელყუმბარების სახლიდან სროლა. მაშინ მან გზაზე გამოირბინა და პირდაპირ ტანკს შეუვარდა ქვეშ. საზარელმა აფეთქებამ წინ გრუხუნით მიმავალი ტანკიც კი შეაჩერა.

ჩვენ სულ უფრო და უფრო ცოტა ვაჟნები გვრჩებოდა. დაზგის ტყვიამფრქვევები გადახურდა, წყლის უქონლობის გამო მწყობრიდან გამოდიოდნენ, ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევებს საფარი მოხსნეს. არ გვყოფნიდა გადასახვევი მასალა.

შუადღისას ბრიგადიდან ბრძანება მოვიდა: „თუ მტერი რიცხობრივად მეტი ძალებით შემოგიტევთ, საბრძოლო დამცველი რაზმის მხარეს დაიხიეთ და სადაზგო ტყვიამფრქვევები შეინარჩუნეთ!"

ჩვენ, ოცმა კაცმა (ეს იყო სულ, რაც გადარჩა ნაკრები ბატალიონისაგან) სოფელში დავიხიეთ. იქ ჩვენ შევნიშნეთ, რომ მეზღვაურები სოფელს მარჯვენა მხრიდან უვლიდნენ გარს. ადრე იქ საზღვაო ქვეითი ჯარის 83-ე ბრიგადა იდგა. და მაინც რაღაცამ დამაეჭვა, მივხვდი, რომ ეს ჩვენები არ იყვნენ და ოცეულის მეთაურს ვუბრძანე ხელის ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაეხსნა. მეთაურმა ბრძანება შეასრულა. მაშინ მოწინააღმდეგეებმაც ცეცხლი დაგვიშინეს. გამოირკვა, რომ სოფელს ჩვენი მეზღვაურები კი არ უვლიდნენ გარს, არამედ მათ ფორმაში გადაცმული გერმანელები.

ჰიტლერელებმა შეგვავიწროვეს. ჩვენ შეგვეძლო პატარა ხევის მხარეს დაგვეხია, რომელიც სოფლისაკენ ეშვებოდა. იქით ორი მეავტომატე გავგზავნე, რათა ხევში გერმანელები არ მიეშვათ. ასეც მოიქცნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან სვლით ეს ხევი გადავიარეთ.

გერმანელებმა შეგვნიშნეს, რომ უკან ვიხევდით და ნალმმტყორცნებიდან ცეცხლი გახსნეს. ჯერ უნდა გავწოლილიყავით, მერე წამოვმხტარიყავით და გავქცეულიყავით. უცებ შევნიშნე, გვერდით ვიღაც ჯარისკაცი მომიწვა.

— ამხანაგო პოლიტხელო, თქვენ დაჭრილი ხართ!

მე ისე ვიყავი დაძაბული, რომ არც შემიმჩნევია ეს ამბავი.

— გადაგიხვევთ, თორემ ცუდად იქნება საქმე, — თქვა იმავე ჯარისკაცმა.

— არაფერია, როგორმე ითლად გავალ-მეთქი, მაგრამ ჯარისკაცმა არ დამიჯერა. ჩემსკენ გამოჩოჩდა. ჩანთიდან ბინტი ამოიღო და ჭრილობა გადამიხვია. ჭრილობა არც თუ ღრმა

ოუო: აქცენტით მივხვდი, რომ ჯარისკაცი რუსს არ ჰგავდა.

— მე ქართველი ვარ, — მითხრა სანინსტრუქტორმა. თავისი გვარიც დამისახელა. ერთმანეთის გვერდით ვიწექით. ჩვენ თავზე საარტილერიო ყუმბარები და ნაღმები მიმოქროდნენ. როცა სანინსტრუქტორმა ვასომ მითხრა, რომ ქართველი ვარო, თვალწინ წარმომიდგა ჩემი საქართველო, ჩემი ოხეთი... თავს კარგად ვგრძნობდი, სიკვდილისა არ მეშინოდა, თუმცა ის ფეხდაფეხ გვდევდა და გვემუქრებოდა.

მე და ვასო ჩვენს ქვეგანაყოფში მშვიდობიანად მივედით.

საბრძოლო დავალების შესახებ უნდა მომეხსენებინა. ბრიგადის შტაბში წავედი. იქ ერთი არეულობა სუფევდა. უკანდახევისთვის ემზადებოდნენ, რაღაც ქაღალდებს წვავდნენ.

— ნება მომეცით... — მივუბრუნდი ბრიგადის მეთაურს.

— არ არის საჭირო, ყველაფერი ვიცით. აქ უკვე იყო მეავტომატეთა ოცეულის მეთაური და ყველაფერი გვიამბო, ისიც კი გვითხრა, რომ თქვენ მოგკლეს.

შტაბის მუშაკმა ჩემი სიკვდილის უწყება გადმომცა და თან ხუმრობით დააყოლა:

— თქვენ თვითონვე შეგიძლიათ გაგზავნოთ...

უწყება წავიკითხე: „დაეცა ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდილით საბრძოლო დავალების შესრულებისას“...

უწყება კი წავიკითხე, მაგრამ ყველაფერი ვერ აღვიქვი, რა ეწერა შიგ. მე ბატალიონის დაღუპვა მაშფოთებდა. შიშსაც ვგრძნობდი, რომ დასახლებული პუნქტის შენარჩუნება ვერ შევძელი, ბრძანება ვერ შევასრულე.

— ამხანაგო ბრიგადის მეთაურო, დანაკარგი ნაკრებ ბატალიონში აურაცხელია... — დავიწყე თავიდან...

მაგრამ ბატალიონის მეთაურმა მკაცრად შემომხედა:

— გითხარი, ყველაფერი ვიცით-მეთქი...

შტაბის იმავე მუშაკმა ბრძანება მაჩვენა, რომ მე წითელი დროშის ორდენით მაჯილდოებდნენ. მან ბრძანება საბუთებს შორის ჩადო.

როცა ჩემს ბატალიონში დავბრუნდი, საყოველთაო უკანდახევის ბრძანება მივიღეთ, ქერჩისკენ მივდიოდით.

ჩემი ვასო მეტად ველარ ვნახე. სამწუხაროდ, მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე. იქნებ იგი ცოცხალი გადარჩა? მაშინ თვითონ იგი გაიხსენებს ყველაფერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# იმედის დაბადება

სტალინგრადი. 1942 წლის სექტემბერი.

იმ დღეებში როდის მეძინა, არ მახსოვს, იქნებ რამდენიმე წუთით წავთვლიმე მხოლოდ და ისიც სხვადასხვა დროს, ცალ-ცალკე. ამიტომაც ზუსტად ვერ გამიხსენებია თარიღი, თხუთმეტი სექტემბერი იყო, თუ თექვსმეტი.

ბექობზე ვართ ჩასანგრებულნი. ჩვენს უკან, ორასიოდე ნაბიჯზე რუსეთის დედა-მდინარე, ვოლგა, აუღელვებლად მიედინება, წინ ასევე ორასიოდე ნაბიჯზე, დამწვარ-დანგრეულ და ჩონჩხადქცეულ სახლებში უკვე გერმანელი მეავტომატეები, სნაიპერები და ნაღმმტყორცნელები არიან ჩასაფრებულნი. ცამეტ სექტემბერს მტერი შეტევაზე წამოვიდა და სტალინგრადის თეატრის უბნიდან უკან მოგვიხდა დახევა. მოწინავე პოზიციებზე მდგარი ჩვენი ქვეითების ბატალიონი განადგურდა და გვარდიული ნაღმმტყორცნების („კატიუშების“) პოლკის მებრძოლები იძულებული გავხდით, მოწინააღმდეგე ვოლგისკენ რომ ვერ გაჭრილიყო, ქვეითების ნაცვლად დაგვეჭირა თავდაცვის ხაზი, ქუჩებში ადრევე მოწყობილ ბარიკადებთან დავმდგარიყავით, მერე კი... გარიჟრაჟზე აქ მოგვიყვანეს, ქვიშიან მაღალ ბექობთან.

ჩვენს პოლკში ამჟამად თექვსმეტი ქართველი ვართ, ჩვენს დივიზიონში კი — ხუთი. მე ტანკსაწინააღმდეგო გრძელი თოფი მიჭირავს, „პეტეერს“ რომ ეძახიან. ამ თოფს ორი მებრძოლი ემსახურება. ერთი ისვრის, მეორე ვაზნებს აწვდის. ჩემი თანაშემწე ქიშვარდი კობახიძე ჩემს სანგარშივე დგას და მალიმალ მაწვდის მსხვილ ვაზნებს. ორიოდე დღის წინ, ყუმბარების დაშენის დროს, ფარაჯა და სანივთე ჩანთა დაეწვა, თვითონ კი სალ-სალამათი გადარჩა. ჩემი ლაბადა-კარავი მოვახურე, ჩემს მშრალ ულუფას შუაზე ვიყოფთ — ცოტაოდენ ორცხობილას და შაქარს. ზურგჩანთაში კონცენტრატებიც ბლომად მიყრია, მაგრამ აქ შეუძლებელია ცხელი საჭმლის გაკეთება, ჯერ ერთი, ვოლგის წყალი ერთობ ნავთობიანია, კარდალათი ისე ვერ ამოიღებ, თუ არ გაიზლიგნა, ამ წყალს ახლა ალბათ სისხლიც ურევია, და სასმელადაც ვერ ვხმარობთ; მეორეც, აქ ომის ისეთი ცეცხლი ტრიალებს, რაიმეს მოსახარშავად წესიერ ცეცხლს ვერც დაანთებ. კონცენტრატებით სავსე ჩანთას ზურგიდან მაინც არ ვიშორებ, კუზივით მადგას, გულუბრყვილოდ ვფიქრობ, სხვა რამედ თუ აღარ გამომადგება, ტყვია ან ნაღმის ნამსხვრევი ზურგიდან თუ მომხვდება, დამიცავს-მეთქი. აქ ზოგჯერ ისეთი ამბავია, ვერ გაიგებ, საიდან გესროლეს. ჩვენი სანგრის მარჯვნივ „პეტეერით“ ისვრიან ამბროსი გოგობერიშვილი და ლევან მახათაძე. ჩვენგან ახიოდე ნაბიჯზეა დაშორებული ახეთივე თოფით შეიარაღებული დავით გონგაძე. დავითს თანაშემწედ ორმოციოდე წლის ჯარისკაცი ჰყავს, კარგად არ ვიცი, ჩუვაშია თუ მორდვინი.

სანგრების მიწაყრილს ხშირად ხვდება ტყვიები და ქვიშას გვაყრის მუზარადებსა თუ თოფებზე. ნაღმები თავზე შხივილით გადაგვივლის და ზურგს უკან ფეთქდება, ხშირად მდინარეშიც ვარდება და ვოლგა წამდაუწუმ შადრევნებს ისვრის ცაში. ალბათ, ამის ბრალია, მდინარე გულამობრუნებულ თევზებსაც რომ მოატივტივებს ხოლმე.

გვესვრიან და ჩვენც ვუმიზნებთ ყველა სავარაუდო ადგილს, სადაც კი შეიძლება მტერი იყოს ჩასაფრებულ-მოკალათებული, ვესვრით ყველა ფანჯარას, რომელიც ვოლგასა და ბექობს გადმოჰყურებს.

ქვიშა თოფის საკეტს ხშირად ედება და თოფს მალმალე უნდა გაწმენდა.

ბრძოლის დროს ხელს გვიშლის აქაური

ქვიშა, მაგრამ სანგრის ეს ქვიშიანი მიწაა ახლა ჩვენთვის ყველაფერი: იმედი, საფარი, ჯავშანი... მხოლოდ ამ მიწას შეიძლება ანდო შენი სიცოცხლე, მიწის ზევით სიკვდილი ზეიმობს.

უცებ ტყვიების წივილსა და ნაღმების ლავლავში ყრუდ ჩამესმა ქართული დაძახილი — ვაიმე დედაო, და უმალვე დავინახე, თავქუდმოგლეჯილი და ფარაჯაგახსნილი გონგაძე მდინარისკენ როგორ დაეშვა ბლავილით. უჭირდა, რაღაც ძალიან უჭირდა ამხანაგს, მაგრამ კერძოდ რა, იმ წუთში ეს ვერ გავიგე. ასეა ხშირად ფრონტზე. შესაძლოა, შენი თვალით დაინახო, ამხანაგს რომ ძალიან უჭირს და ვერ მიეშველო, ვერც მისი სატკივარის ამბავი გაიგო მალე. ფრონტზე დაჭრილებსა და გაჭირვებულებს საგანგებო მიმშველებლები ჰყავთ, ისინი მოუვლიან, შენ კი საცეცხლე წერტს ვერ მოშორდები. გონგაძის ამბავი მერე მითხრეს: ნაღმს უშველებელზე გაეგლიჯა მხარი.

გონგაძის ნასანგრალს გავხედე. იქ გულაღმა იწვა მისი თანაშემწე.

ცოტა ხნის შემდეგ მესმის, ფერდობის ძირას გათხრილი სანგრიდან დივიზიონის კომისარი შუმი მეძახის. გონგაძის თანაშემწე ჯარისკაცის და იქ დარჩენილი „პეტეერის“ ქვემოთ ჩამოთრევა მიბრძანა.

ჯარისკაცი მეთაურს არ ეკითხება, რატომო, მით უმეტეს, ფრონტზე. ასამდე მეტრი თუ იქნებოდა იმ გვამამდე, ასეთი მანძილი ბევრჯერ გადამილახავს ხოხვით სხვა დროს, მაგრამ ახლა იმ უბანს მტერი ისევ გააფთრებით უშენდა ტყვიას და მცირე ყალიბის ნაღმებს. იმ ჩონჩხადქცეული სახლებიდან ეს ადგილი, ეტყობა, კარგად ჰქონდათ გამოთოფილი და პირდაპირი დამიზნებითაც ესროდნენ. იქნებ ისევ ცოცხალიც ეგონათ ის გულაღმა დაწოლილი კაცი. აბა, იქ ახლა სხვა არავინ იყო!

წავფორთხდი ფერდობზე. ეტყობა, დამინახეს, სროლას მოუხშირეს.

თავის ზურგჩანთაზე იყო გადაწოლილი კაცი, რომელმაც, ალბათ, ვერც გაიგო, ნაღმი რომ მოხვდა და იმ ნაღმმა სანგრიდან ამოაგდო. მოკვდა ისე, რომ ტკივილი წამითაც არ უგრძვნია. ეტყობა, იმ უბედურს ნაღმი პირდაპირ მუცელში მოხვდა, ხხეული მთლიანად დაგლეჯილი ჰქონდა. და ამ კაცს ისევ ესროდნენ. ამ კაცსაც და მისკენ მიმავალსაც.

ერთი მოვიხედე, მეთაური უკან ხომ არ დამაბრუნებს-მეთქი. რევოლვერიანი ხელი ამოქნია, ჩქარაო. მიწაზე გაკრული კვლავ წავფორთხდი. მძიმედ ვსუნთქავდი და ქვიშა ცხვირ-პირში მეყრებოდა. გულახდილად გეტყვით, ისე სიკვდილის არ მეშინოდა, როგორც ამ დაფლეთილი კაცისთვის ხელის მოკიდება მზარავდა. აწივლებულმა ტყვიებმა მიწას კვამლშერეული მტვერი ააღინეს.

— ქიუუუ! აახ! ქიუუუ! აახ! — ორი ნაღმი ზედიზედ გასკდა ჩემს წინ. ქვიშა შემომეყარა თვალებში, კბილებშიც ამიხრაშუნდა.

მტრის წვრილყალიბიანი ნაღმმტყორცნებიც კი სადღაც ახლოს იყვნენ ჩასაფრებულნი და პირდაპირ გვითვალთვალებდნენ უკვე.

წამით თვალები დავხუჭე, სული მოვითქვი და ისევ წავფორთხდი, ცხედარს რომ მივუახლოვდი, რიგიანად აღარც შემიხედავს, მარჯვენა ხელი ფეხში ჩავავლე, მარცხენა ხელი „პეტეერის“ დრუნჩს ჩავჭიდე და გულამოვარდნილი ფაცხა-ფუცხით დავეშვი დაბრეცილ ფერდობზე. იქნებ კვლავინდებურად დამწიოდნენ ტყვიები, იქნებ წინანდებურად სკდებოდა ნაღმები ჩემს ირგვლივ, არც არაფერი გამიგონია, არც არაფერი დამინახავს. მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს, კომისარი თავს რომ წამომადგა და შემაქო, ყოჩაღო!

შუმმა ცხედარს ყველა ჯიბე ამოუბრუნა და ზურგჩანთაც გაუჩხრიკა, საბუთები თვითონ დაიტოვა — ალბათ შტაბში ჩასაბარებლად, ზურგჩანთა კი მე შემომაჩეჩა რატომღაც ხელში. ახლა საფლავის სათხრელად არავის ეცალა, ვიდრე არ დაღამდებოდა, დახოცილებს ვერც ვმარხავდით, მოდა, შუმმა ცხედარი იქვე ჩამატანინა, პატარა ვაკეზე, სადაც შვიდიოდე სხვა ცხედარიც იდო.

კომისარი თავის ხანგარს დაუბრუნდა. მე ხელში შემოჩეჩებული, სისხლით გაულენთილი ზურგჩანთა ერთხანს უხერხულად მეჭირა, მერე გავხსენი და ჩავხედე. თვითნაკეთები ჩიბუხი, პატრუქიანი კვეს-აბედი, თუთუნის უბრალო ქისა და ორიოდე ორცხობილა იდო შიგ. უცებ თვალში წითელი კენჭები მომხვდა — სისხლშეწოვილი შაქრის ნატეხები. ზურგჩანთა ცივად გამივარდა ხელიდან. აღარც ამიღია.

გონგაძის ტანკსაწინააღმდეგო თოფი კობახიძეს მისცეს. ჩვენ ცალ-ცალკე ჩავსანგრდით, ერთმანეთის მეზობლად. ახლა მსროლელებიც ჩვენ ვიყავით და ვაზნების მიმწოდებლებიც. ისევ გვესროდნენ გერმანელები და ჩვენც ვესროდით.

ვაკეზე ცხედრებს ისევ ხვდებოდა ჭურვები და ნაღმები, ოღონდ ტყვიები — არა. ეტყობა, მეავტომატეები ამ ადგილს ვერ ხედავდნენ. მაგრამ ამ ცხედრებს მტერი რაღას დააკლებდა!

ვდგავართ სანგრებში და როცა სროლა მიყუჩდება ხოლმე, აქეთ-იქით მხოლოდ მაშინღა ვახერხებთ გახედვ-გამოხედვას. ნახევარი კილომეტრი თუ იქნება მტრებსა და ვოლგას შუა. ამ მცირე მიწაზე წყდება სტალინგრადის შენარჩუნების ბედ-იღბალი და არა მარტო ამ ჩონჩხადქცეული ქალაქისა...

და ეს ბექობი, ქვიშიანი ბექობი ერთად გვაჭირავს ჩვენ, ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. მო, თითქოს მკვდრებიც ისევ იბრძვიანო.

წინა დღეს ჩვენი ბარიკადა დაბომბეს. უცებ

სუნთქვა შემეკრა. მეგონა, ცოცხლად დავიმარხე-მეთქი. კარგა ხანს ვიყავი გაბრუებული. მერე თანდათან გაიფანტა ბურუსი და ვიგრძენი, ბარიკადისპირა სანგარში მდგომს აგურის ნამსხვრევები, მიწა და მტვერი დამყრია. როგორც იქნა ამოვძვერი. სასტიკად დაბეჟილი, ფეხზე ძლივს დავდექი, მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა, რაკი სული ისევ მედგა. მე გადავრჩი, ჩემი ტყვიამფრქვევი კი გამოვიდა მწყობრიდან. იარაღის შესაკეთებელი სახელოსნო ვოლგის გაღმა იყო სადღაც.

— დაჭრილებს გაჰყევი და ბარემ ტყვიამფრქვევიც შეაკეთე! — მითხრა ოცმეთაურმა.

— მსუბუქად დაჭრილ მებრძოლს გაატანეთ, არ შეიძლება? მე დავრჩები.

ახლაც არ ვიცი, ზურგში წასვლაზე უცებ უარის თქმა რამ გადამაწყვეტინა. მართალია, მაშინ ისეთი რწმენა გვქონდა, რომ... მაგრამ მაინც...

ლეიტენანტს ჩემი თხოვნა არ გაჰკვირვებია, დაზიანებული ტყვიამფრქვევი მსუბუქად დაჭრილ ჯარისკაცს აჰკიდა, მე კი დაჭრილი მებრძოლის „პეტეერი“ ჩამაბარა, აი, ის თოფი, ახლა ვოლგისპირა ბექობთან რომ მიჭირავს ხელში.

მზის ჩასვლისას გავიგე: იმ გემს, რომელსაც დაჭრილები გადაჰყავდა და ჩემი ტყვიამფრქვევიც მიჰქონდა, რამდენიმე ყუმბარა მოხვედრია შუაწყალში და ვოლგის მარცხენა ნაპირამდე ვერ გაუღწევია, თითქმის ყველა დაღუპულა.

ნუთუ ფრონტზე დარჩენამ გადამარჩინა?

საერთოდ, რას გაიგებ კაცი, ომში რა დაგღუპავს და რა დაგინდობს!

აი, დღეს აქ კინაღამ შევეწირე ცხედრის გამოტანას. მერედა, რისთვის? თურმე ასეთი წესი ყოფილა ფრონტზე. ბრძოლის ველზე ცხედრის დატოვება არ შეიძლება, თუნდაც მის გამოტანას კიდევ ახალი მსხვერპლი მოჰყვეს. წინა ხაზიდან იარაღიც უნდა გამოიტანო და მკვდარიც, რომ მისი საბუთები მტერმა არ ჩაიგდოს ხელში.

ეს კი ასეა, მაგრამ იმ ჩემს ტყვიამფრქვევს რომ გავყოლოდი, ახლა უკვე აღარაფერი მეცოდინებოდა, რა ხდება დედამიწის ზურგზე, ჩემთვის უკვე ომი სამუდამოდ დამთავრებული იქნებოდა.

ვოლგას გავხედე და რატომღაც პერგამენტში გავახვიე სამხედრო წიგნაკი, კომკავშირის ბილეთი და ჯარისკაცობისას დაწერილი რამდენიმე ლექსი, მერე შინიდან მიღებული ყველა წერილი ხელახლა წავიკითხე და ისიც გავახვიე.

ამასობაში ჩამობნელდა და ბრძოლის ხმა ოდნავ მიწყნარდა.

უცებ მომაგონდა, რომ ერთ თვეში ცხრამეტი წლისა უნდა გავხდე, ერთ თვეში.

ერთი თვე, ერთი თვე... რამდენი წუთია ერთ თვეში? წუთების ანგარიში იმიტომ წამომიფრინდა თავში, რომ აქ თითქმის ყველა წუთი ათასი სიკვდილითაა დამუხტულ-გატენილი და გგონია, რომ იმ ათას სიკვდილს მხოლოდ შენ გესვრიან, აქ ხშირად ერთი წუთიც კი საუკუნეს უდრის, აქ ყოველ წამში ქანაობს სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი.

ერთი თვე დარჩა, მხოლოდ ერთი თვე, ცხრამეტი წლისა რომ გავხდე...

ერთ თვეში კი...

აი, ჯერ ერთი თვეც არაა, რაც ფრონტზე ვარ და რამდენი სიკვდილი ვნახე, ვნახე და დავამარცხე! რამდენჯერ გავედი ბეწვის ხიდზე!

ეშელონიდან ტრიალ მინდორში გადმოვიბარგეთ, სტალინგრადიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე შუა ახტუბას შორიახლოს.

დაღლილმა ზურგჩანთა მივაგდე და წამოწოლა დავაპირე დასასვენებლად. სწორედ ამ დროს ორმა სვასტიკიანმა თვითმფრინავმა გადაგვიქროლა. ზედ ყურის ძირთან რაღაცამ გამწივლა. დაწოლაც კი ვერ მოვასწარი, გავხევდი. ვხედავ: ჩემს ზურგჩანთასთან მიწაში ვიწრო და ღრმა ხვრელი გაჩნდა, ისეთი, უხსენებელი რომ აკეთებს ხოლმე. ეს მცირე ყალიბის ჭურვმა გახვრიტა მიწა, თუ ვიწრო ყუმბარამ? ის იყო თუ ეს, არ გასკდა. ჩემს მოსაკლავად ნასროლ პირველ სიკვდილს ხელი მოეცარა. ამბობენ, პირველი დაბედებისააო. იქნებ მართლაც?

მივადექით ვოლგას. გაღმა ცეცხლსა და კვამლში გახვეული სტალინგრადია. ველოდებით გემს. სამი ჭურვი თითქმის ერთდროულად გასკდა ჩემს ირგვლივ და არაფერი, მხოლოდ ვოლგისპირული თეთრი ქვიშა შემომეყარა.

გავედით გაღმა. ფრონტზე მისვლისთანავე შევიტყვე, მეკავშირეთა ოცეული კაბელის გასაჭიმავად სათვალთვალო პუნქტისკენ მანქანით რომ წასულა, მტრის თვითმფრინავს ყუმბარა პირდაპირ იმ მანქანისთვის მოუხვედრებია და ნაცარტუტად უქცევია. მთელი ოცეულიდან ორი რადისტიღა გადარჩენილა.

ხუთივე ქართველი ამ დივიზიონში რომ მიგვიყვანეს, „კატიუშების“ დამცველ ოცეულში ჩაგვრიცხეს, ორიოდე კვირის შემდეგ კი მეკავშირეთა ოცეულში გადაგვიყვანეს. ბიჭებმა რუსული ცუდად იცოდნენ და დივიზიონის მეთაურს კაპიტან დელინსკის ვუპატაკე, ქართველებმა ტელეფონზე მორიგეობისას ბრძანება სწორად რომ ვერ გაიგონ, დანაშაულებრივი გაუგებრობა მოხდება და იქნებ დასახვრეტადაც კი გაუხდეთ საქმე, სჯობია, ისევ ადრინდელ საქმეს მივუბრუნოთ-მეთქი. მართალი ხარო, უმალვე დამეთანხმა და განკარგულება გასცა, ქართველები ტყვიამფრქვევებს და

ტანკსაწინააღმდეგო თოფებს დაუბრუნეთო. ეს მოხდა ფრონტზე გამომგზავრების წინ.

მეკავშირეთა ოცეულში რომ დავრჩენილიყავით, ხუთი ქართველიდან ვერც ერთი ვერ გადავრჩებოდით.

ეს ბედია, თუ რაღაც წინათგრძნობა?

„კატიუშებს“ ასე სჩვეოდათ: მიგრიალდებოდნენ წინა ხაზზე, ჰურვებს (ამ ცეცხლისკუდიან. ეშმაკებს) მტრებისკენ გააფრენდნენ და უმალვე გამობრუნდებოდნენ თავშესაფრისკენ. შემდეგ კი იმ ადგილს, საიდანაც „კატიუშებმა“ ისროლეს, მტრის არტილერია უბაგუნებდა უმოწყალოდ. ხშირად „კატიუშას“ გათვლებს ტყვიასაც აყრიდნენ ჩვენი ჯარის განლაგებაში შემოპარული გერმანელი მეავტომატეები. ჰოდა, ჩვენ მუდამ დავყვებოდით თან, ტყვიამფრქვევებითა და ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ვდარაჯობდით საცეცხლე ხაზზეც და გზაზეც.

რვა სექტემბერს, ცეცხლის ხაზიდან გამობრუნებისას ფაშისტმა მეავტომატეებმა სროლა აგვიტეხეს. ბოლო „კატიუშა“ გაჩერდა — შოფერი მოკლეს. როცა სხვა მანქანები სამშვიდობოს გავიდნენ, ბატარეის მეთაურმა ხაჩატურიანმა მე და შოფერი ციპინოვი უკან გაგვაბრუნა. მე დანგრეულ სახლში ჩამასაფრა და სანამ ციპინოვმა ის საბრძოლო მანქანა სამშვიდობოზე არ გაიყვანა, სროლა არ შემიწყვეტია. მაშინაც დამემუქრა სიკვდილი, მაგრამ მტრის ტყვიამ მუზარადზე გამკრა მხოლოდ, ტანზე ვერ ამიცრა.

ცხრა სექტემბერს აბანოში წასასვლელად მოგვამზადეს. უცებ ცეცხლის ხაზზე მოგვიხდა გასვლა. „შინ“ რომ მოვბრუნდით, ამბავი დაგვახვედრეს, აბანო დაბომბეს და... თქვენ გადარჩითო. მხოლოდ ჩვენთვის მიტანილი საცვლები დაიწვა იმ აბანოში.

ბარიკადასთან დავიმარხე კიდეც, მაგრამ საღ-სალამათი ამოვძვერი მიწიდან.

დაზიანებული ჩემი ტყვიამფრქვევი დაჰრილს გავატანე, მე ცეცხლის ხაზზე დავრჩი და სწორედ ამან გადამარჩინა.

დღესაც მოეცარა ხელი ჩემს ახლოს მოვარდნილ სიკვდილს...

ჯერ ერთი თვეც არაა და უკვე რამდენჯერ ვაჯობე სიკვდილს? ასე მიახლოვდება ხოლმე, თითქმის თვალებში ჩავცქერით ერთმანეთს და სწორედ უკანასკნელ ნაბიჯზე უსხლტება ფეხი.

ბევრჯერ შემაშინა უკვე სიკვდილმა, მაგრამ ამ შიშმა ბოლოს იმედიც გამიჩინა, ომში საერთოდ გადარჩენის იმედი... და ეს იმედი სწორედ აქ დაიბადა, ვოლგის მაღალ ბექობთან გათხრილ ქვიშიან სანგარში. ერთხელ გადავრჩი, ორჯერ, სამჯერ, შვიდჯერ, ცხრაჯერ... ჰოდა, ხომ შეიძლება სულ ტყვიის წვიმაში, ბომბების ზრიალში, ქვემეხების ბათქაბუთქში იყო და სიკვდილი ახლოს ვერ მოგეკაროს, ასე საღ-სალამათად გაიარო ომის ჯოჯოხეთი?

ხომ შეიძლება გახდე ჯერ ცხრამეტის, მერე ოცის, ოცდაერთის, ოცდახუთის, ორმოცდაათის... იცოცხლო ასევე, როგორც ამ ცეცხლმოკიდებულ ქალაქში შესძელი სიცოცხლე!..

ასე ყოფილა! სიკვდილს ცხრაჯერ რომ დაამარცხებ, მერე და მერე უფრო გემატება თურმე სიცოცხლის იმედი.

კაცი იმედით ცოცხლობს.

ასეთი იმედისმომცემი გამოდგა სტალინგრადში ჩემი ერთი ჩვეულებრივი ფრონტული დღე. ეს იმედი შემდეგ არც არასოდეს დამიკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გომიაშვილი

# თავრიდის ცეცხლები

მძიმე დრო იყო. ქერჩის ნახევარკუნძული ცეცხლის ფრთაზე იდგა. დღისით და ღამით ცაში რკინის დოლაბი ტრიალებდა, სანგრების თავზე ჭურვები ჰყმუოდნენ და ყირიმის მიწაც ადამიანივით კვნესოდა. ირგვლივ ზღვა დუღდა, ველზე მოტრასირე ტყვიების პუნქტირი ცახცახებდა და მაინც, დიდი ბრძოლების შუალედებში, ქართველი ბიჭები ახალ ბლინდაჟებს თხრიდნენ, ჭრილობებს იშუშებდნენ და შემდეგ, ქვეითებთან ერთად, არტილერიის ცეცხლით ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ. ასე იყო ყამიშ-ბურუნთან, ბოლშოი ბაბიჩთან, ჯანტორასთან... არაბატის ისართან გასულ მეომრებს ჰაუბიცებისათვის შავი შალითები გადაეხსნათ და დასავლეთისაკენ გაწვდილი ლულებით პოლკი ახალ პოზიციებზე გადადიოდა.

სათვალთვალო სიმაღლიდან ცეისის მილში ნათლად ჩანდა მთელი ქერჩის ვიწრო ყელი.

ჩვიდმეტი კილომეტრის სიგრძეზე გადიოდა მტრის წინახაზი და ქერჩის ამ ვიწრო ყელში, არაბატიდან ფეოდოსიამდე, ყველა გასასვლელი გამოთოფილი გვქონდა.

დრო გადიოდა და ქერჩიდან განდევნილი გერმანელები, არც ისე შორს, ისევ ღრმა სანგრებში ისხდნენ. მტერი დღითიდღე ახალ ძალებს იკრებდა, ჰაერი ახალი დენთით იტენებოდა და რკინიგზის საკვანძო სადგური ჯანყოიც კონტრშეტევისათვის ემზადებოდა.

არ ეძინა აკ-მონაის პოზიციებს და არ ეძინა მითრიდატეს მთის კატაკომბებს. გენერალი ტოლბუხინი ფრონტის რუკასთან იდგა და მტერზე ახალი დარტყმის მიმართულება გამოჰყავდა. როგორც ყოველთვის, შტაბის მთავარ შესასვლელს სერჟანტი დარბაიძე იცავდა, ვიწრო დერეფანში პატრული დადიოდა ქერჩის თავზე კი, შავი ღრუბელი გროვდებოდა.

სერჟანტი და გენერალი! ტოლბუხინის ფანქრის წვერში სამი არმიის ქარიშხალი დაბუდებულიყო, დარბაიძის ავტომატში კი... მაგრამ, ორივეს ერთნაირად უკვნესოდათ გული, ორივე ერთი მიზნისათვის იღწვოდა; გენერლის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. იგი ქერჩიდან სხვაგან გადაიყვანეს, აკ-მონაის პოზიციები მტერმა გაარღვია და კუნძულის ვიწრო ყელში უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა. მრავალი ქართველი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე დაეცა და მათთან ერთად ჩვენი სერჟანტი დარბაიძეც უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მაგრამ ქერჩისათვის მებრძოლი სული მეომრისა არ გამქრალა. აკ-მონაის დაჯგუფებამ მტრის გარემოცვა გაარღვია, ბრძოლით გააპო ცეცხლი, გასტოპა წყალი და დიდ მიწაზე შურისძიების ახალ მუშტად შეიკრა.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი სიტყვა ჯერ სტალინგრადმა თქვა, შემდეგ კავკასიის მთების ქუხილი ყუბანის ველებზე გაგორდა. შურისძიებამ ფრთა შეისხა, ფანქრის წვერში დაბუდებული ქარიშხალი დაიძრა და გენერალ ტოლბუხინის ჯარებმა გრიგალივით გადიარეს ყირიმის ნახევარკუნძული. ისევ განათდა მითრიდატეს მთის კატაკომბები და ძმათა სისხლით მორწყულ აკ-მონაის მიწას ფეხი დაადგა ქართველმა ჯარისკაცმა.

მაგრამ ეს მოხდა გვიან.

მაშინ, კი...

შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა მე და პოლიტხელი ნიკოლოზ ფარჯანაძე აჯი-მუშკაის ქვის სამტეხლოებიდან გავედით. ცა იყო ისეთი მოწმენდილი, სუფთა და ჭახჭახა, რომ იმღამინდელი ზეცის სილაჟვარდეში ადამიანის გულიც სხვანაირად სცემდა, ძარღვებში სისხლი სხვანაირად ჩუხჩუხებდა და ომის კვამლით

გაბრწყინებული სული მაღლა ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. გავიარეთ ვოიკოვის ქარხნის დასახლება და მალე ჩოჩხადქცეულ ქერჩის ქუჩებშიც შევედით. უკაცრიელი ქალაქი მწყობრი ნაბიჯით გადავჭერით და მითრიდატეს მთას ალმა შევუდექით. ღამის პატრული რა არის, გზაში ისიც არ შეგვხვედრია.

— ქალაქს სძინავს.

— დიახ, სძინავს.

— დაიწყება საჰაერო თავდასხმა და ქალაქიც გაიღვიძებს.

დროდადრო ერთმანეთს ვესაუბრებით მე და ჩემი თანამგზავრი და ნელა ავდივართ აღმართს.

— აი, ფრონტის შტაბიც, — თქვა ფარჯანაძემ და ხელი კლდის თხემისაკენ გაიშვირა. ვიწრო შესასვლელში ავტომატმომარჯვებული გუშაგი იდგა.

მე ახლოს მივედი, ჩემი პირადობის მოწმობა გავუწოდე და ვთხოვე შტაბში შევეშვით.

— გამარჯობა, ამხანაგო კაპიტანო! — ხავერდოვანი ქართულით მომაძახა იმან და თვალებში მომაჩერდა. — ნუთუ, ვერ მიცანით? მე ვარ, გენო დარბაიძე, თქვენი მწერალთა კავშირის გამომცემლობის ყოფილი შიკრიკი!

ჩემს წინ იდგა ისეთივე გულმართალი და მომღიმარე ჭაბუკი, როგორიც ის არაერთხელ მინახავს ადრე, ომის წინ, თბილისში. არ შეიძლება ქართველი მწერლების უფროს თაობას არ ახსოვდეთ თავიანთი გამომცემლობის ახალგაზრდა შიკრიკი. დიახ, ეს იყო გენო დარბაიძე! 1942 წლის ზამთრის ყინვაში სერჟანტს თავზე რკინის მუზარადი დაეხურა და ავტომატმომარჯვებული ყარაულში ქანდაკივით იდგა.

მალე დამთავრდა ჩვენი „აუდიენცია" ფრონტის შტაბში, გენოც საგუშაგოდან განთავისუფლდა და სამივენი ქალაქში ერთად გავედით.

— აბა, ვინ საით? — შტაბიდან გამოსვლისთანავე ვიკითხე და დარბაიძეს ხელი გავუწოდე. — შენი გზა არ ვიცი და ჩვენ კი, ამ დილით ვოიკოვის დასახლებაში უნდა დავბრუნდეთ. იქ, ჰოსპიტალში ერთი მეგობარი მინდა ვნახო და შემდეგ-კი, ჰაიდა, აკ-მონაის პოზიციებზე!

ერთხანს გენოს ხელი ხელში მეჭირა და ორივენი ვდუმდით. ჩვენი შეხვედრა მოულოდნელი იყო და ასევე მოულოდნელი იყო ჩვენი დაცილებაც. ვინ იცის მაშინ, რა საგონებელს წაელო იგი? ლამაზი, თაფლისფერი თვალები დაბლა დაეხარა და სდუმდა. ბოლოს ხელი ნერვიულად დაიქნია და თავისი სათქმელიც ამოთქვა:

— არა, ასე უცბად ვერ დაგცილდებით. თანაც ერთი გზა გვქონია. აქედან პირდაპირ მითრიდატეს ქუჩაზე გავალთ და საქართველოსაც ვნახავთ.

— როგორ, თუ საქართველოს?

— დიახ, საქართველოს.

— მაინც?

— სადაც ქართველი ბიჭებია, საქართველოც იქ არის. მითრიდატეს ქუჩა სავსეა ქართველებით.

— ახლა ქართველებით სავსეა მთელი ქერჩის ნახევარკუნძული.

— და საქართველოც აქ არის.

— ძველი თავრიდიც სავსე იყო ქართველებით.

— თავრიდი ძველი პონტოს ჭიშკარი გახლდათ.

— ახლაც ჭიშკარია.

— საქართველოს ჭიშკარი.

— მაგრამ ქერჩი ჩემთვის მაინც თბილისია და მითრიდატეს ქუჩა — რუსთაველის პროსპექტი!

— ქერჩი ბაქოც არის ახლა.

— ერევანიც.

— კიევიც.

— მოსკოვიც.

— ახლანდელი ქერჩის წინახაზი ყველა ჩვენი ოჯახის შუაკერაზე გადის და, ჰომეროსის თქმისა არ იყოს, თავრიდის ნახევარკუნძული თევზის ფხაზე დგას.

— თევზის ფხაზე თუ ცეცხლის ფრთაზე?

— ერთზეც და მეორეზეც.

— მესამეზეც...

— მაინც?

— ადამიანის ძვლებზე.

— ნამდვილად, ქერჩის ნახევარკუნძული არა თევზის ფხაზე, არამედ ადამიანის ძვლებზე დგას, თორემ აქამდე ზღვაში ჩაიძირებოდა. ბოლოს თავის გულისწუხილი ამ სიტყვებით დაამთავრა ჩვენმა სერჟანტმა.

დილის ბინდ-ბუნდში მითრიდატეს ფოლორცი გავიარეთ და სამივენი შავი ზღვის გადასახედზე გავედით.

სერჟანტი უცბად კლდის ქიმზე შედგა, ხელი მაღლა ასწია და დაიძახა:

— აი, საოცრება!

თანამგზავრის ამ უცნაურმა შეძახილმა შემაკრთო.

— რა იყო, ბიჭო? რა ეშმაკი მოგეჩვენა ამ დილით?!

— როგორ თუ რა?! — გაიკამათა იმან, — აბა ერთი აქედან გახედე, როგორ ჭიაფერად ზიმზიმებს შავი ზღვის ზედაპირი! ამაზე მეტი საოცრება რაღა იქნება?!

— მზე ამოდის, — იყო ფარჯანაძის პასუხი.

— დიახ, მზე ამოდის. — სიტყვა ჩამოართვა დარბაიძემ, მაგრამ უმალვე დადუმდა. გამტკნარებულ სახეზე ხელი გადაისვა და თავი-

სი სათქმელი დაამთავრა. — მზე ამოდის, მაგრამ, როგორი? სისხლიანი მზე ამოდის.

— მზე მაინც ყველგან და ყოველთვის დიდებულია.

— მზე უფრო ლამაზი და დიდებული იქნებოდა, რომ ქვეყანაზე ომის მომგონი არ იყოს და ზღვის ტალღებსაც ადამიანის სისხლი არ ერიოს! — ახლა დიდაქტიკაში გადავარდა პოლიტხელი ფარჯანაძე.

— ომიც მალე დამთავრდება და ზღვის ტალღებიც ისევ ძველებურად დაიწმინდება. — ფარჯანაძის კილოს შესაფერისი ბიძგი მივეცი მეც.

— ზღვის ტალღები კი დაიწმინდება, მაგრამ ამდენ წუხილს, ამდენ დარდს, სისხლსა და ცრემლს რა ეშველება?! — არ იშლის თავისას დარბაიძე და სათქმელს გულისტკივილით ამთავრებს. — ჩვენს ჭრილობებს რა მოარჩენს და ჩვენს დამძიმებულ სულს რა გასწმენდავს?! საკითხავი აი, რა არის!

მართლა საოცარი რამ იყო იმდღევანდელი დილა ქერჩის ყურეში. მუდამ ნისლით დაბურული სრუტე რაღაც განგებას გადაეწმინდა და ორი ზღვის ტალღებზე მოციმციმე მზის სხივები ცაში უცხო ცისარტყელად ირეკლებოდა.

აჯი-მუშკაის და ენი-კალეს მაღლობებზე საზენიტო ბატარიები იდგა. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა და ქერჩის ქუჩებს მწკრივად მისდევდა გადამწვარი შენობების შავი სილუეტები. ქერჩის ლამაზი კვარტალები ნანგრევებად ქცეულიყო.

უცბად მზემ მაღლა აიწია და მითრიდატეს ქუჩაც გამოჩნდა. ქალაქის მთავარი მაგისტრალი ჩვენს წინ ნანგრევებში იწვა. რაღაც მკვდრული გარინდება დაუფლებოდა ქუჩებსა და მოედნებს. სდუმდა საზენიტო არტილერია და სდუმდა ირგვლივ ყოველივე, მხოლოდ სისხლიანი მზის სხივებში ზღვა ჭიაფერად ზიმზიმებდა, სამხედრო გემი რეიდზე იდგა და ბარჟებს ხალხი ნაპირზე გადამყავდათ.

სად იყო, სად არა — თავზე მტრის სამმა ბომბდამშენმა გადაგვიქროლა და იმათი პიკირების ქარმა მიწას გაგვაკრა.

— ნეტავ საით მიფრინავენ სვავები? — ერთი გრძელი კვნესა გამოსცრა კბილებში დარბაიძემ და სამივენი ზეზე წამოვცვივდით.

— ყამიშ-ბურუნში მიფრინავენ.

— პიკირებაზე გადადიან.

— პორტს ბომბავენ.

— ვაი, დედასა!

დროდადრო ისმის დარბაიძის წამოძახილი.

ქალაქში ატყდა საჰაერო განგაში. ერთბაშად დაიქექა მითრიდატეს მთამ და მაღალ გორაკებზე განლაგებული საზენიტო ქვემეხების ჭექა-ქუხილს ხმა მისცეს აჯი-მუშკაიმ და ენი-კალემ. საჰაერო ბომბების ხოშკაკალამ ზეცის სილაჟვარდე გახია და მაშინ, როცა პიკეზე დამდგარი სვავები პორტს ბომბავდნენ, ქალაქის თავზე გადამღობი ცეცხლის რკალი შეიკრა. ბომბები მაინც წყალში უთავბოლოდ ცვიოდა, ზღვა დუღდა და ყამიშ-ბურუნიც საარაყე ქვაბივით თუხთუხებდა.

ერთბაშად, ყველა ქვემეხი დადუმდა, თეთრი ბოლქვები ჰაერში გაიფანტა და მზის სხივებიდან გამანადგურებელი გამოვიდა. კენტი „იაკი" ელვისებური სისწრაფით მისრიალებდა პორტისაკენ. ცაში ნაცნობი გუგუნი თანდათან იზრდებოდა და ჩვენი სულიც ახალი იმედის სხივით ივსებოდა.

„იუნკერსების" საბრძოლო რგოლმა ერთხელ კიდევ მაღლა აიწია, პიკეზე ქვემეხები დაცალა და ახალი კურსი კუნძულის სიღრმისაკენ აიღო. ტალღისებურმა ქარმა ისევ თავზე გადაგვიქროლა, ისევ დაიქექა მითრიდატეს მთამ და მაღალ გორაკებზე განლაგებული ქვემეხების ჭექა-ქუხილს ისევ ხმა მისცეს აჯიმუშკაიმ და ენი-კალემ. „იუნკერსების" რგოლმა საზენიტო ცეცხლის რკალი გაარღვია და თითქოს სამშვიდობოსაც გავიდა. მაგრამ, აქ მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა. ზედ ქალაქის თავზე ერთმანეთს შეხვდა მტრის სამი ბომბდამშენი და ერთი ჩვენი გამანადგურებელი.

ერთი სამის წინააღმდეგ!

მარტოხელა „იაკი" თვითმფრინავების მთელი რგოლის წინააღმდეგ!

ძალთა შეფარდება მეტისმეტად უთანასწორო იყო და მაინც ქალაქის თავზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

უშიშარმა და მამაცმა საბჭოთა მფრინავმა ელვისებური სისწრაფით წაიყვანა მანქანა და მტრის ბომბდამშენების რგოლს თავზე მოექცა. უცბად გაისმა ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი, რასაც თან დაერთო ქვემეხის ხმაც. მტრის მეთაური ბომბდამშენი გვერდზე გადაბრუნდა, ქალაქის თავზე კვამლის შავი კუდი გაუშვა და ფრთამოტეხილი სვავი მიწას დაენარცხა.

ნამდვილად შესანიშნავი დღე იყო ის დღე. მზე ქალაქის თავზე იდგა ჯიხვივით და მისი სხივები ბლუჯა-ბლუჯად ეფინა მითრიდატის მთის ფერდობებს. ჩავდიოდით ქალაქში ვიწრო ფოლორცით და გულიც სიამაყით გვევსებოდა. ნეტავ, ვინ იყო მამაცი მფრინავი? დროდადრო ვეკითხებოდით ჩვენს თავს და პასუხის გამცემი კი არავინ იყო.

...მეორე დღის საფრონტო გაზეთში წავიკითხე იმ საჰაერო ბრძოლის ამბავი ასეთი სათაურით: „კაპიტანი მიხეილ აბზიანიძე ქალაქის თავზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

# ოლიას ქოხი

მაშ ასე, უნდა შევარჩიო ომის ერთი დღე, ის ერთი დღე უნდა გავიხსენო...

ციმბირელთა პოლკი, რომელშიაც მე მოვხვდი და რომელიც სტალინგრადს იცავდა, სატრაქტორო ქარხნის მიდამოებში იყო განლაგებული. დღე და ღამე გააფთრებული ბრძოლები მიდიოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ქალაქზე იერიში მომქონდა თავით ფეხთამდე შეიარაღებულ სამასოცდაათიათას მიტლერელს. მოდი და შეარჩიე ამ დროს რომელი დღე იყო განსაკუთრებული!

ჯერ ვიფიქრე, ის დღე გამეხსენებინა პირველად რომ მივედი სტალინგრადის დასაცავად. ეს იყო 1942 წლის 20 ოქტომბერი. ცეცხლმოდებული ცა დაბლა ჩამოდიოდა, თუმცა ცა და დედამიწა ისე იყო ალში გახვეული, ვერც კი გაარჩევდი სად იყო ერთი და სად მეორე!.. ვოლგაზე, როგორც იყო, გადავედით... გადავედით და ვაი იმ გადასვლას, ცა ერთიანად მესერშმიტებმა დააბნელეს, წამოვიდა ბომბების სეტყვა. ეს უბედურება თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, ყველა შენობა დაინგრა... ეს გავიხსენო? ეს ხომ ქვეყანამ იცის! ისიც ქვეყანამ იცის, როგორ შევაჩერეთ მტერი და მერე როგორ გავანადგურეთ. ვეძებ სულ სხვა დღეს...

ნოემბრის შუა რიცხვები იყო. მოგეხსენებათ, ამ დროს სტალინგრადში მაგარი ზამთარია. მზვერავები დავეძებდით მტრის მფრინავებს, რომლებიც იძულებული გახდნენ პარაშუტით გადმომხტარიყვნენ ცეცხლმოდებული თვითმფრინავებიდან. ამ ძებნაში ვიყავით, რომ ვოლგის მარცხენა ნაპირზე შემოგვხვდა ახალგაზრდა ქალი. ჩვენს დანახვაზე ცრემლები წამოუვიდა და პირდაპირ გვითხრა: — ციმბირიდან ვარ, ქმარს დავეძებ. გაიგე, 149-ე მსროლელთა ბრიგადა აქ, სტალინგრადში იბრძვის, ჩემი ქმარიც ამ ბრიგადაშია.

— რა გვარია? — ვეკითხები.

— ანდრია კარპოვი!

— ანდრეი ალექსანდროვიჩი?

— დიახ ,ანდრეი ალექსანდროვიჩ კარპოვი?

საოცარი დამთხვევაა, სწორედ ასეთი გვარის მებრძოლი ჩვენს პოლკში არის, მაგრამ უცებ ხომ ვერ დაიჯერებ, იქნებ ეს ქალი მოგზავნილია, მით უმეტეს, აქ, ფრონტზე სიფრთხილე გვმართებს. ქალმა გამოკითხვა აღარ გვაცალა:

— ვიცი, არ მენდობით, თქვენი ეჭვი ბუნებრივია, მაგრამ მაინც გთხოვთ ბოლომდის მომისმინოთ: მე და ანდრეიმ ხელი მოვაწერეთ და... იმ დღესვე ფრონტზე წამოვიდა. მე უდედმამოთა სახლში ვარ გაზრდილი, მის გარდა ახლობელი არავინა მყავს. ანდრეი, მეუღლის გარდა, ჩემთვის დედაც არის და მამაც, დაც და ძმაც... მე მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ათასნაირად ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე მისი ბედი გავიზიარო.

რაც ქალმა მომყვა, ის ამბავი სწორედ ასე, ათასჯერ მაინც აქვს მოყოლილი ანდრეი კარპოვსაც. ეს მარტო მე კი არა, მთელმა ასეულმა იცის. ვიფიქრე, ახლა ქალის სახელიც თუ დაემთხვა, ნამდვილად ის არის-მეთქი.

— სახელი თქვენი?

— ოლია! — მოუმატა ტირილს.

მეც ამომიჯდა გული, ცრემლები წამომცვივდა, მოვიკითხე, როგორც ახლო მეგობრის მეუღლეს ეკადრება. წავიყვანეთ. ანდრეი კარპოვი გაგიჟდა, არ დაგვიჯერა, როცა პირისპირ დავაყენეთ. ერთი კი წამოიძახა — „ოლია საყვარელოო", მუხლები მოეკვეთა ვაჟკაცს, კინაღამ წაიქცა.

გაგვიჩნდა ახალი საზრუნავი. ოლიას და

ანდრეის ცალკე ქოხი დავუდგით. ახლაც არ ვიცი რატომ დავარქვით ქოხი, მიწის პირზე იყო, ისეთი ბლოკები შემოვუწყეთ გარშემო, ბომბი რომ დასცემოდა, ვერაფერს დააკლებდა. გარემოსაც შევუხამეთ, ერთი სიტყვით, რამდენადაც შეიძლებოდა, ოჯახურად მოეწყვნენ. რაც მთავარია, ოლიას მოსვლამ თვითეული ჩვენთაგანის გულში კვლავ ისეთი სითბო დაატრიალა, ჩვენს ოჯახებში რომ ვგრძნობდით. როგორი დაღლილებიც არ უნდა ვყოფილიყავით, ის რომ დასავით შეგვეგებებოდა, ყველა სიმწარე მაშინვე გვავიწყდებოდა; თუ საჭირო იყო, ნემსი და ძაფიც მომარჯვებული ჰქონდა... დავალებას მივიღებდი თუ არა, წესად გვქონდა, ქოხთან უნდა ჩაგვევლო, ჩვენი დობილისათვის უნდა დაგვეხედა, მისი ღიმილი უნდა გაგვეყოლოდა... ასევე ვიქცეოდით დაბრუნების დროსაც, თუმცა ვაი იმ დაბრუნებას, ხშირად ასიდან ოცი ძლივს ვბრუნდებოდით, მაგრამ მაინც იმედით, იმედით გვავსებდა ქოხი და ამიტომაც იმედის ქოხი შევარქვით.

სანამ ჩვენი შენაერთი თავდაცვაზე იყო გადასული, იმედის ქოხიც უცვლელად იდგა. გადავედით და ისიც ჩვენთან ერთად დაიძრა... და გვეგონა, თვითეული ჩვენთაგანი თავისი ოჯახის ზღურბლთან იბრძოდა.

ერთ-ერთი შეტევის დროს მძიმედ დამჭრეს... მერე ჰოსპიტალი... სამშობლოში დაბრუნება...

მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა, ოლიასი და ანდრეის შესახებ არაფერი ვიცი; თუ ცოცხლები გადარჩნენ, მწამს ბედნიერად იქნებიან, თუ ვერ გადარჩნენ, მჯერა მათი ოჯახის სხივი ყველა ჩვენთაგანის ოჯახში ღვივის, ისე როგორც 1942 წელს სტალინგრადის მისადგომებთან ყველა ჩვენთაგანის ოჯახის სხივი იმედის ქოხში ციმციმებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# გახსენება

1942 წლის ზამთარი იყო. შორაპნის რკინიგზის სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა. ვის არ ნახავდით აქ: ფრონტზე მიმავალ ახალგაზრდებს, ფრონტიდან დაბრუნებულ დაჭრილებს, მოწყალების დებს და შავმანდილიან დედაკაცებს, დამხვდურებსა და გამცილებლებს. ყველას ერთი დიდი და საერთო სევდა და რიხხვა დაუფლებოდა, ყველას ფიქრი ომს დასტრიალებდა თავს.

მატარებელი ჩამოდგა. ხალხი ვაგონებს მიაწყდა. გაისმა ხულის გამყინავი კივილი, დაჭრილი ჯარისკაცები ჩამოჰყავდათ. ცალკე ეშელონში ახალგაწვეულები სხდებოდნენ. ადამიანებივით კვნესოდნენ და ოხრავდნენ ორთქლმავლებიც.

ფრონტიდან ჩამოსულ დაჭრილ ჯარისკაცებს მგზავრები შემოხვეოდნენ და ათას რამეს ეკითხებოდნენ.

— შვილებო, გვითხარით რამე, გაგვაგებინეთ, რა უბედურებაა ჩვენს თავზე, რა ხდება ფრონტზე? — მიმართა მეომრებს ერთმა მოხუცმა.

— ჩვენ ბაბუა, კავკასიის ფრონტზე ვიყავით, მარშალ კლაისტის ტანკებს ვებრძოდით, გაგეგონებათ ალბათ. — არ დააყოვნა პასუხი სერჟანტმა.

— მერე, ბიძია, რა პირი უჩანს მაგ თქვენს ბრძოლას, თქვე კაიკაცებო, რაღა ზურგისკენ იკავებთ ამ ახალ ზღუდეებს, წეიწიეთ პატარა წინ! — შესჩივლა მეორე მოხუცმა.

— შენ, ეფრეიტორო, მაინც როგორ ფიქრობ, კლაისტის ტანკებს მოერევა შენი ცალთვალა შაშხანა! — შეეძრახა ჯარისკაცს ერთი რკინიგზელი. ვიღაცამ გაიცინა. მგზავრები გაჯავრდნენ: ასეთი უკბილო ხუმრობა შენთვის შეინახეო. ეფრეიტორმა კი გულდინჯად თქვა:

— მაგასაც ვნახავთ ვინ ვის მოერევა! ცოტაც დაიცადეთ!

— როგორ, ჩვენი ხალხის თავდადება პატარა ძალაა! კაპიტანმა ბუხაიძემ და მისმა მეომრებმა ხომ გააჩერეს კლაისტის ტანკები! ბუხაიძე, შუბითიძე, ბევრი სხვებიც, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იდგნენ და მტერი აქეთ არ გამოუშვეს. საძმო საფლავშიაც ერთად წვანან. სიმღერა მაინც არ გაგიგონიათ ბუხაიძეზე? — ახლა სერჟანტი შეეპასუხა რკინიგზელს.

კაპიტან ბუხაიძის ხსენებამ ხალხი გამოაცოცხლა. საუბარში მეც ჩავები:

— თქვენ ალბათ იცით, რომ „კაპიტანი ბუხაიძე“ პოეტ ირაკლი აბაშიძეს ეკუთვნის. ისიც ხომ თქვენთან იყო და ლექსიც იქვე, ფრონტზე დაწერა, წაიკითხავდით კიდეც, თქვენს ფრონტულ გაზეთში დაიბეჭდა.

ჯარისკაცები შეცბნენ. ერთი მათგანი მომიბრუნდა და მითხრა:

— რას ამბობთ, ბატონო! პოეტი რა შუაშია, ეგ ლექსი ერთმა ქართველმა ჯარისკაცმა დაწერა და ჰანგიც თვითონ შეურჩია. ამბობენ, ის ბიჭი აქაური იყოო, გვარი აღარ მახსოვს, ზოგი ერთს ამბობდა, ზოგი მეორეს, — და ცალხელა ჯარისკაცმა დაბალ ხმაზე წაუმღერა:

მე ქართველი ბუხაიძე
ბალყარეთის მთებში ვწევარ...

საუბარი გაცხოველდა. ყველას უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა.

— ნუ ჩხუბობთ, ხალხო! გაუგებარი არაფერი დარჩება, ეგეც გაირკვევა..

მგზავრები კვლავ ეცილებოდნენ ერთმანეთს, აშკარა იყო, რომ არც ერთი ფრონტელი „კაპიტან ბუხაიძეს“ არ დათმობდა. ვწუხდი, რომ

მათ უნებლიედ ვაწყენინე. ერთხანს კიდევ იქოთქოთეს და როდესაც ცოტა მიწყნარდნენ, ცალხელა ჯარისკაცი ჩემთან გადმოჯდა, მეზობლურად შემეკედლა და შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა:

— მეგობარო, ერთიორი სიტყვას კიდევ მოგახსენებთ და ჩვენი დავა ამით დავამთავროთ. თქვენ დანამდვილებით იცით ეგ ამბავი? იქნებ იმ პოეტმა, თქვენ რომ ამბობთ, გაიგონა ეგ სიმღერა და ჩაიწერა? ასეც ხომ ხდება ხოლმე? იქნებ კიდევ სულაც მისი იყოს, რას ვერჩით! — დამაჯერებლად დაამთავრა თავისი მოსაზრება ჯარისკაცმა.

ერთი რამ უდავო იყო: მგოსნის მიერ სექტემბერში დაწერილი ლექსი უკვე დეკემბერში ფრონტელების ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა!..

... ტაატით მიიზლაზნებოდა ყვირილის ხეობაში პატარა მატარებელი. აკვანივით ირწეოდნენ ნამცეცა ვაგონები. რიტმულად ციმციმებდნენ დაღვეღლფილი სანთლები. ღამეს თავისი გაეტანა და თვალმილულული მგზავრები თითქოს შორეთიდან ისმენდნენ გულდაკოდილი ვაჟკაცების ომახიან ღიღინს:

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

და მე ვფიქრობდი: მაინც მართლები არიან ის ფრონტელები, ასე დაბეჯითებით რომ გაიძახიან — ეგ ლექსი ჯარისკაცმა დაწერაო? განა პოეტი ახლა ჯარისკაცი არ არის? რა თქმა უნდა, არის... პოეტიც ახლა ხელჩართულ ბრძოლაშია ჩაბმული. მთელი ქვეყანა ომშია, და პოეტი რად იქნება განზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სერგო კლდიაშვილი**

# მრისხანე წლები

ორმოცდაორი წლის ზაფხული... ჰიტლერელები ცდილობენ გადმოლახონ კავკასიონის მთები და საქართველოში შემოიჭრან. აქედან კი გზა დაიდონ აზერბაიჯანსა და სომხეთისაკენ. მტერს წინ ეღობება და აქეთ არ უშვებს საბჭოთა არმია. საბჭოთა მეომრებს მხარში უდგას მთელი მოსახლეობა. ნერვიული დღეებია. მთებში გაჩაღებული ბრძოლის ხმა, ზარბაზნების ბათქი და ზოგჯერ ტყვიამფრქვევის კაკანი ყრუდ მოისმის კავკასიონის მოსაზღვრე სვანეთის, აფხაზეთის სოფლებში და მდინარე ალაზნის გაღმა-გამოღმა — ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებში. მტრის თვითმფრინავები ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე ჩვენი სოფლების და დაბა-ქალაქების თავზე.

იმ ხანებში თვითმფრინავები თბილისის ცაზეც გამოჩნდნენ. ქალაქის მოსახლეობა იმდენად შეეჩვია ამას, რომ უკვე ადვილად არჩევს ვისი მოტორი გუგუნებს — ჩვენი თუ მტრის. იმავე წუთებში მოქმედებას იწყებს ჩვენი საზენიტო არტილერია და მოისმის მტერს დადევნებული ჩვენი თვითმფრინავების გუგუნი. ყუმბარების ნატეხები ალაგ ქალაქის ქუჩებზე ცვივიან. ზევით ცაში სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებია, მაგრამ ქალაქის მოსახლეობას ამაზე უფრო აფორიაქებენ და ანერვიულებენ ბნელი ცის სივრცეში მოხეტიალე პროჟექტორები და სირენების გამკივანი ხმა... მტრის თვითმფრინავმა მხოლოდ ერთხელ შესძლო ყუმბარის ჩამოგდება თბილისში. ყუმბარა მდ. ვერეს ნაპირზე, ბაღჩაში დაეცა.

ამ ამბებზე უფრო გამაღიზიანებელი და დამტანჯველიც სხვა რამ იყო: დაღამდება თუ არა, სიბნელეში თითქოს შთანთქა ქალაქი. იცი, რომ ქალაქში ხარ, გარშემო კი არ ჩანს სახლი, ქუჩა. ყველაზე შემაწუხებელი კი ის არის, რაც სხვა დროსა და სხვა გარემოში ადამიანს ამშვიდებს და აჯანმრთელებს: სიჩუმე, სასაცარი სიჩუმე, დაძაბული და მარტოობის გრძნობის გამჩენი. ამ სიჩუმეში მხოლოდ შენს თავს ეკუთვნი და მარტო ხარ დარჩენილი შენს მწვავე ფიქრებთან და განცდებთან...

* * *

რუსთაველის სახელმწიფო თეატრს რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა წარვუდგინო სამამულო ომის თემაზე დაწერილი პიესა. იმ იმედით, რომ თბილისთან შედარებით სოფელში უფრო გულმშვიდად და ნაყოფიერად ვიმუშავებ, გადავწყვიტე ჩემს სოფელს — ზედასიმონეთს ვეწვიო.

იმ დღეებში მწერალთა ერთი ჯგუფი დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში მიემგზავრებოდა საგანგებო საღამოების ჩასატარებლად. ამ ჯგუფს, რომელშიაც შედიოდნენ გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, შალვა აფხაიძე, გიორგი ლეონიძე და ლეო ქიაჩელი, მეც უნდა გავყოლოდი. მენანებოდა მათგან დაშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო, თეატრის დავალება დროით უნდა შემესრულებინა.

კოლეგებს რომ დავემშვიდობე, შალვა დადიანმა თითქოს ხუმრობით მითხრა:

— ვხედავ, გული დაგწყდა. არ იდარდო, რამდენიმე დღეში შენთან ვიქნებით!

* * *

იმ იმედით მივაშურე სოფელს, რომ იქ შედარებით მშვიდობიანი დღეები იქნებოდა და გულდასმით ვიმუშავებდი. გამამხნევა იმ ამბავმაც, რომ ჩემი ძმა გიორგი გამომყვა. გოგი უმცროსი შვილია დავითისა, ეს ნაბოლარა, სიცოცხლით სავსე ხალისიანი ჭაბუკი ყველაზე საყვარელია ოჯახში. გარდა ამისა, მას

დიდი იმედით შევყურებთ ყველანი. გოგი ნიჭიერი ჩანს და, ასე გვწამს, რომ კარგი მომავალი აქვს. ახლა, როცა სოფელში მომყვება, მას თავისუფალი დღეები აქვს და თან მოაქვს საბოლოოდ დასამუშავებლად ერთი ისტორიული ნარკვევი. გოგი საქართველოს ისტორიის იმ დეტალებს ჩაკირკიტებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილის მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წლებს ეხება. მას იმედი აქვს, რომ ორ-სამ წელიწადში დაამთავრებს და ამ არც თუ ვრცელ, მაგრამ საგულისხმო ნაშრომს წიგნად გამოსცემს კიდევაც... მრავალი სხვა იმედი ჰქონდა კიდევ, მაგრამ... მაგრამ რამ შეუშალა ხელი, ამაზე სულ ბოლოს...

ბუნების შუაგულში ყოფნა, თავისუფალ საათებში გოგისთან ერთად სოფლის გზებზე გასეირნება და საყვარელ მეზობლებთან საუბარი, — ეს ხომ დიდი წყალობაა ამ დროში!

ამ იმედით მივაშურე სოფელს. მაგრამ ავედი იქ თუ არა, უმალვე ვიგრძენი და დავინახე კიდევაც, რომ აღარც სოფლად იყო სიმშვიდე... სოფელი დადუმებულა. აღარ ისმის ახალგაზრდათა ხმა. ბავშვებიც კი რაღაც გულნათხრობილი მეჩვენენ. ბევრი ოჯახი სამგლოვიარო შავებით შემოსილა. ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭები და გოგონებიც მოწიფულ მამაკაცთა საქმეებს მოჰკიდებიან. უფრო პატარებსაც კი, რვა-ათი წლის ბავშვებს თავისი უმანწვილობა დაუკარგავთ. მათ სახეს ნაღველიც შეპარვია... თითქმის არ მოიძებნება ოჯახი, საიდანაც ორი და მეტი მამაკაცი არ იყოს ჯარში გაწვეული და ახლა ფრონტზე არ იბრძოდეს. ხშირად, ძალიან ხშირად ფოსტალიონს მოაქვს ცნობა ომში წასულის დაღუპვის შესახებ. წინათ რომ სიხარულით ხვდებოდნენ გაზეთების და ნათესავთაგან ბარათის მომტანს ახლა, როცა ორღობეებში დაინახავენ, შიშით გააყოლებენ თვალს, ხად შევა, ვის ეზოში... ჩვენი სოფლის ფოსტალიონი, წინათ ეს მხიარული და სასურველი კაცი, ახლა სატანის მოციქულად ქცეულა...

არა, აღარ არის სოფელში სიმშვიდე... ჩემმა კეთილმა ხნიერმა მეზობლებმა ისიც მითხრეს, რომ მტრის თვითმფრინავებს ხშირად ვხედავდით სოფლის თავზეო.

მიამბობდნენ ამას ისე აუღელვებლად, თითქმის მშვიდად, რომ შეიძლებოდა ვინმეს ეჭვიც შეპარვოდა, იქნებ მოეჩვენათო. მაგრამ მათი სიტყვების სიმართლეში იმავე დღეს დავრწმუნდი. საღამო მოახლოებული იყო, როცა სიმონეთის ციდან სროლის ხმა მოისმა. ტყვიამფრქვევი კაკანებდა. მტერს ჩვენი თვითმფრინავი დადევნებოდა. ფაშისტი მანევრირებას შეუდგა. ხან სიმაღლეს, ხან მიმართულებას იცვლიდა. ერთხელ კი დიდი სისწრაფით დაეშვა მიწისკენ. სოფლელებმა, ვინც ამას შეჰყურებდა, ერთხმად შესძახეს, დარწმუნებულებმა, რომ გერმანელთა თვითმფრინავი მიწაზე დაენარცხებოდა. ესეც მხოლოდ მანევრირება გამოდგა, — დიდი იყო რისკი, მაგრამ მტერმა მაინც შეძლო თავისდაღწევა, გამვრა უნაგირა მთისა და წინწკალას შუა და ჩვენს თვალს მეტი აღარ დაუნახავს. რა მოხდა შემდეგ, ეს არ გაგვიგია.

ესეც ბავშვობიდან ჩემთვის ნაცნობი სიმონეთის მშვიდი ცა, ესეც ნანატრი სოფლის სიმშვიდე!

* * *

მეორე დილიდან ჩემს სამუშაოს შევუდექი. არც თუ კმაყოფილი ვიყავი სოფელში ჩამოსვლით. მგონი ისევ ქალაქში დარჩენა სჯობდა. რატომღაც აქ უფრო მწვავედ განვიცდიდი ყველაფერს. ნუ გაიღიმებთ და, წინათ რომ მსიამოვნებდა და დიდხანს ვაყურადებდი ხოლმე ღამით, სოფლის სიჩუმეში ჰრიჰინობელას საოცრად ნაზ ძილისპირულს, ახლა ეს ხმა მხოლოდ კვნესად მესმოდა და სევდას მგვრიდა. ნეტავი გაჩუმდებოდნენ, ნეტავი აღარ გამაგონა!

რამდენიმე დღის შემდეგ მაინც იძულებული გავხდი ერთი დღით გადამედვა პირსაზე მუშაობა: დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში ჩატარებული საღამოების შემდეგ თბილისისაკენ მიმავალმა მწერლებმა სიმონეთში შემოიარეს...

ყველანი ისინი წინათაც ნამყოფი იყვნენ სიმონეთში. მაშინ არ შევშინებულვარ, ოღონდ ახლა... გამახარა მათ მოსვლამ, მაგრამ რა დავმალო, ჩემი მასპინძლობა, ამ ჟერზე, ვერ იყო მათთვის საკადრისი...

მეორე დღეს თბილისისაკენ გზის გაგრძელებას აპირებდნენ, მაგრამ მოულოდნელად ჩხარში, მაშინდელ რაიონულ ცენტრში, წასვლა მოგვიხდა... საკვირველი იყო, ასე სწრაფად საიდან და როგორ გაეგოთ სიმონეთში მწერლების ჩამოსვლა! რაიკომის მდივანმა მანქანა გამოგზავნა და ყველანი ჩხარში მიგვიპატიჟა ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად.

ყოველთვის მემახსოვრება ჩხარის პატარა კლუბში ჩატარებული ის საღამო! საღამო დიდად საინტერესო იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ მონაწილეობდნენ ქართული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლები — გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, შალვა დადიანი, — არამედ კიდევ უფრო იმით, რომ თვალსაჩინო ქართველმა მწერლებმა თავისი გულისთქმა და თავისი ფიქრები ომზე მკაფიოდ და დიდი გულწრფელობით გაუზიარეს თავის მსმენელებს. ისინი ჰყვებოდნენ ჩვენი არმიის გმირულ ბრძოლებზე. ხალხით სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა მათ და ხშირად გამოთქვამდა თავის აღტაცებას გავგონილით.

ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე ამ მწერლების საჯარო გამოსვლისა, ისინი ყოველთვის იზიდავდნენ ხალხის გულს, მაგრამ იმ საღამოს მაინც უფრო ამაღლებული და კიდევ უფრო ღრმად გულში ჩამწვდომი მეჩვენებოდა მათი სიტყვები.

* * *

ცხრაასორმოცდაოთხი წელია. აგერ ორი დღე-ღამეა უდაბნოდქცეულ სტეპზე მიჩოჩავს მატარებელი სტალინგრადისაკენ. გზა დაუსრულებლად გრძელი ჩანს იმიტომაც, რომ ამ თვალუწვდენ სივრცეზე პეიზაჟი ოდნავადაც არ იცვლება... ძალიან დამღლელია ბუნების ეს ერთფეროვნება.

მაგრამ არა, ზოგჯერ მაინც იგრძნობ ცვლილებას... ამ ილუზიას ქმნიან ლიანდაგის ნაპირებზე დანახული ნანგრევები და უამბარებით დალეწილი ძელ-მიწურები. მალე ამასაც ეჩვევა თვალი. და ამის შემდეგ ეს ნანგრევები, ეს სიკვდილის პეიზაჟი მხოლოდ უფრო ამძაფრებს თქვენს მრისხანებას და, ამასთანავე, მწუხარების გრძნობას...

არა, გადამეტებად ნურავის მოეჩვენება: სადმე სტეპში, უკაცრიელ ადგილზე გაჩერდება ხოლმე მატარებელი, და თუ გადმოსდგამთ ვაგონიდან თუნდაც რამდენიმე ნაბიჯს, იმდენ „სუვენირს" დაინახავთ, რომ გული გეკუმშებათ. ეს არის შეჭყლეტილი ჩაჩქანები და ცარიელი ვაზნები. განსაკუთრებით ბევრი ყრია ვაზნები. და ამათგან თუნდაც ასმა ვაზნამ ორი ან ერთი ჯარისკაცი მაინც იმსხვერპლა, რამდენი ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს მარტო სტეპის ამ მონაკვეთზედაც.

უბედურება ტრიალებდა არა მხოლოდ მიწაზე, საბედისწერო იყო ცა, საჰაერო სივრცე. რაც უფრო უახლოვდები სტალინგრადს, უფრო ხშირად ხვდები დამსხვრეულ თვითმფრინავების ჩონჩხს. სტალინგრადის გარეუბნებში კი რამდენიმე გორაკია, ნამდვილი გორაკი, ამართულა ამგვარ ჩონჩხებით.

შემზარავია ყოველივე ეს, მაგრამ შეხვალთ თუ არა ქალაქში, გავიწყდებათ მანამდე ნანახი. ეს გმირი ქალაქი, ჩონჩხებად ამართული ეს მრავალსართულიანი შენობები დაუწერელი, ცოცხლად მეტყველი მატიანეა ფაშისტური არმიის ბარბაროსობისა და საბჭოთა მებრძოლების გმირობისა.

დავდივარ ქალაქში და არსად დამინახავს ხანშიშესული და ბავშვი. ეს ქუჩები ახლა მხოლოდ რუხფარაჯიანებს ეკუთვნის. ასე მეჩვენება, რომ მათი სახეც რუხი ფერისაა. მათ ისეთი რამ აქვთ ნანახი და განცდილი, რაც მომავალში აღარასოდეს არ უნდა განიცადოს ადამიანმა, კაცობრიობამ.

მივაბიჯებ ქუჩებში, ასე წავაწყდი უნივერმაღის შენობას, რომლის ქვემო სართულში, უფრო სწორად, სარდაფში, ჰიტლერის ჯარის სარდალი ფელდმარშალი პაულიუსი და მისი შტაბი იმყოფებოდა. ორი დიდი დარბაზის კედლები ჩამოტყაულია, ობობასავით ჰკიდია ტელეფონების მავთულები, იატაკზე დაყრილია რამდენიმე დამსხვრეული რადიო-მიმღები და რაღაც აპარატები. კედლებს აქა-იქ ნატყვიარი ამჩნევია. აქ იყო, რომ ჩვენმა მებრძოლებმა ტყვედ იგდეს ფაშისტების ფელდმარშალი პაულიუსი.

გზა რომ განვაგრძე, ერთ პატარა მოედანზე შევჩერდი უნებურად. არაფრით შესამჩნევი არ იყო და მაინც ვერ ავუარე გვერდი. მოედნის შუაგულში უამბარით დალეწილი აუზი შევნიშნე. შადრევანის კვალიც ჩანდა. შადრევანი დანგრეულია, დადუმებული, დიდიხნის მშრალია. გაპარტახების, სიკვდილის კვალი ამჩნევია აქაურობას, მაგრამ ბოლოს მაინც სიცოცხლისაკენ შემობრუნდა არა მხოლოდ აუზი, მთელი მოედანი: აუზში დაყრილ ქვის ნატეხებს შორის ხარობდა მწვანე, სუფთა ბალახი. სიცოცხლე აქ თავის უფლებებს მოითხოვდა. იყო ამაში რაღაც მანიშნებელი მომავლისა, რამაც თითქოს უკან გადასწია გამოვლილი ჯოჯოხეთი.

* * *

სტალინგრადიდან მოსკოვს გავემგზავრეთ — იქ ლიტერატურული საღამოები მოვაწყეთ.

თბილისში დაბრუნების დღეც დადგა. ვგრძნობ, მომენატრენ ჩემიანები. იმიტომაც მიმეჩქარება, რომ ბევრი ჩემი ახლობელია ფრონტზე და ამბავი მინდა გავიგო. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჩემი ძმის გოგის ამბავი. ის ხშირად გვიგზავნის წერილებს და ამით გვამხნევებს ყველას.

შინ ხალისიანად შემეგებნენ. მაგრამ ხალისი ხანგრძლივი არ იყო... როგორც კი გოგის ამბავი მოვიკითხე, სიჩუმე ჩამოვარდა. ამ მოულოდნელმა სიჩუმემ ყველაფერი მითხრა.

ერთი წუთი და რაღაც ფურცელი გადმომცეს. ეს არის ფრონტიდან, ჯარის ნაწილის უფროსისაგან გამოგზავნილი, მანქანაზე დაბეჭდილი უწყება: „ლეიტენანტი გიორგი დავითის ძე კლდიაშვილი, რომელიც მამაცურად იბრძოდა სამშობლოსათვის, მოკლულ იქნა ბრძოლაში 1944 წლის 20 აპრილს. დამარხულია სოფელ კნიანედვურში (კარპატების მთებში)".

ჩვენ სოფელში, ზედა-სიმონეთში, დავით კლდიაშვილის სახელობის მუზეუმის ეზოში გოგის ოჯახის წევრებმა და მახლობლებმაც დავრგეთ ხე, რომელსაც მისი სახელი დავარქვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაჭავარიანი

# ცხრა მაისი

არ ვიცი, ვისთვის იყო მოულოდნელი 1941-1945 წლების ომი!

ვისაც წაეკითხა ჰიტლერის „მაინ კამპფი“, ა. როზენბერგის „მე-20 საუკუნის მითოსი“, გებელსის წერილები „ანგრიფში“, „ფოლკიშერ ბეობახტერში“, ვინც იცნობდა პრუსიელი იუნკრების ამბიციებს, გერმანიის ფინანსიური კაპიტალის პრეტენზიებს, მას შეგნებული ჰქონდა ომის გარდუვალობა.

კარგად მახსოვს 1929 წლის მიუნხენი, „ბრაუნჰაუზის“ უზარმაზარი დარბაზი, რომელიც მრავალათასიან აუდიტორიას იტევდა, ჰიტლერის, მართლაც რომ, ისტერიკული გამოსვლები.

ფლეგმატიკური ფსიქიკური წყობის გერმანელი ობივატელი, გაოგნებული და გამოყეყეჩებული და თვალებდაჭყეტილი უსმენდა თავის „ფიურერს“, რომელიც ბავარიელ მელუდეებს მსოფლიოზე ბატონობისაკენ მოუწოდებდა.

ახლაც ყურში მიდგას მისი შეძახილი — „ჩემთან ერთად, უკუნისიდან უკუნისამდე გერმანელები იბატონებენ მსოფლიოზე“.

რაინი მიუნხენიდან შორს ხომ არ არის. ჰიტლერი პროვინციელი მსახიობის ტრაგიკულ ნიღაბს აიფარებდა, ხელებს ზევით ალაპყრობდა რაღაცნაირი ჩურჩულით და თითქოს აუდიტორიას დიდ საიდუმლოებას ანდობსო, ბუტბუტებდა: „რა უნდათ ფრანგებს რაინზე, რატომ ვუთმობთ რუსებს პრუსიას“.

ეს დემაგოგია მიზანს აღწევდა, მრავალათასიანი აუდიტორია ფეხზე წამოხტებოდა და დაიკივლებდა — „ჰაილ ჰიტლერ“ და სხდომის დასასრულს მასთან ერთად მღეროდა — „დოიჩლანდ, დოიჩლანდ, იუბერ ალეს“ და ჰორსტ ვესელის ფაშისტურ ჰიმნს.

ჰიტლერი, ფაშიზმი — მებრძოლი, რეაქციული შოვინიზმის ნაშიერიც იყო და მქადაგებელიც. ამ შხამით მოწამლა ჰიტლერმა მთელი თაობა, აქცია იგი გერმანული იმპერიალიზმის მსახურად და ყურმოჭრილ მონად. ჩაუნერგა მას რასიზმისა და კაცთმოძულეობის იდეები.

იცოდა, თუ არა ყველაფერი ეს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლიტბიურომ, სტალინმა? კარგად იცოდნენ. ამ მხრივ მათ სრული, ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდათ. ვემზადებით თუ არა ჩვენ, საბჭოთა ადამიანები თავდაცვითი ომისათვის? რა თქმა უნდა, ვემზადებოდით. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ჩვენ ომს კი არ მოვიგებდით, წავაგებდით.

ჯარში ომის დაწყების მესამე დღეს წავედი. ისეთ ქვეგანაყოფში მოვხვდი, სადაც საკმაოდ მოიპოვებოდა უცხოური ჟურნალ-გაზეთები. კარგად მახსოვს ერთი კანადური გაზეთის დიდი ინფორმაცია, რუბრიკით, სხვა ცნობებით. იქ ზუსტად იყო ნაჩვენები გერმანული ჯარების დისლოკაცია აღმოსავლეთის ფრონტზე და თითქმის ზუსტად იყო მინიშნებული ომის დაწყების თარიღი — 20 ივნისი.

ეს გაზეთი ტორონტოში 1941 წლის 12 მარტს გამოვიდა. სხვა ცნობებიც რომ არ ყოფილიყო, ეს ინფორმაციაც ყურადსაღები იყო. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ეს გაზეთი ჩვენმა საელჩომ მოსკოვში არ გამოგზავნა.

ომი რომ გარდუვალი იყო, ეს ყველას კარგად ესმოდა. პარტიის და სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ისიც კარგად ესმოდათ, თუ როგორ მტერთან გვქონდა საქმე. ჰიტლერს ხელთეპყრო 820 მილიონიანი ევროპა, მისი აურაცხელი ეკონომიური, მატერიალური პოტენციალით, რესურსებით.

ჩვენ კი მაშინ მარტოხელანი ვიყავით.

პარტიას, მის ხელმძღვანელობას კარგად

ესმოდა ომში მორალური ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ თავს დავეხსნენ, ჩვენ სამშობლოს ვიცავდით. ეს იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის ფსიქოლოგიური მორალური ფაქტორი, მომენტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენ გამარჯვებაში.

ომში ბევრი რამ ვნახე. ქართული პრესის ისტორიაში პირველი საფრონტო ქართული გაზეთის რედაქტორობაც დამევალა. ქერჩის ტრაგედიაც ვნახე, ცუდი ორგანიზებულობის შედეგიც და გამარჯვებისათვის აუცილებელი მაღალი, შეგნებული რკინისებური დისციპლინის მნიშვნელობაც. აქა-იქ ლაჩრებიც შემხვდნენ, მასობრივი გმირობაც, თავდადებაც ვიხილე.

ჩემთვის დაუვიწყარია ომში გამარჯვების დღე, 1945 წლის 9 მაისი.

კარგად მახსოვს თათბირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თათბირი დილის ოთხ საათზე დაიწყო. მაშინ საქართველოს კინომრეწველობას ვხელმძღვანელობდი, თათბირზე მეც დამიძახეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა გვითხრა, დღეს დემონსტრაცია უნდა მოეწყოს, ჩვენს განკარგულებაში სამიოდე საათი რჩება, მოსალოდნელია ჭარბი ემოციები, გრძნობების აფეთქება, ხალხი ოთხი წელია ელის ამ გამარჯვების დღეს. უკანასკნელი დღეების ცნობები ომის დასასრულის მოახლოებაზე მეტყველებენ და ფაშიზმის კაპიტულაცია გარდუვალია, საჭიროა ამ შეგრძნების, სიხარულის გამოხატვას ორგანიზებული სახე მიეცესო.

საზრუნავი ის კი არ იყო, თუ როგორ გამოგვეყვანა ხალხი დემონსტრაციაზე, სულ სხვა რამ გვაწუხებდა, როგორ მოგვეთავსებინა გარკვეულ საზღვრებში თბილისელთა ენთუზიაზმი, სიხარული, აღტაცება.

გათენდა. თათბირი დამთავრდა, ყველანი, ვინც იქ ვიყავით, სამუშაო ადგილებზე გავეშურეთ. გამოჩნდა თუ არა მაისის მზის პირველი სხივები, ქუჩები, ეზოები, აივნები, ღია ფანჯრები ხალხით აივსო. აქა-იქ ისმოდა მრავალჟამიერი, შამპანური ბოთლების ბათქი. ასე იყო და, ამავე დროს, ქალაქში სრული წესრიგი სუფევდა. მოქალაქეს უწესრიგობით არც მილიცია შეუწუხებია, არც ჯარი. ჯარისკაცის გამოჩენა ქუჩაში „საშიში" იყო. მას მივარდებოდნენ ახალგაზრდები, ხანდაზმულები, გოგონები, ბიჭები, ხელში აიტაცებდნენ, ჰაერში ააფრენდნენ, ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ.

ნაძალადევში, ისნის უბანში, სხვაგანაც დოლის ზურნის ხმა ისმოდა, ქუჩებში, ტროტუარებზე ქართულს ცეკვავდნენ, ვილაც ბუქნაობდა.

ცეკვავდნენ, მღეროდნენ, სევდისა და სიხარულის ცრემლს არავინ მალავდა, გრძნობათა აშკარა გამომჟღავნებას არავინ ერიდებოდა. ბევრმა უკვე იცოდა, რომ შინ აღარ დაბრუნდებოდა მათთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, ისიც იცოდნენ, რომ ვეღარ იპოვნიდნენ მათ საფლავსაც, რომ ადათისა და წესისაგან ნაკარნახევი პატივი ეცათ დაღუპულთათვის, რომელთაც სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინეს, რომ სამშობლოს ედღეგრძელა.

ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვიდა დედაქალაქის ქუჩებში. დემონსტრაციები შუაღამემდე გრძელდებოდა. მერე იყო ჩვენებური ლაღი, აზრიანი, მხიარული ქეიფი.

შუაღამე გადასული იყო, ცენტრალურ კომიტეტში რომ კვლავ გვიხმეს. შეგვატყობინეს დედაქალაქში, რესპუბლიკის ყველა კუთხეში აბსოლუტური წესრიგი, მხიარულება და აღტკინება სუფევსო.

ის დღე-ღამე არასოდეს დამავიწყდება. ადამიანთა მეხსიერებაში დაუვიწყარი იქნება ის საკვირველი, გასაოცარი გმირული ოთხი წელი, როდესაც საბჭოთა ადამიანმა კაცობრიობა იხსნა ბარბაროსების თავდასხმისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# პოეტები და ჯარისკაცები

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ ბოლო მოუღო ჰიტლერელთა ურდოებს და გამარჯვების დროშაააფრიალა რაიხსტაგზე. ამ დიდი გამარჯვების მოსაპოვებლად, საბჭოთა ხალხმა, ომის პირველი დღიდანვე დარაზმა მთელი თავისი მატერიალური და სულიერი შესაძლებლობანი. ხალხის სულიერ იარაღთა შორის უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურამ; მთელი იმ წლების მანძილზე უსაზღვროდ გაიზარდა მხატვრული სიტყვის როლი და მნიშვნელობა. მწერლის ხმას ყურს უგდებდნენ მილიონები, და ყოველ დღეს, ქვემეხების გრიალით, ზანზარით, ყუმბარების აფეთქებით, სირენების წივილით გარემოცულ მსოფლიოში მკაფიოდ ისმოდა ხმა პოეტისა, ისმოდა როგორც მოწოდება სამართლიანობისა, ადამიანობის და სიკეთის დასაცავად.

ჰიტლერის არმიებს სიკვდილი მიჰქონდათ ყველგან, სადაც ისინი ფეხს შესდგამდნენ. „ჩვენ მუხლებზე დავაჩოქებთ მთელ კაცობრიობას“, ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ისინი. ვერ დააჩოქეს, ვერ შესძლეს ეს, ვერ შეაბრუნეს უკუღმა ისტორიის ჩარხი იმიტომ, რომ არსებობს ქვეყნად საბჭოთა არმია; ჩვენი მწერლები იმ დიდი განსაცდელის დღეებში ამ არმიის ერთგული ჯარისკაცები იყვნენ. არ იყო არცერთი ქართველი საბჭოთა მწერალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ვის გულზეც იმ ომის ტკივილებს არ გადაევლოს, ვისაც ძალღონე დაეზოგოს, ფრონტზე თუ ზურგში გამარჯვებისათვის არ ეზრუნოს; ეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიის მთელი ეპოქაა, აღსავსე ღვაწლით, თავდადებით და თავგანწირვის მაგალითებით. და გარდასულთა წმინდა ხსოვნა გვავალდებულებს ქართული მწერლობის ამ ღვაწლისა და ამაგის აღნუსხვა დავიწყოთ იმათი სახელებით, ვინც შინ ვეღარ მობრუნდა, ვინც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დაცვის საქმეს.

ბრძოლის ველზე დაცემული ქართველი მწერლების სახელებს ამ წერილში ჩამოვთვლი იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი წარწერილია მემორიალურ დაფაზე, მწერალთა სახლის კედელზე:

მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი, სანდრო ეულენტი, შალვა სოსლანი, ალექსანდრე სულავა, ვლადიმერ უბილავა, ვაჟიკა ფხოველი, იაკობ ჩხაიძე, ნიკოლოზ კოპალიანი და მე დავუმატებდი ასლან ყოჩიაშვილის სახელს, რომელიც შემთხვევით არის გამორჩენილი ამ დაფაზე.

მწარეა ეს გახსენება, მძიმე დარდის აშლელი, მაგრამ ჩვენ გვანუგეშებს ის, რომ სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამ სახელებით; და ვამაყობთ კიდეც. ამიტომაც არის გამოკრული ეს დაფა მწერალთა სახლში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე; ეს ჩვენი სისხლია, ჩვენ გავიღეთ იგი სამშობლოს გადასარჩენად, თავისუფლების დასაცავად.

ეს ახალგაზრდა ქართველი პოეტები, იმავე დროს, მამაცი ჯარისკაცები იყვნენ. მათ ვაჟკაცურად იბრძოლეს, საშინელ განსაცდელში მათ შეინარჩუნეს სულის ის დიდი სინათლე და კეთილშობილება, რაც ადამიანის ცხოვრებას აზრს აძლევს და რის დასაცავადაც ისინი ფრონტზე წავიდნენ.

ამის შესანიშნავი დადასტურება — მათი ლექსებია, რომლებიც დარჩნენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დაუვიწყარ ფურცლებად, ვინაიდან ისინი გამოხატავენ ქართველი ხალხის გაუტეხელ ვაჟკაცობასაც და სულიერ სილამაზესაც. ხოლო ეს გაუტეხელობა, ეს რწმენა მთავარი იყო, ყველაზე მთავა-

რი იარაღი, ეს საწინდარი იყო მომავალი გამარჯვებისა.

რა არის ჭირსა შიგან გამაგრება და განსაცდელში გაუტეხელობა მათ, ჯერ ისევ ბავშვებს ასწავლა დედა-ენამ და რუსთაველმა, გურამიშვილმა და ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა, მთელმა ახალმა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ; ეს მათ ასწავლა მთელი ჩვენი დროის იდეურმა და მორალურმა ატმოსფერომ, პარტიამ და კომკავშირმა; მათ აღზარდეს ისინი ვაჟკაცებად და უშიშარ მეომრებად; და ეს მთელი ძალით გამოვლინდა მათს ბრძოლაშიც და მათს ლექსებშიც, რომლებისათვის ორგანულად უცხოა ის შეკრთომა, ის სასოწარკვეთილება, ის გაოგნება, რომელიც ესოდენ მძაფრად გამოჩნდა დასავლეთის ლიტერატურაში.

ამის საილუსტრაციოდ აქ ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო; თუმცა წინასწარვე უნდა განვაცხადო, რომ სრულიადაც არ მინდა თუნდაც ოდნავი ჩრდილი მივაყენო ახალგაზრდა ინგლისელი პოეტის სახელს, რომელიც 1943 წელს, ოცდაერთი წლის ასაკში დაიღუპა ფრონტზე, ტუნისის ბრძოლების დროს. კრიტიკოსები მას თვლიდნენ თავის თანამედროვეთა შორის ყველაზე უფრო დიდი მომავლის მქონე შემოქმედად. ეს იყო სიდნი კიიზი. მას აქვს ლექსი „ომის პოეტი". აი მისი სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

მე ის კაცი ვარ, ვინც ეძებდა ქვეყნად
მშვიდობას,
მაგრამ მარტო თავისი ამოთუთქული
თვალები დაინახა,
მე ის კაცი ვარ,
ვისაც უნდოდა შესწიდებოდა სიტყვებს,
მაგრამ აღარ შეეძლო, ხელთ თოფი ეჭირა.
მე ის მშენებელი ვარ,
რომლის მყარი კედლები
მეწყერ მიწაზეა აგებული.
როცა მე საზიზღარ გუნებაზე ვარ,
ან ვგიჟდები,
ნუ დამცინებთ, ნურც გამიყრით ბორკილებს,
როცა მე გავიწევი,
რომ ქარს მივწვდე,
ძირს ნუ ჩამომაგდებთ,
ვინაიდან მე ვარ დამწვარი წიგნი
და უდაბური, გაპარტახებული ქალაქი.

ეს ლექსი დაწერილია სიკვდილის წინ.

მაგრამ აი მეორე ლექსი, ასევე ფრონტზე, სიკვდილის წინ დაწერილი ქართველი პოეტის ხელით:

შენ არ მოდიხარ, დიდება მიცდის,
ვითვლი საათებს, ყვითელ უწყებებს,
ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა
მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ!

გაბზარულ სხივებს — ამართულ ხელებს,
საღამოს, დღეში — თრთოლვას, ძიებას,
ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს
ჩემი ლექსები, ვით პატიება!

მეგობართ ჩრდილებს, მეგობართ წუხებას,
ტრფობას დამალვის, არ გამოჩენის,
როგორც სიკვდილშიც არ დავიწყება,
არ დაივიწყებს ლექსები ჩემი.

ეს — მირზა გელოვანია; პოეტს ამ ნაწარმოებისათვის სათაურად დაურქმევია „ჩემი ლექსები". ვერავინ იტყვის, რომ აქ არ იყოს ის ტრაგიზმი, ურომლისოდაც ომი წარმოუდგენელია, მაგრამ ჭაბუკმა პოეტმა ისიც იცის, რომ არსებობს ქვეყნად სიკვდილზე ძლიერი რამ — ეს არის სამშობლო, ეს არის სიყვარული, ეს არის ჩემი ლექსები, თრთოლვა ჩემი სულისა და ტრფიალი. წავლენ დღენი, ამბობს პოეტი მეორე ლექსში, ჩვენი საფლავების ეპიტაფიებს ხავსი დაფარავს, მაგრამ ჩემი თვალები ჩარჩებიან ჩემს ლექსებში და მათი დანახვისას უცებ შეუკრთება ვიღაცას გული, უცებ აუჩქარდება მაჯა. მესამე ლექსში ივი ამბობს:

მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული მელოდეს.

ყველამ იცის — ბრძოლის ველი არ არის ის ადგილი, სადაც შეიძლება დადინჯებით ჩაუჯდე და გულმოდგინედ იმუშაო ლექსზე, სტრიქონის გამართვაზე, სიტყვის დახვეწაზე. ლექსს მაინც განმარტოება უყვარს, სიჩუმე, მყუდროება, დიდი ფიქრი და ჭიდილი სიტყვასთან; არცერთი ეს პირობა არა ჰქონდა მირზა გელოვანს, მაგრამ ეს არ ეტყობა მის არცერთ ლექსს. იმიტომ, რომ ბუნებრივ, ხალას ტალანტს აქ მაღალი ლიტერატურული ოსტატობა ემატება. როგორი ფართოდ დამტევი გული უნდა გქონდეს, წერო სიყვარულზე, როცა არ იცი ცოცხალი იქნები თუ არა ერთი საათის შემდეგ. მირზა წერს, ვინაიდან იცის, რომ ტყვია იქნებ მოერიოს მის სხეულს, მაგრამ სულს ვერა, ამიტომ წერს ისე ლაღად, თითქოს ირგვლივ ჯოჯოხეთის ცეცხლი და გეენია არ ბობოქრობდეს: მას არ შეუძლია არ წეროს, არ შეუძლია არ გაიხსენოს მზე, დაფენილი საქართველოს ტყეებში დაჭრილ ყვითელ აზოებზე, არ შეუძლიან არ გაიხსენოს ნუშები,

კრწანისში რომ ჰყვავიან, არ შეუძლიან არ გაიხსენოს მოლაღურები თიანეთისაკენ მიმავალ გზაზე, საბადურის ტყეში. მირზა გელოვანი შთაგონებული შემოქმედია, და როცა მის ნაწარმოებთა კრებულს კითხულობთ, დაახლოებით მაინც შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, თუ როგორი იქნებოდა მისი არდაწერილი ლექსები, მისი მომავალი კრებულები, რომლებიც დაუწერლად ჩაიწვა ომის ხანძარში. მირზა უაღრესად ეროვნული პოეტია. მისი „ანნი", „თორღვა", „ღიმილი", „ვარძიის მშენებლის ბალადა" მოწმობენ, რომ მას ჰქონდა ნამდვილი პოეტური ნათელხილვა ქართული სულისა, მისთვის მინდიაც და თორღვაც ლეგენდები კი არ იყო, ისტორია კი არ იყო, თანამედროვენი იყვნენ. თანასოფლელები, მეზობლები, შინაურები; ამიტომ არიან ისინი ესოდენ ბუნებრივნი და უშუალონი; საბადურიც, იორიც ხომ კაცებივით მთიელები არიან და როგორც ადამიანებს, ისე ელაპარაკება მათ პოეტი. ეს მირზასათვის წიგნიდან წამოსული მოდა კი არ იყო, არამედ გასაუბრება საყვარელ და ახლობელ ნაცნობებთან, მათთან, ვისთანაც დაბადებულა და გაზრდილა. ამიტომ ეუბნება იგი იორს:

როგორ კარგი ხარ, როგორ იცვლები
მოდი, მომეცი ძმური ხელები,
კაცი მგონიხარ, გულს გეფიცები
და ასე მიტომ გემეტყველები.

მირზას ტოლი და თანამოკალმე იყო გიორგი ნაფეტვარიძე. ეს ფრიად თავისებური ტალანტი, კარგი მომავლის მქონე პოეტი და პროზაიკოსი. ამას, პირველ ყოვლისა, მისი ლექსები ადასტურებენ, კერძოდ, ვაჟკაცური ხმიანობით აღსავსე „დალაი", „ტივი", ბალადები „წვიმა", „დაბრუნება", „მეჩონგურის სიკვდილი"; მეტად თავისებური მანერა თხრობისა იგრძნობა მის პროზაშიც — აქ მინდა დავასახელო მისი მოთხრობები „ჩემი ძმა", „პირველი დღეები", „მედალიონი" — ბოლო ორ მოთხრობას დაუმთავრებელიაო, აწერია, მის წიგნსაც „დაუმთავრებელი ბალადა" ჰქვია და ეს როგორღაც გამოხატავს მარტო ნაფეტვარიძის კი არა, მთელი ამ თაობის ბედს.

და მაინც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ მწერალს მდიდარი სულიერი სამყარო აქვს. გარდა ზემოჩამოთვლილი ლექსებისა და მოთხრობებისა, ამას ადასტურებენ მისი დღიურებიც, თუმცა ავტორი ამ დღიურებს გამოსაქვეყნებლად კი არა, მარტო თავისთვის წერდა, მაინც ეს მეტად საგულისხმო და საინტერესო ადამიანური დოკუმენტებია — მათში ჩანს ლამაზი სულის ადამიანი; აქ იშვიათი ბუნებრიობით არის შერწყმული ერთი მხრით საოცრად ცოცხალი, ხალისიანი იუმორი და მეორე მხრით — უნაზესი ლირიზმი; მისი იუმორი ფრიად თავისებურია — კი არ დასცინის ვისმეს, ეფერება, ესიყვარულება; მის დღიურში ადამიანები — შინდარჩენილი ახლობლები თუ ფრონტელი თანამებრძოლები. რაღაც თითოოროლა შტრიხით მოხაზულნი, პლასტიკურად, ცოცხლად წარმოსდგებიან მკითხველის თვალწინ.

ასე, მაგალითად, დაუვიწყარია აჭარელი ოსმანა ცინცაძე, რომელიც სიმულიანტის ნაცვლად სპეკულანტს ამბობს, ჯარისკაცი დრობშიჩევი, რომელსაც დღიურის ავტორი უხსნის, თუ ვინ იყო უნტერ პრიშიბეევი. ძუნწად, ორიოდე სტრიქონით, მაგრამ ზუსტადაა დახატული კაფანდარა გენერლის მოსვლა ბატალიონში; ან გაიხსენეთ ჯარისკაცი კლიმენტი სიჭინავა, ავტორს რომ უწყრება— „შეშისთანები ბევრი გამიზრდია და შენც გამოგიყვან ჯაყვაში, თუ ბიჭი ვარ. ვინ ხარ შენ, რას მიქვია, ღმერთო კი მომკალი, კაცი ბრიგადირი ვიყავიო". დასამახსოვრებელია ვასილ აფონინი, ომის დამთავრებას რომ უცდის — ჩავალ ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში, იქ ბევრი თევზი და არაყი გვაქვს, გულს მოვიჯერებთ. „დალიე, აფონინ, დალიე არაყი, რომ ჩახვალ"... მერე უცებ წლების გაღმა გაიხედავს და შორიდან შეხედავს თავის თავს — „ღიმილით ვუცქერი შავკოსტუმიან ქერათმიან გიორგი ნაფეტვარიძეს — ჩემს ძველ ორეულს". აი ასე, სხვებზე რომ მოსწყინდება, თავის თავზე იწყებს ხუმრობას — „პოლიტხელს მივესალმე ორიგინალურად. დამავიწყდა რა უნდა მეთქვა და თითი გავატკაცუნე. გაეცინა, მანაც გაატკაცუნა თითი, ეს რააო!" ესაა ვაჟკაცობა, შეირჩინო სულიერი წონასწორობა ამ ჯოჯოხეთში!

აი, ერთხელ გიორგის დრო მოუხელთებია და დივიზიის შტაბის ოთახში თავის დღიურს წერს: „შტაბის მორიგე მშიშარა უნდა იყოს, ამიტომ მისდის ხშირად გული, ერთ ადგილზე ვერ გაჩერდება, ჰგავს იხვს, გაბრტყვნილ, მსუქან იხვს. ამას რომ ვწერდი, ორჯერ ჩაიხედა რვეულში". ამის შემდეგ ისევ თავის თავზე ეცინება: „წუხელ მაიძულეს სიტყვა მეთქვა მიტინგზე. ოჰო! თავზე ხელი გადავისვი უნებურად, უნივერსიტეტისა და ქოჩრის მოსაგონებლად, ბოლოკივით ტიტველი შუბლი კი შემრჩა ხელში". მერე უცებ შინ გადააგდებს ფიქრი, თავის ოჯახში: „უთოვია მთა და ბარი... სადაა ჩემი ძმა? გული ეძახის მას. სადაა ჩემი ძმა? ბიჭო, უუუ! მოდი, მოდიო! ასე ვეძახდით ერთმანეთს ვახშმობისას. საღამოვდება, ნათელა ვახშამს აწყობს სუფრაზე, დედა კუთხეში, კერიის კუთხეში დაფათურობს, მამა ჭურიდან დაბრუნდა, დოქით ღვინო მოიტანა, ხელს იბანს ლაფაროში, ჩვენ ვემზადებით და მე ვეძახი ძმას: მოდი, მოდიო!

არც მე ვარ შინ, არც ჩემი ძმა, არც ვაჟ-შამს აქვს გემო!

ეჰ! არაფერია! არაფერი!“

განა იმიტომ ხუმრობს გიორგი ნაფეტვარიძე, რომ შემაძრწუნებელ სინამდვილეს გამოეთიშოს. არა, თვითონ ბუნებას შეუქმნია ასეთი — მხიარული და სევდიანი, მოწყენილი და მომღიმარე. ეს ჭეშმარიტად ქართული ხასიათია. ზემოთ უკვე ვნახეთ როგორ გადავიდა ხუმრობიდან სევდაში, როცა მიტოვებული ქერა გაახსენდა. „რა თქმა უნდა, ჩემი „საინძელოც“ შეისმებოდა, და უნდა გითხრა ჩემი სიძუნწე, გული დამწყდა, ნათე! გული დამწყდა, ამოვიოხრე“...

და დღიურში ამ სიტყვებს მოსდევს, პუშკინის სიტყვით რომ ვთქვათ, მართლაც ნათელი სევდით სავსე ლექსი:

ჩავიდა მზე და ღამემ გარემოს
მოხვია ნისლი, როგორც წარსული.
ხე მომძახოდა შემიყვარეო,
ხე რტოდახრილი და გაძარცვული.
ჩავიდა მზე და ქართლის მიდამოს
დაადგა მხრებზე მთის იდილია,
ქარი მეძახდა — რა მოგიტანო,
სატრფოს წერილი თუ სიკვდილიო?
... და ღამით ცეცხლთან, ფარაჯიანებს
გვქონდა სიზმარი
უძილოდ, ფხიზლივ,
მიწას ვახვევდით გულის იარებს,
მიწის ნაშობნი და მიწის ლვიძლნი!
ჩვენ ველით ჟამი დარეკავს მალე,
მრისხანე რისხვად ფეხზე დავდგებით
და თოფის წამლით გარუჯულ თვალებს
მხოლოდ ისევ შენ მოელანდები.
ვინ გაიგონებს კიდევაც რომ ვთქვა
დაჭრილმა ხესთან სახელი შენი,
გაივლის ღამე, გაივლის ბოდვა
და გავა ასე მრავალი წელი.
გახსოვდეს, მინდვრად ფოთოლი მქენარი
სეირნობის ჟამს როდესაც ნახო,
ფეხს ნუ დაადგამ, ო, ცოდვა არი,
ხელი არ ახლო, ხელი არ ახლო!
ეს მე ვიქნები და შენი სუნთქვაც
საკმარისია, რომ იქცეს ნაცრად.

და შემდეგ ისევ დღიური: „რა დიდებული დრო იყო, რატომ ვჩხუბობდით, ნათე! განა ვჩხუბობდით? ნათელა, ნათელა, ნათელა“.

თამამად შემიძლია ვთქვა: ომზე ბევრი დაწერილა და იწერება, მაგრამ არც ისე ადვილია მოძებნოთ მეორე ნაწარმოები, სადაც ასე უბრალოდ, ასე გულისმომკვლელად იქნებოდა გადმოცემული ტრაგედია, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას ომმა მოუტანა!

განა ამაზე არ მეტყველებენ ეს სტრიქონებიც:

„ახლა რას გეტყვი, იცი? რომ დავბრუნდები, არ გაკოცებ. ჩემი ტუჩები უკვე ღირსი აღარ არიან გკოცნონ... ბევრ უხეირო საგნებს შეეხენ ისინი. მე მეშინია ვაი თუ დამავიწყდეს ყველაფერი, რაც ვიცოდი, აღარ დამაინტერესოს. ზოგჯერ მეზარება ხელოვნებაზე ფიქრი“.

ეს რომ ბორჰერტის წიგნში წაგვეკითხა, ის კი მართლაც მშვენიერი მწერალი იყო, ჩვენ ალტაცებული ვიქნებოდით, ვიტყოდით, რომ მწერალმა შესძლო ორიოდე სიტყვით ეთქვა, თუ რა არის ომი... აქ კი, ეს უბრალო დღიურია.

არა, ეს არის გულწრფელი აღსარება ცხოვრებაზე შეყვარებული და საოცრად ფაქიზი, კეთილშობილი ჭაბუკისა, რომელსაც ქვეყნად ყველაზე მეტად თავისუფლება უყვარს და რომელსაც ამაყად შეუძლია თქვას: „ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. მე არ შემიძლია ვასრულო სხვისი ბრძანება. საერთოდ არ შემიძლია ბრძანების ატანა, რადგან მე რომ დავიბადე, მაშინ დაიწყო ჩემმა კლასმა მბრძანებლობა. აი, რაშია საქმე!“

ამჯერად დაწვრილებით ველარ შევჩერდები შესანიშნავი პოეტების — სევერიან ისიანის, ვლადიმერ ჟღენტის და სხვათა ლექსებზე... ეს იყო მთელი თაობა, ლადო ასათიანისა და ალექსანდრე საჯაიას თაობა, რომლებიც მათსავით უდროოდ წავიდნენ ჩვენგან. მაგრამ უკვალოდ არ წასულან, უსახელოდ არ წასულან. ეს დიდი გამარჯვება, რომელსაც ჩვენ შევხარით, მარტო იმათი როდია, ვინც ომგადახდილი დაბრუნდა შინ, მარტო იმათი როდია, ვინც ზურგში ღამეებს ათენებდა და იარაღს უმზადებდა მოქმედ არმიას; არა, ეს იმათი გამარჯვებაც არის, ვინც ველარ დაბრუნდა, ეს იმათი უკვდავებაა, ვისაც ახლა შორს, ხაძმო ხაუღლავებში სძინავთ.

დავამთავროთ პოეტის სიტყვებით:

მათ დედის ცრემლიც არ დასცემიათ
მაგრამ ნუგეში მარტო ცრემლია?!
თვალი დახუჭეს მათ მეომრებად,
ცეცხლს სძინავს მიწაწაყრილ გუგებში,
გამარჯვებაა მათი ნუგეში
და გაზაფხულის განმეორება.
მაგრამ მძინარნი თუ შესძრა ნეტავ,
ტყისა და მინდვრის თვალების ფშვნეტამ,
თუ ესმათ ჩიტთა ტკბილი გალობა?
თუ სცალდეს მიწა რომ გაენგრიათ?!
ეს გაზაფხული მათი ძეგლია,
მათი სიცოცხლის ჩაუმქრალობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

# ჩემი წიგნის გმირები

არჩილ მღებრიშვილს უნივერსიტეტში არ ვიცნობდი. ის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მე ფილოლოგი ვიყავი, ლექსებსაც ვწერდი და ჩვენ რატომღაც ერთმანეთს ვერ შევხვდით სტუდენტობის დროს. არც თელავის სამხედრო სასწავლებელში დავძმაკაცებულვართ, სხვა ბატალიონში იყო და 1942 წლის იანვარში ისე დავამთავრეთ ეს სასწავლებელი, ერთად პური არ გაგვიტეხავს.

ექვს თვეში დაგვამთავრებინეს სამეთაურო სასწავლებელი. დღეში თორმეტ საათს გვამეცადინებდნენ. მაშინ ოცი-ოცდაერთი წლის ჭაბუკებისათვის ეს მძიმე დატვირთვა იყო. ერთი სული გვქონდა, სანამ საწოლებთან მივიდოდით და არაქათგამოცლილნი შუა ძილში რომ ვიყავით, დილის ექვს საათზე ადგომის სიგნალი წამოგვშლიდა.

დილიდანვე ყველაზე დიდი სატანჯველი საწოლების გასწორება იყო. ზეწრები ისე უნდა გადმოგვეკეცა თხელ საბნებზე, ყველას ერთ ხაზზე უნდა გვქონოდა. ზემდეგი თვალს გააყოლებდა და ვაი იმას, ვისი ზეწარიც ამ ხაზს ამრუდებდა.

ერთხელ, კვირა დღეს, ქალაქში გამიშვეს სასეირნოდ იმის ჯილდოდ, რომ წინა დღეს ტაქტიკურ მეცადინეობაზე თავი გამოვიჩინე და ასეულის მეთაურმა მწყობრის წინ მადლობა გამომიცხადა. სიხარულით გავემართეთ ქალაქში. ერთი გოგონა გავიცანი, თელავის ბაღში მერხზე ჩამოვსხედით და თავდავიწყებით რომ ვესაუბრები, უეცრად მესმის ხმამაღალი ბრძანება: „კურსანტო, ჩემთან"! მივიხედე, ერთი კაპიტანი მეძახდა. წამოვვარდი, წინ გავეჭიმე და მოვახსენე ჩემი ვინაობა. რომ ჩამოვიარე, რატომ არ მომესალმეო. ვერ დაგინახეთ-მეთქი. ახლავე დაბრუნდი ნაწილში და შენს მეთაურს მოახსენე, ორი რიგგარეშე რომ დაიმსახურეო. არის-მეთქი, ხელი ავუღე, ნაწილისაკენ გავემართე ისე, რომ მერხზე მარტოკა დარჩენილ ახლადგაცნობილ გოგონასათვის თვალისშევლების მეტი ვერაფერი მოვახერხე.

ყველაზე მეტად ერთი დღე დამამახსოვრდა. საუზმის მერე ათკილომეტრიანი გადარბენა მოგვიწყვეს. ჩვენი ყაზარმებიდან მთელი აღქურვილობით ტყე-ტყე ვირბინეთ, შალაურს შემოვუარეთ. დავიღალე, გაიწელა ოცეული და ორიოდე კურსანტთან ერთად, მეც კუდში მოვექეცი. ყაზარმებს რომ მივუახლოვდით, ძლივს შევაღწიე ჭიშკარში. ჭიშკართან გრძელი სკამები იდგა. კვირაობით მშობლები თუ ნათესავები ჩამოდიოდნენ და აქ იყო ჩვენი შეხვედრის ადგილი. დედაჩემი ჩვეულებრივად იმ დღესაც ჩამოსულიყო. მე ისე მქონდა არაქათი გამოცლილი, არც შემიმჩნევია ის; ყაზარმაში სული მოვითქვი, დავიბანე და მითხრეს, დედა გელოდებაო. მივედი და ისე ჩამიკრა გულში, ალბათ, დაბადების მერე ასე არასოდეს მივუხუტებივარ მკერდზე. შენ გენაცვალე, ბიჭო, ცოცხალი ხარო და ამოალაგა მოტანილი სანოვაგე. დედის ჩვილი გული რას მიხვდებოდა მაშინ, მის მიერ სათუთად გაზრდილი ბიჭი რომ იწრთობოდა, რომ მომავალი ჯარისკაცური გზების გადალახვა გაჭირდებოდა ამგვარი წრთობის გარეშე. იმდენი ვეჩიჩინეთ მე და ჩემი მეგობრები, ბოლოს გავაცინეთ კიდეც დედა.

მაშინ არ იყო ჩემთან არჩილ მღებრიშვილი. ის მერე, გზაში გავიცანი. იანვარში დავამთავრეთ სასწავლებელი და ორასამდე ლეიტენანტი ფრონტისკენ წაგვიყვანეს. საბარგო ვაგონის ფიცარნაგზე დასაწოლი ადგილი მის გვერდით მხვდა წილად და ერთი დღე-ღამე საკმარისი გახდა, ისე დავვახლოვებოდით ერთმანეთს, რომ მერე უერთმანეთოდ ველარ გა-

გვეძლო. არჩილი კაზელი იყო, ძვალმსხვილი, ფართო მხარ-ბეჭიანი, დინჯი, მაგრამ ბავშვური მიამიტობით აშუილი ძმაკაცობაში.

ორი კვირა ვიმგზავრეთ ქერჩში ჩასვლამდე. გადმოკარკლული თვალებით შევაჩერდით დანგრეულ და აბობოქრებულ ქერჩს. ჩვენ უკვე ორი კვირის ნაცნობები კი არა, თითქოს აკვნებიდან თანშეზრდილი მეგობრები ვიყავით.

ქერჩი ქართული ქალაქი გეგონებოდა, იმდენი ქართველი მეთაური და ჯარისკაცი იყო მის აწიოკებულ ქუჩებში. აქ მოულოდნელად შემხვდნენ მაშინ ჩემი ყრმობის მეგობრები, უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა პოეტები რევაზ მარგიანი და ვლადიმერ უბილავა. რევაზ მარგიანი გადარჩა, დაბრუნდა და დღეს გამოჩენილი ქართველი პოეტია. ვლადიმერ უბილავა ქერჩის ტრაგედიას კი გადაურჩა, მაგრამ შემდეგ სადღაც ჩრდილოკავკასიის ფრონტზე განგმირა ტყვიამ და ახლა მისი საფლავიც არ ვიცით, სად არის. მისი წმინდა სახელი კი სხვებთან ერთად მწერალთა სასახლის კედელზე გაკრულ მარმარილოს მემორიალურ დაფაზეა ამოკვეთილი, ომში დაღუპულ ქართველ მწერალთა მარად მოსაგონარად.

ორი კვირა დავყავით ქერჩში. ქალაქში ვერ ნახავდით სახლს, რომელიც დაზიანებული არ ყოფილიყო ბომბისგან. გერმანელთა თვითმფრინავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ ქალაქს. წინა ხაზიდან ჩამოსული ჯარისკაცები ამბობდნენ, აქ ყოფნას ფრონტზე ყოფნა სჯობიაო.

მე და არჩილი იმდენს ვეცადეთ, ერთ ნაწილში გაგვამწესეს. მოვხვდით ცალკე საზღვაო ბრიგადაში. რამდენიმე დღის შემდეგ პირდაპირ წინა ხაზზე მიგვიყვანეს. აქ კი დაგვაშორეს ერთმანეთს: მე ერთ-ერთი ოცეულის ჩამაბარეს, არჩილი კი ბრიგადის შტაბში წაიყვანეს მეკავშირე ოფიცრად.

ხშირად უხდებოდა ჩვენს ბატალიონში მოსვლა. ძლივს შემოატევდა ხოლმე ჩემი ოცეულის სანგრებში თავის ორარშინიან ბეჭებს.

იმ ღამესაც ჩვენ უბანზე მოხვდა არჩილი. ღამით შეტევაზე უნდა გადავსულიყავით და ბორცვზე განლაგებული მტრის სანგრები უნდა დაგვეკავებინა. ეს ბრძანება შტაბიდან არჩილმა მოიტანა. შეტევის დაწყების წინ არჩილი ჩემს სანგარში იდგა, ჩემს გვერდით.

შეტევის ნიშანზე სანგრებიდან ამოვცვივდით და არცთუ ისე ღრმა ხეობის დამრეცი ფერდი უხმაუროდ ჩავირბინეთ. როცა ხეობის ალმა აქეთ ფერდს შევუდექით, შუშხუნების შუქზე მტერმა შეგვამჩნია და მაშინვე დაგვიშინა გრიგალისებური ცეცხლი. ქვემეხის გარდა, ყველა იარაღით გვესროდა. უკვე არც ისე შორს ვიყავით მტრის სანგრებთან. ღამის სიბნელეს მანათობელი ტყვიების პუნქტირები ჯვარედინად კვეთდნენ ერთმანეთს.

„ვაშას“ გრიალით წამოვიშალეთ და მტრის სანგრებისკენ გავემართეთ. ხან ხოხვით მივიწევდით წინ, ხან გადარბენით. არჩილი მხარდამხარ მომყვებოდა.

როცა გვეგონა, რომ მტრის სანგრებთან გვარიანად ახლოს ვიყავით, ერთიანად წამოვიშალეთ და სროლითა და გამაყრუებელი ღრიალით გავემართეთ წინ.

უეცრად ჩემს ახლოს ხელყუმბარა გასკდა. მე ყბაში რაღაც მომხვდა და ორი კბილი გადმოვაფურთხე. იმ წამსვე ბეჭში უძლურება ვიგრძენი, თოფი ხელიდან გამივარდა და როცა ვეცემოდი, უნებურად წამოვიძახე: „არჩილ!“

ამასობაში არჩილი უკვე წინ გაჭრილიყო. მტერი ჯოჯოხეთურ ცეცხლს გვიშენდა. ამ გამაყრუებელ გრიალში არჩილს როგორც კი ჩემი ძახილისთვის ყური მოუკრავს, მაშინვე უკან შემობრუნებულა. ოციოდე ნაბიჯით ვყოფილვართ მტრის სანგრებთან მიახლოვებულნი.

მიწაზე პირქვე დამხობილს, არჩილი მომვარდა, როცა ჩემს გვერდით გაწვა, მაშინვე ბარძაყის კუნთში ტყვია მოხვედრია. ზურგზე წამომიკიდა და კარგა მანძილზე უკან მახოხა. რომელიღაც გრძელ თხრილში ჩამაწვინა. ბერანგი შემომაგლიჯა და ჭრილობები მაგრად შემიხვია.

ამასობაში შემოთენდა კიდეც, ცეცხლი მინელდა. ჩვენი ბიჭები უკვე მტრის სანგრებში იდგნენ.

ვინ იცის, რა მომივიდოდა იმ ღამეს, არჩილი რომ არ წამომშველებოდა.

იმგვარ ჯოჯოხეთურ ცეცხლში ამგვარ ნაბიჯს ვაჟკაცური გულისა და ამხანაგისათვის თავგანწირვის გრძნობის გარდა, კაცს ვერაფერი შეაძლებინებს.

ამჟამად პროზაულ წიგნზე ვმუშაობ. მისი სათაურია: „ომის ბოლო მინდორი“. ამ წიგნის გმირები ჩემი თანამებრძოლები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე

ეს მოხდა 1941 წლის ნოემბერში, ქალაქ კლინის მახლობლად.

პირველი მამლის ყივილი იქნებოდა, ზემდეგმა რომ მიბრძანა, ბატარეის მეთაურის სათვალთვალო პუნქტზე საუზმე წაიღეო.

თერმოსი და თოფი მხარზე მოვიგდე, სავსე ჩანთაში ჩალაგებული ორი გორგოლა პური იღლიაში ამოვიდე, ღმერთო დიდებულო, კარგ ფეხზე მატარე-მეთქი, პაპიჩემის საყვარელი სიტყვები წავიბურტყუნე და გზას გავუდექი.

საცეცხლე პოზიციიდან სათვალთვალო პუნქტამდე გაჭიმულ ტელეფონის ხაზს მივდევდი. ეს ყველაზე მოკლე მანძილი იყო, თან იმითაც დაზღვეული ვიყავი, რომ გზა არ ამერეოდა.

ტყის წინ აყრილი ბუჩქები გავლიე, და ჩემს თვალწინ თოვლით დაფარული ტრიალი მინდორი გადაიშალა, რაღაც დიდისა და საოცარის მოლოდინში რომ განაბულიყო. ცივი ქარი ბუბუნებდა. ანაპერწკლებული ყინვა სახეს მიკაწრავდა, თოვლის ფიფქი წარბ-წამწამზე ქირხლად მეხმოდა.

ალაგ-ალაგ ტელეფონის ხაზს თოვლი წაჰყროდა, მაგრამ გუმანით მაინც მივდიოდი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მავთული რომ გამოჩნდებოდა ხოლმე! თურმე ადამიანს ყინვაში ალღო უმახვილდება, მუხლიც ვამძლე უხდება.

უცებ, რაღაც ათასიოდე ნაბიჯზე ცაში ზედაზედ აიჭრნენ კაშკაშა შუშხუნები.

პირქვე დავემხე...

ჰორიზონტზე, აბობოქრებული ცეცხლის კედელი აღამართა. ჭურუმბარებმა წივილით თავზე გადამიქროლეს, რასაც ნაღმმტყორცნებისა და ქვემეხების გამაყრუებელი გრუხუნი მოჰყვა. აშვებული ძაღლებივით აყეფდნენ ტყვიამფრქვევები. ერთბაშად შიშიანლი თეთრ-შავი ბორცვი წამოიმართა, თოვლი და მიწა თავზე გადამეყარა.

უმალ ჭურმბარით ამოთხრილ ორმოში ჩავხტი. ეს ყველაზე საიმედო თავშესაფრად ჩავთვალე, რადგან არაერთხელ მსმენია, ნაჭურმბარევს ჭურვი აღარ დაეცემაო.

არტილერიის კანონადა მალე მიყუჩდა. ტყვიამფრქვევები კი ისევ კაკანებდნენ. მანათობელი ტყვიების მრავალწერტილი მინდორს გარდიგარდმო სერავდა.

იმის შიშით, გზაში თავზე არ დამთენებოდა, ორმოდან ამოვცოცდი და წაკუზული, ხაზს გავყევი.

ერთ ადგილას ჭურვებით ისე იყო მიწა ვადათხრილი, ტელეფონის მავთული დამეკარგა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, თოვლგადაფარებული მიწა ხელებით გადავჩიჩქნე, მაგრამ მავთულის კვალს ველარ მივაგენი.

წინ და უკან ბევრი ვიბორიალე, მარცხნივ გადავუხვიე, მარჯვნივაც ავილე გეზი, მაგრამ ხაზს ველარ მივაგენი.

სულ ცოტა ორი საათი მაინც გავიდა, რაც პოზიციიდან გამოვედი. ეტყობა, მხარი მექცა, გზა ამერია, თორემ აქამდე თუ სათვალთვალო პუნქტს ვერ მივაგენი, ქვეითების პოზიციებს მაინც მივაღწევდი-მეთქი. მე კი უკაცურ მინდორზე ვიყავი და თოვლის მეტს ვერაფერს ვხედავდი. ირგვლივ აღარც ჭურვები სკდებოდა, აღარც ტყვიები ზუზუნებდნენ. ხამუშ-ხამუშ ცის ტატნობს შუშხუნები ეკიდებოდნენ და ირემარე ნათდებოდა. რაკი გერმანელები შუშხუნებს ისვრიან, მაშასადამე, ჩვენი ნაწილები არც ისე შორს არიან-მეთქი, ამითდა ვინუგეშებდი თავს და გზას განვაგრძობდი.

ორასიოდე ნაბიჯი კიდევ გავიარე და ჩემს წინ ტყე აღიმართა. გამეხარდა. თვალუწვდენელ გადაღეთრებულ ველს დაღუმებული ტყე

მერჩია, თუმცა მისი ზღაპრული იდუმალება რაღაც შემპარავ შიშს მგვრიდა.

ადრე რა დამაჯერებდა, რომ ვითომ არსებობს წინათგრძნობა და მომავალი საშიშროების განცდა. მაშინ კი ეს მთელი არსებით ვიწამე.

თოვლს სითეთრე მოემატა, ხნივმფენი, მბრწყინავი გახდა.

„ნუთუ თენდება?" — გავიფიქრე, რადგან ვერ წარმომედგინა, თუ ამ საშინელ ღამეს ნათელი დილა შეცვლიდა.

თითქოს ვიღაც უკნიდან თავზე წამომადგა. მიხედვას ვერ ვბედავდი. ეს ვიღაც კი ჯიქურად მომჩერებოდა.

„ვინ უნდა იყოს!?" — ვეკითხებოდი ჩემს თავს, მაგრამ პასუხი ვერ მეპოვა. ბოლოს შემკრთალმა უკან გავიხედე: ჰორიზონტზე, სქელ ბურუსში მზეს ყური ამოეყო! ახლა კი მგონი აღარ გამიჭირდება მხარეების გარჩევა-მეთქი და ყინვისაგან დაბეჩავებული ქვეყნის მბრძანებლისაკენ პირი ვქენი. თურმე ჩრდილოეთით მივდიოდი, სათვალთვალე პუნქტი კი საცეცხლე პოზიციიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო.

აღარ ვიცოდი საით წავსულიყავი.

რაც იქნება, იქნება, ტრიალ მინდორზე უგზო-უკვლოდ სიარულს ის მირჩევნია ტევრს შევაფარო თავი! რისა მეშინია? იქნებ მცდარია ჩემი წინათგრძნობა-მეთქი?

ტყისაკენ გავეშურე და, რაღაც ათიოდე წუთში მოზრდილ ხრამს წავადექი. დაბლა თოვლწაყრილ საგნებს მოვკარი თვალი. ახლოდე ნაბიჯზე რომ მივედი, მხოლოდ მაშინ გავარჩიე დამსხვრეული ქვემეხები, მათში შებმული ცხენების გვამები, მხედრებს უნაგირებიდან ვერც კი მოესწროთ გადმოხტომა, ფეხები უზანგებში დარჩენოდათ და ხელები სადავეებზე შეჰყინოდათ. აქეთ-იქით დამახინჯებულ მეომართა გვამები ეყარა.

ხევში ყველაფერი გაყინული, უსიცოცხლო იყო. ჩიტიც კი არ იძროდა, თითქოს ყინვას ისიც გაეთოშა.

ხრამის დასავლეთის მხარე უფრო დამრეცი იყო და თოვლზე ფეხი მიცურდებოდა. ხმელი ბუჩქების ძირებს ვებღაუჭებოდი და ზევით ისე მივბობღავდი.

მაღლა რომ ავცოცდი, ცოტა შევისვენე და ტყისაკენ გავწიე...

უცებ ხეს ამოფარებულ უცნობს შევასწარი თვალი, სანილბე ხალათში რომ იყო თავფეხიანად გახვეული. იმის აქეთ-იქით ორი თეთრხალათიანი მეავტომატე დავინახე.

გახევებული ვიდექი, მთელი სხეული მიძაგძაგებდა, სული მეკვროდა, მუხლი მეკეცებოდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ გერმანელები იყვნენ და გულისფანცქალით ველოდი ცეცხლს როდის დამიშენდნენ.

რატომღა არ მესროდნენ, გავიფიქრე, ალბათ მოენიდ უნდათ ჩემი ხელში ჩაგდება-მეთქი.

ადამიანი ხომ როგორ მძიმე განსაცდელშიც არ უნდა ჩავარდეს, სასოებას მაინც არ მკარგავს!

ვითომ და, ისინი ვერ შევნიშნე, ოდნავ გვერდზე შევბრუნდი და დინჯად გზა განვაგრძე. ნელ-ნელა პირი ხრამისაკენ ვქენი, ნაბიჯს ავუჩქარე და, ბოლოს მოვკურცხლე. უკან აღარ მიმიხედავს, მაგრამ მეც არ ვიცი, რანაირად დავინახე, ტყიდან ის მეთხილამურე გერმანელები გამოიჭრნენ და გამომედევნენ.

ხრამის დაღმართზე ოციოდე ნაბიჯი ჩავირბინე, ხმელ ბუჩქებში შევვარდი და პირველივე ნაყუმბარევში ჩავიმალე.

ტყუილი რა საკადრისია, თოფი არც გამხსენებია! მერე კი სინდისის წინაშე თავს იმით ვიმართლებდი, ლულა გასაწმენდი იყო, ჩახმახი გაყინული და შაშხანა იმიტომ არ მოვიმარჯვე-მეთქი.

რაღაც ორიოდე წუთში გერმანელები ხრამს მოადგნენ. ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოდნენ. მერე თხილამურებით ჩამოსრიალდნენ და ორმოს გარს შემოერტყნენ.

— რუს სტავაი! — დამიყვირა ერთმა მათგანმა დამახინჯებული რუსულით და ფეხით თოვლი გადმომაყარა.

როგორც უკვე ვთქვი, სამნი იყვნენ. თხილამურების ჯოხები თოვლში ჩაერჭოთ და ავტომატმომარჯვებულნი თავზე მადგნენ.

ორმოდან ისე ამოვფოფხდი, მათთვის თვალი არ მომიცილებია, რადგან მეგონა ტყვიას დამახლიდნენ.

— რუს დავაი! — დამიყვირა იმავე გერმანელმა და მხრიდან თოფი ამართვა. რის ვაივაგლახით გადაატრიალა ჩახმახი, გამოაძრო და ხრამში გადაისროლა. თოფი კი ბუჩქებში მიაგდო.

— რუს კუდა იდიოშ? — შემეკითხა იგივე გერმანელი.

ხელით თერმოსი ვუჩვენე და ვუპასუხე, სოლდატ კუშაი, კუშაი-მეთქი.

— ტი რუს? — მე მგონი, უნდოდათ გაერკვიათ, ებრაელი ხომ არ ვიყავი.

აღარ ვიცოდი რა მეპასუხა. დავიბენი და მყისვე, როგორც კი შემეძლო, ხელებით ვუჩვენე, მზარეული ვარ-მეთქი.

განა, არ ვიცოდი, რომ არასწორად ვიქცეოდი, მაგრამ თავს იმით ვიმართლებდი, ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და იქნებ როგორმე დავუსხლტე-მეთქი ხელიდან.

მეორე გერმანელმა, მთელი ამ ხნის მანძილზე დაკვირვებით რომ მიმზერდა, რაღაც უთხრა თავიანთებურად ამხანაგს. ის ჩემი კბილა იყო, მკვირცხლი, მოელვარე ცისფერი თვალები ჰქონდა. ნიკაპი პატარა, შუბლი მაღალი, ფართო.

— ტი, რუს? — ისევ შემეკითხა მაღალი გერმანელი.

პასუხი შევუგვიანე ვერ გამეგო, იმის თქმა, ქართველი რომ ვიყავი, საუკეთესო იქნებოდა, თუ სასიკეთო. ისე კი, რა თავს ვისაწყლებ, ესენი მაინც არ დამინდობენ, სულერთია, სიცოცხლეს გამომასალმებენ. თუ სიკვდილი მიწერია, ბარემ სახელოვნად მაინც მოვკვდემეთქი.

და ჩემში ერთბაშად განწირულის სითამამემ იფეთქა, მტკიცედ და ჯიუტად, მივუგე:

— ია სალდატ, სტრელიაი!

ჩემი კბილა და მაღალი გერმანელი ერთხანს საუბრობდნენ.

პირველი მეორეს თითქოს რაღაცას სთხოვდა, უმტკიცებდა, ხელს იქით იშვერდა, საითაც ჩახმახი გადააგდეს. მაღალი კი შუბლს არ ხსნიდა, დაეჭვებით მაცქერდებოდა, მხრებს იჩეჩდა, უარობდა.

ალბათ იკითხავთ, გერმანული ენა ხომ არ იცოდი და ამას როგორ ხვდებოდიო.

ეჰ, ეტყობა სიკვდილის აჩრდილით თავზარდაცემულ ადამიანს ყველა ენაზე ესმის, ყველაფერს ხვდება, ყველაფერს გებულობს.

აკანკალებულ მუხლებს ერთმანეთს ვაჭერდი, მაგრამ ვერ ვაჩერებდი; ჰაერში უთვალავი ცეცხლოვანი ვარსკვლავი ციმციმებდა, რაც დრო და დრო, ჩემსკენ მქროლავ ტყვიებად მესახებოდა. თითქოს შევეგუე სიკვდილს. თუ მხვრეტენ, მესროლონ და მომკლან, რაღას გავიგებ, სიკვდილის ლოდინი კი მეტისმეტად მტანჯველი და აუტანელია-მეთქი.

ბოლოს, მაღალმა მუშტრის თვალით თავითფეხებამდე შემათვალიერა და შერბილებული ხმით მითხრა:

— რუს, ტამ იდი, რუს ტამ! — და საჩვენებელი თითი ხევის იქით გაიშვირა.

ადგილიდან არ ვიძროდი, მეგონა ასე იმიტომ მეუბნებოდა, ზურგში უნდა დაეხალა ტყვია.

მაღალმა გერმანელმა კვლავ გამიმეორა: იდი, იდიო, ამჯერად კი, უნებურად დავემორჩილე მის სიტყვას.

ფეხაკრეფით, ფრთხილად მივაბიჯებდი, სმენაგამახვილებული და დაძაბული. მეგონა, წამით-წამზე ავტომატი დაიჭექებდა. თვალთ მიბნელდებოდა, პირი მეკუმებოდა, სუნთქვა მეკვროდა.

ათიოდე ნაბიჯი რომ გავიარე, უნებლიედ შევჩერდი, ჩემს უკან რაღაც გახმიანდა, მოვიბუზე, თვალები დავხუჭე, და თითქოს ჩემი გონების ლაბირინთებში ქახანიც გაისმა...

გარინდებული ველოდი ტყვიის მოხვედრას.

— რუს, იდი, იდი! — დამიძახა ჩემმა კბილა გერმანელმა.

მყისვე დავიძარი. აქეთ-იქით გავრბოდი, ვიქცეოდი, თოვლში მოვგორავდი. თან თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ ფეხი მისრიალებდა.

ხრამში რომ ჩაველი, შევჩერდი, ალბათ დახოცილ ჩემს თანამოძმეებთან უნდათ სიცოცხლეს გამომასალმონ-მეთქი. უკან გახედვა არ მინდოდა. სჯობია, ისე მომილონ ბოლო, დამიზნებული ავტომატი არ დავინახო-მეთქი, მაგრამ უნებლიედ მაინც შევტრიალდი, ისინი მოჩვენებასავით გამქრალიყვნენ.

თავისუფლად ამოვისუნთქე. მკვდარ ჯარისკაცს მხრიდან თოფი შევხსენი, მუცელზე მივაკარი და ისევ გავიქეცი. აღმართი რომ ავათავე, უკან მოვიხედე, ისინი თხილამურებით ტყის გასწვრივ მისრიალებდნენ.

ილაჯგაწყვეტილი წელამდე თოვლს მივარღვევდი. გული ამოვარდნაზე მქონდა, მაგრამ ამას ალარაფრად ვაგდებდი. მინდოდა მემღერა, ხელები გამეშალა, დათოვლილი მინდორი მკერდში ჩამეკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემანუილ ფეიგინი

# ჩვენებურები

ცხრაასორმოცდაორი წლის ზამთარში ჩვენთან, ყირიმში, საფრონტო გაზეთის რედაქციაში მოულოდნელად ჩამოვიდა „კრასნაია ზვეზდას“ სპეციალური კორესპონდენტი, ბრიგადის კომისარი პეტრე ანდრეის-ძე პავლენკო. ჩვენი რედაქცია მაშინ მოთავსებული იყო ყუმბარებისაგან დანგრეულ თათრულ სოფელ ალიბაის გათოშილ ქოხებში. არც მხიარული იყო ჩვენი ცხოვრება და არც მდიდრული, მაგრამ მწერალი პეტრე პავლენკო რომ დავინახეთ, გადავწყვიტეთ საზეიმო სადილი გაგვემართა. მუკუზნის საუცხოო ღვინო მაგიდაზე თითონ სტუმარმა ჩამოდგა. ჩვენი სამხვაჭრობის ძუნწმა ნოქრებმა კი მარტო ერთი ბოთლი შამპანური გაიმეტეს და თანაც ერთი ქილა მწარე მდოგვი გამოაყოლეს. მაგრამ სადილი იმ დროის კვალობაზე მართლაც დიდებული იყო: მაგიდაზე იდგა მთელი ზვინი მოხრაკული კარტოფილისა ძეხვით და აქვე იყო ჭეშმარიტად უბადლო იალღოები მარწყვის მურაბით.

დავსხედით საქეიფოდ.

გარეთ ისევ ბომბავდნენ სოფელს. ქოხის ჭერიდან იალღოებზე და კარტოფილზე ერთთავად მიწა ცვიოდა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშფოთებდა: საჭმლისათვის ამგვარ საკმაზს დიდიხანია მივეჩვიეთ, ჩვენ სულ სხვა რამ გვაწუხებდა: ჩვენს მაგიდასთან იჯდა სახელოვანი სტუმარი, ლიტერატურის გენერალი, ჩვენ კი ამ ლიტერატურის უბრალო ჯარისკაცები და სერჟანტები ვიყავით: ღმერთმა უწყის, როგორ უნდა ელაპარაკო ამ გენერალს! მაგრამ პავლენკომ უეცრად და გადაჭრით უარჰყო ყველა ის ქება-დიდებანი, რომლებსაც მას მივუძღვნიდით:

— აბა, ეგ რა გიფიქრიათ, მეგობრებო! როგორ არა გრცხვენიათ? ჩვენ ხომ ერთი აარადი გვიჭირავს, და ამას გარდა, თქვენ სულყველანი ჩვენებურები ხართ!

მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ „ჩვენებურები“ — პეტრე ანდრეის-ძის საყვარელი სიტყვა იყო. შემდეგ, როცა ახლოს გავეცანი პავლენკოს — მწერალსა და ადამიანს, — მე დავრწმუნდი, რომ მისთვის ყველანი ჩვენებურები იყვნენ, — ფერგანის ველიდან ჩამოსული მამაცი უზბეკი მეომარი იუსუფოვიც, რომელიც პავლენკომ გულთბილად აღწერა თავის მოთხრობაში „ჩვენებური იუსუფოვი“, ქართველი გრიგოლ სხულუხიაც, რომლის სიკვდილისწინა გმირული სიმღერა პავლენკომ შეუნახა შთამომავლობას, მწყემსიც დაღესტნის ნისლმორეული მთებიდან, ბაქოელი მენავთობეც, თურქმენი მეხამბეც, პოლტაველი ტრაქტორისტიც და უდეგეს ტომის მონადირეც — დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელი მისთვის ჩვენებური, ამხანაგი და ძმა იყო...

მაგრამ იმ დღეს ჩვენ ეს არ ვიცოდით და ჩემი მეგობრებიდან რომელიღაც შეეპვდა:

— ჩვენებურებიო? თქვენ ხომ მოსკოველი ხართ, ამხანაგო ბრიგადის კომისარო! ჩვენ კი აქ სულ ყირიმელები ვსხედვართ. მართალია, ცოტანი-ღა დავრჩით...

— ცოტანი კი არა, ბევრნი ხართ, — სიტყვა შეუბრუნა პავლენკომ, — ძალიან ბევრნი ხართ... მთელი ყირიმის ფრონტი და ეს ხომ ათეულ ათასობით ადამიანები არიან — მოსკოველები, ბაქოელები, თბილისელები, ერევნელები, როსტოველები. და მათ ახლა ყველას უფლება აქვთ თავიანთ თავს ყირიმელები დაუძახონ. თქვენ კი ამბობთ... აი თუნდაც მეც, — მან ეშმაკურად მოჭუტა თვალები — „კრასნაია ზვეზდის“ რედაქტორის ბრძანებით მეც ყირიმელად ვარ დანიშნული, მიმიღებთ?

— მიგიღებთ!

— ჰო, აბა, რა გეგონათ!

მარტო ერთ საათს იჯდა ჩვენთან, მერე კი პეტრე ანდრეის-ძემ წასასვლელად მზადება დაიწყო.

— გმადლობთ, ჩვენებურებო, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია! ნაბრძანები მაქვს ზეგისთვის რედაქციას სამასი სტრიქონი უნდა გადავცე საზღვაო ქვეით ჯარზე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ დამაგვიანდეს — გამომიძახებენ მოსკოვში და — აბა მიბრძანდით ამხანაგო პავლენკო ხაგარინიზონო კუტუზკაში, — პავლენკომ გაიღიმა, — თქვენ გგონიათ ვხუმრობ? სულაც არა! ჩვენ ძალიან მრისხანე რედაქტორი გვყავს, არაფერს არ გაპატიებს. თანაც „კრასნაია ზვეზდაში“ ასეთი ტრადიციაა: „ცოცხალი ხარ თუ მოკვლეს, ეგ არ არის საინტერესო, მთავარი ის არის, რომ მასალა ნომრისთვის დროზე უნდა მიაწოდო“.

ჩვენ ეს მოგვეწონა, ჩვენც ასეთი მკაცრი რედაქტორი გვყავდა და ასეთივე სახელოვანი ტრადიცია გვქონდა.

პავლენკო გამოგვეთხოვა. მე მოვიწადინე გამეცილებინა ის საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადამდე.

— შეგიძლიათ წამყვეთ, პოლიტხელო! — ნება დამრთო ჩვენმა რედაქტორმა, — თორემ თქვენ რომ მწერლები მყავხართ, მტრისას! არ გაწყენთ ისწავლოთ ასეთი ოსტატისაგან. თქვენ ხომ ისე წერთ, თითქო მარცხენა ფეხით დაუწერიათ, თანაც იმ ფეხზეც ქალამანი სცმიათ.

ჩვენი რედაქტორი ლიტერატურული კრიტიკის დარგში მეტად ძლიერი იყო.

წავედით. გზაში პეტრე ანდრეის-ძის „გაზმა“ ჭირვეულობა დაიწყო და ჩვენ ძლივს მივაღწიეთ ერთიანად დანგრეულ სოფლამდე, რომელსაც არც ისე გასახარელი სახელი — აგიბელი ერქვა; პავლენკომ იმ წუთსვე მას უფრო ზუსტი სახელწოდება გამოუძებნა — პოგიბელ! ეს მართლაც დასაღუპავი და დასაქცევი ადგილი იყო: ყოველ ნახევარ საათში, წუთს არ გადაავცდენდნენ ხოლმე, მას ბომბავდნენ ჰაერიდან, დანარჩენ დროს კი ქვემეხებიდან და მძიმე ნაღმსატყორცნებიდან ესროდნენ. ჩვენ დიდი ხნით გავეჩხირეთ პოგიბელში. შოფერი სადღაც ათი კილომეტრის იქით წავიდა, ავტობატალიონში, მანქანის რაღაც ნაწილი უნდა ეშოვნა და ჩვენ მანქანის ყარაულებად დაგვტოვა.

ახლოვდებოდა ღამე, ზღვიდან დაჰბერა ცივმა ქარმა, ძვლებამდე რომ გაგივლის: გვიხსნეს უცნობმა წითელარმიელებმა, მათ გვითხრეს. — მანქანას ჩვენ ვუყარაულებთ, ეგეც არ იყოს, ვის რათ უნდა აქ თქვენი მანქანა, ვინ მოიტაცებს, ირგვლივ აქ ქვეითი ჯარი დგას, თქვენ კი ღამე აი იმ გრძელ ბეღლებში გაათიეთო.

— თქვენ ვინა ხართ, — ჰკითხა პავლენკომ წითელარმიელს, — რომელ პოლკს ეკუთვნით?

— ჩვენ მესაფლავეთა რაზმი ვართ, — ყვილას ნაცვლად უპასუხა ხანში შესულმა წითელარმიელმა, რომელსაც სოფლური ტყავის ჯუბა ეცვა, — ჩვენ აქ მთელ ღამეს უნდა ვიმუშაოთ, ისე რომ მანქანაზე ნუ შეწუხდებით.

— ეხ, ესეც სამუშაოა რაღა! — გამწარებით წამოიძახა მეორე წითელარმიელმა, უფრო ახალგაზრდამ, — უჰ, რაც დღეს ხალხი ჩახოცეს! აი, თქვენ თვითონ შეხედეთ, ამხანაგო უფროსებო!

და მან ხელით გვიჩვენა რაღაც დაბალ ფიცრულ ღობეზე. იქ ჩარიგებულნი ეწყვნენ ადამიანები.

ჩვენ ახლოს მივედით. მოკლულთა შორის ერთი ქალი იყო. ის რატომღაც კაცებისაგან ცოტა მოშორებით დაესვენებინათ. აფეთქების ძლიერ ტალღას იმ უბედურისათვის თითქმის მთელი ტანსაცმელი შემოეძრო და გაეშიშვლებინა. ჩვენ თვალი ავარიდეთ; აუტანლად მძიმე და მწარე იყო გეცქირა ამ შიშველი სხეულისათვის. ეს თითქმის მკრეხელობას უდრიდა. პავლენკომ რატომღაც მოიხსნა სათვალეები და მხრებში მოხრილი, დაბეჩავებულივით წავიდა მანქანისაკენ. როცა დაბრუნდა, მას ხელში თავისი ლაბადა ეჭირა, რომელიც ფრთხილად გადააფარა ქალის სხეულს.

... ბეღელში ხალხი ცოტა იყო, ადგილი კი, რამდენიც გინდოდათ, იმდენი.

— დავიძინოთ, — თქვა პავლენკომ. მაგრამ დაძინება ვინ გაღირსა: გერმანელები ღამითაც არ ანებებდნენ თავს ამ აგიბელს.

ერთი სიტყვით, საძაგელი ღამე გავატარეთ. სამაგიეროდ, დილამ გაგვახარა. ეს იყო მშვენიერი, ნამდვილი სტეპის დილა: მსუბუქი ყინვა, გამჭვირვალე ჰაერი და წმინდა, უღრუბლო, რაღაც საოცრად ლურჯი ცა. და ამ სილურჯეში უცებ, როგორც თოთო ბავშვის პირველი კბილები, ამოიზარდნენ ყირიმის მთები, საოცრად თეთრნი და სპეტაკნი.

* * *

ომის შემდეგ პავლენკო იალტაში დასახლდა. ერთხელ, გზად გავლისას, იქ ვესტუმრე. დრო ცოტა მქონდა, მინდოდა სწრაფად წავსულიყავ ნავსადგურში, რომ თბომავალზე არ დამგვიანებოდა.

— არა, ასე ვერ გაგიშვებთ, — შემაჩერა მასპინძელმა, — წავისაუზმოთ. ისეთ ყირიმულ მუსკატს დაგალევინებთ, სამუდამოდ არ დაგავიწყდებათ.

— მე კიდევ კახურზე დაგპატიჟებთ...

— ჩამოიტანეთ?

— ერთი ბოთლი წამოვიღე.

— ყოჩაღ!

პავლენკომ აიღო კახურის ბოთლი და ერთ-

ხანს სინათლეზე სინჯავდა, მერე რატომღაც უსუნა მას და ბოლოს ჰაშნიკიც გაუსინჯა.

— საოცარია, ქართული მზის სურნელი გამახსენდა. გრძნობ? ჰო, რა უნდა გითხრა, იცი? შენ ახლა ორმაგად ჩვენებური ხარ — ყირიმის მხრივაც და საქართველოს მხრივაც. აბა, მომიყევი რა ამბებია საქართველოში?

მას ყველაფერი აინტერესებდა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაც და აკაკი ხორავას ახალი როლიც, ზუგდიდის მუზეუმის რეკონსტრუქციაც და იმ ძველი ჯარისკაცის, ქუთაისელი დურგლის და გიორგის ჯვრის კავალერის ამბავიც, რომლის შესახებაც ომის წლებში პავლენკომ ნარკვევი დაწერა. პეტრე ანდრეის-ძეს გაუკვირდა და ეწყინა კიდეც, რომ მე, საქართველოში მცხოვრებმა ამ ქვეყნის შესახებ ზოგი რამ არ ვიცოდი.

— ნუთუ აქამდე არ წაგიკითხავთ ნიკოლაძის წიგნი „ერთი წელიწადი როდენთან?“ სირცხვილია! მე ის წავიკითხე უდიდესი სიამოვნებით. აუცილებლად იშოვეთ. გრიგოლ აბაშიძის ახალი პოემა წაიკითხეთ? დერჟავინს მშვენივრად უთარგმნია. მაგ წიგნსაც ძალიან გირჩევთ. ხოლო თქვენ თვითონ რა დასწერეთ საქართველოზე? ცოტაა! მე მინდა უახლოეს ხანში დავიწყო რომანი თბილისზე, ეს განსაცვიფრებელი ქალაქია. მას, როგორც პირველ სიყვარულს, ვერასოდეს ვერ დაივიწყებ...

ვუსმენდი პავლენკოს, როცა ის თბილისზე ლაპარაკობდა და ვფიქრობდი: ჰო, ეს სიყვარულია. დიდი სიყვარული. მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გაგყვება. და ახლა, საითაც არ უნდა გადააგდოს ბედმა პეტრე ანდრეის-ძე, ის ყველგან თბილისელი იქნება. და ეს ქართული აქცენტიც, ეს ნამდვილი თბილისური ჟესტებიც მას სამუდამოდ შერჩება.

„ეს დაბადებიდან თანდაყოლილი მაქვსო“, — ამბობს პავლენკო. მართალს ამბობს. თუმცა პავლენკო პეტერბურგში დაიბადა. მას სრული უფლება აქვს თავის მეორე სამშობლოდ თბილისი მიიჩნიოს. მოგონებანი თავის ცხოვრებაზე პავლენკომ შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ნაძალადევიდან — თბილისის მუშათა გარეუბნიდან, სადაც ამ საუკუნის დასაწყისში მისი ოჯახი დასახლდა.

ხოლო მაშინ ნაძალადევის ცხოვრება კამკაშა და შფოთიანი იყო. დაღგა ცხრაასხუთი წელი და პირველი რევოლუციის მეხმაც დაიქექა. აქ, ნაძალადევში, ყოველი ქუჩა — გააფთრებული ბრძოლის ველი იყო. მეზობელ ხახლებში, პოლიციელებთან და კაზაკებთან შეტაკების შემდეგ, ქალები წყლულებს უხვევდნენ დაჭრილებს და დასტიროდნენ მოკლულებს.

აქ, ნაძალადევში, ადამიანები, მაშინაც კი, როცა ბრძოლაში დამარცხდებოდნენ, იმედს არ ჰკარგავდნენ: ახალი ბრძოლისათვის იარაღს ამზადებდნენ, ქედს არ იხრიდნენ არც უბედურების, არც სიკვდილის და, მით უმეტეს, არც საძულველი მტრის წინაშე.

აქ ჰაერით სუნთქავდა პატარა ბიჭი, ოზურგე-ბოლა მუშათა ძმობის მაგალითებზე.

... ჭეშმარიტად განუზომელია პავლენკოს ნაწარმოებებში გამოხატული გეოგრაფიული სივრცეები. მაგრამ მოგზაურობდა რა თავის გმირებთან ერთად ჩვენს თვალმიუწვდენელ საბჭოთა მიწა-წყალზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის უცხოურ ქვეყნებში, მწერალი არასოდეს არ ივიწყებდა თავის მეორე სამშობლოს — გულით საყვარელ საქართველოს. ის მუდამ ბევრს წერდა მასზე, წერდა დაუშრეტელი სიყვარულით და სინაზით, მაგრამ ყველაზე მეტი ძალით მან ეს თავისი ღრმა, თანდაყოლილი გრძნობა გამოხატა მოთხრობაში „ღამე გელათში“. მარტო შვილურ ერთგულებას, მარტო ძმურ სიყვარულს შეეძლოთ წარმოეშვათ ეს ამაღელვებელი სტრიქონები ძველი ქართული მიწის შესახებ:

— მართლაც რომ საფრთხე დაემუქროს ამ ტაძარს? რას ვიზამდი მე მაშინ? არა ერთგზის და ორგზის დავარისხებდი ამ ზარებს, რომ გამეღვიძებინა მთელი ქვეყანა და მომეხმო ადამიანებისათვის ამ მაღალი მთის თხემზე.

ჩვენ დავიცავდით მას ისე მამაცურად, როგორც ეს შემფერის გელათის ისტორიას.

... არის რაღაც ისეთი მთვარიან ქართულ ღამეში, რაც სამუდამოდ შევიდა რუსის სულში და განუყოფელია მისგან. შორეულ, ნისლით მოცულ წარსულში დაიწყო ჩვენი ძმობა, ის განმტკიცდა საერთო ბრძოლაში, ის წარმოსდგა ჩვენს პოეზიაში, ჩვენს მუსიკაში, გაამდიდრა ჩვენი სული უნაზესი სიხარულითა და აღტაცებით.

... არა, რაც უნდა საშინელი განსაცდელით აღსავსე ყოფილიყო ღამე, მე არ დავტოვებდი გელათის მთას.

... ჩვენ გავწყდებოდით გელათის მთაზე, როგორც მისი დამცველები“.

ეს სიტყვები პავლენკომ ომამდე დაწერა. და აი, როცა საქართველოს საფრთხე დაემუქრა, ის, როგორც მოსალოდნელი იყო, ამიერკავკასიის ფრონტზე აღმოჩნდა. როგორი პატივისცემით, როგორი სიამაყით წერდა მაშინ სამხედრო კორესპონდენტი პეტრე პავლენკო მათზე, ვინც მამაცურად იდგა კავკასიონის ჩამოთოვლილ უღელტეხილებთან და იცავდა საქართველოს იმ თავდადებით, რომელსაც მოითხოვს ამ ქვეყნის ისტორია.

არა, არ დარჩენილა მწერალი პეტრე პავლენკო ვალში თავისი მეორე სამშობლოს წინაშე. სიყვარულის ხარკს ის სიყვარულითვე იხდიდა, მეგობრობისას — მეგობრობითვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

# სტალინგრადი—მოსკოვი

„მნათობის" რედაქციამ მომმართა თხოვნით გამეხსენებინა ერთი დღე დიდი სამამულო ომის წლებიდან. ამ თემაზე ბევრი რამის დაწერა შეიძლება. ჩვენ ყველას, იმ დროის შემსწრეებს, ათასი ამბავი გვაქვს გასახსენებელი — ეს იყო მთელი ჩვენი ხალხის გმირული თავდადების ეპოპეა. და ომის ყოველი დღე, ფრონტზეც და ზურგშიც ალსავსე იყო ამ ჰეროიკით. მე ბევრი ვიფიქრე რომელი ეპიზოდი ამერჩია, და ბოლოს გადავწყვიტე რედაქციისათვის გადამეცა ჩემი მოხსენება, რომელიც წავიკითხე 1944 წლის სექტემბერში, მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სამხედრო აკადემიის მსმენელთა და პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე. ეს დღე სამუდამოდ დაუვიწყარია ჩემთვის — მე ველაპარაკებოდი ისტორიაში ყველაზე სახელოვანი არმიის აკადემიის მსმენელებს, არმიისა, რომელმაც იხსნა კაცობრიობა, იხსნა ხალხთა თავისუფლება, მათი აწმყო და მომავალი.

მართალი გითხრათ, დარბაზს თვალი რომ გადავავლე და წინა რიგებში მარშლები, გენერლები, პოლკოვნიკები დავინახე, ცოტა არ იყოს, შევკრთი, მით უფრო, ტრიბუნაზე იშვიათად გამოვდივარ, მაგრამ აუდიტორია გულწრფელად შეგვხვდა ჩვენ, ქართველ მწერლებს, და ამ ამბავმა მეც გამამხნევა. ჩემი მოხსენების შემდეგ, კონცერტზე გამოვიდნენ სახელგანთქმული რუსი და ქართველი მსახიობები: ვ. კაჩალოვი, ი. მოსკვინი, ს. გიაცინტოვა, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. გოძიაშვილი, თამარ ჭავჭავაძე და სხვები...

1944 წელს ჩვენ ქართველი მწერლები მოსკოვში სტალინგრადზე გავლით ჩავედით ვილაპარაკე იმაზეც, რაც სტალინგრადში ვნახეთ. მაგრამ ამაზე ქვემოთ ეს მოხსენება დღემდე არსად არ გამოქვეყნებია.

* * *

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს მწერლები და ხელოვნების ოსტატები ყოველთვის ერთგვარი მოკრძალებითა და შინაგანი მღელვარებით გამოდიან მოსკოვის საზოგადოებრიობის წინაშე, ვინაიდან მოსკოვი დედაქალაქია მთელი უზარმაზარი საბჭოთა კავშირისა; ამასთან, მოსკოვი არის ცენტრი დიდი რუსული კულტურისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა გენიალური მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები და მსახიობები, მათ შორის, ა. პუშკინი, ლ. ტოლსტოი, პ. ჩაიკოვსკი, ი. რეპინი, ფ. შალიაპინი... მათი სრული ჩამოთვლისათვის დროც არ გვეყოფოდა. ჩვენ აქ ჩამოვედით საქართველოდან, რომელსაც, კარგად მოგეხსენებათ, ტრაგიზმით სავსე ისტორია აქვს. ამ ძველი კულტურის ქვეყანას, თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო, წილად ხვდა ყოფილიყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე. მას დიდი ლიტერატურა აქვს და ამის ხელშესახებ და საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი". იგი რენესანსის ეპოქის მოწინავე იდეებით არის გამსჭვალული. ქართული მხატვრული პროზა კი მეხუთე საუკუნიდან იწყება. აქ უნდა გავიხსენოთ იაკობ ცურტაველის ბრწყინვალე ნაწარმოები „წამება წმიდისა შუშანიკისა", რომელიც ჰაგიოგრაფიულ ჟანრს შორდება და საერო ხასიათს ღებულობს; მომდევნო ეპოქებიდან მინდა დავასახელო გიორგი მერჩულეს შედევრი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", საბა ორბელიანის იგავების წიგნი „სიბრძნე სიცრუისა", დ. გურამიშვილის „დავითიანი" და სხვა ავტორების ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები. ასეთი მდგომარეობა იყო ძველ საქართველოს მწერლობა-

ში; ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას ამკობს ბრწყინვალე სახელები: გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, ეგ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი და სხვანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა ჩვენი ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მძაფრი განვითარება.

რუსი და ქართველი მწერლების მეგობრობას და კულტურულ გადაძახილს დიდი ხნის ისტორია გააჩნია. მე ალარაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ გრიბოედოვის მეუღლე გახდა გენერლისა და პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ქალიშვილი ნინო, არც პუშკინისა და ლერმონტოვის მოგზაურობაზე საქართველოში და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე, რომლის კვალი მათ ქმნილებებს ატყვია. არაფერს ვამბობ არც ლევ ტოლსტოიზე, რომელიც „ჰაჯი მურატზე“ მუშაობის დროს თბილისში ჩამოვიდა და ბევრი თბილი სიტყვა მიუძღვნა მას, არც მაქსიმ გორკიზე, რომელმაც კარგახანს იცხოვრა თბილისში და ქართველი მეგობრის და თანამოაზრის, მწერლის ეგნატე ნინოშვილის დაბეჯითებითი თხოვნის შედეგად დასწერა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, და თბილისის გაზეთში დაბეჭდა იგი, არც ილია ჭავჭავაძის სტუმარზე — გენიალურ კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკიზე, საგურამოს ცნობილ კაკლის ქვეშ გადაღებული მათი სურათი ილიას მუზეუმში რომ ინახება, არც თანამედროვე რუს პოეტებზე — ნ. ტიხონოვზე, ბ. პასტერნაკზე, ანტოკოლსკიზე, ზაბოლოცკიზე, რომელთაც ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავთ ჩვენში და ბევრი ლექსი აქვთ დაწერილი საქართველოზე; როგორც ხედავთ, რუს და ქართველ ხელოვანთა და მოღვაწეთა ნაცნობობას და მეგობრობას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, მაგრამ ახლა, საბჭოთა პერიოდში, ამ ათი წლის წინათ რუსი და ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებითს თანამეგობრობას გაცილებით უფრო ფართო გასაქანი მიეცა. ახეთი მჭიდრო კონტაქტი მაქსიმ გორკის თაოსნობის წყალობით დამყარდა მაშინ, როდესაც სსრკ მწერალთა კავშირმა მწერალთა შემოქმედებითი ბრიგადები გამოჰყო. ის ბრიგადები გაემგზავრნენ მოძმე რესპუბლიკებში, იცხოვრეს იქ და დაწერეს წიგნები, რომელშიაც აისახა ამა თუ იმ რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

საქართველოში ჩამოვიდა მოწინავე რუსი მწერლების დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, პ. პავლენკო, ლ. ნიკულინი, კრიტიკოსები — ვ. კირპოტინი, ვ. გოლცევი და სხვები. მათ თარგმნეს თანამედროვე და კლასიკური პერიოდის ქართველი პოეტები, ხოლო ქართველმა მწერლებმა — რუს თანამოძმეთა ნაწარმოებები. რუს და ქართველ მწერალთა შორის ჭეშმარიტი ძმობა და შემოქმედებითი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა, თანაც დიდი საშვილიშვილო საქმეც გაკეთდა. ეს კონტაქტები ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხების კულტურულ კავშირს, ურთიერთ გაგებას და საერთო ინტერესების შეგნების განვითარებას.

საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის, ქართველ ხალხსაც, არასოდეს არ დასდგომიათ ისეთი დიდი საშიშროება, როგორც ფაშისტური გერმანიის შემოსევის დროს. ჰიტლერის დივიზიებმა თავისი მხეცობით, სისასტიკითა და დაუნდობლობით ჩინგიზ-ხანისა და თემურლენგის ურდოებსაც კი გადააჭარბეს. გერმანელი ფაშისტების ჯარები თავის გზაზე სპობენ და ანადგურებენ ქალაქებსა და სოფლებს, ხვრეტენ მშვიდობიან მოსახლეობას, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს; ბავშვებიც კი არ ებრალებათ ჰიტლერის მიერ ზნეობიდან განთავისუფლებულ მხეცებს, უსიტყვო მანქანებს, რობოტებს, მათ მხოლოდ მსოფლიო ბატონობის, მთელი კაცობრიობის დაპყრობის გიჟური პრეტენზიებილა შერჩენიათ. ამ განუხორციელებელი მიზნის მისაღწევად ისინი არაფერს არ ზოგავენ და არაფერს არ ერიდებიან.

ჩვენ, აქეთ რომ მოვემგზავრებოდით, ვხედავდით მათ სისხლიან ნაკვალევს, ვხედავდით დაბომბილ ქალაქებს, სოფლებს, რკინიგზის დანგრეულ სადგურებს, დალეწილ ვაგონებს, რომელთა ბორბლები შორს ეყარა, ყანებში. მაგრამ დანგრეულმა სტალინგრადმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ, სტალინგრადში, მამაის ყორღანსა და ქალაქის მისასვლელებთან გაიშალა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არგაგონილი გიგანტური შერკინება, ომი, სადაც პაულიუსისა და მის დამხმარე არმიების ვეება ურჩხულს საბჭოთა არმიამ ბოლოს ალყა შემოარტყა და ხერხემალი გადაუტეხა. გიგანტურ ომში საბჭოთა ჯარმა ფაშისტების არმია დაამარცხა, იარაღი დააყრევინა, მისი სარდალი — მარშალი პაულიუსი, თავისი შტაბითურთ დაატყვევა. დაბომბილი და ნახანძრალი სტალინგრადი მართლაც შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და იგი გუმანით წვდება, თუ რა ვეება ბრძოლებმა გადიგრიალეს აქ, რომლებშიც უზარმაზარი არმიები ღებულობდნენ მონაწილეობას. ამ ბრძოლების გვერდით სავსებით იჩრდილებიან კაცობრიობის ისტორიაში მანამდე ცნობილი ლეგენდარული ილიონის, კართაგენის, რომის, დრეზდენისა და ვერდენის შეტაკებანი.

სტალინგრადის ნანგრევები, დაბომბვასა და ხანძარს გადარჩენილი თითო-ოროლა სახლის

გარუჭული და პირქუში კედლები შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სტალინგრადის ნანგრევების ხილვა, ადამიანის გულში, ამავე დროს, შურისძიების გრძნობასაც იწვევს, რათა ვერაგ მტერს სამაგიერო მიეზღოს. მაგონდებოდა კატონი, რომელიც რომის სენატორებს გამუდმებით უმეორებდა ერთსადაიმავეს: „ცეტერუმ ცენზეო კარტაგინემ ესსე დელენდამ“ („ამას გარდა, ვფიქრობ კართაგენი უნდა დაინგრეს!“). კართაგენი დღეს, სხვა გაგებით, ჩვენთვის ფაშისტური გერმანიაა, ის უნდა დაინგრეს და დაინგრევა კიდეც თავისუფლების მოყვარული საბჭოთა ხალხების ბრძოლის შედეგად.

ამხანაგებო! ამ სამამულო ომის დროს მოსკოვის საზოგადოებრიობასთან ქართველი მწერლების შეხვედრა პირველად ეწყობა, მაგრამ რუსი და ქართველი მწერლების ხმა საბჭოთა ხალხს და მის მებრძოლებს ფრონტზეც ესმით. მთელი ჩვენი ფიქრი და გრძნობა ახლა სამამულო ომისაკენ არის მიქცეული. ჩვენი სამშობლოსათვის საშინელ ჟამს, როდესაც მტერმა ვოლგის ნაპირებსა და კავკასიის მთების კალთებს მიაღწია, მთელს საბჭოთა კავშირში გაისმა დიდებული მწერლის ალექსეი ტოლსტოის მღელვარე და პატრიოტული მოწოდება: „შესდექ, ჯარისკაცო, არც ერთი ნაბიჯი უკან, ფეხებით შეეზარდე მშობლიურ მიწას!“ ასეთივე სიტყვებით მიმართავდნენ ამიერკავკასიაში მცხოვრები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოეტები და მწერლები თავიანთ თანამემამულეებს, რადგან ჩვენი საბჭოთა სამშობლო ერთია, როგორც ამას ამბობს პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი: „სამშობლოს გრძნობა ჩვენ ახლა გაგვიფართოვდა და ქართველისთვის მოსკოვი ისეთივე მშობლიური ქალაქია, როგორც თბილისი და ადამიანი მდინარე მტკვრის ნაპირიდან თუ ადამიანი მოსკოვმდინარის ნაპირიდან თავისუფალ და ამაყ ხალხთა ერთ მშვენიერ ოჯახში შემავალი ძმები არიან“.

განცდა სამშობლოსი და ისტორიისა ყველა საბჭოთა ხალხისათვის ახლა მართლაც ერთობლივია, ერთნაირია, და მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, სტალინგრადისა თუ სხვა ქალაქების დამცველნი, რომლებიც ფიცხელ ბრძოლაში მამაცურად დაეცნენ, ყველანი ჩვენი ძმები არიან, სულერთია, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი: რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელნი. ქართველი ვოლგასა და დონის სანაპიროებზე იცავს ჩვენს საერთო თავისუფლებას ისევე, როგორც რუსი იცავს მას კავკასიის მთების მისადგომებთან. მაგრამ არა მარტო სამშობლოს გრძნობა და ცნება გაფართოვდა და აღიქვა ახლა სხვაგვარად, არამედ პიროვნებისა და გმირის ცნებაც სულ სხვა, ახალი თავისებურების შემცველი გახდა. ჩვენი გმირი მფრინავები, გამოუვალი მდგომარეობის ჟამს, ცეცხლმოდებული მანქანითაც რომ მეხავდნენ მტერს, ჩვენი მამაცი მეზღვაურები, წელზე შემოკრული გრანატებით რომ ვარდებიან მტრის ტანკის ქვეშ, ოცდარვა პანფილოველი გვარდიელი, მოსკოვის მისასვლელებთან მტერს რომ გზა გადაუღობეს და იმ ტრაგიკულ წუთებში, როდესაც მოსკოვის ბედი წყდებოდა, უსწორო ბრძოლაში დაეცნენ, მოსკოვის მისასვლელებთან მებრძოლი ჯახიევის ჯავშნიანი მატარებლის დაღუპული ქართველი მებრძოლები, — ყველა ისინი თავისთავში პოულობდნენ სულიერ სიმტკიცეს და ძალას, რათა პირადულზე მაღლა დამდგარიყვნენ და მიეღოთ მტკიცე გადაწყვეტილება — სამშობლოს თავისუფლებისა და თანამემამულეთა ბედნიერებისათვის გაეწირათ თავისი სიცოცხლე.

ვერავითარი პირადი მოტივი ვერ უკარნახებს ადამიანს ასეთი გმირობის ჩადენას. გმირობის სათავე აქ ადამიანის გადაწყვეტილებაში უნდა ვეძიოთ: შევასრულოთ ერთმა ბევრთა შესაფერი და სასარგებლო კოლექტიური საქმე. გმირობა. გმირებს ჩვენი ხალხი სიყვარულით ეგებება, ხოტბას ასხამს და ადიდებს. ხალხი მათ თავის მხსნელ-ფარად და ციხე-სიმაგრედ სახავს, გმირები ჩვენს თანაგრძნობას იწვევენ, ჩვენში იბადება სურვილი მივბაძოთ მათ, გავხდეთ მათებრ სახელოვნი. ამ სურვილს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით კი ომის დროს. იგი ჩვენი გამარჯვების საწინდარია. ხალხს მოსწონს და უყვარს გმირი, მგოსნები უძღვნიან მას ლექსებს, მუსიკოსნი — სიმღერებს, მოქანდაკენი კი ძეგლს უგებენ. ხალხის თვალში გმირი უკვდავია.

თქვენ აქ ხედავთ ცნობილ ქართველ მწერლებს, რომლებიც ბევრს სწერენ ფრონტზე, ომზე, მებრძოლ გმირებზე, ზურგში დარჩენილ ბეჯით და მუყაით მუშებზე, კოლმეურნეებზე, ჩვენი საბჭოთა ხალხის სიდიადეზე, საბჭოთა ხალხების ძმობაზე, ბევრი ჩვენი მწერალი ამჟამად ფრონტზე იბრძვის. არიან მწერლები — ოფიცრები, ჯარისკაცები, სამხედრო კორესპონდენტები, საფრონტო გაზეთის მუშაკები, ზოგი კი ბრძოლაში დაეცა, ზოგი მძიმე ჭრილობების მერე ჰოსპიტალში იწვა, ისევ ფრონტს დაუბრუნდა, ან კიდევ შინ ჩამოვიდა.

თანამედროვე ფრონტელი რუსი მწერლები კლასიკური რეალიზმის დიდებული წინაპრების მემკვიდრეები არიან. საკმარისია გავიხსენოთ პუშკინის „პოლტავა“ და ზოგი მისი პატრიოტული ლექსი, ან კიდევ ლევ ტოლსტოის „სევასტოპოლის მოთხრობები“, და რაც მთავარია, მისი გენიალური რომანი „ომი და მშვიდობა“, რომ აშკარა გახდეს, თუ რა მდიდარი ტრადიცია გააჩნიათ გამოჩენილ მწერლებს —

მ. შოლოხოვს, ა. ფადეევს, კ. სიმონოვს, პოეტებს — ნ. ტიხონოვს, ა. სურკოვს, და სხვებს. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს ჯარისკაცებს შორის ნ. ტიხონოვის ლექსი „კიროვი", ა. სურკოვის „ღვივის ღუმელში ცეცხლი", კ. სიმონოვის „დამელოდე" და ასე შემდეგ. ასეთივე პოპულარობით სარგებლობენ ქართველ ჯარისკაცებში ჩვენი პოეტების ლექსებიც — გ. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო", ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე", კ. კალაძის „საარტილერიო დუელი"; ი. აბაშიძის აქ დასახელებულ ლექსს კითხულობენ, ზეპირად ამბობენ და მღერიან არა მარტო ფრონტელი ჯარისკაცები, არამედ საქართველოს თითქმის ყველა ოჯახში, ქუჩაში, კონცერტებზე, ყველგან. აი, ასეთი ჯადოსნური ძალის მქონეა სიტყვა პოეტისა.

სტალინგრადიდან მოსკოვისაკენ რომ მოვდიოდით, მატარებელში შეგვხვდა სათნო სახის მოხუცი რუსი მეცნიერი, ფილოლოგი, აკადემიკოსი ვლ. შიშმარიოვი. მე კარგად ვიცნობ მას. ჯერ კიდევ 1934 წელს ვლ. შიშმარიოვმა, ნ. ტიხონოვმა, მისმა მეუღლემ და მე ერთად ვიმგზავრეთ ლენინგრადიდან თბილისამდე. თბილისში ორჯონიკიძიდან ავტობუსით ღამის სამ საათზე ჩამოვედით. არსად სასტუმროში იმ ზაფხულს თავისუფალი ნომერი არ აღმოჩნდა. ნ. ტიხონოვი მეუღლითურთ თავის მეგობარი მწერლის სანდრო შანშიაშვილის ბინისაკენ გაეშურა, შიშმარიოვი კი ჩემი ძმის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის გიორგი ქუთათელაძის ბინაზე ნაშუაღამევს მივიყვანე. იგი ჩემი ძმის ბინაზე ერთ თვეს ცხოვრობდა. მე და ჩემმა ძმებმა — გიორგიმ, პროფესორებმა — ნიკომ და დავითმა ჩინებული მასპინძლობა გავუწიეთ უდიდესი მეცნიერის, აკად. ალექსეი ვესელოვსკის ყოფილ მოწაფესა და მის ღირსეულ მემკვიდრეს. იგი რომანული ხალხების მწერლობით, ხალხური პოეზიითა და სიმღერებით გატაცებული მეცნიერია. ამიტომ ქართული ხალხური სიმღერების განთქმული შემსრულებლები მოვიწვიეთ და სუფრაზე ვამღერეთ. მრავალხმიანმა, პოლიფონიურმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა გააოცა და აღტაცებაში მოიყვანა იგი. შიშმარიოვი, მალე, მეორეჯერ ჩამოვიდა თბილისში, რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის მოწვევით. თეატრის ფოიეში ჩვენს მეცნიერებთან, ა. შანიძესთან და ვ. ბერიძესთან მოსაუბრე შიშმარიოვმა დამინახა, მაშინვე ჩემსკენ გამოქანდა და გადამეხვია, ცოტახანს საუბრის მერე ჩემი ძმა გიორგი მოიკითხა. ის უკვე ცოცხალი აღარ არის, — მივუგე მას, მოხუცი მეცნიერი შეძრწუნდა, დანაღვლიანდა, თვალი ცრემლით აევსო და მითხრა: „რა საშინელებაა! როგორი გონიერი, კეთილი და რაინდი იყო თქვენი ძმა!" აი ეს მოხუცი მეცნიერი აღმოჩნდა ქართველი მწერლების ვაგონში, იგი ვორონეჟიდან მოსკოვს მიემგზავრებოდა. ცხადია, ჩვენი საუბარი სამამულო ომის გარშემო ტრიალებდა. აგზნებული, გამხდარი, მაღალი მოხუცი მეუბნებოდა:

— სტალინგრადიდან, ვოლგის ნაპირებიდან ჩვენი მებრძოლები დონისაკენ გაეშურნენ და როსტოვიდანაც გარეკეს ვერაგი მტერი. დარწმუნებული ვარ, დონის დანახვისას, თვითეული ჩვენი მებრძოლის გულში ალბათ, გაისმოდა რუსი ხალხის ძველთაძველი მგოსნის ნაჩურჩულები სიტყვები: „მსურს, იტყოდა, შუბი გადავტეხო ბრძოლის ველის ბოლოს, თქვენთან, რუსებო, მინდა თავი ჩემი დავდო, ან და ჩაფხუტით დავლიო დონის წყალი".

— კარგად არის ნათქვამი, — შევნიშნე მოხუც მეცნიერს, — ახლა ჩვენი ჯარი დასავლეთისაკენ მიერეკება მტერს ფაშისტური გერმანიის დღეები დათვლილია და რა ბუნაგშიც არ უნდა შეძვრეს სტალინგრადის ომში ხერხემალგადატეხილი ურჩხული, საბჭოთა ჯარისკაცის დამსჯელი მარჯვენა იქაც მიაგნებს მას და თავისავე ბუნაგში გაათავებს. უდიდესი განსაცდელის ჟამს, როდესაც ფაშისტური გერმანიის ურდოებმა კავკასიის მისადგომებს მიაღწიეს, იმ ხანებში, როგორც რუსი ჯარისკაცი იხსენებდა თქვენს მიერ მოყვანილ ბრძნულ სიტყვებს „იგორის ლაშქრობიდან", ისე ქართველი ჯარისკაცი იმეორებდა რუსთაველის უკვდავ სიტყვებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი".

— ასე, უდიდესი განსაცდელის ჟამს იღვიძებს წარსული ისტორიიდან მომდინარე სული თავისუფლების მოყვარული ერებისა და გამარჯვებისაკენ მიქცეული განუხრელი მისი ნება, — შენიშნა მოხუცმა.

ბოლოს მოსკოვში ჩამოვედით. ჩვენ აქ დავათვალიერეთ მოსკოვის გარეუბანი — ხიმკი და აქაც ომის ნაკვალევი დავინახეთ. მიწაში ჩარჭობილი რკინის ხარიხების ლობეები, თხრილები, ორმოები, მტრის დამსხვრეული ტანკები, საჭურველი. ეს ორმოცდაერთი წლის ზამთრის ბრძოლების ნაკვალევია, როცა მტერი დასავლეთისაკენ იხევდა. მოსკოვის გავლით, თანამედროვე, ახალი ტექნიკით აღჭურვილი, ციმბირის დასვენებული და გაწვრთნილი დივიზიები ფრონტისაკენ ეშურებოდნენ, რათა უკანდახეულ ფაშისტების ჯარს დადევნებოდნენ. იმ ბრგე, ახოვანი, ჯანღონით სავსე და მოწინავე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ჩვენი მებრძოლების დანახვისას გულში იმედი გვესახებოდა და ყველას გვჯეროდა, რომ რუსეთში ხერხემალგატეხილი ჰიტლერის დივიზიები მათ ვერ გაუმკლავდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ყიფიანი

# ბლოკადის დღეები

ომი რომ დაიწყო, იმ დროს ლენინგრადში ვცხოვრობდი, ის იყო ვამთავრებდი უცხო ენების ინსტიტუტს. უკანასკნელ კურსზე რომ გადავედი, პარალელურად მუშაობა დავიწყე მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, კავკასიური ფონდების გამგედ. ჩასაბარებელი დამრჩა მხოლოდ სახელმწიფო გამოცდები, რომელიც შემოდგომისთვის გადაიდო.

კავკასიური კაბინეტის სწავლულ მდივნად მაშინ თბილისში გაზრდილი უკრაინელი ბორის ტიხონის-ძე რუდენკო მუშაობდა. ქართველები ძალიან უყვარდა. ბევრი რამით ჩამოგავდა ქართველს, განსაკუთრებით ხასიათით: იყო მეტად ხალისიანი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე, ბრგე ვაჟკაცი. გარდა ქართულ-რუსულისა, კარგად იცოდა ევროპული ენებიც. მაშინ უკვე გამოცემული ჰქონდა ფუნდამენტალური ნაშრომი — „ქართული ენის გრამატიკა რუსებისათვის“, ხოლო იმხანად ნოდარ ციციშვილის „შვიდ მთიებს“ თარგმნიდა რუსულ ენაზე.

იმავე კავკასიური კაბინეტის თანამშრომელი იყო პროფ. ვარლამ დონდუა. გარდა საინსტიტუტო სამეცნიერო თემაზე მუშაობისა, იგი რუსულად თარგმნიდა იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“. ბ-ნი ვარლამი მისთვის ჩვეული ენერგიითა და ხალისით თარგმნიდა ამ პირველ ქართულ ენციკლოპედიას. როცა სხვა საქმე გამოჩნდებოდა და აჩქარებდნენ შეესრულებინა ესა თუ ის სამუშაო, მეტყოდა ხოლმე:

— თქვენ იყავით მოწმე, როგორ ძნელ პირობებში მიხდება ამ თარგმანზე მუშაობა.

ჩემთვის დიდი სიხარული იყო ყოველდღე მენახა ბ-ნი ვარლამი, ბორის რუდენკო, თავმდაბალი, შრომისმოყვარე და უაღრესად პატიოსანი ბაქოელი ალი-ზადე (ამჟამად აკადემიკოსია) და სხვა კავკასიელები, რომლებიც იმ დროს მოღვაწეობდნენ ან ასპირანტურაში სწავლობდნენ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

ფრონტზე მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ლენინის ქალაქს საშიშროება მოელოდა არა მარტო ფინეთის მხრიდან, ფაშისტები სამხრეთიდანაც ცდილობდნენ შემოჭრას. მათ აიღეს ქ. ფსკოვი და წინ მოიწევდნენ. ლუგის მიდამოებში ისინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და აქ წარუმატებლობის გამო, ახლა ნოვგოროდის მხრიდან გადაწყვიტეს შემოტევა. მალე ნოვგოროდიც აიღეს და წინ მოიწევდნენ.

ერთ დღეს შეგვკრიბეს ინსტიტუტის დიდ დარბაზში სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე, იკითხეს ვის აქვს მოხალისედ წასვლის სურვილიო. ასეთი ბევრი გამოჩნდა, მათ შორის, ვარლამ დონდუაც. მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „ამ რამდენიმე დღის წინ სადგურზე გავაცილეთ ფრონტზე მიმავალი ჩვენი ხომეხი ასპირანტი (სამწუხაროდ გვარი აღარ მახსოვს. თ. ყ.). გამომშვიდობებისას მან თქვა: „მივდივარ ფინეთის მხარეს, რათა სომხეთი დავიცვაო“. მისი მოსწრებული სიტყვები სავსებით შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. ეს საშინელი ომია მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირისათვის. ებრძოლე, მტერს — ნიშნავს დაიცვა ჩვენი სამშობლოს ყოველი მტკაველი. — ბოლოს თავისი სიტყვა დაახლოებით ასე დაამთავრა: „ჩემი მცირედი ძალ-ღონე სამშობ-

* თამარ ყიფიანი ცნობილი მთარგმნელია. მან თარგმნა და გამოაქვეყნა აპულეუსის „ოქროს ვირი“. ამჟამად „საბჭოთა საქართველო“ დასაბეჭდად ამზადებს მის მიერ თარგმნილ ფოიხტვანგერის რომანს — „გოა, ანუ შემეცნების რთული გზა“.

ლის დაცვის დიდი საქმისთვის მომიტანიაო“, და ჩაეწერა მოხალისედ.

სახალხო ლაშქრობის შტაბმა, ალბათ მისი სუსტი აგებულების გამო, შინ გამოაბრუნა. უთხრეს: „საჭიროების შემთხვევაში გამოგიძახებთო“. ეს ამბავი არ მოეწონა ბ-ნ ვარლამს.

დადგა დრო, როცა ვასილის კუნძულის სამეცნიერო დაწესებულებებსა და მოსახლეობას უნდა გაელო თავისი წვლილი საბრძოლო ნაგებობების მშენებლობაზე. გამოგვიცხადეს, რომ ხვალ დილით უნდა გამოვცხადდეთ რკინიგზის სადგურზე და თან უნდა ვიქონიოთ ყველაფერი აუცილებელი, რაც ორ დღეში დაგვჭირდება.

შესანიშნავი მზიანი დილა გათენდა. მოვემზადე წასასვლელად. ჩავაწყე ზურგჩანთაში თხელი, საზაფხულო საბანი, პატარა ბალიში, პირსახოცი, საპონი, ბინტი და იოდი, ჩუსტები, პასპორტი, ორასი გრამი პური და სხვა აუცილებელი წვრილმანი.

სადგურზე გრძელი ეშელონი იდგა. ვაგონები ხალხით იყო სავსე. ჩვენი ინსტიტუტიდან უმრავლესობა წამოსულიყო. არ ვიცი, რატომ არ იყო ბორის რუდენკო. კავკასიის კაბინეტიდან მგონი მეტი არავინ გვაკლდა.

დილის თერთმეტ საათზე მატარებელი დაიძრა, სიჩქარეს უმატა და მალე ლენინგრადი უკან მოვიტოვეთ. მატარებელი შეუჩერებლივ მიჰქროდა. ნაშუადღევის სამი საათი იყო, მატარებელი შედგა. გვიბრძანეს გადმოვსულიყავით და ტყისათვის შეგვეფარებინა თავი. ფაშისტების სამი თვითმფრინავი მოდიოდა ჩვენსკენ. რკინიგზის ორივე მხარეს ხშირი ტყე იყო და ჩვენი მწვანე მატარებელი ვერც კი შენიშნეს გერმანელების ბომბდამშენებმა, ისე გადაგვიფრინეს თავზე. ისევ გზა განვაგრძეთ. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, მატარებელი კვლავ გაჩერდა. გადმოვედით ვაგონებიდან. იქ არავითარი სადგურის მაგვარი რამ არ ჩანდა. გვიბრძანეს ძალიან ჩუმად ვყოფილიყავით, თავი შეგვეფარებინა ტყეში, ხეებქვეშ. ფრონტი ახლოს იყო.

დაბინდებამდე ტყეში ვიმალებოდით. მერე ჩამოდგა ბარებით სავსე სატვირთო მანქანა, ყოველმა ჩვენგანმა თავისთვის ბარი აირჩია და გზას გავუდექით.

ამასობაში კიდევ დაღამდა. პირველად ხანდახან მთვარე გამოჩნდებოდა, მერე ისიც ღრუბლებს მიეფარა და სიბნელეში მივაბიჯებდით. სიარული გამიჭირდა. ყოველ ნაბიჯზე გზაზე უხვად დაყრილ ქვებზე თითებს ვიმტვრევდი. ყოველი ფეხის გადადგმაზე ჩუმად ვკვნესოდი. აქეთ-იქით ვარლამ დონდუა და ბაქოელი ალი-ზადე მომყვებოდნენ. ახლა ორივე მხარში ამომიდგა, გამომართვეს ჩემი ჩანთა და ბარი და ასე მატარეს.

შუაღამე გადასული იყო, როცა ერთ დანგრეულ თავლას მივაღწიეთ. იქ დავბინავდით. თავლას სახურავი გადაგლეჯილი ჰქონდა. ახარჩევი არაფერი იყო და პირდაპირ [illegible] იატაკზე დავეყარეთ. [illegible] და [illegible] ჩემი საზაფხულო საბანი, ჩანთა თავქვეშ ამოვიდე, ზეწარი გადავიფარე და დავწექი. უმრავლესობამ უცბად დაიძინა. გამახსენდა ანდაზა — „შიმშილს საკმაზ-სანელებელი არ უნდა და ძილს სასთუმალიო“.

ფეხები საშინლად მიხურდა და თან მისივდებოდა. მიმატა და მიმატა ტკივილმა.

ირიჟრაჟა თუ არა, დაგვიძახეს ბარებით წავსულიყავით და ტანკსაწინააღმდეგო თხრილები გვეთხარა. ყველანი ცოცხლად და ხალისიანად წამოხტნენ. მარტო მე ვერ შევძელი ადგომა. მითხრეს, რომ ადგილზე დავრჩენილიყავი თანამშრომლების ჩანთების საყარაულოდ და თანაც დამესვენა.

უცებ კოკისპირულმა წვიმამ წამოუშინა. ძლივს მოვახერხე მუხლებზე დადგომა და ჩაბარებული ჩანთები თავლის იმ კუთხეში მივყარე, სადაც ორი მეტრი სახურავი კიდევ იყო შემორჩენილი. მეც ფორთხვით მივხოხდი ჩანთებამდე, წვიმამ მალე გადაიარა. მე ერთიანად გალუმპული ვწევარ და ვნატრობ ჩვენების გამოჩენას. დღე ძალზე გაგრძელდა. თავლას გვერდით გზა ჩაუდის. ჩამოგლეჯილი კარებიდან ვხედავ ცხენებშებმული ფურგონებით მიდიან სადღაც ლტოლვილები. სად? თვითონაც არ იციან. ცეცხლის ალში გახვეული მათი სოფლები. ფურგონებზე სხედან მოხუცი ქალები და მამაკაცები. ერთი ახალგაზრდაც არ ჩანს. ყველა ფრონტზეა. მიერეკებიან ჯოგებს, ზოგი ცხოველი დაკოჭლებულა და ძლივს მიდის...

საღამოს ხუთ საათზე დაბრუნდნენ დაღლილი, მაგრამ არაჩვეულებრივად კმაყოფილი თანამშრომლები. მათ ხომ მაინც რაღაც გააკეთეს ფრონტისათვის. იმ დღეს ყველა თავის ჩამოტანილ საგზალს შეექცა.

მეორე დღეს მოგვცეს შაქარი, მაკარონი, ცოტაოდენი ცხიმი, მარილი. პური ყოველდღე მოგვქონდათ. მე თანდათან გამოვკეთდი, მაგრამ მიწის სათხრელად მაინც არ გამიყვანეს. მე და ასაკით ყველაზე უფროსი პროფ. პანკრატოვი მზარეულებად დაგვნიშნეს. ჩვენი მომმარაგებელი იყო ერთი ასპირანტი (გვარი არც მისი მახსოვს), დახვდებოდა გზაზე ლტოლვილებს და შეევაჭრებოდა დაკოჭლებულ ცხოველებს, რომლებიც სულერთია დიდ მანძილს ველარ გაივლიდნენ. ფული, რა თქმა უნდა, არ გვქონდა, მაგრამ თანამშრომლები ხელწერილს აძლევდნენ ცხოველის პატრონს, რომ ომის დამთავრებისთანავე ინსტიტუტი გადაუხდიდა მათ საფასურს. მოგვიყვანდნენ ხან ბურვაკს და ხანაც ხბოს, დაგვიკლავდნენ და მე და პროფ. პანკრატოვი ვამზადებდით კერძებს.

თუმცა რა კერძები უნდა დაგვემზადებინა? რა გვქონდა! ვიშოვეთ სადღაც დიდი ქვაბი, დავანთებდით ხის ძირას ცეცხლს, შემოვკიდებდით სახელდახელოდ გაკეთებულ ხის საქვაბეზე ქვაბს, ჩავდებდით შიგ ხორცს, მერე ჩავაყრიდით ცოტა მაკარონს, მარილს და კერძიც მზად იყო...

ჩამოსვლიდან მესამე თუ მეოთხე დღეს თავლიდან საბძელში გადაგვიყვანეს. ჩვენამდე იქ თავშეფარებულ ლენინგრადელებს ვადა გასვლოდათ და ქალაქში გაესტუმრებინათ. იქ კოლმეურნეობას შეენახა საზამთრო თივა. რა სიამოვნება ვიგრძენით, როცა თავლიდან ამ „კომფორტაბელურ" სათივეში შევედით, რა სიამოვნებით გავშალეთ თივა და შევძვერით შიგ. საბძელს სახურავიც ჰქონდა, კარებიც და წესიერი კედლებიც. ერთ თანამშრომელს, ტომით თათარს, თან წამოეღო თხელი, მაგრამ დაბამბული საბანი. ყველა მას ეხვეწებოდა გვერდით დამიწვინეო. ჩვენი კაბინეტის მეტად სიმპათიური მემანქანე ნინო დიმიტრის ასული ხშირად ყველას მოასწრებდა და თათარს საბანქვეშ შეუძვრებოდა ხოლმე. ბ-ნი ვარლამი ეხუმრებოდა: „ახლა ველარ დაიფიცებთ, რომ სხვა მამაკაცის გვერდით არ გიძინიათო". შეიძლება ახლა არავინ დაიჯეროს, მაგრამ იმ დროს, იქ არავის ახსოვდა ვინ ქალი იყო და ვინ კაცი!

ჩვენს ახლოს ორი მიტოვებული სახლი იყო. ისიც მალე დაიცალა ლენინგრადელებისაგან და ახლა იქ გადაგვიყვანეს. უკეთეს ბინაში ჩავსახლდით, მაგრამ მიუხედავად ამისა, საწყალი ალი-ზადე მაინც გახდა ავად იშიასით. ველარ ინძრეოდა და არ ვიცოდით რით დავხმარებოდით.

ერთ დღეს შემაძრწუნებელი ცნობა მოვიდა. ფაშისტებს ჩვენთვის ლენინგრადში დასაბრუნებელი გზა გადაეჭრათ. ვისაც კი შეეძლო, მოხალისედ წავიდა. ფრონტზე მიმავლებს ვაჩუქეთ, ვისაც რა შეგვეძლო. ჩვენს ერთ მეცნიერ-მუშაკს, ნოვიკოვს მე პირსახოცი და წინდები ვაჩუქე — მეტი არაფერი გამაჩნდა. მერე ის ნოვიკოვი როგორღაც თბილისში მოხვედრილიყო, არ ვიცი როგორ მიაგნო ჩემ ძმას და აცნობა — თამარი ნოვგოროდთან ცოცხალი დავტოვე და მერე კი მისი არაფერი ვიცით.

ასე დავრჩით უკაცრიელ სოფელში. ფაშისტები სულ წინ მოიწევდნენ. ისმოდა განუწყვეტელი სროლა. ღამე თვალს გვჭრიდა ცაში ელვასავით მოსრიალე ცეცხლის ენები. მე უკეთ ვგრძნობდი თავს და მზარეულობას რომ მოვრჩებოდი, მივდიოდი მიწის სათხრელად.

ერთ დღეს მე და პანკრატოვმა სადილი ადრე დავამზადეთ და, ჩვენი „მუშების" მოლოდინში, ეზოში დავჯექით, ხის ძირას. პანკრატოვი მეტად ტკბილმოუბარი იყო. თხუთმეტი წელიწადი ჩინეთში ეცხოვრა და ბევრ საინტერესო ამბავს მიყვებოდა. მას ფეტრის ქუდზე, კოღოებისგან დასაცავად, ჩამოფარებული ჰქონდა პირსახოცი, მე გახვეული ვიყავი ჩემს საბანში და თვალების მეტი არაფერი მიჩანდა. ჩინეთის ამბავს მან ტროპიკული ქვეყნების იმ ხეების ამბავიც მოაყოლა, მზეს რომ ვერტიკალურად უყურებენ მათი ფოთლები და ჩრდილს არ იძლევიან. ერთბაშად თავზე წამოგვადგა შეიარაღებული წითელარმიელი და საბუთები მოგვთხოვა. ჩვენ პასპორტები მოვუტანეთ. იგი დააეჭვა ჩემმა გარეგნობამ და მისთვის უცნაურმა გვარმა, თქვა **Кипиани** იტალიური გვარიაო. გამახსენდა ლესინგის დრამის გმირი აპიანი **(Apiani)** ბევრი მტკიცების შემდეგ ძლივს დავაჯერეთ, იტალიელი არ ვიყავი და არც ფაშისტების პარაშუტისტი.

ერთ დღეს მტრის პარაშუტისტებმა წყაროც კი მოგვიწამლეს და ახლა შორიდან მოგვქონდა წყალი.

მიტოვებულ საკარმიდამოზე გადაბიბინებული იყო მწვანე ხახვი. მე და ვარლამ დონდუა გავდიოდით ბაღჩაში, ვკრეფდით და სადილს გემრიელად ვაყოლებდით მწვანე ხახვს. ერთ დღეს, ხახვის კვლებს შორის უცნაური რამეს მოვკარი თვალი. რაღაც დაწნულის მაგვარი ეგდო. დავაკვირდი და რას ვხედავ — ქალის ნაწნავი! ბოლო რეზინით არის შეკრული, მეორე მხარეს კი მიბმულია რაღაც მრგვალზე, შერუჯულზე და გაშავებულზე. — ბატონო ვარლამ, შეხედეთ! — ვიყვირე მე.

ვარლამ დონდუას ისედაც გაფითრებული სახე ახლა მკვდრისას დაემსგავსა. მერე ერთბაშად წამოწითლდა.

— საწყალი გოგონა!.. ეს რა საშინელებაა! მის დედას ალბათ მზე და მთვარე მასზე ამოდიოდა! — წამოიძახა მან.

— ნეტა ვინ არის? — ვფიქრობ მე. ცოცხლად წარმომესახა თვალწინ ცისფერთვალება ქერა ქალიშვილი, აქ, მიწის თხრის დროს უთუოდ ყუმბარამ ნაფლეთებად აქცია მისი სხეული და შორს მიმოფანტა ჰაერის ტალღამ. ქერა რომ ყოფილა, მისი ნაწნავის ბოლოს ჩანს. იქ კიდევ შერჩენია თმას ბუნებრივი ფერი. სხვაგან კი შერუჯულივითაა.

— ეს გმირი ქალია, აქ, ბრძოლის ველზე დაცემულა, — ამბობს ვარლამი, ჩვენ მისი თავის ქალა მიწას უნდა მივაბაროთ.

— სად წავიღოთ? — ვეკითხები.

— იმ ხის ძირას, — მიმითითა ცოტა მოშორებით მდგარ არყის ხეზე. — ახლა მე ბარს და რაიმე გასახვევს მოვიტან. აქ დამიცადეთ, — მითხრა და შენობისაკენ წავიდა. ეტყობა იქ არავის არაფერი უთხრა. მალე მარტო დაბრუნდა. თან ბარი და ჩემი სამკუთხა თავსაფარი მოიტანა.

— ხომ არ გეწყინებათ? შეიძლება არა? სხვა ვერაფერი მოვნახე.

— რას ამბობთ, როგორ მეწყინება-მეთქი, — ვუპასუხე.

გავახვიეთ თავის ქალას ნაგლეჯი ჩემს თავსაფარში და არყის ხეს მივაშურეთ.

ვარლამმა ლამაზი არყის ხის ძირას ბარი დაჰკრა და პატარა ორმო ამოთხარა. მე შიგ ჩავდე თავსაფარში გახვეული თავის ქალას ნაგლეჯი. მივაყარეთ მიწა. დავკრიფე იქვე ალალანებული ნაირფერი მინდვრის ყვავილები და პატარა საფლავს დავაყარე.

იქ ჩვენ თვრამეტი დღე დავრჩით. ხანდახან მივდიოდით და დავხედავდით ჩვენი „უცნობი ჯარისკაცის საფლავს“...

ერთ ბედნიერ დღეს გავიგეთ, რომ ჩვენებს ლენინგრადისკენ მიმავალი გზა ფაშისტებისგან გაეწმინდათ. წავიდა პირველი ეშელონი. მას გააყოლეს ავადმყოფები, მათ შორის ალიზადეც.

მეორე ეშელონით ქალები გაგვგზავნეს. ორედეჟში მარტო მამაკაცები დარჩნენ. დარჩა ვარლამ დონდუაც. მალე გავიგეთ, რომ მას კუჭ-ნაწლავის მწვავე ინფექცია შეეყროდა და იქიდან პირდაპირ ლენინგრადის საავადმყოფოში გადმოეგზავნათ

* * *

ბლოკადის საშინელ დღეებში, 1941 წლის დეკემბერში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მივედი. ოდესღაც წარმოსადეგი ვაჟკაცი, ახლა ჩონჩხადქცეული ბორის რუდენკო მუშტისოდენა გამხდარიყო. თავის მაგიდასთან მობუზული თვლემდა. ჩემს დანახვაზე თანამშრომლები ახმაურდნენ. ბორისმა თვალი გაახილა. ფეხზე წამოიჭრა, გახარებულმა ქართულად შემომძახა: „შენ გენაცვალე, ცოცხალი ყოფილხარ, ჩემო თამარ-ქალო!“ გადამეხვია და გადამკოცნა. ბევრი ვიმუსაიფეთ. სხვათა შორის, ორედეჟში ნაპოვნი თავის ქალის ამბავიც ვუამბე. მაგრამ იმ დროს, როცა ფრონტზე მილიონობით მეომარი სისხლისგან იცლებოდა, როცა ქალაქში ათასობით ადამიანი შიმშილით ქუჩებშიც კი ძირს ეფინებოდა, თავის ქალას ამბავმა მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ალბათ, როგორც სუსტ არსებას, ეს ამბავი სანტიმენტალობადაც კი ჩამომართვა. მე კი იგი დღემდე არ დამვიწყებია და ვერც დავივიწყებ.

* * *

დადგა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების დროც.

გერმანული ლიტერატურის წერით გამოცდაზე ექვსი თემა შემოგვთავაზეს. მე ავირჩიე „ახალგაზრდა გოეთეს დრამები“. ფანჯარასთან ვიჯექი და ვწერდი. ატყდა საშინელი გრიალი. მტრის საარტილერიო ქვემეხები, ჩემის აზრით, სმოლნს თუ უმიზნებდნენ. ჩვენი შენობა სმოლნის ნაგებობათა კომპლექსის გაგრძელება იყო. ყუმბარები სულ ახლოს სკდებოდა. გამომცდელი მეუბნება: „ყიფიანო! ფანჯარასთან ნუ ზიხარ, გადაჯექი, ყუმბარის ნამსხვრევი არ მოგხვდეს!“

სხვაგან გადავჯექი და ასეთ ამბებს შეჩვეულმა წერა განვაგრძე. მე ყოველთვის უფრო მეტად პაერიდან ჩამოცვენილი ბომბები მგვრიდა აუწერელ შიშს. ქვემეხების რატომღაც ისე არ მეშინოდა.

ასე იყო, თუ ისე, გამოცდებს მოვრჩი. მოვიდა დიპლომის აღების დრო. ძლივს მივლასლასებ ინსტიტუტისაკენ. ძალიან მიჭირს ჩემი ნახელავი დაბამბული, მუხლებამდე ზონრებით შეკრული წინდებისა და მამაკაცის ფეხსაცმლების თრევა. ქალის ფეხსაცმელში ვერ ეტევა სითბოსათვის საგანგებოდ შეკერილი რაღაც, რასაც ახლა სახელსაც ვერ ვარქმევ. თავზე შალი მაქვს შემოხვეული. მართალია, პირს კი ვიბან, მაგრამ სარკეში არასდროს არ ვიხედები. ვიცი და მეშინია ჩემი შესახედაობისა. ფეხზე ჩაცმის დროს თვალს ვხუჭავ, რომ შემთხვევით თვალი არ მოვკრა ჩემს ამოყრილ ძვლებს. მკიდია ზურგჩანთა. შიგ მიწყვია. ბინტი, იოდი, პირსახოცი, თეთრეული, ერთი კაბა, პურის ბარათი, პასპორტი და სხვა წვრილმანი, ურომლისოდაც ვერ ვიარსებებ.

ვცხოვრობდი ნევის პროსპექტზე, მოსკოვის ვაგზალთან ახლოს. ინსტიტუტისაკენ მიმავალ გზას ჩვეულებრივი მარშრუტით არ გავუდექი. ჩემი სახლის გვერდით ჩამავალ გრძელ ქუჩას გავყევი, რომ ჟუკოვსკის ქუჩასთან ჩამევლო. იქ, ოცდამეთორმეტე ნომერში ცხოვრობდნენ ჩემი ხანში შესული, კეთილი მეგობრები: ერთ დროს ოპერის შესანიშნავი მომღერალი ზინაიდა ნიკოლოზის ასული შანდაროვსკაია და მისი მრავალმხრივი, ნიჭიერი მეუღლე პეტრე სერგის-ძე. გზად მიმავალს მხვდება მარხილზე დაწყობილი მიცვალებულები. შინაურები მიასვენებდნენ სადღაც, ან სასაფლაოზე, რაც წარმოუდგენლად შორსაა, ან გვამების შემკრებ პუნქტში. ერთ მარხილზე ქალი ესვენა, გულზე მიკრული ბავშვით. მოხუცი მამაკაცი რის ვაივაგლახით მიათრევს მარხილს. ჟუკოვსკის ქუჩაზე, შანდაროვსკების სახლის წინ, ერთიმეორეზე ოდნავ დაშორებით ორი კუბო დგას. უცებ თავში გამიელვა: იქნებ შანდაროვსკებია! მაგრამ კუბოებში ვინ ჩაასვენებდათ? შვილი არ ჰყავდათ. შევყარდი მათ ეზოში. მეოთხე სართულზე ცხოვრობენ. დავდექი სადარბაზოსთან და ვფიქრობ: მეყოფა კი ფიზიკური, ან სულიერი ძალა იქ ასასვლელად? ამ

დროს ორი ქალიშვილი ჩამოდის კიბეზე. ვეკითხები: — ხომ არ იცით როგორ არიან შანდაროვსკები? მიპასუხეს: — ჩვენ კომკავშირლები ვართ. მათ ვეხმარებით. ახლაც იქიდან მოვდივართ. წვანან, მაგრამ ცოცხლები კი არიანო.

— ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეთ, კეთილო ახალგაზრდებო! — ვეუბნები. გადავწყვიტე პირველი შესაძლებლობისთანავე მენახა შანდაროვსკები და ახლა კი გზა განვაგრძე.

ინსტიტუტში დიპლომი მომცეს. აიღო იგი ჩემმა უკრაინელმა მეგობარმა გალინამაც. გვითხრეს, კლუბში შედითო. იქ სიტყვას წარმოსთქვამდა კომკავშირის კომიტეტის მდივანი, კითხულობდა ომში დაღუპულ სტუდენტთა სიას. ზოგი მათგანი თარჯიმნად იყო, ზოგიც მეომრად. „გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მათ ხსოვნას!“ — გაისმა ხმა.

გული საშინლად დაგვიმძიმდა. დიპლომის მიღება გვიხარია, მაგრამ ამდენი უბედურების მოწმეებს, სული გვეხუთება. გამახსენდა რუსთაველი: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, მაგრამ იქვე ვიგონებ მეორე ფრაზასაც: „რა მისჰირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“. მინდა გალინა და ჩემი თავი ვიხსნა მძიმე ფიქრებისაგან და ვუთარგმნი მას რუსულად ამ ფრაზების აზრს. თან ვპირდები, რომ თუ ჩემთან წამოვა (ჩემს უბანში ცხოვრობს), ვათხოვებ რუსთაველის რუსულ თარგმანს.

გალინა წამომყვა. ახლა მე მას საგანგებოდ გავუმასპინძლდები. წინა დღით, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ბორის რუდენკომ აკადემიის სახადილოში ნაშოვნი კარტოფილის ნაფცქვენები მიწილადა. მითხრა: ორივეს გვეყოფა, ამით თურმე მშვენიერი კატლეტები მზადდებაო. — ცხიმი რომ არ გვაქვს, რით შევწვათ-მეთქი. მიპასუხა: არაფერია, მოხარშულსაც ჩინებული გემო ექნებაო.

და აი, ახლა მოვამტვრიეთ ჩემს ოთახში უკანასკნელ ხის სკამს ფეხები. კედლის ღუმელში პატარა ცეცხლი გავაჩაღეთ, აგურებზე შევდგით ქვაბი, დავასხით წყალი და მოვხარშეთ ეს ნაფცქვენები. ბედად შემორჩენილი მქონდა ცოტაოდენი მარილი. ჩვენ კერძს მეტი არაფერი სჭირდებოდა!..

დავაწყვეთ ერთად მაგიდაზე ჩვენი დიპლომები, ერთიმეორე ჩაით ვადღეგრძელეთ და მივაყოლეთ „გემრიელი კერძი“. ჩაის ვეძახი, თორემ ჩაი სადა გვქონდა! ცხელ წყალს ცოტა მარილს ჩავაყრიდით, რომ რაიმე გემო მაინც მისცემოდა.

გალინას ვეუბნები: — ამ ჩვენი მარილიანი წყლით, რომელსაც წარმოვიდგინოთ რომ ჩემს სამშობლოში მოყვანილი ჩაის არომატი აქვს, გაუმარჯოს ჩვენი სწავლის დაგვირგვინებას!

ის კი მიპასუხებს: — ამ წყლით, იმ თქვენებური ჩაის წარმოდგენილი არომატით და ჩვენებური უკრაინული ხორბლისაგან გამომცხვარი, ასევე წარმოდგენილი პურის გემოთი მიდღეგრძელებიხარო. მე ვუპასუხე:

— მე თქვენებური პურის გემო ვიცი, ყანებიც მინახავს, მაგრამ შენ კი წარმოდგენა არა გაქვს ჩვენს ჩაის პლანტაციებზე. ახლა თითქოს ხელით ვსრეს და ვყნოსავ მის ნედლ, სურნელოვან ფოთოლს. საქართველოში რომ დავბრუნდები, აუცილებლად წავალ მეზობელ ქალებთან ერთად ჩაის საკრეფად-მეთქი.

ასე ვიზეიმეთ ინსტიტუტის დამთავრება. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, არცერთი სიკვდილზე არ ვფიქრობდით. ვოცნებობდით საძულველი მტრის სრულ განადგურებაზე, უკეთეს მომავალზე და სამშობლოში უვნებლად დაბრუნებაზე.

ამასობაში ატყდა საჰაერო განგაშის მაუწყებელი სირენების გულისწამღები ღმუილი. ავიკიდეთ ჩვენი ზურგჩანთები, უბეში ჩავიწყეთ ჩვენი დიპლომები, ვინაიდან არ ვიცოდით მოგვიწევდა თუ არა აქ დაბრუნება, დაგვხვდებოდა თუ არა ყველაფერი, როგორც ვტოვებდით, და ბომბსაფარში გავიქეცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

# უბის წიგნაკი

ეს კარგა ხნის წინ იყო. სოფელ ალერტიდან ვბრუნდებოდი. გზაზე ძე ხორციელი არ ჩანდა. ნაჯიხურთან, თემშარაზე რომ გადავუხვიე, მამაკაცის ხმა შემომესმა — პატივცემულო, თუ შეიძლება ერთი წუთით შეიცადეთ!

გავხედე, უმალ ვიცანი. ჩემსკენ ბათუ ლაშხია მოდიოდა, ერთ დროს სახელგანთქმული მოჭირითე, ახლა მარჯვენა მტკივან ფეხს ძლივს ადგამდა და რომ არ დაცემულიყო, ბზის მსხვილ ჯოხს ებჯინებოდა.

— მაპატიეთ, რომ შეგაჩერეთ, — მოიბოდიშა ახლო მოსულმა, — თქვენ მწერალი კაცი ხართ და ეგებ დაგაინტერესოთ, ერთი ჭარისკაცის უბის წიგნაკი მინდა გიჩვენოთ... ლევან კაკაჩია, ალბათ, გაგონილი გექნებათ... რაღაც ჩანაწერებია... მე ბიძა ვარ მისი... წამობრძანდით, ნახეთ!

თემშარიდან გადავუხვიეთ, ღელელუნტა ადგილებით ფერდობს ავყევით.

... მთის ფერდობზე, რომელსაც სოფლელებ-ბი ნახვლიკარს ეძახიან, შორიდან კარგად მოჩანს არც ისე ფართო ეზოში ჩადგმული ორი სახლი: ერთი ბოკონებზე შემდგარი ძველი ოდაა, მეორე კი, მის გვერდით, ორსართულიანი ქვითკირის სახლი, რომლის მხოლოდ მეორე სართულის კედლებია ამოყვანილი. კედლები შეულესავია, სახურავი გადაუხურავი, სახლის წინაკიდეზე სახელდახელოდ მიჭედილ ხის კაბესთან ყრია ალაგ-ალაგ შეკორძებულად კირშემხმარი მიწზრდილი როფი, ტარგადატეხილი თოხი და ქაფჩა. კარ-ფანჯრების ჩარჩოები გაურანდავ წიფლის სქელ ფიცრებზეა დაწყობილი; წვიმისაგან რომ არ დამპალიყო, ზედ გაფიხული მუყაო გადაუფენიათ.

— ახალი სახლის დამთავრება ვერ მოასწრო, — მესმის ბათუს ნაღვლიანი სიტყვები.

უხმოდ დავცქერი საოცრად ჩამოხვეულ გზას, რომელიც ნაჯაგართან ისე დამრეცად არის მოქცეული და ნაძვების, ფიჭვების ჩამუქულ ტყეს ისე ჩაუჩრდილავს ეს ადგილი, რომ გგონია ეს გზა მხოლოდ აქედან იწყება. გზა, მართლაც ზანტად გაწოლილ ხვლიკს მოგაგონებს, რომელსაც თავი ტყის სქელ სიმწვანეში შეუფარებია. ამის გამო თუ შეარქვეს სოფლელებმა ამ ადგილს ნახვლიკარი.

აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი სოფელი, ნოქალაქევის ციხის ნაბურჯალებთან ახლოს ახმაურებული ტეხურა, სურის სქელ თავხვეულების ქვეშ ჩაშლილ-ჩანგრეული გალავნის ნარღვევ-ნალორღი.

გზას ნელ-ნელა განვაგრძობთ.

ირგვლივ დუმილია და ყრუ სიჩუმე.

აღმართი დაილია და სოფიო კაკაჩიას ეზოს ჭიშკარსაც მივადექით. უცებ ცხენის გაგრძელებული ჭიხვინი გაისმა.

— ჯუდაა, ლევანის ცხენი, — წაიბუზუნა ბათუ ლაშხიამ. — პატრონს მოელის... ვინც ჭიშკარს მიადგება, ჰგონია ლევანი მოვიდაო და ჭიხვინებს...

ფაფარაშლილი, კისერმოღერებული ცხენი ჭიშკარს მოადგა. დაიხვიხვინა. შემოგვხედა, შემოგვაჩერდა, ნესტოები დაბერა, მერე როგორღაც მან წინა ფეხები რამდენიმეჯერ ჩაჰკრა, ისევ დაიხვიხვინა და როცა ჩვენს შორის პატრონი ვერ შეიცნო, წუთით გაჩერდა, ერთბაშად თავი ძირს ჩაღუნა, რაღაც უცნაურად ჩაიფრთხვინა თუ ჩაიხვიხვინა და უხალისოდ შეტრიალდა.

შევნიშნე ფაფარში შავი არშიები ჰქონდა ჩახვეული — გლოვის ნიშნად სოფიომ გაუკეთა. მაშინ ჯუდას ისე ეფერებოდა, როგორც ეს ლევანმა იცოდა, თან ებუტბუტებოდა — ჯუდა, დღეიდან, შენ უნავირს არავინ დაგა-

გამს, ლევანის შემცვლელი არ გვეყოლება... ამ ეზოდან მე არსად გაგიშვებ, მინამ ცოცხალი ვიქნები...

... შვილის სიკვდილი პირველად რომ გაიგო, დედა გაშეშდა, აცახცახდა, ერთი წაიკივლა და იატაკზე მოწყვეტით დაეცა; ენა წაერთვა, მარცხენა ხელი სხეულს მჩვარივით დაეკიდა — დამბლა დაეცა. მისი საცოდაობით მთელი სოფელი იწვოდა, თავს ევლებოდნენ, ამხნევებდნენ, სანუგეშებლად ეუბნებოდნენ, რომ ცნობა შეიძლება შეცდომით არის გამოგზავნილიო.

დიდხანს იყო ლოგინად ჩავარდნილი, ხმასაც ვერ იღებდა. ხანდახან გაიფიქრებდა — იქნებ, მართლაც, შეცდომით თუ გამოგზავნეს ცნობა, ომია და ვინ იცის რა არ ხდებაო.

მაგრამ ფრონტზე დაცემული ვაჟკაცის ყდაგაცვეთილი უბის წიგნაკი რომ მიიღო, დედის დამწუხრებული გული შეუნელებელმა გლოვის ზარმა აიტანა.

განვლო დღეებმა. წამოდგა, მაგრამ მარცხენა ხელი კვლავაც უმოქმედოდ ეკიდა, ვერ ამოძრავებდა. საშინლად გამხდარი, გაფერმკრთალებული, სვენებ-სვენებით დადიოდა.

შვილის ოთახში ფანჯრები ჩარაზულია. კედლებზე ძაძაა ჩამოფარებული. ლევანის საწოლს შავი არშია აქვს შემოვლებული. ბალიშზე მისი ქუდი დევს. საწოლზე მისი ტანისამოსია გაწყობილი. დაბლა, იატაკზე ყვითელი ფეხსაცმელები აწყვია. კედელზე ლევანის სურათი ჰკიდია, მაგიდაზე თითბერის შანდალზე თაფლის სანთელი ყვითლად ბჟუტავს.

. . . . . .

მაგიდის წინა კიდეზე, ნაჩქარევად დაწერილი, ფრონტიდან გამოგზავნილი შვილის წერილი იდო.

„დედი, ძალიან მომენატრე“ — იწყება წერილი.

„ვინატრე სიზმარში ერთი წუთით მაინც მენახე. შენ არ შეგეშინდეს დედი, ჩემი ჯავრი ნუ გექნება. ტყვია მე არ მეკარება. იცოდე დედი, რომ ფრონტზე რაც ტყვია და ყუმბარა ვარდება, ყველა რომ კაცს ხვდებოდეს, ამ ქვეყნად არცერთი ადამიანი ცოცხალი არ დარჩებოდა. ვინც ფრონტზე მიდის, განა ყველა კვდება. ჩემზე არ იჯავრო დედი, ნუ გეშინია... ისეთი ვაჟკაცები მიდგანან გვერდით, რომ სიკვდილს ახლოსაც არ მოუშვებენ... მე შენი კარგად ყოფნა სიკვდილსაც დამაძლევინებს. წერილი ხშირად მოიწერე...“

დედაც აქ არის, ოთახში... შესაბრალისად გამკრთალი სახით დგას მაგიდასთან, სადაც ლევანის სურათი შავ არშია შემოვლებულ ჩარჩოშია ჩასმული, თვალებგამოლამებული შესცქერის დედა და გულაჩუყებული, ნელნელა ამბობს:

— ტყვია არ მეკარებაო, რომ მწერდა, თურმე მანუგეშებდა და მიმალავდა თუ რა უბედურებაში იყო... ვაი, დედაშენს, შვილო!

ბათუ ლაშხიას ცრემლი მოერია და სოფიოს რომ არ დაენახა, ფანჯრისაკენ მიტრიალდა.

— რა დამრჩა შვილისაგან? არაფერი, გარდა აი, ამისა! — თქვა სოფიომ და შვილის უბის წიგნაკი გულისჯიბიდან ამოიღო; წიგნაკი შავი ხავერდის ნაჭერში იყო გახვეული — ვერ ვიშორებ, საფლავშიც თან უნდა ჩავიტანო! აი, ნახეთ, რა დღეში ყოფილა, ყველაფერი უწერია, ჰო, ყველაფერი... მაგრამ არა, ყველაფერს აბა როგორ დაწერდა... ვინ იცის, კიდევ რა არ გადახდენია...

უბის წიგნაკი გაყვითლებული, ყდა მკრქალად დამსკდარი, მიმოჭმუჭნილი და გადახუნებულია. ალაგ-ალაგ ფურცლები ჩაკეცილია...

ეტყობა, დედა დღე და ღამ ამ წიგნაკს ჩასცქერის. კითხულობს და თითქოს შვილს ესაუბრება.

— ბევრი რამ ვერ გამიგია, შვილო!

ჩავცქერი გაცრეცილ ფურცლებს — „მეცხრამეტე ვედებე“... — ვკითხულობ ერთ ადგილას. აჰა, საჰაერო-სადესანტო ბატალიონში ყოფილა ლევანი. ამას გაკრული ხელით ჩანაწერი მოსდევს:

„ჩვენი დესანტი დღეს გადასხეს, თოვდა ცაშიც და მიწაზეც თოვლიან მინდორში დავეშვით. დამწვარი სოფლის ბოლოს... ყველაფერი კარგად მიდიოდა, მარტო ერთი ჯარისკაცი დაგველუპა... პარაშუტი არ გაიხსნა, ვინ იცის რა მოხდა — იმ ბიჭის ბრალი იყო, თუ პარაშუტმა უმტყუნა... იმავე დღეს ზურგიდან შევუტიეთ მტერს“...

„გუშინ კვლავ მძიმე ბრძოლა გადაგვხდა. ბატალიონის მეთაურმა მადლობა გამომიცხადა, ჯილდოზე ვარ წარდგენილი“...

„ეს უკვე მესამეჯერ ვიყავი ცოცხლად დამარხული ცოცხალი ვარ და სიკვდილს ვებრძვი“...

ფიქრებში ღრმად წასული ბათუ ლაშხია თავჩაღუნული ისმენდა სიტყვებს.

— სადა ხარ ჩემო ვაჟკაცო, მოგიკვდეს დედა? — აღმოხდებოდა ხოლმე მოხუცს.

და აი, ეს ჯარისკაცის ფრონტული უბის წიგნაკი და მოუმთავრებელი ქვითკირის სახლი სამუდამო ტკივილად ჩაექსოვა გულს.

. . . . . .

დამწუხრებული ვიდექით დედის გვერდით, რომელსაც მისი ლამაზი ვაჟკაცისაგან, მისი შვილისაგან არაფერი დარჩა, გარდა ფურცლებგაცრეცილი, გადაყვითლებული უბის წიგნაკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# ობელისკი

არც ერთ ზღაპარში ასეთი რამ არ წამიკითხავს, თუმცა, ეს ნამდვილად ასე მოხდა.

ბიცოლაჩემი იმ წელს გარდაიცვალა, მისი შვილი ჯარში რომ წაიყვანეს. დარჩა მარტო ბიძაჩემი. მართალია, უფროსი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ იგი გათხოვილი იყო და სოხუმში ცხოვრობდა. მარტოხელა კაცი უვლიდა ოჯახს და ელოდა, ელოდა ომში წასულ ვაჟიშვილს — გიორგის. მისი დაბრუნების იმედით და რწმენით-ღა ცხოვრობდა მოხუცი. გიორგისაგან კი წერილი აღარ მოდიოდა. მამა მაინც არ ჰკარგავდა იმედს.

ერთ დღეს, თავში მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი, გიორგის საბუთებით, სოხუმის იმ ჰოსპიტალში მიიყვანეს, სადაც მთავარ ექიმად ბიძაჩემის სიძე — გურამ კუპრეიშვილი მუშაობდა. დაჭრილი ჯარისკაცი ძლივს სუნთქავდა, კვნესოდა და შველას ითხოვდა. მთავარმა ექიმმა მაშინვე მიიღო ზომები. ოპერაციას რომ მორჩა, ჯარისკაცის საბუთებს დახედა და ელდა ეცა. გურამს ნახვით არასდროს ენახა თავისი ცოლისძმა. სანამ მის დას, თინას ცოლად შეირთავდა, მანამ გიორგი ჯარში გაიწვიეს. გურამი ცოლისძმას მარტო ფრონტიდან გამოგზავნილი სურათით იცნობდა.

დასტაქარმა უფრო საგულდაგულოდ გასინჯა ჯარისკაცის საბუთები. მათში იმ სურათის ცალიც აღმოჩნდა, ამას წინათ ფრონტიდან რომ გამოუგზავნა გიორგიმ დასა და სიძეს. გურამი ახლა უფრო დაჟინებით დააცქეროდა დაჭრილ ჯარისკაცს. გადაბმული წარბებით და გრძელი წამწამებით, ბანდით შეხვეული პირისახიდან რომ მოუჩანდა, ეჭვმიუტანლად ჰგავდა ცოლისძმას.

— ის არის, ის, — ჩუმად იმეორებდა დასტაქარი, ყველაფერს აკეთებდა ჯარისკაცის გადასარჩენად, მაგრამ ვერა და ვერ უშველა, ორ საათში გათავდა დაჭრილი მეომარი.

მძიმე საგონებელში ჩავარდა გურამი. რა ქნას, როგორ მოიქცეს, რა ილონოს.., სოფელში წაასვენოს? — ეგებ ამით სიცოცხლე მოუსწრაფოს ჯარისკაცის მოხუც მამას. იქნებ, სჯობია თავისი ცოლი გამოიხმოს და ისე დამარხოს ცოლისძმა, რომ სიმამრს ამის თაობაზე არაფერი შეატყობინოს! თინა მაინც იყოს სოხუმში, ურჩევდა რამეს...

იმ ღამეს გურამს არ დაეძინა, გათენებისას ჩათვლიმა... სიზმარი იყო, თუ რაღაც უცნაური ზმანება, თავზე სიდედრი წამოადგა, შავებით დაბურული... ძლივსღა იცნო, მოეფერა, მოიკითხა, რამ შეგაწუხათ. ქალმა ტირილით უამბო: „— გუშინ მთელი ღამე მარცხენა ძუძუ მტკიოდა, ცუდად მენიშნა, დარდმა საფლავში აღარ გამაჩერა, შინ დავბრუნდი, თინა და მამამისი შემომეგებენ, მაშინვე გიორგი მოვიკითხე, მითხრეს — დიდიხანია წერილი არ მოგვსვლია და არაფერი ვიცითო; ამ პასუხმა რომ შემაწუხა, მაშინ თინამ მითხრა, რომ თურმე შენ მიგიღია რაღაც წერილი, ვერ მოვისვენე და შენსკენ გამოვწიე. ხომ არა იცი რა ჩემი შვილისა, სად არის! როგორ არის!“ გურამი დაიბნა და როცა მოხუცი ქალი არ მოეშვა, უთხრა: „—ჰო, გუშინ ჰოსპიტალში მოიყვანეს დაჭრილი“. „ჰოსპიტალში? ცოცხალია?“ „არა, ოპერაცია ვერ გადაიტანა“. და ის იყო იწივლა ქალმა: „ადექი, ახლავე წავიდეთ, მკვდარი მაინც მაჩვენე, რაკი ცოცხალს ვერ მოუარე. მე სიძედ ექიმი შემოგიყვანე, მეგონა ჩემს შვილებსა და იმ მოხუცს მიმიხედავდი, ახლავე წავიდეთ, მე თვით წავიყვან, მე თვით მოვუვლი ჩემს შვილსაო“...

გურამი ფეხზე წამოხტა, მოჩვენება გაქრა.

შეშფოთებულმა ექიმმა ჰოსპიტალს მიაშურა. იმავე დღეს სასწრაფო დახმარების მანქანით ჯარისკაცის ცხედარი სოფელში ჩაასვენა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცს თუთიის კუბოში ჩატანებულ მინიდან მარტო პირისახე მოუჩანდა. ჯარისკაცის მამა მთელი სამი დღე ჩასჩერებოდა ამ მინის სარკეში შვილის ნაჭრილობევ სახეს. რაღაც გამოუცნობი ეჭვი უღრღნიდა გულს. დაკრძალვის დღეს, ჯარისკაცის მამამ მოითხოვა კუბოს თავი ახადეთ, შვილს ერთხელ მაინც რომ ჩავეხუტოო. უარი უთხრეს, არ შეიძლებაო. რა ექნა, დაემორჩილა ბედის განაჩენს გულდამწვარი კაცი.

მოთქმითა და ვაებით დაიტირეს მეომარი. სამგლოვიარო მიტინგი რაიკომის მდივანმა გახსნა. სიტყვები რაიონის სამხედრო კომისარმა და სკოლის დირექტორმა წარმოთქვეს, ხოლო ერთმა პატარა მოსწავლემ გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“, ისეთი გრძნობამორევით წაიკითხა, მთელი სოფელი ტიროდა...

ორი თვე არ მოსცილებია ქალიშვილი მამას, მერე ისევ მარტო დარჩა მოხუცი. მას ახალი საზრუნავი გაუჩნდა: ყოველდღე შვილისა და ცოლის საფლავს ადგა თავს: ხან ქვიშა მიჰქონდა, ხან ცემენტი, ხან ხრეში თუ აგური. მეზობლების, ნაცნობებისა და ახლობლების დახმარებით ექვსი თვე თავაუღებლივ იშრომა და გააკეთა საფლავი, როგორც ეკადრებოდა სამშობლოსათვის დაცემულ ვაჟკაცს.

ომიც დამთავრდა. ოცკომლიანი მთის სოფლიდან ომში ოცდაათი კაცი იყო წასული. მათგან მარტო ცამეტი დაუბრუნდა სოფელს.

ერთ დღეს მოხუცი ეზოში ფუსფუსებდა. უცებ ჭიშკარი გაიღო და ვილაც პირმცინარი, ქერა ვაჟკაცი სირბილით წამოვიდა მოხუცისაკენ. უცნაურმა ელდამ გაჰკრა მამის გულს. ჯარისკაცი კი ეხვეოდა მოხუცს, სახეს უკოცნიდა... არა, ეს მოჩვენება არ იყო, ეს გიორგი იყო. როცა საბოლოოდ დარწმუნდა და შვილი შეიცნო, მოხუცმა ისეთივე მოთქმა დაიწყო, როგორიც იმ საბედისწერო დღეს, ჯარისკაცის ცხედარი რომ ჩამოასვენეს. ძლივს დააშვიდეს ბერიკაცი. მამაშვილი სახლში რომ შევიდნენ, გიორგიმ დედა მოიკითხა. მამამ პასუხი დააყოვნა. ეს ცუდად ენიშნა გიორგის, მეტი რა გზა იყო და მამამ ტირილით აცნო — დედა აღარ გვყავსო. გიორგიმ უმალვე სასაფლაოზე წასვლა განიზრახა. მაგრამ მოხუცს არ უნდოდა წასულიყო იქ; ჯარისკაცი გაოგნებული შესცქეროდა მამას, მერე ის იყო ძლივს ადგა მამა, შვილიც თან გაჰყვა.

სასაფლაო სულ ახლოს იყო, სახლიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით. აი, დედის სამარეც. გიორგიმ ქუდი მოიხადა, დაიჩოქა და უცებ თითქოს ადგილზე გაიყინა. დედის გვერდით მეორე საფლავი დაინახა, ზედ ფიქალი ედო და იმ ფიქალზე მისი სახელი და გვარი იყო წარწერილი. სული ველარ ამოითქვა. მამა გაფაციცებით ადევნებდა თვალს, და ახლა მაშინვე მიეშველა შვილს, სულმოუთქმელად უამბო, რაც მოხდა და როგორც მოხდა... გაოგნებულ ჯარისკაცს ტირილი აუტყდა, ტიროდა და ცრემლად ილვრებოდა. დასტიროდა ომში დაღუპულ ყველა ამხანაგს და მეგობარს, ყველა შინმოუსვლელს...

შინ რომ დაბრუნდნენ, მეზობლებიც მოვიდნენ. ბიძაჩემის ოჯახი გამოცოცხლდა, ჭერმა გაიხარა. მაგრამ ომიდან დაბრუნებული გიორგი მძიმე საგონებელს მიეცა: ვინ არის ის ჯარისკაცი, დედის გვერდით რომ მარხია. მთელ ღამეს ძილი აღარ გაეკარა, მთლად აფორიაქებული და მოსვენებადაკარგული წვალობდა, ბორგავდა, ფიქრობდა და ვერაფერი მოეფიქრებია. გათენებისას გაახსენდა: — ჰო, ორმოცდასამი წლის შემოდგომა იყო, ანაპასთან იდგნენ, 392-ე ქართული მსროლელი დივიზია შეტევისათვის ემზადებოდა. ოცეულს ოცწუთიანი შესვენება გამოუცხადეს. იმ დღეს საშინლად ცხელოდა ამ ზღვისპირა ქალაქში. არსად კაცის ჭაჭანება. ირგვლივ მყუდროება იდგა. სიცხისაგან შეწუხებულმა ჯარისკაცებმა ტანთ გაიძრეს და, სულ ახლოს, ზღვის პირას წამოწვნენ. თოთხმეტი იყვნენ. შორს, ცის ტატნობზე, ვეება ღრუბლები დაცურავდნენ და როცა მზეს დაფარავდნენ, მიწაზე ნაცრისფერი ჩრდილი წვებოდა. ნიავი დაუბერავდა, მზე ისევ გამოაჭყიტებდა და მზის სხივებზე ისევ ლაპლაპებდა იისფერი ზღვა... ამ სანახაობით გატრუნულ ჯარისკაცებს უცებ განგაშის მაუწყებელი სიგნალი შემოესმათ. ელვის უსწრაფესად წამოცვივდნენ, და ვინ, ვის ტანსაცმელს იცვამდა, აღარავინ იცოდა.

ჯარი შეტევაზე გადავიდა. ახლა აგონდება გიორგის — მესამე დღეს მიხვდა, რომ მისი ხალათი, რომლის უბეშიც საბუთები ჰქონდა შენახული, სხვას ჩაეცვა. იმ ვაი-ვაგლახში სად იყო იმისი დრო თავისი საბუთები ეძებნა. იმ თოთხმეტი კაციდან მხოლოდ ოთხნი გადარჩნენ. მათშიაც მოიკითხა, მაგრამ ამაოდ. ასე ნელ-ნელა აეხადა ფარდა გარდასულ ამბავს. მაშ, ეს ერთი იმათგანია, იმ დღეს ზღვის პირზე რომ იწვნენ. მაგრამ რომელია, ვინ არის?

იმ თოთხმეტ კაცში ორი რუსი და ერთი აზერბაიჯანელი ერია, დანარჩენი ქართველები იყვნენ. დიახ, ასე იყო. ძილდაკარგული გიორგი წამოდგა, ქაღალდი აიღო და სათითაოდ ჩამოწერა იმ თოთხმეტი ჯარისკაცის გვარი და სახელი. ამ სიაში ის ოთხი წაშალა, რომელიც მასთან ერთად გადაურჩა ომის ქარცეცხლს. მესამედ კითხულობს იმ ათი ჯარისკაცის სახელს და გვარს და ვერაფრით დაუდგენია, რომელი მათგანი განისვენებს დედის საფლავის გვერდით? ასე იწვალა, ჯვარს ეცვა მთელი ის ღამე და ის დღე, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

მეორე დღესაც ცუდ გუნებაზე იყო, მაშინვე სასაფლაოზე გაემართა და ისევ მოინახულა დედისა და თანამებრძოლის საფლავი.

დგას ახლა ამ საფლავის წინ და ფიქრობს, როგორ მოიქცეს. უცებ იფიქრა — ქვაზე ჩემს სახელსა და გვარს წავშლი და ზედ დავაწერ: „უცნობი ჯარისკაცის საფლავი". მაგრამ ეს რომ არ იქნება მართალი? უცნობი კი არა, მისი ნაცნობი, მისი თანამებრძოლი წევს ამ ლოდქვეშ. ფიქრი ფიქრს გადაება, და საბოლოოდ გადაწყვიტა ფიქალზე ომში დაღუპული იმ ათი ჯარისკაცის სახელი ამოეკვეთა. ერთი თვის შემდეგ ჯარისკაცის საფლავზე ჩვეულებრივი ობელისკის მსგავსი ქვიშისფერი სვეტი აღმართეს — და ზედ ათი ვაჟკაცის სახელი და გვარი წააწერეს.

1946 წლის 9 მაისს მეც დავესწარი ამ ობელისკის საზეიმო გახსნას. სიტყვაც წარმოვთქვი. მიტინგი რომ დამთავრდა, აღელვებულმა ჩემმა ბიძაშვილმა ჩუმათ მითხრა: „—უთუოდ კარგად მოვიქეცით... ამიერიდან ეს მარტო საძმო საფლავი კი არა, ძეგლია, სიმბოლური ძეგლი, ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად. ისე კი, ნეტავ როდისმე დადგინდება ვინ განისვენებს აქ, ან დანარჩენი ჩემი ცხრა მეგობარი სად არის დამარხული?" — ძლივს დავამშვიდე ჩემი ბიძაშვილი.

იმ დღის შემდეგ ოცდაცხრა წელმა გაიარა, ბევრი რამ შეიცვალა ჩემს სოფელშიაც. ჩემმა ბიძაშვილმა, ომგადახდილმა გიორგიმ ცოლი მოიყვანა და სამი შვილი გაზარდა. ბიძაჩემი გარდაიცვალა და ბიცოლაჩემის გვერდით დაასაფლავეს. გიორგის ვაჟი ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. გიორგი კი — ჩვენი სოფლის სკოლის დირექტორია. მთის ფერდობებს შეფენილი ჩემი პატარა სოფელი უფრო გალამაზდა, საძმო საფლავის ობელისკი, დიდ სამამულო ომში დაღუპულ ვაჟკაცთა უკვდავების ეს სიმბოლო კი დგას შეურყევლად.

დგას ობელისკი სოფლის სასაფლაოზე, დიდი ცაცხვის ახლოს, ქარი ოდნავ არხევს ბებერ ხეს და შრიალებენ ცაცხვის ფოთლები... შრიალებენ თუ ნანას უმღერიან მარადი ძილით ჩაძინებულ ჯარისკაცს.

არა, არც არაფერი იკარგება და არც არაფერი ავიწყდება ხალხს! ჩემი სოფელი სათუთად უვლის და ინახავს ომში დაღუპულ იმ ჯარისკაცთა სახელებს. ყოველ ცხრა მაისს მთელი სოფელი ყვავილებითამკობს საძმო საფლავს. ჩვენი სოფლის პიონერები კი ყოველ შეკრებას აქ მართავენ, საზეიმოდ იღებენ ახალ წევრებს და ამ ათი ვაჟკაცის სახელსა და გვარს ფიცით იმეორებენ. ხალხი ინახავს, ხალხი უკვდავყოფს იმათ წმინდა სახელებს, რომელთაც გმირული სიკვდილით იხსნეს ჩვენი ქვეყანა ფაშისტური ურჩხულებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჯიბლაძე

# სამუმიც ვერ შეიძლებდა...,

სამუმიც ვერ შეიძლებდა ისე აეფორიაქებინა ადამიანების ცხოვრება 1941 წლის 22 ივნისს, როგორც ომის პირველმა დღემ სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი.

ყველაფერში ომი შეიჭრა, ერთბაშად და მოულოდნელად!

მოსალოდნელი თითქოს არ იყო, ომისწინა დაძაბულობა სულ არ იგრძნობოდა.

ზაფხული დაიწყო, ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა, თვითეულ მოქალაქეს თავისი გეგმა ჰქონდა შედგენილი — სად წასულიყო, სად გაეტარებინა ხორშაკით სავსე ივლისი ან აგვისტო; არცერთ საბჭოთა ადამიანს ფიქრადაც არ გაუვლია, რომ მის მშვიდობიან განწყობილებას მრისხანე არესის მახვილი დაეჯახებოდა — პლანეტის ომი დაიწყებოდა.

იმ საშინელ დღეს, როცა ომის ცეცხლოვანი ენები აენთო, თბილისში არ ვიყავი, თუმცა უნივერსიტეტის დოცენტად და გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი.

ომის პირველი დღის გახსენება ჩემს გონებაში დაკავშირებულია სულ პატარა ოდისეასთან.

თბილისში მიდიოდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები. იგი დაიწყო გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის ძველ შენობაში. გასტროლებმა თბილისის საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. 20 ივნისს დაიდგა შექსპირის „მეფე ლირი" (რეჟისორი დოდო ანთაძე). თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, სპექტაკლს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის იმდროინდელი ხელმძღვანელობა ესწრებოდა. ეს გასაგებიც იყო — ლირს თამაშობდა ამ როლის კლასიკური შემსრულებელი ქართულ სცენაზე ალექსანდრე იმედაშვილი. ლირი-იმედაშვილი ყველას სურდა ენახა. მე დავალებული მქონდა შედარებით ვრცელი რეცენზია დამეწერა.

მეორე დღეს, 21 ივნისს, რეცენზია ააწყვეს, კორექტურა გავასწორე და ქუთაისში გავემგზავრე ცოლშვილის თბილისში ჩამოსაყვანად (დედაქალაქში სამუშაოდ ორი თვის გადმოსული ვიყავი).

მეორე დღეს, 22 ივნისს, ქუთაისში დილით ჩასულს ომზე არაფერი გამიგია. მუშაობითა და მგზავრობით დაღლილ-დაქანცულს მეძინა. 11 საათზე მეუღლემ გამაღვიძა და სასოწარკვეთილმა მითხრა: გერმანიას ომი დაუწყია ჩვენს წინააღმდეგ.

— ჭორი იქნება, — ძლივს მივუგე გაოცებულმა, — ომის არავითარი ნიშან-წყალი არ არის, ნუ დაიჯერებ!

მართლაც არ მჯეროდა, მაგრამ დაუყოვნებლივ გავემართე ქალაქის ცენტრისაკენ. გუშინდელ დღესავით მახსოვს, რომ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წინ შეკრებილი იყვნენ ჩემი გაოგნებული მეგობრები, რომლებსაც რადიოგადაცემა, საბჭოთა მთავრობის განცხადება უკვე მოესმინათ და ომის დაწყება დაადასტურეს.

შეშფოთებული უკანვე დავბრუნდი, ოჯახი გამოვეთხოვე და საბარგო მატარებლით სადგურ რიონში ჩავედი. იქიდან ორთქლმავალითა და შემხვედრი საბარგო მატარებლით ვიმგზავრე, გულისხმიერი რკინიგზელების დახმარებით საღამო ხანს უკვე დიდი ვაი-ვაგლახით სამუშაოზე ვიყავი.

კვირა საღამო იყო, მაგრამ რედაქციის ყველა მუშაკი ადგილზე დამიხვდა ჩემი ერთგული მეგობრის, მაშინდელი ჩვენი რედაქტორის ვალერიან ხატიაშვილის კაბინეტში.

ახლაც თვალწინ მიდგანან ძველი ჟურნალისტები — ნიკა აგიაშვილი, ანტონ კელენჯერიძე, ალექსანდრე გვინჩიძე, ნიკო მშველიძე, შალვა გამყრელიძე, თედო კუნჭულია, ვლადიმერ ბურჯანაძე, არჩილ კოკილაშვილი, შალვა მანჯავიძე, „კომუნისტის" იმდროინდელი მუშაკები. ყველა რაღაც უცნაურ გრძნობას შეეპყრო — გაოცება, მრისხანება, აღშფოთება, საბრძოლო მზადყოფნა, ერთად შეერთებული, მათ სახეზე ცხადად იხატებოდა.

ყველა მოელოდა როდის გამოვიდოდა ან რას იტყოდა სტალინი!

საბჭოთა მთავრობის კატეგორიული, გამარჯვების რწმენით სავსე პირველი განცხადების ტექსტი უკვე ხელთა გვქონდა, ვკითხულობდით და აღშფოთებას გამოვთქვამდით ჰიტლერის გიჟური მოქმედებით. იმავე დროს, თვითეული ჩვენთაგანი თავისი მოვალეობის შესრულებაზე ფიქრობდა.

მოკლე თათბირზე რედაქტორმა ყველას თავისი საქმე მიუჩინა.

პირველი დავალება მეც მივიღე — მოწინავე უნდა დამეწერა.

უმალვე შევუდექი წერას და მალე დავამთავრე, აღშფოთება ხომ ძალებს აათკეცებს!

ეს იყო „კომუნისტის" პირველი საკუთარი მოწინავე სამამულო ომის თემაზე. მოწინავე სწრაფად აიწყო, მეორე დღეს, ორშაბათს გაზეთის რიგგარეშე ნომერი გამოვიდა „პრავდის" ბრწყინვალე მოწინავეთი, ჩვენი კი 24 ივნისის ნომერში დაიბეჭდა. შემდეგ, ყოველი ორი-სამი დღის მანძილზე ვწერდი მოწინავეებს, სტატიებს, პუბლიცისტურ წერილებს (მაგალითად, „ჯოჯოხეთის ტრიუმვირატი", „გერმანია ვულკანზე"), ხელმოწერით ან ხელმოუწერლად, ერთი სიტყვით, — იმ პირველი დღიდან და იმ პირველი მოწინავიდან 400-ზე მეტი ჩემი მასალა დაიბეჭდა „კომუნისტის" ფურცლებზე (ომის დამთავრებისადმი მიძღვნილი ბოლო მოწინავეც ჩემი დაწერილია).

იმ დღეს, საღამოს, მეგობარი მწერლები მოვიდნენ და გვთხოვეს დავალებები მიგვეცა — ზოგმა ლექსი დაწერა (პოეტმა ილო მოსაშვილმა), ზოგმა წერილი, ერთი სიტყვით, უკვე გაფორმდა ჩვენი „რედაქციის მებრძოლი ანტიჰიტლერული კოალიცია". ომის პირველივე დღეს ყველა ჩვენს მუშაკს საბრძოლო განწყობილება დაეუფლა და გუშინდელი მშვიდობიანი ჟურნალისტები ერთბაშად მეომრები გახდნენ.

მახსოვს როგორ დაგვირეკეს და თავიანთი შრომა შემოგვთავაზეს გალაკტიონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ალიო მაშაშვილმა... ყველას ჩამოთვლა ძნელია.

დამახასიათებელია, რომ, თუ გადახედავთ 22 ივნისის „კომუნისტს", სრულიად მშვიდობიანი ნომერია. იგი ვერ გაგრძნობინებთ არამარტო საშინელ ომს, ნიავის ქროლვასაც. გაზეთში ასახულია საბჭოთა ხალხის დიდი კულტურული ცხოვრება, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის მომენტები, შრომა და ოფლის ღვრა. შექსპირის „მეფე ლირზე" ჩემს რეცენზიას გაზეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი.

მაგრამ თურმე რა გვეშექსპირებოდა ან რა გვემეფელირებოდა!

დაიწყო უმაგალითო სამუმი, რომელიც გვეგონა ნახევარ წელზე მეტს არ გასტანდა, გერმანია უეჭველად დაეცემოდა. ყველა ასე ფიქრობდა. მაგრამ ოთხი წლის მანძილზე უმძიმესმა ომმა ათეულ მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, ათიათასობით ქალაქები, დაბები, სოფლები ნაცარ-ტუტად აქცია. ბევრი ჩვენი მეგობარი მწერალი და საბჭოთა პრესის ვეტერანი ტყვიამ იმსხვერპლა. საშინლად მწარე იყო ყოველივე ამის განცდა. პირველი ცნობები ფრონტებიდან ხომ ჩვენს წარუმატებლობაზე მეტყველებდნენ. ფაშისტები წინ მიიწევდნენ, ჩვენ ბრძოლით უკან ვიხევდით, ვტოვებდით მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს...

მაგრამ გერმანული ფაშიზმი, რომელმაც ცეცხლის გეენია წამოიწყო, თვითონვე განადგურდა.

თვითეულმა ჩვენთაგანმა ომის ყოველი დღე რომ აღწეროს, — უმნიშვნელო ან შეუმჩნეველი ხომ არცერთი დღე არ ყოფილა, — თითო დღეს კი მხოლოდ თითო გვერდი დაუთმოს, თვითეულს ორტომიანი მოგონებები გამოუვა. ამიტომ ამბობენ ჩვეულებრივად: ომის გეენიას სიტყვა ვერ დაეწევაო. და განა სიტყვას შეუძლია იმ უნაპირო ტანჯვის, გამოუთქმელი უბედურების, ტოტალური ნგრევისა და აურაცხელ საშინელებათა გამოხატვა, XX საუკუნის ვანდალებმა რომ მოგვაყენეს და განგვაცდევინეს?

არა არ შეუძლია!

ამიტომ ჩვენ უდიდეს პატივისცემას ვგრძნობთ ყოველი ლიტერატურული შრომისადმი, რომელიც საბჭოთა მეომრის თავგანწირულ ბრძოლას ჰიტლერიზმის განადგურებისათვის ცოტად თუ ბევრად ნიჭიერად ასახავს.

კაცობრიობა ვერასოდეს დაივიწყებს იმ უდიდეს ისტორიულ აქტს, რომ საბჭოთა ადამიანმა საშინელი ურჩხული მოსპო, ცეცხლმფრქვეველი გიგანტი ივარაუყო, რითაც ერები იხსნა სრული განადგურებისა და სამუდამო დამონებისაგან, ხოლო პროგრესული კულტურა — ალგვისაგან პირისაგან მიწისა!

დამპყრობლური ომების ისტორიამ ჰკუა ერთხელ მაინც უნდა ისწავლოს! მისი მზე სამუდამოდ უნდა ჩაესვენოს და აღარასოდეს ამოვიდეს!

**სანდრო შანშიაშვილი**

# საძმო სამარესთან

დგას ქანდაკება გამძლე რვალისა,
შაშხანით ხელში ჯარისკაცისა;
მის გვერდით ბავშვის უწყინარისა,
ბავშვს თითქოს მტრისგან შეშინებია,
ფარაჯის კალთას შეფარებია.

ეს ძეგლი ამკობს საძმო სამარეს...
უწყვეტლივ მოდის ხალხი ამ არეს...
მუდმივი ცეცხლის ალი კაშკაშებს
და მისი შუქი ძეგლს დასთამაშებს.

აქ დაკრძალულთა სიას ვკითხულობ,
თითქოს მიქრება თვალში ნათელი,
სხვადასხვა ერის მებრძოლ შვილებთან
ამოვიკითხე ბევრი ქართველი.

— ვაგლახ! წახვედით ვალმოხდილები,
ვერ დაგიტირეს ნათესავებმა!
ვინ იცის, იქნებ ტიალ მინდვრებზე
თქვენი გულმკერდი გლიჯეს სვავებმა!

ეხ, რომ გესმოდეთ ჩემი გულისხმა,
ჩამოგძახებდით ცივ სამარეში,
რომ განადგურდა მტერი ჯალათი,
სრულად მოისპო მისი თარეში.

დღეს რომ ვზეიმობთ გაშლილ სუფრაზე
და დიდ-პატარას მოგვილხენია —
ეს მოგვიპოვა თქვენმა მარჯვენამ
და თქვენი მადლი ყველგან ჰფენია!

ბოროტი საქმე წარმავალია,
დაგაზიანებს, მალე ჩაქრება;
დაე, ახსოვდეთ ომის მზრახველებს,
რაც არ ერგებათ, არც შეერგებათ!

ვდგევარ ძეგლის წინ და გლოვის ნაცვლად
ხალხი მქუხარე სიმღერას ისმენს;
აქებენ გმირებს, თავდადებულებს,
თავის მარჯვენით ქვეყანა იხსნეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

# ცხრა მაისი

ჩვენ გვაპატიონ სილაღე შინმოუსვლელთა ღრუბლებმა! —
მზეს ვინც აქ შევრჩით — საქვეყნოდ გვაქვს ამ ზეიმის უფლება.

ტყვია, ვინ იცის ვის აცდა — სამასში სამი ვინ არის!? —
რომელი მხედრის მარჯვენა, შუბლი რომელი მფრინავის...

ისე, ვით მოსვლა მაისის — მაისის ელვა-ქუხილით
ჩვენი ხმაც ხევ-ხევ გაისმის, ჩვენც ამ ქვეყანას ვუღიმით!

ცა აჰა, შავო მერცხალო, დიდი ალაზნის ველისა —
გაფრინდი, კვლავაც შენა ხარ დარდი სიმღერის მთქმელისა!

დარდი ჭაბუკთა სიობლეს რად აჩნდეს ცრემლის ნამადა, —
სწორედ ღიმილში ეტყობა მათ სიჭაბუკე მამათა!

ვაჟკაცისათვის ხელჩართულ ომშიაც არა ბნელოდა,
ისევ და ისევ სიმღერა ისმოდა საქართველოდან!

ნურავის გაუკვირდება მუხლმოუღლელი დგომა მთის —
ასე აცოცხლა იმედი ხალხმა ომიდან ომამდის!

ჩვენც გვაპატიონ სილაღე შინ მოუსვლელთა ღრუბლებმა! —
მზეს ვინც აქ შევრჩით, გულდაგულ, გვაქვს ამ ზეიმის უფლება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

# არსენალი

## ბალადა

ძველი, ყავლგასული არსენალი
გაღმა აიზიდა რკინიგზიდან,
მძლავრი მაგნიტური არესავით
მგზავრი მიმიტაცა, მიმიზიდა;
და რაც საზიარო მაბადია
სულით მოწრიალე არსებათა,
და რაც მასულდგმულებს ადამიანს, —
აღარ დამხვედრია არსენალთან:
არც ის მოედანი ძმაკაცებით,
ბურთი — ფალასებით გატენილი
და არც მოულოდნელ გადაცემით
გოლი კარიანად გატანილი,
არც სულმოუთქმელად დალეული
თითბრის ონკანიდან ნატახტარი.
ფიქრი ბორიალობს დაბნეული
გზაზე ვაგონიდან გადამხტარი.
ლამის სიბერემდე გამაბავშვოს,
რა ხმა შემომესმის უსასრულოდ?
— იხმე მეგობრები სათამაშოდ,
ვიდრე წარიშლები უწარსულოდ,
როგორც სიყმაწვილე უკოცნელი,
როგორც სტუდენტობა უნისიო,
როგორც ეკლესია ულოცველი,
როგორც დაბადება უმესიო,
როგორც არსებობა უბრძოლველი,
როგორც წინამძღოლი უმისიო.

რა ხმა შემომესმის არსენალის,
რა გზით მოისწრაფეს შემოკრება
ბრძოლის უკანასკნელ არენაზე
სიყრმის, სიმძიმილის მეგობრებმა?
თუ ამ ულიმღამო შენობიდან
ისევ პირველყოფილ გატაცებით —
ცოცხალთ სამყაროში შემოდიან
ომში დაცემული ძმაკაცები...
და ჰა, არსენალის ბორცვებიდან
ხალხი მოედანზე განაწილდა,
აქეთ ნახევარზე ცოცხლებია,
კარი იქითაა გარდაცვლილთა.
მსაჯობს ყავლგასული არსენალი,
ერთდროს აღმართული სიამაყით,
რომლის უსახური მსგავსებანი
ახლაც ღზევდებიან იარაღით.
ჯერაც აცახცახებს საუკუნეს
ელდის მოლოდინით სატკივარი,
ჯერაც ულაჟღაჟებს განუკურნელს
ტანზე ვარდისფერი ნატყვიარი.
ჯერაც აკისრია არსენალებს
აწმყოს მიმოფანტვა ნაფლეთებად,
მკვდრეთის მოსახლეებს აწრიალებს,
არყევს მიწისქვეშა აფეთქება.
ჯერაც ამრეზილი შენობიდან
ხსოვნად საშინელი განჩინების,
ცოცხალთ სამყაროში შემორბიან
გუნდად დაწყობილი აჩრდილები.
და ჰა, მოედანი ახმაურდა,
შეხვდნენ დაღუპულნი გადარჩენილთ.
მატჩი დაგვირგვინდა, რა თქმა უნდა,

ომში დაცემულთა გამარჯვებით.
თუმცა ბიძინათა, გაბრიელთა,
ჯარჯთა, ქიტესათა, არსენათა
გუნდმა გამარჯვება დაიბედა,
მაინც შემომესმა არსენალთან:
— ძველო ტკივილების გადანაშთო,
არც შენ გაგეძლება უსასრულოდ,
სიკვდილ-სიცოცხლესთან სათამაშოდ
ვერც შენ გაიშვები უწარსულოდ,
როგორც სიყმაწვილე უკოცნელი,
როგორც სტუდენტობა უნისიო,
როგორც ეკლესია ულოცველი,
როგორც დაბადება უმესიო,
როგორც არსებობა უბრძოლველი,
როგორც წინამძღოლი უმისიო.
რა ხმა მაყრუებდა ზარგუგუნის,
შიშით დედამიწა ფეთდებოდა,
ორგზის ომგადახდილ საუკუნის
ყველა არსენალი ფეთქდებოდა.
ვიდრე გაზაფხული სისხამდილით
ძმათა ნაფეხურებს დაცრემლავდა,
ფიქრი სიზმარეულ სინამდვილით
ქროდა გაუქმებულ არსენალთან
იდგნენ არმიები დაღუპულთა
ტყვიით დაცხრილული ფარაჯებით,
თითქოს საქართველოს დაუბრუნდა
ყველა ჯარისკაცი გამარჯვებით.

ვასილ გვეტაძე

## უნდა დაწერო

შავი ჩექმები, მწვანე მაზარა და ავტომატი მომცრო კონდახით,
ლულა პირღია ჰყეფს შესაზარად, ქარი ბუქიან გზებს მიმოსძახის.
დამწვარ ველებში, დათხრილ სანგრებზე განლაგებულა ჩვენი ოჯახი.

ჩვენი ოჯახი ჯარისკაცული, სიმწრით ფიქრების აფოფინება,
ყურთან, ყვრიმალთან ტყვიის ტკაცუნი, სულის ამოხდა რომ არ ინებია.
ორმო ამოყრილ მიწის სურნელით, ძმობა შეკრული რკინის ტინებად.

მწარე მახორკა. გულის ჩამწველი, ზეცა კვამლით და ჭვარტლით ნაფერი,
გათეთრებული უცებ თმა-წვერი, წამი ხელიდან სულის გაფრენის...
უნდა დაწერო, უნდა დაწერო, უნდა დაწერო ეს ყველაფერი!

## ნეტა, რას ფიქრობს ტრამალი

ნეტა, რას ფიქრობს ტრამალი —
ომით დათხრილი ველი!
დუმილში თუკი რამ არი:
ნეტა, რას ფიქრობს ტრამალი?

რაა წუხილის წამალი,
ან ტკივილების ძველის...
ნეტა, რას ფიქრობს ტრამალი —
ომით დათხრილი ველი!

## სანიტარი

სანგარს თხრიდა,
მთელი ღამე ოფლი ღვარა,
ნიჩბით მიწა ამოყარა აი, ახლაც.
გათენდა და ზლაზვნით ამდგარ ბოლში ყანა
როგორც ადრე, ორ ნაბიჯზე დაინახა.

დადგა,
თითქოს ბოლო სვრელი გაიტანა,
გაიტრუნა ყანა მისი ყანის დარი.
მერე იქვე წაიძინა სანიტარმა —
ალბათ, ძილში სიზმარს ნახავს სანიტარი...

გამოხედავს ეზო ყვითლად შენაფერი,
მწვანე მოლი არ მოიშლის სხვაგვარ
შრიალს.
სიო ჭალებს გამოჰყვება ფრენა-ფრენით
და ნაცნობ სუნს შემოიტანს სანგარშიაც.

სიოს, ქარსაც —
სანგრებს ფრთებს რომ გადააშლის,
ომხივარსაც,
თან რომ ახლავს დახნულ მინდვნარს,
პურის მკელი, ჯარისკაცის ფარაჯაში,
ვერ უცვნიათ და თავები ჩაუქინდრავთ.

ყვრიმალებში ჩაიჟონა ოფლი ღვარად,
კვამლში გაკრთა ყანა მისი ყანის დარი.
ყანისპირზე დაიძინა სანიტარმა —
ნეტა, როგორ სიზმარს ნახავს სანიტარი.

## სანგართან, თოვლზე

გაჭრა საეჭვო სიჩუმე გაღმა —
თოვლზე შიშინით დაეცა ნაღმი.

მის წინ დაეცა და ნაცნობ შიშინს
გრძნობს საფეთქლებზე მხტუნავი კუნთი...
ის ერთ ადგილზე მიჭედა შიშმა
რაღაცნაირად და ერთი წუთით

წარმოიდგინა მან პირველყოვლის:
როგორ ჩამოვა შავ ჭვარტლად თოვლი!..

როგორ გაჩნდება თოვლზე იარა
წითელ ყაყაჩოდ... ხალებიანა...

მაგრამ აქამდე რისთვის იარა?
მაგრამ მანამდე რად გაიარეს?
ან რად დატოვა თოვლზე იარა
და რა მოარჩენს ახლა იარებს...

ჰო, ელის, ელის, მომთმენი ყოვლის:
როგორ ჩამოვა შავ ჭვარტლად თოვლი!

დარჩა საეჭვო სიჩუმე გაღმა —
სანგართან, თოვლზე დაეცა ნაღმი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნარა ბახტაძე

# ტყვია და მალამო

## მოთხრობა

იმ უპურო, უშეშო, უშაქრო წლებში ჩვენებს ყველაზე მეტად სიცივე აშინებდათ. ამ ზამთარს არ დავიყინოთო, — იტყოდა დედა და ადრიან შემოდგომაზე თიანეთისაკენ მიმავალ მანქანას აემგზავრებოდა, თან მართას გაიყოლებდა. ეს ორი ქალი, იქ, ტყეტყე დაეხეტებოდნენ, წაქცეულ ხეებს და მორებს ეჭიდებოდნენ, იქვე ხერხავდნენ, აპობდნენ, ყრიდნენ ტომრებში და რის ვაი-ვაგლახით ჩამოჰქონდათ თბილისში. მაგრამ შეშა ქალების ნაცოდვილარი რომ იყო, თუ მოზიარე გვყავდა ბევრი, მალე გველეოდა. უნდა გენახათ მაშინ დედაჩემი — სამსახურიდან მოსულს შინ ცივი ღუმელი რომ დახვდებოდა, კეთილ თვალებში არწივის მზერა ჩაუდგებოდა, კარსუკან დაგდებულ ცულს დასწვდებოდა და რაც ხელთ მოხვდებოდა, თვალისდახამხამებაში ნაფოტებად აქცევდა. ამ დროს მე თავზარდაცემული, კედელს ავეწებებოდი და ღმერთს ვევედრებოდი ჩემსკენ გადმოეხედა: დედას სარწეველა არ დაეფშვნა, კამოდისათვის ნაჯახი არ დაეკრა. მაგრამ იგი თითქოს ვერ ხედავდა ამ ორ საგანს ოთახში; მაგიდა, სკამები, კარადა, ტახტი, თაროები — თუ რამე გვებადა ხისა, ყველაფერი დააპო, შეშად აქცია. სარწეველასა და კამოდისათვის ცული კი არა, თვალიც არ დაუკრავს.

ეს ორი საგანი ორივესათვის ერთნაირად ძვირფასი იყო. სარწეველა ჭოჭინა ყოფილა ჩემი. ახლაც ძილს გემოს ბუმბულის ლეიბზე ვერ ჩავატანდი ისე, როგორც ამ გახრეგილ სარწეველაში.

კამოდს დიდედას სული ედგა. მისი შეხედვა პატარა შავოსან ქალს მიცოცხლებდა, თავზე წაკრული თალხი ხილაბანდით, ცეცხლით გარუჯული სახით, კვამლით ამწვარი თვალებით. კამოდი ადრე მას ეკუთვნოდა. სოფელში, თავის ოთახში ედგა. კამოდის გასაღებებს მუდამ ჯიბეში ინახავდა. იშვიათად ალებდა, როცა ალებდა, მოწმეს არ ისწორებდა. ჩაიკეტებოდა ოთახში და დიდხანს იყო ასე კარგამოკეტილი. ოთახიდან გამოსულს ყოველთვის წამლის მძაფრი სუნი ასდიოდა და ნამტირალევი თვალები ჰქონდა. ერთი სული მქონდა ხელში ჩამეგდო ამ საიდუმლო სკივრის გასაღებები, და შიგ ჩამეხედა, მაგრამ დიდედა გასაღებებს ღამითაც არ იშორებდა, ბალიშის ქვეშ მალავდა.

უშველებელი იყო კამოდი. სიგანით მთელ კედელს ფარავდა, სიგრძით ჭერს წვდებოდა: ჩუქურთმიანი, წითე-

ლი ხის, იდგა ლომის ექვს ფეხზე. ჰქონდა ოთხი უზარმაზარი ყუთი. თითოეულ ყუთს ორ-ორი ოქროსვარაყიანი სახელური. მზე რომ მოადგებოდა, კამოდი ოქროს ძაფებით მოქარგულ დედოფლის გულისპირივით ბზინავდა.

ზაფხულში ყოველთვის დიდედას სტუმარი ვიყავი. იმ წელსაც მასთან ვისვენებდი. ერთ დილას ორივენი ადრიანად ავდექით და ლეღვის ხეზე ავედით, რომ წინა ღამით თბილისიდან ჩამოსული დედასათვის ჯერ ისევ ნამშეუშრობელი ლეღვი მიგვერთმია. მოხუცი მთელი დღე კარგად გრძნობდა თავს. საღამოს ლაფაროში ჯირკზე იჯდა და რაღაცას ჰყვებოდა, რომ უცებ თავბრუ დაესხა. ხელში ატატებული დიდედა ოთახში შეიყვანეს და ლოგინზე დააწვინეს. დილამდე იწვა თვალებდახუჭული. დილით, თვალი რომ გაახილა, დამინახა თუ არა, თავისთან მიმიხმო, გამხდარი ხელები საბნიდან ამოყო, ბალიშის ქვეშიდან კამოდის გასაღებები გამოაძრო და გამომიწოდა.

— აჰა, ჩემო გოგო, კამოდის გასაღებები, შენი იყოს, რაც შიგ არის, ისიც შენია. კამოდი მზითევში გაგატანოს დედაშენმა. მშვიდობაში მოგახმაროს ღმერთმა... მე ვკვდები.

— რას ამბობ, დიდედა, — შევიცხადე მე.

—ასეა და რას იზამ, დრო აღარ არის თუ? ოთხმოც წელიწადს გადავაბიჯე. მზე ჩავა და აგერ ნახავ, თუ არ მოვკვდები...

— არა, არა, არ მოკვდები, — გავჯიუტდი მე.

— ვიდრე სული არ დავლიო, არ გაალო! — თქვა მან და გაიღიმა, ანდერძი ზემოთა ყუთშია. კამოდი უბრალო არ გეგონოს, გერმანულია. ბაბუაშენი ფულის საშოვრად რომ გადაიხვეწა, იქიდან დაბრუნებულმა ეს კამოდი ჩამოაკინკილა. აბა, შენ იცი, ისე შეასრულე ყველაფერი, როგორც ანდერძში წერია!

დიდედას გასაღებები გამოვართვი და ისევ ბალიშის ქვეშ ამოვდე. ვარწმუნე: — დღეს მზე არ ჩავა. მზე არასოდეს არ ჩავა-მეთქი.

მზე ჩავიდა. დიდედასათვის სამუდამოდ დაბნელდა.

* * *

დიდედას ოთახში ტახტზე ვისხედით. მე ანდერძს ვკითხულობდი. დედა მისმენდა და დროდადრო ბავშვივით სლუკუნებდა. ანდერძი ბოლომდე რომ ჩავიკითხეთ, ისევ კარადას მივუბრუნდით. უჯრაში, სადაც დიდედას ანდერძი შეენახა, გულდაგულ დაკეცილი, ჯერ დაუხურავი მატყლის საბანი, ბუმბულის ორი ბალიში და ყვითელი საბნისპირი ჩაეწყო. სხვა არაფერი იდო შიგ. უჯრა კი ტყვიასავით მძიმე იყო. ძლივძლიობით შევაბრუნეთ უკან.

მეორე ყუთი ოდნავად დავძარით ბუდიდან, რომ იქიდან წამლის სუნი ამოვარდა, რაღაცამ გაიწკარუნა.

— ჰურჭელია! — გამაფრთხილა დედამ.

უჯრაში, მართლაც, ჰურჭელი ელაგა. ფერად-ფერადი ფაიფურის თეფშები — ზოგი სადილის, ზოგი ჩაის, კანაფით შეკრული ვერცხლის კოვზები, დანა-ჩანგალი, თავახდილ საშაქრეში მწვანედ შეფერილი შაქრის ნატეხი იდო. შაქრის გვერდით ფინჯანში ორი ბოთლი იდგა.

— რა ასხია ბოთლებში? — შევეკითხე დედას.

— პატარა ბოთლში პიტნის წვეთებია, — დიდში კი — ეთერი.

— რისათვის არის საჭირო? -- ისევ ვიკითხე.

. დედას ჩემი შეკითხვა არ გაუგონია. მან ეს უჯრაც უკან შედგა, ახლა ორთავე ხელით შუა უჯრის სახელურს ჩაეჭიდა, გამოსწია.

შიგ ჩავიხედე, თვალებს არ დავუჯერე, თავი სიზმარში მეგონა, ვიფიქრე ეკლესიის ვანძეულობას წავაწყდი-მეთქი. უჯრიდან ხატებმა და ჯვრებმა შემომანათეს, ბზინავდა ლალის, თვალე-

ბით მოჭედილი ვერცხლის ქამარხანჯალი, დოლბანდში გახვეული თეთრი თივთიკის ჩოხაზე სანთლის ყვავილებით შეკრული სადედოფლო გვირგვინი იდო.

— რაც თავი მახსოვს, ეს ჩოხა სულ ამ კამოდში დევს. ქამარხანჯალი და ჩოხა მამაჩემის ნაქონია, გვირგვინი დიდედასია. მეორედ რომ წასულა მამაჩემი რუსეთში, უკან აღარ დაბრუნებულა. დაიკარგა, მიგვატოვა თუ სხვა ქალი შეირთო, ვერაფერი გავიგეთ. დიდედას სჯეროდა, რომ იგი დაბრუნდებოდა და თვალი სულ ჭიშკრისაკენ ეჭირა. ჩოხას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, — თქვა დედამ და მანიშნა, მომეხმარეო.

კამოდის ბოლო უჯრა სურათებითა და მიცვალებულთა გადიდებული პორტრეტებით იყო სავსე. უჯრაში საოჯახო ალბომები და კონა-კონად შეკრული წერილები ეყარა. სურათებიდან მამაჩემი, ბიძა და ბაბუა შევიცანი, დანარჩენები: დიდედას მეჯვარე, ნათლია, მაჭანკალი, დობილები, ყველანი დედამ გამაცნო.

— თავისი დარდით გულს არ შეგიწუხებდა. ცრემლს არ დაგანახვებდა თვალზე, ჩაიკეტებოდა ოთახში, ამოალაგებდა სურათებს, დაიდებდა წინ და დასტიროდა შვილს, სიძეს, ქმარს. ტირილით რომ გულს იჯერებდა, გახურებულ თავზე ეთერს დაისხამდა, გულს პიტნის წვეთებით იბრუნებდა.

დედამ სურათები ჩააწყო, უჯრა შესწია და გასაღებით ჩაკეტა.

დიდედა შაბათს დავასაფლავეთ. ყველაფერი ანდერძის მიხედვით შევასრულეთ. იბარებდა: ჩემი წერილები და მიცვალებულთა სურათები საფლაშვი ჩამატანეთო, მღვდელი არ მომიყვანოთო, ღვინო მარტო სასაფლაოზე დამიქციეთო, ნაღვლიანი არაფერი მიმღეროთო, კამოდი აქ არ დატოვოთ, თბილისში წაიღეთო.

ორმოცსაც არ გაუვლია დიდედას სიკვდილიდან, რომ ომი დაიწყო.

* * *

მიიწურა ზამთარი და შემაც გამოგველია — ეს მეოთხე დამაშვრალი, უშეშო ზამთარი. მზიანი დღეები დაიჭირა, მიხაროდა: ამ ზამთარსაც გადაურჩა ჩემი სარწეველა და კამოდი. თუმცა ნაადრევი იყო სიხარული. ჯერ მარტი იდგა, ვაითუ კუდი მოექნია... თუმცა ამ შუა მარტს ისე რა გადარევდა რომ... ყინვა-ზრობა ხომ არ იქნებოდა, უცეცხლოდ რომ ვერ გაეძლო კაცს?!

დილით ცას კამკამი გაჰქონდა. შუადღისას ჰაერში სქელი ორთქლი დაგროვდა, ღრუბელი ჩამოწვა. ჰაერი ჩაიხუთა და უცებ ცამ ერთბაშად გადმოყარა სეტყვა, წვიმა, თოვლჭყაპი. ამას ქარიც მიემატა, ქუჩაში ბოძები წააქცია, დაგლიჯა მავთულები. ცივი ქარი ხელებს ყინავდა. ძვალ-რბილში ატანდა. სკოლაში ფორმისამარა წასული გალუმპული მოვვარდი სახლში. სველი კაბა საწოლზე გადავფინე. ლოგინიდან საბანი ავაგლიჯე, შიგ გავეხვიე და ის იყო გალურჯებული ჩავჯექი სარწეველაში, რომ კარი ფართოდ გაიღო და ოთახში ქარივით შემოვარდა დედა — ისიც თავით ფეხებამდის სველი, მან შეშლილი სახით შემომხედა და ისევ გარეთ გაიჭრა.

სარწეველიდან წამოვვარდი, საბანი მოვიგლიჯე, კამოდთან მივიჭერი, ხელები გავშალე და კამოდს ავეფარე..

დედა იმწამსვე შემობრუნდა ოთახში, ხელში ნაჯახი ეჭირა. ჩემსკენ წამოვიდა. მე შევკივლე.

იგი შედგა. წამით დაყოვნდა. არწივისებური მზერა ოთახს მოავლო, ჰაერში აღმართა ცული, სარწეველასაკენ დაიძრა და დაჰკრა.

თვალებზე ხელები ავიფარე. — დედა ჩეხავდა სარწეველას. ნაჯახი ყოველ დარტყმაზე ხმას გამოსცემდა, ეს ხმა მკერდს მიფლეთავდა.

დედამ დაფშვნა სარწეველა, ცული ხელიდან გააგდო, დაიხარა, მოხვეტა სარწეველას ნაფოტებად ქცეული მოხ-

რილი კავები და ღუმელში შეყარა. მერე გარეთ გაიქრა, ბოთლი შემოიტანა, ღუმელს თავი ახადა, ბოთლი დაამხო, ასანთს გაჰკრა და შიგ ჩააგდო. ბაფ! — იფეთქა ცეცხლმა და მოჰყვა ბაირამს.

გახურდა ღუმელი. გვერდები სისხლისფრად შეელება. ოთახში დაცხა და სახე ამეწვა.

დედამ შემომხედა, პირზე ღიმი აუთამაშდა. მას დიდრონ თაფლა თვალებში ისევ სიმშვიდე ჩადგომოდა.

მე მკერდდაფლეთილი, ოფლგადახვითქული კამოდთან ვიდექი და ფეხს არ ვიცვლიდი.

* * *

დადგა აპრილი. სკოლის ეზოში ბალახი გაცოცხლდა. ხეები გაიფოთლა, ისევ აყვავდა ნუში, ისევ მოფრინდა შაშვი, შემოჯდა ხეზე და აქამდე ზამთრისგან გულშეღონებული, მოჰყვა გალობას.

თამარ მასწავლებელი დაფასთან იდგა და ახალ გაკვეთილს ხსნიდა. მე ყურს არ ვუგდებდი. ჩემი გულისყური ეზოსკენ იყო. ვუსმენდი შაშვს, ვუცქეროდი ნუშს.—„რა ხანია ეს ფერი არ ჰქონია ყვავილს, რა ხანია შაშვს ასე არ უმღერია“ — გავიფიქრე მე.

სხვა საგალობელს გალობდა შაშვი.

სხვა სიხარულს მიქადდა ეს გაზაფხული.

* * *

ადრე აქ ჩვეულებრივი საავადმყოფო იყო. ომის დაწყების დღიდან კი ქალაქი ევაკოჰოსპიტლად გადაკეთდა. ომამდეც და ახლაც დედა აქ მუშაობდა. ეს ოთხი წელი იყო, დედა მთელ დღეებს იქ ათენებდა, უჯდა საოპერაციო მაგიდას და ზელდა ფაიფურის როდინში მალამოს, თუ არა და, დარბოდა ქალაქში, დაეძებდა დოლბანდს, ბამბას, დიგალენს, სულფიდინს მართას გვერდიდან არ იშორებდა.

ბოლო ხანებში დედა სულ დამეკარგა, ის და მართა ჰოსპიტალში ათენებდნენ, სახლში არ მოდიოდნენ ხალხი სულ იმას გაიძახოდა — ომი გათავდა, გათავდაო, ჰოსპიტალში კი სულ უფრო და უფრო მატულობდა დაჭრილთა რიცხვი. პალატებში ტევა არ იყო. დერეფნებში კუთხე არ დარჩა თავისუფალი. ექიმები, ექთნები, სანიტრები ველარ აუდიოდნენ დაჭრილთა მოვლას. აფთიაქი ვერ ასწრებდა წამლების მომზადებას.

ვიდრე ძილი კისერს არ წამწყვეტდა, ვუცდიდი დედას — ჰოსპიტალში ყველაზე ადრე გებულობდნენ ფრონტის ამბებს, ყოველ ახალმოყვანილ დაჭრილ ჯარისკაცს თითო ქართველი კაცის საგმირო ამბავი მაინც ჩამოჰქონდა. მართა და დედა, რა დროსაც არ უნდა მოსულიყვნენ სახლში, როგორადაც დაღლილნი არ უნდა ყოფილიყვნენ, მაინც მიამბობდნენ რა მოხდა ახალი ჰოსპიტალში.

დილით სკოლაში მოუთმენლად მელოდნენ ბავშვები.

* * *

გარეთ ჯერ სინათლე იყო, სახლის კიბეზე ამოსული მართა რომ დავინახე. შევატყე დანა პირს არ უხსნიდა და კარებში შევეგებე.

— დედა სად არის, რატომ მოხვედი ასე ადრე, რა მოხდა?!

— არაფერი, არაფერი არ მოხდა მისთვის! — გამოსცრა მან კბილებში. — მე რომ მკითხო, — მან ხმას აუწია. — მოხდა, მოხდა... ერთხელ, მეორედ! შენ კი იცი, შვილო, როგორ მიყვარს დედაშენი. ეგ რომ არა, ქუჩაში დავრჩებოდი. შემიფარა, მომეფერა. კეთილი ადამიანია, მაგრამ მტერი მოყვარისაგან ხომ უნდა გაარჩიოს?!

— რა მოხდა, მარიულა, რა?

— რადა, ისევ მოიყვანეს ძაღლები. ახლა ერთი კი არა, სამი. ორს სასიკვდილო არაფერი სჭირს. ერთს კი შიგ გულში აქვს ტყვია გავლილი. ამადამ

წაიღებს წერილს, მთლად ლეკვია, თვრამეტისაც არ იქნება...

— გერმანელები?!

— დიახ, ახლოს არ მიმიშვეს, თორემ ცოცხლად შევჭამდი სამივეს. დედაშენი კი უზის იმ ლეკვს სასთუმალთან, შუბლზე ხელს უსვამს, ღმერთს ევედრება, თუ სადმე ხარ, ეს ბიჭი გადაარჩინეო.

— წავალ, დედას ვნახავ! — ვთქვი მე და ადგომა დავაპირე.

— დაიცა, ვინ მიგიშვებს ახლა დედაშენთან? — გამაჩერა მართამ, — თვითონაც ვერ გამოვა პალატიდან. ის ლეკვი ხელს არ უშვებს, დედას ეძახის, ეხვეწება, არ დამტოვოო. აღარ იციან, რით უშველონ. ოპერაცია ვერ გაუბედავთ — ვაითუ ტყვია დავძრათ და არტერია გავხეთქოთ, დაიღუპებაო, უფრთხილდებიან, გესმის? ერთი ხომ გადაარჩინეს ამასწინათ, ახლა უნდათ, ესეც გადაარჩინონ. გადაარჩინონ, გადაარჩინონ, მერე ადგება ის ლეკვი და ისევ გვესვრის ტყვიას, ეცოდებათ, გესმის? ჩემი შვილების მკვლელი ეცოდებათ. ვაი, თქვენს დედას, შვილო! — დაიძახა მართამ; იატაკზე დავარდა და ორთავე ხელი თავში წაიშინა.

მართას მივვარდი, ხელები დავუჭირე:

— ნუ, ნუ შვრები, მარიულა, გატკინება! — ვამშვიდებდი მართას და მკერდთან ვიხუტებდი.

მართა ტიროდა. მერე უცებ შეწყვიტა ტირილი და მიბრძანა:

— დამალევინე!

— გვაქვს განა რამე? — შევეკითხე მე.

— გვაქვს, სპირტი. დედაშენი ცეცხლს ანთებს სპირტით, მე კი ცეცხლი უნდა ჩავიქრო. წადი, მომიტანე!

წამოვდექი.

— წყალიც მოაყოლე, არ დაგავიწყდეს! — მომაძახა მან.

* * *

მართა ტახტზე მიეგდო, ერთხანს ბორგავდა, შფოთავდა. როგორც იქნა, ჩაეძინა. მე გაუხდელად მივწექი ლოგინზე. ძილი არ მეკარებოდა, ჭერს მივშტერებოდი. შუაღამე გატყდა, ის იყო ძილმა თავი წამართვა, რომ ძილღვიძილში მართას ხმა ჩამესმა, მერე რაღაცის მძაფრი ღრჭიალი გავიგონე და თვალი გავახილე. ოთახში დედა დავინახე. დედა კამოდთან იდგა. ხელში ნაჯახი ეჭირა. „ზამთარია? თოვლი მოვიდა? ყინვაა?" შუბლზე სიმწრის ოფლმა დამასხა.

— არა, არა! — ყვიროდა მართა.

— მოდი, ჩემო მართა, მომეხმარე! — ევედრებოდა დედა.

— არა, არა, ჩემი იმედი ნუ გექნება! — წამოიწყო კვლავ მართამ, — მე ვერ მოგეშველები. ჩემი შვილების მკვლელისათვის ტყვიას თუ გავიმეტებ, სხვას არაფერს!

— აუ, რამსიმძიმეა, — თქვა დედამ, — ძლივს დავძარი, მეტი არ შემიძლია, ღონე არ მყოფნის. ამ ყუთსაც ვერ მოვერევი, გამომადგმევინე, მართა!

— არა-მეთქი. — დაიყვირა გაავებულმა მართამ და მუშტი ბალიშზე დაჰკრა, — არ ავდგები, შენ ფრონტზე არ ყოფილხარ, არ გინახავს რას ჩადიოდნენ იქ ეს ძაღლები. შენ ფრონტზე არ მოგკვდომია ქმარი, შვილები, სახლიცა გაქვს, კარიც!

— მართა, ჩემო მართა, არა გრცხვენია, ჩემო მართა? მე ფრონტზე არა ვყოფილვარ? შენ ამბობ ამას? არ უყურებდე მაინც, ეს ოთხი წელი სადა ვარ, აბა? ოთხი წელია დღეს ცრემლში ვალამებ, ღამეს ოხვრაში ვათენებ. ჩემზე ითქმის ფრონტზე არ ყოფილაო? სიკვდილი არ მინახავს? არავინ არ მომკვდომია? რამდენმა ჯარისკაცმა დალია სული ჩემს მკლავზე.

— ჰოდა, იმათი სისხლი უნდა აიღო! — კვლავ წამოიწყო მართამ, — შენ კი ჩემი ბიჭების მკვლელი გაათბე, წყალი დაალევინე, წამალი ასვი, რომ მოგერჩინა. მოკვდა და ახლა მკვდარსაც ვერ იმეტებ მიწისათვის. ჩემს ბიჭებს ჯერაც სული ედგათ, მიწაში რომ

ჩაჰყარეს ფაშისტებმა, ცოცხლად დამარხეს, გესმის?! შენ კი მკვდარი გინდა გააპატიოსნო, არაფერი არ გენანება მისთვის, ვის მოსწრებია, ქალიშვილის მზითვსაც ატან მიწაში!

— აბა, რა ვქნა, მართა? გადავაბრუნეთ ჰოსპიტალი და ერთი ღერი ფიცარი ვერ ვიშოვე. ცოდოა, მეფიცებოდა — თოფი არასოდეს არ გამისროლიაო. ცოდოა, ქრისტიანი არა ხარ, გოგო?

— ქრისტიანი? მერე? ქრისტიანები არ იყვნენ ჩემი შვილები? თვითონაც ქრისტიანები არ იყვნენ, თავზე ამდენი ცოდვა რომ დაიდეს?

— კმარა, ჩემო მართა, მოდი, მომეხმარე, დღესვე უნდა მივაბაროთ ის ცოდვისშვილი მიწას! — ევედრებოდა დედა.

თავზე საბანი წავიფარე და ავქვითინდი.

* * *

საბარგო მანქანაში ვისხედით. დედა კაბინაში იჯდა, შოფერთან. ზევით, ჩემს მოპირდაპირე კუთხეში, მართა ჩამომჯდარიყო და თვლემდა. მესამე კუთხეში ჰოსპიტლის მეეზოვე ხოხე მოკალათებულიყო, მეოთხეში — საწყობის გამგე სპირიდონი. შუაში იდგა კამოდის უჯრა, რომელიც ახლა სასახლის მაგივრობას სწევდა. შიგ გერმანელი ჯარისკაცი ესვენა. უჯრა კამოდის ზურგის ორი ფიცრით იყო დაჭედილი.

ხოხეს და სპირიდონს მუხლები მოექცეოდათ, მართას ორივე ფეხი გაეშალა და სასახლისათვის მჭიდროდ მიებჯინა. დროდადრო თავს აიღებდა, ქათიბის ჯიბიდან პატარა ბოთლს ამოაძრობდა, ტუჩთან მიიტანდა, ფეხს მოკეცავდა, გაშლიდა, ყუთს მიარტყამდა და შეიკურთხებოდა.

— სად მოასწარი ამ დილაადრიან? — დაუძახა ხოხემ.

— მაშ როგორ გინდა? არ დამელია ამ ფრიცის შესანდობარი? აჰა, დალიე. გაიგონე, რა თქვა ჰოსპიტლის უფროსმა, კარებში რომ გამოგვაცილა? კაპუტ ჰიტლერ! გამომართვი, დალიე! — ჩააცივდა მართა ხოხეს.

მეეზოვე იკრიჭებოდა.

სპირიდონი მართას ყურს არ უგდებდა, დაჟინებით მისჩერებოდა სასახლის ზურგს.

— დეა, ბიძია, ამ გერმანელის გვარი შრედერია? — დამიძახა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — ჰანს ზეიფერი! შრედერი ფირმის სახელია ეს კამოდი გერმანულია.

— ეს კამოდი ნემეცურია? ეს ფიცრები ნემეცის გათლილია, ხოხე, გესმის? მართა, გაიგონე? არა, მართლა? — შემეკითხა იგი.

— დიახ! — ვუთხარი მე.

— მამა ვაცხონე მისი, მართა, გესმის? — გასძახა მან მართას. — ეს ყუბო ნემეცის გათლილი ყოფილა, აბა, რა ეგონა?!

უეცრად ჰაერი ბავშვის განწირულმა კივილმა გააპო, ფეხზე წამოვარდი. ხოხე და სპირიდონიც წამოცვივდნენ.

ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნა ჩვენსკენ გამორბოდა, მას ხელები გაეშალა.

— ვაშაა! ... ვაშა!. — გაიძახოდა ბიჭუნა.

უცებ აქეთ-იქიდან სოკოებივით ამოიზარდნენ ადამიანები, აივნებზე. ფანჯრებზე ხალხი გადმოდგა და მოჰყვა ყვირილს. გასტრონომიდან ვიღაც თეთრხალათიანი მოხუცი გამოვიდა და შუა ქუჩაში გააჩაღა ცეკვა.

შოფერმა მანქანა დაამუხრუჭა. კაბინის კარი გაგლიჯა, გარეთ გამოვარდა და ყვირილს მოჰყვა:

— გესმით, ხალხო, გესმით, — ომი გათავდა!

მართამ ერთი შეჰკივლა, ზეზე წამოვარდა. ჯერ მე ჩამიკრა გულში, მერე ხოხე, სპირიდონი.

ქუჩა ხალხით, დროშებით, სურათებით გაივსო.

— დეა, დედა შემოგევლოს, მოდი გაკოცო! — დამიძახა დედამ, — მოგილოცო, ომი გათავდა ... ამ ზამთარს

შეშაც გვექნება, პურიც, შაქარიც... მერე კი... შენ კარგად მეყოლე, ჩემო დესპინე, და ისეთი მზითევი გამოგიწყო... — თქვა დედამ და გაიღიმა.

დავიხარე და მანქანის ძარაზე დაკიდებულ დედას ჩავეხვიე.

ქუჩაში, მანქანის გარშემო უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ერთმა მანქანის თვალზე დადგა ფეხი და ამოსვლა დააპირა. დედამ დაინახა თუ არა, ხალათში სწვდა.

— არა, არა, მანქანა დაკავებულია, ჩვენ შორს მივდივართ! — უთხრა შეშინებულმა და არ ამოუშვა. მერე შოფერს ხელით ანიშნა, — ჩქარა წავიდეთო.

შოფერი კაბინაში შევარდა, მანქანა დაქოქა, ჩვენ დავიძარით.

ახლა მართა, ხოხე, სპირიდონი და მე კაბინის თავთან ვიდექით და ქუჩაში მოზეიმე ხალხს ჩვენს ხმასაც ვუერთებდით.

— ვაშა! ვაშა! — ყვიროდნენ ქალები.

— ურაა, ურაა, ჰიტლერ კაპუტ! — გაიძახოდა მართა და მუშტებს იქნევდა.

— გაუმარჯოს ძია სტალინს! — გავკიოდი მე.

მართა ჩემს გვერდით იდგა. არ შემინიშნავს როდის მოგვშორდა იგი. მისი ხმა გავიგონე და უკან მოვიხედე.

— შვილო, შე ცოდვის შვილო, შვილებო — ჩემო ვანია, კალოდია, გესმით ბიჭებო, ომი გათავდა! ღმერთო, ეს ბიჭები ყოფილიყვნენ უკანასკნელი მსხვერპლი ომისა, ღმერთო დაიფარე ყველა დედა — შვილის სიმწარეს ნუ ანახვებ. ღმერთო დაიფარე ქვეყანა ომისაგან — მოთქვამდა ჰანს ზეიფერის ცხედარზე დამხობილი მართა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი პაპუაშვილი

# არაგვო, უყარაულე!..

## მოთხრობა

ჩოკინა რომ კისერს მოიღერებს და გასახედნი გახდება, საკოკეაო, იტყვიან. კოკებს აიკიდებსო. მაგრამ ამ ეპითეტით ხშირად თავიანთ შვილებსაც ამკობდნენ მათი ურიგო საქციელით გაგულისებული დედები: ნამდვილი ვირი ხარ, საკოკეღა გაკლიაო. ანდა პირდაპირ: საკოკე ხარო. მასაც სწორედ საკოკეს ეძახდნენ, გოგია გულალაშვილს. ეთქმოდა კიდეც: ორი წელი პირველ კლასში იარა, სამი — მეორეში და ბოლოს თავი მიანება. მამა გაუბრაზდა, არ უნდა გამოსულიყავი სკოლიდანო, მაგრამ ბიძამისმა დიდფეხამ გაამართლა, უკვე საკოკე ჩოკინაა და რაღა დროს მაგისი მეორე კლასიაო. ის იყო და ის. საკოკე დაერქვა ამ მშვენიერ, ალვის ხესავით ტანმაღალ ბიჭს.

ჩემი ვარაუდით, მთელ დედამიწაზე იცნობდნენ დიდფეხას. თვითონ ამბობდა, ცალი ფეხი ოთხი თითის დადებით გრძელი მაქვს მეორეზე და დიდფეხას იმიტომ მეძახიანო. დიდხანსა გვჯეროდა მისი ნათქვამი, მაგრამ ერთხელ საკოკემ გაგვანდო, ბიძაჩემი გვატყუებს, ორივე ფეხი ტოლი აქვსო. ამ წინაზე ჩვენი კაკლის ჩრდილში ეძინა, გავუზომე და სამი მტკაველი ერთი გამოუვიდა და სამი მეორეო ორივე ფეხი ტოლი ჰქონია და დიდფეხას რაღად ეძახიანო? — ჩავცვივდით საგონებელში.

მაღალი, მკერდამობურცული, ღრმა სიბერემდე ჩხუბისმოყვარე და ზედმეტად შარიანი კაცი იყო დიდფეხა. ვინმე რომ გაივლიდა და გამარჯობას გადასძახებდა, ჯერ პასუხს მიართმევდა, შემდეგ კი ცალი წარბისა და კომბლის ზეაწევით შეეხმიანებოდა:

— შენ, ეი, რატო მაგრე ცერი თვალით იყურები?!

— ღმერთი, რჯული, ურიგოდ არ გამომიხედავს, ძია ლევან, — თავს მოუქონავდა ნამდვილი სახელის მიმართვით.

— აბა, ის რა იყო, გამარჯობაო და თან კიდევ ცხვირი ჯანდაბისკენ წაიღე. ახლავე ძაღლებს დაგიქსევ...

ერთი და ორი ძაღლი კი არა ჰყავდა, მთელ ხროს ინახავდა.

ეს კარგი ხვადიაო, ის კარგი ძუკნააო, ეგ მგლებზე მონადირეაო და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ჯიშისა და და სჯესის ძაღლი ირეოდა მის ეზოში. ზოგი თუ მავთულზე იყო გაშვებული, ზოგი ეზოში დადიოდა თავისუფლად. უფრო ავები კი გომში ჰყავდა დამწყვდეული. ზოგი თუ ოთხ ფეხზე დაძუნ-

ძულებდა, ზოგი ორ ფეხზე აიტატებოდა ხოლმე და ისე დაჰყვებოდა უკანიდან.

— დაგიქსიო?.. ქს, ქს! მურა, ყარას, შავთვალ!

— არა, ძია ლევან, მამისულს გეფიცები, ურიგოდ არ მომიხედავს.

— მაშ, მიპატიებია.წადი და საითაც გაიხედო, ყველას გაულიმე. ქელეხში ხომ არ მიდიხარ, თავპირი რომ ჩამოგტირის?! მურა, წამოდი აქეთ.

მეორე გამოვლაზე ის კაცი უკვე შორიდანვე იღიმებოდა და თან თვალებით დიდფეხას ეძებდა: აბა, თუ დამინახავს, როგორ მოვეწონებიო.

— რა ეზოს მითვალავ, შე ვერანავე! ბასილაანთ გორიდანვე რომ ჩემს ეზოში იყურები, სხვა ველარაფერი დაგანახვა მამაუფალმა?!

— კეთილი თვალით გამოვიხედე ლევანა ძიავ, ურიგოდ არ გამიგო.

— მე საიდან ვიცი, რომ კეთილი თვალით იყურები. იქნებ იმას ათვალიერებ, ძროხა საიდან გავიყვანო და ლორი — საიდანო. ე, ყასიდად რომ იცინი, მაგ სიცილით ხომ არ გინდა, მომატყუო.

— არა, მამისულს გეფიცები! შენი სიკეთის მეტი გულში არაფერი მაქვს.

— ეგ შენი სიკეთე შენთვის შეინახე. მე არაფერში გამომადგება.

მესამედ უკვე ის კაცი ყველანაირად ცდილობდა, რომ იქით აღარ გაევლო. და თუ მაინც გავლა მოუხდებოდა, ღობეს აეკვროდა და ძირძირ გაიპარებოდა.

— რას მიიპარები, შენ თუ კაი კაცი ხარ?! — გამოიჭრებოდა დიდფეხას ომახიანი ხმა: — აი, ამ ორთითას ხომ ხედავს შენი დასაბრმავებელი თვალები, ხელში რომ მიჭირავს, ერთს მოგიორხელებ და იმ შენი სულკურთხეული პაპის გვერდით გაგამგზავრებ. შეგხედონ, კაცი ხარ, და დასამალი რა გაქვს. დოსტოლორივ გამოიხედე, შე კაი კაცო, ან მომესალმე, ან გამლანძღე და ისე გაიარე.

— მე კი არა, ჩემს შვილიშვილსაც აშოროს ღმერთმა თქვენი გალანძღვა. — გულწრფელად შეიცხადებდა ის საცოდავი კაცი და ქვას ფეხს წაჰკრავდა: — აი, ამასავით გავქვავდე, თუ ვიმალებოდე. ვიფიქრე, შუადღეა, იქნებ ჩრდილში სადმე ეძინოს და ძილი არ დავუფრთხო-მეთქი.

— რა შენი საქმეა, მეძინება თუ მეღვიძება. მინდა, დავიძინებ და მინდა, გავიღვიძებ.

— არა, ძილს ვინ დაგიშლის, ძია ლევან, ყველაფერი თქვენი ნებაა, მაგრამ მაინც სიფრთხილისათვის მივდიოდი ასე.

— ფრთხილი ნადირი ოთხივე ფეხით ჩავარდებაო, არ გაგიგონია?! შენც ასე დაგემართება, თუ მაგეთ სიარულს არ მოიშლი. ერთი შენი ჭკუისა გამოგივარდება ვინმე და ზურგზე ბოლს აგადენს. კაცი უნდა სტვენით მიდიოდეს შუაგზაზე და აქეთ-იქით თავისუფლად იყურებოდეს.

მეოთხედ უკვე იქით აღარ გაივლიდა ის კაცი. მაშინ დიდფეხა გადაეყრებოდა სადმე: ან შუა სოფელში ან შუა მინდორში და ეჭვით ჩაჰკითხავდა:

— შენ რატო მაგრე ამოიკვეთე ფეხი და ჩვენსკენ აღარ დადიხარ. რა, შენი მოსაწონები აღარა ვართ, თუ მართლა ურიგო რამე გედო გულში და ჩემგან შეგეშინდა?!

— არა, ძია ლევან, ცოლ-შვილი ამომიწყდეს, თუ თქვენზე ცუდი მეფიქროს როდისმე. ძალიან ადრე გამოვივლი ხოლმე და ალბათ თქვენ ჯერ ისევ ტკბილადა გძინავთ...

— რაო? შენ თუ ჩემზე ადრე იღვიძებ, მაშინ რაღა კაცი ვყოფილვარ და რაღა მეველე მქვიებია. როდის იყო, რომ მეველეზე ადრე სოფელში ვინმე იღვიძებდა. ეგ რომ თავმჯდომარემ გაიგოს, ოხსნას დამიპირებს.

— არა, კი არა გძინავს, უკვე მინდორში ხარ წასული და საიდან დამინახავ.

— შენ რა იცი, რომ უკვე მინდორში ვარ?!.. ესეთი რამე არ გაგივა, გამოიარე კიდეც და გაიარე კიდეც, თო-

რემ; ვაი, შენი ბრალი!.. ხომ გამოივლი?

— უეჭველად გამოვივლი.

ბიჭი იყო და ნუ გაივლიდა!

ამ შეხლა-შემოხლის მიუხედავად ყველანი უყვარდა დიდფეხას. მხოლოდ უშნო კაცი ეჯავრებოდა. ყველაზე მეტად კი საკოკე უყვარდა. ძმისშვილი იყო და — ეყვარებოდაო, მაგრამ ერთი და ორი ძმისშვილი და დისშვილი კი არა ჰყავდა. მის ცხრა და-ძმას სამოცდაათზე მეტი ბალღი მოეძევებოდა. აქედან ზოგი ლამაზი იყო და ზოგი — მათხოჯი, ზოგი უშიშარი და ზოგი — მშიშარა. ისეთებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც დიდფეხას ეპიტნავებოდა, მაგრამ საკოკეზე მეტად მაინც არავინ ეპრიანებოდა. მე მგავს და იმიტომაო.

— საკოკეე! — გასძახებდა ღიმილმორეული დიდფეხა და უშველებელ კეხიან ცხვირს ღონივრად მოისრესდა კოჟრიანი ხელის ზურგით.

— რა გინდა, დიდფეხ?! — ტოლივით შეეხმიანებოდა ძმისშვილი.

— ჰო-ჰო, შენი ჭირიმე, ნამდვილი გულადაანთი შენა ხარ. ბიძასა ჰგევხარ კემუტი.

საკოკესაც ძალიან უხაროდა ასეთი შექება და ბიჭებში ჩაიტრაბახებდა ხოლმე: ბიძასა ვგევარ კემუტიო.

— საკოკე, წადი, შენი ვასკა ვირი გამოიყვანე, ჩემს პართენას ვაჭიდავოთ.

ორივე თვალით უსინათლო იყო ვასკა ვირი, მაგრამ სპილოსავით ღონიერი და მუხლჩაუხრელი. ამბობდნენ, ღამითაც არა წვებაო. ორი ვირის საპალნე რომ აგეკიდათ, წელში არ გაიდრიკებოდა. ხუთ-ექვს კილომეტრზე დაშორებული წისქვილიდან ას კილოგრამ ფქვილს ისე ამოიტანდა, რომ ერთხელაც არ დაიხვნეშებდა. შვიდ-რვა ფუთსაც ხშირადა ჰკიდებდნენ. წისქვილიდან წამოსვლისას წინ საკოკე მოდიოდა და უკან ვასკა ვირი მოჰყვებოდა. თუ რაღაცას იეშმაკებდა და ხრამისკენ წაუძლვებოდა, ვასკა გუმანით ჩვდებოდა და მაშინვე ჩერდებოდა. მერე თუნდა კეტი გეცემათ, ნაბიჯს აღარ გადაადგამდა. ერთს გაიღრიცებოდა და წარბშეუხრელად იტანდა უდიერ ცემას. ისევ საკოკეს უნდა დაეთმო და ბოდიში მოეხადა. ეს ბოდიში კი უსინათლო თვალებზე ხელის მოსმასა და მოფერებაში გამოიხატებოდა. რაკი ავშარაში პატრონის ხელს იგრძნობდა, პირუტყვიც დათმობაზე მიდიოდა და გზას განაგრძობდა დინჯი ნაბიჯით. ბრძნული სიარული იცოდა.

სულ სხვაგვარი იყო დიდფეხას პართენა ვირი. ვასკა თუ კუნაპეტი ღამესავით შავად გამოიყურებოდა, პართენას ოდნავ მოწითალო ფერი დაჰკრავდა. გაზაფხულზე რომ ბეწვს გაიწმენდდა, სულ ბზინვას დაიწყებდა ხოლმე. ისეთი ვირი მყავს, ნაბანი დაილევაო, ტრაბახობდა ასეთ დროს დიდფეხა და ყველას ელიმებოდა.

ახალგაზრდობაში თუ ცხენი იყო დიდფეხას განუყრელი მეგობარი, სიბერის დროს სწორედ პართენა ვირით დაბრძანდებოდა.

— რას გეღიმებათ, სოლომონ ბრძენი თუ ვირით დადიოდა, ვისზე რა ნაკლები ვაჟკაცი იყო? — იტყოდა ამაყად.

— იცნობდი, დიდფეხ?

— რატომაც ვერ ვიცნობდი. ქეჩახში ერთად გვეყენა ღორი. — ამას ისე სერიოზულად ამბობდა, რომ ბავშვები მაშინვე ვიჯერებდით და მშობლებს ვეკამათებოდით: დიდფეხა ძია სოლომონ ბრძენის ამხანაგი ყოფილაო.

— სოლომონ ბრძენი ასი თუ ათასი წლის წინათ ყოფილა და დიდფეხა კი ჯერ სამოციოდე წლისაა, საიდან უნდა ეცნო? — გვიმტკიცებდნენ ჩვენი დედები.

— ვინ გიბრძანათ, რომ ათასი წლის წინათ იყოო სოლომონ ბრძენი? ასი წლის წინათ კი მართალია. ან ის ვის წამოსცდა, სამოციოდე წლისააო დიდფეხა? ას სამოცი წლისა ვარ. ასში მოტყუებულან. ცოტა რამე ხომ არ არის? ჰოდა, მე როცა სამოცი წლისა ვიყავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კაცი მაშინ მოკვდა და როგორ არ მეხსომება. ძღვრივის ღელესთან გაცივდა, ურმით წამოვიყვანეთ და ცოდვიან კლდესთან რომ ამოვედით, მანდ დაიღუპა ის სულკურთხეული. სიკვდილის წინ მოითხოვა, მატარებელი მომიყვანეთ და ისიც შევუსრულე.

— რაო? — დავაღეთ ყბები.

— რაო და თუ ჩემი ხათრი გაქვს, ჩემო ლევან, მატარებელი მომიყვანეო.

— მატარებელი როგორ უნდა მიგეყვანა?

— მატარებლის მიყვანას რა უნდოდა? — უდარდელად თქვა დიდფეხამ: — დავავლებდი ხელსა და მივუყვანდი.

— აჰ, სათამაშო მატარებელი...

— სათამაშო არა, ბიჭო, ის აღარ გინდათ?! ნამდვილი მატარებელი. რკინიგზაზე რომ დახრიგინობს იმის მოყვანას რა უნდოდა? დავავლე ხელი, ამოვიჩარე იღლიაში და მივუყვანე. განა ახლა რომ ბებერი ვარ, მაშინაც ესეთი ვიყავი? წისქვილის ქვას რომ ფეხს ამოვკრავდი, აიქ გავაბზრიალებდი ხოლმე.

მართლა მიუყვანე? — თან გვეეჭვებოდა და თანაც გვინდოდა, რომ დაგვეჯერებინა.

— მივუყვანე, მაგრამ სოლომონ ბრძენს დიდი დღე აღარ ეწერა და ვერ გადავარჩინე.

— რად უნდოდა, რომ მიუყვანე? — ჩაერეოდა მისი უფროსი ვაჟი და თვალს ჩაგვიკრავდა.

— გასართობად უნდოდა... გულზე აესე დავადე და გავატარ-გამოვატარე.

— გულზე როგორ დაეტია?

— ისეთი მკერდი ჰქონდა, მატარებელი კი არა, მთელი ქალაქი დაეტეოდა.

— შენზე ღონიერი იყო?

— ჩემზე ღონიერი არ იქნებოდა, მაგრამ აღარც ძალიან ჩამომრჩებოდა. როცა ვეჭიდავებოდით, ზოგჯერ თუ წავაქცევდი, ზოგჯერ ღორდაღორ გამოვდიოდით.

— აბა, შენ მოგვიკლავს სოლომონ ბრძენი და ეგ არის. — იტყოდა ვიდოცა.

— ვითომ რადაო?

— იმოდენა მატარებელი გულზე შეგიყენებია და მაშ რა დაემართებოდა.

— ეჰ, შვილო. იმას მეტი დღე აღარ ეწერა, თორემ მატარებელი რას დააკლებდა?

— კაცო, მატარებელი ხომ ჩვენთან ცხრაას ჩვიდმეტ წელში გამოვიდა და სოლომონ ბრძენის დროს რა უნდოდა? — წამოიყელყელავებდა რომელიღაც ბიჭი, რომელიც უკვე მეშვიდე კლასსაც გადასცილებოდა.

— ახლა ეგ მასწავლე, როდის გაიყვანეს და როდის არა. დედაჩემი როცა საფრანგეთში გავაცილეთ, რკინიგზა უკვე კარგა ხნის გაკეთებული იყო. სწორედ მატარებლით გავაცილეთ მე და მამაჩემმა.

— დედაშენს საფრანგეთში რა უნდოდა?

— არ მინდოდა, გამემხილა და მაინც წამომცდა ეს ოხერ-ტიალი...

— გვითხარი, რა, გვითხარი!.. შეეხვეწებოდნენ აქეთ-იქიდან

— დედაჩემი ფრანგის ქალი იყო, — ჩურჩულზე გადადიოდა დიდფეხა, — ჩემს ძმებში არ გამამხილოთ და ეგენი ნახევარი ძმები არიან, შვილო. მამით რომ ერთნი ვართ, დედით სხვადასხვანი გახლავართ. რომ გეუბნებით, ას სამოცი წლისა ვარ-მეთქი, ას სამოცი წლისა როგორ უნდა ვყოფილიყავი, როცა ბაბოთქვენი, საწყალი დედაჩემი, შარშანწინ მიიცვალა და სამოცდაჩვიდმეტი წლისა იყო.

— მაშ, დედას რაღად ეძახდი? — შეფიქრიანდებოდნენ დიდფეხას ბიჭები.

— ისე, სხვათა მოსაჩვენებლად ვეძახდი, შვილო. თანაც კიდევ ამაგი ჰქონდა და ამაგს წყალში ხომ არ გადავუყრიდი?

— მამით ხომ ერთნი ხართ? — ჩაერეოდა დიდფეხას უფროსი ვაჟი და ისევ თვალს ჩაგვიკრავდა.

— ვართ და ჟგ არის.

— პაპა ხომ ხუთი წლის წინათ დაილუპა და ჯერ ოთხმოცისაც არ იყო. შენ საიდანღა იქნები ას სამოცი წლისა?

— ოთხმოცისა კი არა, შვილო, ას ოთხმოცისა იყო და დაგვიწყებია.

— როგორ დამვიწყებია, როცა საკომლო დავთრებში მე თვითონ ვნახე მისი დაბადების წელი და საბჭოს მდივანმა მე თვითონ დამაანგარიშებინა მისი წლოვანება?

— განა იმ საბჭოს მდივანს კი ბევრი რამე ესმის? თქვენ მე დამიჯერეთ და სხვა არაფერი გინდათ.

— მერე, მერე? — წაესეოდნენ აქეთ-იქიდან.

— მერე ისა, რომ სოლომონ ბრძენმა დამიბარა, როცა დაბერდები, ვირზე შეჯექი და ისე იარეო. ჰოდა, მეც იმიტომ დავბრძანდები პართენათი.

მართლა დაბრძანდებოდა ის სულკურთხეული. შეჯდებოდა და მიჰქონდა გრიალი. ერთს რომ შინიდან გასვლისას დაიყროყინებდა, მეორეს უკვე ავაზნის გორასთან მიაყვირებდა. ამით გაიგებდნენ, რომ ვენახში მიდიოდა დიდფეხა.

— ვირი კი არა, ბედაური ხარ, ბედაური! — ჩასძახებდა მის ზურგზე ამხედრებული დიდფეხა და ფაფარით დამშვენებულ კისერზე ალერსით დაუტყაპუნებდა ხელს: — ცოდო არ არის, შენ ვირი გქვია და ჩვენებიანთ ტარაკუჭას კიდევ კაცს ეძახიან. სად არის სამართალი!

— ვაჭიდავოთ! — მიიღებდა საკოკე ბიძამისის გამოწვევას და ვენახის ბოლოში დაბმული სახედრისაკენ გაეშურებოდა: — ოღონდაც შარი არ მომდო, თორემ ჩემს მეტი ჭირი არ გინდა.

— არა, კაცო, ბიძაშენის შარი ვის გაუგონია. ეგ მარტო უხეირო მოლაყბეები მაბრალებენ შარიანობას. შენ წამოიყვანე, ერთი, მუხლი გავაშლევინოთ.

— მინდვრიანზე გაიყვანდნენ ხოლმე ვირებს და იქ აჭიდავებდნენ.

მაყურებელიც ბევრი ჰყავდა. სოფელში თეატრი და სტადიონი არ იყო. თითო-ოროლა უხმო კინოს თუ უჩვენებდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ დანატრებული იქნებოდა ხალხი სანახაობას. მით უფრო ბავშვებს და ბერიკაცებს ეცალათ სეირის საყურებლად. ორი სახელგანთქმული სახედრის ორთაბრძოლა კი სწორედ რომ ცხოველ ინტერესს იწვევდა.

პართენა ვირი ორივე თვალით კარგად ხედავდა და იცოდა, კბილები სადაც უნდა ჩაევლო მეტოქისათვის, ანდა სად ჩამოეკრა ტორი, ვასკა ვირი კი უაზროდ აცანცარებდა მორგვივით თავ-კისერს და კბენის შემდეგღა იგებდა მეტოქის ადგილ-სამყოფელს. სწრაფ ორიენტაციას ახდენდა და უცბად მისწვდებოდა ხოლმე ცხვირსა და კისერში, უსინათლო პირუტყვის სწორედ ეს ინსტინქტური მოძრაობა მოსწონდა მაყურებელს და აღტაცებას ვეღარ ფარავდა, როცა მოხერხებულ ადგილას ჩაავლებდა ხოლმე პირს.

თვალებგაფართოებული და კომბალმომარჯვებული დიდფეხა ხარბად უყურებდა მოჭიდავე სახედრებს და თან ცალი თვალით მაყურებლისაკენ იყურებოდა, ჩემს პართენას ხომ არავინ დასცინისო. ამქვეყნიური ცხოვრების სიავე იმჟამად მთლიანად ავიწყდებოდა და ფანტასტიკურ სამყაროში გადადიოდა. საკოკეც ურბენდა გარშემო და თან ამირანის შაირს გაიძახოდა:

— ამირან-დევი შეიბნენ, მიწამ დაიწყო გრიალი, ამირანმა დევი დასცა, ადგილი დახვდა ქვიანი... ჩემი ვირი უფრო ვაჟკაცურად მიდის. შენსას ეშინია და ხალიჩიდან გაურბის. ვუჰ, გენაცვალე!

სახედრები კი უშიშრად ერკინებოდნენ ერთმანეთს. ხან ერთი ექცეოდა ქვეშიდან და ხან — მეორე.

ერთხელ, არ ვიცი, შემთხვევით მოხდა თუ უსინათლო ცხოველის ინსტინქტით იყო გამოწვეული, ძალიან მარ-

ჯვე ადგილას, კისრის ძირში მისწვდა ვასკა, ღონივრად დაიქნია და მიწაზე დაანარცხა ის ვეება ულაყი.

— დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი... სუფთაა და ეგ არის...

— ჰაი, შენი პატრონის მამისული! — კომბალი გაწვერა თავისი ფალავნის დამარცხებით შეცბუნებულმა დიდფეხამ და ვასკაზე მიიწია.

— არ დაარტყა, თორემ აი ჯოხი! — გონზე მოეგო საკოკე.

— იქით გამეცალე, თორემ შენცა და მაგ ვირსაც ერთმანეთს გაგაყოლებთ! — თვალები გადააბრიალა დიდფეხამ.

— თითსაც ვერ დამადებ, გულით რომ გინდოდეს. თუ ჯობნა არის, ჯობნა იყოს. გამარჯვებულ ფალავანს ჯილდოს აძლევენ და შენ კიდევ ცემით ემუქრები. „დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი..."

მაყურებლები კი იცინიან, იხოცებიან სიცილით.

— მართლა მხარი მოსტეხა ამ პატრონდავსილმა! — გაწყრა დიდფეხა, თვალები რისხვით აივსო და გულდაგულ მიიწია კომბლით.

— არ დაარტყა! — კომბალში ხელი უტაცა საკოკემ.

— აბა, თუ ესეა და... გამაგრდი, თუ ვაჟკაცი ხარ! — შესძახა დიდფეხამ, კომბალი გადაგდო და მხრებში სწვდა საკოკეს.

საკოკე არ დაიბნა. ჯოხი გადაგდო და იღლიაში შეუხტა:

— ამირან-დევი შეიბნენ, მიწამ დაიწყო გრიალი... — ხან იქიდან მოურბინა საკოკემ, ხან — აქედან, ხელებშიც დაებღაუჭა, ფეხებშიც გაებლანდა და ორივენი წაიქცნენ. მერე წაქცეულებმა იკოტრიალეს. ხან ბიძა მოექცეოდა მაღლიდან და ხანაც — ძმისშვილი. ბოლოს საკოკე მოექცა. ცხენივით გადააბოტა და: — დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი...

ამასობაში ვირები გაშველდნენ და საძოვარზე გავიდნენ.

— ვირები გაშველდნენ, შე მამაძაღლო, და ჩვენ რაღა გვაჩხუბებს?! — შენიშნა დიდფეხამ და ხითხითი აუვარდა.

ბერიკაცები და ბალღები კი სიცილით იხოცებოდნენ.

ორივენი წამოდგნენ სიცილით. დიდფეხა დაღლილიყო. საკოკე კი ჯერ ახლა მოსულიყო ბღლარძუნის ხასიათზე. აქეთ-იქით მიაწყდა და მეტოქეს დაუწყო ძებნა. მერე ისევ ბიძას წაეტანა:

— მოდი, თუ გინდა, მართლა ვიჭიდავოთ!

— ჰაი, შენ კი გენაცვალოს ბიძაშენი! ნამდვილი საკოკე ხარ! ბიძასა ჰგევხარ კემუტი! აეგრე, შვილო, არავის არ უნდა დაეჩაგვრინო. დაჩაგრული კაცის სიცოცხლე ჩალის ფასია. გამარჯვებულისა კი — სილაღე და სიხარული. რა ვუყოთ, რომ ბიძა ვარ, თუკი უსამართლოდ დაჩაგვრას მოგინდომებ, არ უნდა დამეჩაგვრინო...

— ბიჭია და ვინმემ დამჩაგროს! ბიძასა ვგევარ კემუტი!

მერე ომი დაიწყო...

ვატყობ, მოთხრობა უკვე დამთავრებულია, მაგრამ მაინც არ შემიძლია რომ შევწყვიტო.

საკოკეს მამა კურკაჭელამ, ნათლობის სახელი რომ მიხეილი ერქვა, სამი შვილი გაისტუმრა ომში, მათ შორის საკოკეც. მართალია, უკვე საკოკე აღარ ეთქმოდა, რადგან პართენა ვირისა და ვასკა ვირის ასაკიდებელ საფქვავს მარტოკა ეწეოდა და ისე ჰკიდებდა, მაგრამ მაინც საკოკეს ეძახდნენ.

წავიდა და თან გაიყოლია მამა-ბიძების თვალ-გული. მართალია, სხვებიც დაედარდათ, მაგრამ საკოკეს წასვლამ უბანი გამოაყრუა და ამით იუხერხულეს.

— ეგ ისეთი ეშმაკის ფეხის მომჭრელი იყო, იტლერს იქაც არ გააჩერებს, სადაც ჭიპი მოუჭრია, თორემ მოსკოვთან ვინღა ჩივის, — მალ-მალე შეეხმიანებოდა ხოლმე დიდფეხა თავის უმცროს ძმა კურკაჭელას: — აი, ნახე,

თუ არა. ერთი დღეც იქნება ფოსტალიონი წერილს გადმოაგდებს და ყველაფერი შიგ ეწერება.

— შენს პირს შაქარი, ჩემო ძმაო! სიბერე რაღას დამაკლებს, თუ ასე მოხდება.

— სიბერეზე წუწუნი არ გამაგონო! ას ათი წლით თუ არა, ათი წლით მაინც ხომ შენზე უფროსი ვარ და ჯერ არ გამიგია სიბერე როგორია. მართალია, შენ სამი ბიჭი გაისტუმრე, მაგრამ ორი ხომ მეც გავგზავნე. ეგეც არ იყოს, შენი შვილები და ჩემები რას გაუყვია. აესე გავქვავდე, თუ შენი საკოკე გოგია შენზე ნაკლებად მყვარებოდა. მერე თავს ველარ შეიკავებდა და ატირდებოდა: — ვაჰმეე, ჩემი ვანია და გიგუცა... შენი ზაქარია... არა უშავს რა, ჩემო ძმაო, ჩვენ ისეთი გასაგზავნები გავგზევნეთ, დარდი არ უნდა ვიქონიოთ. ჩააძაღლებენ იმ ქოფაკსა და დაბრუნდებიან...

კურკაჭელაც ცხარედ ტიროდა, მაგრამ ლოყებზე კი არ ჩამოსდიოდა ცრემლი, გულში ეღვრებოდა:

— გადმოდი, ჩემო ძმაო, ერთი ხელადა საფერავი მაქვს და ჩვენი ბიჭები ვადღეგრძელოთ.

და გადიოდა მძიმე დღეები. მათი დედაკაცების სადარდელზე ხომ ენა ველარ მომიბრუნდება. მართალია, ერთმანეთთან გადასასვლელად აღარ ეცალათ, მაგრამ როგორც კი მოიცლიდნენ, მოთქმით ატირდებოდნენ.

— ნუ, ანანო, ღმერთმა არ გვიწყინოს, ცოცხლებს რომ ვტირივართ.

— შენ რაღა მოგივიდა, ნინო, თავი შეიმაგრე, შე კაი ქალო! — თან ტიროდნენ და თან ერთმანეთს ანუგეშებდნენ: — დედა მოუკვდეს ჩემს ზაქარიას, ჩემს საკოკე გოგიას... ვუჰუ, ვუჰუ, ვუჰუ!...

— დედა დაუმიწდეთ ჩემს ვანიასა და გიგუცას! გული მიკვნესის, ქალო, გული!..

ერთხელ, გვიან საღამოთი, როცა დიდფეხა თავისი პართენა ვირით ჯერ მინდვრიდან არ დაბრუნებულიყო და კურკაჭელა კი კოლმეურნეობის გამგეობის კრებას გადაჰყოლოდა, ძაღლები აყეფდნენ გულაღაანთ უბანში. ერთხანს გაანჩხლდა კურკაჭელაანთ ბროლია, შემდეგ თანდათან ხმაში სინაზე გაურია და ბოლოს თაფლივით დაუტკბა ვიღაცას. ნახევრადშიშველი ბავშვები ეზოში გაიშალნენ. რომელიღაც ბალღმა კი არც აცივა, არც აცხელა და ხმამაღლა შეჰკივლა:

— საკოკე მოვიდაა!..

— საკოკე, საკოკე... გოგია, გოგია! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და ყველანი კურკაჭელაანთ ეზოში შეგუნდავდნენ.

— დედა შემოგევლოს, დედა გენაცვალოს, საიდან, შვილო?!. რომელმა სალოცავმა გადამირჩინა შენი თავი?!

საკოკე ხმას არ იღებდა. ხან ერთს უშვერდა ლოყას და ხან — მეორეს. ხან კი თვითონ ჰკოცნიდა თავის დაძმებსა და მრავალრიცხოვან ბიძაშვილებს.

ეზოში ვასკა ვირმა დაიყროყინა. ხევის ბოლოდან კი პართენა გამოეპასუხა. საკოკე მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და შუბლი გაეხსნა. ვასკა ვირს მიუახლოვდა და ყურის ძირები მოუსრისა. უსინათლო ცხოველის ინსტიქტით ვირმაც იგრძნო ერთგული პატრონის მიახლოება და ნაზად აათრთოლა ზედა ტუჩი.

ეზოში კურკაჭელა შემოვიდა. ყველანი მისკენ გაცვივდნენ სამახარობლოს იმედით:

— გოგია დაბრუნდა!

— საკოკე ჩამოვიდა! — აირია ერთმანეთში ბავშვისა და მოზრდილის ბოხი და წვრილი ხმები.

— ხელ-ფეხი ზედვე აქვს?! — მკაცრად იკითხა კურკაჭელამ.

— ყველაფერი ზედვე აქვს, დედა ენაცვალოს!

მხოლოდ ხელი ჩამოართვა მამამ. არც უკოცნია და არც ალტაცება გამოუთქვამს.

— რასა იქმ? აქ საიდან? — ჩაჰკითხა კურკაჭელამ.

— გამომიშვეს. — დაყოყმანდა საკოკე.

ამასობაში პართენამაც მოაკივლა ეზოსთან.

— გამოგიშვეს, თუ წამოხვედი?

— წამოვედი... ბალღების ნახვა მომენატრა და ისევ გავბრუნდები. — დაპატარავდა საკოკე.

— ახლა მაგისი დრო აღარ არის... აგერ, ბიძაშენიც მოვიდა. მიდი, დაისვენე და პური შევჭამოთ.

ეზოში დიდფეხამ შემოაბლარჯუნა. როგორც კი გაეგო, საკოკე ჩამოვიდაო, ვირიდან ბალახიც აღარ ჩამოეხსნა, ისე შემოვარდა:

— შენ გენაცვალე, ბიჭო, წახვედი, დაჰხოცე და დაბრუნდი, არა? — მოეხვია, თავ-პირი ჩამოაცალა და განაგრძო: — მაგრამ იმ წყეული ზარბაზნების ხმა რომ დღესაც გავიგე?

— ხვალ ისევ უნდა წავიდეს, ლევან, ერთი დღით არის. — წაეშველა კურკაჭელა.

— მეც არ მეგონა, ასე მალე როგორ ჩამოვიდა-მეთქი... იყოჩაღე და ცოტა ხნით გამოგიშვეს, არა, შვილო? შენ კი გენაცვალოს ლევანა ძია! ბიძასა ჰგევხარ კემუტი!

ცხვარი წამოაქცია კურკაჭელამ. ვინც თვალში მოინაკლისა, იმ მეზობლებსაც დაუძახა და კარგი პურ-მარილი გამართა. ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ საკოკეს. თვითონ კი მორცხვად იმეუშნებოდა და მამისკენ დამნაშავესავით იყურებოდა ჩუმ-ჩუმად.

— იქეიფე, შვილო, იმხიარულე! — შეებრალა მამას გულის სიღრმეში, — კაცს როცა თავისი შეცდომის გამოსწორება შეუძლია, შეცდომა აღარ არის.

— დამაცა, მიხაკო, მალაპარაკე ჩემს ძმიშვილთან! — გაფანჩული წარბები მაღლა აზიდა დიდფეხამ: — აბა, ის თუ გახსოვს, შვილო, ამირან-დევი შეიბნენ, მიწამ დაიწყო გრიალიო?

— როგორ არ მახსოვს. ყველაზე ძალიან შენ მენატრებოდი, ლევანა ძიავ...

— ყველაფერი გახსოვს, შვილო, მაგრამ ჩემთვის რომ დაგეჯერებინა და საშუალო სკოლა დაგემთავრებინა... — ამოიხვნეშა კურკაჭელამ.

— რატო თავს არ დაანებებ მაგეთ ლარიგებას?! — ჩაერია დიდფეხა: — მე თუ სკოლა არ დამიმთავრებია, ვისზე ნაკლები ვარ?! გამომიყვანეთ ის თქვენი დირექტორი თავისი მასწავლებლებიანად და ვნახოთ, ვინ მოერევა.

ყველანი გამხიარულდნენ. ზოგიერთმა კი ხმამაღლა გაიცინა. მხოლოდ კურკაჭელამ ვერ გახსნა შუბლი:

— აბა, აი, ის წიგნი მომაწოდეთ! — გაიშვირა თითი კამოდისკენ და როცა ყდაშემოცვეთილი წიგნი ხელში ჩაიგდო, საკოკეს მიუბრუნდა: — ეს წიგნი თუ წაგიკითხავს?

წამიკითხავს.

— არა მგონია. — კურკაჭელამ თითქოს წინასწარჩანიშნული ადგილი მოძებნა; — აბა, მომისმინე, თუ წაკითხული გაქვს.

— რა დროს წიგნი და შაირებია, შე კაი კაცო?! — შენიშნა დიდფეხამ: — დამისხი, დამალევინე, თუ ძმა ხარ!

— „ქალები მკიან ყანასა...“ — დაიწყო კურკაჭელამ კითხვა და წამით თვალებში შეხედა, ზერელედ მისმენს თუ მთელი გულითო: — ეს მხოლოდ გამეგონა, შვილო. ქალების ყანის მკა დღემდე არ მენახა. მხოლოდ ახლა ვნახე. მინდორში მხოლოდ ქალები და ბერიკაცები მუშაობენ. ყანასაც ისინი მკიან, და ძნასაც უდებენ. ბავშვები კი ულოს უგრეხენ და ხელეულს უწყობენ. ოდითგან თურმე ყოველი ომის დროს ქალები ენაცვლებოდნენ მამაკაცებს. ენაცვლებოდნენ შრომაში და თანაც საომრად აქეზებდნენ. აი, უყურე, რას უმღეროდნენ!

ყველანი დააინტერესა კურკაჭელას საუბარმა და სმენად გადაიქცნენ. კურკაჭელამ კი მკვეთრი ხმით დაიწყო კითხვა. ეტყობოდა, ბევრჯერ ჰქონდა ეს ლექსი წაკითხული, ან შეიძლება, ზეპირადაც იცოდა და მხოლოდ იმიტომ კითხულობდა რომ გაიგეთ, ეს

ლექსი ჩემი მოგონილი კი არა, წიგნშია დაბეჭდილი:

> ქალები მკიან ყანასა,
> და გასძახიან არაგვსა:
> არაგვო, უყარაულე,
> ომში მიმავალ ლაშქარსა...
> თუ ვინმე გამოქცეული
> ურცხვად მოადგა შენს კიდეს,
> ლამი აჭამე შერცხვენილს,
> რომ სახლში ველარ მივიდეს...

გოგიას ლუკმა გაეყინა პირში. კურკაჭელამ კი დინჯად განაგრძო:

— ეს ლექსი ერეკლეს უკანასკნელ ბრძოლაზეა დაწერილი. ბრძოლაში წასულ არაგველთა ცოლები თან ყანასა მკიან და თან ომში წასულ მამაკაცებს ამხნევებენ. იციან, შერცხვენილ სიცოცხლეს არავინ აპატიებთ და არაგვს უთვლიან: თუ ვინმე გამოქცეული ურცხვად მოადგა შენს კიდეს, ლამი აჭამე შერცხვენილს, რომ სახლში ველარ მივიდესო... გამხიარულდით, ხალხო, შვილი დამიბრუნდა ომიდან. მარტო ერთი ღამის ვადა მიუციათ და ხვალ დილითვე უნდა გავიდეს.

გოგიამ წიგნი გამოართვა მამას. დანიშნულ ადგილას გადაშალა, უბიდან ბლოკნოტი ამოიღო და ოკრობოკრო ასოებით რაღაცის ჩაწერა დაიწყო.

— თქვენ იმხიარულეთ, თქვენ პური შეჭამეთ! — მიმართა სუფრის წევრებს კურკაჭელამ და ჩვენი სამშობლოს ერთგული მეომრების სადღეგრძელო წარმოთქვა.

მეორე დილითვე გააცილეს გოგია.

## ბოლოთქმა

ჩვენმა სოფლელმა ფარსადანმა მიამბო:

ჩვენი შტაბის ეზოში ყუმბარა გასკდა. შტაბის უფროსის მოადგილე, ყველაზე ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი მთელ ჩვენს პოლკში, ეზოზე იყო გასული და ნაფლეთებად აქცია. და იცი, ვინ იყო ეს ვაჟკაცი? კურკაჭელას ბიჭი ზაქარია.

რაღაც განგებით ცოცხალი გადავრჩი და ბრძოლა განვაგრძეთ...

ერთი პატარა მდინარის პირას, ტყიან ბილიკზე მივდიოდით და უცბად ქართული სიმღერა შემომესმა. მაშინვე ხმის მიმართულებით გავემართე. ტყის განაპირას ჩვენი მეომრების ერთი ჯგუფი მიდიოდა და ქართულ სიმღერასა მღეროდა. ქართველები ხართ-მეთქი? — შევძახე აღტაცებით. ქართველივარო, გადმოხტა ერთი მაღალ-მაღალი და შავგვრემანი ბიჭი. გადამეხვია და მაშინღა ვიცანი კურკაჭელას გოგია, საკოკეს რომ ეძახდნენ. დასჯილთა ნაწილში მოხვედრილიყო, არ ვიცი, რა დააშავა, ისიც და მისი მეგობრებიც კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული და წინა ხაზზე იბრძოდნენ. თავისი ასეულის წევრებისათვის ქართული სიმღერა ესწავლებინა და ერთადა მღეროდნენ. უფრო სწორედ, გოგია მღეროდა, ისინი კი მის ხმას მიჰყვებოდნენ. „არაგვო, უყარაულე," რაღაც ამგვარ სიმღერასა მღეროდნენ. მანამდე არ გამეგონა ეს სიმღერა. მხოლოდ ახლა მღერიან ხოლმე რადიოში. ოღონდ ის სულ სხვა ჰანგი იყო და ეს სხვა ჰანგია. შეიძლება, ასე კარგად არც დამხსომებოდა, მაგრამ მეორე დღეს ერთ დიდ უკრაინულ სოფელში შევედით და როცა დახოცილ ჯარისკაცებს ვასაფლავებდით, მოულოდნელად გოგიას გვამს წავაწყდი...

წავაწყდი და... ხელახლა ჩამესმა მისი წამოწყებული სიმღერა, „არაგვო უყარაულეო..." მაშინ კი არა, ახლაც ჩამესმის მისი ხმა. ღამით რომ ვიძინებ, ხშირად მაღვიძებს ეს სიმღერა. მაწუხებს და მაღონებს. მართალია, ცოცხალი დავბრუნდი, მაგრამ ჩემი სულის ნაწილი იმ ბიჭებმა გაიტაცეს და ველარასოდეს დავიბრუნებ. საკოკე, ნათლად გამომესახება ხოლმე კურკაჭელას საკოკე და მოსვენებას აღარ მაძლევს.

ოტია იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

XII

სტუმრები უფრო წვრილფეხობა გამოდგნენ, ვიდრე არდაძეები, უკიდურეს შემთხვევაში, ელოდნენ. ორი სახალხო კომისრის მოადგილეს ძლივს მოუცდა ფეხი: ჩანტლაძეს და კიკიმელიას. ჩანტლაძეს უკვე რეპუტაცია შელახული ჰქონდა, მის ადგილზე კაცს ეძებენო, იყო მითქმა-მოთქმა; კიკიმელიასათვის თვითონ განათლების კომისარს ბოდიში დაებარებია მექისთან, რაკი მექი თავისი ფეხით ეახლა და თანხმობა ძალისძალათი გამოგლიჯა.

კიკიმელია თავს უფრო მხნედ და თამამად გრძნობდა. ჩანტლაძე აბუზული იჯდა — ნაწვიმარში დასველებული წიწილა რომ კრუხის ფრთის გარეთ დარჩება იმდაგვარად. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების გაერთიანების უფროსები თვითონ გამოცხადდნენ, ისინი თბილვაჭრობის მმართველის მოადგილეებად თვლიდნენ თავს, მაგრამ რატომღაც მარჯვენა ნაპირის გაერთიანების უფროსი მარცხენას ზევიდან უყურებდა, თუმცა ტანადობით მომცრო იყო.

სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორმაც მოადგილე მოავლინა, მეცნიერების კანდიდატი სილიბისტრო სარჩიმელიძე; ამას სხვა დროს არ გააკეთებდა, მაგრამ რაკი იცოდა: ამდენ სამხედრო კომისიებსა და გასაწვევ სამედიცინო პერსონალთან დავიდარაბით გატანჯულ ჯანმრთელობის სახალხო კომისარს არდაძეებთან სასტუმროდ კი არა, თავის მოსაფხანად არ ეცალა, და თუმცა კომისრის ცოლს /რომელიც არასგზით არ დააკლდებოდა/ შეეძლო რაიმე ჩაეწვეთებინა ყურში ქმრისათვის სარჩიმელიძის სასარგებლოდ, დღე და ღამე დირექტორობაზე რომ ოცნებობდა, მაგრამ ამ გაწამაწიის დროს, ეს „ჩაწვეთება" ინსტიტუტის დირექტორის კარიერას ზიანს ვერ მოუტანდა.

სხვები: ცოლები, ქალიშვილები, შინაბერა დები და ცოლისდები იყვნენ.

ციცოს თანაკურსელები, ამ დროს თბილისში ისედაც ცოტანი იმყოფებოდნენ, და მათ შორისაც ცოტა აღმოჩნდა ისეთი, ასეთ ვახშამზე რომ მოეწვიათ.

ნოშრევანის ამხანაგ-მეგობრები, მათგან ისედაც აკლებული იყო აქაურობა, ახლა დასავლეთის ღია ფანჯარასთან თავმოყრილნი, საზოგადოებისათვის ზურგშექცეულნი, ორი დღის წინ გაწვეული თავიანთი მეგობრის — მთიელი პოეტის, სატრფოსათვის დატოვებულ ლექსების რვეულს ჩურჩულით კითხულო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 4.

ბდნენ, მაგრამ მთიდან მთაზე გადასაძახებელ, მთელი ხმით საკითხავ ლექსებს, ხმა ჩაწყვეტილი ფუჩუნი თითქმის გაუგებარს ხდიდა.

სუფრა იმაზე გვიან გაიშალა, ვიდრე წავარაუდევი იყო, უფრო სწორად, ანაპო ადეიშვილის გამოჩენამ უშველა საქმეს, შემოსვლისთანავე რომ შეიცხადა:

— რავა მკვდრის პატრონებივით სხედხართ. ეს გერმანია მართლა აქ სადმე, ქუჩის მოსახვევში ხომ არ გეგულებათ. პირდაპირ ტრესტიდან მოვდივარ, არაფერი გამიგია. თუ რაიმე იცით, მითხარით, თავს ვუშველო! — და გადაიხარხარა, — ვიხუმრე, თქვე ოჯახქორებო, არ იფიქროთ, მტერი რომ გამოჩნდეს, თქვენზე ადრე თავშესაფარი მოვძებნო! — და მარჯვენა ხელის გულზე დავანებულ, მარგალიტას მარცხენა ხელს ახლა მთელი საზოგადოების დასანახავად ეამბორა.

— თქვენი ვაჟი?.. — ღიმილით იკითხა დიასახლისმა.

— ჩემი ვაჟი... — ანაპომ პირი ყურთან ისე ახლოს მიუტანა, მარგალიტამ თავი ოდნავ გადასწია და თანდათან სახეზე ღიმილიანი ნიღაბი მწუხარეთი შეიცვალა.

ანაპომ ყველას, უცნობს და ნაცნობს ჩამოუარა თავისი ჯიქური ზრდილობით, რასაც მარგალიტამ ყურადღება მიაქცია. იმ ჯგუფში კი, სადაც აქაურობისა არაფერი ესმოდათ, მამუკა მაინც გამოარჩია და თავზე ხელი მამაშვილურად გადაუსვა. ბოლოს კი ციბრუტივით დატრიალდა, მექის დაუწყო თვალით ძებნა, მაგრამ არ გაკვირვებია, რომ ვერ დაინახა; რაკი სუფრა ჯერ გაწყობილი არ იყო, ესლა წამოიძახა საერთო სევდის გასაფანტავად:

— ამხანაგებო, ომია, თორემ სხვა მხრივ ხომ მშვიდობაა...

ამაზე კიკიმელიამ ქანგიანი კბილები გადმოაჭყარა და ჯერ კიდევ ადეიშვილის გამოჩენისას რომ აპირებდა, ის იმედის მუგუზალი ისროლა:

— ფრონტს ისეთი ბიჭებით დატენილ ეშელონებს ვუგზავნით, მტერს ერთ თვეში კისერმოგრეხილს ვნახავთ!

— რაღაცა მეტად ჩქარა მოიწევს, მგონია... — ბანჯგვლიანი ხელი მოწაფესავით ასწია, ფერადი პეიზაჟის, ოქროსფერ ჩარჩოს ქვევით, კედელზე აკრულმა მარცხენა ნაპირის ვაჭრობის გაერთიანების უფროსმა; ის აქამდე საზოგადოების ნამალავად ეკამათებოდა მარჯვნივ მდგომ, მარჯვენა ნაპირის ასეთივე გაერთიანების უფროსს.

— ისე, მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ... — კიკიმელიას ვაჭრობის მუშაკებისაკენ არც მიუხედავს, სავარძელში ისე გადაინაცვლა ფეხი ფეხზე და ანაპოს შემოხედა, რაკიღა იცოდა, რომ ფრიად საეჭვო იყო დარჩებოდა თუ არა ჩანტლაძე თავის ადგილას.

— ვაი შვილო! — აღმოხდა ანაპოს და თვალით ვატუტი მოძებნა: ხომ იცი, ჩემთან სახლში არაფერი წამოგცდესო.

— არა, ჩვენი არმია რომ ძლიერია, ორი აზრი არაა... — დაიწყო ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილმა სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სარჩიმელიძემ და ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ცოლს, ლიზას გადახედა: ქმარს თუ ენა მიუტანო, ისე მიუტანე, როგორც ვამბობ... ის შენი პროტეჟეები ყველა ვერ ჩავრიცხე, მაგრამ ეს დასაწვავი, მე ხომ ჯერ დირექტორი არა ვარო, — რატომაა, რომ ეს უკან დახევა... არა, მე მესმის, აქ რაღაც ოპერაციაა ალბათ. მაგრამ აგერ ორი კვირა გავიდა; სამედიცინო პერსონალი ყოველდღე მიდის, საავადმყოფოები დაცარიელდა...

— ეს სამხედრო ტაქტიკაა, ამხანაგო სილიბისტრო, სამხედრო ტაქტიკა! — მისკენ თავმიუბრუნებლად აუხსნა კიკიმელიამ.

— რაღაც ნამეტნავად ჩვენი საზარალო ტაქტიკასავითაა.... — ამოღერღა ჩანტლაძემ. ამას მაინც ვიტყვი, რაც ყველას უნდა თქვას, მაგრამ ენაზე კბილი ისე აქვთ დაჭერილი, შეიძლება მოიკვნიტონ. მე ჩემი მეპართეება მგონია და მათი საცოდაობით უვახშმოდ მაინც არ დავრჩეო.

— ტაქტიკის, და ისიც სამხედრო ტაქტიკის, არაფერი გაგეგება ამხანაგო კალენიკე! — როგორც იყო მიიხედა მისკენ კიკიმელიამ, — ფრანგებმა მოსკოვი აიღეს, მაგრამ რაც ნაპოლეონმა წაიღო, იმას წაიღებს მაგ შენი ჰიტლერია, თუ ვიღაცა ეშმაკი...

— ჩემი რატომაა ჰიტლერი... — ეწყინა ჩანტლაძეს. მე ახლა ისღა მაკლია, ჰიტლერიც მომაწებოთ.

— რომ გამოიდებთ თავს ამხანაგო და... აქ ხალხია ჩვენს გარდა, აგერ ახალგაზრდებია, კომკავშირლები. ჩვენ ამათ აღზრდას და რწმენას ვემსახურებით. შენ მომდგარხარ აქ და რაღაც შიში და დეზორგანიზაცია შემოგაქვს...

— მე რა, ეს გაზეთებში სწერია და რადიო ლაპარაკობს...

— რას ლაპარაკობს... ამხანაგო ჩანტლაძე! — გვარზე გადავიდა კიკიმელია, რაც ყველას ემწუთხა, — ის წერია, მტრის სასარგებლო ტაქტიკას აწარმოებს ჩვენი სამხედრო თავდაცვის საბჭო და მთავარსარდლობაო?!

— მე ეს არ მითქვამს, ხალხო! მე ეს როდის ვთქვი?! — ისედაც კრუხის ფრთის გარეთ დარჩენილ, სველი წიწილასავით აბუზული ჩანტლაძე, კოკისპირულში მოჰყვა და ნიაღვარმა არ წამოღოსო, ხელი საშველად გამოიწვდინა.

— რომ არ გითქვამს, შეიძლება ასე გაიგოს ვინმემ! — ისევ კიკიმელიამ გაუწოდა ხელი მისგან ხელნაკრავს და წყალს გატანებულს.

— ღმერთო, ეს რა ლაპარაკია!.. — გადაიკისკისა სახალხო კომისრის ცოლისდამ, ვითომ და, დიდი მოსწრებული, საოხუნჯო სიტყვა-პასუხი გაემართოთ ჩანტლაძესა და კიკიმელიას.

— მართალია, ქალბატონო ნინო, მართალი! — ვითომ ანაპოსაც სასაცილოდ მოსჩვენებოდეს, დაეთანხმა ასე უადგილო ადგილას პირმოროვეულს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, გაიფიქრა და დაუმატა, — უფრო ისეთი საუბარი... თუ შეიძლებოდეს!.. მასპინძლებს ვთხოვოთ, თუ რამეს აპირებენ, ჰქნან მადლი... — ეს ისე ხმამაღლა თქვა ადეიშვილმა, მექი თუ ამ შენობაში სადმე იყო, უნდა გაეგონა.

მარგალიტამ როიალის თავზე დადებულ მარაოს ხელი წამოუსვა და სამზარეულოსაკენ იმდენად ჩქარა წავიდა, რაც მის ღირსებას შეეფერებოდა; ქალების უმრავლესობამ თვალი აშკარა შურით გააყოლა.

მალე იმ კარებიდან, სადაც მარგალიტა შევიდა, თავისი ასაკისა, ჩასუქებული გარეგნობისა და ყოფილი თანამდებობისათვის შეუფერებელი სიმარდით გამოვარდა მექი არდაძე, ორივე ხელში უშველებელი სინი რომ ეჭირა, რომელსაც თივის ზვინივით ადგა უხშივარი და დარბაზშიაც სულისშემხუთველი სიცხე და სამზარეულოს ბული შემოიყოლა.

— აქა ვარ, ჩემო ანაპო! შენა ერთგულება და ძმობა არ მომეშალოს!... აზრჩოლებული სინით ჯერ „ერთგულ ძმას“ ეახლა, კისერი მოიღრიცა და აკოცა, ხელებგაკავებულს ანაპოც დიდი მონდომებით შეეშველა, თორემ ეს ცხელი სინი სუფრამდე მიაღწევდა თუ არა, ჩანტლაძის თანამდებობაზე დარჩენასავით საეჭვო იყო.

მარგალიტას ცალი ხელის თითებზე დაედო ყვავილებიანი ფრიალა თეფში, რომელზეც სამი ხაჭაპური იდო, მეორე ხელით მარაოს იქნევდა და ისე მივიდა სუფრასთან; უკან ორივე მკლავებდაკაპიწებული და ხორაგით დამძიმებული, სახეაპილპილებული ძუძუმტე მოსდევდა, ჩვეულებრივ, მეტისმეტი ლოყებღაყლაყა ვარო, რომ არ სწუხდა.

— ადექი, გოგო, ზევით! — თავის ქალიშვილს თვალები გადაუბრიალა და იქ მყოფთ შეჰლიმა მარგალიტამ, — როდის იყო ასე პრინცესასავით რომ იცოდი ჯდომა...

— ვითომ დღეს მეპატიებათ... — გაიღიმა ლიზამ, რომელსაც ღიმილი ისე არ უხდებოდა, როგორც იმ ოქროსფერ ჩარჩოს, იმ პეიზაჟის იაფფასიანი ასლი.

— კი, გენაცვალე, კი, დღეს ყველაფერი ეპატიება... — ორი სიტყვის დამთავრება არ აცალა, დაუკრა კვერი სახალხო კომისრის შინაბერა ცოლისდამ

და ახლაც ისე გადარტკვარცალა, რომ არ შეგეხედათ, იფიქრებდით, კოპწია ქალიშვილი კისკისებსო.

— მოგვტაცებენ, მარგალიტა, მაგ გოგოს და რა გეშველება! — სრული სერიოზულობით და სინანულით დასძინა ალმასკომის თავმჯდომარის ფაშფაშა ცოლმა, თითქოს უნდოდა ეთქვა, რაც აქ მოვედი, ამის დარდი მაწუხებდა და ცხვირ-პირი ამიტომ ჩამომტირისო.

— უყურე ამას, რავა მართლა შეიშნო და ფეხს არ იცვლის! — გაწყრა მომღიმარე დიასახლისი და ქალებში მოპუტუნე შვილს თავზე დაადგა.

— ციცო, დედას რომ გავუმართავთ იუბილეს, მაშინ დატრიალდება, — გამოექომაგა ისევ ლიზა და ისევ გაიღიმა, რასაც ბევრმა თვალი აარიდა, აქაო და ჭამის მადა არ გაგვიფუჭოსო.

— დედის იუბილე ჯერ ადრეა... — მარგალიტას ახლა ქალიშვილი სულ გადაავიწყდა, და რომ მისი ღიმილისათვის ვითომ გაჯავრებას ეშხი არ დაეკლო, მართლაც ოსტატურად, ორაზროვნად ჩაიცინა: აქაო და, მართალია ჩემზე ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ორი შენი ხნისაც რომ ვიყო, ერთი გაღიმებით გაყიდი და გაგყიდიო.

— რა თქმა უნდა... მე ის კი არ მითქვამს, ხვალ შენს იუბილეზე ვართ მოსასვლელი-მეთქი... — აშკარად, ქვეყნის დასანახავად დაჰყარა ფარხმალი ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ცოლმა და კვლავ საცოდავად გაიღიმა, თითქოს ვინმეს თვალდახუჭულისათვის პირი გაეღებინოს, შოკოლადს ჩაგიდებო და მკვახე ტყემალი კი ჩაეჩაროს.

ციცო წელმოწყვეტით ადგა, ორი ქალი გაიყოლა და სამზარეულოსკენ წავიდა, მაგრამ დობილებს კი არ მიუძღოდა, მიჰყვებოდა და ვატუტის თვალმოუწყვეტელი მზერაც ისე მიჰქონდა, გალარიბებულს ერთადერთი ყალბი სამკაული რომ შემორჩება და ქვეყანას უმტკიცებს, მარგალიტიაო.

სუფრა მაინც მალე გაიშალა და ყველამ თავის ადგილი დაიჭირა.

ნოშრევანის მეგობრებს ბარემ ერჩიათ თავისთვის, მეორე ოთახში თუნდაც ღარიბული პური ეჭამათ, ოღონდ ცალკე ყოფილიყვნენ, მაგრამ აქ უგულვებელყოფა ამ ახალგაზრდობისა, რომელსაც დღეს-ხვალ, განსაცდელში მყოფი სამშობლოს წინაშე მამულიშვილური ვალი უნდა მოეხადა, არაფრით არ მოხდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდათ, ბედს შეურიგდნენ და სუფრის ბოლოს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმულ სკამებზე მოეწყვნენ.

თეკლა მამუკასა და ნოშრევანს შორის იჯდა, ცალ ხელში რომ დედის წერილი ეჭირა, მეორეთი მამუკას მკლავს ჩაფრენოდა.

ანაპომ, თამადობა რომ დაულოცეს, სუფრას განმგებლის თვალი მოავლო, მოადგილედ და ახალგაზრდობის თამადად ვატუტი დანიშნა:

— აბა, შენ იცი, მამაშენის შვილმა არ შემარცხვინო!

ვატუტი მკვირცხლად წამოხტა, მაგიდის ქვეშ მაინც ვერავინ დაინახავსო, თითის წვერებზე აიწია და მანამდე იუარა, სანამ სტუმარ-მასპინძლის ყურადღება არ მიიქცია, სანამ ყველას არ დაანახა: მე ვარ არჩეული და სხვა არავინო; ბევრს იქ მყოფს ეგონა: ეს რა უსაშველოდ თავმდაბალი ახალგაზრდაა, ამ გოგოს კი უტიფარი თვალით უყურებს, მაგრამ ალბათ ნამეტანი უჭირს, თვალი დაუდგეს სიყვარულსო.

## XIII

ციცო აკომპანიმენტს აცოდვილებდა ორივე იდაყვით როიალის თავზე დაყრდნობილი მარგალიტა მღეროდა:

მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ
ჩემთვის,
მოუცია მაღლიდან ღმერთს...

მარგალიტა სცენაზე ამ რომანსს ბოლო წლებამდე ერთი ნიჭიერი დირიჟორისათვის ასრულებდა, ეგულებოდა ის ახლო-მახლო თუ არა. მომღერალ ქალს იგი უიმედო სიყვარულით უყვარდა. სახლში ან წვეულებაში კი ამ სიმღერას ვინმე საპატიო სტუმარს მიუძღვნიდა,

ან იმ წუთს იქვე, სახელდახელოდ მისი სილამაზით და ხელოვნებით დაბრმავებულს.

ახლა კარგა ხანია დირიჟორი აღარ იყო. აქ კიდევ კაკიმელიის ხის ყურებს რაც გინდა უგალობე, სულ ერთია. ჩანტლაძეს რაღა ემღერება, ჭამის მადაც აღარა აქვს, ამ ღვინოს ყლურწავს და ყლურწავს უსიტყვოდ, ღმერთი არ გამიწყრეს, კიდევ არაფერი წამომცდესო. ანაპოა და... ანაპო მუდამ ასეთი იყო. ზრდილობისათვის ეკურკურებოდა მარგალიტას, მით უმეტეს, როცა ტრესტის მმართველი გახდა და ყურმოკრული ჰქონდა, ოპერის მომღერალზე, ან ბალეტის მოცეკვავეებზე უნდა გეჭიროს თვალიო; ისე კი მთელი საოპერო და საბალეტო ხელოვნებას, ძმაბიჭებზე ხელგადახვეული სუფრული და მრავალჟამიერი ერჩია.

იქ, სუფრის ბოლოში, ნოშრევანის მეგობრებმა კი ცქვიტეს ყურები, ის კოხტაპრუწა ბიჭი — მისი ქალიშვილის მოტრფიალე, ფეხზეც კი წამოხტა, მაგრამ ამას მომღერლისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და სიმღერაც უგემური, შინაგანი ცეცხლისაგან დაშრეტილი, გარეგნული, ცივი ოსტატობით შესრულებული დარჩა.

ტაში მაინც გულდაგულ დასცხეს. ანაპო მაშინვე მიეახლა, ისევ და ისევ ემთხვია და სკამთან მიაცილა, აღფრთოვანებულმა გზა და გზა ფეხზე შემოწკეპილი აზიური ჩექმებიც კი გაუსვა.

— ჩვენი მარად ახალგაზრდა, მარად აყვავებული, მარად კეკლუცი... — ისროდა, რაც ენაზე მოადგებოდა და ანგარიშს ვერ უწევდა, რომ „მარად ახალგაზრდას“ და „მარად კეკლუცს“ თვრამეტი წლის გოგოს არ ეუბნებიან, ეუბნებიან იმას, ვინც უკვე ეს ახალგაზრდობა და სიკეკლუცე დაკარგა, ვისაც ის აღარა აქვს. ამიტომაც იყო, რომ აქამდე ფარხმალდაყრილმა ლიზამ, მზერა რომ ყვავილებიან თეფშზე ჰქონდა მიციებული და თითო ლუკმას უმადოდ ღეჭავდა, თავი ასწია, საზოგადოებას უსხივო თვალები გაუსწორა.

ციცოს მეგობრებმა ტაშისცემა ყველაზე ბოლოს შეწყვიტეს და თამადის ფეხმოქცეულმა მოადგილემ ანაპოს მოკრძალებით თხოვა ქალბატონ მარგალიტას სადღეგრძელო კიდევ ერთხელ სახელდახელოდ შეესვათ.

მარგალიტა აიმრიზა, დიასახლისი ქალურ ინტრიგაში თავისდაუნებურად ჩაება, თორემ ამ წვეულების მიზანი სულ სხვა იყო, ლიზას განადგურებას და განაწყენებას სულ არ აპირებდა.

„ეს უტიფარი გადამრევს, თუ მაგანაც ანაპოსავით სისულელეები დაროშა და ლიზას წისქვილზე წყალი დაასხა, უკვე საკმარისია, რაც ადეიშვილმა იბჟუტურა, ხაზი გაუსვა ჩემს „უბერებლობას“ და „სიკეკლუცეს“. ამანაც თუ ამის მტკიცება დაიწყო, ლიზა კი არა, ის შინაბერებიც და ალმასკომის თავმჯდომარის ცოლიც ჭერს დაუწყებენ ცქერას... ცამდე მაქებარი, მაძაგებელზე უარესია“...

კაცმა რომ თქვას, დიასახლისს, სერიოზული მოქიშპე არა ჰყავდა და ასეც რომ ყოფილიყო, ეს საღამო და ამდენი ხარჯი, ასიათასჯერ ნათამაშებ დიაცურ ინტრიგებისთვის არ უნდოდა შეეწირა; რაში სჭირდებოდა სტუმარი ქალები მაგიდის ქვეშ შეეძვრინათ და მისთვის ძეგლი დაედგათ.

— დაე, ნურავის ეწყინება! — დაიწყო ფეხის წვერზე შემართულმა ვატუტიმ, რაზეც მამუკა უხერხულად აიწურა და ანაპო გაიბადრა,—ჩვენი მასპინძლის გულუხვ სუფრას ამშვენებენ ბრწყინვალე მანდილოსნები: ქალბატონი ელიზავეტა... — სახალხო კომისრის ცოლს, ასე მაღალფარდოვნად ნათქვამი თავისი სახელი რომ შემოესმა, როცა ეგონა ისევ ამ „არტისტის“ ქება-დიდებას დაიწყებენო, გუნება თვალსა და ხელს შუა გამოუკეთდა. ამით დიასახლისიც კმაყოფილი დარჩა, იგრძნო, ის თავისას უკლებლად მიიღებდა და მწვადიც არ დაიწვებოდა. — სათნო, — განაგრძო შემართულმა ორატორმა, რომელსაც ცხვირწინ უჯდა ის, ვინც წელან მომღერალს აკლდა, — ფიქრიანი მან-

დილოსანი, სიხარულისა და ღიმილის დროსაც რომ ადამიანებზე ზრუნვა და დარდი ახლავს... — და მარგალიტას რომ წარბი გაეღუნა, ამ ქალის მჟავე ღიმილს გამართლება კი უპოვა, მაგრამ არ აილოს და ახლა ფრთები არ გამოაბასო, ამის შემდეგ, ვატუტიმ, მხიარული, გულღია და სახემოცინარი ნინო ახსენა.

— უმნიშვნელო, მეგობრულ უსიამოვნებაშიც კი რომ ცდილობს სინათლე და ხალისი გააჩინოს...

საწყალი ნინო ძლივს დაშოშმინდა, რამდენჯერ გადაიტკვარცალა და არავინ რომ მხარი არ აუბა, ბოლოს სულ მოიქამა: რომ ვალებ პირს და ვკისკისებ, სიძეს ვინმემ ენა რომ მიუტანოს და მკითხოს: რატომ იცინოდიო, თუ შენს მეტი არავინ იცინოდა, რა ვუპასუხოო.

— ქალბატონო ეველინა!.. — რაიაღმასკომის თავმჯდომარის სახემოწკურულმა ცოლმა ევამ, ყურზე ჭადარა თმა გადაიწია, ხეირიანად არ იცოდა, ევა თუ ეველინას ნიშნავდა... — ქალბატონი ეველინა, მარტო თავის თავზე და თავის ოჯახის კეთილდღეობაზე რომ ფიქრობდეს, ღიმილისთვისაც მაინც მოიცლიდა. მაგრამ არა, მას ჩვენზე ფიქრი აწუხებს, ახალგაზრდებო!

„ისიც იცის ამ ყმაწვილმა, რომ უშვილო ვარ?!“ — თვალები მოიფშვნიტა ევა-ეველინამ.

ვატუტიმ მანდილოსნებს თვალი მოავლო და რაკი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, აღმასკომის თავმჯდომარის მეუღლე მარგალიტაზე ერთი ათი წლით უფროსი მაინც იქნება და უკვე უპრეტენზიო დედაბრისადმი შური აღარავის აღეძვრებაო, დაუმატა:

— ორი კვირის წინ რომ შევხვედროდით ქალბატონს, დარწმუნებული ვარ, ის სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, მაგრამ ახლა მძიმე დღეები გვაქვს, ქალბატონებო და ბატონებო, ომია...

„ქალბატონებო“ და „ბატონებო“ რომ ყველას ეგონა ყურს ჭრისო, ეს ყმაწვილი ისე თავისუფლად და დაჯერებით ლაპარაკობდა — აბა დედის ტოლა ქალებს და ისიც ისეთი გავლენიანი კაცების ცოლებს, „ამხანაგო ბიცოლას“ და „ამხანაგო დეიდას“ რომ არ ვეტყვიო, — ეს სიტყვები თვით კიკიმელიას ხის ყურებსაც კი არ ეუცხოებოდა. თუმცა ორატორი მზად იყო „წამომცდაო“ ეთქვა და მაშინვე უკან უნდა წაეღო ეს სიტყვები, თუ აქ მყოფთა სმენას შეაძრწუნებდა, მაგრამ ყურებზე რომ ხელები აეფარებინოს, ასეთი არავინ დაუნახავს.

— კარგი, დაამთავრე აწი მაინც... — წამოცდა მამუკას, რაზეც თეკლა მკლავში მეორე ხელითაც ეცა, აბასთუმნიდან გამოგზავნილი დედის წერილი რომ ეჭირა.

— მარგალიტას სადღეგრძელოს ამბობს და რა დროს დამთავრებაა...

— მაშინ იმაზე ილაპარაკოს...

— გაჩუმდი შენი ჭირიმე, მამუკა!

ვატუტიმ უმცროს ძმას ღიმილით გადმოხედა: ენას კბილი დააჭირე, გაჩუმდი, შე მამაჩემის ნატეხო, ხომ ხედავ სუფრაზე ბუზის გაფრენა ისმის, შენ — ჩემი სისხლი და ხორცი მჭრი ყელსო?!

— მე რომ მკითხოთ, ამ დიდებულ სუფრაზე ასეთი არავინ მეგულება, მაგრამ საერთოდ არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, ხმაურით, ქაქანით მიიქციონ ყურადღება, და ბოდიშს ვიხდი, მათი ჰგონიათ, ცხვირაწეული თუ გამოიჭიმებიან, საზოგადოებას თავს მეტად დაამახსოვრებენ. მე მგონია, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაივიწყებს თავმდაბალ ქალბატონ ეფროსინეს და მის მოკრძალებულ დაიას — ადათის.

ამით ვატუტიმ უკვე საბოლოოდ მოხიბლა მარგალიტა. ეს რაიონის სამხედრო კომისრის ცოლი და ცოლისდა არასდროს, მათ ოჯახში კი არა, არავითარ დროსტარებაში არ უნახავთ და ვერაფრით მასპინძელმა მათთან საერთო ენა ვერ გამოძებნა. ისხდნენ თავისთვის დარცხვენილი დები და კაბას სულ კოჭებისაკენ ექაჩებოდნენ. გამარჯობაც არა უთქვამთ, ისე უსიტყვოდ ჩამოართვეს ხელი დიასახლისს, თავდაპირველად რომ კარებში გამოჩნდნენ და მას აქეთ, სუფრის გაშლამდე, დასჯილებივით კუთხეში

მოკალათდნენ, მერე მაგიდასთან ძალის ძალათი მოიყვანეს და ერთი სიტყვა რაა, არ დაცდენიათ, აქამდე დარწმუნებულებს, რომ სადღაც სხვაგან მოხვდნენ: ფრთხილობდნენ, თურმე ნუ იტყვით, მუნჯები ეგონათ და უხერხულად თვალს არიდებდნენ, მაგრამ ორივემ „მადლობა, თქვენი ჭირიმე, მადლობა თქვენ გენაცვალეთო“, მერცხლებივით დაიჭიკჭიკეს.

— ჩვენი ახალგაზრდობა .. ესენი ციცოს და ჩემი მეგობრებია! — ერთბაშად, ერთი ჯოხით გადენა ახალგაზრდობა, — აქ გახლავთ და ვისაც გინდა ჰკითხეთ. რა გადასარევი გოგონაა ცაბუნია! ქალბატონებო და ბატონებო! — ახლა ეს მონატრებული „ქალბატონებო და ბატონებო“ უფრო დაბეჯითებით თქვა, რაკი შეიტყო, რომ ბევრის ყურს ესალბუნებოდა, — მე ამ ოჯახში პირველად არა ვარ... ეს ოჯახი მხოლოდ ხელოვანის ოჯახი კი არაა, აქ ბატონი მექიც და თვით მშვენიერი ციცოც ხელოვნების მფარველი და მოამაგეა. ჩვენი ახალგაზრდებისთვის, ვისაც საამისო ნიჭი აქვს, — სუფრის ბოლოს გადახედა მოწყალე თვალით და თეკლამ მამუკას წინდაწინ დააფარა პირზე ხელი, — და იმათთვისაც კი, ვინც საამისო მადლით არ დაუჯილდოებია ბუნებას, მაგრამ თვალი მშვენიერებისაკენ გაურბის, როგორც ბავშვს ხელი ცეცხლისაკენ, — თავი მოისაწყლა და ციცოს ქვეშქვეშად გადახედა, — ამ ოჯახის კარები ღიაა...

— ე ბიჭო, ეს ვინ ყოფილა კაცო! — წამოიძახა ანაპომ და მაშინვე ტუჩზე მიიფარა ხელი: ეს რა დამემართა, მე თვითონ დავარღვიე სუფრის წესიო...

— დიახ, ბატონო თამადა! თქვენც მოგეხსენებათ და ჩვენც, ცაბუნია ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრია, ციცოს და ნოშრევანის დაა. რა დასამალია, და ხშირად ხდება, გაიძახიან ეს ჩემი დისწულია, ეს ობოლი მამიდაშვილია, ეს კიდევ ძიძიშვილია და ვინ მოთვლის... სინამდვილეში ისიც ვიცით ვინ და როგორი „ნათესავია“... — ამ დროს მარგალიტას სახეზე ეჭვი შეამჩნია და განაგრძო: — ვინც ამ ოჯახს იცნობს, ამას ვერც კი გაიფიქრებს... — დიასახლისი ვერ დააკმაყოფილა ამ ზერელე, ცარიელა, ქურდის ფიცივით ფრაზამ, — აქ მარტო ცაბუნია კი არა, აგერ რამდენი ახალგაზრდაა, მართლა რომ ამ ოჯახთან არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვს, მაგრამ უცხოდ არ გრძნობს თავს. ქალბატონი მარგალიტა, ბატონი მექი და ყველა, თავისიანივით, ახლობელივით გვექცევა. ასე არაა, ქალიშვილებო და ვაჟკაცებო? — და დასტურს არ დაუცადა, — ეს კი არა, რამდენჯერ გამიგონია, ქალბატონი მარგალიტა რომ კიცხავდა ციცოს, ცაბუნიას მიერ გატეხილი სერვიზის თეფშისათვის...

სამზარეულოს კარებიდან თავგამოყოფილი ცაბუნია მართლა თეფშის ტოლა თვალებით იხედებოდა.

— და ყოველივე ამის თავი და თავი, უდიდეს ბოდიშს მოვითხოვ, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს ოჯახი ამოუწურავია... ყველაფრის თავი და თავი... მე მამაკაცის როლს არ ვამცირებ, მაგრამ იგი მაინც სტუმარია ოჯახში, ისიც ისეთი მამაკაცი, რომელსაც საქვეყნო საქმეც დაულეველი აქვს... არის ქალბატონი მარგალიტა. არაფერს ვამბობ მის დიად ხელოვნებაზე, რომელიც მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელმა ქვეყანამ იცის...

ანაპო წამოვარდა, სუფრას შემოურბინა, ფეხებზე დაიკიდა, ტრესტის მმართველს ეს შეჰფეროდა თუ არა, მივარდა და ვატუტი გულში ჩაიკრა.

სუფრის თავში ტაშიც კი შემოკრეს.

კიკიმელიამ ისიც კი აღნიშნა:

— აი, როგორი ახალგაზრდობა გვეზრდება. რა მტერი უნდა იყოს ისეთი, რომ ჩვენ დაგვამარცხოს... — და სარჩიმელიძეს თავი თავმოწონებით და ჩანტლაძეს ნიშნისმოგებით დაუქნია.

სარჩიმელიძე მაინცდამაინც ვერ ალაფრთოვანა თავისი სტუდენტის ალიარებამ, — სულერთია ეს დირექტორს ჩაეთვლება კარგ მუშაობად და მის მოხსნას კიდევ არ დაადგება საშველი, მომ-

კლა ამ მოადგილეობამო, მაგრამ მერე ისიც გაიფიქრა, ხომ შეიძლება ეს ბიჭი დაწინაურონო? და ტაში მოგვიანებით შემოკრა.

ამრეზილი მამუკასა და მასზე ჩაფ-რენილი თეკლასათვის, ორჭოფულად გაღიმებული ნოშრევანისა და მათი მე-გობრებისათვის აღარავის ეცალა, რაკი სუფრის თავმა და შუაწელმა — ციცომ და მისმა დობილებმა, ოქროპირი ერთ-ხმად აღიარეს.

— საცოდაობა არაა, ასეთი ახალგაზ-რდები წავიდნენ და სადღაც ჩაიხოცონ? — ესღა ჰკითხა ერთ წუთში გუნებაგა-მოცვლილ სარჩიმელიძეს მარგალიტამ, ვითომ მხოლოდ ჩემი ქალიშვილის ბედი კი არ მაწუხებს, როგორც ამ ყმაწვილმა აღნიშნა, მე ყველას შვილებივით ვუყუ-რებო.

— რა ვიცი... — „ქალბატონიც" კი უნდა დაეყოლებინა, მაგრამ სარჩიმე-ლიძემ ენას დროზე კბილი დააჭირა, — ვერაფერს ვერ გეტყვით... — ვითომ მე ვინ მეკითხება, რა ხდებაო.

— ეჰ, საცოდაობაა, საცოდაობა... — ამოიხვნეშა ფაშფაშა ევამ, აქაოდა, არა-ვინ იფიქროს, იმ ყმაწვილმა რომ თქვა „ჩვენზე ფიქრობს ეველინაო", მართალი არ იყოსო.

— ჩვენი ვაჟიშვილი ჩემმა კაცმა თა-ვისი ხელით გაგზავნა ომის დაწყების მეორე დღეს, — ამოიგმინა რაიონის სა-მხედრო კომისრის ცოლმა და გრძელი კაბა ჩაქაჩა.

— აბა, ჩემი სიმონა... — ამოხვნეშას გულიც ამოაყოლა მისმა შინაბერა დამ ალათიმ, და უფრო გრძელი კაბა კინაღამ მუხლზე გადაიხია, ორივე ხელით კოჭე-ბისაკენ ისე ჩაზიდა.

მარგალიტამ უიმედოდ გადახედა სტუმარ ღებს, და ის იყო, სახეალეწილი ცაბუნია მივარდა დიასახლისს, შეშფო-თებულმა ყურში რაღაც უჩურჩულა:

— მერე, გამოართვი და მომიტანე!

— არ მანებებს...

— რატომ?

— ოჯახის უფროსს უნდა ჩააბარდე-სო... ხელი მომიწერონო...

— ხელი მომიწერონო?!

— ჰო, მექი ბიძიას ვუთხრა, თუ ნო-შრევანს დავუძახო?

— ნოშრევანი რა შუაშია?!

— ნოშრევანის სახელზეა.

მარგალიტა კეტდარტყმულივით წა-მოდგა.

* * *

არდაძეებმა ერთადერთი ვაჟიშვილის ომში გაწვევის უწყება მიიღეს.

მარგალიტამ, სუფრის დაშლის წინ რომ გამოვიდა, ციცოს გაჯახირებულ აკომპანიმენტზე „თავო ჩემო" იმღერა და არც იქ მყოფთ, ვისაც მუსიკისა რამე გაეგებოდა და არც თვითონ მას, არ ახ-სოვდა, რომ ასე გულში ჩამწვდომად უძირო სევდით და სულის შემძვრელად, ოდესმე რაიმე შეესრულებინოს, ის რო-მანსებიც კი, რომელთაც რაც თავი ახ-სოვდა, მღეროდა.

XIV

გვიან, შინ დაბრუნებულ თეკლასა და მამუკას, შეშფოთებულმა ბებიამ, — ანთებულ ნათურასთან თვალმოუხუჭავი რომ იჯდა, და აცახცახებულმა, დიდხანს სათქმელს თავი ვერ მოაბა, — ძლივს გააგებინა, რომ მათთან მთელი საღამო ივდითი იყო.

— მამიდა?! — გაიოცა მამუკამ, ვე-რაფრით ვერ წარმოედგინა, რომ მისი ამპარტავანი, ამაყი მამიდა თავისი ფე-ხით ეახლა იმ ოჯახს, სადაც მისი გულ-კეთილი, ალალი, გულუბრყვილო ძმის-შვილი ასე „მუხანათურად" მიიჩვიეს და „მახეს უგებენ".

— რა უნდოდა? — ფერი ეცვალა თეკლას: მამუკა შინ რომ არ გავუშვი, მამამისს თუ აცნობეს, ან ვინ იცის ფა-რნა უკვე აქაა და შვილს იბარებსო. ვაი თუ ყველაფერი ისე ვერ გაიგონ, ათასი ტრადიციებისა და ადათის დამცველმა ხალხმა, რა მეშველებაო.

— სად დადის, რატომ ერთხელ არ ამოვიდაო.

— მეტი არაფერი? — გაუკვირდა მამუკას, მამიდა ასე მოკრძალებული

მოკითხვასა და ნახვის ნატვრისათვის თავს არ დაიმდაბლებდა. — როდის იყო?

— ხომ გითხარი შვილო, საღამოს მოვიდა და დიდი ხანი არაა, რაც წავიდა.

— აქამდე მელოდა?! — ყურებს არ დაუჯერა მამუკამ.

— ჰო, შვილო...

— რაღაცა ამბავია... — შეიცხადა თეკლამ და ატირებული მეორე ოთახში გავარდა, ამ ბოლო დროს თვითონაც რომ ვერ აეხსნა, რატომ დასჩემდა ეს — დაემხობოდა ხოლმე ბალიშზე და ტირილი აუტყდებოდა.

— მგონი, შვილო!.. — აჩურჩულდა ენაწართმეული მოხუცი, — მგონი ჯარში გეძახიან, შენს თავს შემოვევლე... უჰ, მართლა, თეკლამ არ ნახოს, იქ, მრგვალ მაგიდაზე დატოვა ქაღალდი.

მამუკა თითის წვერებზე შეიპარა ოთახში. მაგიდაზე გაშლილი წიგნის გვერდით, გაკეცილი უწყება ფრთხილად აიღო და ნაპარავივით ზურგს უკან დამალა.

თეკლა ბალიშზე თავდაღმა ჩამხობილი ქვითინებდა...

## ნაწილი მეორე

## თავი პირველი

### I

ბნელოდა. ორი ელმავალი მიაქროლებდა ეშელონის თვალუწვდენელ შემადგენლობას, კუდს სადგურთან, ისრების გასაყართან რომ ტოვებდა და თავი ისრების შესაყარს იქით ედო.

მიდიოდა აღმოსავლეთით, მიდიოდა შეუჩერებლივ; ხმაჩაკმენდილი იცდიდნენ და გზას უთმობდნენ ყველა ჯურის — სახალხო და საბარგო, სამგზავრო, აკრებილი და ასაკრები მატარებლები.

მთელი ძალღონით მიქროდა, მიზმუოდა, ჰკვეთდა ბნელს, თვლებს მონოტონური „ტაკა-ტუკის" მაგიერ რელსის ბმულებში ლაწა-ლუწი გაჰქონდათ; გრიალით გადადიოდა ხიდებზე, მჭიდრო ვაგონის ღია კარებში დანდგარი და ზრიალი ისე მჭახედ შემოვარდებოდა, თითქოს მატარებელს სიგრძესთან ერთად, ბოლმით გასიებულს, განი და სიმაღლეც მომატებოდეს, ხიდის ჩარჩოში ვერ ჩატეულიყოს, თავზე წამოეცვას ეს ხიდი, თან მოჰქონდეს და გლეჯდეს, ანგრევდეს ყველაფერს. აბალებული ამსხვრევდა ისრების გასაყარს და მოქანავე, თბილი სისხლივით წითლად მოკიაფე კუდს, თითქოს ლიანდაგებს ზევით აშვერილს, ჰაერში მიაფხარკალებდა.

ბაკურს მკლავები ღია კარებზე მოჰქდილ გაურანდავ ნედლი ფიცრის ხარიხაზე ეწყო და თავითაც ზედ დამხობოდა. ჩაფრენილი ხელები, მატარებლის დგანდგარში უკვე ისე მოუდუნდა, მოსახვევში ვაგონი ერთ მხარეს რომ მიაწყდა, და კინაღამ ლიანდაგს გადაცდა, ბიჭს დაბუჟებული მკლავები წინ გადაუცვივდა და მომაღლო ცხვირი ფიცრის კუთხეს მიარტყა. თავი ნამძინარევივით ასწია. ნატკენზე თითები მოისვა, ცხვირსახოცი ამოიღო, ჭრილობაზე დაიდო და ხარიხას იდაყვებით დაეყრდნო, თვალი ბნელს გაუსწორა. გაუხედნავი ულაყივით, ლიანდაგიდან ამოსახტომად მოქანავე ვაგონმა მაშინვე ფიცარს მკერდით მიაკრა და იმ წამსვე უკან გადმოგდება დაუპირა. ბნელს მიშტერებულმა ახლა მკლავები ხარიხას იქით გადაყარა და ზედ იღლიებით დაეკიდა.

მთებს ზევით მაინც გაარჩია შავი ცხენის თვალივით მუქი ქლიავისფერი ცა, და ცხენის თვალში ჩამავალი მზის

ათინათივით, ღრუბლებით აჭრილ ზეცაზე, ალაგ-ალაგ მოკიაფე ვარსკვლავები.

უკან ყველაფერი მაინც ნათელში დარჩა: დედა და მამა, ბებია და ბიძა, ალბათ ახლაც რომ სახლში მიელიან — ბიჭები გაარცილა და საცაა დაბრუნდებაო... ესტატე და ეპრასი; ფოთოლა და გუგუტა...

გუგუტა...

ძველად — კერძო სახლი, ახლა სამხედრო კომისარიატი, უკვე გაპარტახებული ეზო; თვალაყივლებულ თავისიანების ალყაში მოქცეული გაწვეული და ეზოს კუთხეში სახელდახელოდ, ნაგვერდული ფიცრებით, საკმეველის სუნი რომ ასდიოდათ, შელობილი ქართა თუ სამწყვდევი; სავსე ჯარში დაძახებული ცხენებით. ამ შეფიცრული ქართის კუთხესთან, ღობის ძირას, გადანაჭერ ბოძებზე და ფიცრებზე იჯდა ერთხანს ბაკური.

იგი ყველაფრისადმი გულგრილი, განსჯის მოკლებული მაყურებელივით გასცქეროდა ამ აზრიალებულ ხალხს — ვინ ტიროდა, ვინ მღეროდა, ვინ თავჩაქინდრული იყო და ვინ თავაღებული, ზევიდან დაჰყურებდა ყველას, მასზე დაბალსაც და მაღალსაც...

ახლა კი, ამ ვაგონიდან ბაკური თავისთვისაც შორიდან უცქეროდა, აქედან, ამ ბნელიდან ხედავდა ღობესთან მიმალულ ბიჭს, რომლისთვისაც მადლობა ღმერთს, მაშინ არავის ეცალა, ყველას იმოდენა თავში საცემი და სატკივარი ჰქონდა. მისიანებმა კი არაფერი იცოდნენ.

გუგუტა...

ეს დღეს თუ ხვალ უნდა მომხდარიყო. თბილისში, მისი და ვატუტის, სადღაც სვანეთის უბანში დაქირავებულ ქოხს, ალბათ უკვე მიუვიდა გამოძახების უწყება. იქნებ სჯობდა წასულიყო და იქიდან გადგომოდა გზას. მამუკას, ვატუტის და მამიდას იოლად დაუძვრებოდა ხელიდან. ან თუ მაინცდამაინც გააცილებდნენ, მაინც იქ სჯობდა... იქნებ არც სჯობდა... იქნებ უკეთესი იყო ასეთ დროს ყველა, ახლობელი და შორებელი მასთან ყოფილიყო, ოღონდ გუგუტა არა...

ნეტავ ფოთოლას არ გაახსენდეს, არ დაავლოს ხელი დეიდაშვილს და ძებნა არ დაუწყონ. აქ, ამ მოფარებულში რომ იპოვონ, ვაი თუ სწორედ ის იფიქრონ, რასაც ბაკური გაურბის, — თითქოს იმიტომ განმარტოვდა, უნდა გუგუტას შეხვდეს და რაღაცა უთხრას, თუნდაც საყვედური, ან ის, რამაც მათ შორის უფსკრული გააჩინა.

არა, ამას ბაკური ჯარში წასვლისას კი არა, შუბლში ტყვიადაჭედებულს რომ თავზე დაადგნენ, მაშინაც ვერ ეტყვის... მით უკეთესი, თუ თვითონ არ იციან, რად უნდათ, სამუდამოდ დაიტანჯება გოგო, ვერასოდეს გაიხარებს.

არა, აქ ჯდომა არ ივარგებს. ფოთოლა სამ ძმას აცილებს, მაგრამ მაინც მოიცლის. მართალია, ბაკური ისე შეიპარა კომისართან, განცხადება დაწერა და კომისრის მერე გვერდის კარებში გაძვრა, არავის დაუნახავს, მაგრამ გუგუტა?..

ღობის პირას მიყუჟული ბიჭი წამოდგა.

სადმე, ეზოს იქით უნდა გადავიდეს შეუმჩნევლად, სულ გაეცალოს აქაურობას და სანამ გაწვეულების სიის ამოკითხვას დაიწყებენ, მოშორებით, თუნდაც ამ ცხენების სამწყვდევის გადაღმა დაჯდეს და დაელოდოს. ქართას პატრონებია მისეული. შიგ კი, მარილიან კასრში ჩაყრილი ცოცხალი თევზებივით, მთელი რემა ირევა. ეზოს ღობეს რომ მოუაროს და შემორაგულს მოეფაროს, ველარავინ იპოვნის.

ვერც იქ ელირსა სიმარტოვეს ძარღვებდაგლეჯილი ბიჭი, მაგრამ უფრო საიმედო თავშესაფრის იმედი აღარ ჰქონდა. ცერალმულ ღობეს ზურგით მიკრული ჩაცუცქდა. უკან — უკვე მოჯეგილ ბალახში, ცხენების ფრუტუნი, ფლოქვების ბაგუნი, ხალხის ყაყანი, ოხვრა, ოხვრაზე გულისდამთუთქველი სიმღერა ერთმანეთში ითქვიფებოდა და

ბიჭს ყურებში, შედედებულ სისხლის ცრემლივით ეგლისებოდა.

იქვე, მწვანე ფერდობისაკენ პირმიქცეული, წახრილი, ჩოხიანი კაცი ხანჯლით ბალახს ჭრიდა. ალბათ უკეთესს ეძებდა, თორემ, იმდენხანს ერთ მუჭა ბალახს არ უნდა მონდომებოდა. წელში გასწორდა. ბაკურისაკენ ოთხი ნაბიჯი გადმოდგა; მაგრამ ბიჭმა, ამ მოშხამულ გუნებაზეც, მშობელ მამას რომ ვერ იცნობდა, შეამჩნია — ამ კაცს სიარული ახალფეხადგმულივით უჭირდა.

და სახე, ღმერთო, რა სახე და თვალები ჰქონდა მოხუცს! არავითარი ქალური რომ არ გააჩნდა და მაინც შვილწართმეულ მამას კი არა, დედას ჰგავდა. ვერავითარი სევდა და ტკივილი ახლა ბაკურის ყურადღებას ვერ მიიქცევდა, მაგრამ ამ კაცს, იმდენად დაუფარავად და თვალში ეკალივით საცემად, ასომთავრულით ეწერა ბოლმა და გულისწყრომა, ბაკურმაც კი მისთვის მოიცალა და მიაშტერდა — ეს ჩოხიანი მოხუცი, ცალ ხელში რომ ვერცხლით მოჭედილი გაშიშვლებული ხანჯალი ეჭირა და მეორეში მუჭა მწვანე ბალახი, კიდევ რის გაკეთებას აპირებდა.

იგი ძლივს მივიდა ღობესთან, ფეხისგადადგმა უჭირდა, თუმცა ნატკენი არ უნდა ჰქონოდა, და სარებში ბალახიანი ხელი შეჰყო. ბაკური წამოდგა და ცერალმულის ზევიდან რემაში გადაიხედა.

ხელი ღობეზე მოკრული შავი ცხენის ქვიქვირს მიუახლოვდა.

სხვა სამმა ცხენმა მაშინვე შენიშნა და კისრები წამოიგრძელეს, თვითონ შავმა ტუჩი ბალახებს ზემოთ გადმოატარა, თითქოს არჩეული ლორთქო ბალახი კი არა, ცხვირთან რიყის ქვა მიუტანესო, მოცახცახე ქვიქვირით მოხუცის მაჯას მიუალერსა.

— აი, დალამდა ეს წლისოდენა დღე და პირში არაფერი ჩაუდევს, — ისე შესჩივლა პატრონმა ბაკურს, სიცხიანის სასთუმალთან დამჯდარი დედა, ბოლოს და ბოლოს გამოჩენილ ექიმს რომ შესტირებს.

— ავადაა? — ბაკურმაც ისე უთხრა, თვითონ უნუგეშო, მასზე უარეს გაჭირვებულს რომ ნახავს და შვება მოეცემა.

მოხუცმა თავი სასოწარკვეთით დააკანტურა, ისევ იმ დედასავით, მკურნალს რომ აუხსნის, ჩემს შვილს გულის შეტევა აქვსო და ექიმი კოჭის სახსარს გაუწევს, ემანდ ნაღრძობი, ან მოტეხილობა ხომ არ უნდა იყოსო.

— რა მოუვიდა? — გამოასწორა გონდაბნეულმა ბაკურმა თავისი, ყოვლად უპატიებელი შეცდომა.

— მიჰყავთ... — ამოიოხრა და შეკუმშული გული ამოაყოლა.

— ომში?!

— აბა, დავიღუპე კაცი!..

ბაკურს უნდოდა ეთქვა „ცხენი კი არა, ვარსკვლავივით ბიჭები მიდიანო“, მაგრამ სარზე შუბლით მიკრულ, ცრემლგამშრალ მოხუცს შეხედა და სათქმელი პირზე შეახმა, იმ წუთს ისე მოითხოვდნენ მისგან თანაგრძნობას, ამ ერთადერთი ადამიანისაგან, რომელიც ამ უბედურის ბარობაზე გამოჩნდა, ესღა თქვა:

— ვინ იცის, შვილივით გყავთ გაზრდილი.

— შვილი ორი წელიწადია იქაა...

— სავალდებულოში?

— ჰო ბიძია, იქაა და რომ მიდიოდა, ერთი კვირა არ გამოფხიზლებულა. გამომშვიდობებისას ისეთი სიმღერა წამომიწყო, ახალგაზრდობისას რომ მიყვარდა. ისე წავიდა, კურცხალი ცრემლი არ გადმომაგდებია.

— მაშინ ომი არ იყო.

— ფილანდის ომიც იყო და ფრჩხილი არ წამოტკენია, კვირაში ორ წერილს მწერს, დაიჯერებ? წერა-კითხვა არ ვიცოდი, მე ძველი კაცი ვარ, იმან ჯარიდან მასწავლა. ჯერ ანბანი ჩამომიწერა. მის ბიჭს, ჩემს შვილიშვილს გამოუგზავნა, წიგნში რომ სწერია, მამაჩემი იმას არ წაიკითხავსო. ჩემს მოწერილს კი კარგად დაიმახსოვრებსო. მართლაც და, რა დამავიწყებდა ნამგალს, დოქს და ჭურს, ხარდანზე ბწკალმოხ-

ვეულ ვენახს და ცხენის ნალს... ახლა კვირაში სამ წერილს ვუგზავნი. ჩემთან რომ მყავდა, გულთან ისე ახლო არ მყოლია, ამას რა ვუთხრა... — ისევ გულდათუთქულმა შეხედა ცხენს, ბალახს რომ პირს არ აკარებდა და აცახცახებულ ქვიქვირს პატრონის ხმელ, დაძარღვულ ხელზე სასოებით დაატარებდა.

ბაკურმა სარებს მაღლა თავის გადასაყოფი მოძებნა. ახლა თვითონ ცხენს დააჩერდა.

ცხენი შავი იყო, მაგრამ ისე უბრწყინავდა ბალანი, ელვის ზოლებივით აჩნდა მზის ანარეკლები. შავი ყაჭივით ძუასა და ფაფარზე, ყორნის ფრთასავით სილურჯე გადაჰკრავდა. ვერცხლით მოჭედილი კოხტა შავი უნაგირი ედგა, აღვირი და მოსართავები შუაზე გაჭრილი მსხვილი თხილის ტოლა ვერცხლით გაწყობილი. წვრილი წვივები და მუჭისტოლა მუხლები პატრონის ხელივით უთრთოდა და მუქ, ქლიავისფერ თვალებში ცრემლები, მისი სიშავით და თვალის სილურჯით, ჩამავალი მზის ანარეკლზე, წაბლის თაფლის წვეთისფერი და მისივე სისქისა ჩანდა.

— ცხენის ავკარგიანობის არაფერი გამეგება, მაგრამ თუ სილამაზეს მნიშვნელობა აქვს, თვალს ვერ მოაშორებ.

— ჯვარი სწერია... — წამოცდა პატრონს, ალბათ ყოველთვის რომ ამბობდა, როცა მისი ბედაური ცამნახავს მზერას მოსწყვეტდა.

— უთუოდ ნაბიჯიც კარგი აქვს... — ამ კაცს თვალატირებული დედასავით სჭირდებოდა ახლა სიტყვა.

— ღვთისაგან გაჩენილი იორღაა.

— ომისათვის ცოდვაა.

— ყველაფრისთვის და ყველასთან ცოდვაა... — დამწვარზე მდუღარე გადაესხა მოხუცს, ბალახი დაყარა და ცხენის ტუჩით გალოკილ ხელზე ხელი დაიფარა.

თვითონ უსასოო ბიჭი, ხედავდა, რომ არ შეეძლო რაღაცა, თუნდაც ცარიელა იმედი გაეჩინა მოხუცისათვის, ეს ახლა ისევე აუცილებელი იყო, როგორც ეპრასისათვის, სამ ვაჟიშვილს რომ გზავნიდა, როგორც გუგუტასათვის, რომელიც ცრემლშედედებული დაეძებდა ახლა ბაკურს ამ თვალატირებულ ზღვა ხალხში.

— ვინ იცის, იქნებ ისეთ ვინმეს ჩაუვარდეს..., — ვითომ ანუგეშა ბაკურიმ.

— ცხენი ქალი კი არაა, ბიძია, თვალი უკეთესზე რომ ეჭიროს...

ბიჭს მოხუცის ნათქვამი ცხელი კუპრივით გადაესხა.

— რატომ, ბიძია?

— ამას ბიძია, ბალახზე რომ გავუშვებდი, ერთი საათის მერე, თუ არ დამინახავდა, პირს არაფერს დააკარებდა.

— გიყვარდათ და უყვარდით, რა გასაკვირია.

— მიყვარდა?!

— სიყვარული სიყვარულის წილ... — წამოცდა ბაკურს, მაგრამ ამას ცხენის პატრონი, მით უმეტეს ახლა, ალბათ ვერ გაიგებდა.

— სიყვარული... — ისე გაიმეორა ეს სიტყვა, თითქოს ნამეტანი ეცოტავებაო, — ხომ ხედავ, ბიძია, მათრახი არც ტახტაზე ჰკიდია და არც ხელში მიჭირავს, — ხანჯლის ტარზე დაწყობილ ხელებზე დაიხედა, — მაგას ჯერ მათრახი არ დაუნახავს. მე ჩაის ნაუემურევზე თუ დავლევ და მაგისთვის... — მოხუცმა ჩოხის ჯიბიდან თავშაქარი ამოიღო, — ღმერთო, ნუ მიწყენ და ყოველთვის შვილიშვილს ვერ ვაჭმევ... მეც წამიყვანეთ-თქვა, ამ დილის აქეთია კომისარს ვეხვეწები...

— თქვენ არ წაგიყვანებენ...

— სახლში არ მივიდე ბიძია, ცოცხალი, ან რა ჯანდაბა მიმიყვანს, მე უმაგისოდ რა ხანია ფეხი არ გადამიდგამს. ჯარისკაცად რომ ვვარგოდე, მე ვიცი რასაც ვიზამ, მაგას ერთი საათით არ დავშორდები. ვევედრები, ბიჭო, მეჯინიბე ხომ უნდა ამდენ ცხენს, მეჯინიბედ წამიყვანეთ! აქნევს თავს, კაცია, გული ეწვის. რა ვქნაო, ბრძანებაა ასეთიო. ავდგები თავრობაში წავალ, მაგრამ ვერც ამას ვტოვებ და არც ის ვი-

ცი, სად წავიდე, ვის მივადგე. სტალინს მივწერ, მაგრამ... შენ ნასტავლი იქნები, ბიძია. რაღაცა ისეთი სიტყვა მითხარი, ვერც ქე გავიგე...

— კი, ბიძია, რაღაცა ორი ანბანი ვიცი, მაგრამ მეც რომ მივდივარ?..

— აუჰ, რაღაც უგუნებოდ კი მომეჩვენე, მარა ახლა მე ჩემი დარდი მჭამს და კი ველარ ვიფიქრე.

— ჰო, აქ ყველას თავისი დარდი ჰყოფნის.

— მოიცა, ყმაწვილო, საით მიდიხარ თუ იცი?

— რა ვიცი, ჯერ ვინ იცის?

— მამა-შვილობას, ცხენი გყოლია?

— არ გვყოლია, მამაჩემი მასწავლებელია...

— ეჰ... — მკლავები უიმედოდ ჩამოუცვივდა მოხუცს, ძლივს გაჭიატებული იმედი სულწაბერილი ჭრაქივით ჩაუქრა.

— ჩვენ არ გვყოლია, მაგრამ ბიძაჩემს ჰყავდა... — იცრუა ბაკურმა, დარწმუნებულმა ამაზე დიდი სიმართლე ჯერ არ მითქვამსო.

— რა ცხენი იყო? — ისევ აანთო ჭრაქი მოხუცმა.

— კარგი ცხენი იყო... ახლა ასეთი... თქვენც მოგეხსენებათ, არ იქნებოდა.

— არა...

— ბიძაჩემი მერე კაი ხანს დაკავებული იყო და მე ვუვლიდი...

ეზოში აზრიალებულ-აჩოჩქოლებულ ხალხში ზრიალი და ჩოჩქოლი ატყდა. სამწყვდევში ჩაყრილი ცხენები მორევივით დატრიალდნენ.

კომისარიატის აივანზე კომისარი, ნაწილის უფროსები, სამხედრო და სამოქალაქო პირები გამოდგნენ. ხელში დასტად დაჭრილ ქაღალდებს ნიავი უფრიალებდათ. თავდახრილნი იდგნენ და ქვევით ადუღებული ქვაბის დაშოშმინებას ელოდნენ.

— თუ ღმერთი გაწყრა და... — რალაცის იმედი კიდევ ჰქონდა ბერიკაცს შეუღეველს რომ ვერაფრით შეელევი, ბაკურს რომ გუგუტასთან სჭირდა.

— რა, ბიძია?

— ჩვენგანაც მიდიან...

— ვინ თქვენგან?

— ჩვენი სოფლიდან.

— აჰა, კი, ასე იქნება. აბა, რავა...

— მარა რად გინდა.

— რატომ, ცუდი ბიჭებია?

— გლახა ვინ თქვა, მარა ცხენი...

— როგორ, არა ჰყოლიათ?

— ჰყოლიათ, ჩვენი სოფელი მთიანია, უმისოდ ვინ ივარგებს, — ღობის იქით გადაიხედა, — აგერა ჰყავთ მოყვანილი, გადაავლე ერთი თვალი, რომელია ცხენი...

ბაკურმა ქართაში გადაიხედა, ვერაფერი შენიშნა ისეთი, ერთმანეთის ზურგებზე თავგადაწყობილ ცხენებში, რაც საძრახისად უნდა ჩაეთვალა, მაგრამ თავი მაინც საეჭვოდ გადაიქნია.

— აქ ერთი ხეირიანიც არ ჩანს.

— გულიანი ბიჭებია, შვილს ვანდობ და ცხენს ვერა... თვალისჩინივით რომ შეინახოს, ხელი აქვს მიჩვეული, მათრახს დაჰკრავს.

— კარგი ბედაური მათრახს არ დაიკრავსო, ხალხს უთქვამს, ბიძია!

— მათრახი და სიტყვა კი არა, გუნებაში რა გიდევს, ის იცის. ქე გითხარი, ერთი ბიჭი მყავს და იქაა, ოთხი ქალიშვილია და თავ-თავის ოჯახებშია დაბინავებული, მეორე ვაჟიშვილი შენ იქნები ჩემი. — მხრებზე მოეჭიდა მოხუცი ბაკურს, წყალწაღებული რომ ხავსს მოეპოტინება.

— კი ბატონო, მე თუ... ჩემთან თუ მოხვდა...

— გუშინ მივიღე გამოძახების ქაღალდი. წუხელი თვალი არ მომიხუჭავს, — თავზე ვადექი, მაინც ვერ გავუმხილე, ვერც გზაში ვუთხარი. კი ატყობდა, ფარცაგი რაღაც იყო ჩემს თავს. მერე აქ თავისი თვალით რომ დაინახა ყველაფერი, მას აქეთია თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მუხლები უკანკალებს, მგლის დანახვისას რომ არ დამართნია... რაღაცა ღვთისნიერი ბიჭი ჩანხარ, უნდა მიქნა სიკეთე და კავალერიაში წახვიდე... ძმები გყავს?

— სამი...

— სამივე ერთად ვერ გაგიწევს ისეთ ძმობას, როგორსაც ჩემი ელვა.

— ელვა რაა, სახელია?

— მე არ დამირქმევია, თვითონ დაირქვა, და რომ არ მეთქვა, შეჯდებოდი და შენც ამას დაუძახებდი...

— მერე, კავალერიაში გზავნიან ახლა ვინმეს? რაღაცა არ მომიკრავს ყური...

— კომისარს დავუჩოქებ... კი უნდა რაღაცა დახმარება, მარა სხვა არაფერი შეუძლია. ეს ხომ კალონის დარღვევა არ იქნება.

— კი, კი, ამას გააკეთებს! — ვიღაც ჭონს მოეგო ბაკური.

— ამხანაგებო! — ხმამაღლა დაიძახა აივანზე გადმომდგართაგანმა და ხალხი უცებ ჩაჩუმდა, მხოლოდ ცხენების აჯეგილ ზალახსა და მტვერში ტორების ცემა და ფრუტუნი ისმოდა.

— აბესაძე ავთანდილ ესტატეს-ძე!

გაიგონა ბაკურმა აივნიდან და ისევ იზრიალა ხალხმა. ზევიდან თვალმოცილებული სამხედროები კარგა ხანს ელოდნენ, სანამ ამოკითხული თავისიანებს თავს გამოგლეჯავდა და გვერდზე გადგებოდა.

— ადეიშვილი ვახტანგ პავლეს-ძე!

— ავალიანი ვახტანგი ალექსანდრეს-ძე!

— ავალიანი პიჭიკო ილარიონის-ძე!

მოხუცი გაშეშდა, მიაყურა.

— ეუჰ, იძახიენ!..

— კი... ოთხ-ოთხად აწყობენ...

— არჯევანიძე ლუკა ალმასხანის-ძე!

— აფხაიძე ნოდარი ლუკას-ძე!

— აფხაიძე შანშე ერმილეს-ძე!

— რა გვარი ხარ, ბიძია, შენ?

— ამაღლობელი...

— სახელი?..

— ბაკური, ფარნას-ძე... საცაა მეც დამიძახებენ...

— ახალაია ხუტა პროკოფის-ძე!

— ახალკაცი გიორგი გიორგის-ძე!

— ახვლედიანი შალვა ბეგლარის-ძე!

— ახვლედიანი აკაკი ბეგლარის-ძე!

— წამოდი შვილო, წამოდი, მამაშვილობას! სადაური ხარ?.. — შეჩერდა, ღობის იქიდან ადევნებულ ცხენს მიხედა, — აქაური კი ხარ, მარა რომელი სოფლიდან? მე გელგეთელი ვარ, რავა არ გეცოდინება!

— კი, როგორ არა. ალბათ ოცი, ოცდაათი კილომეტრი იქნება აქედან.

— ვერსი, არა? კი, იქნება... ყაფლან გასვიანს მეძახდნენ ამდენხანს, აწი უმისოდ, — ისევ ცხენს მიხედა, — არ ვიცი, რა დამერქმევა. შენი რა მითხარი? ამაღლობელები გულზოდში არაა ბარე შვიდი მოსახლე?

— კი, ბატონო ყაფლან!

— ახობაძე შოთა სამსონის-ძე!

— მაქ ერთი ჩვენებური ქალია გამოთხოვილი, გელგეთი, მორჩილა სოფელია.

ბაკურს დაცეცხლა.

— ა-არ ვიცი...

— რაფერ არ გეცოდინება, თემსაბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს ცოლად.

— იგი ახლა თავმჯდომარე აღარაა...

— ქე გცოდნია!

— არ ვიცი...

— გულზოდელი ხარ, ბიძია შენ, თუ?.. თუმცა მეორე დაც მაქ არაა, თქვენს სოფელში? უფროსი, კინწურაშვილს ჰყავს თუ კუხალეიშვილს...

— კი, ბიძია, ვიცი. ვიცნობ... ეპრასი ბიცოლა...

— ასე მითხარი, მამა-შვილობას. არ დაიჯერებ...

— ახობაძე ბუხუტი სამსონის-ძე!

— არ დაიჯერებ — ისე დავბერდი კაცი, სალმის მეტად თავი არავისთვის დამიკრავს. მივალ, ამდენი ხალხის წინ და კომისართან მუხლს მოვიყრი. კავალერიაში გაგიშვან და ჩემს ცხენს არ დაგაშორონ...

მატარებელი მიჰქროდა წყვდიადში და ზეცა გუგუტას და შავი ცხენის თვალებივით ინისლებოდა.

II

ღრუბლებში განთიადი ილანდებოდა.

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოვლისა დამამხობელმან...“

ახლა ყველა: ახალაძე და ახალკაცი, ნიჟარაძე და ნუცუბიძე, მეძველია და ძველაია, ამ ქარბორბალასაგან მოტაცებულ მქროლავ ვაგონების ნარებზე და იატაკზე ეყარნენ თავწაჭრილებივით.

„ყველას, ყველას და ჩვენ მაინც ნაშეტანი ძვირად გვიჯდებოდა ომი...

ბაკურს მძაღედ გაეღიმა.

„მე რომ მკითხოს კაცმა... — საქონლის ჩლიქის წებოსავით ნერწყვის გადმოფურთხება მოინდომა და ვერაფრით პირიდან ვერ მოიშორა, — ვინ გკითხავს შენ?.. შენ კი არა, ვისაც ეკითხება, იმასაც არ ეკითხებიან. ვინც იწყებს და ქვეყანას აქცევს ჰგონია, არც იმას. ამ ქვეყანას მაინც ვიღაცის ბოროტი ხელი მართავს...

„მალე ისევ გათენდება, ვითომ არაფერი და საღამოს ისევ თავის დროზე დაღამდება...

„სადღაც ზეცაში თუ ქვესკნელში ზის სეირის მოყვარული, ზუსტად თავის დროზე ხსნის და ხურავს ფარდას და დგამს ორ მოქმედებიან ხოცვა-ჟლეტვის კომედიას. იცინის და იცინის, კვდება სიცილით...

„აიღებს, დაგიწერს როლს და დაგაზეპირებინებს. ზოგჯერ ისე უხეიროდ დაჯღაბნის, თავს და ბოლოს ვერ გაუგებ, არავითარი ლოგიკა და კანონზომიერება არ გააჩნია. მიდი, ჩააქციე სისხლი და ზუთხე — რკინის თითებზე ჩამოცმულო თოჯინავ.

„გაჩნდი ცოდვით, იზრდები წვალებით — ასეთია შენი როლი — ბედი. გიყვარს — გგონია ამ სიყვარულისათვის მოხვედი ამ ქვეყნად და არ იცი, რომ მასხარა ხარ, გგონია მთელი არსებით თამაშობ. მაგრამ თურმე მაინც მოსაწყენი ამბავია და შენზე ადრე რომ სხვა გამოგლისა, აილო, წაუსვა კუპრი და ამ თეთრ თოჯინებს შორის ჩააკვეხა, რომელიც ამ სიყვარულს ვერც მოსპობს და არც გაახარებს, იმასაც ზეზეულად წაუკიდებს ცეცხლს და სეირის მოყვარული ითბობს ხელებს — იფშვნეტს და ითბობს...

„ხსნის და ხურავს ფარდას, ხსნის და ხურავს...

„არა, თვითონ რომ აკეთებდეს ამდენ მახინჯ თოჯინას, ამდენხანს მოსწყინდებოდა, აქ იგი მართლაც ღმერთივით წინდახედულია. ერთ დროს მოწყენილობის ჟამს ერთი ძლივს გამოთითხნა, ისიც დიდად არ შეუწუხებია თავი, რომ მარმარილო, ან გრანიტი ემტვრია. აიღო ლაფი და ხელის ერთი მოსმით მოათავა საქმე სამუდამოდ, შეეძლო სამარადისოდ დაეტოვებია ერთი და იგივე მასხარა, მაგრამ აბა, რა გასართობი იქნებოდა. სანამდე ეკითხა სცენაზე მარტოსულს მონოლოგი, ადგა და დუეტი მოიგონა. მოუნდომა მათთვის ესწავლებია ახლის გაკეთება, მაგრამ რაკი თვითონ თითხნიდა, ხელები დაესვარა და ვერც ისეთი სიამოვნება მიიღო, მით უმეტეს სხვა მაყურებელს რომ შეაქცევდა, აიღო, ნეკნი გამოჭვალა უკვე მზამზარეულს, ლაფით ისევ არ დავისვაროთო და შექმნა პირველის მსგავსი, მაგრამ არც მსგავსი. მშვენიერი თავშესაქცევი დუეტი გამოუვიდა, ერთხანს კარგ გუნებაზეც იყო, მაგრამ სანამდე? არა და ისევ და ისევ ტალახის გოზვა ან ნეკნების გამოგლეჯვა ხომ საძაგლობაა, ადგა და ერთმანეთს მიუსია ახლის გასაკეთებლად. მაგრამ ისე კი არა, როგორც ეს თვითონ ჩაიდინა. ისეთი რამ მოიგონა, მათ ყურებას არაფერი ჯობდესო. ჯერ ერთმანეთი ისე მოაწყურა, პირდაპირ გააცოფა და სიყვარული დაარქვა, მერე კი მიუსია, კინაღამ სისხლი გამოწოვეს და შეჭამეს ერთმანეთი, წუთით სამოთხე დაუბრუნა, საიდანაც კინწისკვრით გამოყარა, რაკი იქ ანგელოზებივით მოსაწყენად ირჯებოდნენ, მერეც რომ ასე სამოთხესავით ყოფილიყო, თოჯინებისაგან თოჯინის გამოშვება ეგ ხომ იგივე იქნებოდა. რითიც გაკეთება დაიწყეს და აქ კივილით და წივილით შობა დააწესა...

„ძველი და ახალი, სულ ოთხი ცა-

ლიც არ იყო და, კაცმა რომ თქვას, დიდი სულწასულობაა ასე მალე მოსწყენოდა სეირის მოწადინეს. აიღებინა ერთ ძმას ხელში ნაჯახი და ათხლეშია თავში მეორისათვის.

„მას აქეთია ეს თამაში მასშტაბურად იზრდება და, თუ შინაარსს არ ცვლის, რაკი ძალიან დიდებული სანახაობა გამოვიდა, რაოდენობას უმატებს და უმატებს...“

ვაგონის კუთხიდან ვიღაცა დაოთხილი წამოვიდა. ბნელაში, მოდანდგარე ვაგონის იატაკზე მოფენილ ხალხში, არსად ნემსი რომ არ ჩავარდებოდა, ცალ ხელს რომ ჩააძვრენდა, მეორე აკოჭლებული ძაღლივით მაღლა ეჭირა და ფრთხილად, დიდხანს ეძებდა ადგილს, რომ ჯერ გაშლილი ხელისგული ჩაეტია და მერე, წინ რომ გადმოინაცვლებდა, ფეხი ჩაედგა.

ვაგონის კარებთან, რომ მოაღწია, წამოიმართა და მკლავები მანაც ხარიხაზე გადაკიდა.

ბაკურმა მისკენ მიუხედავად იცნო ბესო კიწურაშვილი, სანამ რაიმეს იტყოდა, კბილების ლაწა-ლუწი რომ მოესმა, თითქოს ახლაც მწიფე დედლის ძვალს ამსხვრევსო.

— რა ჰქენი ბიჭო, შენ დღეს?! — ამოიხიხინა.

ქარი პირიდან სტაცებდა სიტყვას ბესოს და ბაკურს ყურში ტენიდა.

ბაკურმა თავი სხვა მხარეს მიაბრუნა და ჩლიქის წებოს გადაფურთხება სცადა.

— მოიხედე ბიჭო, აქეთ!

„ბიჭმა“ ისევ პირიდან წებოს მოცილება მოინდომა.

— მე რა... შენ ჩემს გასაციებელ ტყვიას კი არ გააციებ...

„ეჰ, ამას ჰგონია...“ — გაახსენდა ბაკურს და ბესოს მხარზე მკლავი დაადო.

კიწურაშვილმა მკლავს მოხედა, არ დაიჯერა, იფიქრა — სხვა ხომ არავინ წამოდგა და ბეჭზე არ დამეყრდნოო.

— რა გაწუხებს ბესოია, რა გინდა?

— რა ვიცი... — დაიბნა, — რა აღარ მაწუხებს...

— ის, რაც გგონია... შენ არაფერ შუაში ხარ...

— ჰო, კარგია...

— რატომ არ გჯერა, არ მიცნობ, თუ?

— რა ვიცი, რომ გიცნობ... — ისევ დაღეჭა კბილები.

„ეჭვობს... გუგუტას კვალს არ მიაგნოს...“

— მე ერთი წელი ძალიან ბევრი საქმე მქონდა თბილისში... ძმობას გეფიცები...

— მე ქალაქში არ მისწავლია... შენც იცი...

— ჰოდა დამიჯერე, რომ გეუბნები...

— ხარები დამრჩა ბიჭო, ფეხშიშველი...

„დამიჯერა“...

— მერე ესტატე ბიძია ხარებს ვერ დააჭედინებს, ან შენი ძმები?

— ჩემი ძმები აგერ არიან...

— შე კაცო, სამია კიდევ სახლში.

— რას დააჭედინებენ, ტარასი აიღებს და სამ ლურსმანიან ნალს წააკრავს ჩლიქის წვერზე.

— შენ საგანგებო ნალს აჭედინებდი?

— თვითონ ვჭედავდი. ხუთ ლურსმნიანს... ცხენის დაჭედვა ქე მოვასწარი...

— ჩვენი სოფლიდან არ გაუწვევიათ ცხენები?

— ჯერ არა.

— ცხენი ჩამოუყვანიათ დღეს გელგეთიდან... შენი დედულეთიდან...

— შავი ცხენი...

— როგორი იყო?

— მამა შვილს არ შეაჯენდა ზედ.

— მე ჩამაბარა პატრონმა.

— იმ ჩოხიანმა ბებერმა?

— ჰო, კომისართან რომ ამიყვანა აივანზე.

— მერე, შენ რა იცი ცხენის?..

— სადაა ცხენი, ბესოია?

— ჩამაბარაო...

— ეს იმ საცოდავ კაცს ჰგონია, რომ ჩამაბარა. კომისარი დაპირდა, ამას გავუგზავნით...

— მერე?

— მერე და მერე, მეტი არაფერი...

— არა მაგრამ, თუ მაინც სადმე გამოჩნდეს, უჩემოდ ხელი არ ახლო, გაფუჭდება.

— ეჰ, ბესოია, ჩვენ იმ ცხენს კი არა, ერთმანეთს ვნახავთ?

— ჰო... — კბილები გაალაწუნა და გაჩუმდა, — ოჯახს მაინც მოვკიდებოდი...

მიჰქროდა, მიგრიალებდა, მიბღაოდა მატარებელი. აჯანჯღარებდა ხარიხაზე გადაკიდებულ ბესოიას, რომელიც ხარებზე, ყაფლან გასვიანის ცხენებზე, ყანასა და ტყეზე ფიქრობდა და თავისი დაუოჯახებლობის დარდს ღეჭავდა.

ბოლოს უკან წასაფორხილებლად წახრილმა ამოიღმუვლა:

— მე, ჩემიანი რომაა, იმიტომ კი არ ვამბობ... ის გოგო ცოდვაა... — მიტრიალდა, ჩაემხო და დაიოთხა, შუბლში კეტდარტყმული, ორივე წინა ფეხით აკოჭლებულ ძაღლივით წალასლასდა...

— გუგუტა?! — უკან მიუბრუნებლად აღმოხდა ბაკურს, ეს სიტყვა მაშინვე ქარმა მოსტაცა და შუაზე გაჩეხილ მთაში შევარდნილმა მატარებელმა კლდეს მიანარცხა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალუდა არაბული

# ოცნება

კოშკების ლაჟვარდოვანის
და მშვენიერის მგებელი,
ოცნება, მუდამ ფრთოვანი
და ნაზად მქადაგებელი:
მარადჟამს უმხურვალესი
და უწმინდესი ტრფიალის, —
დამწიფებული ალერსით
ბაგე, ენებათა ფიალის...
ლამაზად სიტყვის მგებელი
ხან ლალის, ხან კი მგლოვარის, —
სიმშვენიერის მქებელი
და ლექსის ლაჟვარდოვანის...

* *

შენსა და ჩემს შემდეგა
როგორ იქნება ნეტარა? —
ველს ვარდი კვლავ დამშვენდება,
თუ დაშვენდება ველარა?
ისევ იდენენ წყარონი?
თუ ვერ იდენენ, — რად ვერა?..
ქედებზე წვიმის წკარუნი
ისევ გაიბმის ცამდენა?
როგორ ამოვლენ ვარსკვლავნი, —
ხმელზე მდელო და მორჩია...
დროების ყანათ მამკალნი
ვის აარჩევენ სწორჩია?..
ვით აყვავდება მწყაზარი
ყვავილი, ველს რო შვენდება?..
რა იქნება და რაგვარი,
შენსა და ჩემსა შემდეგა?!

* * *

იავარდასხმული მენატრება მდელოს ჯეჯიმი,
ქედნის გრუტუნი, მჴეკაბანი კიდევ ჯეჯილის...
წიფობელის ხმა მენატრება, ფუტკრის ბზუილი
დეკის ფოთლები, თხის პეტელი, ხარის ზმუილი...
ყვავილოვანის მენატრება მდელოს ჯეჯიმი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამ სერს იქით რომ ვაკეა
და იმას იქით სერი, —
ნახე ყანები აქვეა,
დაუთესიათ ქერი.
აუჩეხიათ ჯაგნარი, —
ტყის უფენიათ ჩერო...
უშენებიათ ბაღნარი,
უხარებიათ მდელო.
სერს იქით კიდევ სერია,
გორაკი, მერე ბორცვი,
დეკის ყვავილიც ბევრია,
უამრავია მოცვის.
ფარა ცხვრისა და კრავისა,
არვე თხისა და ვაცის,
არის, მრავალი არისა,
არის ცხოვრებაც კაცის.
ჩვენია გაღმა ფერდობი,
გამოღმაც ისევ ჩვენი...
ზოგი ვლაღობთ და ვერთობით, —
მივდივართ, — ზოგი ვრჩებით...
ყანები მაინც აქვეა,
სერის ადგილზე სერი,
ვაკის ადგილზე — ვაკეა...
ცარიელია — ჩვენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ტაბატაძე

## ჩაგძინებოდა

თავაწყვეტილი „იკარუსი“ გზაზე მიჰქროდა,
დუმდნენ მგზავრები. ყველა თავის გზაზე ფიქრობდა.
და შენ გეძინა. ასე სძინავთ ჩვილის აკვანთან,
და ლამაზ შუბლზე დაგფენოდა თმები საყვარლად.
ტკბილად გეძინა. გრილი სიო ღია სარკმლიდან
გეფერებოდა და მკლავებზე ბუსუსს გაყრიდა...
თავაწყვეტილი „იკარუსი“ ისევ მიჰქროდა,
დუმდნენ მგზავრები, ყველა თავის გზაზე ფიქრობდა.
შენ კი გეძინა. ბედნიერი სახით გეძინა,
თითქოს შენს სულში ჯერ არ ეწვიმა.
თითქოს არ გქონდა მიწიერი რამ საზრუნავი, —
დაჰქროდი მხოლოდ ოცნებების ცისფერ ბურანში.
გეძინა ტკბილად მთელი ღამის უძილოს, დაღლილს
და შიშველ მკლავებს გიკოცნიდა ნიავი ლაღი.
არვინ იცოდა, ვის უძღვნიდი სიზმრებში სიცილს,
ან დაღლილ ხელებს რად დაჰკრავდა სურნელი ქინძის,
რას გაექეცი, რას ელტვოდი, ვისზე ფიქრობდი,
სად მოიწყინე, სად გელოდნენ, საით მიჰქროდი?..

## აზრი

რა საცოდავი იქნებოდა ადამიანი,
რომ არ ეძებდეს...
... მთლად ტიტლიკანა ორი წლის ბიჭი
გაუგონარი მონდომებით ეძებს პლიაჟზე
იმ კენჭს, რომელიც ნაპირზე არ გამოურიყავს
ჯერ ზღვას თავისი გაჩენის დღიდან.

რა საცოდავი იქნებოდა ადამიანი,
რომ არ ჰპოვებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... შუაღამისას საწოლიდან კვნესით ამდგარმა
სნეულმა კაცმა
ისე მიაგნო დაბამბულ ფლოსტებს,
რომ არ დასჭირდა ფეხშიშველას კედელთან მისვლა
და გამორთული სინათლის ჩართვა.

## ფიქრები საკომისიო მაღაზიაში

* * *

ეს ძველისძველი როიალი საფლავის ქვაა.
ლამაზმა ქვრივმა აქ მოიტანა
მოულოდნელად გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნის
უკვდავსაყოფად —
ერთი თვის შემდეგ
მის საფლავზე ასე იდგება
გრანიტის ლოდი — როიალი უკლავიშებო.

* * *

ეს ერთი ციცქნა ხის საწოლი
მას ეკუთვნოდა,
ვინც ერთურთისგან გასაქცევად გამზადებულ
დედას და მამას
ძლივს აკავებდა სუსტი ხელებით.
მერე ხელებმა ვერ გაუძლეს
ამდენ სიმძიმეს.
სხვადასხვა მხარეს გაემართნენ დედა და მამა,
ხოლო ბიჭუნა
ამ პატარა საწოლთან ერთად
ბებიას დარჩა.
მათ ერთად სძინავთ,
ერთ საბანქვეშ მეტი სითბოა,
ხის საწოლი კი დასაწვავად ვერ გაიმეტეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაილი ნეკერიშვილი

## ლოცვა მამულზე

ძვირფასო შენთვის ჩემი სახელი
მინდა რომ იყოს ის ზანზალაკი,
რომელიც მუდამ იხმიანებს შენზე და
შენთვის.

ქალური კდემით მრავალფერადი სიმღერით
ასე:
— უსახოდ დიდო გალავანო,
გულთ გულის გულო,
შენია ოქროცურვილი და ბადახში
ყოველი.

* * *

დამეყრდენ მხარზე და ფრთხილად ავყვეთ
სველ, საშიშ ბილიკს,
მეგზურად მოგვდევს გამტანობა, წინ-წინ
გავწიოთ,
ახლა გადრეკა ეტოლება სულის გაყიდვას,
ახალგაზრდობამ მუხლებისამ უნდა გვიშველოს,
იქ ავიტანოთ ტვირთი, სადაც გვაკისრებს
ვალი.
ჩვენი დროშაა სიყვარული და ერთგულება,
მზეზე გავწმინდოთ სამოსი და წინ-წინ
ვიაროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წუხელი ვიპოვე მე მიძინებული
ძველებურ ოთახში, ძველებურ ბუხართან,
წუხილი უბრალოდ პატრონის გარეშე
და ვცადე ნუგეშად მიცემა სამოსის,
არ კი გამიკარა ცრემლის გარეშე.

* * *

მე ფოთოლს ვგევარ, რომელიც ტოტზე,
უზრუნველ ლხინით უცინის სითბოს,
არ ახსენდება ფესვები გრილი,
თავის სიმღერას იწყებს დილიდან
და ათასფერად იცვლება შუქზე.
მე ფოთოლს ვგევარ, რომელიც უცებ,
შეჩქვეფდება და იგრძნობს სიმძიმეს
უზარმაზარი მარადი ტანის,
და ერთ წუთს სული გაეყინება,
გაურკვეველი სიმდიდრის შიშით,
მერე კი ისევ, გააგრძელებს თავის
სიმღერას.

## მწუხრის სიმღერა

მამიდის ნატირალი ძმისწულზე

მორიდებული იყავი და თავმდაბალი,
სულ სიყვარული იყავი,
როგორღაც დამფრთხალი და გაოცებული,
საოცრად კეთილი იყავი,
სიმშვიდე და თვინიერება, ძვირფასი
თვლებია,
სულ მარტოსული იყავი,
შენი ტირილი ძნელია, ძნელია,
გამოუცნობი იყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რომანტიკოსებს გაუმარჯოთ, რომელთაც
სულით
დააქვთ ტვირთი განწირულობის,
შმაგი ნატვრანი და ჩახჩახა
ქვეყნიერება,
თბილი ცრემლების ბალზამი უცხო,
შემძვრელი გული...
მოაგორებენ ყვითელ თილისმებს
სიზმრეული მოგონებები კამკამა ტბაზე...
რომანტიკოსებს გაუმარჯოთ, რომანტიკოსებს!

* * *

როგორც მაისის წვიმების შემდეგ
განბანილ ფოთლებს
დაადგება უცხო სინათლე მზისა
და ჩუმი სინარნარისა,
ისე ცრემლებით სავსე უბის ჩამოცლის
შემდეგ
თითქოს ვბავშვდები და დაკარგულ
სიწრფელეს ჩემსას ისევ ვიბრუნებ,
საუფლო ჩემი კვლავაც მაღლდება
და დაწმენდილი სული ახალ სიმღერას
იწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

*რომანი*

## თავი მეჩვიდმეტე

სანამ ურიცხვი საზრუნავით შეპყრობილ სამეფო კარზე მოხელეთა უმცროს-უფროსობა ჯერ კიდევ არ გაერიგებინათ, სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძეს მანდატურთუხუცესის ძნელი მოვალეობაც დაეკისრა. მანდატურთუხუცესის სახელო იმერთა მეფეების კარზე იმთავითვე თავად ომათმათიძეებს ეპყრათ, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოკიდებული ოკრიბას ფლობდნენ. შემდეგ ომათმათიძეებთაგან აგიაშვილებმა საგვარეული წამოვიდა და ოკრიბის ბატონობაც და სამეფო კარის მანდატურთუხუცესობაც მათ დაინარჩუნეს. ბოლო დროს, მეფე ალექსანდრემ ეს სახელო აგიაშვილს ჩამოართვა და ლორთქიფანიძეს მისცა, ვინაიდან აგიაშვილებმა ციხისთავის მეტად საპატიო სახელო მიიღეს, მაგრამ როგორც კი ნეტარხსენებული ალექსანდრე მიიცვალა, ტახტზე სოლომონის ასვლასთან დაკავშირებით არეულობა მოხდა და ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, მანდატურთუხუცესი, ტახტდაკარგული ახალგაზრდა ბატონის ბანაკში აღმოჩნდა, გიორგი ბატონიშვილის საგანგებო ბრძანებულებით მანდატურთუხუცესობა სულ გააუქმეს. ქვეყნის შინაგან საქმეებზე ზრუნვა არგვეთის ბატონმა ლევან აბაშიძემ იგდო ხელთ. ახალი მანდატურთუხუცესის მდგომარეობა სახარბიელო როდი იყო. ლომკაცს ცალკერძ ფიცხი და ეჭვიანი მეფისა ეშინოდა, მოუქნელობა და საქმის გაჭიანურება არ შემწამოსო და ცალკერძ სულის წაწყმედისა, ნამდვილი ბოროტმოქმედების მაგიერ უდანაშაულო ხალხი არ შევიპყრო და ცოდვას ცოდვა არ მივამატოო.

ლევან აბაშიძის კუდების ძიებამ ლომკაცი ერთხელ კიდევ მიიყვანა იმ ადგილას, სადაც აგიაშვილის მიერ ტყვედ ჩაგდებულმა მარგველებმა თავიანთი საძულველი ბატონი უკანასკნელად დაინახეს. მარგველები, ცოდვა არ ითქმის, გულით მოწადინებული ჩანდნენ. მანდატურთუხუცესს ის მუხაც აჩვენეს, რომელზედაც თითქოსდა ლევანის გასაპარებლად მოყვანილი იორღა ცხენი იყო აღვირით გამობმული.

ლომკაცმა მოალყეების ასისთავი მოაყვანინა და თუმცა შიშობდა, ვაითუ ამით მეფის საყვარელ კაცს, ქაიხოსრო აგიაშვილს, ვაწყენინო და სამუდამოდ გადავიკიდოო, საკმაო ჩაკირკიმალებით

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

დაჰკითხა. აკლდა თუ არა ვინმეს ცხენი მოალყეთა შორის? ლტოლვილმა თავადმა შემთხვევით ისარგებლა, თუ ცხენი აქ მართლაც საგანგებოდ დაახვედრეს? არა, ცხენი არავის აკლდა. მაშასადამე? ყველაზე გულუბრყვილო კაციც კი იოლად მიხვდებოდა, რომ ეს საქმე მოწყობილი იყო და შიგ მოღალატის ხელი ერია.

ლომკაცი რჩევის საკითხავად და ახალი რწმუნების მისაღებად მეფეს ეახლა. სოლომონმა მკაცრად მოითხოვა, დამნაშავეები ეპოვნათ, თუნდ ქვესკნელიდან ამოეყვანათ და მთელი ჯარის წინაშე სამაგალითო სასჯელი მიეგოთ. ამიერიდან უკლებლივ ყველას უნდა სცოდნოდა, რა მოელოდა ქვეყნის ორგულსა და მოღალატეს!

დააკავეს ეჭვმიტანილი მოალყეები, სულ თერთმეტი კაცი, იარაღი აჰყარეს ასისთავსაც, ოკრიბელ აზნაურ ავალიანს და დილეგში მოათავსეს. თვით ქაიხოსრო აგიაშვილის დაჟინებულმა შუამდგომლობამაც ვერ გაჭრა. სოლომონს არაფრის გაგონება აღარ უნდოდა. ავალიანი თავმომწონე კაცი იყო. ბოქაულს გაუძალიანდა. ყვიროდა, გელათის ღვთიშობელს იფიცებდა, ველიეთის წმინდა გიორგი მოწმედ მოჰყავდა, ამ საქმეში უბრალო ვარო, მაგრამ მისი ხვეწნა-მუდარა არავინ შეიწყნარა — თავიანთი უფროსის ბრძანებისამებრ მანდატურებმა მკლავები გადაუგრიხეს, ბორკილი დაადეს და ბნელსა და ნესტიან სარდაფში თავპირდასისხლიანებული შეაგდეს.

აქ უკვე ისხდნენ მამუკა და გიორგი ბატონიშვილების კარისკაცები, რომელთა დიდი უმრავლესობა მეფეს ნებაყოფლობით ჩაბარდა. აქვე გადმოეყვანათ ჯავრისა და შიშისაგან მოკუნტული გურიის მთავარი მამია. წუთიწუთზე მოელოდნენ დადიანის ძე კაციასაგან მალლაქთან სამარცხვინოდ დამარცხებულ გიორგი ბატონიშვილს. გიორგიმ მეფეს შუაკაცების პირით მორჩილება შემოუთვალა, ოღონდ ეხვეწებოდა, ყული არ გამომჭრა; ჩემი თავი იმ სულძაღლ ოტია დადიანს არ ჩაუგდო ხელშიო. მეფე დათანხმდა, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა, შესძლებდა თუ ვერა ამ თავის სიტყვის შესრულებას. ყველაფერი იმაზე ეკიდა, რა მოთხოვნას წამოაყენებდა მეფის თანამდგომი ოდიშის ბატონი. თუ მოითხოვდა, ტახტის მოცილე და მთელი ჩემი სამთავროს უწყალოდ ამკლები გიორგი ბატონიშვილი. მამაშვილობას, აქ გამომიგზავნე, საკადრის პასუხს თვითმე გავცემო, უარის თქმა, ალბათ, გაძნელდებოდა.

განცალკევებულ საკანში ისხდნენ დიდი დედოფალი თამარი და ბეჟან დადიანის ასული დარეჯანი, მამუკა ბატონიშვილის თანამეცხედრე. ამათთან დღეში ორჯერ შესვლისა და წყლისა და მცირე ულუფის მიწოდების უფლება მხოლოდ ხვაშაქს, სასახლეში დაბერებულ და აქ მრავალი ჭირისა და ლხინის მნახველ პირისფარეშს, დაერთო.

ლაშქრის წინაშე გამოსვლით და თავის დამდაბლებით დედოფალმა საგრძნობლად დააცხრო ხალხის წრეგადასული გულისწყრომა, მაგრამ იმდენად კი ვერა, სასახლეში უშიშრად დარჩენა რომ შესძლებოდა. დილეგი მისთვის საპყრობილეც იყო და ბრბოსათვის მიუდგომელი ციხე-სიმაგრეც. დედოფლის საქციელმა, ძვალსა და რბილში გამჯდარმა სიამაყემ და წარბშეუხრელობამ დატუსაღების წინ, ერზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. თამარმა, მაშინაც კი, როცა დამარცხდა და მტერს ჩაბარდა, ბევრი გული მოინადირა, ბევრ ვინმეს შეუჩინა ეჭვის ჭია...

ხუთშაბათს, ორი ოქტომბრის დილას, წმინდა მოწამეების — არგვეთის მთავართა — დავით და კონსტანტინეს მოხსენიების დღეს, კარის ეკლესიის სამრეკლოზე ზარს ადრიანად შემოჰკრეს. თვით ეკლესია, ყველა მისი თაღი და სენაკი, სანთლებით გაჩირაღდნებული და საკმევლის კვამლით დაბურული იყო, საკმევლის გამაბრუებელი სუნი ყურთამდე ღია კარიდან გარეთაც გამოდი-

ოდა და ყოველ გამვლელს გულს უცნაური თრთოლვით უძგერებდა.

კარის მოძღვარი სვიმონ წერეთელი, შემოსილი და წირვა-ლოცვისათვის გამზადებული, ბოლთას სცემდა საკურთხევლის წინ, ამბიონზე და ხან ერთ ოქროსფერად მოციმციმე შანდალთან მივიდოდა, ხან მეორესთან, უამისოდაც შვეულად ჩასმულ შამახურ სანთელს გასასწორებლად ხელს შეავლებდა, ან გასქელებული ცვრის ფრჩხილით ნაღვენთს მოსწმენდდა და ისევ თავის ადგილს მიუბრუნდებოდა.

ქანდარაზე თავშეყრილი მგალობლები, აქეთ, შემოსასვლელი კარიბჭის თავზე — მამაკაცები, ხოლო მარცხენა კედლის ვიწრო სარკმლებთან — ქალები, ფეხზე ჩამოშლდნენ. მამა სვიმონმა ისინი ნაადრევად დააბინავა და ახლა ძირს ჩამოსვლისა და კარის ამოღების დრო უკვე აღარ იყო.

სასახლის გალავანში ტყვე მარგველები შემოიყვანეს. მეფის უზენაესი ბრძანებისამებრ ტყვეებისათვის თავთავისი იარაღ-საჭურველი უნდა დაებრუნებინათ და ყველა უკლებლივ სახლკარის მისახედავად შინ გაეშვათ, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ლევან აბაშიძის მხარდამხარ ნაბრძოლ ლაშქარს კარის ეკლესიაში წმინდა მოწამეთა სადიდებელი წირვა უნდა მოესმინა, ხოლო ამის შემდეგ მეფე სოლომონის ერთგულების ფიცი მიეღო.

ეს საძნელო საქმე — ხალხის დაფიცება — კარის მოძღვარს მიენდო. სვიმონ მღვდელი, მიუხედავად მოხუცებულობისა, თავს ჯერ ყოჩაღად გრძნობდა და ასე ხანგრძლივი და დამქანცველი მღვდელმსახურებას გადახდა არ გაუჭირდებოდა. სამჩრობის ჟამს დაფიცება მოთავებული უნდა ყოფილიყო. როგორც კი უკანასკნელი მარგველი მოლაშქრე მაცხოვრის ჯვრის წინაშე მუხლს მოიყრიდა, ფიცის სავალდებულო სიტყვებს სვიმონ მღვდელის კვალდაკვალ მარცვალ-მარცვალ გაიმეორებდა და ხედაშით სავსე ბარძიმს ტუჩებს შეახებდა, ეკლესიის მსახურნი ახალი წირვისა და პარაკლისის სამზადისს უნდა შესდგომოდნენ. მწუხრის წირვად დედოფლის წინ ვარციხის სასახლეში ოდიშიდან დიდი ამალით წამოსული ფეხზედნიერი მარიამ დედოფალი მობრძანდებოდა.

მთელი საეკლესიო კრებული — მღვდლები, ბერ-მონაზვნები, დეკანოზები და ეპისკოპოსები. თვით უწმინდეს და უნეტარეს კათალიკოს ბესარიონის წინამძღოლობით, აგრეთვე წარჩინებულნი და მდაბიონი, ვინც როგორ მოახერხა, ვაჭრები, თეთრინელი ძმობის ბერები, ვაკე იმერეთში, ქუთაისის ახლომახლო რომ მისიონერობდნენ, ვინ ცხენით, ვინ ფეხით და ვინ ჩარდახიანი ურმებით, დედოფლის მისაგებებლად გეგუთის ციხე-დარბაზისაკენ დაიძრა. გეგუთის ციხე-დარბაზი ოდიშსა და ქუთაისს შუა საქარავნო გზაზე იდო და მამის სამფლობელოდან მომავალი დედოფალი მარიამი ვარციხეში მოსვლამდე აქ ღამის გასათევად შეჩერდებოდა.

სოლომონს დანა პირს არ უხსნიდა. ჯავრს გულში იხვევდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, თავისი უკმაყოფილება ხმამაღლა არ გამოემჟღავნებინა. ირგვლივ უამრავი ხალხი ეხვია. კედლებსაც ყურები ჰქონდა გამობმული. დანამდვილებით აბა რას გაარჩევდი, ვინ მტერი იყო და ვინ მოყვარე! ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ჯარის სიმრავლით გათამამებულ ცოლისძმა კაციას მსტოვრები დახლართულ ქსელში ჰყავდა გაბმული და გვირგვინოსანი სიძის თითოეულ ნაბიჯს ყოველ წამს და ყოველ წუთს უსირცხვილოდ უთვალთვალებდა.

მოყვრებმა, რაღა თქმა უნდა, სოლომონს დაუფასებელი სამსახური გაუწიეს, შეიძლება ითქვას, დაკარგული ტახტი სწორედ მათ დაუბრუნეს და არარაქაეულ მამისეულ საბატონოში კვლავ გააბატონეს, მაგრამ ახლა კი დადგა დრო, მეფეს თვით მომხმარეთაგან დაეხსნა თავი, არა და, თუ მეტ გაბედულებასა და ხასიათის სიმტკიცეს ვერ გამო-

იჩენდა, ოდიშის მთავრის ყურმოჭრილ ყმად უნდა ქცეულიყო.

რა ჰქონდა მარიამს ასე ასაჩქარებელი და გადაუდებელი? რა მოარბენინებდა? ვითომ ველარ მოასწრებდა იმერეთის ტახტზე ასვლას? ქვეყანა ხომ აქ იყო და არსად მიდიოდა! დიახ, ქვეყანა აქ იყო, ხვალაც, ზეგაც და მაზეგაც აქ იქნებოდა, მაგრამ ამ ფუსფუსსა და აჩქარებასაც უთუოდ თავისი მიზეზი ჰქონდა, იგივე მიზეზი, რა მიზეზითაც დედოფლის ძმამ, სალიპარტიანოს ბატონმა კაციამ, ლაშქრობის გეზი შესცვალა და იმის მაგიერ, მეფეს ჩხარში დახვედროდა, თითქოს დანაშაულზე წასწრება განუზრახავსო, მოულოდნელად ვარციხეში მოვიდა. სოლომონისათვის არც ის იყო ძნელი მისახვედრი, რომ მუდამ მამის თვალებში შემყურე მარიამი წამოსვლის გადაწყვეტილებას მარტოდმარტო ვერ მიიღებდა. რაკი ნაადრევად აიყარა და იმერეთის გზას თანამეცხედრის სურვილისა და ნებართვის გარეშე დაადგა, მაშასადამე, ბატონ ოტიას ასე სწადდა და ასულიც მის ნებას დაემორჩილა. ჩანს, იქ უკვე იცოდნენ ხინოწმინდის დედათა მონასტრის აკლებისა და დედოფალყოფილ თინათის უკვალოდ გაქრობის ამბავი!..

ლაშქრად წამოსვლის წინაღამეს, გორდში დადებული შეთანხმებისამებრ, როგორც კი აქაურობა ასე თუ ისე დაშოშმინდებოდა და სამეფოს ყველა სადავეს ხელში საიმედოდ დაიჭერდა, სოლომონი თვით უნდა წასულიყო თანამეცხედრის შესახვედრად და ვარციხის სასახლეში მოსაყვანად. მარიამი ქმარს გვიშტიბის ციხეში დაელოდებოდა, სადამდეც მოხუცებული მამა და ოდიშის დიდებულები მოაცილებდნენ.

სოლომონს ამჟამად დარბაზობის გასამართავად არ ეცალა. დანა და ყელი, რომ იტყვიან, ერთად იყო. ხეირიანად და სარწმუნოდ ჯერ ისიც არ იცოდა, როდის და რომელი მხრიდან დაეცემოდა თავს ომში უვნებელი და თვალსა და ხელს შუა გამძვრალი ლევან აბაშიძე. რა აზრს ადგნენ ახალციხეში? რაღა თქმა უნდა, უკვე დგებოდა ლაშქარი, რომელიც გაზაფხულის დარების დადგომისთანავე, დიდმარხვაში ან ცოტა უფრო გვიან, პირს იმერეთისკენ იზამდა. დიდმარხვამდე არც ისე ბევრი დრო იყო დარჩენილი, სულ რამდენიმე თვე! ეს თვეები, შემოდგომის ბოლო და თითქმის მთელი ზამთარი, მეფეს ახალი ჯარის შემოკრებისა და იარაღ-საჭურვლის შესაძენად უნდა გამოეყენებინა. მოესწრებოდა კი? შესძლებდა რიცხვით უმრავლესი და უკეთ შეიარაღებული მომხდური მტრის გამკლავებას?

ლეკ მარბიელთა წვრილ-წვრილი თავდასხმები, წლის ყოველ დროსა და ყოველგვარ ამინდში რომ იყო მოსალოდნელი, ცალკე ფიქრსა და ზრუნვას მოითხოვდა. ლეკები უმთავრესად რიკოთის გზაწვრილებზე გადმოდიოდნენ, ან ალის მიდამოებიდან საწერეთლოს სოფლებში იჭრებოდნენ და, თუ დამხვდური სიმკვირცხლესა და მხედრულ ეშმაკობას ვერ გამოიჩენდა, ქვეყნის ორივე მხარეს მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ.

ლეკთა მსუბუქად შეიარაღებული რაზმები გაზაფხულზე ხანისწყლის ხეობაშიაც გამოჩნდებოდნენ ხოლმე და, როგორც თვით ხეობაში, ისე ღადოს მთის კალთებზე, სოფლებს იკლებდნენ. ლეკების გამოჩენა იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ზეკარის უღელტეხილზე გზა გავიდა და ახლა იმერეთში აგარიანთა რეგულარული ჯარის შემოსვლის მოლოდინი უნდა ჰქონოდათ.

სოლომონს დაუყოვნებლივ სჭირდებოდა საქმის ისე მოწყობა, რომ ლეკი მარბიელებისათვის უკან გასაბრუნებელი გზები მოეჭრა, ყოველ მარჯვე ადგილზე რჩეულ მხედართაგან შემდგარი პატარ-პატარა გუნდები ჩაესაფრებინა და ამით თავისი მცირე ძალა ერთი ათად გამოეჩინა. მაგრამ სად იყო ხალხი ან სახსრები? საიდან გაეჩინა ან ერთი, ან მეორე? მარჩენალ მიწას მოწყვეტილი გლეხი ან აზნაური, აქაოდა, ხვალ აი ზეგ შეიძლება მტერი შემოგვესიოსო, გულ-

ხელდაკრეფილი დიდხანს ვერ გაგიჩერდებოდა. მას ისევ ის ერჩივნა, შიშიანობის ჩამოვარდნამდე შინ მჯდარიყო, ოჯახის მეურნეობისათვის მიეხედა და პირველსავე დაძახილზე თავისი ცხენით, იარაღითა და ლუკმით ბატონს ომში ხლებოდა, თუმცა ამგვარი მამაპაპური წესით შემდგარი ლაშქარი მტრის საგულდაგულოდ გაწვრთნილ ჯარს საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა და ბრძოლის ველზე ყოველი დიდი და მცირე გამარჯვება ასობითა და ათასობით თავდადებული თვისტომის სიცოცხლედ უჯდებოდა.

ცოდვისკითხვასა და ვაიუშველებელში აბა რა დროს დედოფალთან საზეიმო შეხვედრის და ამ შეხვედრასთან დაკავშირებული ბრწყინვალე დარბაზობების დრო იყო!

მეფის გულის სიღრმეში სხვა სადარდებელსაც დაედო ბინა. ცოლისძმაზე უფრო მეტი ნდობითა და თანაგრძნობით, როგორც ჩანდა, გვირგვინოსან სიძეს არც სიმამრი, ოდიშის მთავარი ოტია დადიანი უცქერდა. მთავარს ამოჩემებულად არ სურდა, სიძე-ბატონი თუნდ ერთი წუთით მარტო დაეტოვებინა და განსჯის საშუალება მიეცა. ცოტაღა დააკლდა, ასული, აწ უკვე ლიხთიმერეთის დედოფალი, მარიამი, კინაღამ თან გამოატანა ლაშქრობაში. მადლობა ღმერთს, ქალებმა არ ქნეს, მთავარს მუხლებში ჩაუვარდნენ და ეს გადაწყვეტილება რის ვაივაგლახით გადაათქმევინეს. ოტია ჩვეული არ იყო გულში ამოჭრილი განზრახვის შეცვლას, მაგრამ ამჯერად, მდგომარეობის ერთხელ კიდევ აწონ-დაწონვის შემდეგ, მარიამის შინ დატოვება ამჯობინა, ხოლო თანამეცხედრესა და რძალს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ადრე მიღებული გადაწყვეტილება სწორედ მათი მუდარის გამო შეეცვალოს.

ოტიას აზრით, გვირგვინისა და ტახტის მოზიარე დედოფალი მეფეს ღღენიადაგ გვერდით უნდა ჰყოლოდა და ყველა მნიშვნელოვანი საქმე დედოფალთან შეთანხმებით და მხოლოდ დედოფლის დასტურით უნდა გადაეწყვიტა. ამაოდ როდი იწყებოდა ქართველ გვირგვინოსანთა ყველა სიგელ-გუჯარი სულ ერთი და იგივე სიტყვებით: „ნებითა და შეწევნითა მღთისათა, ესე ამიერითგან და უკუნისამდე ჟამთა, ხანთა და წელთა შესარჩენი, უხერხო, უტყუარი, მტკიცე და შეუცვალებელი, საბოლოოდ გასათავებელი წყალობის წიგნი და საფიცარი დაგიწერეთ ჩვენ, მღთივ ცხებით გვირგვინოსანმან, ამის და ამის მპყრობელმან, პატრონმან მეფეთა-მეფემ ამან და ამან და სასურველმან თანამეცხედრემან ჩვენმან, ამისა და ამის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან ამან და ამან, შენ...“

სოლომონის თვალწინ და, ძისივე უნებლიე მონაწილეობით, ხელახლა მეორდებოდა ის, რაც უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე იმერეთის სამეფო კარზე გათამაშდა, ოღონდ იმ მცირა განსხვავებით, რომ ახლა მეფე ალექსანდრეს მაგიერ ტახტზე მისი უფროსი ძე იჯდა, ხოლო ტახტის ფარული განმგებელი აღზევებული აბაშიძე, არგვეთის ბატონი, ძლევამოსილი ოდიშის მთავარმა დადიანმა შესცვალა.

ამაზე ფიქრი დამამცირებელი იყო. ნუთუ მეტი არაფერი მომხდარა? სოლომონს არ სურდა დაეჯერებინა, ბედისწერის ხელში უბრალო სათამაშო ტიკინა ვარო და გონებაში ამ აზრის განმტკიცებას მთელი შინაგანი გაავთრებით ეწინააღმდეგებოდა. არა, მას შეგნებულად და წინასწარ დასახულად არ სურდა ევლო იმავე გზით, რომლითაც მამამ, პაპამ და პაპამ იარა. მისი გზა სულ სხვა გზა იყო. იქნებ ტანჯვის გზაც, იქნებ სისხლით მორწყული, კოცონებითა და სახრჩობელებით მოფენილიც, მაგრამ ამ გზას, ბოლოსდაბოლოს, იქ უნდა მიეყვანა, სადაც ცხვარი და მგელი ერთად მოსძოვდა, სადაც კაცი კაცს პირუტყვივით ველარ გამოიმეტებდა გასაყიდად, სადაც ყოველი ადამიანისშვილი სანთელს იმ ღმერთს დაუნთებდა, იმ

ღმერთს იწამებდა და ეთაყვანებოდა, ვისი მადლიც გულში ენთო, სადაც მახვილით მოსული მოძალადე მტერი მახვილითვე გაიგმირებოდა!..

„სხვაგვარად რისთვის უნდა ვიცოცხლო? — თითქოსდა დაუსაბამო განგებას ეკითხებოდა საკუთარ ფიქრებთან მარტო დარჩენილი ახალგაზრდა მეფე. — სხვანაირად რა აზრი და დანიშნულება უნდა ექნეს ჩემს ცხოვრებას? არავითარი! მე ვიცი: ყველა სხვა გზა მაცთუნებელია, ამქვეყნიურ სამოთხეს მპირდება და საუკუნო ჯოჯოხეთისკენ მიმაქანებს. ღმერთო მაღალო, შემეწიე, მომეც მე ძალა, დავთრგუნო ყოველივე ბოროტი, განვედ ეშმაკისაგან!“

## თავი მეთვრამეტე

სოლომონმა სულ ერთი ღამე გაათია ვარციხეში, ოღონდ მოსასვენებლად სასახლეს სათოფეზეც არ მიეკარა. გალავნის შიგნით, ბზების ხეივანში, სალაშქრო კარავი გააშლევინა, კოშკების გამაგრება სამეფოს ციხისთავად ხელახლა დამტკიცებულ ქაიხოსრო აგიაშვილს მიანდო, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ქვეითი მეთოფეები სასახლის გარშემოც დააყენა და თანმხლებ დიდებულებთან და ცოლისძმა კაცია დადიანის ძესთან ერთად სახელდახელო ვახშამს კარავში მიუჯდა.

მეფე მოშიებული იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს შემოჩენილი ჰაერის უკმარისობა სტანჯავდა და ყელში ლუკმა არ გადასდიოდა. ღვინოს მიეძალა. ორი მომცრო ყანწი ზედიზედ გამოსცალა. სამაგიეროდ, საჭმელს სხვებმა გაუსვეს ხელი. დაბალფეხებიან სალაშქრო ტაბაკზე, როგორღაც ბრტყელძირიან ნავს რომ წააგავდა, თვალის დახამხამებაში გაქრა მშრალად მოხარშული დეკეულის დიდრონ-დიდრონი ნაჭრები. უმალ ახალი მოიტანეს, ჭურჭელი მისწი-მოსწიეს და შუაში ვერცხლის ჯამებით ხახვმოყრილი ცვრიანი მწვადები და იმ წუთს თორნიდან ამოყრილი ცხელი შოთებიც ჩაალაგეს.

მეფის შემდეგ კაცია დაილოცა, ყანწი ხარბად, თითქმის სულმოუთქმელად დასცალა, მერე ზურგსუკან ამომდგარ მერიქიფეს პირამდე აავსებინა და აფხაზეთის მთავრის შვილს, ხუტუნია შერვაშიძეს, გა[illegible]

— ძალიან მოგვაშიეს, — თქვა მეფემ და ჩქიფით მწვადს მისწვდა. — სად ბრძანდება სახლთუხუცესი?

ლომკაც ჯაფარიძემ, აქამდე რომ უკან, კარვის ბინდბუნდში იდგა, ნაბიჯი გადმოდგა და სოლომონს თავი დაუკრა.

— აქ გახლავარ, მეფევ-ბატონო.

— ღვინო სადაურია?

— სვირული გახლავს, მეფევ.

— ძელგი დამდგარა. კახურისაგან ვერ გაარჩევ. ხომ ბლომად მოიტანეთ?

— ოცდაათი საპალნე იქნება, ბატონო, ხვალ კიდევ ველოდები.

— ჯარს არ მომიწყურო, იცოდე, სათრობად არა, მაგრამ იჯრაზე თითო ხელადა ყველას უნდა შეხვდეს.

— ბატონი ბრძანდება!

აფხაზ-ოდიშართა ლაშქარი შინ დაბრუნების თადარიგს იჭერდა და სოლომონი ცდილობდა, გულნაკლული არავინ გაეშვა. ოდიშართა სამი სადროშო, თითქმის შვიდი ათასი კაცი, და სვანების სამი ასეული, მეფის გაერთიანებულ ლაშქარს ცხენისწყლის პირას, ლეჩხუმში რომ შემოუერთდა, წინადღესვე იყარა და შორეულ გზას გაუდგა. ხუტუნია შერვაშიძის აფხაზები და ოდიშართა დანარჩენი სადროშოები ეკლებზე ისხდნენ. აგერ შემოდგომა გაშუალდა, სადაცაა თოვლს დასდებდა და გახურებულ ალოსთავზე, როცა გამრჯე ვაჟკაცის მარჯვენა ოქროს ფასი ღირს, ისინი კვლავ აქ, აჯამეთის ტყეში, ყურყუტებდნენ და ერთმა ღმერთმა იცის, რას ელოდნენ.

[illegible] დიდებულთაგან ყველაზე სა-

პატიო პირი გიორგი წულუკიძე, მეფის ალმზრდელი, ხოტევის ციხის პატრონი, მისივე აზნაურებითურთ, რომელთაც სამასამდე მსუბუქად შეიარაღებული მხედარი ახლდათ, ნაშუადღევს ქუთაისს გაემგზავრა. წულუკიძეს, თავისი მეფის სრულუფლებიან ელჩს, ქუთაისის ციხისთავი მამედ-ალი კიკიანი-ფაშა უნდა მოენახულებინა და სოლომონის ბეჭედდასმული პირობის წიგნი გადაეცა.

აჩიკ ბაშთა მეფე, როგორც ოსმალები უწოდებდნენ, აწ და უკუნითი უკუნისამდე თავს კვლავ ბედნიერი სულთნის ფერხთა მტვრად თვლიდა და, თუ ყოვლის გამრიგე მაღალი ღმერთი არ მოიძულებდა და დღეს არ შეუმოკლებდა, სულთნის მოყვარეს მუდამ მოყვრობას გაუწევდა, ხოლო მტერს მტრად მოეკიდებოდა.

მამედ-ალი კიკიან-ფაშას მონახულება დღეს, შესაძლოა, დაგვიანებულიც კი იყო, მაგრამ თუ დარბაზის ერის ერთსულოვან აზრს რაიმე დაეჯერებოდა, ელჩის გაგზავნა და მეფის მხრივ მდაბალი მორჩილების გამოცხადება საქმეს მაინც არ გააფუჭებდა.

ამას გარდა, წულუკიძე და მისი მხლებლები იქაურობასაც დაზვერავდნენ, ათას ენაზე მოყაყანე ბაზარში შეივლიდნენ, ხალხმრავალ ქულბაქებს მოინახულებდნენ, ჯაჭვის ხიდთან რაჭველ და ლეჩხუმელ ჩალვადრებში შეერეოდნენ, მთის და ბარის ამბებს გამოიკითხავდნენ. არ შეიძლებოდა, თვით ცბიერ და ქლესა კიკიანსაც არ შეტყობოდა, თუ ხვალ და ზეგ ქრისტეს მმოსავთა მოსისხლე აგარიანები რას აპირებდნენ. ქვეყანასა და ხალხს რა ახალ განსაცდელს უმზადებდნენ. იქნებ მისივე ან ვინმე ვერცხლისმოყვარე ყბედი იანიჩრის მეშვეობით ლევან აბაშიძის გზა და კვალიც გაეგოთ და სასახლეში სარწმუნო ცნობები მოეტანათ.

ბაღდადელ მეციხოვნეებთან მოლაპარაკება და სოლომონის პირობის წიგნის გადაცემა ზურაბ მიქელაძის ვაჟებმა [illegible] ვაჟებს თვით მენაპირე თავადი ზურაბიც წაჰყვა. თხმელისციხის მოურავ უსეინს მიქელაძეები პირადად იცნობდნენ, ხანდახან შინაც კი იწვევდნენ ხოლმე, გამოულეველი ფულის პატრონ მევახშე აგარიანებთან შიგადაშიგ კიდევაც ვაჭრობდნენ და იმედოვნებდნენ, მშვიდობიანი მოლაპარაკება სასურველ შედეგს გამოიღებსო.

ყველაზე მეტი დრო და თავსატეხი ფიქრი პირობის წიგნის შედგენამ მოითხოვა. როგორც არასდროს, მეფეს ახლა ისე სჭირდებოდა ქვეყნის საგარეო საქმეების გარიგებაში ეგზომ გაწაფული და ნაცადი ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე. ჰაჯი-აჰმადის მძევლობიდან მობრუნებული მაქსიმე, სამწუხაროდ, მეფეს თან არ ახლდა, დედოფალ მარიამის ამალაში იმყოფებოდა. უხმეს მის ძმას, ხონელ მებატონეს, დავითს, და ოდესღაც რუსეთის ელჩობაში ნამყოფ აზნაურ კვინიხიძეს.

საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ხელს სხვა რამეც უშლიდა. სოლომონს არასდიდებით არ უნდოდა, თავისი თანამდგომი ცოლისძმა, დადიანის ძე კაცია, სამეფო კარის ყველა შინაური და საგარეო საქმის მოწმედ და მონაწილედ გაეხადა. სრული გულახდილობა ცოლისძმის წინაშე, ვინ იცის, მეფისავე საზიანოდ როგორ შემოტრიალდებოდა. კაცია, თავის მხრივ, აინუნშიაც არ აგდებდა სიძის გაუმხელელ ჰოჭმანს და დარბაზის ერის ბჭობის დროს არამცთუ დიდსულოვნად ერიდებოდა სხვის საქმეში თვითნებურ ჩარევას, პირიქით, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და სხვებზე მეტ დაინტერესებასაც იჩენდა.

სხვა გზა არ იყო, სოლომონს როგორმე უნდა მოეთმინა ცოლისძმის მეტისმეტი გაშინაურება და სახელმწიფო საქმე მისი თანდასწრებით განეგო, რადგან გულში ნადების ხმამაღლა გამჟღავნებას მხოლოდ აშკარა განხეთქილება და ახალი მტრობის ჩამოგდება მოჰყვებოდა.

სულთნის მორჩილების გამომხატ-

ველი პირობის წიგნი ისე მოხერხებულად შეადგინეს, რაიმე კერძო პირობებზე სიტყვაც არ ჩამოუგდიათ. ნახევარი სამყაროს მფლობელი სულთნის მორჩილების სიტყვიერი აღიარება სოლომონს ჯერხანობით არაფერს ავნებდა. კერძო პირობების დადება, ძველის განმეორება და ახლის მიმატება, აგრეთვე მრავალსიტყვაობითა და ფრთიანი გამოთქმებით გაბუნდოვანებული და გაურკვეველი მუხლებისათვის ნათელის მოფენა, შემდგომი დროისათვის, სამერმისოდ შემოინახეს, რათა ამით რაც შეიძლება მეტი დრო მოეგოთ და მტერი ტყუილად დაეიმედებინათ.

წულუკიძე და მიქელაძეები ახალი გასტუმრებული იყვნენ, როცა სოლომონს დამარცხებული გიორგი ბატონიშვილის მოსვლა აუწყეს. ამ წუთამდე მას ეგონა, ტახტის მოცილე ბიძის ხელში ჩაგდება აუწერელ სიხარულს მომგვრის და ფრთებს გამომასხამსო. ახლა ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. ქაიხოსრო აგიაშვილის მეთოფეები, ვინც ეს ამბავი მანდატურთუხუცესს ახარა, იმან კი მეფეს მოუტანა, კარგა ხანს ალოდინა, ვიდრე პასუხს გასცემდა და ახალი ტუსაღის სხვა ტუსაღების გვერდით მოთავსებას ბრძანებდა.

სოლომონის ფიქრი სულ სხვაგან იყო. უპირველეს და გადაუდებელ საქმედ მას დღესდღეობით არგვეთის ციხეების დაკავება-შემომტკიცება მიაჩნდა. პაპუნა წერეთელი, მართალია, გარს ერტყა აქამდე აუღებელ სვერის ციხეს, მაგრამ თვით მეფის დაუხმარებლად, როგორც ჩანდა, იქ ის ვერაფერს გახდებოდა.

ვიდრე ვარციხეში მოვიდოდა, სოლომონმა მხოლოდ ჭალატყის კოშკების დასაკუთრება შესძლო და ლევან აბაშიძეს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ხელიდან დიდი ძალა გამოაცალა. მიუხედავად ამისა, მტკიცედ ნაგები, მტრისათვის ოთხივე მხრიდან მიუდგომელი, სასმელი წყლითა და ნუზლით ჭარბად მომარაგებული სამი ციხე — სკანდისა, მუხურისა და მაჭუტაურისა, კვლავ მარგველებს ეპყრა. წინასწარ ვის შეეძლო მტკიცება, როდემდე გასწევდნენ უაზრო წინააღმდეგობას ალყაშემორტყმული მარგველი მეციხოვნეები, როდემდე უერთგულებდნენ თავიანთ სისხლისმსმელ ბატონს!

სოლომონი სარდლებს მოეთათბირა და ლაშქრის აყრა სწორედ ვახშმად დასხდომის წინ ბრძანა. მშრალი შემოდგომა იდგა, დღისით მზე აცხუნებდა და ჯარების გადაადგილების დროს გზა მტვრით იბურებოდა. ამიტომაც ღამით მგზავრობა ამჯობინეს. მთვარე, მართალია, გვიან ამოდიოდა, მაგრამ როგორც კი ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე გაიმინდვრებდა, მიდამოს ისე ანათებდა, რიყეზე კენჭებს დაითვლიდი. სოლომონს ისედაც არ სურდა, ფარული ეჭვიანობით გულგასენილ და მამის მიერ ოდიშიდან ნაადრევად გამოსტუმრებულ დედოფალ მარიამს შინ, ვარციხის სასახლეში, დახვედროდა. ერთადერთი გონივრული მიზეზი, რითაც ხვალ და ზეგ უყურადღებობით განაწყენებული თანამეცხედრის წინაშე სიტყვით ან უსიტყვოდ თავს გაიმართლებდა, სწორედ გადაუდებელ ლაშქრობაში წასვლა იყო. დაე, ქეთილი ენებათ და ყველას გაეგო, რომ მეფეს თავის საკუთარ დუდუკზე ვერავინ აცეკვებდა. „განა მოშინაურებული ნადირი ვარ, საბელი ჩამაბან და აქეთ-იქით თავიანთ ნებაზე მატარონ, — ფიქრობდა სოლომონი. — ერთხელ და სამუდამოდ მოკვდა ის დრო! თეთრ კბილს რომ ვაჩვენებ, ყველა მიხვდება, სიფრთხილე მმართებსო, რადგან შემიძლია ურჩს ხელი წავაჭამო!“

ჭკვიან მარიამს, რასაკვირველია, ვერ გამოაპარებდი, რომ ბაბუასეულ არგვეთისაკენ გალაშქრებას მეფე საბაბად იყენებდა, რათა თანამეცხედრესთან შეხვედრისათვის თავი აერიდებინა, მაგრამ გაზრდილობა, ოჯახიშვილობა და მამის ბრძნული დარიგება, მუდამ გონიერი, მომთმენი და ღირსეული იყავიო, წუწუნისა და წვრილმანი წაკინკ-

ლავების ნებას არ მისცემდა ახალი შემომტკიცებული დადიანი, სოლომონის ღრმა რწმენით, თავის გვირგვინოსან სიძეს მანამდე მაინც გაუწევდა მოყვრულ ერთგულებას, ვიდრე ახალგაზრდა მეფე-დედოფალს შორის სრული თანხმობა და ურთიერთსიყვარული სუფევდა. სოლომონს სწამდა: ბატონი ოტია მარტოოდენ პატივმოყვარეობას აყოლილი გაუგებელი კაცი როდი იყო და ეს რწმენა მისდამი პატივისცემას უნერგავდა. ოტია სულის სიღრმეში არავის უქვრებოდა და რაღაც მეტისმეტს, შეუძლებელს, არავისაგან, თვით სოლომონისგანაც არ მოითხოვდა. რაკი გუშინდელი მტრები ღვთის განგებამ მოყვრობით დააკავშირა, მთავრის ასულ მარიამსა და იმერთა მეფეს სიყვარული და ურთიერთგაგება სხვათა დასანახად მაინც უნდა ჰქონოდათ, იმედნად მაინც, რომ ქალის მამას, მედიდურსა და ამაყ დადიანს, თავი დამცირებულად არ ეგრძნო და სიძის ჭკუაზე მოსაყვანად ცხენისწყალზე სალაშქროდ გადმოსვლა არ დასჭირვებოდა.

ეს გარიგებას ჰგავდა, რომლის ყოველი მუხლი ორივე მხარეს ერთნაირი სიბეჯითით და კეთილსინდისიერებით უნდა შეესრულებინა. „პირს არ გავტეხ, — ფიქრობდა სოლომონი. — მაგრამ, ერთი ქაჩლისა არ იყოს, ვერც თავს გადავიტყავებ. თუ მე ვინმე გამომადგა და სიკეთე მიყო, არც მე ვარ ნაკლები გამოსადეგი, ოღონდ სიხარბეს მოეშვან და გადაყლაპვას ნურავინ მომინდომებს!“

სუფრიდან რომ წამოდგა, კალთა დაიბერტყა და ხელების გადასაბანი წყლით მოგებებულ ნიკოლოზა ნაფიჩვაძეს თვალი ჰკიდა, ტანის სიმძიმეს წინ გადასძლია და წაბორძიკდა. ძიძიშვილი ორად ეჩვენებოდა. ცოლისძმამ შეჰბედა, ხელი წაატანა. სოლომონს უძილობისაგან თავი უბრუოდა, მტკივანი მხარიც ოდნავ, სულ ოდნავ სტეხდა და ფიქრებს ულვიძებდა. თვალწინ გაურკვეველი მოყვანილობის ფერადფერადი ლაქები ცახცახებდნენ და ხან ზანტად, ხან კი საშინელი სისწრაფით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

ისევ კაციამ ჰკადრა:

— ცოტა მოგესვენა, სოლომონ, მთვარის ამოსვლამდე კიდევ დროა.

— სწორედ მაგ დროს ვერ დავკარგავთ, ძმაო კაცია. არა უშავს, პირზე ცივ წყალს შევისხამ და გამივლის. მოდექი, ბიჭო, აქეთ, ნიკოლოზა! მიკვირს, ასე რანაირად დამჯაბნა უძილობამ, — მეფემ კვლავ დადიანის ძეს მიმართა. — გამოძინებას, ბატონიშვილო, როდისმე მოვესწრებით, რაღაი ღმერთმა წყალობით გადმოგვხედა და აქამდე ხელი მოგვიმართა, — შემდეგ კარავში თვალებით ზემომპარის სარდალი მოძებნა, შორეულ კუთხეში დაინახა და ხმამაღლა მოუხმო: — ბატონო ქაიხოსრო!

საომრად აღჭურვილმა ქაიხოსრო წერეთელმა თავის ოდნავი დაკვრით მოუხადა ბოდიში აფხაზეთის მთავრის შვილს ხუტუნია შერვაშიძეს, რომელსაც რაღაცას დარბაისლური გაცხარებით უმტკიცებდა და აქეთ წამოვიდა.

— გახლავართ, მეფევ.

სოლომონმა მაჯები გადაიკაპიწა.

— ჩვენი მხლებელი რაზმი ხომ მზად არის?

— კაცი გავგზავნე, ცხენებს კაზმავენ, ბატონო.

სოლომონი დაიხარა, სახეზე წყალი შეიშხაპუნა, დაიფრთვინა, სველი ხელები ხეშეშ ქოჩორზე გადაისვა და საგრძნობლად გამოცოცხლებულმა ნიკოლოზას პირსახოცი ჩამოართვა.

— ვინ უძღვის რაზმს? — მან ისევ ქაიხოსრო წერეთელს ჰკითხა, თან პირსა და კისერს იმშრალებდა.

— ასისთავი როსაფ მაჭავარიანი, მეფევ.

სოლომონმა პირსახოცი ძიძიშვილს დაუბრუნა, ნიკაპი ასწია და გაღეღილი ახალუხის ღილკილო ორივე ხელით შეიბნია.

— ღმერთმა აღდეგრძელოს და ღვთის წყალობა ნუ მოაკლოს როსაფ მაჭავარიანს. თავის დროზე დიდი სამსახური გაგვიწია.

— რაც ერთ მხედარს მოეთხოვება, იმას რავა დაგამადლის, მეფევ. ყმას ბატონის სამსახური მართებს!

— სულ რამდენი კაცი გვყავს?

— სამი ათასი ცხენოსანია, ერთი ამდენი ქვეითიც იქნება.

— სამსაც ჩვენ მოგახმართ, მეფევ, — ჩაერია ლაპარაკში დადიანის ძე კაცია, რომელსაც არასგზით არ უნდოდა, სიძე სადმე მარტო გაეშვა, და მეფეს გამომცდელად დააცქერდა.

ტყუილად ლამობდა სოლომონი ცოლისძმისათვის თავისი ნამდვილი ზრახვები დაემალა. კაცია არცთუ ისე გულუბრყვილო და მიმნდობი ვინმე იყო, თავი მოეტყუებინებინა. მაშ, დავიჯეროთ, სამი ათასი ცხენოსანი ჰყავს და მხოლოდ ამდენივე ქვეითი? დანარჩენი ჯარი ნეტავ რა უყო? ჯერ იმერ მოლაშქრეთაგან, გარდა ტყვედ ნამყოფი მარგველებისა, შინ ერთი კაციც არ გაუშვიათ!

სოლომონი, რაღა თქმა უნდა, თვალთმაქცობდა და, ალბათ, ეგონა, ცოლისძმას წამწამიდან ბეწვს ამოვუღებ და პირში ჩალაგამოვლებულს დავტოვებო. მეფის ფარული განზრახვა ჯერ მარტო მისმა უახლოესმა ქვეშევრდომებმა: ქაიხოსრო წერეთელმა, ბერი წულუკიძემ და სახლთუხუცესმა იცოდნენ.

ერისთავის მოსისხლე წერეთლებისა და მათი თანამზრახველებისაგან შეგულიანებული მეფე რაჭაში შეჭრას და შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილის, როსტომ რაჭის ერისთავის, დატუსაღებას აპირებდა. თუ ეს ხმა გამართლდებოდა და სოლომონი თავისას კიდევაც შეაღწევდა, მისთვის ურგებ საერისთავოს, როგორც ოდესღაც მეფე დავით-ნარინმა ჰქმნა, საშვილიშვილოდ მოშლიდა, ქვეყანას სახასოდ გამოაცხადებდა და მუდამ განზე მაცქერალი ძლევამოსილი ერისთავის მაგიერ ბარაკონზე თავის მოურავს დასვამდა.

სოლომონის ადგილზე რომ ყოფილიყო, კაცია, რასაკვირველია, ასე მოიქცეოდა, ვინაიდან სამეფო ტახტის განმტკიცების სხვა გზას ვერც ის ხედავდა, მაგრამ ამჯერად სიძე-ცოლისძმას მისწრაფებები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ და, უკეთუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, კაციას არ შეეძლო განზრახვის შესრულებაში სოლომონისათვის მხარი აება.

კაციას კარგად ესმოდა, რომ მტრისაგან მიუდგომელი რაჭის აკლებით და იქაურ ერისთავთა ძლიერი სახლის დამხობით მეფე უსაზღვროდ გაძლიერდებოდა და, რაკი დღესდღეობით აბაშიძისეული არგვეთი უკვე ხელთ ეპყრა, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ გურიის სამთავროს ხვალ და ზეგ დაეუფლებოდა, ცოტა ხნის შემდეგ მეტსაც მოიწადინებდა: პირს ოდიშისაკენ იზამდა და თავის მოთხოვნებს წამოაყენებდა.

მამამ და შვილმა, ოტიამ და კაციამ, ყველა ეს შესაძლო უსიამოვნება გორდშივე აწონ-დაწონეს და მაშინვე გადაწყვიტეს, თავიანთ უახლოეს ნათესავთან როსტომ რაჭის ერისთავთან — კაცია ხომ როსტომის ღვიძლი დისწული იყო და როსტომი ბიძად ერგებოდა! — ფარული კავშირი გაებათ. ოტიას საჭიროდ მიაჩნდა, მეფესა და ერისთავს შორის შუამავლობა ეკისრა და შერიგების საქმე უსისხლოდ მოეგვარებინა. ამით ორ კურდღელს დაიჭერდა: გასაჭირში მუდამ მომხმარე ერისთავსაც შეინარჩუნებდა და მეფის მეტისმეტ გაძლიერებასაც შეფარულად წინ აღუდგებოდა. რაჭას საგანგებო მალემსრბოლები გაიგზავნა, როსტომს მოყვრული წიგნი აახლეს, რომლითაც მეფესთან შერიგების გონივრულობას ურჩევდნენ. ოტიას ბეჭედდასმული საიდუმლო წიგნი მოუვიდა დადიანის უფროს ცოლისძმას, მის უწმიდესობა კათალიკოს ბესარიონსაც. გულში ამოჭრილ სურვილს, სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებული მეფე და ერისთავი როგორმე შეერიგებინა, ოდიშის ბატონი თავისი მშვიდობისმოყვარეობითა და ღვთისმოსაობით ხსნიდა. ბარაკონიდან ჯერ პასუხი არ იყო: როსტომ ერისთავი, ჩანდა, ფეხს ით-

რევდა. ამიტომ კაციასაც ვერ გადაეწყვიტა, რაჭის მპყრობელზე სიტყვა ჩამოეგდო და მისი თავი მეფისათვის შეევედრებინა. მაგრამ იმდენი სიფრთხილე კი უნდა გამოეჩინა, რომ სოლომონი ყოველ წამს თვალწინ ჰყოლოდა და რაჭაში სალაშქროდ არ შეეშვა.

მეფემ ზრდილობიანად მოუჭრა, შემოთავაზებულ სამსახურზე, მისი სამი ათასი მხედარიც ეახლებინა, ცოლისძმას უარი უთხრა. მას აშკარად არ სურდა, დღენიადაგ მოქიშპე დადიანის მემკვიდრე უფრო ღრმად ჩაეთრია იმერეთის საქმეებში და თავის უარს მეგობრული ზრუნვისა და მოკრძალების უწყინარ იერს აძლევდა.

— იქ ვგონებ აგრერიგად საძნელო არაფერი შეგვხვდეს, — ბრძანა სოლომონმა. — ჯარის სიმრავლემ ვაითუ ხელიც შეგვიშალოს. მე და ქაიხოსრო ღვთის ნებით როგორმე ვეყოფით ამ საქმეს და, თუ ღმერთმა აქაც თავისი მოწყალე კალთა გადაგვაფარა, ციხეებში ჩვენს ხალხს ჩავაყენებთ. ასე არ არის; ბატონო ქაიხოსრო?

— აგრე გახლავთ, მეფეო, — დაემოწმა სარდალი. — თავად ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ: არგვეთის ხევხუვებში და ბილიკებზე დიდი ჯარი ვერ გაიმართება. იმისთანა ვიწროებია დალოცვილში, თუ მარჯვედ არ იქენი, კაცი კაცს გვერდს ვერ აუვლი.

„თვალებში ნაცარს მაყრით და მასულელებთ? — ნიშნისმოგებით ფიქრობდა კაცია დადიანის ძე. — გასულელებული ვინც დარჩება, პაპაჩემსა აქვს ცხონება, ბოლოს ვიანგარიშოთ!“

კაცია უკვე მიმხვდარი იყო, რომ მეფეს, არგვეთის ციხეების დასაკავებლად მარტო წავიდოდა თუ ცოლისძმის მხედრობასაც იახლებდა, ხელები მაინც შეკრული ჰქონდა. ვიდრე აფხაზ-ოდიშართა ლაშქარი და თვით ის, კაცია, აქ, ვარციხეში ეგულებოდა, რაჭის ერისთავის საწყენად წკირსაც ვერ გადააბრუნებდა. ვინ ჰყავდა იმის თავდები, რომ ერისთავის თანამდგომი დადიანის [illegible] უპატრონოდ დაგდებულ ვარციხის სასახლეს იარაღის ძალით თვით არ დაეუფლებოდა და შემდეგ რაჭის დასარბევად დაძრულ მეფეს ზურგში ხანჯალს არ ჩასცემდა?

სოლომონმა პირზე გულუხვი მასპინძლის ღიმილი აიფარა და ცოლისძმას მიმართა:

— დამდეთ პატივი, ბატონო კაცია და, რაკი ასე გაისარჯეთ თქვენც და ბატონი ხუტუნიაც თქვენი ბრწყინვალე დიდებულებით, შედით ჩემს მდგომარეობაში: ნუ დამძრახავთ და ახლა რომ მარტო გტოვებთ, პურმავობაში ნუ ჩამომართმევთ. თავად ხედავთ: ცალი ხელით ვკიდივარ. თუ იღბალმა არ მიმტყუნა, ორ-სამ დღეში ისევ აქ გავჩნდები. მოეწყეთ სასახლეში, დაბინავდით, როგორც საკუთარ ჭერქვეშ. ამიერიდან, ბატონო კაცია, ერთი დედმამიშვილები ვართ. ჩვენი ქონება და სარჩო-საბადებელი ვინ გაჰყო! აქაურობა, თქვენი ბედნიერი თვალით ხედავთ, ისე ვერა გვაქვს მოწყობილი, როგორც ძვირფასი სტუმრების მაღალ ღირსებას ეკადრება, მაგრამ ხომ გსმენიათ ძველებური ანდაზა, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. სწორედ ასეა ჩვენი საქმე. სამეფოს გულისგული ქუთაისი და ჩვენი მამა-პაპის ნაქონი სასახლეები, მოგეხსენებათ, ურჯულოების ხელშია. სანამდი იმას არ დავიბრუნებთ ან ყველა ერთიანად არ გავწყდებით, ასე შერცხვენილი ვიქნებით შინაურთან და გარეულთან. რას გევედრებით ახლა: მოთუნდება თუ არა, ბატონო კაცია, თუ გიყვარდე, თქვენი დიდებულებით წაბრძანდით, ჩვენებიც იახლე და თქვენი და ჩემი სახელით ჩემს სასურველ თანამეცხედრეს და თქვენს სათაყვანებელ დას, დედოფალთ-დედოფალ მარიამს, შეეგებე. ღმერთი იყოს თქვენი შემწე! თქვენსავით ვერავინ მომხდის ბოდიშს და ვერავინ შემარიგებს დედოფალთან. სხვა დროს, მეორედ რომ მობრძანდებით და ჩემს მეგობარ ბატონ ხუტუნიასაც მაწვევთ თავისი სახელოვანი დევგმირებით, [illegible] და თქვენმა პატივისცემამ, [illegible] რა ვქნა, ყველ[illegible]

ლას წინაშე პატიება უნდა ვითხოვო და დაგტოვოთ. ჩემს მაგიერ მასპინძლობა ტახტის ერთგული ბურჯების — ქაიხოსრო აგიაშვილისა და ბერი ლორთქიფანიძისათვის მიმინდვია. ბატონი ლომკაცი და ბერი წულუკიძეც აგერ ბრძანდებიან. ბატონი გიორგი წულუკიძე, ბერის უფროსი ძმა, და მიქელაძეები, ღვთით, მალე გეახლებიან და იმსახურეთ, როგორც გნებოთ. ხმლის მოქნევა, თავად დარწმუნდით, არც ერთს არ ეშლება და ყანწის ტრიალშიც, უამისოდ სტუმრის მიღება არ იქნება, იმედია, ტოლს არავის დაუგდებენ. სახლთუხუცესი ჯარს ხორაგს არ მოაკლებს. ამასობაში მეც გავჩნდები. ხომ არაფერი გიჭირს, ლომკაც-ბატონო? — მეფე ზომაზე მეტად დაღრეჯილ და შეწუხებულ სახლთუხუცესს მიუბრუნდა.

ისედაც გამრუდებული ყბა, რის გამოც რაჭის ერისთავი როსტომი ზურგსუკან სახალხოდ დასცინოდა, ლომკაც ჯაფარიძეს მთლად მოექცა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ მრავალრიცხოვანი ჯარის და ცხენების გამოსაკვები სანოვაგისა და თივა-ქერის ნაკლებობით საშინელ გასაჭირში ჩავარდნილს გულახდილი პასუხის გაცემა უჭირდა. მას კარგად მოეხსენებოდა, რომ ახლა წუწუნისა და თავის მართლების დრო არ იყო. ქვა უნდა გაეხეთქა, წელებზე ფეხი დაედგა და ყველა სახსარი უკლებლივ გაეჩინა.

— ღომი და ცერცვი გვაქვს, ბატონო, — გაუეჟილად მიუგო მან მეფეს, — ღვინოს, თევზსა და ლობიოს, თუ თქვენი ღვთაებრივი ნებართვა იქნება, ყოველდღე შემოვიტან...

სოლომონი მიხვდა, ერთგულ ყმას რაც უჭირდა, ანდა „ღვთაებრივ ნებართვას“ რისთვისაც ითხოვდა, მაგრამ წინდახედულად წაუყრუა, ვითომ ეს თხოვნა არც კი გაეგონოს და ნიკოლოზა ნაფიჩვაძის ხელით მოწოდებული ჯუბა ბეჭებზე წამოისხა. წაყრუება ახლა მეფის ხსნის ერთადერთი გზა იყო.

დადიანის ძე კაციამ ნაბიჯი წინ წარსდგა, გვირგვინოსან სიძეს კრძალვით მიეახლა, აღუთქვა, ყველაფერს ისე მოვიმოქმედებ, როგორც შენ დამიბარეო და, ძველი კოლხური ჩვეულებისამებრ, მარჯვენა მხარზე ეამბორა. დიდებულებმა მუხლი მოიდრიკეს და თავი დახარეს. სოლომონმა პირჯვარი გადაიწერა და კარვიდან პირველი გავიდა.

დილას უკვე ყველამ იცოდა, რომ მეფემ, მართალია, ბედნიერი სულთნის მორჩილების წიგნები კი დაუგზავნა იმერეთის უმტკიცეს ციხეებში გამაგრებულ ოსმალო ფაშებს, მაგრამ სულ მოკლე ხანში ის ქუთაისზე გალაშქრებას და ქვეყნის სატახტო ქალაქის ურჯულოთა ხელიდან გამოგლეჯას აპირებდა.

## თავი მეცხრამეტე

განსაცდელის შავ დღეებში დაძმობილებული გოდოგნელი ათისთავი ასკია აბესაძე და კვახჭირელი ჰოგანო მახარობელა გუნცაძე ვარციხის სასახლის გალავნიდან რიონგაღმა სოფლებისაკენ მიმავალ მხედართა მოზრდილ რაზმს გამოჰყვნენ. სახლთუხუცესმა ლომკაც ჯაფარიძემ რაზმი ტყვე მარგველებისაგან შეადგინა, სანდო კაცები უწინამძღვრა და, როგორც კი კარის მწირველმა მღვდელმა სვიმონ წერეთელმა ისინი სოლომონ მეფის ერთგულებაზე დააფიცა, რიონგაღმა სოფლებში ღვინის, საკლავის და ღომის მოსაგროვებლად გაგზავნა. ერთი ასეთივე რაზმი, რომელიც უმთავრესად ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცებისაგან“ იყო შემდგარი, არგვეთსა და ოკრიბას ეწვია. ვაითუ სხვებმა უარესი დღე დაგვაყარონო, მიქელაძეებმა თვით მიაშურეს თავიანთ საბატონო სოფლებს საჭილაოში, სადაც ისინი ბა-

ტონიშვილ მამუკას საუფლისწულო მამულებს ესაზღვრებოდნენ, და სახლთუხუცესს ასი სული დასაკლავი ხარ-ძროხა, ამდენივე ცხვარი და ორმოცდაათი საპალნე ქერი, ფეტვი და ღომი აღუთქვეს.

ნუზლის შემკრები რაზმების თარეშში ურჯულო მტრის შემოსევას დიდად არაფრად ჩამოუვარდებოდა. თუ ნებით ვერაფერს გახდებოდნენ, რაზმელები ტყე-ტყე და მინდორ-მინდორ იჭერდნენ ცხენებს და სხვა პირუტყვს, საბატონო, სახასო თუ საეკლესიო გლეხებს შინ ძალად უხტებოდნენ, თვით მწყალობელი მეფის სახელით სახლს, ბეღელს, საბძელს და ბოსელს უცარიელებდნენ, ქვევრებიდან შავი დღისათვის გადანახულ უკანასკნელ წვეთ ღვინოს ხაპავდნენ და, მართალია, ყოველივე ნარბევი ლაშქრის გამოსაკვებად მიჰქონდათ, ხელმოუთბობელი არც თვითონ რჩებოდნენ.

ნუზლის შემკრები რაზმების დაგზავნა დღეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ სასახლეში მობრუნებულ მეფის კაცებს სამეფო ბეღლები და მარანი სულ ერთიანად დაცარიელებული დაუხვდათ. გადასახადების ამკრები გზირები და იასაულები ხალხის დანაშაულებრივ გაჯიქებას იმიზეზებდნენ, არ გვეპუებიან, არამცთუ საუდიერო-სათათროს, თვით საურის გადახდაზედაც უარს აცხადებენ, ხანდახან იარაღითაც გვიძალიანდებიანო, მაგრამ ვერავითარი მომიზეზება, ტყუილი თუ მართალი, დღეს ამ საქმეს ვერ უშველიდა. ლაშქრისათვის საჭირო სანოვაგე და პირუტყვის საკვები საიდანმე უნდა გაეჩინათ და ჯარის დაბანაკების ადგილებში მიეზიდათ. თუ ასე არ მოიქცეოდნენ, ჯარი თვით შეესეოდა ახლომახლო სოფლებს და მოსისხლე მტრებზე არანაკლებ გაატიალებდა. ღამღამობით უკვე დაძვრებოდნენ თითო-ოროლა ხელმრუდნი და წვრილ-წვრილი ქურდობითა და ძალადობით პირს ირცხვენდნენ. ნაბრძანები იყო, მოსახლეობას შეძლებისდაკვალად მოეთმინა და მეფის შემწე დადიანისა და შერვაშიძის გულის მოსაგებად, თუ ნამეტანს არ იზამდნენ, წვრილმანი ქურდობის გამო ხელი არ გამოელო. მაგრამ როდემდე? როდემდე შეიძლებოდა აქეთ გაჭირვებული გლეხკაცის გაჩერება, ხოლო იქით თვეობით ოჯახსა და თავის მშობლიურ სოფელ-კუთხეს მოწყვეტილი მოლაშქრის დაოკება?

ნუზლის შემგროვებელ რაზმებს ძნელი მოვალეობა დააწვა. ახლა სადავიდარაბო ის გახდა, თვით მათ არ დაეწყოთ მძარცველობა და ისედაც შევიწროებული და გაუთავებელი დიდი და მცირე ომებით დაუძლურებული ქვეყანა კიდევ უფრო არ შეევიწროებინათ.

ლომკაც ჯაფარიძემ მეფის რწმუნებულება მოიშველია და მეფისავე სახელით ბრძანა, მძარცველებს, განურჩევლად ყველას, გლეხს, აზნაურს თუ თავადს, ვინც დაკისრებული საზოგადო საქმით ისარგებლებს და ქვეყნის გაჭირვებაში საკუთარ გამოსარჩენს დაუტრიალდება, ღვთისა და ერის წინაშე ულმობლად დავსჯითო. ამის მქადაგებელ სახლთუხუცესს თვით არა სჯეროდა თავისი სიტყვების ძალა: როდის მომხდარა, კაცს ხელი თაფლში სდებოდეს და თითი არ გაელოკოს!

კიდევ რამდენ ხანს გააჩერებდნენ აფხაზ-ოდიშარ-იმერთა გაერთიანებულ ლაშქარს, რომელიც თითქმის განახევრდა, მაგრამ რამდენიმე ათას კაცს, ცხენოსანს და ქვეითს, მაინც ითვლიდა, ვარციხისა და მთლიანად აჯამეთის ტყის მიდამოებში? რა უახლოესი განზრახვით სულდგმულობდა მეფე სოლომონი და რისთვის სჭირდებოდა შიმშილისაგან გაძვალტყავებული ქვეყნისათვის ასე ვაივაგლახით შესანახი ლაშქრის აქ ყოფნა? ნუთუ ის მართლა აპირებდა ქუთაისის მიუდგომელი ციხისათვის ალყის შემორტყმას და ოდესღაც, ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს, აგარიანთა მახვილითა და შინაური გამცემლობით ქვეყნისაგან მოწყვეტილი

დედაქალაქის დაბრუნებას? ვინ იქნებოდა იმაზე ბედნიერი, ვინც ამ დღეს მოესწრებოდა, მაგრამ შესძლებდა კი ახალგაზრდა მეფე მტრის დამარცხებას? გაუმკლავდებოდა ურიცხვ ურჯულოს, მეციხოვნეთა მოსაშველებლად ახალციხიდან და ქვეყნის ყველა კუთხიდან რომ მოვიდოდა?

მხოლოდ თითო-ოროლა საქმეში ჩახედულ კაცს, ისიც დიდგვაროვანთ, მეფის უახლოესი გარემოცვიდან, ესმოდა სოლომონ მეფის გასაჭირი და გამოუვალი მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც შეთქმულები დაამარცხა და მამისეულ ტახტზე კვლავ ავიდა, ვიდრე ქვეყანას აგარიანთა მარბიელი ლაშქარი არ შემოსეოდა, მეფეს ეს ჯარი, მით უმეტეს ომში თანამდგომი აფხაზ-ოდიშარნი, აღარაფრად ესაჭიროებოდა. ის უკვე მზად იყო, ყველა უკლებლივ შინ გაეშვა და თითოეული მოლაშქრისათვის მცირედი საბოძვარიც გაემეტებინა. დადიანის ძე ოტია არ ჩქარობდა, იმერეთის ფარგლებიდან გასვლას რატომღაც აჭიანურებდა, მეფეს კი არ შეეძლო მოყვარე დაეთხოვა, მანამდე უნდა ემასპინძლა, სანამ ის თვით არ ინებებდა წაბრძანებას.

აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე გრძნობდა, კაციას გულში რაღაც მზაკვრული უდევსო. მთელი არსებით კიცხავდა ამის გამო, თუმცა კაციასიც ეკრძალებოდა და საყვედურის თქმას ვერ უბედავდა. ალალმართალი, პირდაპირი და ავკარგიანი მეფე ხუტუნიამ ღვიძლ ძმასავით შეიყვარა და უმალ თავს დასთმობდა მოსაკვეთად, ვიდრე სოლომონს უღალატებდა. ღმერთი რომ გამწყრალიყო და კაციას მართლა რაღაც უკუღმართი ეფიქრა, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, სათაყვანებელ მეფისათვის მიეკერძა, თუ ხარბი და დაუნდობელი სალიპარტიანოს ბატონის მხარდამხარ ეომა?

ასკიტ აბესაძე, მახარობელა გუნცა-

ძე და ოციოდე სხვა, მათსავით ღარიბღატაკი მარგველი მოლაშქრე, მხედართა რაზმს ქვეითად მიჰყვებოდა. ქვეითებმა კარგა ხანს ნაბიჯით იარეს, მერე კი ძუნძულზე გადავიდნენ, ცდილობდნენ, რაზმს ტყის პირამდე მაინც არ ჩამოვრჩეთო. ტყის იქით, რიონამდე, ადგილ-ადგილ წვრილი ბუჩქნარით დაფარული ტრიალი მინდვრები იყო და დაწინაურებულ ცხენოსნებს თვალთაგან მაინც არ დაკარგავდნენ.

ამ ცდასა და ფაცაფუცში მახარობელას ქალამნის თასმა გაუწყდა. გზის განგრძობა უკვე შეუძლებელი იყო. ან ფეხზე უნდა გაეხადა და ფეხშიშველს ევლო, ანდა დიდი ხნის დაულბობელი, თოვლში ნაგდები ფიცარივით გაშეშებული ქალამანი რითიმე ამოეკრა, პირველი გაჩერების ადგილამდე რომ მაინც მიჰყოლოდა.

— რას შვრები, ბიჭო, მახარობელა, რას ჯახირობ მანდ? — მოაძახა წინიდან აბესაძემ, რომელმაც ყველაზე უწინ შენიშნა, მახარობელა რომ ფეხს ითრევდა და ულრანი ტყის ამ მივარდნილ ადგილას თითქოს განზრახ უკან ჩამორჩენას აპირებდა.

გუნცაძე განზე გადგა, პასუხი არ გასცა, „ოხრად დასარჩენი“ ქალამანი ფეხიდან წაიძრო.

— ნუ მამაძაღლობ, ვიცი, რა მუცლის გვრემაც აგიტყდა, — დაუსისინა აბესაძემ და ძუნძულით მიმავალ ქვეითთა რაზმს ისიც ჩამორჩა. სხვებს ამათთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. ყველას გულისყური წინ, ცხენოსნებისაკენ იყო მიპყრობილი. ასკია აბესაძე ძმაკაცს თავზე წამოადგა და რა დაინახა, მარცხი მოსვლიაო, უკმაყოფილოდ აბუზღუნდა: — შე პირძაღლო, მაგისთვინ გამაჩერე? შენი ამბავი რომ ვიცი, ძალით გაწყვეტდი.

ბრაზისაგან კბილებდაკრეჭილმა მახარობელამ ქალამნის ყურს ქვემოთ გახვრეტილ ყუნწში გამხმარი თასმის ნაგლეჯი ხელისკანკალით გააძვრინა; მსწრაფლ ამოქაჩა, ქალამანი ფეხზე

ამოისხიპა და თავი მხოლოდ ამის შემდეგ ასწია.

— ვინ გაგაჩერა? მომწყდი თავიდან, ასკია, რამდენჯერ უნდა დაგითხოვო? ვინ შეგეხვეწა, შენი ჭირიმე, გაჩერდიო? იქნება რას ვაკეთებ!

— ახლა შენ დეეწევი, ბიჭო, იმათ?

— არცთუ სახუმაროდ შეწუხდა ასკია. — სასვენებელა ქვას იქნებიან გაცილებული.

მახარობელამ ფეხებზე დაიკიდა ძმაკაცის წუხილი და დიდი ხნის გაუპარსავი ჯაგრით შემოსილ სახეზე დამცინავი ღიმილი აღებეჭდა.

— ვერ დაეწევი? ჭირი მომჭამონ და სატკივარი! თუ ასე ძალიან გინდოდა, გაგედგა ფეხი, მე რას მომჩერებიხარ, აქანა დათვის ბელებს კი არ ვათამაშებ! დაყვლიპე ახლა თვალები, მიყურე, — მახარობელა დაიჯღანა, აბესაძის გამოსაჯავრებლად თვალები გადმოკარკლა. — შენი მუცლის გატრეტამ, ერთბაშად გული არ გადმომიტრიალო!

ასკიამ შეუტია:

— თავს ნუ იგდებ, მახარობელა, თქვი, რა გადაწყვიტე!

— რას მაშინებ, თუ იცი? წერამ აგიტანა დღეს? შენი შესანიშნებელი კბილები რამდენი ხანია მოვიცვალე!

— ნუ მაქადაგებ, ბიჭო, ამ გზაშარაზე, ძალიან გაგვასწრებენ ის ოჯახქორები და ველარ დავეწევით. გინდა, ლეკების წერა გახდე. ყელში ბაწარი წაგიჭირონ და ყულევში გიკრან თავი?

— იმისთანას წოვუჭერ, — მახარობელამ თოფზე დაიხედა. — სულ ასე იძახოდნენ, ვაიმე, დედა, ეს რა ვნახეთო. წადი შენ, მე რას მეპატიჟები?

— შენ აღარ მოდიხარ თუ?

— მომწყდი თავიდან, ასკია, გითხარი ერთხელ? რატომ არ გესმის კაცის სიტყვა? სადაც მე, შენც უსიკვდილოდ იქ უნდა იქნე? წადი, გეუბნები, წადი.

— ფეხსაც არ გადავდგამ, ზრავალზლის წმიდა გიორგის მადლმა, სანამდი არ გატყდები, რას აპირობ!

— მე იქნება კლდეზე გადავარდნა მინდა, შენც ვარდები?

— აბა, რავა გგონია, მახარობელა, ამხელა კაცმა მაგდენი არ იცი? თუ ძმობა არი, ძმობა უნდა იყოს!

— ბიჭოს, ამას უყურე, ახლა ძმობას არ მიმტკიცებს? უნდა გაგიგდო ფეხქვეშ და... შენ არ იყავი, ბიჭო, ბრაზიანი ძაღლივით რომ გამიმეტე მოსაკლავად?

— როდის? ძაღლი მიგაკვდა მაგ ამყრალებულ სულში, მახარობელა, — ასკიამ შეატყო, ძმაკაცი ახლაც ეშმაკობდა, უსაგნო ლაყბობაში დრო გაჰყავდა და პასუხის გაცემას განზრახ აჭიანურებდა. — თქვი, თორემ, მკვდარი დედის სულს ვფიცავარ, გაგიყარე ეს ხანჯალი კისერში!

— გაწიე იქით! — მახარობელა ზიზღით დაიღრიჯა და მოღერებული ხანჯალი ფრთხილად მოიშორა. — ნუ ასუსურებ მაგ ტიელს, შენ ჭკუა კი არ დაგიშლის! — მერე უცებ სმენად გადაიქცა. — ჩუ, ბიჭო, მოდის ვიღაცა!

ამ სიტყვებზე, როგორც დანაშაულზე წასწრებულებმა, ასკიამ და მახარობელამ ერთმანეთს შეხედეს, წუთით ყური მიუგდეს ცხენების თქარათქურს, თანდათან რომ ახლოვდებოდა, მერე დაბარებულებივით მიტრიალდნენ და ერთი გზის გაღაღმა, ხოლო მეორე გზის გადმოღმა ასწლოვან მუხებს ამოეფარნენ.

არ გაუვლია წუთსაც, ქუთაისის მხრიდან, საითაც ნუზლის მოსაგროვებლად რიონგაღმა სოფლებში მიმავალი რაზმი თვალს მიეფარა, ერთბაშად სამი სალაშქროდ აღჭურვილი ცხენოსანი გამოჩნდა. ამათ სხვა ცხენოსნების მთელი გუნდი მოსდევდა კვალდაკვალ.

გზის იქითა და აქეთა მხარეს დამალულმა მახარობელამ და ასკიამ მათ შორის რაჭის ერისთავ როსტომის ძმა, უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოსი ბესარიონი იცნეს, უმალ დაიჩოქეს და გამალებულ პირჯვრის წერას მოჰყვნენ, თან ძლივს გასაგონად სახელდახელოდ შეთხზულ ლოცვას ბუტბუტებდნენ.

ბესარიონს უმაღლეს საეკლესიო და საერო პირთა ბრწყინვალე კრებული ახლდა. ოქრომკედით ნაქარგმა ტანისამოსმა, იაგუნდით, ზურმუხტითა და საფირონის ქვებით მოოჭვილმა მიტრებმა, ჯვრებმა, იარაღ-საჭურველმა და ცხენების ალკაზმულობამ განცვიფრებისაგან ენაჩავარდნილ ასკიასა და მახარობელას თავზარი დასცა. ერთიცა და მეორეც კანკალმა აიტანა. ღმერთო, დიდებულო, რა სიმდიდრეა! რა ხელმა გამოსჭედა, შეკერა და გამოიყვანა ეს ყველაფერი, რა ღვთის განგებამ და საswaულმა გააჩინა ქვეყნად ამდენი ფერი, მათებრ საწყალ კაცს სიზმარშიაც რომ არ მოელანდება, ამდენი ოქრო, ვერცხლი და თვალი პატიოსანი!..

შეიარაღებულ მხედართა და სადღესასწაულოდ შემოსილ სამღვდლო პირთა ეს დიდებული ამალა სუფთა სისხლის თეთრ არაბულ ცხენზე გვერდელად შემომჯდარ და სახეზე თეთრპირბადეჩამოშვებულ ვიღაც დიდებულ მანდილოსანს მოაცილებდა და, რალა თქმა უნდა, ვარციხის სასახლეში მიდიოდა.

— მარიამ დედოფალი! — ერთსა და იმავე დროს წამოიძახე ასკია აბესაძემ და მახარობელა გუნცაძემ, როგორც კი ცხენების თქარათქური თანდათან მიწყდა და მათ მუხის დიდრონდიდრონი ტოტებით დაჩრდილულ საურმე გზაზე გამოსვლა გაბედეს. ამ ორად ორი მოჯადოებული სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, თითქოს ენა ჩავარდნიათო, კარგა ხანს ხმაგაკმენდილი იდგნენ და დაცარიელებულ გზას გაჰყურებდნენ, მერე კი ისევ მახარობელა გუნცაძემ გაბედა მყუდროების დარღვევა და აბესაძეს მიმართა:

— მართლა დედოფალი იყო, ბიჭო, ასკია, თუ მოგვეჩვენა?

— მე რა ვიცი, — უნდილად უპასუხა აბესაძემ, რომელსაც ყურში ჯერ ისევ ჭენებით გავლილი ცხენების თქარათქური ედგა. — შენც აქანა იყავი და მეც!

— ვერ გამოვშავდით მერე გზაზე, ვერ დევენახვეთ ჩვენ საპყრები და გელათის მათხოვრები? ამისთანა დროს, გზაზე რომ შემოეყრები, გამიგონია, ბატონებმა გაჩერება, ამბის კითხვა და დასაჩუქრება იციან.

— მე მასწავლი. შენ, რაც იციან! — ასკია აბესაძემ ეს კიდევ უფრო უნდილად ჩაილაპარაკა და იარაღი შეისწორა, წასასვლელად მოემზადა. — სულ მაგას ფიქრობენ ეგ მამაცხონებულები, ჩვენს მახარობელა გუნცაძეს რა ვაჩუქოთ, რა უფრო გეეხარდებაო. აბა, წავედით!

— შენ კიდევ არ ისწავლე ჭკუა? ხომ არ გინდა, ახლავე ქამრით შეგკოჭო და შენი თავი სოლომონ მეფეს მიგვგვაროო? შენ არ იყავი, ბიჭო, იმ სულძაღლი ლევანის სახელით რომ გვაშინებდი? სულ შენი დრო უნდა იყოს? ახლა ჩვენც დაგვაცალე ცოტა!

ასკიას დამცინავად გაეღიმა.

— შენ გგონია, შენი დრო მოვიდა?

— არ მოვიდა თუ?

— იწამე ღმერთი, ზედმეტს ნუღარ მალაპარაკებ. ისედაც ძალიან ჩამოვრჩით. გამოადგი ფეხი!

მახარობელამ თოფი წინ დაიბიჯგა და ტუჩზე ნიდაყვით ჩამოეყრდნო.

— ახლა მაინც ველარ მივეწევით, რიონზე იქნებიან გასული.

— არ გდომია წამოსვლა და ეგ არის. თუ აგრე იყო, შე დალოცვილო, წეღანავე ვერ მითხარი?

— გითხარი, მარა როდის დამიჯერე? სად მიხვალ ახლა, მართლა დაწევას აპირობ?

— რა ვქნა აბა, ვერ გეიგონე მაგ დასამიწებელი ყურებით, რა თქვა წეღან ლომკაცმა? ოთხში ამოგვილებენ. ეჭვი არ შეგეპაროს. მერე იძახე, ჩემი დრო დადგაო!

გუნებაწამხდარმა ასკია აბესაძემ მხრები ჩამოყარა, თოფი, აქამდე რომ ვენახის ჭიგოსავით იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ბეჭზე გაიდო და გზას ლასლასით გაუყვა. ზედვე ეტყობოდა, შორს რომ არ წავიდოდა, რადგან საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, სად წა-

სულიყო, ნუზლის მოსაგროვებლად გაგზავნილ რაზმს დასდევნებოდა, თუ პირი სულ სხვა მხარეს ექნა. ცოტა რომ გაიარა, მობრუნდა და ხავსიან ქვაზე არხეინად ჩამომჯდარ მახარობელას შეცვლილი ხმით დაუძახა:

— არ მოეთრევი, ბიჭო?

მახარობელა მიხვდა, ასკიას გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა, ჩაიცინა და ძმაკაცს ხელი დაუქნია:

— მოდი, მოდი აქ, მოვილაპარაკოთ.

ასკია ხავსს მოებღაუჭა, ღირსების შენარჩუნება სცადა:

— რა მაქვს, კაცო, შენთან მოსალაპარაკებელი!

— არა, ხომ? — მახარობელამ დამცინავად მოწკურა თვალები. — წადი აბა, ვინ მამაძაღლი შეგეხვეწა!

— ოჯახში მივდივარ მე, — თავისთვისაც მოულოდნელად გადაწყვიტა უცებ ასკიამ. — რაც უნდათ, ის მიქნან. ღამეს გავათევ და...

მახარობელამ ნერწყვი გადაყლაპა, მსუნაგად გაიღრიჯა:

— ქორფა ცოლი მოგენატრა?

ასკია მზეზე გაფიცხებული თივის ბულულივით აენთო, თოფი ძირს ჩამოიღო, ორივე ხელი მოუჭირა და კბილები გააღრჭიალა.

— შენი მოკლე ჭკუის საქმე არ არის ეგ! მეორედ არ თქვა, თორემ...

მახარობელა მიხვდა, დაუკრეფავში გადავედიო, პირკატა ეცა, მაგრამ მოწიფულ ვაჟკაცს „ქორფა ცოლის" უბრალო ხსენებამაც კი საღერღელი აუშალა და იქნებ კიდევ რაიმე საწყენი წამოსცდენოდა, სწორედ ამ დროს ცხენების ხელახალი თქარათქური რომ არ გაეგონათ. თვალის დახამხამებაში გზიდან გადახტნენ და ხეებს ამოეფარნენ.

შეიარაღებული ჩოხიანი მხედრები, ოცი თუ ოცდაათი კაცი, ამჯერადაც ქუთაისის მხრიდან მოდიოდნენ და ცხენებს თავგამეტებით მოაჭენებდნენ. ვინ იყვნენ ესენი, დედოფალ მარიამის ბრწყინვალე ამალის ერთი ნაწილი, რომელიც მეფის თანამეცხედრეს სადღაც გზაში ჩამორჩა, თუ სხვები?

ამათაც რომ გაიარეს და მშვიდობით გადარჩენილი ძმაკაცები სამალავიდან გამოვიდნენ, სამხრობა უკვე მოტანებული იყო, საშუადღეოდან გადახრილი ღვინობისთვის მცხუნვარე მზე ხშირი ფოთლებით შემოსილ ტყეში თვალისმომჭრელი შუქის ალმაცერ სვეტებს აციმციმებდა.

— ის ოჯახკეტიანები, — მოშივებულმა მახარობელამ წინ წასული რაზმელები მოიგონა. — ვინ იცის, ახლა პურმარილს უჯიან და ჰარიჰარალეს ამბობენ!..

— გამოუზოგავენ პურმარილს! — ასკიამ ამხანაგს სანახევროდ ზურგი შეაქცია, წელზე შებმული საპირისწამლე ოდნავ დააფერდა, ხელისგულზე წვრილად დაფხვნილი თოფისწამალი გადმოიყარა და თოფს ფალია გამოუცვალა. — სად არის, ვისა აქვს პურმარილი ამ შიმშილობის და მეორეთმოსვლის დროს! — თქვა შემდეგ, როცა შეყენებული ჩახმახი ფრთხილად დაუშვა და საპირისწამლესაც ტყავის თასმა მოუჭირა. — იმაზედაც მდლობა თქვი, თუ წამოსაღები იშოვნეს რამე, თავი მთელი გამოიტანეს და სასახლეში ხელცარიელი არ მობრუნდნენ. ვერაფერს იშოვნიან, მახარობელა, დეიმახსოვრე ჩემი სიტყვა. თუ რამე თავის ბარობაზე გააჩნდა, გლეხს ტყესა და ღრეში აქვს გაზიდული, გადამალული. კაცი კაცს აღარ ენდობა. ყველა გამგელებულია. ბეღელში ვინღა ინახავს, ბოშო, ფეტვსა და ღომს, ძველი დრო კი აღარ არის! ან სულ რაღა ჭირად გვინდა ე ბეღელ-საბძელ-მარანი, რომ ვაშენებთ და საზარდ წელს ვიწყვეტთ. წლითიწლობით შიგ ვერაფერი შეგაქვს კაცს. თუ ღმერთმა გადმოგვხედა და რამე მოვიყვანეთ, მარტვა ბატონის და სათათროს გასტუმრებას ვერ ოუდის!..

მახარობელამ ხელი ჩაიქნია, თოფი გადაიკიდა, წინ გააწიტა და ტყის ვიწრო ბილიკს, ასკიას აქამდე რომ არ შეუმჩნევია, გულდაგულ დაადგა.

— ლევანის გაძეძგილ ბეღლებში ვისი ნაოფლარია, თუ იცი? ჩვენი, შენი, ჩემი, იმისი! მე რას მემართლებიან, რა მომეძევება, რომ მივცე, მივიდნენ და ლევანის ბეღლები დაცალონ!

— იმ ბეღლებში ახლა ტარო სიმინდი და მარცვალი ღომი არ იქნება, მახარობელა. თუ გინდა, ხატზე დავიფიცებ. ჩვენი დამშეული ხალხის ამბავი არ იცი? რავარც კი ხმა მოვიდოდა, ბატონს ასე და ასე წასვლია საქმეო, კალიასავით მოედებოდნენ კარმიდამოს. თუ არ დაწვეს და დაანელეს იქაურობა, მაგას ჩივი შენ? გაჭირვებულ კაცს, თუ არ მოკალი, შენ გააჩერებ? — ასკია უცებ შეჩერდა და ისე იკითხა: — აქეთ საით მივდივართ, მახარობელა?

— წამო, წამო, მე ვიცი, სადაც მივდივართ. თეთრი გინდა?

— თეთრი? — ასკია გამოცოცხლდა. — იჰი, თეთრი ვის არ უნდა!

— ჰოდა, მომყევი მუნჯივით, ბევრ ლაპარაკს თავი დაანებე. ის შენი ქორფა ცოლი არსად გაგექცევა. დღეს მიხვალ, თუ ხვალ, სულ ერთია, ოღონდ სული მიიტანე და ჯიბე სავსე გქონდეს.

— ცოდვაში გამხვევ, მე ვიცი, მახარობელა. არ იტყვი მაინც, სად მიგყევარ?

— ცხენები მეგულება ყვირილას პირზე. სადარაჯოდ რომ ვიდექით, ორჯერ ჩამოვაკითხე და აქაურობა კარგად მოვათვალიერე.

— მასხარაობ თუ მართლა ამბობ?

— შენ, ასკია აბესაძე, თუ რა გქვია, — მახარობელამ მოიხედა და წამოზრდილ ჯაგარში დამალული თეთრი ეშვები გააელვა. — გორუალა ხომ არ გიჭამია?

— ვისი ცხენებია აბა, რა უნდა აქ ცხენებს?!

— ვისი? ჩავაბამ ღვლერჭს, შევჯდებით ზედ, წამოვაჩიქჩიქებ და ჩემი იქნება! მაინცდამაინც ლეკმა უნდა წეიყვანოს? მე ვიხეირო, რა იქნება!

— იმე, პატრონმა რომ გაგიგოს, ბიჭო, სოფელ-კუთხე შეგიყაროს და დიდი და პატარა გამოგეკიდოს, არიქა, ქურდიო, თავი ნუ მოგიკვდება, სად მიდიხარ მერე?

— ვაი შენი გაჩენის დღეს, ასკია, თუ მართლა ვერ ხვდები, სად უნდა წევიდე! ცხენის მუშტარი დეილია? შენ გასაყიდი მამეცი რამე და მოგიყვდეს მახარობელა, თუ ხელად ვერ გაგიყიდოს!

— საქურდლად, სულის წასაწყმედად მიგყევარ, ბიჭო? ფუ, შეგირცხვა ნამუსი! არა, მახარობელა, ქურდი არც მე ვარ და არც მამა-პაპა მყოლია ქურდი. ეს იცოდე! წადი შენ და ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— მერე? ადგები და დამაბეზღებ? ვიცი, რა შვილიც ბრძანდები. არ გეინძრე!

ამ სიტყვებზე მახარობელა ელვის სისწრაფით შემოტრიალდა და აბესაძეს, რომელიც ძმაკაცისაგან ამას არ მოელოდა და თავის დასაცავად ხელის განძრევაც ვერ მოასწრო, თოფის ტუჩი გულზე მიაბჯინა.

— არ გეინძრე, თუ არა, გაგათავე, იცოდე!

— შეგირცხვა ნამუსი, მახარობელა! რავა გგონია, შე უბედურო, გამჩენი ღმერთი, დეილოცა იმისი მადლი, ნაარმალს შეგარჩენს?

— მე ვიცოდე და ღმერთმა, შენ რა გინდა, ვისი ტიკი-ტომარა ხარ!

— გაწიე, ბიჭო, იქით თოფი, არ გაგივარდეს, ჩემი ცოლ-შვილის საცოდაობაში არ ჩადგე.

— თუ არა ვერ იშოვნის შენ მაგიერს შენი ქორფა ცოლი! არ გეინძრე, დაგახალე ტყვია, მე შენ ის ხომ არ გგონივარ!

ასკიას ალმური მოედო სახეზე, ციებიანივით გააკანკალა, ძლივს ამოღერღა:

— დრო მოვა და განანებ, მახარობელა გუნცაძე, მაგ თავის აგდებას, ახლა კი, რა გაეწყობა, იყოს ისე, რავარც შენ გინდა და ღმერთსაც შენ გეეცი პასუხი და კაცსაც!

მახარობელას სიხარბისაგან აელვებული თვალები გაუბრწყინდა.

— აგრე! თანახმა ხარ, ხომ? დეიჩოქე ახლავე და შემომფიცე! გგონია, ადვილად გენდობი? დეიჩოქე ჰო, ჩქარა!

ასკიამ თვალი თვალში გაუყარა, ერთხანს დასაჭიდებლად მომზადებული ხარივით უყურა, ვარაუდობდა, ლულაზე რომ ხელი ავუკრა და ხელდახელ დავეტაკო, მომასწრებს თუ ვერა სროლასო, მაგრამ თავისთვის გამოსადეგი ვერაფერი ივარაუდა და მუხლი უხალისოდ მოიყარა.

— ახლა მაინც მითხარი, რას აპირობ? — საწყლად ჰკითხა მან სულთამხუთავ ამხანაგს, როცა მის ერთგულებაზე დაიფიცა, მიწაც შეჭამა და ზეზე წამოდგომის ნებართვა მიიღო. მახარობელა ფიცის მიღების შემდეგაც ეჭვით უცქეროდა, თვალს არ აშორებდა, არც თოფი დაუშვია, მსხვერპლს ქორივით ზვერავდა.

— არ იტყვი? — გაუმეორა კითხვა ასკია აბესაძემ.

— მე და შენ ლევან აბაშიძე უნდა დევიჭიროთ! — ერთბაშად მიახალა მახარობელამ და მტაცებლურ თვალებში ცეცხლი აუგიზგიზდა. — მეფე ხუთას ყურუშს იძლევა. ამხელა ფული ჩემ მამა-პაპას თვალით არ უნახავს. ხომ გავქეთდი სამიდღემჩიოდ!

ასკია გაშტერდა. ყველაფერს იფიქრებდა, ამას კი ვერა. მახარობელას, რომელიც თავისი უკეთური განზრახით ისე იყო შეპყრობილი, დაპირებული ხუთასი ყურუში უკვე თავისი ეგონა, ესლა ჰკითხა:

— შენს ღმერთს რაღას ეუბნები, ბიჭო, ბატონის ღალატი ვის გოუგონია!

— მიჭირს მე, ასკია, ღარიბი კაცი ვარ, არაფერი არ მაბადია. ბატონს კი არა, შენ დაგიჭერ აგერ და თათარში გაგყიდი, მეფის რომ არ მეშინოდეს და ვიცოდე, სარფიან ფასში გეიყიდები!

— დამიჭირე მერე, შე ყურუმსალო, რაღას უცდი, დაჭერილი არა გყავარ?

— ლათაიებს თავი დაანებე და ჭკუაზე მოდი! გესმის? ლევან აბაშიძე უნდა გამაკოჭინო. უსიკვდილოდ! ფუ-ფუ-ფუ, გვაგინებს ვინცხა, მე იმისი პირშავი ცოლი და დედა! მეფეს თავათ მივგვრი, შენ სულ ნუ გამოჩნდები. რა გინდა, ოღონდ ლევანის კვალი მიმაგნებინე და დანარჩენი მე ვიცი!..

## თავი მეოცე

ტყიდან რომ გავიდნენ, ჭალას ხან აქედან მოუარეს, ხან იქიდან. იმ ადგილას, სადაც მახარობელას საძოვარზე უპატრონოდ გაშვებული დაბორკილი ცხენები ეგულებოდა, თაკარა მზისაგან გამომშრალი და რიყის ქვასავით გამაგრებული ჩონჩორიკი დაუხვდათ. ჩონჩორიკი აქაც ებნია, იქაც, თითქოსდა ცხენის დაგვიანებულ ქურდებს ვიღაც მაკვარანცხი ნიშნს უგებდა და ამათ ხელის მოცარვაზე ჩუმად, თავისთვის ქირქილებდა. ბოლოს, თხმელის გაბარდნილ ბუჩქნარში დაინახეს ერთი წითელი ცხენი და გულმა ორივეს რეჩხი უყო, მადლობა ღმერთს, ალმა-დალმა ხეტიალში ტყუილ-უბრალოდ არ დავაღამეთო. დაბარებულებივით იქით გაემართნენ, მაგრამ, თავისდა სამწუხაროდ, მალე დარწმუნდნენ, რომ სიხარული ნაადრევი იყო: ცხენს საპალნის გადასაკიდი კეხი ედგა და, რაღა თქმა უნდა, პატრონიც შორს არ ეყოლებოდა. იქნებ მაინც ეცადათ ბედი?

— აქ ახლოს, ისე მახსოვს, წისქვილია, — ფიქრიანად თქვა შიმშილისა და წყურვილისაგან ღონემიხდილმა ასკია აბესაძემ. — წისქვილში ხალხი იქნება, გამოგვექიდებიან, — და თითქოსდა თავისივე სიტყვების დასტურად წამოიძახა: — ე, წისქვილი, ბიჭო, მახარობელა!

გუნცაძე დააკვირდა წყლისპირს, საითაც ასკია იყურებოდა და თვალი მოჰკრა კარტნის, თხმელისა და ტირიფის ლორთქო ტოტებში გამომზირალ კრამიტის სახურავს. იქვე ბორბლებზე დაცემული წყლის გამაყრუებელი შხუილიც ისმოდა. კი, ეს ნამდვილად წისქვილი იყო. მისულიყვნენ ჯიქურ თუ აქ დაეცადთ? წისქვილში უთუოდ ხალხი იქნებოდა. აქ გამვლელ-გამომვლელ კაცს რა გამოლევს! თუ ფრთხილად და მოხერხებულად გამოიკითხავდი, ვინ იცის, ეგებ არგვეთის ბატონის საიდუმლო ადგილსამყოფელიც შეგეტყო!

ერთი-ორი წუთის შემდეგ კეხიან ცხენს წელში მოკაკვული ბერიკაცი მოუახლოვდა. მაშ, ცხენი ამისია? მაყვლოვანში დამალულმა მახარობელამ ჯავრიანად ამოიქშინა. ბერიკაცი გაჭირვებით გაიმართა, კეხზე ხურჯინივით ორ თვალად გაყოფილი მომცრო ტომარა გადაჰკიდა, მერე კი საკვირვლად თვინიერი ცხენის ალვირი იქვე ატუზულ თითისსიგრძე გოგოს მისცა, კალთა ჩამოიბერტყა და ხანხალით უკან, წისქვილისაკენ გაბრუნდა.

— ე, ბიჭო, — სიხარბისა და მოუთმენლობისაგან მახარობელას პირში ნერწყვი გაუშრა. — ღმერთიც ჩვენ გვეხმარება და ხატიც, მივყვეთ პატარაზე!

— რავა, მახარობელა, ბოვში უნდა მოიტაცო? — მაყვლის ბუჩქის უკან ჩაცუცქულმა ასკია აბესაძემ ეკლიანი ბარდი ძლივს მოიშორა და ზეზე წამოდგა. — შენ არ ამბობდი, ლევან აბაშიძე დამაჭერიეო?

— მოტაცება დოუძახე შენ! რა უჭირს ბოვშს. ერთი ორი დღე იტირებს და... გაჭირვებას რა ვუთხრა, თუ არა... ფქვილი — შენ, ცხენი — მე, გოგოც კაი ფასში გავა. დიმში ნაცნობი თათარი მყავს. ხელს დაგვიცლის. ჩვენ სულ არ გამოვჩნდებით...

ასკია აბესაძემ კიდევ რაღაც წაილუღლუღა ამის პასუხად, ვითომ მახარობელას შერცხვენას და ნამუსზე შეგდებას აპირებდა, მაგრამ თავისდა სამარცხვინოდ იგრძნო, რომ აუხსნელ სიხარბეს მისთვისაც დაერია ხელი და აქამდე წაღმა მდგომი ქვეყანა თავდაყირა დაეყენებინა.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, შემინდვე. — ნუ დამსჯი ამ შეცოდებისათვის, ჩემ მაგიერათ იმას აზღვევინე, ვინც გაგვაუბედურა და ლუკმის მაძებარი სხვის ცოდვაში გაგვხვია!..“

თხმელის ბუჩქნარში ჯერ ისევ ჩანდა წითელი ცხენი. ცხენი, ეტყობოდა, მშიერი იყო. ხან აქ წაჰკრავდა პირს ბალახზე, ხან იქ. გოგო ჩქარობდა, ალვირით ექაჩებოდა და წინიდან წკეპლას უღერებდა.

„იმ დალოცვილ ბერიკაცს ზედ მაინც შეეჯინა, — ინატრა ასკია აბესაძემ. — ან ცხენს დავაფეთებდი უცაბედად, ან... — მერე ბავშვს დააკვირდა და გული სიბრალულმა შეუტოკა. — სულ პაწია არ ყოფილა შავ დღეზე გაჩენილი? ღმერთი წამს ახლა, ვინც ეგ გეიმეტა და წისქვილში მარტვა გამოუშვა? რა ქნას, აბა, ში უნამუსო? — ჩაესმა შინაგანი ხმა და ასკიამ თავბრუსხვევა იგრძნო, ნაბიჯი აერია. — იქნება დავრდომილია უბედური მაგისი პატრონი, იქნება წყლის მიმწოდებელიც არავინ ყავს? ბალღი თუ დიდი უშიშრად გარეთ ველარ უნდა გამოვიდეს, სანამდი ქვეყანაზე შენისთანა წუწკი ქურდბაცაცების სინსილა არ გაწყდება?“

სიმწრის ოფლმა სახე ჩამოვლო და საყელოში წურწურით ჩაატანა. თოფმოღერებული მახარობელა, თითქოს სოფლის ამაწიოკებელ მტაცებელ ნადირს კვალში ჩასდგომიაო, ისევ წინ მიალაჯებდა. ასკია ალალბედზე მისდევდა უკან. გუნცაძე უცებ შედგა, ხელი ასწია, სიჩუმეს ყური მიუგდო.

— რა იყო, ბიჭო? — წამოსცდა ასკიას.

— დევიღუპეთ!

— რა მოგივიდა, დაგეკარგა რამე?

— მოდის ვინცხა!

ბუჩქნარს. შორს დარჩენილ წისქვილს, ნამეწყრალზე ალმა-ალმა მიმა-

ვალ ბილიკს, მწვანე სერს, ყოველივე ამას ზემოდან რომ გადმოჰყურებდა, ასკიამ თვალი მოატარა, გულში კი მაღალ ღმერთს მადლობას ეუბნებოდა, უკეთური საქმის ჩადენაში რომ რაღაც სასწაულით ხელი ეშლებოდათ.

— სად, ვინ, მოგელანდა?

ორივე გაინაბა. სულ მალე ცხადად გაიგონეს შოლტების ტყლაშუნი, ზანზალაკების დინჯი ჟღარუნი და ხმამაღალი შეძახილები, რომელიც მდინარის მხრიდან თანდათან უახლოვდებოდათ და უფრო და უფრო მკაფიო ხდებოდა.

ეს უცხო ხმები, ეტყობა, ბავშვმა ამათზე ადრე გაიგონა, ავად ენიშნა და დაფაცურდა — ცხენს, პაწაწინა პატრონთან შედარებით მთასავით ვეება და ტლანქი რომ ჩანდა, წკეპლა დაუშინა. ცხენმა იუკადრისა, თუმცა ტკივილს ალბათ სულ ვერ გრძნობდა, ოკრობოკროთ თავი ასწია და მჭექარე ხმით დაიჭიხვინა. ამან უთუოდ გადამთიელი თანამოძმეების მოახლოება იგრძნო და წუთის წინ წყნარი და თვინიერი ისერიგად გახალისდა და გაფიცხდა, ბავშვი კინაღამ დაითრია. ადვილი დასამორჩილებელი არც ის ჩანდა. წიოდა, ბაბუას თუ ვიღაც სხვას საშველად უხმობდა, აღვირი მთელი ძალღონით ჩაებღუჯა და გულამომჯდარი მუშტისტოლა ცრემლებს აღვარღვარებდა. სწორედ მოხერხებული წამი იყო: ვითომდა შემთხვევით ამგზავრებულ მახარობელას შეეძლო გოგოს მიხმარებოდა და ცხენიც და მისი პატრონიც მოხერხებულად დაეჭირა. უცხო მგზავრების უდროო გამოჩენამ, უფრო კი წისქვილის წინ ატეხილმა ქაქანმა, ყველა მისი წინასწარი განზრახვა ჩაშალა.

ბებერ მეწისქვილეს, წელან რომ ცხენს ხურჯინივით ორ თვალად გაყოფილი ტომარა აჰკიდა, ჩანდა, ყური სულ აქეთ ჰქონდა. ბავშვის განწირული ხმა რომ შემოესმა, უმალვე მინდორში გამოვარდა და თავადაც ყვირილი და ქაქანი ასტეხა. წისქვილიდან სხვებიც გამოცვივდნენ და ვინ ნაჯახით, ვინ ნიჩბით, ვინ თოხითა და ვინ ფიწლით შეიარაღებული აქეთ გამოიქცა.

— ნუ გეშინია, ბაბუა, ესმა, აქ ვარ, ბაბუა. ჰაიტ, თქვე გლახებო, შეგირცხვათ თავი! — ბერიკაცი შვილიშვილს ამხნევებდა, ამავე სიტყვებით ვითომ თავდამსხმელებსაც აშინებდა, აღმართ-აღმართ ხანხალით მორბოდა და ალმასივით ალესილ წალდს თავს ზემოთ იქნევდა. — ბოვშს მოერიეთ, ცეცხლზე წყალს მისხამთ, თქვე ურჯულოებო? არ შეშინდე, ბაბუა, ესმა, აქ ვარ მე, ერთს არ გოვუშვებ ცოცხალს! აპა, მანდ დამიცადე, მანდ დამხვდი, თუ ვაჟკაცი ხარ!

მახარობელას სუნთქვა შეუგუბდა. უკეთეს დღეში არც ასკია იყო. მიწას გაეკრნენ. ორივე თავბედს იწყევლიდა. ვიღაცას რომ აქეთ გამოეხედა და ესენი დაენახა — მტრისას — ყველაფერს მიხვდებოდნენ და გამხეცებული ხალხის ხელიდან თვით წმიდა გიორგიც ვეღარ გამოგიხსნიდა.

სალსალამათი ბალღი რომ დაინახა და კიდევაც დარწმუნდა, ღვთის განგებით მშვიდობა ყოფილაო, აქოშინებულმა ბერიკაცმა წალდი ქამარში გაირჭო, ხველებითა და კმაყოფილი ბუტბუტით ცხენს წინიდან მოუარა და აღვირში ხელი სტაცა. სხვებმა ნამტირალევი, ფუმფლასავით მსუბუქი გოგო აიტაცეს და კეხზე წამოასკუპეს. თანასოფლელებს შორის ამაყად ჩამდგარმა სუნთქვამოხშირებულმა მეწისქვილემ ერთხანს უყურა ჩინდრიკ-ჩინდრიკით მიმავალ პატარა მხედარს, მერე პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს წრფელი მადლობა შესწირა, ასე უფათერაკოდ რომ გადარჩნენ და ბუჩქნარში შემოფენილი უცხო მგზავრები ახლაღა შენიშნა. მათ დანახვას მოხუცებული მეწისქვილე არ გაუკვირვებია. წისქვილი საქარავნო გზაზე იდგა და გათენებიდან ღალამებამდე აქ, ვინ იცის, რამდენი ამისთანა ქარავანი აივლიდა და ჩაივლიდა! ბერიკაცზე მეტი ცნობისმოყვარეობა არც წისქვილის რიგის მომლოდინე გლეხებს გამოუჩენიათ. გზიდან

ბუზღუნ-ბუზღუნით გადავიდნენ და უპატრონოდ მიტოვებულ წისქვილსა და თავ-თავიანთ საფქვავს მიაშურეს.

მგზავრები აღმა მოჰყვებოდნენ თხმელის ბუჩქნარს. მათ წინ მძიმედ დასაპალნებული ცხენები მოუძღოდათ. მახარობელამ და ასკიამ, რაკი თავისიანების შიში უკვე აღარ ჰქონდათ, წამოიწიეს და მაყვლოვანისაკენ გახოხდნენ. უშნოდ მოლაყლაყე აქლემების ქარავანი, მდინარეში რომ გამოთქაფუნდა და ალმართს შემოუდგა, აქედან კარგად ჩანდა. ზანზალაკების დინჯი ჟღარუნი ახლა სულ ახლოს ისმოდა. ბარგზე თავჩალმიანი და ინით წვერშეღებილი გამრეკები ისხდნენ და ნება-ნება მოირწეოდნენ. სხვები, ვისაც ხმელ უნაგირზე ან უზარმაზარ მაფრაშებს შუა ჯდომა მოსწყენოდა, ჩამოქვეითებულიყო და შორეული მგზავრობით დაღლილ-დაქანცული დასაპალნებული ცხენებისა და აქლემების რიგში მოაბიჯებდა.

ქარავანს სამასიოდე მეთოფისაგან შემდგარი მცველი რაზმი ახლდა. მცველი რაზმი სამ ნაწილად იყო გაყოფილი და ქარავანს თავსა, ბოლოსა და შუაწელში მოჰქცეოდა. მცველები ან მეგრელები იყვნენ, ან აფხაზები. თავი ყველას ჟღალი ჩაბალახით წაეკრა, ჩოხაც ამოეკალთავებინა და ცხენს ისე მოხდენილად მოაგელვებდა, კაცი ცქერით ვერ გაძღებოდი.

ქარავანი გრძლად გაიჭიმა და გაცილებით დიდი და ხალხმრავალი გამოდგა, ვიდრე სიხარბისა და მოუთმენლობისაგან გულაკანკალებულ ასკიასა და მახარობელას თავდაპირველად ეგონათ. ეს აქლემები და აურაცხელი სიმდიდრით გაძეძგილი ჭრელჭრულა მაფრაშები რომ არა, მშვიდობიანი ვაჭრები და მათი მცველები იქნებ მტრის ლაშქრადაც მიეღოთ. მაგრამ ახლა, მადლობა ღმერთს, საშიში არაფერი იყო: ქარავანი თავისი გზით მიდიოდა, მილაყლაყებდა, მიიზლაზნებოდა და ზედაც არ უყურებდა, რა ხდებოდა ირგვლივ, სად რა იყო, აქ ვინ და რა ხალხი სახლობდა, ვის უჭირდა და ვის ულხინდა.

ასკია აბესაძემ თავი წამოსწია და მიწაზე განრთხმულ ამხანაგს ხმამაღალი ჩურჩულით ჰკითხა:

— რა ვქნათ, ბიჭო, მახარობელა?

გუნცაძემ არ დააყოვნა:

— ახლა რაც გინდა, ეს ქენი!

— რავა, მე მაბრალებ რამეს თუ? ადე ზეზე, აქანა ხომ არ დევიღამებთ! მოვილაპარაკოთ. წისქვილში შევსულიყავით. ერთ ლაფარა ღომს და ყლუპ ღვინოს ქრისტიანი არავინ დაგვამადლის. მარა რა პირით... ღმერთო, შეგვინდე, შენი სახელის ჭირიმე! — ასკიამ პირჯვარი გადაისახა და ისევ ამხანაგს მიუბრუნდა. — თოფებს ქე დავმალავდით სადმე. ჰა, მახარობელა! მაგათ რაღას უყურებ, შე მუდრეგო, ვერ ხედავ, რამხელა ჯარი მოყვება?

— ერთი ორმოცი მარჯვე ბიჭი მამცა ახლა... — ინატრა მახარობელამ და კბილები გააკრაჭუნა.

აბესაძე წამოჯდა, ძმაკაცს დამცინავად აჰხედ-დაჰხედა.

— რას იზამდი?

— ი, რას ვიზამდი? — გააგრძელა მახარობელამ. — დეინახავდი, რას ვიზამდი. შენ ის ხომ არ გგონივარ მე!

— ვიცი, რა შვილიც ბრძანდები, გიცნობ. ნეტავი ორივე ფეხი მამტეხოდა და შენ კი არ შემხვედროდი! მერე, შე წყეულო, მეფის არ გეშინია? ვინც უცხო ან აქაურ ვაჭარს გზაში თავს დაესხმის და გაძარცვავს, ჯერ მარჯვენა ხელს მოვჭრი ძირში და ძაღლებს გადოვუგდებ, მერე მარჯვენა თვალის ჩინს დოვუვსებ და სახლ-კარს გადოვუბუგავო — ეს არ გაგიგონია?

— იქავე იყოს! ნუ დამჩხავი თავზე, თუ ღმერთი გწამს! სანამდი მეფე აქ მოვიდოდეს, მე ცხრა მთას გადევივლი!

— შენ რომ ცხენის პატრონი ხარ მაინც, ვინ დაგეწევა! — ასკია აბესაძემ ახლა უკვე ხმამაღლა გაიცინა, მიწაზე გაშხლართულ ამხანაგს მისწვდა და თოფის კონდახი ბეჭებში სიბრტყივ უბიძგა. — ადე! შიმშილით სული გაგძვრე-

ბა, შე ამყრალებულო, გზაში დამივარდები. რა ვქნათ, შევიდეთ წისქვილში?

დასიცხული, დაღლილი, დამშეული და ნოტიო მიწაზე დიდხანს გდებისაგან ტანდამძიმებული მახარობელა წამოჯდა, მამაპაპურად გაიზმორა, დაამთქნარა და იქაურობას თვალი ზარმაცად მოავლო. ირგვლივ სიჩუმე იყო, მხოლოდ სადღაც მოშორებით, ასკილის, კუნელის, თხმელისა და ტირიფის ტოტებით გადაბარდნილ არხში საწისქვილო წყალი მოედინებოდა და ჩუმად, სულ ჩუმად ჩხრიალებდა. გზაზე დამდგარი მტვრის ბოლქვები თანდათან იზრდებოდნენ, იფანტებოდნენ, მკაფიო მოხაზულობას ჰკარგავდნენ და გულმოდგინედ გაკრეფილ მაყვლის ბუჩქებსა და მწვანედ მოხასხასე თხმელის ფოთლებს ეფინებოდნენ. ქარავანი, რამდენიმე წუთის წინ აქ რომ გაიარა, ცასა თუ მიწას ჩაეყლაპა და ყოველივე: ზანზალაკების დინჯი ჟღარუნიც, ფლოქვების თქარათქურიც, გამრეკთა ხმამაღალი შეძახილებიცა და შოლტის ტყლაშუნიც უკვალოდ გამქრალიყო.

მახარობელა მზისგულზე გაცხელებულ თოფს დასწვდა, კინაღამ ხელი დაიწვა და თავისთვის რაღაც წაიბუტბუტა, მერე ცხელი თოფი იღლიაში ამოიჩარა, ასე უფრო არ დამწვავსო და ბანცალ-ბანცალით, თითქოს ნამძინარევი ან მთვრალი ყოფილიყოს, სადღაც წავიდა. უკან რომ მობრუნდა, გზადაგზა ხვანჯარს ისკვნიდა, თოფი კი უკვე აღარ ჰქონდა, აქეთობისას მიუვალ ფხეწებში დაემალა. ასკიამ უსიტყვოდ მიბაძა ძმაკაცის მაგალითს, თოფი მაყვლოვანში დამალა და წისქვილისაკენ მიმავალ მახარობელას მალე დაეწია.

## თავი ოცდამეერთე

შუაცეცხლის კვამლით გამჭვარტლულ ძელურ წისქვილში გახურებული ქვისა და დანაყილი სუნელის სუნი იდგა. ნახევრადბნელში, თვალს რომ შეაჩვევდი, თანდათან გამოიკვეთებოდა მარჯვენა კედლის გასწვრივ გამწკრივებული ალა-ხვიმირები, ხოლო მათ პირდაპირ შიგ წისქვილის ჭერქვეშ ჩადგმული პატარა ბეღელი, რომელშიაც მეწისქვილეები საზოგადოდ მინდს, ხშირი ხმარებისაგან გაზინთულ ქვეშაგებელს და წისქვილის მოსავლელად საჭირო ხელსაწყო-იარაღებს ინახავენ ხოლმე. ოთხივე თვალზე წყალი მიშვებული იყო. წისქვილში განუწყვეტელი შხუილი და გუგუნ-გრიალი იდგა. აბლაბუდებით დაქსელილი მთელი შენობა, საძირკვლითა და სოხანითურთ, სულ ერთიანად ძაგძაგებდა. ალასთან მუხლმოკეცილი მესაფქვავე გლეხები, უმეტესწილად ახალუხისამარა პირტიტველა ყმაწვილები, თვალს არ აშორებდნენ სიმინდის მოწითალო ფქვილს, ცაცხვის გალიპულ ალაში ფევალ-ფევალ რომ იპნეოდა და თვალდათვალ წვერწამახულ მთასავით ზევით და ზევით მიიწევდა. კერიაზე გუზგუზა ცეცხლი ენთო. კეცებზე ორად ორი სიფრიფანა კოკორი ცხვებოდა. ცეცხლის შემოიახლო შემომსხდარი, ქვეყნის ჭირვარამზე საუბარში გართული გლეხები, თავიანთი ღარიბული საფქვავის დარიგნების რიგს დარბაისლური მოთმენლობით რომ უცდიდნენ, აქეთ, დაბრაწული კოკრებისაკენ, ვითომდა უცაბედად, ძვალრბილში უხსოვარი დროიდან გამჯდარი ცეცხლის სიყვარულით თუ გამოიხედავდნენ.

„ვაითუ ვინმემ შეასწრო თვალი ჩვენს კაიკაცობას, — ფიქრობდა აქეთ მომავალი ასკია აბესაძე და ფეხები უკან რჩებოდა. — რაღათი გინდა აქედან გაასწრო, კარს თუ ურდული გაუყარეს და ორივე ფეხქვეშ ამოგვიდეს. გალახვას და ცხვირიდან ძმრის გამოდენას ვინ გაკმარებს. ვაი, დაღუპულო ცოლ-შვილო!.. — თოფები მაინც არ დაგვემალა, მარტვა ხანჯლით, თუ ეჭ-

ვი აილეს, ამდენ ხალხს შენ გაუმკლავდები?“

ეს შიში, მისდა ბედად, ამაო გამოდგა. არამცთუ კარის მიგდება და ურდულის გაყრა არ მოსვლია აზრად ვისმე, ახალმოსულებისათვის ხეირიანად ზედაც არავის შეუხედავს, მხოლოდ კვახივით მრგვალი, თმაწვერგათეთრებული მოხუცებული მეწისქვილე მოტრიალდა, კეცების წინ ლადარის გამოშლას თავი დაანება და, წისქვილის ხმაური რომ როგორმე დაეფარა, დაბუჟებული ხელისგული ბანჯგვლიან ყურთან მიიტანა და მყივანა ხმით იკითხა:

— ჭადია, ბოშო, თუ პური?

კარში ჩამომდგარმა მახარობელამ და ასკიამ ერთმანეთს შეხედეს. ღვთის წინაშე სხვა რამეს მოელოდნენ და უცებ ვერც კი მოისაზრეს, რომ ბერიკაცმა ორივე მშვიდობიან მესაფქვავედ მიიღო.

— იმე, დაყრუვდით? — მოხუცებული, წელან რომ ისე გულდაგულ მიიწევდა მომხვდურ მტერთან ხელდახელ შესაბმელად, წელში ძლივს გაიმართა. — რა მოაფოხიალეთ, ბოშო, ჭადი თუ პური? თუ პურია, უნდა მეიცადოთ ერწამა, ხედავთ თქვენი თვალით, ოთხივეზე სიმიდია დარიგნებული. ვაი შენ ჩემო თავო! არ გეიარა ძირი წისქვილმა? როდისლა მოვკოდავ მე ამ ქვებს! მამდევს ჯანი? მე უბედური ფეხებს ძლივას დავათრევ. ან ბატონს რა პასუხი გავცე, ან ქვეყანას. ვეუბნები-ყე ამ ოჯახაშენებულებს, — მოხუცმა გაუთავებელ ბუზღუნს შეჩვეულ თავის მრევლს გადახედა. — ნედლია ეს დალოცვილი სიმიდი, ჯერ რა დროს ამის დაფშვნა იყო, აბა! ჯერა ვინმეს? გინდა მე მითქვამს და გინდა ეგერ ძაღლს დოუყეფია!

ასკია აბესაძემ, რომელიც ამასობაში ყველაფერს მიხვდა, მეწისქვილე დაამშვიდა, განზრახ ზემოურად მოუქცია:

— არა, საფქვავი არ გვაქვს ჩვენე, ცხენებს დავეძებდით ჭალაში, წისქვილი დევინახეთ და აქეთ გადმოვუხვიეთ, — ეს მართლაც ასე იყო, არც რაიმე ეჭვს იწვევდა: ხომ შეიძლებოდა, საძოვარზე გარეკილი ცხენები სწორედ სადმე აქ გადამალვოდა. — წყალს ხომ ვერ დაგვალევინებ, ბერიკაცო? ვეძებთ, მარა წყარო ვერსად მივაგენით.

— არ გწყურებიათ, შვილო, თუ არა ყვირილა ეგერ არ არი? — მეწისქვილე ზანტად მიბრუნდა, კუთხეში ქვარტლისაგან შავად აბზინვებულ თახჩას მიაშურა, თიხის ჯამი და წითელი ნაჭუჩით თავდაცობილი დოქი გადმოიღო. — იპონეთ მერე ცხენები? რა ფერის არიან? ორია?

— ორია, კი, — ასკიამ ურცხვად დაუქნია თავი და პკემოკიდებული სახარჯო ღვინით პირამდე სავსე ჯამი მეწისქვილეს ჩამოართვა. — სიკეთე მოგცეთ, მშვიდობა აქაურობას, შეგეწიოთ ბრავალძლის წმინდა გიორგი! — დაილოცა. — ერთი წითელია, ნიშნიანი, ფაფარი შეკრეჭილი აქვს, კუდი — გამოსკვნილი, მეორე — შავი, — მახარობელას გადახედა, ვითომ ის მეორე — შავი, ამისიაო და ღვინოს დაეწაფა.

— ხომ არავის მოგიკრავთ თვალი, ბოშო? — ბერიკაცი ახლა კერიის შორიახლო ჩამომსხდარ გლეხებს მიუბრუნდა, მათ პასუხს კი აღარ დაელოდა, ხვნეშით ჩაცუცქდა და ბოლოებდანახშირებული ხის საკეცით, აქამდე რომ ხელში ეჭირა, ნაკვერცხლები წინ გამოშალა.

კოკრები უკვე გამომცხვარიყო. წისქვილს პიწკინა მჭადის ნერწყვისმომგვრელი სუნი ავსებდა.

ღვინო მახარობელამაც მოითხოვა. ნაკლული დოქი ასკიას ეჭირა. მან მეორე ჯამიც პირამდე აავსო, დაცალა და გული რომ მოიჯერა, ძმაკაცს მხოლოდ ამის შემდეგ დაუსხა.

— ეი, ეი, — გლეხები ხუმრობით აყაყანდნენ. — თუ ასე შიგ იხრჩობით, შვილოსა, თან ვერ წამოიძლვანეთ? გალმა ღვინო კაი იცის!

— მოწურული არ მაქ ჯერე, — გაიღრიჯა ასკია და ჩოხის კალთით სველი ულვაშები შეიწმინდა.

— კაი მასალა გკლებია!

— რავა, აქეთ მოირთვლეთ თუ?

— შენ შემოგზავნილი ხომ არა ხარ, ძამია, ვერ ხედავ, ქრისტეს ტირილია?

ასკია აბესაძემ მოიხედა. წისქვილის ნახევრად ბნელ კუთხეში, ცულით გამოჩორკნილი სამი გამწვდომი ძელისაგან შეკრულ მერხზე, რომელსაც მოხუცებული მეწისქვილე, ალბათ, საწოლად იყენებდა. დღისით კი ზედ მესაფქვავეები სხდებოდნენ, თავშიშველი ჭაღარა გლეხი იჯდა და წვრილად დაკუწული მომწვანო თუთუნით თიხის მოკლეტარიან ყალიონს ტენიდა.

— რაცხა ვერ შევიცანით, ბიჭო. გაღმა რომელი სოფლიდან ხართ, კვახჭირიდან, სიმონეთიდან, თუ...

აბესაძემ წისქვილში შემოსვლამდევე გადაწყვიტა, თუ მეტისმეტი გასაჭირი არ დაადგებოდა, ვინაობა არ გაემხილა. გლეხის უწყინარმა შეკითხვამ დაამშვიდა, კიდევ კარგი, ვერავინ გვიცნოო, გაიფიქრა და საწერეთლოს ერთი განაპირა, მიყრუებული სოფელი დაასახელა. გვარი და სახელიც სხვისა თქვა. ჯერი მახარობელაზე მიდგა. მახარობელაც რა შვილი იყო, სიმართლეს იტყოდა, მაგრამ შიშით, ვაითუ რაიმე სისულელე წამოაყრანტალოსო, ასკიამ დაასწრო, ერთხელ კიდევ ურცხვად იცრუა:

— ბიძაშვილები ვართ!

გლეხმა ყალიონი გატენა, კერიის ქვაზე მიყუდებულ ბოლოებდანახშირებულ საკეცეს აუჩქარებლივ დასწვდა, ცეცხლიდან მუგუზალი გამოიღო, ყალიონს პლაკუნ-პლაკუნით მოუკიდა და თუმცა წისქვილის ჭვარტლით აბზინებულ მერხზე ადგილი უამისოდაც ბევრი იყო, მარჯვნივ, კუთხისაკენ ჩაიწია.

— ჩამოჯექით, კაცო, შორიდან მოდიხართ, დაღალული იქნებით!..

გამომცხვარი მჭადის სუნით გულასანსალებულმა ასკიამ და მახარობელამ გაჩაღებულ კერიას შემოუარეს და მერხის კიდეზე შინაურულად ჩამოსხდნენ.

— აბა, რას გეტყვით მე, ბიძიკობო, იცით? — განაგრძო მეყალიონემ და პირიდან მომწვანო კვამლის ბოლქვები გამოუშვა, შიგ გაეხვევა — გზა დაგბნევიათ და ეგ არის!

— რაზე ატყობ? — ჰკითხა ამ ცნობით ვითომდა ერთობ შეშფოთებულმა ასკიამ.

— ცხენებს, შე კაი კაცო, თუ განგებისად არავინ გადმორეკა, ამ სიშორეს რა წამოიყვანდა, იქავე უნდა გეძებნათ ახლოში. გამიგონია? ცხენი ჭკვიერი ცხოველია.

— რა ვიცი, ჭალას ჩამოვყევით, კვალი იყო...

— მერე რა გეშველებათ ახლა?

— უშველებელი მტერს გოუჩინოს ღმერთმა. გავყვებით პატარაზე და... ამ ცოტა ხანში აქეთ ლეკებს ხომ არ უვლიათ?

— ლეკებს კი არა, შე დალოცვილიშვილო, ქვეყანა გადაბრუნდა. ისე, ყველა ლეკია დღეს. რას იტყვი შენ, ღენტორა? — გლეხმა მეწისქვილეს მიმართა, რომელიც ისევ ცეცხლთან ფუსფუსებდა, ჯანგარო ქოთნით მიდგმულ ლობიოს მუჭში დაგროვილ ქონდარსა და ცერეცოს აჭრიდა. — გაჭირვებამ ხალხი გაამხეცა, სვინდის-ნამუსზე ხელი აალებინა, კაცს კაცი აღარ ეცოდება, კაცი და მგელი ერთია, — მერე კვლავ ასკიას გადასწვდა. — იქით რა ამბავია?

ასკიამ თავი გააქიცინა.

— საით, ბატონო?

— თქვენკენ, გაღმა სოფლებში.

ასკია შეცბა. თვალი მახარობელა გუნცაძეს გადაჰკრა. მახარობელა გუბიდან ამოყვანილ ზახალასავით მობუზული იყო. ასკიამ შეატყო, რომ ამჯერად მისი იმედი არ უნდა ჰქონოდა.

— მშვიდობა, ბატონო, — უპასუხა გლეხს. — მგონია, მოვითქვით სული.

— მეფე ბაბუამისს მოსაკლავად დასდევსო, ნეტა თუ მართალია?

მახარობელა გამოცოცხლდა, თვალები დააჭყიტა. გლეხებმა, როგორც იქნა, თვით ახსენეს თავიანთი საძულვე-

ლი ბატონი. იქნებ დანარჩენიც დაეყაჭათ და ლევან აბაშიძის საიდუმლო ადგილსამყოფელი დაესახელებინათ? მახარობელა ასკიასაც აღარ დაუცდიდა, წისქვილიდან ჩუმად გაილალებოდა. რაც უნდა იყოს, მეფის დაპირებული ხუთასი ყურუში არცთუ ისე დიდი ფულია. თუ ორის მაგიერ ერთი კაცი დაეპატრონება, სწორედ რომ ბედს სწევს!

— მართალია, — თქვა მეყალიონის პასუხად ასკია აბესაძემ. — სასიკვდილოდ დასდევს. ხუთასი ყურუში იმას, ვინც მკვდარს ან ცოცხალს ჩამაბარებსო.

გლეხმა ნაცარში ჩააწიტა.

— მერე ვარგა ეგ? ბაბუა, რავარიც არ უნდა იყოს, მაინც ბაბუა არის და შვილიშვილს, მეფე იქნება თუ ჩვენსავით უსახელო კაცი, მისი პატივისცემა და რიდი მართებს. ღმერთმა შოუნდოს მეფეს! ღვთისნიერ კაცს ამბობენ და ეს არ უნდა ეშლებოდეს.

— ლევანი მოღალატეა! — მოისმა მოულოდნელად ალასთან და ახალუხისამარა უწვერულვაშო ყმაწვილი, აქამდე სარეკელას რომ უჯდა და თავჩაღუნული პატარა ლაფარით ფქვილს ერთ ადგილზე აგროვებდა, ზეზე წამოვარდა, შუაცეცხლის შორიახლო ჩამომსხდარ უფროსებს თვალები გამომწვევად დაუბრიალა. — ვინც სულძაღლ ლევანს შეიცოდებს, ისიც ლევანივით მეფის მოღალატეა და ლევანთან ერთად ნელ ცეცხლზე უნდა დეიწვას!

— რას ბედავს ეს ღლაპი! — მწარე სიცილს ამოაყოლა გლეხმა და ყალიონიანი ხელი მუხლზე შემოიდო. — ვინა ხარ შენ, ბიძია, ნელ ცეცხლზე დასაწვავად რომ გამამწესე? გამოდი, გამოდი აქეთ, დამენახვე!

— ასეა ეს! — გაფიცხებულმა ყმაწვილმა თავის ნათქვამს ბეჭედი დაარტყა. — ვინც ლევანს იცოდებს, ის კუდია მისი! გაიგეთ ახლა?

— მართალს ამბობს, მართალს!.. — აყაყანდნენ გლეხები. — აბა რავა... ლევან აბაშიძემ ქვეყანა ამოაგდო. აფერუმ სოლომონ მეფის ვაჟკაცობას, ლევანს თავისიანობით რომ არ მიკერძა და საწყალი, დაბეჩავებული გლეხკაცის მხარე დეიჭირა!

— ლევანი დაბორბლევის ღირსია! იმან შეგვიცოდა, ჩვენ რომ შევიცოდოთ?

— მე რა ვთქვი მერე? — გადათქვა თავისი ნათქვამი გაწბილებულმა მეყალიონემ და ხალხის თვალში მთლად რომ არ გაცუცურაკებულიყო, ზეზე რიხიანად წამოდგა. — მე ვთქვი, ლევან აბაშიძესთან მეფე ტყუისთქო?

— ვიცით ჩვენ, რაც თქვი! — ყველას მაგიერ ისევ ყმაწვილმა მოუჭრა. — მეფე ტყვეებით ვაჭრობის მოშლას გვპირდება და კიდევაც ასრულებს სიტყვას. ტყვისმსყიდველებს მუცლის გვრემა ოუტყდათ. რომელ სოროში შეძვრნენ, აღარ იციან. ხონთქარს ჩვენი მომთხრელი გადასახადების აკრებაზე უარს ეუბნება. თავადებს პირში ლაგამი ამოსდო. ვინც ქვეყნის მარჩენალ გლეხკაცს შემიწუხებთ, იცოდეთ, ჩემი რისხვა არ აგცდებათო. ქრისტეს ჯვრით წინ მიგვიძღვის. სხვა რომელმა მეფემ გიქნა ეს წყალობა? მართლა ყრუ და ბნელი არ უნდა ვიყოთ, მეფის თავდადება რომ არ დევინახოთ და არ დავაფასოთ? ლევან აბაშიძემ და მისმა სულწაწყმედილმა ამფსონებმა თათარი სახლში დაგვიჯინეს, ჩვენი თავი ურჯულოს მიყიდეს. თავათ ჯიბეს ისქელებენ. გასკდა მაგათი ჯიბე და მუცელი! ერთმა ღმერთმა უწყის, კარს როდის შემოგვინგრევენ და უცხოობაში როდის გაგვდენიან. ეს გინდა შენ, ბიძია? — ყმაწვილმა პირდაპირ მეყალიონე გლეხს მიმართა და მერე ისევ ხალხს მოუბრუნდა. — თქვას, ეს თუ უნდა და ახლავე გავცემთ პასუხს! შენისთანეებია, უთავბოლოდ რომ ატარტალებენ ენას და თავათაც არ იციან, რას როშავენ!

— რა მკადრა დროულ კაცს ეს, გეიგონეთ, ხალხო? — უმწეოდ იკითხა ყმაწვილის მოურიდებელი და მკვახე სიტყვებით მიწასთან გასწორებულმა გლეხმა. — შენ სად იყავი, ბიჭო, მე

რომ მეფეს გვერდში ვუდექი და სისხლს ვაქცევდი?

— თუ აქცევდი, ჩემ მაგიერათ არ დაგიქცევია. თავისი წილი სისხლი ყველამ უნდა დააქციოს და კიდევაც დავაქცევთ. არაფერი სალაპარაკო არ არის ეგ! ოღონდ სულძაღლი ლევან აბაშიძის და მეფის სხვა მოღალატეების შეცოდებას აქ ყველამ თავი დაანებოს!

— შენ იქნება მეტიც მოითხოვო?

— ასეა ეს!

— კაი, ბიძია, — უხალისოდ დაყაბულდა მეყალიონე გლეხი, რომელსაც წელანდელი რიხისა და თავდაჯერებისა ნატამალიც აღარ შერჩენოდა. — ჩემი ხნის როცა მოიყრები და შენი ტოლი ლაპები აგრე დაგიწყებენ გასწორ-გასწორ ლაპარაკს, რავარც მე შენ დამიწყე, მერე მომიგონებ და იტყვი, იმ დღეს რა სირცხვილი და თავის მოჭრა დამემართაო.

ეს უკვე შერიგებას ნიშნავდა და ახალგაზრდას მეტი პასუხი აღარ გაუცია. ის უკვე ალიხთან იჯდა, ლაფარა მოემარჯვებინა და ხალხისაკენ ზურგშექცეული ფაქიზად გატკიცინებულ თეთრ ტომარაში ჯერ კიდევ თბილ ფქვილს ყრიდა. წისქვილში ყველამ შვებით ამოისუნთქა. თავდაპირველად მდგომარეობა ისე დაიძაბა, აღარავის ეგონა, თუ ის უჩხუბრად და სისხლის დაუღვრელად ჩაივლიდა.

მახარობელა გუნცაძე ბოღმისაგან გასიებული და წაბლის ბუძგვივით გაბუსხული იჯდა მერხის ბოლოში. გლეხები ღობე-ყორეს ედებოდნენ, იმაზე კი, რასაც ის გულისფანცქალით მოელოდა, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, კრინტსაც არ ძრავდნენ. ნუთუ მართლა არავინ იცოდა, სად აფარებდა თავს მეფისაგან შერისხული არგვეთის ბატონი? მახარობელა ცალკერძ ამისმა ჯავრმა გაასავათა, ცალკერძ შიმშილმა. პკემოკიდებულმა სახარჯო ღვინომ წყურვილი, მართალია, მოუკლა, მაგრამ მშიერმა კუჭმა მეტი გაფთრებით შემოსჩივლა. ცხელი მჭადისა და ოსტატურად შეკმაზული ლობიოს გამაბრუებელი სუნი, წისქვილში რომ დამდგარიყო, მგლის მადას ულვიძებდა და თვალებში სინათლეს ართმევდა. შიმშილით სხვა დროსაც, ვინ იცის, რამდენჯერ მოშივნოდა, ღარიბ-ღატაკ იმერელ გლეხკაცს შიმშილითა და გაჭირვებით აბა ვინ გააკვირვებს! დღეს მაინც მეტისმეტი მოუვიდა...

ისევ ასკიამ იმარჯვა. ჯერ ერთ მესაფქვავე გლეხს მიუჯდა, მერე მეორეს, აქედან კი სხვებისაკენ გადაინაცვლა და, როგორადაც შეეძლო, მთისა და ბარის ამბები ფრთხილად გამოიკითხა.

გაღმა-გამოღმა სოფლებში დიდსა და მცირეს, ერსა და ბერს, თავადსა და აზნაურს მეფე სოლომონის ერთგულებაზე აფიცებდნენ. მეფის სანდო პირები, სამეფო დარბაზის წევრნი, სამღვდელონი თუ ერისკაცნი, თვით ესწრებობოდნენ ხალხის დაფიცებას, თავადაც ხალხთან ერთად იფიცებდნენ და საეკლესიო დროშების ფრიალითა და ლიტანიობით ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ. ქვეყანა ფეხზე იდგა. მიყრუებული, მტრისაგან მიუვალი სახიზრები, სადაც დავრდომილნი და დედაწულნი გამუდმებული შიშიანობის გამო თავს აფარებდნენ, ყველგან ნელ-ნელა-დაიცალა. მდაბალთა და უაზნოთა მწყალობელი მეფის ძალის მოცემით იმედგაღვიძებულმა ერმა პირი საამქვეყნიოსაკენ ქნა, თვეობითა და კვირეობით მიტოვებულ ეზო-კარმიდამოს მოაშურა და კერიაზე ცეცხლი გააჩაღა.

წინადამეს ხმა დაეყარათ, მეფე ახალი ჯარის შეკრებას და ქუთაისის ციხეზე გალაშქრებას აპირებსო. ამის უბრალო გაგონებაც კი დაჩაგრულ გულს სიხარულითაც ავსებდა და, ამავე დროს, თავზარდამცემიც იყო: ზარბაზნებითა და ზამბულაკებით შეიარაღებული აგარიანები კიდევაც რომ ამოეჟლიტათ და ქუთაისის ციხე ხელთ ეგდოთ, მას დიდხანს მაინც ვერ შეინარჩუნებდნენ. ხვალ-ზეგ ახალციხიდან კალიასავით ურიცხვი ახალი მარბიელი

ლაშქარი მოვიდოდა, ქუთაისს ისევ დაიჭერდა, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა და მთელს ლიხთიმერეთში სისხლის ტბას დააყენებდა.

ჯანაბას ქუთაისისა და ყველა სხვა ციხე, რომლებიც შინაური გამცემლობის თუ ძალმომრეობის წყალობით ოსმალებს ეპყრათ! ხალხს ერთი ამოსუნთქვა, მუხლის ჩახრა და მოსვენება სიცოცხლეზე მეტად უღირდა. მაგრამ, ვიდრე ცოცხალი ხარ და სული გიდგას, ვინ და რა მოგასვენებს, როცა მტერიც თავისას მოითხოვს და მოყვარეც, შინაურიც და გარეულიც, შვილიც და ძირიც, მეფეც და ბატონიც!..

უკმაყოფილების ხმამაღლა გამომჟღავნებას ხალხში ვერავინ ბედავდა, თუმცა ღვთისაგან ჯვარდაწერილი შემოდგომის მომლოდინე გლეხკაცს თვალი ვენახსა და ყანა-მინდორში გაურბოდა. ბევრ ადგილას სიმინდი ჯერ კიდევ მოუტეხელი იყო, არც ღომი, ლობიო და მუხუდო აეღოთ, სხვაგან ასაჩეხი და ასაკონავი ჩალა მიჰქონდა ქარს, მოუკრეფავ ვენახებს კი ჩხართვი და ათასი ხელმრუდე გამვლელ-გამომვლელი ესეოდა. ვინ იყო კაცი პატრონი! ქალები, უწლოვანი ბალღები და მოხუცებულები საქმეს ვერ ასდიოდნენ. კარზე დიდი შიმშილობა იყო მომდგარი და ქვეყანას ახალი ვაი-ვიში ემუქრებოდა.

გამთენიისას აქ, წისქვილისკარზე, დიდძალ ცხენოსან ჯარს გაევლო. ჯარს ჩარდახიანი ქართული ურმების ქარავანი ახლდა. ბევრი კითხვა და გამოძიება საჭიროც არ იყო: ჯარსა და ქარავანს გეზი კაცხისაკენ ედო. აქ, სოლომონ მეფის გაერთიანებული ლაშქრის კვალდაკვალ, ლევან აბაშიძის საბატონო ბელლები, მარნები, ნალიები, ბოსლები და საჯინიბოები უნდა დაეცალათ, სახორცე და გამწევი პირუტყვი უკლებლივ გამოერეკათ და მთელი ამ ალაფით უკან, ვარციხეში გამობრუნებულიყვნენ, სადაც მეფის თანამდგომთა ლაშქარი იდგა და არგვეთის უმტკიცესი ციხეების დასაკავებლად წასული ბატონის ახალ განკარგულებას ელოდებოდა.

ხალხს კიდევაც სჯეროდა ეს ამბავი და კიდევაც არ სჯეროდა. ნუთუ უკიდურესად განრისხებული ახალგაზრდა მეფე თავის აღმზრდელ ღვიძლ ბაბუას აგრერიგად გამოიმეტებდა, პატივის აყრას არ აკმარებდა და სახლთუხუცეს ესტატე ფალავანდიშვილის ამარა დაგდებულ მის დიდებულ სასახლესა და ციხეებს შურისმაძიებელი ლიანგის საჯლიგინოდ, დასაწვავად და გადასაბუგავად გახდიდა?

თუ ხალხის ეს ხმა და საეჭვო ვარაუდი მართალი გამოდგებოდა, თუ სოლომონი ქვეყნის ყველა ორგულს ერთი მიუდგომელი სამართლით განსჯიდა, მაშინ კაცს იქნებ ბევრი სხვა რამეც დაგეჯერებინა, რასაც იმერთა ახალგაზრდა ბატონზე ამბობდნენ და ზენაარისაგან დიდგვაროვან მებატონეთა რისხვად მოვლენილი გვირგვინოსანი მეფე — ღმერთო, დღეგრძელი ჰყავ და ყველა სასიკეთო საქმეში ხელი მოუმართე! — სამშობლოს მხსნელ კეთილ ანგელოზად დაგესახა.

კატის კნუტივით მოკუნტულმა, თვალებად და ყურებად ქცეულმა ასკია აბესაძემ და ერთიმეორეში აბურდულ-დაბურდული ახალი ამბების შეტყობით ამაზე არანაკლებ შეფიქრიანებულმა მახარობელა გუნცაძემ ერთმანეთს ქვეშ-ქვეშ გაჰხედეს. გზაშარაზე გაბლეხილ წისქვილში დარჩენა და ამალამდელი ღამის აქ გათევა ხაფანგში ორივე ფეხით გაბმას უდრიდა. არ შეიძლება, გამოპარულები ვინმეს არ ეცნო და უდროო დროს აქ ყოფნის მიზეზი არ ეკითხა. რა პასუხს გასცემდი? ასკიასაც და მახარობელასაც ჩინებულად ესმოდათ, რა მოჰყვებოდა მეფის კაცების ხელში ჩავარდნას. ლევან აბაშიძის სახლ-კარის მოსათარეშებლად კაცხს გაგზავნილი საგანგებო რაზმის მოლოდინი ყოველ წამს უნდა ჰქონოდათ.

მახარობელა პირველი წამოდგა, წელი ძლივს აითრია და გაბრუებული კარისაკენ წალასლასდა. წისქვილი ირ-

ყეოდა. ძელური კედლისა და ფქვილით შებუმბლული კრამიტის სახურავის ჭუჭრუტანებში საშუადღეოდან გადახრილ მზეს თვალისმომჭრელი გრძელი შუბები შემოეყო, წისქვილში მობორიალე მტვერი გაერღვია და წვერით სოხანეზე დაებჯინა. შუბები მსწრაფლ დამოკლდნენ, მახარობლას ჯერ მკლავზე, ბეჭზე, შემდეგ ყურიმალზე შეაცოცდნენ და ყურის ბიბილო აუნთეს, ბოლოს ისევ დაგრძელდნენ და წვერი კვლავ სოხანეს დააბჯინეს.

## თავი ოცდამეორე

მზე რომ ჩავიდა და მიდამოს ბინდი ჩამოაწვა, ასკია აბესაძემ და მახარობელა გუნცაძემ წისქვილიდან ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით, მოფარებულში, საწისქვილო წყალი გადავლეს და მაღალი გვიმრითა და მაყვლოვანით დაბურულ მურყნარში შევიდნენ. საწისქვილო არხის მარჯვენა ნაპირიდან წყალი ჟონავდა და მურყნარი სულ ერთიანად დაჭაობებული იყო. მახარობელა მუხლამდე ლაფში ჩაეფლო და ხელების უმწეო სავსავითა და ყიამყრალობით უკან გამობრუნებას და ნაპირის მიწაყრილზე ამობობღებას ლამობდა. ასკიამ აქაც იმარჯვა, თოფის ლულა გაუწოდა, მოქაჩა, რის ვაივაგლახით ისევ მიწაყრილზე ამოიყვანა და მათ გზა აღმა, წყალ-წყალ განაგრძეს.

ფერად-ფერადი ბრტყელი ქვებით თითქოსდა საგანგებოდ მოჭიქული ფსკერი საწისქვილო არხს გაწმენდილი და გაკრიალებული ჰქონდა. ამ გლუვ ფსკერზე წყალი ისე დაუბრკოლებლივ მოექანებოდა, მის საწინააღმდეგოდ ყოველი ნაბიჯის გადადგმა მოხერხებასა და ძალღონის დაძაბვას მოითხოვდა. ამას გარდა, მარცხენა, მაღალი ნაპირიდან, რომელიც მწვანე ბალახით შემოსილი კლდის ძირი იყო, წყალზე ბროწეულისა და კუნელის ბუჩქებში ჩახლართული მაყვლის ბარდები ეკიდა და წინსვლას აძნელებდა. ასკია გაჭირვებით დაწინაურდა. ბარდებში გზას თოფის კონდახით იკვლევდა და მალი-მალ უკან იხედებოდა, ყურებჩამოყრილი და გუნებაგაფუჭებული მახარობელა ხომ მომდევსო. თუ ჯერ კიდევ დილას, ვიდრე რაზმს ჩამორჩებოდნენ და ჭალაში ალალბედზე ხეტიალს დაიწყებდნენ, თავად იყო როგორღაც მოსხლეტილი და გულგატეხილი, ახლა, მას შემდეგ, რაც ლევან აბაშიძის უშედეგო ძებნაზე ხელი აიღეს და თავ-თავის ოჯახში დაბრუნება გადაწყვიტეს, მახარობლას წილი ღონე და გაბედულებაც თითქოს ასკიას მიემატა, ხოლო თვით მახარობელა ხელით სათრევი გახდა. ცოტა კიდევ რომ გაიარეს, ასკიამ თოფი მხარიღლივ გადაიკიდა, ხანჯალი იშიშვლა და მაყვლისა და ბროწეულის ეკლიანი შტოების კაფვას მოჰყვა. რამდენიმე შტო არხში ჩავარდა და წყალმა ტრიალ-ტრიალით დაღმა გააქანა.

— ასკია, ბიჭო, — დაიყვირა ღონემიხდილმა მახარობელამ. — რას შვრები, შე ოხერო?!

აბესაძემ ბრაზიანად მოხედა.

— ოხერიც ხარ და... ვერ ხედავ, რას ვშვრები? — და თავს ზემოთ გადმოკიდებული ორი ბარდი კიდევ ჩამოჰკაფა.

— ღარებს ჩაყვება, ბიჭო, ეგ ბაძაძგნარი, წისქვილს გააჩერებს. გინდა, დაგვეწიონ და ღდინი გაგვაცალონ რტყმევით?

ასკიას ჭკუაში დაუჯდა ძმაკაცის რჩევა. ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩააგო და კვლავ თოფის კონდახი მოიმარჯვა.

ღია ადგილას კლდის მოპირდაპირე მხარეზე გადავიდნენ. აქ არხის სათავეც ახლო იყო. რიყის დიდრონი ქვებითა და მდინარის შლამით ავსებული გოდორყულები საწისქვილო წყალს ძალისძალად აკავებდნენ და კლდის ძირისაკენ მოერეკებოდნენ. წინ. ორასი-სამასი ნაბიჯის მოშორებით, სათავის

ცოტა ზემოთ. ბონდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა უკვე ბნელოდა და იქ დაბურული ტყისა და გოროზად ჩამუქებული ცისკიდურის გარდა არაფერი მოჩანდა.

ასკია და მახარობელა სწორედ ამ ბონდისაკენ მოიჩქაროდნენ, რომლითაც გაღმა ნაპირზე უნდა გადასულიყვნენ და წყალუხვი ყვირილას ჭალა უკან მოეტოვებინათ. მდინარის ფონი ქვემოთ, წისქვილისკარზე, დარჩა. ისე რომ, აქედან მათ უკვე აღარ შეეძლოთ, საქარავნო გზაზე თვალი სჭეროდათ.

ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება უთუოდ ის იქნებოდა, თუ ბონდზე ახლავე გადავიდოდნენ, გაღმა ნაპირის მურყნარში საქარავნო გზას ხელახლა მიუახლოვდებოდნენ და იქ საიმედო საფარს გაიჩენდნენ. კაცხისა და ლევან აბაშიძის მთელი საბატონოს ასაკლებად გაგზავნილი რაზმი აქეთობისას ამ გზას ვერანაირად ვერ ასცდებოდა, ვინაიდან ყველა სხვა გზა ორწილ და სამწილ გრძელი და ამავე დროს ხარ-ურმის გასატარებლად სავსებით გამოუსადეგარი იყო. რაზმი გამოივლიდა თუ არა, არგვეთის ბატონის ნაერთგულევ ყმებს ხელს აღარაფერი შეუშლიდა, სახუნდარი დაეტოვებინათ და გზა შინისაკენ უშიშრად განეგრძოთ.

მაგრამ აქედან ბონდამდე მიღწევა კიდევ უფრო ძნელი გამოდგა. სათავის ახლოს საწისქვილო წყალი იმდენად ღრმა იყო, ლტოლვილებს გულამდე სწვდებოდა, ორჯერ თუ სამჯერ თავზედაც გადაუარა. ზემოთ და ზემოთ სიღრმე კიდევ მოიმატებდა, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ მათ არხი ახლავე უნდა დაეგდოთ და ბონდთან მისვლა ალაგ-ალაგ ჩამოშლილი ცაცაბო კლდის გზით ეცადათ.

— წადი შენ, მე აქ დავრჩები, ჯანი გავარდნია, რაც მომივა, მომივიდეს! — დაიხავლა მახარობელამ, როცა ერთხელ კიდევ შეისვენეს და საწისქვილო არხიდან თავიდან ფეხებამდე გალუმპულები და სიცივისაგან ათახთახებულები ხელების ფათურით გოდორყულებზე ამოვიდნენ.

— რას სულელობ, ბიჭო, — შეუტია ასკიამ და ქვედა ყბის კანკალი ძლივს დაიოკა. — ხომ ამოგძვრა სული, შე უბედურო. შეხედე, ღრუბელია, გაავდრებას აპირობს, შეიძლება წყალიც მოვარდეს და ეს სათავე სულ გადაგლიჯოს. მიდი მერე და უყარე კაკალი! მოიტა თოფი. თუ გინდა, წინ გამიძეხი. წყალმა თუ წამოგიღო, ქემაინც დაგიჭერ.

მახარობელას საკუთარი თავი შეებრალა და გული აუჩუყდა.

— შენ რა ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ, ასკია, — თქვა უჩვეულოდ მორბილებული ხმით და წამოიწია. — ჩემგან რა სიკეთე გახსოვს, ბიჭო, ამ დილას იმ ჭკუაზე ვიყავი, კიდამე სული გაგაცხებინე. თუ ღმერთმა ქნა და აქიდან ცოცხალი გევედი, სანთლები უნდა ავანთო, ჩემ სიმაღლე სანთელს ავანთებ, ძაღლიშვილი ვიყო, თუ...

— ადე, ადე, ბევრს ნუ ლაპარაკობ! წყალში გავიდეთ და მერე მე დავწინაურდები, სიბნელეში თვალი მიჭრის.

— უ, რა ცივია ეს ოხერი!.. — თავიდან ფეხებამდე სველ მახარობელას წყალი წურწურით გასდიოდა, მაგრამ მორევში რომ ფეხი ხელახლა ჩადგა, მაინც გააჟრჟოლა.

— მოიტა ეგ თოფი აქ. აგრე! ხელი არ გოუშვა...

მათ ერთხანს კიდევ აღმა იარეს. უნდოდა თუ არა, მახარობელა ისევ უკან მოექცა. საწისქვილო წყალი გულზე ასკდებოდათ და წაქცევას უპირებდათ. ასკია ორივე ფეხზე მაგრად იდგა, დინებას მთელი მონდომებით და თავგანწირვით უმკლავდებოდა. მახარობელას თოფის კონდახი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და წინ ქაჩავდა, თვით მახარობელა კი ლულას ჩაჰფრენოდა და სამარცხვინოდ დაძაბუნებული ძმაკაცს ძლივს მისდევდა. მუხლებგადაღლეტილებმა და ტალახში ამოგანგლულებმა რომ ბონდს როდის-როდის აალწიეს, ნუნებიდან სისხლი სდიოდათ

და კბილებსშუა ქვიშა უხრაშუნებდათ. მთვარე უკვე ამოსული იყო, მაგრამ ღრუბლებში დამალული მხოლოდ წამის-წამ გამოჩნდებოდა ხოლმე, მდინარის თეთრ რიყეს, ტყიან ნაპირებს და მთის ჩამუქებულ ზურგს ღამის წყვდიადიდან თითქოს ვისთვისმე საჩვენებლად ამოზიდავდა. გააკაშკაშებდა, მერე შუქს ისევ აიკრეფდა და კვლავ ღრუბლებში მიიმალებოდა.

ბონდი პირველმა ასკიამ გადაიარა. გაღმა რომ მშვიდობით გადავიდა, დაუსტვინა და ამხანაგს აღარც კი მოუცადა, გზასქვეშ ჩაუხვია და რამდენიმე ადგილას გაბეული ჩოხა, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებია და როგორმე უნდა მოიშოროსო, სასწრაფოდ გაიხადა. ქვენა ქარი ჰქროდა, შემოდგომის ღამის სიცივე ძვალ-რბილში ატანდა და სახსრებს აშეშებდა. ვიდრე ტანზე შემოტმასნილ ახალუხსა და საცვლებსაც ასევე ფაცაფუცით გაიძრობდა და არაადამიანური მოთმინებით სათითაოდ გაწურავდა, ასკიას სმენას ხმამაღალი ლაპარაკი და ცხენების ფეხისხმა მოსწვდა. არც კი დაფიქრებულა, ტანსაცმელს ხელი ცივად უშვა, ბონდის ბურჯზე მიყუდებულ თოფს მისწვდა, ჩახმახი ფეხზე შეაყენა. მოიმარჯვა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო გონს, რომ თოფი თოფი აღარ იყო: წყალში დასველებული და დამბალი თოფისწამალი თოფისწამლობას ველარ გასწევდა.

თოფი ფრთხილად დასდო ქვიშაზე, თავადაც მიწას განერთხო და სული განაბა. სად იყო ამ დროს მახარობელა? მანაც დროზე გაიგონა უცხო ხმები და თავი სადმე კლდის ნაპრალს შეაფარა, თუ მდინარის ხმაურში ვერაფერი გაარჩია და ბონდზე ფეხი შემოსდგა? ჯერ რისამე გაგება შეუძლებელი იყო...

ბონდს აქეთა მხრიდან ხუთი თუ ექვსი ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი მოადგა.

ვინ იყვნენ? ნუთუ მარბიელი ლეკები, რომლებსაც, მიუხედავად მეფის ძლევამოსილი ლაშქრის არაერთგზის ყოფნისა, მაინც მოეხერხებინათ აქ შემოჭრა და ახლა უკან ტყვეებითა და სხვა ალაფით გამდიდრებული ბრუნდებოდნენ? ვაი, რა გლახა დროს დადუმდა თოფი! ერთი ათთან, რასაკვირველია, ვერაფერს გახდებოდი, მაგრამ ბნელი ღამე და ყრუტეებში მოულოდნელად ატეხილი სროლა მტერს თავგზას მაინც აუბნევდა და, ვიდრე ის რასმე მოისაზრებდა და ხელს გამოიღებდა, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ტყვეებიც შესძლებდნენ აქეთ-იქით გაფანტვას და მიმალვას.

ასკიას კბილს კბილზე აცემინებდა. ორჯერ ზედიზედ ენაც დაიწეწკა. პირში სისხლის გემო იგრძნო. გონებაში ერთი წარმოდგენა მეორეს ცვლიდა. აი, ვითომ გავარდა თოფი. მგზავრები აირ-დაირივნენ და აქეთ-იქით მიაწყდმოაწყდნენ. გავარდა მეორე, მესამე... ატყდა წივილი, კივილი, ცხენების ჭიხვინი, მორევში დგაფუნით ჩაცვივდა ნაპირიდან ჩამოგორებული ქვები. მაგრამ ეს მხოლოდ წარმოდგენა და ნატვრა იყო. უცხო მგზავრები, რომელთაც ასკია აბესაძის მშფოთვარე ფიქრები აინუნშიაც არ მოსდიოდათ, ამასობაში ბონდზე არხეინად გამწკრივდნენ და ზედ დაფენილი ჩელტები აჭრაჭუნეს, მხედრები კი მდინარეზე ჩავიდნენ და დასაპალნებული ცხენები წყალში შეყარეს.

არა, ლეკებს, ან რომელიმე სხვა მომხვდურს მგონი არა ჰგავდნენ. ეს უთუოდ იმ რაზმის ერთი გუნდი იყო, გუშინ რომ წისქვილისკარზე გაიარა და რომელთან შესაძლო შეხვედრა ასკია აბესაძესა და მახარობელა გუნცაძეს ასე აფრთხობდა.

სიცივისა და ცხოველური შიშისაგან მთლად ენაწართმეული მახარობელა გამოღმა ნაპირზე მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, როცა ირგვლივ ყოველგვარი ჩამიჩუმი მიწყდა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ასკია უკვე ჩაცმული იყო და, თუმცა სიცივესა და შიშს ხელი ამისთვისაც არანაკლებ ტაერია, ამხანაგის მოსაძებნად უკან დაბრუნებას აპირებდა. ერთმანეთს, ეს იყო შეეხმი-

ანენ, ლაპარაკისა და ვარაუდების გამოთქმის თავი აღარც ერთს ჰქონდა და აღარც მეორეს. რაკი ბედმა გაუღიმათ და ორივე საღი და უვნებელი იყო, მეტს აღარც არაფერს დაეძებდნენ. თავ-თავიანთი თოფები მხარზე კეტებივით გაიდეს და გზა უხმოდ განაგრძეს.

მაგრამ თუ მხედრები და ქვეითები მართლა იმ რაზმის ერთი გუნდი იყო, ხარი და ურემი რა უყვეს, ანდა რაზმის უმეტესი ნაწილი სად დაიკარგა? ხარურემი, რაღა თქმა უნდა, დიდ გზას გამოჰყვებოდა, ამათ კი აქეთ, მოკლეზე გადმოუხვიეს და რაზმის მთავარ ნაწილს, რომელიც ქარავანს ახლდა, წისქვილისკარზე მოუცდიდნენ...

ბილიკ-ბილიკ სიარული მაინც საშიში ჩანდა. აქ, ადრე თუ გვიან, ისინიც გამოივლიდნენ, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო რაზმს ჩამორჩა და ახლა წინ წასულ თავისიანებს უნდა დასწეოდა. მაგრამ გზიდან აბა სად გადაუხვევდი! დაჭაობებული მურყნარი ორთავე მხარეს თითქმის გაუვალი იყო, შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. მაშ, ჯობდა ისევ ბილიკ-ბილიკ ევლოთ და, თუ ვინიცობაა, რაიმე ეჭვის აღმძვრელ ხმაურს გაიგონებდნენ, გზიდან მხოლოდ მაშინ გადაეხვიათ.

ქარი ჩადგა, მთვარე ღრუბლებიდან გამოვიდა და ერთხანს, სანამ ისევ მიიმალებოდა, იქაურობას ანათებდა. მახარობელა კვლავ ჩამორჩა. ასკია ორჯერ გაჩერდა და მოუცადა, თან გარემოს აკვირდებოდა. ღამე ნაცნობ ადგილებს უცხო ელფერი ედო. დიდი გზა, რომლის ერთი შტო ჭიშურისა და კახნიაურის გავლით ქუთაისისაკენ მიემართებოდა, ხოლო მეორე, ბაღდადს მიმავალი, ყვირილას ჭალაზე ეშვებოდა, მგონი შორს აღარ იყო. წინ, ლურჯად ჩამუქებული საწალიკის ქედის ძირში, ოდნავ შემაღლებაზე, აქა-იქ გაბნეული სინათლეები ბჟუტავდა. ეს უთუოდ სიმონეთი იყო. მახარობელას სოფელი, კვახჭირი, სიმონეთს დასავლეთიდან ეკვროდა, ხოლო მის ჩრდილოეთით, სერებზე, გოდოგნის დიდრონ-დიდრონი უბნები იყო შეფენილი. გათენებამდე კი აალწევდა?

ასკიას გული აუჩქროლდა და მთელ ტანში უცნაური სიმსუბუქე იგრძნო. რა იქნებოდა, სასწაული მომხდარიყო, ფრთები გამოსხმოდა და ეს გაუთავებელი და სახიფათო გზა, წინ რომ ედო, თვალის დახამხამებაში გადაეფრინა! ყოველ წუთს და ყოველ წამს სანატრელ ცოლს, ერმონიას, განშორების მთელი ხნის მანძილზე ერთხელაც რომ არ დავიწყებია, ალბათ, თვალები გამოულამდა ლოდინში. ვინ უწყის, იქნებ კიდევაც გამოიტირა და ცოცხალი და საღ-სალამათი ქმრის დანახვის იმედი აღარცა აქვს.

ასკიას გული შეეკუმშა. წარმოიდგინა, როგორ ეგდო თავგაჩეხილი სადღაც ხევის პირას, აი, იქ, მახარობელამ რომ კინაღამ გადააგდო და თვალები ცრემლებით აევსო. შეებრალა ქვრივობრის თალხებში გახვეული ნორჩი ერმონიაც, ახალგაზრდა ქმრის ხმამაღლა გლოვა რომ ერცხვინებოდა და ღამ-ღამობით სასთუმალს მდუღარე ცრემლებით ასველებდა.

„კაი ერთი, თუ კაცი ხარ! — არცთუ სახუმაროდ შემოუძახა საკუთარ თავს ასკიამ. — შენს გარდა სწორედ არავინ მომკვდარა და არც ცოლი დაქვრივებია ვისმე! ღმერთს რადა სცოდავ, ბრავალზლის წმიდა გიორგი შეგეწია, შინ ცოცხალი მიდიხარ, რა გინდა მეტი!“

წყეული ოდიშარები ასკიას სადარაჯო ჯიხურს გარს ისე მოულოდნელად და ვერაგულად შემოერტყნენ, თვით ასკია აბესაძისა და მახარობელა გუნცაძის გარდა მგონი არც არავინ გადარჩენილა. აფსუს, ბიჭებო!.. თუ ვინმე მაინც გადარჩა და მტერს ხელიდან დაუსხლტა, თავზარდამცემ ამბავს — მზირები უკლებლივ ამოგვჟლიტეს ან ტყვედ წაგვასხესო, სოფელში სწორედ ის მიიტანდა.

ყველა სიავე დალოცვილმა ღვინომ შეამთხვიათ. რაღა სწორედ იმ დღეს ჩამოიტანეს! ღვინო რომ სათრობად

არ დაელიათ და დიდიან-პატარიანა არ გამობრუჟებულიყვნენ, იქნებ მუხთალი მტრის მოახლოება ადრევე შეეტყოთ და სამარცხვინოდა და სავალალოდ თავს ეს უბედურება არ დასტეხოდათ. აფხაზ-ოდიშართა უზარმაზარ ლაშქარს, რომელმაც ლევან აბაშიძის საბატონოს ზურგიდან მოუარა და სწორედ იქ შემოესია, სადაც არავინ მოელოდა, როგორ შეაჩერებდნენ, მაგრამ კომკზე წალამს მაინც აბრიალებდნენ და მერე, ბრძანებისამებრ, ბატონის ჯართან შესაერთებლად უკან დაიხევდნენ.

ასკია გლეხიკაცი იყო და შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი ერჩივნა. ის ერთხელაც არ დაფიქრებულა, რით ჯობდა მეფე ბატონს, ანდა ბატონი რით იყო მეფეზე უკეთესი. ასკიას ღვთისა და კაცისაგან მხოლოდ ერთი რამ ეკისრებოდა: მოურავის, მღვდლის, გზირისა და იასაულის წინაშე თავისი ყმური ვალი პირნათლად მოეხადა და დაძახების უმალვე ბატონს ომში ხლებოდა. დაუძახებდნენ და ასკიაც უდრტვინველად, უსაყვედუროდ მიდიოდა, მიდიოდა, როგორც გზის ბეგარაში, ვენახში ან ყანაში, სასხლავში ან სათოხარში... იქ, შინაურ ან გარეშე მტერთან პირისპირ შეყრისას, ბევრი ნაცნობი თუ კარის მეზობელი, აგერ წუთის წინ რომ არხეინად გექაქანებოდა და ოხერ სიკვდილზე სულ არ ფიქრობდა, მტრის ტყვიით გულგანგმირული ეცემოდა, ანდა უღვთოდ დაკოდილდასახიჩრებულს, ოჯახის საუბედუროდ და სათავცემოდ, შინ მოაჯახირებდნენ...

ასკიას ჯერ არა უშავდა რა. ღვთისმოშიში ერმონიას მხურვალე ლოცვავედრება თუ რაღაც სხვა ძალა იფარავდა. მაგრამ როდემდე? როდემდე იპატიებდა გულმოწყალე მაღალი ღმერთი და მის მაგიერ, დიახ, სწორედ მის მაგიერ ისევ და ისევ სხვას გასწირავდა? ერთხელ ხომ ასკიასაც გაუტყდებოდა კოკა წყაროზე, ერთხელ ხომ იმასაც აუცდებოდა ფეხი და...

„ღმერთო, შენ შემეწიე! — წაიჩურჩულა უცნაურად გულაძგერებულმა და შუბლზე ღვარად მომსკდარი ოფლი ჩოხის სახელოთი შეიწმინდა. — ნუ დამიქცევ ოჯახს, ნამოსახლს ნუ დაარქმევ ჩემ ნაცოდვილარ სახლ-კარს!.. იცი შენ, რა წვითა და დაგვით დავდექი ფეხზე მე უბედური და უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილი!..“

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა აფრიდონიძე,
დავით ჯაბიძე

# დიადი გამარჯვება

1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, ფაშისტური გერმანიის არმიამ, მუხანათურად დაარღვია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთთავდაუსხმებლობის პაქტი და შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის სახმელეთო, საჰაერო და წყლის სივრცეებში. მტრის შეიარაღებული ძალები შედგებოდა საკუთრივ გერმანელთა 152 დივიზიისა და 2 ბრიგადის, აგრეთვე მის მოკავშირეთა 29 დივიზიისა და 16 ბრიგადისაგან. მოწინააღმდეგის ეს შენაერთები თავის რიგებში ითვლიდა 5,5 მილიონ მეომარს და აღჭურვილი იყო 48 ათასი ქვემეხითა და ნაღმსატყორცნით, 2800 ტანკით და თვითმავალი საარტილერიო დანადგარით, 4.950 საბრძოლო თვითმფრინავით. მათ მოქმედებას საზღვაო ასპარეზზე მხარს უჭერდა 193 სამხედრო ხომალდი.

გერმანიისა და მისი სატელიტების მთელი ეს შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნის სიღრმისაკენ დაიძრა სამი ძირითადი მიმართულებით: დაჯგუფება „ჩრდილოეთი" აღმოსავლეთ პრუსიიდან ლენინგრადისაკენ (სარდალი — ფელდმარშალი ლეები), დაჯგუფება „ცენტრი" ვარშავიდან მინსკ-სმოლენსკ-მოსკოვისაკენ (სარდალი — ფელდმარშალი ფონ ბოკი) და დაჯგუფება „სამხრეთი" ლიუბლინიდან ჟიტომირ-კიევ-დონბას-როსტოვისაკენ (სარდალი — ფელდმარშალი რუნდშტედტი). ავადმოსაგონარ „ბარბაროსას" გეგმას, რომლის საბოლოო ვარიანტიც ჰიტლერმა 1940 წლის 18 დეკემბერს დაამტკიცა, საფუძვლად ედო კლაუზევიცის, მოლტკეს და შლიფენის ოცნება „ელვისებურ ომზე". ფაშისტური გერმანიის გენერალიტეტი არა მარტო „ელვისებური ომის" თეორიული მემკვიდრეობის გამგრძელებლის როლში მოგვევლინა, არამედ მისი პრაქტიკული განხორციელებაც სცადა.

ომის პირველ ეტაპზე ფაშისტური გერმანიის არმიამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, რაც გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

1. ფაშისტური გერმანიის არმიას მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის მხრივ. მართალია, 1940 წელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილი იქნა 18,3 მილ. ტონა ფოლადი, საკუთრივ გერმანიაში კი — 19,1 მილ. ტონა (1937 წლის საზღვრებში), მაგრამ ფაშისტური გერმანიის ეკონომიური პოტენციალი მნიშვნელოვნად აჭარბებდა საბჭოთა კავშირისას იმის გამო, რომ მისთვის მუშაობდა თითქმის მთელი კონტინენტური ევროპის (შვეციისა და შვეიცარიის გამოკლებით) მრეწველობა. ამის გამო, იმავე 1940 წელს ფაშისტური გერმანიის განკარგულებაში იყო 30,9 მილ. ტონა ფოლადი — გერმანიის, მისი სატელიტებისა და მის მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნების მეტალურგიული მრეწველობის მთელი პროდუქცია. 1940 წლის დასაწყისიდან გერმანიისათვის მუშაობდა ევროპის ოკუპირებული ქვეყნების 57 თვითმფრინავმშენებელი და 17 მოტორმშენებელი ქარხანა, აგრეთვე სამხედრო მრეწველობის სხვა საწარმოები. გარდა ამისა, ევროპის ოკუპირებული ქვეყნების ძარცვით გერმანია ფარავდა თავისი სამხედრო ხარჯების ერთ მეექვსედ ნაწილს. ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელობა, უგულებელყოფდა რა საერთა-

შორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს, ფართოდ იყენებდა სამხედრო წარმოებაში უცხოელ მუშებსა და სამხედრო ტყვეებს 1942 წლის დასასრულისათვის გერმანიაში იყო 5,5 მილიონი უცხოელი მუშა (სამხედრო ტყვეების ჩათვლით), 1943 წლის გაზაფხულზე — 6,6 მილიონი, 1944 წლის სექტემბრისათვის კი — 7,5 მილიონი. ფაშისტური გერმანიის არმიის უახლესი ტექნიკით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ გერმანიის არმიამ დასავლეთ ევროპაში საომარი მოქმედების დროს ხელთ იგდო 180 დივიზიის შეიარაღება, მათ შორის, საფრანგეთის — 92, ჩეხოსლოვაკიის — 30, ბელგიის — 22, ინგლისის — 12, ჰოლანდიის — 18 და ნორვეგიის 6 დივიზიის შეიარაღება.

ამრიგად, საბჭოთა ეკონომიკას სამამულო ომის წლებში შეჯახება მოუხდა არა საკუთრივ გერმანიის, არამედ, ფაქტიურად, მთელი კონტინენტური ევროპის ეკონომიკასთან.

2. ფაშისტურ გერმანიას საომარი მოქმედება უხდებოდა მხოლოდ სსრ კავშირის წინააღმდეგ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე მასშტაბის საავიაციო თავდასხმებს ინგლისზე. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის დროისათვის გერმანიის ჯარების საერთო რაოდენობამ მიაღწია 8,5 მილიონ კაცს ამავე პერიოდისათვის საბჭოთა არმიაში იყო დაახლოებით 5 მილიონი მეომარი. გერმანიის ჯარების ძირითადი მასა თავმოყრილი იყო აღმოსავლეთის ფრონტზე. მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნამდე, ჩრდილოეთ აფრიკასა და შემდეგ იტალიაში, ინგლის-ამერიკის ჯარებთან ბრძოლებში დაკავებული იყო ვერმახტის სახმელეთო ძალების 1-დან 6,2 პროცენტამდე, დანარჩენი კი იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე, ან საგარნიზონო სამსახურს ეწეოდა გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში და სარდლობას ყოველთვის შეეძლო გამოეყენებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რაც შეეხება საბჭოთა სახელმწიფოს, მართალია სამხარ მოქმედებას ისიც მხოლოდ გერმანიის წინააღმდეგ აწარმოებდა, მაგრამ უმაღლესი მთავარსარდლობისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ სამხრეთით, ჩვენს სახელმწიფო საზღვართან იდგა თავით ფეხამდე შეიარაღებული თურქეთის 26 დივიზია, შორეული აღმოსავლეთის საზღვართან კი — კვანტუნის პირველხარისხოვანი არმია, რომელიც თავის რიგებში 1.200 ათას მეომარს ითვლიდა. ცნობილი იყო ისიც, რომ ეს არმიები ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს, რათა ამიერკავკასიასა და საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში შემოჭრილიყვნენ. ასე, რომ უმაღლესი მთავარსარდლობა იძულებული იყო ჯარის სათანადო შენაერთები დაებანდებინა სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრის ამ უბნებზე, რათა მოუმზადებელი არ შეხვედროდა თურქეთისა და იაპონიის შესაძლო აგრესიას ჩვენს ქვეყანაზე. ამავე დროს, რისკის გარეშე შეუძლებელი იყო ამ შენაერთების გადაყვანა დასავლეთით.

3. სსრ კავშირზე თავდასხმის დროისათვის ფაშისტურ გერმანიას მობილიზებული ჰყავდა მთელი ძალები: არმიაში გაწვეული იყვნენ თადარიგის სამხედრო მოსამსახურენი, შენაერთები კარგად გაწვრთნილი და ორგანიზებული ჰყავდა, მრეწველობა გარდაქმნილი ჰქონდა სამხედრო ყაიდაზე; ფაშისტურმა გენერალიტეტმა ევროპაში ომის წარმოებას თითქმის ორი წლის მანძილზე შეიძინა თანამედროვე პირობებში დიდი საჯარისო შენაერთების მართვისა და ჯარების გვარეობათა კოორდინირებული მოქმედების კარგი გამოცდილება. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო კი ასეთ ღონისძიებებს მტრის თავდასხმის შემდეგ ახორციელებს.

4. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოულოდნელობა. მართალია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი იყო ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მზადება, ჩვენი ქვეყნის დასავლეთის საზღვრებთან გერმანელთა და მის მოკავშირეთა დიდი საჯარისო შენაერთების თავმოყრა, მაგრამ საბჭოთა კავშირის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა არ მიეცა ფაშისტი მმართველებისათვის პროვოკაციის საშუალება და მიეღწია ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის თუნდაც ერთი წლით გადადებისათვის. ამასთან, მოულოდნელობა ჩვენ გვესმის როგორც საომარი მოქმედების უშუალოდ დაწყების მომენტის არცოდნა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა საზღვრისპირა ზონაში განლაგებული სამხედრო შენაერთები და განსაკუთრებით ავიაცია. ომის დაწყებისთანავე გერმანელთა ავიაცია თავს დაესხა ჩვენი სასაზღვრო ოლქების 66 აეროდრომს, რის შედეგადაც დღის პირველ ნახევარში ჩვენ დავკარგეთ 1.200 თვითმფრინავი: 300 მანქანა დაიღუპა საჰაერო ბრძოლებში, ხოლო 900 — აეროდრომებზე მოსპეს. მართალია, მტერმა ვერ შესძლო საბჭოთა ავიაციის პარალიზება, მაგრამ ეს ისეთი დანაკლისი იყო, რომლის გამოსწორებასაც რამდენიმე თვის დაძაბული მუშაობა დასჭირდა.

დასასრულ, როცა ომის პირველ პერიოდში წითელი არმიის წარუმატებლობათა მიზეზებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ცალკეულ ისტორიულ ნაშრომებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ხელოვნების ცალკეულ ქმნილებებში გავრცელდა ვერსია, თითქოს ი. ბ. სტალინს ბრალი მიუძღვის იმაში, რომ საბჭოთა ჯარები, სამამულო ომის დაწყებითი პერიოდისათვის, მზად არ იყვნენ

ბრძოლისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ვერსია ხალისით აიტაცეს ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა, სამხედრო ისტორიკოსებმა, ჟურნალისტებმა.

ეს ვერსია სინამდვილეს არ შეესაბამება. საყოველთაოდ ცნობილია ის უზარმაზარი ნახტომი, რაც საბჭოთა ეკონომიკამ გააკეთა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სათავეში ი. ბ. სტალინი იდგა. სწორედ ამ წლებში შეიქმნა არა მარტო სამხედრო ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ თვით თანამედროვე სამხედრო ეკონომიკაც. სწორედ ამ წლებში შეიქმნა სატანკო, საავიაციო, საავიაციო ძრავების, საარტილერიო, რადიოკავშირის საშუალებათა და სხვა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის დამამზადებელი სპეციალური ქარხნები. ჯარების შესაიარაღებლად მიღებული იქნა ისეთი ნიმუშის საბრძოლო იარაღი, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნების დონეზე იდგნენ და რაიმე მნიშვნელოვანი კორექტირების, ან საფუძვლიანი შეცვლის გარეშე გაუძლეს დიდი სამამულო ომის გამოცდას. ტექნიკურ სრულყოფასთან ერთად, ჩვენი მრეწველობა სულ უფრო მზარდი რაოდენობით აწვდიდა არმიას უახლესი კონსტრუქციის საბრძოლო ტექნიკას. ისიც ცნობილია, რომ მიმდინარეობდა წითელი არმიის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, რაც 1942 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მოვლენების განვითარებამ წინ უსწრო ამ პროცესს...

აქვე დავსძენთ, რომ როგორც მარშალი გ. ჟუკოვი წერს, ომის დაწყების დროისათვის „...დასავლეთის სასაზღვრისპირა ოლქებსა და ფლოტში ითვლებოდა 2,9 მილიონი კაცი, ათას ხუთასზე მეტი ახალი ტიპის თვითმფრინავი და მოძველებული კონსტრუქციის საკმაოდ ბევრი თვითმფრინავი, დაახლოებით 35 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი (50 მილიმეტრიანის გარდა), 1800 მძიმე და საშუალო ტანკი (ორი მესამედი ახალი ტიპისა) და დიდი რაოდენობის მსუბუქი ტანკები შეზღუდული მოტორესურსებით“ (გ. ჟუკოვი, მოგონებები და ფიქრები, თბ., 1970, გვ. 262). მართალია, ეს ძალები მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე თავდასხმის პერიოდში საბჭოთა ქვეყნის საზღვრებში შემოჭრილი ფაშისტური გერმანიის არმიის ადამიანთა და მატერიალური რესურსები, მაგრამ ვერც ერთი სამხედრო სპეციალისტი ვერ უარყოფს, რომ ასეთი ძალებით გაცილებით უკეთ შეიძლებოდა აქტიური თავდაცვის ორგანიზება, ვიდრე ეს მოხდა სინამდვილეში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ ყველაფერი რიგზე იყო, მაშ რა მოხდა? რატომ შესძლო ფაშისტურმა არმიამ ასე სწრაფად ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი რაიონების ხელში ჩაგდება? რატომ ვერ შეხვდნენ საბრძოლო მზადყოფნით დასავლეთის სასაზღვრო ოლქების ჯარები მტრის თავდასხმას? მოვიგონოთ რას წერს ავიაციის მთავარი მარშალი ა. გოლოვანოვი ამ საკითხთან დაკავშირებით წიგნში „შორი ბომბდამშენი“: „რატომ ჯარები საბრძოლველად მზად არ იყვნენ თუნდაც უკვე მაშინ, როცა ცხადი გახდა, რომ ხვალ ომი უნდა დაგვტეხოდა თავს და, როგორც ცნობილია, ამის შესახებ გაცემული იყო გარკვეული მითითებები? ვინ არის დამნაშავე, რომ ეს, თუნდაც ეპიზოდური მითითებები მაშინვე, თუნდაც მოსამზადებლად დარჩენილ დათვლილ საათებში, არ იქნა დაყვანილი ჯარებამდე? მრავალი წლის მანძილზე ფესვგამდგარი ვერსიის თანახმად თითქოს ყველაფერი სტალინს ბრალდება. ასე კი იყო ეს? მე ვფიქრობ, რომ გავა დრო, ობიექტურად იქნება შესწავლილი ყველა მასალა და მაშინ ყველაფერი ბოლომდე იქნება ნათქვამი. მოსკოვიდან მიღებული განკარგულების შემდეგ სამხედრო-საზღვაო ფლოტი ხომ ფაშისტური გერმანიის რეგულარული ჯარების შემოტევამდე მზად იყო საბრძოლველად!“ (ჟურნალი „ოქტიაბრ“, 1967, № 7, გვ. 168).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ სამამულო ომის ერთ-ერთი ცნობილი მხედართმთავრის ეს განცხადება საკმაოდ დამაფიქრებელია. ა. ე. გოლოვანოვისა არ იყოს, მართალია ჯერ არ არის შესწავლილი ყველა მასალა, მაგრამ ახლაც შეიძლება ითქვას ზოგი რამ:

როგორც გ. ჟუკოვი წერს თავის „მოგონებებსა და ფიქრებში“, ფაშისტური გერმანიის თავდასხმის წინა დღეებში თავდაცვის სახალხო კომისარმა ს. კ. ტიმოშენკომ ბალტიისპირეთის, დასავლეთის, კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქების სარდლებს რეკომენდაცია მისცა სახელმწიფო საზღვრის მიმართულებით ჩაეტარებინათ შენაერთთა ტაქტიკური სწავლება და სწავლების პროცესში ჯარები მიეახლოებინათ გაშლის რაიონებისათვის დაცვის გეგმის შესაბამისად. იმის გამო, რომ დივიზიის, კორპუსისა და საზენიტო არტილერიას არ ჰქონდა გავლილი საპოლიგონო საბრძოლო სროლა და არ იყო მომზადებული საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად, ოლქების სარდლებმა არტილერიის ნაწილი გაგზავნეს პოლიგონებზე სასროლო პროგრამის დასამთავრებლად. ამის შედეგად ზოგიერთ საარმიო კორპუსსა და დივიზიას გერმანიის არმიის თავდასხმის დროს არ აღმოაჩნდა თავისი არტილერიის დიდი ნაწილი (გვ. 279).

შემდეგ. ბრესტის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე განლაგებული იყო ორიოლის მე-6 წითელდროშოვანი და 42-ე მსროლელი დივიზიები. ომის დაწყების წინ ამ დივიზიების ძირი-

თადი ძალები ბრესტის მიდამოებში საზაფხულო საბანაკო სწავლებისათვის განალაგეს და თვით სიმაგრეში მხოლოდ შტაბები და პოლკების მორიგე ნაწილებიღა დარჩნენ. მტრის თავდასხმის მომენტისათვის ციხე-სიმაგრის მთელ ტერიტორიაზე გაფანტული იყო ერთ სამხედრო ორგანიზმად შეუკავშირებელი სხვადასხვა ნაწილების წვრილ-წვრილი ქვედანაყოფები. ციხე-სიმაგრეში მცირე რაოდენობით დარჩა ქვემეხები და ტანკები, რომელთა „დიდი ნაწილიც წინა საღამოს დაეშალათ მეორე დღეს, კვირას, საბრძოლო ტექნიკის დათვალიერებასთან დაკავშირებით“ (ს. სმირნოვი, „ბრესტის ციხე-სიმაგრე“, თბ., 1969, გვ. 28). თავის მხრივ, საზაფხულო სწავლებაზე გასულ ნაწილებს თითქმის არ ჰქონდათ საბრძოლო ტყვიაწამალი.

დასასრულ ერთი ფაქტიც. წითელი არმიის შეიარაღებაში ახალი ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების დანერგვამ მოითხოვა ძველი აეროდრომების გადაკეთება და ახლების აგება. გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ძველი აეროდრომების გადაკეთება უნდა განხორციელებულიყო 1941 წლის განმავლობაში რიგრიგობით, რომ ერთდროულად არ გამოსულიყვნენ მწყობრიდან. სინამდვილეში კი რა მოხდა? „დიდი სამამულო ომის ისტორიაში“ ვკითხულობთ: „სასაზღვრო აეროდრომების გარდაქმნის სამუშაოები მინდობილი ჰქონდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს. მათ ანგარიში არ გაუწიეს ვითარებას და 1941 წლის გაზაფხულზე ერთდროულად დაიწყეს საზღვრებთან ახლომდებარე მეტი წილი აეროდრომების გადაკეთება. ამის შედეგად აეროდრომთა მნიშვნელოვანი ნაწილი ომის დასაწყისისათვის ფაქტიურად უვარგისი აღმოჩნდა ექსპლუატაციისათვის; გამანადგურებელი ავიაცია მცირე რაოდენობის აეროდრომებზე შეჯგუფდა, რამაც მანევრირების, შენიღბვისა და გაშლის საშუალება მოუსპო მათ. გარდა ამისა, ზოგიერთი აეროდრომი, მაგალითად, დასავლეთის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში, საზღვართან ძალიან ახლოს გაიტანეს. ეს კი უეცარი თავდასხმის შემთხვევაში მტრისთვის ადვილად მისაწვდომ ობიექტად აქცევდა მათ. ჩვენ 1941 წლის 22 ივნისისათვის არ გვქონდა მზა სააეროდრომო ქსელი და საავიაციო ნაწილები შეჯგუფებულნი იყვნენ მშვიდობიანი დროის მცირერიცხოვან აეროდრომებზე, რომელთაგან ბევრს მტერი კარგად იცნობდა. ყოველივე ეს ომის პირველ დღეებში ჩვენი ავიაციის მძიმე ზარალის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. საჰაერო მეთვალყურეობის, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სამსახური დასავლეთის სასაზღვრო ზონაში ცუდად ჰქონდათ მოწყობილი. საავიაციო ნაწილები დროულად ვერ გებულობდნენ გერმანელ ფაშისტთა თვითმფრინავების გადმოფრენას ჩვენს საზღვრებზე“ („საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ისტორია, ტ. I, გვ. 476-477. რუს. ენაზე).

ამრიგად, ომის დაწყების მომენტისათვის საზღვრისპირა ზონაში განლაგებული საარმიო კორპუსებისა და დივიზიების მნიშვნელოვანი ნაწილის უარტილერიოდ დატოვება, მტრის თავდასხმის წინ პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრიდან გარნიზონის დიდი ნაწილის ველად გაყვანა ტყვია-წამლის გარეშე და ციხე-სიმაგრეში დატოვებული ქვემეხებისა და ტანკების დაშლა, მითითების საწინააღმდეგოდ სასაზღვრისპირა აეროდრომების მნიშვნელოვანი ნაწილის ერთდროული რეკონსტრუქციის დაწყება — განა ხელს არ შეუშლიდა მტრის მოგერიების საქმეს?

ხომ ცნობილია, რომ ფაშისტური გერმანიის არმიამ დიდ სტრატეგიულ წარმატებას მიაღწია ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის პირველ დღეებში. მათ სამ კვირაში მოახდინეს ლიტვის, ლატვიის, ბელორუსიის, მოლდავეთის, უკრაინის დიდი ნაწილის ოკუპაცია. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ გერმანიის არმიამ ვერც ერთი დასახლებული პუნქტის აღება ვერ შესძლო იმ დროისათვის, რომელიც „ბარბაროსას“ გეგმით იყო გათვალისწინებული. ეს გეგმა, მიუხედავად ფაშისტური არმიის დიდი წარმატებებისა, თავიდანვე განწირული აღმოჩნდა. ამის მიზეზი, გარდა თვით ამ გეგმის მცდარი საფუძვლისა, ის იყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ომამდელი ათეული წლების მანძილზე შესძლო დაერაზმა საბჭოთა ხალხი მტერზე გამარჯვების სულისკვეთებით, მოეხდინა ყველა რესურსების მობილიზაცია მტრის თავდასხმის მოგერიებისათვის, თავიდანვე დაესახა გერმანელთა არმიის მოქანცვისა და საბჭოთა არმიის ახალი შენაერთების ორგანიზაციის სწორი გზა, შეემუშავებინა სწორი სტრატეგია და ტაქტიკა საომარი მოქმედების ამა თუ იმ პერიოდისათვის, რასაც საბოლოო შედეგად მოჰყვა ფაშიზმზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ომის დაწყებისთანავე განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანიც იყო ხანგრძლივი ომისათვის ქვეყნის მომზადების ორგანიზაცია.

საკ. კპ (ბ) ცკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 23 ივნისის დადგენილებით ფრონტების საომარ მოქმედებათა ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბანაკი. შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო და მტრის თავდასხმის მოსაგერიებლად სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალების სწრაფი მობილიზაციის მიზნით საკ. კპ (ბ) ცკ-ის, სსრ კავშირის

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 30 ივნისის დადგენილებით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში თავმოყრილი იქნა მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში, გაერთიანებული იქნა ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო ხელმძღვანელობა.

შეიარაღებული ძალებისადმი უშუალო სტრატეგიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა მთავარსარდლობის ბანაკი, რომელიც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 10 ივლისის დადგენილებით გარდაქმნილ იქნა უმაღლესი სარდლობის ბანაკად ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, რომელიც დანიშნული იქნა თავდაცვის სახალხო კომისრადაც. იმავე წლის 8 აგვისტოს ი. ბ. სტალინი დაინიშნა შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად, უმაღლესი სარდლობის ბანაკი კი გარდაიქმნა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკად

სამამულო ომის გამოჩენილი მხედართმთავრები თავიანთ მოგონებებში ხაზგასმით მიუთითებენ, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მიერ შეიარაღებული ძალებისადმი ხელმძღვანელობის დამახასიათებელი იყო კოლექტიურობა. სტრატეგიული გადაწყვეტილება მუშავდებოდა გენერალურ შტაბში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის რომელიმე წევრის მონაწილეობით და წინასწარ განიხილავდა უმაღლესი მთავარსარდალი, ხოლო ამტკიცებდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესწავლილი იქნებოდა იმ ფრონტის სარდლისა და სამხედრო საბჭოს წევრის, აგრეთვე შეიარაღებულ ძალთა სახეობების იმ სარდლის მიერ, რომელთაც შემდეგ პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინათ იგი. მიღებული გადაწყვეტილება დაიყვანებოდა შემსრულებლებამდე დირექტივის სახით, რომელსაც ხელს აწერდნენ უმაღლესი მთავარსარდალი და გენერალური შტაბის უფროსი.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ძირითად მუშა ორგანოს წარმოადგენდა გენერალური შტაბი, რომელსაც უაღრესად დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უხდებოდა. გენერალურ შტაბს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ყველა ფრონტთან და არმიების უმრავლესობასთან. ამას გარდა, ფრონტებისა და არმიების შტაბებთან, 1942 წლიდან კი ცალკე სატანკო და მექანიზებულ კორპუსებთან იმყოფებოდნენ გენერალური შტაბის ოფიცრები. ეს საშუალებას იძლეოდა დროულად შეემოწმებინათ დასახულ ამოცანათა შესრულება, ხოლო ვითარების მკვეთრი შეცვლის შემთხვევაში ახალი ამოცანები დაესახათ, ან ფრონტის შტაბთან კავშირის გაწყვეტისას თავის თავზე აეღოთ არმიების მართვა.

დაიწყო დიდი ორგანიზატორული მუშაობა ფრონტის სტაბილიზაციის, რეზერვების მობილიზაციისა და წითელი არმიის ახალი შენაერთების ფორმირებისა და გაწვრთნისათვის; მთელ ამ მუშაობას საფუძვლად დაედო პარტიის ცკ-ის 29 ივნისის დირექტივა, რომლის ძირითადი დებულებებიც ხალხს გააცნო ი. სტალინმა 3 ივლისს რადიოთი გამოსვლის დროს. ამ დოკუმენტებით პარტიამ ხალხს უთხრა სიმართლე იმ დიდი საფრთხის შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს დაემუქრა, ამასთანავე დასახა კონკრეტული ღონისძიებები და საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგა იმის რწმენა, რომ მტრის განადგურება და საბჭოთა ხალხის გამარჯვება გარდუვალი იყო.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ერთდროულად მოუხდა ორიურთულესი პრობლემის გადაჭრა: ქვეყნის სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა და ფრონტისპირა რაიონებიდან მრეწველობის ევაკუირება.

საკ. კპ (ბ) ცკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 24 ივნისის დადგენილებით შეიქმნა ევაკუაციის საბჭო. საბჭომ უდიდესი მუშაობა ჩაატარა. მარტო 1941 წლის ივლის-ნოემბერში აღმოსავლეთში გადატანილი იქნა 1.523 სამრეწველო საწარმო, ევაკუირებული იქნა 10 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე. სინამდვილეში ეს იყო მთელი ინდუსტრიული ქვეყნის გადაადგილება ათასობით კილომეტრზე. ამ ეტაპზე ურალსა და ციმბირში გადატანილი იქნა საავიაციო ქარხნების 85 პროცენტი, შეიარაღების მწარმოებელი ქარხნების თითქმის სამი მეოთხედი, ყველა სატანკო ქარხანა.

მიუხედავად აღმოსავლეთში სამრეწველო ობიექტების ევაკუაციისა და საომარ ყაიდაზე გარდაქმნის სიძნელეებისა. ჩვენი ქვეყნის მრეწველობა სულ უფრო მეტი რაოდენობით აწოდებდა არმიას თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას.

1942 წლის შუა პერიოდისათვის საბჭოთა ხალხმა დაამთავრა საომარ ყაიდაზე სახალხო მეურნეობის გარდაქმნა. წლის ბოლოსათვის კი სსრ კავშირის მრეწველობა უფრო მეტ თვითმფრინავს, ტანკს და სხვა საბრძოლო იარაღსა და საომარ მასალებს აწარმოებდა, ვიდრე გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების მრეწველობა.

მართალია, ფაშისტური არმია სწრაფად მოიწევდა ჩვენი ქვეყნის სიღრმისაკენ, მაგრამ იგი ყველგან ხვდებოდა წითელი არმიის გმირულ წინააღმდეგობას. აღსანიშნავია, რომ ფაშისტ სტრატეგთა ყველა ვარაუდი დაამსხვრია წითელი არმიის მეომართა გმირობამ.

საბჭოთა მეომრები სჩადიოდნენ გმირობას, რომლის მსგავსიც არ ჩაუდენია კაპიტალისტუ-

რი ქვეყნების არმიების არც ერთ მეომარს. ოქროს ასოებით ჩაიწერა სამამულო ომის ისტორიაში ბრესტის, ოდესის, კიევის, სმოლენსკის, სევასტოპოლის ბრძოლები. აქ მამაცმა საბჭოთა მეომრებმა ხანგრძლივად შეაჩერეს ფაშისტური სამხედრო მანქანა და ქვეყნის ხელმძღვანელობას საშუალება მისცეს მოეწყო მტრის მოგერიების ორგანიზაცია.

ივლისში გერმანელთა და ფინელთა ჯარები ლენინგრადს მიადგნენ. ლენინგრადის ფრონტის ხაზი გადიოდა ჩრდილოეთით 45-50 კმ-ზე, კიროვის ქარხნიდან კი — სულ 6 კმ-ზე. დაიწყო გმირი ქალაქის ბლოკადა. ფაშისტებს ვერაგული ზრახვები ჰქონდათ ლენინგრადის მიმართ. ერთ-ერთ გერმანულ დირექტივაში ნათქვამია: „ფიურერმა გადაწყვიტა პირისაგან მიწისა წაშალოს ქალაქი პეტერბურგი... წინადადება გეძლევათ მოახდინოთ ქალაქის მჭიდრო ბლოკირება და ყველა კალიბრის არტილერიის ცეცხლით და ჰაერიდან განუწყვეტელი დაბომბვით მიწასთან გაასწოროთ იგი“. გერმანელთა პრესა იკვეხნიდა, რომ მათი არმია ლენინგრადსაც ისევე ადვილად აიღებდა, როგორც აიღო პარიზი. მათ ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე ჯარების აღლუმის დღეც კი დანიშნეს. შერჩეული იქნა ქალაქის კომენდანტიც.

ჰიტლერელებმა მართლაც ყველაფერი გააკეთეს ლენინგრადის დასანგრევად. 1941 წლის სექტემბერ-ნოემბერში მათ ქალაქს ესროლეს 24.184 ყუმბარა. ამავე პერიოდში მტრის ავიაციამ ქალაქში ჩამოაგდო 65 ათასი ცეცხლგამჩენი და 3 ათასზე მეტი ფუგასური ბომბი. მოკლული და დაჭრილ იქნა ათასობით ლენინგრადელი. ბლოკირებულ ქალაქში ყინვა და შიმშილი მძვინვარებდა, რომლისგანაც 1942 წლის იანვარში ყოველდღიურად იღუპებოდა ათასობით ადამიანი. სულ ბლოკადის პერიოდში შიმშილით დაიღუპა 641.803 ლენინგრადელი. მაგრამ ვერაფერმა გატეხა მრავლისმნახველი ლენინგრადის მცხოვრებლები. რევოლუციის აკვანი მიუვალ ციხე-სიმაგრედ იდგა და ასეთად დარჩა ბოლომდე. ქალაქის ყველა მცხოვრები, როგორც ერთი კაცი, აღსდგა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ათასობით ლენინგრადელი ნებაყოფლობით დგებოდა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მათგან შეიქმნა სახალხო ლაშქრის ათი დივიზია და 16 საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ბატალიონი, მტრის ზურგში გაიგზავნა 7 პარტიზანული პოლკი და 67 პარტიზანული რაზმი, ჩამოყალიბდა 90 გამანადგურებელი და 79 მუშა ბატალიონი, რომელთა დიდი ნაწილიც მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში.

ქალაქის მცხოვრებლები, ძირითადად ქალები და ახალგაზრდები, მუშაობდნენ თავდაცვითი სიმაგრეების აგებაზე. 1941 წელს თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაზე ყოველდღიურად გამოდიოდა 133 ათასი კაცი, რაც ქალაქის მოსახლეობის მასობრივი შრომითი გმირობის მკაფიო დადასტურებაა.

გერმანელები ლენინგრადის მოსპობას ცდილობდნენ. ქალაქის მცხოვრებნი კი, მიუხედავად ყინვის, შიმშილისა და განუწყვეტელი დაბომბვისა, იბრძოდნენ, შრომობდნენ, აშენებდნენ. ლენინგრადელთა სწორედ ამ საბრძოლო და შრომითმა მამაცობამ დაამსხვრია ჰიტლერელთა ყველა ვარაუდი.

მთელი ამ გრანდიოზული ღონისძიებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ლენინის ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, რომლის რიგებიც განუწყვეტლივ ივსებოდა. საუკეთესონი საუკეთესოთა შორის მშობლიური კომუნისტური პარტიის რიგებში შედიოდნენ და ამით გამოხატავდნენ მზადყოფნას — მომკვდარიყვნენ, მაგრამ არ დაეთმოთ მშობლიური ქალაქი. ომის პირველ წელს ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 11.419 კაცი, სულ კი ომისა და ბლოკადის პერიოდში პარტიაში შევიდა 67.536 ლენინგრადელი.

ოქტომბრის დასაწყისში გერმანელებმა დაიწყეს გენერალური შეტევა მოსკოვზე. აღმოსავლეთის ფრონტის ჯარებისადმი სპეციალურ მიმართვაში ჰიტლერი წერდა: „...ჯარისკაცებო! თქვენს წინ მოსკოვია! ორი წლის განმავლობაში კონტინენტის ყველა დედაქალაქმა ქედი მოიხარა თქვენს წინაშე... დარჩა მოსკოვი. აიძულეთ იგიც ქედი მოიხაროს, უჩვენეთ მას თქვენი იარაღის ძალა, გაიარეთ მის მოედნებზე. მოსკოვი — ეს ომის დასასრულია“.

გერმანელებს სურდათ მოსკოვი არა მარტო აეღოთ, არამედ მისი მცხოვრებლებიანად მოესპოთ იგი, წაეშალათ რუკიდან ჩვენი სამშობლოს გული. ნიურნბერგის პროცესის მასალებში გამოქვეყნებულია ჰიტლერის დირექტივა, რომელშიც ნათქვამია: „ქალაქი ისეთ გარემოცვაში უნდა მოვაქციოთ, რომ იქედან ვერ გააღწიოს ვერც ერთმა რუსმა ჯარისკაცმა, ვერც ერთმა მცხოვრებმა, სულ ერთი იქნება ის მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი. ქალაქიდან გასვლის ყოველგვარი ცდა ძალის მეშვეობით უნდა აღვკვეთოთ. საჭიროა განვახორციელოთ აუცილებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ უდიდეს ნაგებობათა გამოყენებით მთლიანად დავფაროთ წყლით მოსკოვი და მისი შემოგარენი.

იქ, სადაც ახლა მოსკოვია, შეიქმნება ზღვა, რომელიც სამუდამოდ დაფარავს ცივილიზებული მსოფლიოს თვალთაგან რუსი ხალხის დედაქალაქს“.

მოსკოვი საფრონტო ქალაქი გახდა. ქალაქის როგორც კულტურულ-ეკონომიურ, ისე თავდაცვით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა კომუნისტური ორგანიზაცია. მოსკოვის პარ-

ტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფრონტს მისცეს 100 ათასზე მეტი კომუნისტი და 260 ათასი კომკავშირელი. ამავე დროს, დედაქალაქის პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების რიგები განუწყვეტლივ ივსებოდა კომუნისტური პარტიის საქმის ერთგული ადამიანებით. 13 ოქტომბერს შედგა მოსკოვის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც მოუწოდა მოსკოვის ყველა მშრომელს ეწარმოებინათ შეუპოვარი ბრძოლა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, განემტკიცებინათ დისციპლინა.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იქნა სახალხო ლაშქრის 12 დივიზია, რომელთა პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარს კომუნისტები და კომკავშირლები შეადგენდნენ. 42 ათასი მოსკოველი შევიდა მოსკოვის საჰაერო დაცვის ჯარებში და გამანადგურებელ ბატალიონებში. მოსკოვის მისადგომების მიჯნაზე 1941 წლის შემოდგომაზე გაიშალა დიდი თავდაცვითი სამუშაოები, რომელთა მასშტაბებზე წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი მონაცემები: სულ აგებული იქნა 5,5 ათასი საცეცხლე ნაგებობა და 1.350 გრძივი კილომეტრი ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და ესკარპები.

ქალაქის უახლოესი მისადგომების მთელმა თავდაცვითმა სისტემამ მიიღო თავდაცვის მოსკოვის ზონის სახელწოდება. მასში შედიოდა მოსკოვის გარნიზონი, სახალხო ლაშქრის დივიზიები და უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის ჯარები.

ქალაქის მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით აღფრთოვანებული დასავლეთის ფრონტის ჯარები მეომრული შემართების, მამაცობისა და გმირობის სასწაულებს ახდენდნენ და ოქტომბრის ბოლოსათვის შეძლეს ფრონტის სტაბილიზება.

როგორც ადრე, მშვიდობიან წლებში, 1941 წლის 6 ნოემბერს ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, სადაც მოხსენება გააკეთა ი. ბ. სტალინმა. მოხსენებაში ი. ბ. სტალინმა ანალიზი გაუკეთა ომის ოთხი თვის შედეგებს, ცხადყო „ელვისებური ომის“ გეგმის უნიადაგობა და მისი ჩაფუშვის გარდუვალობა, დაასაბუთა წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები, ამხილა ფაშისტური „ნაციონალ-სოციალისტური“ პარტიის იმპერიალისტური, მტაცებლური, ავაზაკური ზრახვები, დაასაბუთა გერმანელი იმპერიალისტებისა და მისი მოკავშირეების არმიების განადგურების გარდუვალობა და დასახა საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის წინაშე მდგომი ამოცანები და ამ ამოცანების გადაწყვეტის გზები.

ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის შემდეგ ადვილ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ჰიტლერმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე მიიღებდა გერმანიის არმიის პარადს. გერმანიის არმიის ოფიცრებმა საპარადო მუნდირები გამოიწერეს. უფრო მეტიც. ომის შემდგომ გებელსის არქივში ნაპოვნი იქნა მოსკოვში ჰიტლერელთა ჯარების პარადზე დასასწრები მოსაწვევი ბარათები და ზეიმის დღეებში გამოსაცემი გაზეთები, რომლებიც იუწყებოდნენ მოსკოვის აღებას და რომლებშიც მოთავსებული იყო პარადის ანგარიში.

ისტორიამ ერთხელ კიდევ დასცინა ფაშისტური გერმანიის მესვეურებს.

1941 წლის 7 ნოემბერს მსოფლიომ გაოცებით მოისმინა მოსკოვის რადიოს ცნობა, რომ იწყებოდა წითელი არმიის ჯარების პარადის ტრანსლაცია წითელი მოედნიდან. დიახ. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იყვნენ პარტიის ცკ-ის, საბჭოთა მთავრობის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, წითელი არმიის გენერალიტეტის ხელმძღვანელი ამხანაგები, მოედანზე კი გარინდებული იდგნენ სხვადასხვა გვარეობათა ჯარების შენაერთები. მავზოლეუმის ტრიბუნიდან სიტყვა წარმოთქვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა. იგი მიესალმა და საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის სახელით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავი მიულოცა წითელარმიელებსა და წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, მუშებსა და მუშა-ქალებს, კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, ინტელიგენტური შრომის მუშაკებს, მტრის ზურგში მყოფ ჩვენს ძმებსა და დებს, სახელოვან პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს.

შემდეგ მავზოლეუმის ტრიბუნის წინ მწყობრი, მხნე ნაბიჯებით ჩაიარეს სრული საბრძოლო ტექნიკით და საომარი მასალების კომპლექტით აღჭურვილმა შენაერთებმა და ამ ისტორიული პარადის მონაწილენი წითელი მოედნიდან პირდაპირ ფრონტის მოწინავე ხაზზე გაემართნენ და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ.

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომამ და წითელ მოედანზე წითელი არმიის პარადმა მტერზე გამარჯვების რწმენა განუმტკიცა, ახალი შრომითი და საბრძოლო გმირობისათვის აღაფრთოვანა არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ დამონებული ევროპის ხალხები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი.

ნოემბრის შუა რიცხვებში გერმანელებმა მეორე დიდი შეტევა წამოიწყეს მოსკოვზე. გა-

ჩადდა კიდევ უფრო გაფთრებული ბრძოლები. საბჭოთა მეომრების მამაცობამ და თავდადებამ იხსნა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი. აღსანიშნავია გენერალ ი. ვ. პანფილოვის 316-ე მსროლელი დივიზიის მეომართა მასობრივი გმირობა. 16 ნოემბერს ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე, დუბოსეკოვის ასაქცევზე ამ დივიზიის 1075-ე პოლკის 28 ჯარისკაცმა ასეულის პოლიტხელ ვ. გ. კლოჩკოვის ხელმძღვანელობით მოიგერია გერმანელთა 50 ტანკისა და მეავტომატეთა ორი იერიში, მოსპო მტრის 32 ტანკი და მეავტომატეთა ჯგუფი და დაკავებული პოზიცია შეინარჩუნა. თითქმის ყველა ისინი დაეცნენ მამაცთა სიკვდილით, მაგრამ თავიანთი ვალი შეასრულეს (ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ორი მებრძოლი — შემიაკინი და შადრინი). ამ ბრძოლის ხელმძღვანელის, პოლიტხელ ვ. გ. კლოჩკოვის სიტყვები: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკანდასახევი ადგილი აღარსად არის, ჩვენს უკან მოსკოვია" დედაქალაქის გმირ დამცველთა ლოზუნგად იქცა.

1941 წლის 5-6 დეკემბერს საბჭოთა ჯარები მოსკოვთან კონტრიერიშზე გადავიდნენ, რის შედეგადაც მოკლე დროში გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული იქნა მნიშვნელოვანი ტერიტორია. ეს იყო მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის არმიის პირველი დამარცხება. ამავე პერიოდში წითელმა არმიამ კონტრშეტევა განახორციელა ფრონტის რამდენიმე სხვა უბანზეც, რის შედეგადაც განთავისუფლებული იქნა მოსკოვის, ტულისა და რიაზანის ოლქები, ლენინგრადის, კალინინის, სმოლენსკის, ორიოლის, კურსკის, ხარკოვის, დონეცკის ოლქების ნაწილი და ქერჩის ნახევარკუნძული.

1942 წლის გაზაფხულისათვის უპირატესობას როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო საჭურვლისა და საომარი მასალების მხრივ კვლავ გერმანიის არმია ინარჩუნებდა. ამ დროს დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა ყირიმისა და ქერჩის ნახევარკუნძულებზე. მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლობის ნებართვის შემდეგ 1942 წლის 4 ივლისს დასტოვეს მამაცმა საბჭოთა მეომრებმა საზღვაო დიდების ქალაქი — სევასტოპოლი, რომელსაც 250 დღის განმავლობაში იცავდნენ. სამშობლომ მრავალი მათგანის გმირობა და თავდადება აღნიშნა მთავრობის ჯილდოებით, მამაცთა შორის უმამაცეს 37 სევასტოპოლელს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მათ შორის არიან სნაიპერი-მეზღვაური, ზემდეგი ნოე პეტრეს ძე ადამია, უმცროსი პოლიტხელი მიხეილ ლევანის ძე გახოკიძე და საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონის მეთაური, კაპიტანი არკადი სპირიდონის ძე გვეშიძე.

ფაშისტური გერმანიის სარდლობამ 1942 წლის ზაფხულისათვის ამოცანად დაისახა საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბოლოო განადგურება და სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დამთავრება. მაგრამ გერმანიის არმიას აღარ შესწევდა ძალა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე დაეწყო შეტევა და სევასტოპოლის აღების შემდეგ შეტევა განავითარა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მათი მიზანი იყო ხელთ ეგდოთ დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი — სტალინგრადი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი კავკასია.

საბჭოთა სარდლობა არა მარტო სტალინგრადის დაცვისათვის ზრუნავდა, არამედ სათანადო რეზერვებს ამზადებდა, რომ ხელსაყრელ დროს კონტრშეტევა განეხორციელებინა. კონტრშეტევის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ უმაღლესი მთავარსარდლობა, გენერალური შტაბი და ფრონტების სამხედრო საბჭოები. ეს ოპერაცია გამოირჩეოდა სტრატეგიული ჩანაფიქრის გაბედულებით, დიდი გაქანებით, მიზნის სიცხადით. 1942 წლის 13 ნოემბერს ეს გეგმა დამტკიცებული იქნა პარტიის ცკ-ისა და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ერთობლივ სხდომაზე.

ამ გეგმის შესაბამისად 19 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთისა და დონის, 20 ნოემბერს კი სტალინგრადის ფრონტის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე და გაარღვიეს მტრის თავდაცვა. 23 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისა და სტალინგრადის ფრონტის სატანკო და მექანიზებული ნაწილები დასახლებულ პუნქტ სოვეტსკის რაიონში შეერთდნენ და ამით შეიკრა რკალი დონსა და ვოლგას შორის მდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ გერმანელთა დივიზიების გარშემო. ალყაში აღმოჩნდა გერმანელთა მე-6 საერთო-საჯარისო და მე-4 სატანკო არმიები 22 დივიზიისა და 160 ცალკე ნაწილის შემადგენლობით. ალყაშემორტყმული იყო 330 ათასი გერმანელი მეომარი.

დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა მტრის ალყაშემორტყმული შენაერთების გასანადგურებლად. უსაზღვრო იყო საბჭოთა მეომრების მამაცობა. 30 ნოემბერს, ალყაშემორტყმული მტრის განადგურებისას, უკვდავი გმირობა ჩაიდინა კაპიტანმა ნიკოლოზ გიორგის ძე აბრამიშვილმა. მან ერთ საჰაერო ბრძოლაში ფაშისტთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო, მაგრამ მის თვითმფრინავსაც ცეცხლი გაუჩნდა. საბჭოთა ჯარების განლაგებამდე მისვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მაგრამ მფრინავმა ტყვედ ჩავარდნას გმირული სიკვდილი არჩია. აბრამიშვილმა თავისი თვითმფრინავი მიმართა მტრის ჯარების განლაგებისაკენ. ძვირად დაუჯდა მტერს გმირის სიკვდილი: მასთან ერთად აფეთქდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

მტრის გარშემო ალყა სულ უფრო ვიწროვ-

დებოდა, თუმცა გერმანიის სარდლობა რეალურად ვერ აფასებდა შექმნილ მდგომარეობას. 1943 წლის 27 იანვრის ცნობაში იგი იუწყებოდა: „ვერავითარი ძალა ვერ გასტეხს გერმანიის ჯარების წინააღმდეგობას. სტალინგრადის ყველაზე მაღალი შენობის თავზე გერმანიის ვერმახტის სვასტიკიანი დროშა განაგრძობს ფრიალს“.

განვლო ხუთმა დღემ, და 1943 წლის 2 თებერვალს პაულიუსის განადგურებული არმიის ნაშთებმა იარაღი დაყარეს. ბრძოლის ველზე აკრეფილი იქნა 147.200 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. ტყვედ იქნა წამოყვანილი 91 ათასი კაცი, მათ შორის 2.500-ზე მეტი ოფიცერი და 24 გენერალი, ფელდმარშალ პაულიუსთან ერთად.

სტალინგრადთან გერმანელების განადგურება იყო ძირეული გარდატეხის დასაწყისი არა მარტო დიდ სამამულო, არამედ მთელ მეორე მსოფლიო ომში.

სტალინგრადის პარალელურად, 1942 წლის 25 ივლისს, გერმანელ-ფაშისტთა ჯარებმა მდ. დონის ნაპირებიდან შეტევა დაიწყეს კავკასიის მიმართულებით და შედარებით მოკლე დროში დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი რაიონები და მალე ბრძოლა გააჩაღეს ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან და კავკასიონის მთავარი ქედის გადასასვლელებზე.

მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა შეძლეს მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების მოქანცვა, სექტემბრის დასასრულისათვის კი შეჩერებული იქნა მოწინააღმდეგის შემოტევა. მართალია, ოქტომბერ-ნოემბერშიც გრძელდებოდა მტრის მოძალება ფრონტის ცალკეულ უბნებზე, მაგრამ მათ უკვე აღარ შეეძლოთ რაიმე სერიოზული წარმატებების მოპოვება.

კავკასიის დაცვის, შემდეგ კი გერმანელთა ჯარების განდევნაში მრავალმა ათასმა საბჭოთა მეომარმა ისახელა თავი. მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურეს ქართველმა მეომრებმა, ათეულის მეთაურმა ნიკოლოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილმა, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კანკავამ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ სამსონის ძე ლურსმანაშვილმა, უფროსმა ლეიტენანტმა ალექსი ზაქარიას ძე პირმისაშვილმა.

სტალინგრადთან ფაშისტთა ჯარების განადგურებამ შესაძლებელი გახადა წითელი არმიის მძლავრი შეტევა ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ზემო და ქვემოწელის რაიონში, ვორონეჟთან, ფრონტის ცენტრალურ უბანზე და ლენინგრადთან. ამრიგად, დაიწყო მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა ტერიტორიიდან.

მაგრამ ვერმახტის სარდლობას არ სურდა შერიგებოდა მარცხს აღმოსავლეთის ფრონტზე. მან მოახდინა თავისი ადამიანთა და მატერიალური რესურსების ტოტალური მობილიზაცია და 1943 წლის ზაფხულში დაიწყო ახალი შეტევა კურსკის შვერილის რაიონში. გერმანიის არმია ამ ბრძოლაშიც დამარცხდა.

კურსკის ბრძოლით დამთავრდა ძირეული გარდატეხა დიდ სამამულო და მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ამის შემდეგ გერმანელთა არმიამ ვეღარ შეძლო სტრატეგიული შეტევის წამოწყება აღმოსავლეთის ფრონტზე. ამიერიდან იგი მხოლოდ თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა.

კურსკის ბრძოლის შემდეგ წითელმა არმიამ განახორციელა ძლევამოსილი შეტევა, რის შედეგადაც გაათავისუფლა დონბასი, მარცხენა ნაპირის უკრაინა, შემდეგ წარმატებით გადალახა მდ. დნეპრი, ხოლო 1944 წელს მთლიანად გაათავისუფლა საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელ დამპყრობთაგან და შევიდა რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ფინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის ტერიტორიაზე.

1944 წლის ოპერაციების ნაწილი საბჭოთა არმიამ ისეთ ვითარებაში ჩაატარა, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მოკავშირეებმა გახსნეს მეორე ფრონტი (6 ივნისს). მეორე ფრონტის გახსნას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედების შემდგომი მსვლელობისათვის როგორც სამხედრო, ისე, განსაკუთრებით, მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, შევნიშნოთ, რომ ამ დროისათვის ევროპაში საომარი მოქმედების ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. მეორე ფრონტის გახსნამ ვერ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდა საბჭოთა სარდლობა: მოკავშირეთა უნიათო მოქმედებამ ვერ მიიზიდა გერმანელთა ძალები აღმოსავლეთის ფრონტიდან.

საბჭოთა არმიის წინაშე 1945 წლის კამპანიის დროს იდგა უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა: გაენადგურებინა გერმანელ ფაშისტთა არმიები აღმოსავლეთ პრუსიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, გერმანიის აღმოსავლეთ რაიონებში და ავსტრიაში, დაემთავრებინა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების განთავისუფლება და ანტიჰიტლერული კოალიციის ჯარებთან ერთად აეძულებინა ფაშისტური გერმანია, მოეხდინა უსიტყვო კაპიტულაცია.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა არმიასთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ჯარები. წითელ არმიას ეხმარებოდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლები. ანტიფაშისტურ ბრძოლაში მნიშ-

ვნელოვანი წვლილი შეიტანა სლოვაკიის ნაციონალურმა აჯანყებამ, აჯანყებამ პრაღასა და ვარშავაში, აჯანყებამ ბულგარეთსა და რუმინეთში.

**1945** წლის ოპერაციებიდან ჩვენ მხოლოდ ბერლინის ოპერაციაზე შევჩერდებით.

**1945** წლის **16** აპრილს ბელორუსიის პირველი (სარდალი მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი კ. თ. ტელეგინი, შტაბის უფროსი გენერალი მ. ს. მალინინი) და უკრაინის პირველი (სარდალი მარშალი ი. ს. კონევი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი კ. ვ. კრაინიუკოვი, შტაბის უფროსი გენერალ ი. ე. პეტროვი), რამდენიმე დღის შემდეგ კი ბელორუსიის მეორე (სარდალი მარშალი კ. კ. როკოსოვსკი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ნ. ე სუბოტინი, შტაბის უფროსი გენერალი ა ნ. ბოგოლიუბოვი) ფრონტები იწყებენ ბერლინის ოპერაციას. მასში მონაწილე ადამიანთა რესურსებითა და ტექნიკით ბერლინის ოპერაცია უდიდესია კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ყველა დიდ ბრძოლათა შორის. სამივე საბჭოთა ფრონტის მოქმედების კოორდინაციას უშუალოდ უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ სტალინი ახორციელებდა. მალე საბჭოთა შენაერთები ჯერ გარსშემოერტყნენ ფაშისტურ ბუნაგს, შემდეგ კი შიგ შეიჭრნენ და დაუნდობლად გაანადგურეს მტრის უკანასკნელი ნაშთები. განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლები გაჩაღდა რაიხსტაგის რაიონში, რომელსაც იცავდა ტანკებით, თვითმავალი საარტილერიო დანადგარებითა და არტილერიით კარგად აღჭურვილი ესესელთა **6.000** კაციანი რჩეული შენაერთი. საბჭოთა მეომრებს დაძაბული ბრძოლით უხდებოდათ შენობის თითოეული ოთახისა და სართულის აღება. ამ ბრძოლის დროს, პირველი მაისის ღამით **150**-ე დივიზიის **756**-ე პოლკის მზვერავებმა მ. ა. ეგოროვმა და მ. ვ. ქანთარიამ რაიხსტაგის გუმბათზე აღმართეს მე-**3** დამკვრელი არმიის სამხედრო საბჭოს დროშა — გამარჯვების დროშა.

ბერლინის დაცემის შემდეგ თვით გერმანელებისათვისაც ცხადი გახდა, რომ ფაშიზმმა მათ მხოლოდ სამარცხვინო დამარცხება, ნგრევა და სიკვდილი მოუტანა.

**1945** წლის **9** მაისს, **0** საათსა და **43** წუთზე ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში — კარლსჰორსტში, გერმანიის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის ყოფილი სასადილოს ორსართულიანი შენობის ერთ-ერთ დარბაზში დამთავრდა უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერის ცერემონია.

ფაშისტური სამხედრო მანქანის განადგურების ძირითადი სიმძიმე საბჭოთა ხალხმა გადაიტანა. სწორედ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადაწყდა ცივილიზებული კაცობრიობის ბედი. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს შემდეგი მონაცემები: სულ საბჭოთა არმიამ ომის მსვლელობაში გაანადგურა **507** გერმანული და გერმანიის სატელიტი ქვეყნების **100** დივიზია. მოკავშირეებმა კი დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში გაანადგურეს მტრის **176** დივიზია.

გერმანიამ მეორე მსოფლიო ომში დაკარგა **13,6** მილიონი კაცი. აქედან სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში — **10** მილიონი. მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ დაკარგა **100** ათასზე ცოტა მეტი თვითმფრინავი. მარტო სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში კი — **77** ათასი.

ამრიგად, დიდ სამამულო და მეორე მსოფლიო ომში პროგრესული ძალების გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა.

საბჭოთა ხალხმა, მოიპოვა რა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში, ამით წარმატებით დაიცვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამავე დროს საბჭოთა ხალხმა, მოკავშირეებთან ერთად, იხსნა ევროპისა და აზიის ხალხები ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის მონობისაგან, იხსნა კაცობრიობა ფაშიზმის მიერ დამონების რეალური საფრთხისაგან.

დიდ სამამულო და მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების ერთ-ერთი წყაროა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

როგორც „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის **50** წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცკ-ის **1972** წლის **22** თებერვლის დადგენილებაში ნათქვამია, „სსრ კავშირის სიმტკიცის მკაცრი შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი. კაცობრიობის ყველაზე საშიშ მტერთან — ჰიტლერულ ფაშიზმთან შებრძოლებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხებს მხოლოდ კავშირით, საერთო ძალებით შეუძლიათ დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავიანთი რევოლუციური მონაპოვარი. ომმა ერთვნული შუღლის გაღვივების, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის იმედები გაუცრუა მსოფლიო იმპერიალიზმს. სსრ კავშირის ხალხები ერთიან მწყობრში გმირულად იბრძოდნენ და თავდადებით შრომობდნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, მტერზე საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად, მთელ მსოფლიოს უჩვენეს საოცარი შეუპოვრობა და ვაჟკაცობა. სამამულო ომის ისტორიულმა გამარჯვებამ მკაფიოდ გვიჩვენა სოციალისტური სა-

ზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიადი სასიცოცხლო ძალა და ურღვევობა“.

კომუნისტური პარტიის ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ომის მრისხანე წლებში კიდევ უფრო მეტი ძალით გვიჩვენა თავისი კეთილმყოფელი შედეგები. ჰიტლერული გერმანიის მესვეურთა მზაკვრული ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნებებს შორის არა თუ მტრობამ იჩინა თავი, არამედ, პირიქით, სოციალიზმის დიად მონაპოვართა დასაცავად აღსდგა ყველა საბჭოთა ხალხი. მთელი მათი შესაძლებლობა მიმართული იქნა ერთი მიზნისაკენ — ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად. ისტორიამ არ იცის თავისი სამშობლოსათვის ხალხის ასეთი თავდადებული ბრძოლის მეორე მაგალითი.

სწორედ ამიტომ ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე: „პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ გაუძლო ომის განსაცდელს. ფაშიზმმა განხეთქილება ვერ ჩამოაგდო სოციალისტურ ერებს შორის. მათმა ძმურმა კავშირმა ცხადყო თავისი ძალა და ცხოველმყოფელობა, იგი ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო“.

გამარჯვების ერთ-ერთი წყაროა საბჭოთა სამხედრო მეცნიერების უპირატესობა, რეზერვების ორგანიზებულად მომზადება, ფრონტის შეუფერხებელი მომარაგება, საომარი ოპერაციების უნაკლო ხელმძღვანელობა.

სამამულო ომის ისტორია იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას და კერძოდ საბჭოთა სამხედრო ხელოვნებას უდავო უპირატესობა ჰქონდა ფაშისტური გერმანიის სტრატეგიასა და ტაქტიკასთან შედარებით.

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები ცდილობენ დააკნინონ საბჭოთა სამხედრო ხელოვნების მნიშვნელობა. ისინი, ფაქტების საწინააღმდეგოდ, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა არმიის წარმატებები ნაწილობრივ გამოწვეული იყო ჯარებითა და საბრძოლო ტექნიკით მრავალგზის რიცხვობრივი უპირატესობით.

სრულიადაც არ არის ძნელი ამ მონაჭორის მხილება. ასე, მაგალითად, მოსკოვთან კონტრშეტევის დროს წითელმა არმიამ გამარჯვება მოიპოვა მაშინ, როდესაც ცოცხალი ძალის, არტილერიისა და ტანკების მხრივ უპირატესობა გერმანელთა არმიის მხარეზე იყო. სტალინგრადთან მტერი განადგურებული იქნა ძალთა თანაბარი შეფარდების დროს. მრავალ სხვა ოპერაციაშიც წითელმა არმიამ გამარჯვებას მიაღწია ისეთ ვითარებაში, როდესაც ფაქტიურად ადგილი არა ჰქონია ძალთა იმ დიდ უპირატესობას, რაზეც წერენ ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი.

ამასთანავე ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ საბჭოთა სარდლობა ძალთა შეფარდებაში მნიშვნელოვან უპირატესობას აღწევდა, როგორც წესი, ძირითადი დარტყმების მიმართულებით ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის გაბედული მანევრირებით. ეს მოწმობს ჩვენი სარდლობის სამხედრო ხელოვნების მაღალ დონეს. გამარჯვების ერთ-ერთი წყაროა ფრონტისა და ზურგის, არმიისა და ხალხის ერთიანობა. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და ფაშისტური გერმანიის არმიების შერკინება უმაგალითო იყო თავისი მასშტაბებით, მასში მონაწილე ადამიანთა და ტექნიკის რაოდენობით. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სიგრძე მერყეობდა 3-დან 6 ათას კილომეტრამდე. ომის სხვადასხვა ეტაპზე ორივე მხრიდან ამ ფრონტებზე ბრძოლებში მონაწილეობდა 8,4-დან 12,4 მილიონამდე კაცი, 3,2-დან 15,4 ათასამდე ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 5-დან 16,5 ათასამდე თვითმფრინავი, 49-დან 153 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი.

ასეთი ხანგრძლივი და ფართო მასშტაბის საომარი ოპერაციის შედეგი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ზურგის სიმტკიცეზე, მეომარი ქვეყნების ტექნიკურ-ეკონომიურ პოტენციალზე. ისტორიას მრავალი ომის შესახებ შემოუნახავს მასალები. ყველა მათგანი ადასტურებს, რომ იმარჯვებდნენ მხოლოდ ის არმიები, რომელთაც უფრო მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჰქონდათ. დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მრეწველობამ სულ არმიას მისცა 108 ათასზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი, 95 ათასზე მეტი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 348 ათასი ნაღმსატყორცნი, 188 ათასზე მეტი ქვემეხი. ამავე პერიოდში გერმანელ ფაშისტთა არმიამ, რომლისთვისაც მუშაობდა გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების მრეწველობა, მიიღო 78 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავი, 53 ათასი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 68 ათასი ნაღმსატყორცნი, 102 ათასი ქვემეხი. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ფაქტები თავისთავად მეტყველებენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა არმიის შეიარაღებამ არა მარტო რაოდენობით გადააჭარბა ფაშისტური არმიისას, არამედ ხარისხითაც მნიშვნელოვნად სჯობდა მას. ბევრი სახეობის საბჭოთა თვითმფრინავი, ტანკი, არტილერია და სხვა საბრძოლო იარაღი მსოფლიოში საუკეთესო იყო.

საბჭოთა ეკონომიკამ წითელი არმია უზ-

რუნველყო ყოველივე აუცილებლით, რაც კი საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ფაშისტური გერმანიისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების სამხედრო სპეციალისტები ცდილობენ დააკნინონ ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ეკონომიური გამარჯვების მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, ინგლისელი ისტორიკოსი ბ. პიტი წერილში „შეიარაღებული ძალები და საზოგადოება“, რომელიც განკუთვნილი იყო სამხედრო ისტორიკოსებისა და სოციოლოგების საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებისათვის, აფასებს რა ომის დაწყებითი პერიოდის საბჭოთა ეკონომიკას, წერს რომ მან თითქმის „განიცადა სრული კატასტროფა ომის პირველ თვეებში, ვინაიდან რუსეთის პოტენციალის ძირითადი ნაწილი განლაგებული იყო დონის დასავლეთით და სწრაფად აღმოჩნდა გერმანიის ხელში“.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ საბჭოთა ეკონომიკა ომის დაწყების პირველ ეტაპზევე ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორღა შესძლო საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ფაშისტური ვერმახტის დამარცხება? თურმე ნუ იტყვით და დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის ეკონომიურ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია ამერიკის დახმარებას. ამის დამტკიცებას ცდილობენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები მ. მეტლოფი, კ. რაიენი, მ. ლორინსკი, ე. ციმკე, მ. გალახერი, გ. მორგენტაუ, ტ. დიუპუი, ჟ. დარსი, რ. ჯონსონი, ლ. შაპირო, ნაცემი ჰიტლერელი გენერლები ჰაინც გუდერიანი, კურტ ფონ ტიპელსკირხი და მრავალი სხვა.

ჩვენ სათანადოდ ვაფასებთ მოკავშირეთა დახმარებას, რომელსაც განსაზღვრული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს ობიექტურად შევაფასოთ მისი მასშტაბები. ჯერ-ერთი, რომ მოკავშირეთა დახმარება ძალიან შეზღუდული იყო ომის პირველ ორ წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც ის ყველაზე უფრო გვესაჭიროებოდა. მეორეც, ლენდ-ლიზით დახმარების მთელი თანხიდან (46.040 მილ. დოლარი) საბჭოთა კავშირის წილად მოდის 9.800 მილ. დოლარი (21,2 პროცენტი). მოკავშირეთა დახმარება სსრ კავშირისათვის სტრატეგიული ნედლეულით, ტექნიკითა და შეიარაღებით ომის პერიოდში შეადგენდა, საბჭოთა წარმოებასთან შედარებით, საარტილერიო ქვემეხების 2 პროცენტზე ნაკლებს, თვითმფრინავების 12-მდე პროცენტს და ტანკების 10 პროცენტს. მთლიანად კი ლენდ-ლიზით მიღებული შეიარაღების, მასალების, მოწყობილობისა და ნედლეულის ხვედრი წილი არ აღემატება საბჭოთა მრეწველობის სამხედრო პროდუქციის 4 პროცენტს.

ასეთია ფაქტები. ფაქტებს კი, როგორც ცნობილია, ჯიუტი რამაა.

დიდ სამამულო და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების ერთ-ერთი წყარო ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. დიდი სამამულო ომის ისტორია, ეს არის მილიონობით საბჭოთა ადამიანის გმირობის ისტორია ფრონტზე, ზურგში და გერმანელთა მიერ ოკუპირებულ საბჭოთა და ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე. მამაცთა შორის უმამაცეს 11.603 ჯარისკაცს, ოფიცერსა და გენერალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათ შორის 76 ქალია. ეს მაღალი პატივი ორგზის დაიმსახურა 104 სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო გ. კ. ჟუკოვმა, გ. ი. პოკრიშკინმა და ი. ნ. კოჟედუბმა — სამგზის.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა ბრესტის ციხე-სიმაგრის, ლენინგრადის, ოდესის, კიევის, მოსკოვის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, კავკასიის, საბჭოთა იმიერ-პოლარეთის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლები. მადლიერმა სამშობლომ ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავის ზეიმის დღეებში მოსკოვს, ლენინგრადს, ოდესას, სევასტოპოლს, კიევს, სტალინგრადს მიანიჭა „გმირი ქალაქის“, ბრესტის ციხე-სიმაგრეს კი „გმირი ციხე-სიმაგრის“ სახელი და დააჯილდოვა ისინი ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობა, რაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიშალა მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ მთელ ტერიტორიაზე. ეს იყო გამარჯვებისადმი საბჭოთა ხალხის დიდი მისწრაფებისა და მაღალი პატრიოტიზმის მკვეთრი გამოვლინება.

საყოველთაო-სახალხო ომი, რასაც საომარი მოქმედების დაწყებასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი, სულ უფრო მძლავრი და ორგანიზებული ხდებოდა. პარტიზანული მოძრაობის დიდ გაქანებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედებდა 6.200-მდე პარტიზანული რაზმი და ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაშიც 1.800 ათასი პატრიოტი ითვლებოდა. მტრის ზურგში საბჭოთა პატრიოტების ამ უზარმაზარი არმიის ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ იატაკქვეშა კომუნისტური ორგანიზაციები. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკრაინასა და ბელორუსიაში პარტიზანულ შენაერთებსა და რაზმებთან მჭიდროდ ურთიერთმოქმედებდა და მათ ბრძოლას წარმართავდა 32 საოლქო, 805 საქალაქო და რაიონული და 5.429 იატაკქვეშა პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედებდა ათასობით კომკავშირული ორგანიზაცია. საბჭოთა ხალხი სათუთად ინახავს მამაცი კომკავშირელი-იატაკქვეშელებისა და პარტიზანების ზოია კოსმოდემიანსკაიას, ალექსანდრე ჩეკალინის, ლიზა ჩაიკინას, ოლეგ კოშევოის, ზოია რუხაძისა და მათი სხვა მებრძოლი ამხანაგების სახელებს.

სახალხო შურისმგებლები მტრის ზურგში კონტროლს უწევდნენ უზარმაზარ ტერიტორიებს, სადაც ფაქტიურად არსებობას განაგრძობდა საბჭოთა ხელისუფლება. ასეთ ტერიტორიებზე არ ვრცელდებოდა გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების ძალაუფლება. 1943 წლის ზაფხულისათვის პარტიზანული შენაერთები მტრის ზურგში კონტროლს უწევდნენ 200.000 კვ კმ ტერიტორიას, რაც უდრის ავსტრიის, ბელგიის, დანიისა და შვეიცარიის ტერიტორიას ერთად აღებულს.

ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, მრავალი საბჭოთა მოქალაქე მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ: პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში. ხშირ შემთხვევაში მათ დამოუკიდებელი პარტიზანული შენაერთები და რაზმები ჰქონდათ შექმნილი. მათ შორის მრავალი ქართველი მეომარი იყო. მათი გმირობა და მამაცობა აღინიშნა ამ ქვეყნების უმაღლესი ამხედრო ჯილდოებით.

ხალხის ხსოვნაში მარად იცოცხლებს სახელები იტალიის ანტიფაშისტური ბრძოლის გმირების — თედორე პოლეტაევისა და ფორე მოსულიშვილისა. იტალიის მთავრობამ მათ იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება მიანიჭა. იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ჰამაც მონაწილეთა დამსახურება საბჭოთა მთავრობამაც აღნიშნა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თ. პოლეტაევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა, ფ. მოსულიშვილი კი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის მაორგანიზებელ და ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა პრინციპულ საკითხს წყვეტდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, ორგბიურო და სამდივნო. ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ჩატარდა ამ ხელმძღვანელ ორგანოთა 200-ზე მეტი სხდომა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ გადაწყვეტილებებს ცხოვრებაში ახორციელებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, აგრეთვე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი.

კომუნისტური პარტია თავის საუკეთესო წევრებს — ხელმძღვანელ თუ რიგით მუშაკებს პერიოდულად გზავნიდა არმიაში. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა არმიის პოლიტიკურ მეთაურთა შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, აგრეთვე მებრძოლთა რიგების შევსებას იდეურ-პოლიტიკურად გამოწრთობილი ადამიანებით. კომუნისტები ყოველთვის სოციალისტური სამშობლოს დამცველთა მოწინავე რიგებში არიან. თავიანთი გმირობით, შეუპოვრობით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით კომუნისტმა მეომრებმა მთელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს. სამამულო ომის წლებში არმიისათვის მობილიზებული იქნა 1.600 ათასზე მეტი კომუნისტი. ბევრმა მათგანმა, იმყოფებოდა რა ფრონტის ყველაზე პასუხსაგებ უბანზე, უყოყმანოდ შესწირა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, კაცობრიობის ნათელ მომავალს. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გმირულად დაეცა ორ მილიონამდე კომუნისტი.

კომუნისტები იღუპებოდნენ, მაგრამ მათ ადგილს ახლები იკავებდნენ. არმიაში განუხრელად იზრდებოდა კომუნისტთა რიცხვი. სულ ომის ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა არმიისა და ფლოტის პარტორგანიზაციებმა პარტიის წევრად მიიღეს 2.511.900 მეომარი, წევრობის კანდიდატად კი 3.869.200.

კომუნისტურმა პარტიამ, არა მარტო არმია შეადუღაბა ერთ მონოლითურ ორგანიზაციად, არამედ აღზარდა და წითელ არმიაში ხელმძღვანელ პოსტებზე დააწინაურა თვალსაჩინო მხედართუფროსები — ფრონტების, ჯარების გვარეობათა და არმიების სარდლები, პოლიტმუშაკები. ომის დასასრულისათვის საბჭოთა არმიის რიგებში იყო 12 საბჭოთა კავშირის მარშალი, ჯარების გვარეობათა 3 მთავარი მარშალი და 11 მარშალი, ფლოტის 2 ადმირალი და 5.597 გენერალი და ადმირალი.

XX საუკუნის პირველ ნახევარში იმპერიალიზმმა ორჯერ გადაჩეხა კაცობრიობა სისხლისმღვრელ და დამანგრეველ მსოფლიო ომში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ომს შედეგად მოჰყვა იმპერიალიზმის პოზიციების შესუსტება და ახალი საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის გამარჯვება და განმტკიცება, მსოფლიოში არიან ძალები, რომლებმაც დაივიწყეს ისტორიის გაკვეთილები სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხალხს სოციალისტური სისტემის მშრომელებს არ სურთ განმეორდეს მეორე მსოფლიო ომის ტრაგედია. ამიტომ მოუწოდებენ ისინი კაცობრიობის ყველა კეთილი ნების ადამიანს: ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

# მიხეილ შოლოხოვი

## V

გრიგორი მელეხოვს მტკიცე პოლიტიკური შეხედულებანი არასოდეს ჰქონია და არც ექნება სამოქალაქო ომის მთელი წლების მანძილზე. მისი ეს სოციალური მერყეობა ნათლად გამოჩნდა კაზაკ ოფიცერ იზვარინთან და ბოლშევიკ პოდტელკოვთან დამოკიდებულებაში: ინტელიგენტი, ენამჭევრი და ნაკითხი იზვარინი სულს უწამლავს მას ავტონომიზმისა და სეპარატიზმის შხამით. დონის ოლქის რუსეთიდან გამოყოფა — აი, რა აწერია მის დროშას. გრიგორი ეკამათებოდა, უმტკიცებდა, რომ დონზე „ხორბლის მეტი" არაფერია, ეჭვობდა რუსეთიდან გამოყოფის შესაძლებლობასა და აუცილებლობას. ამ კამათში იზვარინი იმარჯვებდა, ვერ უძლებდა სუსტად განათლებული გრიგორი მის არგუმენტაციას. „მე ვამბობ... მე არაფერი გამეგება... ჩემთვის ძნელია ამაში გარკვევა... ამ აზრებში ისე დავეხეტები, თითქოს ტრამალზე ვიყო ქარბუქში", — ყრუდ ბურტყუნებდა გრიგორი იზვარინთან საუბრის შემდეგ, რომელიც ბეჯითად ცდილობდა ჩაეგონებინა მისთვის, რომ „თუ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ — მუშები იცხოვრებენ კარგად, დანარჩენები ცუდად. თუ მონარქია დაბრუნდებოდა — მემამულეებისათვის და სხვებისათვის ცხოვრება კარგი იქნება, დანარჩენებისათვის კი ცუდი. ჩვენ არც ერთი გვინდა, არც მეორე".

მოვლენათა მსვლელობა გრიგორის პოდტელკოვთან შეახვედრებს — დონის მომავალი რევკომის თავმჯდომარესთან. მელეხოვი ცდილობს მას იზვარინის შეხედულებანი გადასცეს, რაზედაც პოდტელკოვი ძლიერი რევოლუციური რწმენით პასუხობს: „მშრომელ ხალხზე ისევ ატამანები იბატონებენ. კეთილ ინებე და ყველა კეთილშობილების წინ გაიჭიმე, ის კი ამისათვის ცხვირპირს დაგამტვრევს. კარგი ცხოვრება დაგვიდგება რაღა, მაშინ ყელზე ქვა უნდა შეიბა და წყალში გადავარდე!.. რადგან დავიწყეთ, მაშასადამე, კვალიც ბოლომდე უნდა გავიტანოთ, რადგან მეფე და კონტრრევოლუცია ჩამოვაგდეთ, უნდა ვეცადოთ, რომ ხელისუფლება ხალხის ხელში გადავიდეს. ეგ ლაპარაკი კი ზღაპრებია, ბავშვების გასართობი... ხალხის ხელისუფლებაა საჭირო".

გრიგორი მელეხოვი რევოლუციის მხარეზე დგება, წითელგვარდიელთა დივიზიონს მეთაურობს. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ იგი პოდტელკოვს შეეჯახება, რომლის ბრძანებითაც კაზაკებმა დახოცეს ტყვედჩავარდნილი თეთრების დამსჯელი რაზმის მეთაური ჩერნეცოვი და მისი ოფიცრები. მისთვის დამახასიათებელი სიფიცხით გრიგორი ხმას იმაღლებს პოდტელკოვის წინააღმდეგ, ოფიცერთა დახოცვის წინააღმდეგ. მის გამოსვლაში, გარდა სამართლიანობის მოთხოვნისა, თავი იჩინა იმ ღრმა უკმაყოფილების დაფარულმა ძალამ, რომელსაც განიცდიდა. „...დაეტყო ომისაგან დაღლილობა. უნდოდა ზურგი შეექცია სიძულვილით აღშფოთებულ, მტრულ და გამოუცნობ ქვეყნისათვის. იქ, წარსულში ყველაფერი არეული და წინააღმდეგობებით სავსე იყო. უძნელდებოდა სწორი ბილიკის მიგნება. გრიგორის ფეხქვეშ, როგორც ჭაობში, ისე ირყეოდა ნიადაგი და არ იყო დარწმუნებული, მიდიოდა თუ არა იმ ბილიკით, რომლითაც უნდა წასულიყო. გული ეწეოდა ბოლშევიკებისაკენ — და მივიდა მათთან, სხვებიც თან გაიყოლია, შემდეგ კი ეჭვი სძლევდა, უცივდებოდა გული: „ნუთუ მართალია იზვარინი? ვის მივეკედლო?"

* დასასრული. იხ. „მნათობი", № 4.

ამგვარი აბნეული სულითა და აზრებით, დაჭრილი გრიგორი შინ დასასვენებლად მიდის. რთულ ცხოვრებაში მას სწორი ბილიკი ვერ უპოვია. ისტორიულ გზათა განვითარების უცოდინარობა მშობლიური კერისაკენ იზიდავს, წარმოშობს სურვილს, მშრომელი კაზაკის უწინდელ ცხოვრებას დაუბრუნდეს, უმძაფრებს ზიზღს ომის მიმართ. თანაც ეს სწრაფვა — განერიდოს ომს, სწორედ მაშინ უჩნდება ხოლმე გრიგორის, როცა გზისგასაყარზე დგას, როცა ეჭვები და მერყეობა მოიცავს ხოლმე.

თავდაპირველად, წითელი გვარდიიდან დაბრუნების შემდეგ, მამისა და ძმის შეკითხვაზე, თუ ვის მხარეზეა, გრიგორი პასუხობს: „მე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე ვარ“. მაგრამ შემდეგ, ოჯახის გავლენით, თითქოსდა, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, გრიგორი ეფლობა წოდებრივ და მესაკუთრულ ინტერესებში. ამ ახალი განწყობილებების პირველი მძაფრი გამოვლენა მოხდა ხუტორის რევკომში, სადაც თავი მოიყარეს ივანე კოტლიაროვმა, მიხეილ კოშევოიმ, ვალეტმა, ხრისტონიამ და გრიგორიმ. კოშევოი და ვალეტი ამხანაგებს ურჩევენ, ახლავე წავიდნენ წითლებთან, რადგან ხუტორს თეთრები უახლოვდებიან. გრიგორი სასტიკად ილაშქრებს ამ წინადადების წინააღმდეგ, იგი აწყვეტინებს ვალეტს და უხეშად ეუბნება: „ნუ ფაფხურობ! შენი საქმე სხვაა, ქვეყანაზე არაფერი გაგაჩნია — ადგები და წახვალ! ჩვენ კი უნდა დინჯად მოვილაპარაკოთ. აი, მე დედაკაცი და ორი შვილი მყავს... შენ მხოლოდ ლაქლაქი შეგიძლია... როგორიც იყავი, ვალეტი, ისეთივე დარჩი! პიჯაკის მეტი არაფერი გაგაჩნია...“ დამახასიათებელია, რომ წითლებთან წასვლის საწინააღმდეგო მთავარ მიზეზად გრიგორი ოჯახს, მეურნეობას ასახელებს.

არ ისურვა გრიგორიმ წითლებთან წასვლა და იძულებული გახდა კონტრრევოლუციური არმიის რიგებში ებრძოლა. დონის სეპარატიზმისა და ავტონომიის ლოზუნგით მოტყუებული კაზაკები საბჭოთა წყობილებას აუმხედრდნენ. გრიგორის სულში შესამჩნევი ცვლილება გამოიკვეთა — იგი ფიქრობს, რომ იცავს კაზაკთა მიწა-წყალს ტამბოვის, რიაზანის, სარატოვის „მუჟიკთა“ ხელყოფისაგან. მათ ბოლშევიკები მოუძღვებიან, ამიტომ გრიგორი ბოლშევიკებისადმი მტრული გრძნობით იმსჭვალება, აქედან, ლოგიკურად, ამართლებს კონტრრევოლუციურ ბრძოლას.

და აი, 1919 წლის იანვარში გრიგორი მიდის ხუტორის რევკომში ივანე კოტლიაროვთან და მიხეილ კოშევოისთან უკვე მზამზარეული აზრებით. იგი ეკითხება კოტლიაროვს, რას აძლევს საბჭოთა ხელისუფლება კაზაკებს: „მიწას გვაძლევს? თავისუფლებას? გვაერთიანებს? ჩვენ იმდენი მიწა გვაქვს, ყელამდე გვეყოფა, მეტი თავისუფლება საჭირო აღარ არის, თორემ ქუჩაში ერთმანეთს ყელებს დავჭრით. ატამანებს ჩვენ თვითონ ვირჩევდით, ახლა კი გვინიშნავენ... ეს ხელისუფლება კაზაკებს განადგურების მეტს არაფერს მოუტანს: გლეხების ხელისუფლებაა და სწორედ იმათვე სჭირდებათ. მაგრამ ჩვენ არც გენერლები გვინდა და არც კომუნისტები. — ორივე ერთნაირი უღელია“.

უბრალო კაზაკი — კომუნისტი კოტლიაროვი გულით გრძნობს დიდ სოციალურ სიმართლეს და პასუხობს კაზაკური სეპარატიზმის პოზიციებზე მდგარ მელეხოვს: „მესმის, მდიდარ კაზაკებს არ სჭირდებათ ეს ხელისუფლება, მაგრამ სხვებს? ჭკუის კოლოფო! ხუტორში სულ სამი კაცია მდიდარი, დანარჩენი კი ღარიბები არიან. მუშებს სადღა წაიყვან?.. არა, ასე მსჯელობა არ შეგვიძლია! დე, მდიდარმა კაზაკებმა მაძღარი სუფრიდან ჩამოიჭრან ნაჭერი და მისცენ ღარიბებს. თუ არ მისცემენ, ხორციანად ამოვგლეჯთ! ეყოფათ ბატონობა!“ და ცივად ეუბნება გრიგორის დასკვნის სახით: „შენი სიტყვები კონტრაა! მე კი შენს კვალში ვერ ჩამაყენებ, რწმენას ვერ შემირყევ... დიდი ხანია არ მინახიხარ, და არ შემიძლია დაგიმალო — უცხო გამხდარხარ: შენ საბჭოთა ხელისუფლების მტერი ხარ!“

წითელი არმიის ზურგში ზემო დონის 1919 წლის აჯანყების დროისათვის მელეხოვის არსებაში დასრულდა შინაგანი გარდატეხა. ჩვენს წინაა გამძვინვარებული ადამიანი, რომელმაც იგრძნო საფრთხე, რაც დაემუქრა მესაკუთრულ სამყაროს და აღდგა მის დასაცავად. იგი უკვე აღარ მერყეობს, აღარ ფიქრობს. „რა მქონდა საფიქრებელი? რისთვის ბორგავდა გრიგორის გული ალყაში მომწყვდეულ მგელივით? რისთვის ეძებდა გამოსავალს, წყვეტდა ერთმანეთის საწინააღმდეგო საკითხებს? ცხოვრება უბრალო, ბრძნული და სასაცილო გამოდგა. ახლა მას უკვე ეჩვენებოდა, რომ ცხოვრებაში იმთავითვე არ არსებულა მარადიული სიმართლე, რომლის ფრთებქვეშ ყველას შესძლებოდა გათბობა. და წრეგადასული გაბოროტებით გაიფიქრა: ყველას თავისი სიმართლე აქვს, თავისი გზა. ლუკმა პურისათვის, ერთი ნაჭერი მიწისათვის, სიცოცხლის უფლებისათვის ადამიანები ყოველთვის იბრძოდნენ და იბრძოლებენ კიდეც, სანამ მზე ანათებს და ადამიანების ძარღვებში თბილი სისხლი ჩქეფს. რაკი ასეა, მაშ ებრძოლეთ, ვისაც სიცოცხლის, მისი უფლებების წართმევა სურს: მაგრად, მედგრად იბრძოლე, როგორც კრივში — გაღვივებული სიძულვილი ბრძოლას სიმტკიცეს მატებს!.. გრძნობებს ალვირი მიუშვი, ფართო გასაქანი მიეცი მათ, როგორც ცოფს, მორჩა და გათავ-

და! ახლა კაზაკების გზა დაუპირისპირდა რუსეთის უმიწაწყლო გლეხობის და ქარხნის მუშების გზებს. თავგანწირულად ჩავებათ მათთან ბრძოლაში! ხელიდან გამოვაცალოთ დონის ნოყიერი, კაზაკების სისხლით მორწყული მიწა! ოლქის საზღვრებიდან თათრებივით გავრეკოთ! მოსკოვი დავსაჯოთ, თავს მოვახვიოთ სამარცხვინო ზავი!“

ბოროტი მესაკუთრის ამ ფილოსოფიაში ისმის ხმა წარმავალი სამყაროსი, სადაც ყველა თავისთვის არის, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელია. კარგად იხარა გრიგორის სულში იზვარინის მიერ ჩაყრილმა თესლმა. იზვარინის ტყუილი გრიგორის რწმენის სიმბოლოდ იქცა. იგი მას იზიდავდა, უპირველესად იმით, რომ უქმნიდა ილუზიას რევოლუციაში მესამე გზის არსებობის შესახებ.

ზემოდონელთა აჯანყება, როცა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, გაერთიანდა იქაურ კაზაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქოს ადასტურებდა მელეხოვის მსჯელობის სიმართლეს. კაზაკები ხომ თითქოს უპირისპირდებოდნენ თეთრგვარდიელ გენერლებსაც და კომუნისტებსაც, იბრძოდნენ კულაკურ-ესერული ლოზუნგით: „საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კომუნისტების გარეშე!“ აჯანყებულებმა შეინარჩუნეს მიმართვა „ამხანაგებო!“, შეიქმნა „კაზაკური რესპუბლიკის“ მსგავსი რაღაც, და მელეხოვს ჰგონია, რომ რევოლუციაში, ბოლოსდაბოლოს, მან თავისი გზა იპოვა.

იგი ეძიებდა და ეძიებს არა პიროვნულ, არამედ საზოგადო სიმართლეს, რომელიც ყველა კაზაკისათვის მისაღები იქნება. გრიგორის თავი კაზაკთა ინტერესების დამცველად მიაჩნია.

გრიგორი აჯანყებულთა დივიზიის მეთაური გახდა და ერთი შეხედვით, მტკიცედ აირჩია ეს გზა. მიხეილ კოშევოიმ მოკლა გრიგორის ტყვედჩავარდნილი ძმა პეტრო. მწერალმა ისეთი ძალით გვაჩვენა გრიგორის ვაჟკაცური და პირქუში დარდი, რომ გვეგონებოდათ, მხოლოდ ეს ამბავი სამუდამოდ დააშორებდა მას მათგან, ვინც ძმა მოუკლა. ამ სცენაში შოლოხოვი გვაგრძნობინებს გარემოებათა ძალას და სირთულეს, რომლებიც გრიგორის წარსულთან აკავშირებდნენ. არა მხოლოდ მესაკუთრული და წოდებრივი გრძნობები, არამედ ოჯახური კავშირის დიადი ფარული ძალა განამტკიცებდა მას იმის დასაცავად, რაც იმსხვრეოდა ისტორიული აუცილებლობის დარტყმებით.

მკაცრმა ცხოვრებამ მალე გააშიშვლა მოვლენათა ობიექტური ხასიათი, აჩვენა რა საქმეს ემსახურებოდა აჯანყებულთა რიგებში მელეხოვი, ვისი ინტერესებისათვის იბრძოდა. გადის ცოტა დრო, და გრიგორის კვლავ ტანჯავს ეჭვი, სწორად აირჩია კი გზა, აწვალებს „თავისი საქმის უსამართლობის აჯანყებული გრძნობა“.

ეს გრძნობა ილვიძებს მასში ტყვე კაზაკთან საუბრის დროს და მაშინაც, როცა წინ ჩაუვლიან მისი დივიზიის მხედრები. იმ წუთში შეაშფოთებს აზრი: „ვის წინააღმდეგ მიმყავს? ხალხის წინააღმდეგ... ვინ არის მართალი?“ ხოლო შემდეგ თანამებრძოლ ხარლამპი ერმაკოვს ეუბნება: „მოდი, საბჭოთა ხელისუფლებას ფეხქვეშ გავეგოთ, ვუთხრათ, დამნაშავენი ვართ“...

გრიგორი გრძნობს და თანდათან რწმუნდება, რომ ხალხის წინააღმდეგ მიდის, ფაქტიურად ხალხს ებრძვის. ამიტომ ეუბნება აჯანყების ხელმძღვანელს კუდინოვს: „მე მგონია, რომ ჩვენ მაშინ დავიბენით, როდესაც აჯანყება მოვაწყეთ...“

ხალხის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა გრიგორის მორალურად ფიტავს. იგი ცდილობს გაექცეს სინამდვილეს, მოიცილოს მტანჯველი ფიქრები, იგი სმას იწყებს „ოთხი დღის გაუთავებელი ქეიფის შემდეგ გრიგორი შესამჩნევად მოეშვა და წელში მოიხარა: თვალები ლურჯად შეუშუპდა და უაზრო სიმკაცრის ნაპერწკლები უფრო მოემატა!“ საკუთარი დედაც კი, რომლის მომთმენმა და ბევრის მაპატიებელმა გულმაც ვერ გაუძლო შვილის მიერ ჩადენილ ბოროტებას, საყვედურობს კვლავ ფრონტზე მიმავალ გრიგორის: „შვილო, ღმერთი არ დაივიწყო! გავიგეთ, რომ ვიღაც მატროსები აგიჩეხია... გრიშენკა, გონს მოდი! ხედავ, რა შვილები გეზრდება, იმათაც, ვინც შენ დაღუპე, ალბათ ბავშვები დარჩათ... აბა, ასე როგორ შეიძლება? პატარა ალერსიანი და საყვარელი იყავი, ახლა კი სულ წარბებმოღუშული ხარ, მგლის გული ხომ არ ჩაიდგი... დედას დაუჯერე, გრიშენკა!“

გააფთრებულ ბრძოლაში გრიგორიმ ოთხი მატროსი დახოცა. პირველად დაემართა ბნედა „გამოფხიზლების საშინელ წამს წამოდგომას ეცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ცრემლებისაგან სველი, ტკივილით დამახინჯებული სახე შეჯგუფებულ კაზაკებისაკენ მოატრიალა და ჩახლეჩილი, მხეცური ხმით დაიკვნესა: — ვინ ავჩეხე!.. ძმებო, განა ეს უნდა მეპატიოს?.. ამჩეხეთ, თუ ღმერთი გწამთ... მომკალით!“ ამ გამოფხიზლების წამში გრიგორი გმობს საკუთარ თავს, გმობს ბრძოლას, რომელსაც ხალხის წინააღმდეგ ეწევა.

მწარე ფიქრები არ შორდებიან გრიგორის. მას ეჭვი შეეპარა თავის სიმართლეში. ბუნდოვნად ხვდება საკუთარ დანაშაულს. „...ცხოვრება სწორი გზით არ მიდის და შეიძლება ამაში მეცა ვარ დამნაშავე... აი ახლა წითლებს უნდა შევრიგებოდით და კადეტებზე გაგველაშქრა. მაგრამ აბა როგორ? ვინ შეგვარიგებს ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან? როგორ გა-

ვუსწორებთ ერთმანეთს ანგარიშში საერთო დანაშაულზე? კაზაკების ნახევარი დონეცს გაღმაა, ვინც აქ დარჩა — გამხეცდა, დედამიწას ღრღნის"... გრიგორი უმწეოდ ფართხალებს მისთვის დაუძლეველ წინააღმდეგობათა ქსელში. ღრმა ტრაგიზმითაა აღბეჭდილი მეულლისადმი მიმართული მისი სიტყვები: „ომმა ჩემში ყველაფერი ჩაკლა. მე თვითონ მეშინია ჩემი თავისა... ჩემს გულში რომ ჩაიხედო, ცარიელ ჭასავით ბნელა შიგ..."

„წყნარი დონის" მეოთხე წიგნი, ასე ვთქვათ, შედეგების წიგნია. ყოველი სცენა, სურათი, დეტალი აქ ღრმა აზრით და მნიშვნელობით არის გამსჭვალული. ისინი შერჩეულია და შეფასებულია მხატვრული ტაქტის, ზომიერების, მიზანშეწონილობის იმ საზომით, რომელიც არ დაუშვებს არავითარ ზედმეტსა და უმიზნოს. შოლოხოვს მკითხველი უკიდურესად დაძაბული ჰყავს. დიდი ძალითაა შემზადებული მელეხოვის ტრაგიკული ცხოვრების ფინალი.

წითელი არმიიდან დემობილიზებული გრიგორი შინ ბრუნდება. შემოდგომის რუხ, უფერულ ტრამალზე მას შორეული ბავშვობა აგონდება, ოცნებობს მშვიდობიან ცხოვრებაზე, აქსინიასთან ბედნიერებაზე. დიდი ხანია არ უნახავს მკითხველს იგი. გამოვეთხოვეთ ჩვენ მას ნოვოროსიისკში, სადაც გრიგორისა და მის მხლებელ კაზაკებს — აგრეთვე ზემო დონის აჯანყების მონაწილეებს — შეხვდებათ წითელი კავალერიის ნაწილები, რომლებიც ზღვით გაქცეული თეთრი არმიისაგან დაცლილ ქალაქს იკავებენ.

პროხორ ზიკოვის ნაამბობიდან ჩვენ ვიცით, რომ გრიგორი წითელ არმიაში იყო, ებრძოდა ვრანგელს და თეთრპოლონელებს. მრავალი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე ხუტორში. გარდაიცვალა გრიგორის დედა, ილინიჩნა, რომელიც ვერა და ვერ მოესწრო საყვარელი ვაჟის დაბრუნებას. გრიგორის და დუნიაშა ცოლად გაჰყვა კომუნისტ მიხეილ კოშევოის, ხუტორის საბჭოს თავმჯდომარეს. შინ დაბრუნდა აქსინია, ტიფს რომ ძლივს გადაურჩა. გრიგორის რაღა დაემართა, როგორია იგი ახლა? მის პორტრეტს ავტორი უცნობი ქალის თვალით იძლევა: „თუმცა ჭაღარაა, მაგრამ ძალიან ბებერი არ არის. რაღაც უცნაურია. თვალებს ჰუტავს. ნეტა რად ჰუტავს? ისეთი დაღლილი ჩანს, თითქოს ურმები უტარებიათ... შეხედულებით არა უშავს რა, მხოლოდ ჭაღარა ბევრი ურევია და ულვაშებიც თითქმის ჭაღარა აქვს. ისე კაი ვაჟკაცია გარეგნობით სულ ჩაფიქრებული რატომაა?" ამგვარი გრიგორი სიბრალულს იწვევს და კიდევ რაღაც მძიმე მოვლენების წინათგრძნობას: კვლავ მრავალ განსაცდელს და ვარამს უმზადებდა გრიგორის ცხოვრება.

სევდიანად და დიდებულად ჟღერენ „წყნარი დონის" უკანასკნელი გვერდები. ფომინის ბანდაში და შემდეგ დეზერტირებთან ტყეში ამთავრებს გრიგორი თავის მძიმე და უიღბლო ცხოვრებას, და საბოლოოდ შეძრული მკითხველი კვლავ და კვლავ სვამს კითხვას: ბოლოს და ბოლოს, რამ განაპირობა, რა მიზეზმა გამოიწვია ამ ოდესღაც ძლიერი, ნიჭიერი და მგრძნობიარე ადამიანის ამგვარი ტრაგედია, რამ მიიყვანა იგი ამ ულვთო დასასრულამდე?

გრიგორი მელეხოვის ტრაგედია სწორედ ის არის, რომ ცხოვრების მძიმე გამოცდილებით მან თითქოს შეიგნო რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ანტიხალხური, ანტიეროვნული არსი, მაგრამ ვერაფრით ვერ მივიდა იმ დიდი ხალხური სიმართლის აღიარებამდე, რომელსაც ბოლშევიკები ცხოვრებაში ამკვიდრებდნენ. კაზაკობის უმეტესობამ ძლიერი მერყეობისა და გზააბნეულობის შემდეგ, ხანგრძლივი და მკაცრი ბრძოლების გამოცდილებით შეიგნო, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სჯობს კაპიტალისტების დიქტატურას და ჯერ თუ საბოლოოდ არ ირწმუნა, შეურიგდა მაინც საბჭოთა ხელისუფლებას.

გრიგორი მელეხოვი კი გზაჯვარედინზე დარჩა. „მე ისეთი არჩევანის წინაშე ვარ, — ეუბნება იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ ფომინს, — როგორც ზღაპარშია ნაამბობი გოლიათებზე: მარცხნივ წახვალ — ცხენს დაკარგავ, მარჯვნივ — მოგკლავენ; სამი გზაა — არც ერთი არ არის სწორი".

წითელი არმიიდან ხუტორში დაბრუნებულ გრიგორის კარგად ესმის, რომ წითელ ჯარში უნდა დარჩენილიყო სამოქალაქო ომის ბოლომდე. მისი სიტყვით, იმიტომ არ დარჩა, რომ სწყინდა, შეურაცხყოფდა ის უნდობლობა, რომლითაც წითელი ესკადრონის კომისარი და კომუნისტები ეპყრობოდნენ. „ამ უნდობლობის ატანა აღარ შემეძლო", — ამბობს იგი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარ უნდობლობას საფუძველი გააჩნდა. თავისდაუნებურად გრიგორი თვით ამჟღავნებს უნდობლობის მიზეზს. საქმე მხოლოდ იმას კი არ ეხებოდა, რომ წინათ იგი თეთრების მხარეზე იბრძოდა. მთავარი იყო, რომ არ შეურიგდა გრიგორი საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლებას. მძიმე შეცდომების, სისხლისღვრისა და მტანჯველი ფიქრების შედეგად იგი, ობიექტურად, ბანდიტური ანარქიზმის აღიარებამდე მივიდა — არც წითლებთან, არც თეთრებთან!

საქციელის ლოგიკას უდრეკი თანმიმდევრობა გააჩნია. გრიგორის ტრაგიკული დასასრულის განპირობებულობით შოლოხოვი შესანიშნავად ხსნის ამ თანმიმდევრობას. გრიგორი ფომინის ბანდაში შედის. ფომინთან ერთად განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მან მარტო რევოლუციასთან კი არ გაწყვიტა კავშირი, არამედ კაზაკთა მასასაც

ჩამოსცილდა. მწარე ირონიით და სიმკაცრით ამბობს გრიგორი თავის თავზე: „მე ჩვიდმეტი წლიდან მთვრალივით დავბარბაცებ... თეთრებს ჩამოვცილდი, წითლებს ვერ შევურიგდი, ასე დავცურავ ნეხვივით წყალზე...“

გრიგორი მელეხოვის გულში უფრო მკვეთრად იყო გამოხატული მესაკუთრული და წოდებრივი ცრურწმენები, მერყეობა, გზააბნეულობა. მისი დანაშაული საბჭოთა ხელისუფლების წინაშე უფრო ღრმა და მძიმეა, ვიდრე მისი თანამებრძოლი. მას აყოლილი უბრალო კაზაკებისა. უებრელი ნიჭიერება. მხედართმთავრის თვისებები. გამორჩეული სიმამაცე, გამოკვეთილი მხედრული ჩვევები და, ბოლოს, კაზაკთა ნდობა მას ყოველთვის წინა რიგებში აყენებდა, შესამჩნევ ადგილს ანიჭებდა ცხოვრებაში, ყოველთვის მეთაურობას აკისრებდა. მის შეცდომებს, მისი წამხედურობით, ასები და ათასები იმეორებდნენ, მით უფრო დიდი და მძიმე იყო მისი დანაშაული. გრიგორი სასჯელს მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ ხალხთან სრულიად გაწყვიტა კავშირი, ფომინის ბანდაში შევიდა და დარჩა სრულიად მარტო, ხალხისაგან მოკვეთილი. ეს სასტიკი სიმარტოვე მან ძალიან მალე იგრძნო.

ველის გზაზე შეხვდება გრიგორი თანახუტორელ მოხუც კაზაკს. „საბჭოთა ხელისუფლებას მალე შეურიგდები?“ — ეკითხება კაზაკი და გრიგორის გაურკვეველ პასუხზე წყრომით ამბობს: „არ არის კარგი, გრიგორი პანტელეევიჩ, ჭეშმარიტად არ არის კარგი საქმე!.. მე, ჩემი მოხუცის ჭკუით, იმას ვიტყვი: დროა გაათავოთ, ბოლო მოუღოთ ამ ამბავს!“. ჰგმობს გრიგორის მოხუცი კაზაკი ქალიც: „აღარ დაილუპეთ, თქვე წყეულებო!“

ამგვარ დამოკიდებულებას გრძნობს, ამგვარი სიტყვები ესმის გრიგორის, რომელიც იმას იყო მიჩვეული, რომ ცოტა ხნის წინათ მას „საამაყო კაცს“, „მშვენებას“, „ერთადერთ იმედს“ უწოდებდნენ კაზაკები. მართლაც, დიდი გარდატეხა მომხდარა კაზაკთა განწყობილებებში. ველად გავარდნილი გრიგორი კაზაკთა მასისათვის უცხო ხდება. სწორედ მოხუცები, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ხალხის წარმომადგენლები, ჰგმობენ გრიგორის მოქმედებას. მათი სახით დამაჯერებლად მეტყველებს ხალხის იმ ნაწილის სიბრძნე, რომელმაც სამოქალაქო ომის მძიმე გამოცდილებით, მრავალ ცდუნებათა შემდეგ, მართალია, მძიმედ, მართალია შიშით, მაგრამ მაინც ირწმუნა ახალი სიმართლე და იმის აღიარებამდე მივიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთადერთია და კანონიერი.

ახლანდელ გრიგორის სულის ტრაგიკულ სიცარიელეს შოლოხოვი გვაჩვენებს დონის ბუნების პოეტური სურათების ფონზე. მოდის გაზაფხული, თოვლისაგან თავისუფლდება მინდვრები, დიდებულად მიედინება მოდიდებული დონი. გრიგორი თვალს ადევნებს გაზაფხულის წყალუხვობას, დამლამობით ისმენს ჩრდილოეთისაკენ დაძრული გარეული ბატების უთვალავი გუნდების ხმას. ერთხელ კი, მან იხილა გედების დიდი ქარავანი: „...ტყის გასწვრივ დაფიონი კიაფობდა. მზის შუქზე წყალი ვარდისფერი მოჩანდა, და ისეთივე ვარდისფერი ედოთ წყნარ წყალზე დიდრონ, ამაყ, აღმოსავლეთისაკენ თავმიბრუნებულ გედებს. მოესმათ თუ არა ნაპირზე შრიალი, გედები უცებ მკვახე ზრიალა ხმით წამოიშალნენ და როდესაც ტყეზე გადაფრინდნენ, გრიგორის თვალში ეცა გედების თოვლივით თეთრი ფრთების საკვირველი ბრჭყვიალი“. აქ ვხვდებით ჭეშმარიტ რეალისტურ სიმბოლიკას, რომელიც საერთოდ ახასიათებს შოლოხოვის პოეტიკას. დიდრონი ფრინველების სიმშვენიერე, მათი ფრთების თოვლისფერი სისპეტაკე, თითქოს ბავშვობის სიწმინდესავითაა, ვითარცა სამუდამოდ დაკარგული რაღაც სილამაზე და სიკეთე. ახლანდელი გრიგორი დევნილი, ტანჯული, მიუსაფარი ადამიანია. მასთან ერთად თითქოს ჩვენც გავცქერით უსაზღვრო ტრამალებს, მოდიდებულ მდინარეს, „დონის გარშემო ცარცის მთებს, რომლებიც იასამნისფერ მზიურ ნისლში ინთქებოდა იქ, იმ ნისლის იქით, იყო მისი მშობლიური ხუტორი, აქსინია, შვილები... იქით მიფრინავდა მისი მწარე ფიქრები, წუთს ცეცხლივით აენთებოდა და გულს უწიწკნიდა დარდი, როდესაც იგონებდა მშობლებს...“

გაზაფხულის ბუნების მშვენიერი ფერადოვნება კონტრასტულად უპირისპირდება გრიგორის სასოწარკვეთილებას. ყველაფერი როგორღაც გვერდს უვლის მას, ვითარცა მაყურებელი, შორიდან უცქერის იგი სიცოცხლის დიდებულ დღესასწაულს. შოლოხოვი გვაჩვენებს, რომ გრიგორი თითქოს გამოითიშა ბუნების სამყაროდან, დაკარგა გრძნობა, რომელიც გარემოსთან აკავშირებდა. თვალს გადაავლებს გრიგორი არე-მარეს — გული მაშინვე აუტანელი ტკივილით შეეკუმშება, დაწვება ხოლმე გაზაფხულის მზით გამთბარ მიწაზე და, გამოუთქმელი ტანჯვით გაწამებული, თავს ხელებში ჩარგავს...

გრიგორი თვითვე გრძნობს ხალხისაგან მოკვეთილობას. „აღარავის ვჭირდებით, ყველას ხელს ვუშლით მშვიდ ცხოვრებასა და შრომაში. უნდა დავამთავროთ, კმარა!“ და გრიგორი უკანასკნელად კიდევ ერთხელ გაიბრძოლებს, რათა კვლავ ცხოვრებას დაუბრუნდეს: იგი გარბის ფომინის ბანდიდან, მშობლიურ ხუტორში შეიპარება, შვილებს დას უტოვებს, ხოლო აქსინიასთან ერთად სამხრეთისაკენ ფარულად მიდის, რათა სადმე მიყრუებულ ადგილას, სადაც არავინ იცნობს, მშვიდობიან ცხოვრებას ეზიაროს.

მხატვრულად მძლავრი და ამაღელვებელია რომანის დამაგვირგვინებელი ეს სცენები: აქსინიასთან შეხვედრა, ბავშვებთან გამოთხოვება, ღამ-ღამობით სამხრეთისაკენ სვლა, აქსინიას ფიქრები და ოცნება, მისი უეცარი სიკვდილი და მკვდარ აქსინიასთან გამოთხოვების გულისშემძვრელი სურათი, რომელიც კვლავ შოლოხოვისათვის დამახასიათებელი რეალისტური სიმბოლიკით — „მზის შავი დისკოთი" მთავრდება.

„აქსინიამ გათენებისას გრიგორის ხელში დალია სული. გონს არ მოსულა. გრიგორიმ ჩუმად აკოცა სისხლისაგან მლაშე ტუჩებში, ფრთხილად დააწვინა ბალახზე და წამოდგა. უცნაურმა ძალამ დაჰკრა მკერდში, უკან დაიხია, გულაღმა დაეცა, მაგრამ უმალ ფეხზე წამოვარდა შეშინებული; ისევ დაეცა, შიშველი თავი ქვაზე დაარტყა, ეტკინა. შემდეგ დაიჩოქა, ქარქაშიდან ხმალი ამოიღო და საფლავის თხრა დაიწყო...

გრიგორი თავის აქსინიას დილის მზის სხივებით გაკაშკაშებულ მიწაში მარხავდა... ღრმად დარწმუნებული, რომ დიდი ხნით არ შორდებოდა მას... დიდხანს იყო საფლავთან დაჩოქილი, თავლია, ნელა ირხეოდა...

ახლა გრიგორის აღარსად ეშურებოდა. ყველაფერი გათავდა მისთვის.

კვამლისფერ სქელ ბურუსში მზე ხევის თავზე ამოდიოდა. მისი სხივები გრიგორის ჭაღარა სქელ თმაში ვერცხლისფრად ბრწყინავდა და ეფინებოდა ფერმკრთალ სახეზე, რომელიც ისე გაქვავდებოდა, რომ საშინელი იყო შესახედავად. თითქოს მძიმე სიზმრის შემდეგ გამოიღვიძაო, გრიგორიმ თავი მაღლა ასწია და დაინახა ტყვიისფერი ცა და თვალისმომჭრელი მზის შავი დისკო".

ამის შემდეგ გრიგორის ცხოვრება, ფაქტიურად მთავრდება. იგი კიდევ რამდენიმე ხანს იმალება დეზერტირებთან, შემდეგ ყველაფერზე ხელჩაქნეული, შინ მიდის.

„...დილით იგი ტატარსკის პირდაპირ დონს მიადგა. დიდხანს გასცქეროდა მშობლიურ სახლ-კარს, სიხარულისაგან გაფითრდა. შემდეგ მოიხსნა შაშხანა, სავაზნე... რატომღაც გადათვალა ვაზნები... შაშხანა და ნაგანი წყალში ჩაყარა, შემდეგ ვაზნებიც მიაყოლა და ფარაჯის კალთებზე სუფთად გაიწმინდა ხელები...

მარტის ყინულზე გადავიდა და სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა. ჯერ კიდევ შორიდან დაინახა ნავმისადგომის დაღმართზე მიშატკა, ძლივს შეიკავა თავი, რომ მისკენ არ გაქცეულიყო.

მიშატკა ქვაზე მიყინული ყინულის ლოლუებს ამტვრევდა, ყურადღებით გასცქეროდა, თუ როგორ მისრიალებდნენ გორაკზე ცისფერი ნამტვრევები.

გრიგორი მივიდა ციცაბოსთან, სუნთქვა შეეკრა და ხმაჩახლეჩილი დაუძახა შვილს:

— მიშენკა! შვილო!..

შეშინებულმა მიშატკამ შეხედა მას და თვალი დახარა: მიშატკამ ამ წვერიან, გარეგნულად საშინელ ადამიანში მამა შეიცნო...

ყველა ალერსიანი და ნაზი სიტყვები, რომელსაც იგი ღამე ჭალაში იმეორებდა, რომ შეხვედრის დროს შვილებისათვის ეთქვა, უცებ დაავიწყდა. მუხლი მოიყარა და შვილს ვარდისფერი ხელები დაუკოცნა. გულდაწყვეტილად მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა.

— შვილიკო.. შვილიკო...

შემდეგ გრიგორიმ შვილი ხელში აიყვანა, მშრალი, აგზნებული თვალებით ხარბად შესცქეროდა სახეში, და შეეკითხა:

— როგორ ხართ? მამიდა, პოლიუშკა კარგად არიან?

მიშატკამ თვალი აარიდა მამას და ჩუმად უპასუხა:

— მამიდა დუნია კარგად არის, პოლიუშკა შემოდგომაზე მოკვდა... ყელჭირვებით, ბიძია მიხეილი კი ჯარშია...

რას იზამ, აუსრულდა კიდეც გრიგორის ის პატარა ნატვრა, რაზეც იგი უძილო ღამეებში ოცნებობდა. იგი მშობლიური სახლ-კარის წინ იდგა და ხელში თავისი ვაჟიშვილი ეჭირა...

ეს იყო ყველაფერი, რაც მას ცხოვრებაში დარჩა, რაც ჯერჯერობით კიდევ აკავშირებდა მიწასთან და მთელ ამ უშველებელ, ცივი მზის ქვეშ მბრწყინავ სამყაროსთან".

ამრიგად, ჩვენ თვალი გადავავლეთ გრიგორი მელეხოვის მძიმე და ტრაგიკული ცხოვრების გზას. ეს არის ადამიანის ტრაგედია, რომელსაც მესაკუთრულმა და წოდებრივმა ცრურწმენებმა საშუალება არ მისცეს, ჩაწვდომოდა საზოგადოებრივი ყოფის სიმართლეს ისტორიის მკვეთრი მობრუნებისა და გარდატეხის მომენტში.

გრიგორიმ კავშირი გაწყვიტა ხალხთან, ჩამორჩა ხალხს, რომელიც წინ წავიდა თავის ისტორიულ განვითარებაში, რომელიც ბრძოლით, სისხლითა და ტანჯვით ახალ სინამდვილეს ამკვიდრებდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა და არსის უცოდინარობას გრიგორისათვის მოაქვს ხალხთან კავშირის გაწყვეტა, ტრაგიკული მარტოობა, მორალური გამოფიტვა, ზნეობრივი დაცემა. ყველაფერმა ამან განაპირობა გრიგორის, „უბედური ადამიანის", მძიმე ხვედრი. გრიგორის ცხოვრების გზა თვალსაჩინო ფორმით ასახავს აგრეთვე მეტნაკლებ მსხვრევასა და ფასეულობათა გადაფასების მტკივნეულ პროცესს, რომელიც სხვადასხვა ძალით გამოვლინდა მილიონობით მშრომელი, არაპროლეტარი ადამიანის შეგნებაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ

ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი ადამიანი დაღუპა საუკუნეობრივმა მესაკუთრულ და წოდებრივ რწმენათა ძალამ. შოლოხოვი მხატვრულ სახეთა ლოგიკით გვაჩვენებს, რომ ამგვარმა რწმენამ, თუკი იგი შეგნებულად, ცხოვრებისეული გამოცდილებით არ იქნა დაძლეული და უკუგდებული, ადამიანი შეიძლება მიიყვანოს საშინელ, ტრაგიკულ შედეგამდე.

უდიდესი მხატვრული დამაჯერებლობით გვაჩვენებს შოლოხოვი, რომ რევოლუციაში არ არსებობს მესამე გზა, რომ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი მხოლოდ ზნეობრივი დაცემაა და „ადამიანში ადამიანის დაკარგვაა“. ამაში მდგომარეობს „წყნარი დონის“ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა.

გრიგორი მელეხოვი ფართოდ განზოგადებული სახეა, იგი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მხატვრული ტიპია. მრავალი კრიტიკოსი უარყოფდა მელეხოვის ტიპიურობას, რადგან ტიპად მიიჩნევდა მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც ხშირად გვხვდება, მასობრივია, რაღაც საშუალო არითმეტიკულია ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე. მელეხოვი არ შეიძლება ტიპიური იყოს, ამტკიცებდა კრიტიკოსთა ნაწილი, რადგან საშუალო გლეხობა, რომლის განწყობილებებს იგი ხშირად გამოხატავდა რევოლუციურ სინამდვილეში, ბოლოს და ბოლოს, ხომ დაუკავშირდა მუშათა კლასს, ხომ მონახა თავისი გზა ახალ ცხოვრებაში, მელეხოვი კი სახელგატეხილი მიექანება საშინელი დასასრულისაკენ! განა ტიპიურია მელეხოვის ტრაგიკული დასასრული? შოლოხოვს საყვედურობდნენ, აკრიტიკებდნენ, მიუთითებდნენ რომანის ფინალის „მხატვრულ გაურკვევლობაზე“. ზოგი პირდაპირ მოითხოვდა, ავტორს რომანი გაეგრძელებინა და სხვა ბოლო მიეცა მისთვის.

მაგრამ შოლოხოვმა არ დასთმო მხატვრის გაბედული პოზიცია, მოიქცა, როგორც ჭეშმარიტი მხატვარი-კომუნისტი, რომელიც არავითარ სიტუაციაში არ დათანხმდება ისტორიული სინამდვილის გაყალბებაზე. გრიგორი მელეხოვის სახით მან განაზოგადა, ტიპის ხარისხში აიყვანა ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც თავიანთი სოციალური ბუნების გამო უველაზე მეტად მერყეობდნენ რევოლუციაში, ვერ იპოვეს სწორი გზა მუშათა კლასთან კავშირის დასამყარებლად, გაემიჯნენ ხალხს და ტრაგიკულ მარტოობაში მოხვდნენ გრიგორის ცხოვრების საშინელი ბოლო კანონზომიერი დასასრულია ამგვარი ადამიანებისა. რომანში ტრაგიკული, განსაკუთრებული იქცა ტიპიურობის ერთ-ერთ მძლავრ გამოვლინებად.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრიგორის ცხოვრების ამგვარ დასასრულს მწერალს კარნახობდა არა მხოლოდ სოციალურ-ისტორიული კონფლიქტის ლოგიკა, არამედ მის მიერ შექმნილი ხასიათის კანონზომიერი განვითარების სიმართლეც.

უნარი — გამოხატოს დროის რთული და მრავალმხრივი ცხოვრება ღრმად ინდივიდუალიზებულ ხასიათში, შექმნას მხატვრული ტიპი როგორც ეპოქის მოვლენა, ეპოქის თავისებურებათა ნაყოფი — შეადგენს შოლოხოვის ნიჭის ერთ-ერთ გენიალურ თვისებას.

გრიგორი მელეხოვის სახით მწერალი ავიდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის განზოგადებამდე. რომანში განსახიერებულია რევოლუციის ისტორიული გამოცდილება; და ჭეშმარიტად დიდი მხატვრის — ჰუმანისტის მგზნებარებით, გრიგორის ბედის ჩვენებით, შოლოხოვი გვიმტკიცებს, რომ პიროვნების ერთადერთი გზა, შეიძლება ტანჯვით მოსილი, მაგრამ ამ ტანჯვის დაძლევით გახსივოსნებული, არის გზა საუკუნის ახალი სიმართლისაკენ.

გრიგორი მელეხოვის დიდებული და ტრაგიკული ფიგურა აღმართულა, ვითარცა ძეგლი და ვითარცა შეხსენება. იგი დღესაც ეხმარება მილიონობით ადამიანს, სწორი გზა აირჩიოს კომუნიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

## VI

როცა 1932 წელს ჟურნალ „ნოვი მირში“ გამოქვეყნდა „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნი; მაშინდელ ავტობიოგრაფიაში შოლოხოვი აღნიშნავდა, რომ მუშაობს ამ რომანის მეორე წიგნზე მაგრამ „წყნარი დონის“ დამთავრებამ, რაც შემოქმედებითი ძალების სრულ დაძაბვას მოითხოვდა, შორს გადასწია „გატეხილი ყამირის“ დამთავრების ვადა. ომის დროს მწერლის მთელი არქივი დაიღუპა დაიღუპა „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის მასალებიც. „მთელი ჩემი არქივი, — აღნიშნავდა მწერალი, — მათ შორის „გატეხილი ყამირის“ ხელნაწერი მთლიანად დაიღუპა ომის წლებში. „დონური მოთხრობების“, „წყნარი დონის“, „გატეხილი ყამირის“ ხელნაწერები, მიმოწერა სტალინთან, გორკისთან და სხვა ძვირფასი მასალა ადგილობრივ არქივს შესანახად ჩავაბარე. ვიმედოვნებდი, რომ მოუვლიდნენ. და რა გამოვიდა — მათ რომ ჩავაბარე, თითქოს უფსკრულში გადავისროლე. საოცარია, როგორ დაკარგეს ეს არქივი... „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის ხელნაწერი არქივთან ერთად დაიკარგა. ახლა თავიდან და ახლებურად ვწერ რომანის მეორე წიგნს“. 1954 წლიდან გაზეთებსა და ჟურნალებში ქვეყნდებოდა მეორე

წიგნის თავები. და აი, 1960 წლისათვის რომანი დამთავრდა.

საკვირველია, როგორ შეძლო შოლოხოვმა ასეთი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მიეღწია თხრობის იმ ჰარმონიული ერთიანობისათვის, მთლიანობისათვის, რაც ორივე წიგნს ახასიათებს. მაგრამ დაკვირვებული მკითხველი იმასაც ადვილად შეამჩნევს, რომ იმ ეპოქებმა, რომლებშიც ეს წიგნები იქმნებოდა, თავისი წარუშლელი დაღი დააჩნია მათ, განაპირობა შინაარსისა და სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურის მრავალი თავისებურება.

თემა თითქოს არ შეცვლილა — კაზაკთა ხუტორის ცხოვრება 1930 წელს, კოლექტივიზაცია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მკვეთრი გარდატეხის პერიოდი. მაგრამ რომანის ორი წიგნის ზედაპირული შედარებითაც ნათლად ჩანს არა მხოლოდ ჩანაფიქრის ერთიანობა, არამედ ის ახალი ხედვაც, რომლითაც დაინახა შოლოხოვმა თავისი გმირები, შეხედა წარსულს იმ კაცის თვალით, რომელმაც დაასრულა „წყნარი დონი“, გადაიტანა სამამულო ომი, ომისშემდგომი მძიმე წლები, მოესწრო პარტიის XX ყრილობას და ჩვენს ცხოვრებაში მისი შედეგებით გამოწვეულ ცვლილებებს. ამ ახალმა თვალთახედვამ განსაზღვრა კიდეც „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის არსებითი თავისებურებანი.

„მე ვწერდი „გატეხილ ყამირს“, — ამბობდა შოლოხოვი პირველი წიგნის გამო, — ცხელ კვალზე, 1930 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ახალი იყო მოგონება მოვლენებზე, სოფელში რომ ხდებოდა და ძირფესვიანად რომ გადააბრუნა იგი: კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, მთლიანი კოლექტივიზაცია, გლეხთა მასობრივი სვლა კოლმეურნეობებში“. იგი წერდა „გატეხილ ყამირს“ (თავდაპირველად რომანს ერქვა — „ოფლით და სისხლით“) არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოვლენების დრამატიზმი იტაცებდა, აფიქრებდა მათი ისტორიული მნიშვნელობა, არამედ შინაგანი, ღრმად ადამიანური მოთხოვნილებითაც — დახმარებოდა ადამიანებს, რომ ეპოვათ ნამდვილი გზა ამღელვარებულ ცხოვრებაში და შეემსუბუქებინა დაბადების ტანჯვა ახლისათვის. და შეიძლება ყველაზე დიდი ჯილდო და აღიარება ავტორისათვის ის იყო, რომ „გატეხილი ყამირის“ პირველ წიგნს, პარტიულ მითითებებთან და დირექტივებთან ერთად, ადგილობრივ ორგანიზაციებს სახელმძღვანელოებად უგზავნიდნენ.

შოლოხოვის რომანი შორს გასცილდა თავისი დროის საზღვრებს, კოლექტივიზაციის პერიოდს. იმ დროის კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებში მწერალმა დაინახა დიდი საერთო-საკაცობრიო შინაარსი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით ადამიანისათვის ეთიკური და ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რომანის სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურა განისაზღვრება სინამდვილის ისტორიულად დიდმნიშვნელოვანი ფაქტებით. შოლოხოვის არსებაში თითქოს შერწყმულია დიდი პოეტისა და სოციოლოგის პიროვნება. ამ რომანში მთლიანად გამოვლინდა მწერლის უნარი, შექმნას სიცოცხლის ძალითა და ახალი ხასიათებით აღსავსე სურათი, რომელიც გვიტაცებს მრავალფეროვნებითა და დაკვირვებების განუმეორებელი სიმდიდრით, სურათი, რომელიც თავისუფალია შემთხვევითი, წარმავალი ან მეორეხარისხოვანი დეტალებისაგან, რომელნიც თანამედროვეებს ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვან, მთავარ მოვლენადაც კი მიაჩნდათ. ეს უნარი — შექმნას სინამდვილის სამყარო ყველაზე უფრო გამოკვეთილ, ისტორიულად დამახასიათებელ, კლასიკურად ნათელ ეპიზოდებისაგან — მხატვარ-შოლოხოვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი თვისებაა.

კოლექტივიზაციაზე რუსულ მწერლობაში შეიქმნა მრავალი რომანი და მოთხრობა. მაგრამ მხოლოდ შოლოხოვმა შეძლო „გატეხილ ყამირში“ ხმოვანების იმგვარი პოლიფონიური სიძლიერით, ფერების იმგვარი სიმკვეთრით შეექმნა არა მხოლოდ ზუსტი ისტორიული კოლორიტი, არამედ ეპოქის თვით არსიც გამოეხატა. თანადროულ სინამდვილეს მან თითქოს მომავლიდან შეხედა და მსხვილად გამოჰყო ის, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო და რამაც მრავალი წლით განსაზღვრა მისი გმირების ცხოვრების გარემოებანი და ხასიათების განვითარება.

შოლოხოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დაძაბული ყურადღება იმ თემისადმი, რომელიც რუსულმა კლასიკურმა რეალიზმმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დააყენა: ადამიანი და საკუთრება. რომანში ადამიანის დამოკიდებულება საკუთრებისადმი განსაზღვრავს მოქმედ პირთა არა მხოლოდ გამოვლენილ თუ ფარულ ურთიერთკავშირს, არამედ მათი ხასიათისა და ფსიქოლოგიის განმსაზღვრელიცაა. „გატეხილი ყამირის“ ამაღელვებელ სცენებში შოლოხოვმა გვაჩვენა, თუ როგორ თავისუფლდებიან ადამიანები კერძომესაკუთრული გრძნობებისა და ჩვევებისაგან, როგორ ფართოდ იშლებოდა მათი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მწერალი სინამდვილეს ასახავს ძველისა და ახლის ჭიდილის მთელი კონკრეტულ-ისტორიული სირთულით და წინააღმდეგობებით. ბრძოლა მიმდინარეობს ცხოვრების მთელს ფრონტზე. ნაჩვენებია შეურიგებელი ანტაგონიზმი ღარიბ-საშუალო გლეხობასა და კულაკურ-თეთრგვარდიულ ბანაკს შორის, მშრომელი მასების სოციალისტური შეგნების ზრდა, საკუთრებისადმი სინანულის დაძლევა კონდრატ მაიდანიკოვის მიერ,

ბრძოლა ხელმძღვანელობის ორ სტილს შორის (დავიდოვი — ნაგულნოვი), ყოფითი კონფლიქტები (ლუშკა — ნაგულნოვი, მარინა — რაზმიოტნოვი).

კოლმეურნის გუთანი სტეხდა კერძომესაკუთრულ ჩვევებს, ცრურწმენათა დახავსებულ ძალას, ღრმადჩაკირულ შეხედულებათა და ურთიერთობათა ყამირს. ამ რევოლუციური რღვევის ფსიქოლოგიური შედეგები არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სოციალურ-ისტორიული მონაპოვარი. სოციალური მერყეობა, ორგვარი სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება გლეხისა — ნახევრად მესაკუთრისა და ნახევრად მშრომელისა — ისტორიულად სპობდა თავის თავს. ამაშიც იყო დიდი ჰუმანისტური არსი იმ რევოლუციური მნიშვნელობის ცვლილებებისა, რომლებზეც მოგვითხრობდა შოლოხოვი „გატეხილ ყამირში“.

შოლოხოვის ქმნილება გამსჭვალულია ისტორიზმის ღრმა გრძნობით. მწერალმა აღბეჭდა ეპოქა მის კონკრეტულ გამოვლინებაში და. ამავე დროს, გვიჩვენა მისი მნიშვნელობა და ადგილი ისტორიული განვითარების უწყვეტ მსვლელობაში. კვლავ ცოცხლობს მოქმედ გმირთა მეხსიერებაში სამოქალაქო ომის გარდასული წლები. სხვადასხვანაირად იგონებენ იმ წლებს და ლაპარაკობენ მათზე რომანის გმირები. დავიდოვი, ნაგულნოვი, რაზმიოტნოვი, კონდრატკო—გამარჯვებულთა სიამაყის გრძნობით; პოლოვცევი, ოსტროვნოვი — სასტიკი დამარცხების მოუნელებელი სიმწრით, ბოროტი სურვილით, კვლავ ასტეხონ შეიარაღებული ბრძოლა და სამაგიერო მიუზღონ გამარჯვებულებს. როდესაც აწმყოს ასახავს, როგორც წარსულის შედეგს, მწერალი გვაჩვენებს მომავლის ყლორტების ზრდასაც. კოლმეურნეთა პირველი გაზაფხულის აღწერა სოციალისტური შეჯიბრების ჩვენება ლიუბიშკინის ბრიგადაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ მკითხველმა იხილა კოლმეურნეობის არა მხოლოდ ხვალინდელი დღე, არამედ ის მიმართულებაც, რომლითაც წავლენ და განვითარდებიან მწერლის მიერ აღწერილი გმირები. მომავალი იმგვარი ადამიანების ხელშია, როგორიც არიან დავიდოვი, რაზმიოტნოვი, მაიდანიკოვი, ლიუბიშკინი.

მოვლენათა სწრაფი მსვლელობა „გატეხილ ყამირში“ განსაკუთრებით შესამჩნევია „წყნარი დონის“ ეპიკურ სიდინჯესთან შედარებით. რომანის პირველი წიგნის მოქმედება ხდება **1930** წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე. ხუტორ გრემიაჩი ლოგში კოლმეურნეობის შექმნის ისტორია ნაბიჯ-ნაბიჯ არის ნაჩვენები. შოლოხოვი, ჩვეულებრივ. იცავს დროის თანმიმდევრობას. განსაკუთრებით აღსავსეა მოვლენებით და დრამატულია მარტის თვე. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ გარეგნული, ზედაპირული გამოვლენაა „გატეხილი ყამირის“ ამბავთა სტრუქტურისა. რომანში სიუჟეტურ საფუძველს წარმოადგენს ხალხის ცხოვრებაში დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენები: რევოლუციური გადატრიალება სოფლად, რაც საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით დამთავრდა; შეურიგებელი ბრძოლა სოციალიზმისა და კერძომესაკუთრულ ძალებს შორის განსაზღვრავს კავშირს, წინააღმდეგობებს, სიმპათიებს, ანტიპათიებსა და საერთოდ ნაწარმოებში მოქმედი ადამიანების ურთიერთობებს.

შოლოხოვი ქმნის ხასიათებისა და ტიპების განუმეორებელ გალერეას. დავიდოვი, ნაგულნოვი, რაზმიოტნოვი, კონდრატკო ის ადამიანებია, რომლებმაც უჯელა თავისი სურვილი, მისწრაფება და მთელი ცხოვრებაც სოციალიზმის აშენების მიზანს დაუმორჩილეს; ხუტორის ღარიბ-ღატაკნი — ლიუბიშკინი, უშაკოვი, შალი მხოლოდ კოლმეურნეობის საშუალებით პოულობენ გზას ადამიანური ცხოვრებისაკენ აქ არის სასაცილო მოლაყბე და მატყუარა პაპა შჩუკარი, დემიდ მოლჩუნი და ხოპროვი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს დამსჯელ რაზმში იყო. მაგრამ ახლა ძალა უპოვია ოსტროვნოვისა და ლაპშინოვის წინააღმდეგ სიტყვის სათქმელად. აქ არის ბორშჩევი, კულაკებს რომ მოუსყიდიათ; ყოფილი წითელი პარტიზანი, ახლა კი კულაკი ტიტ ბოროდინი, ნაქურდალის შემსყიდველი ეკლესიის მამასახლისი ლაპშინოვი; ფროლ რვანი და ოსტროვნოვი, თეთრგვარდიელები პოლოვცევი და ლიატევსკი... ეს ადამიანები რომანში აღწერილი ამბების მსვლელობაში გარკვევით იკრიბებიან ორ კლასობრივად შეურიგებელ ბანაკში. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის მთავრდება კულაკობის განადგურებითა და ლიკვიდაციით, საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებითა და განმტკიცებით ამრიგად, „გატეხილი ყამირის“ სიუჟეტს საფუძვლად უდევს სოციალურ-ისტორიული კონფლიქტი.

რომანის პირველი წიგნის ამბების სისტემა ღრმად ავლენს ხასიათების შინაარსს და ძირითადად ემყარება იმ პერიოდის კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს. თვით მათი თანმიმდევრობა ტიპიური იყო კოლექტივიზაციის ხანისათვის არა მხოლოდ დონზე, არამედ მეტნაკლები სახეცვლილებით მთელი კავშირის მასშტაბითაც. აღადგენს რა გარემოებებს, რომლებშიც რომანის პერსონაჟები მოქმედებენ, შოლოხოვი ესწრაფვის სიმართლის ზუსტ დაცვას. იგი შეგნებულად ემყარებოდა ნამდვილ ფაქტებს და ხშირად ზუსტ ქრონოლოგიურ თარიღებსაც იძლეოდა.

უკვე რომანის დასაწყისი, თავისებური ექსპოზიცია (თავი I-III) ამჟღავნებს იმ ოსტატობას, რითაც შოლოხოვი ქმნის ამბავთა შინაგან

კავშირს, გვიხსნის გმირთა მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას. პოლოვცევის ჩამოსვლის საიდუმლოება ჯერ არ იხსნება. პირველ თავში ვიგებთ, რომ პოლოვცევი ყოფილი ესაულია, რომ შორიდან ჩამოვიდა. რისთვის? ვინ არის იაკობ ლუკიჩი? აქ მოვლენათა ბუნებრივი თანმიმდევრობა ირღვევა, მკითხველის თვალთახედვის არეში სხვა ხალხი შემოდის: პარტიის რაიკომის მდივანი, ლენინგრადელი მუშა დავიდოვი, ხუტორის კომუნისტები — ნაგულნოვი და რაზმიოტნოვი, კაზაკთა ჯგუფი, პაპა შჩუკარი. პირველ საუბრებში ამხანაგობის თაობაზე რაზმიოტნოვი ამბობს: „თავმჯდომარედ იმათ იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვი გამოადგებოდათ. აი, ჭკუის კოლოფი!.. მართალია, ცოტას წუწუნებს, ბეგარას რომ დავადებთ ხოლმე, მაგრამ მეურნე კარგია, ქების ფურცელი აქვს". მაგრამ არ სჯერა ოსტროვნოვისა ნაგულნოვს. იაკობ ლუკიჩის ნამდვილი სახე მესამე თავში გამოჩნდება, ნათელი ხდება პოლოვცევის ჩამოსვლის მიზეზიც, იგი იმედოვნებს, რომ კაზაკებს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ააჯანყებს.

დავიდოვის ხუტორში ჩამოსვლა კანონზომიერი ბიძგი იყო, იმ მოვლენათა დასაბამი გახდა, რომლებიც გარდატეხის ნიშანსვეტად იქცა არა მხოლოდ გრემიაჩი ლოგის, არამედ მთელი ქვეყნის ცხოვრებაში. პოლოვცევის ჩამოსვლა, რომელიც დროის მიხედვით დაემთხვა დავიდოვის გამოჩენას, აშკარად „განზრახული" იყო მწერლის მიერ პირდაპირ რომ ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან, პოლოვცევი და დავიდოვი დაპირისპირებულნი არიან არა მარტო როგორც სხვადასხვა სოციალურ ძალთა წარმომადგენლები, არამედ როგორც პიროვნებები, ხასიათები. ისტორიულად ისინი გამართლებულად შედიან მოქმედებაში და მრავალწილად განსაზღვრავენ შემდგომ მოვლენებს, რომანის გმირთა ბედ-იღბალს. ორივეს გააჩნია ის ძალა და სავსებით ჩამოყალიბებული რწმენა, რაც მათ მიზიდულობის თავისებურ ცენტრებად აქცევს. მაგრამ მოქმედების თავისუფლება, ისტორიული არჩევანის თავისუფლება სხვადასხვაა დავიდოვისა და პოლოვცევისათვის. დავიდოვის მოქმედება განისაზღვრება ისტორიული განვითარების კარგად გაცნობიერებული ლოგიკით, საერთო სიკეთის მოტანის ჰუმანისტური მიზნით. პოლოვცევი კი ცდილობს არა მარტო შეაჩეროს მოვლენათა აუცილებელი სვლა, არამედ უკან შეაბრუნოს კიდეც, უკან, იმ ისტორიული პირობებისაკენ, რომელნიც რევოლუციამდე არსებობდა.

პირველ თავებში განისაზღვრა ძალები, დაიხაზა ხასიათები, რომლებიც გრემიაჩი ლოგში სასტიკად შეებმებიან ურთიერთს. მათი დაჯგუფება ხდება იმ პრინციპით, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ისინი კოლექტივიზაციის დაწყებულ ამბებთან. თავის ჭეშმარიტად ეპიკურ შინაარსს სიუჟეტი ამჟღავნებს ღარიბთა კრების სცენაში (თავი IV). თხრობაში მძლავრად იჭრება ხალხი, მასა. მისი კოლექტიური პორტრეტი, პოლიფონიური დიალოგი, ჯგუფიდან ამოღებული ფიგურები ქმნიან გრემიაჩი ლოგის მშრომელი ხალხის ნამდვილ გულისთქმათა, იმედთა და მისწრაფებათა შთამბეჭდავ სურათს. იხსნება ეპიკური კავშირი ზოგადისა კერძოსთან. მოძრაობა, რომელიც ზემოდან დაიწყო, მტკიცე მხარდაჭერას პოულობს ქვემოდან. ღარიბობა თანახმაა შექმნას კოლმეურნეობა, დიდი აგიტაცია მას არ სჭირდება.

მასობრივ სცენათა დინამიკა რომანის პირველ წიგნში ავლენს იმ „რევოლუციას შეგნებაში", რომელიც მიმდინარეობდა კოლექტივიზაციის დროს, გვაჩვენებს, თუ რა ძნელად, რა წვალებით იქმნებოდა კოლექტიური შრომის ახალი ფორმები, როგორ ხორციელდებოდა უდიდესი ზნეობრივი გარდატეხა — დიდი ბრძოლით, დროებითი წარუმატებლობითა და უკანდახევით. მაგრამ კოლექტიური მორალი მაინც სძლევდა კერძომესაკუთრულ გრძნობებს და რწმენას. მასა რომანში უსახო როდია, იგი ყოველთვის ავლენს მკაფიო სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფიზიონომიას. ეს ხან ხუტორის აქტივი და ღარიბობაა, ხან უფრო ფართო სოციალური შემადგენლობის წრე, ხან კაზაკებია, რომელნიც სხვადასხვა მიზეზთა გამო განუდგნენ პოლოვცევს და დაგმეს მისი საქმე. ხან საზეიმოდ განწყობილი ხალხია, რომელიც ხუმრობითა და მეგობრული შეძახილებით ამხნევებს მოწინავე, დაჯილდოებულ მუშაკს.

მკითხველი ხედავს, რომ ახალი ცხოვრების იდეები იჭრებიან კონდრატ მაიდანიკოვის, იპოლიტე შალის და სხვათა შეგნებაში. მასობრივი სცენების საშუალებით ნაჩვენებია ახლის გამარჯვების პროცესი მშრომელი კაზაკობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. ცალკეულ პირთა გზის ჩვენებას თან სდევს იმის აღწერაც, თუ ხალხი, მთელი ოჯახი, მისი ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილიც კი, როგორ იმსჭვალება სოციალისტური მისწრაფებებით. დიდი მხატვრული სისავსითაა აღბეჭდილი მწერლის მიერ ხალხის მასობრივი სვლა სოციალიზმისაკენ. არ დარჩენილა გრემიაჩი ლოგის კაზაკთა არც ერთი სოციალური ჯგუფი, რომლის პოზიცია კოლექტივიზაციის პერიოდში სიმართლითა და ყოველმხრივ არ იყოს გაშუქებული მწერლის მიერ. თუ სამოქალაქო ომის დროს დონზე კულაკებსა და თეთრგვარდიელებს თან მიჰყავდათ კაზაკთა მასები, ახლა კაზაკობის უმრავლესობა საბჭოთა წყობილების მხარეზეა. საშუალო გლეხი კონდრატ მაიდანიკოვი თავის განცხადებას კოლმეურნეობაში შესვლაზე ასე ამთავრებს: „გთხოვთ მიმიშვათ ახალ ცხოვრე-

ბასთან, ვინაიდან მე სრული თანახმა ვარ მისი".

ძნელად ყალიბდებოდა კოლმეურნეობა. კულაკების მიერ მოწყობილ პირდაპირ გამოსვლებამდე მიდიოდა საქმე. გრემიაჩელებმა სცემეს მეზობელ გლეხებს, დაიტაცეს სათესლე ფონდი, ქალებმა ცემით კინაღამ მოკლეს დავიდოვი. მაგრამ ამ აშკარა გამოსვლების დროსაც კაზაკები ცდილობენ საბჭოთა კანონიერების ნიადაგზე დადგნენ, ცხადია, ამ კანონიერების თავისებური გაგებით. ისინი დიდხანს ვერ ბედავენ ბეღლების გატეხას, დავიდოვისაგან გასაღებებს მოითხოვენ, რაზმიოტნოვს აიძულებენ „მიტინგი" გახსნას. რაც უნდა ძლიერი იყოს მათი მერყეობა, ისინი მაინც საბჭოთა ადამიანები არიან. ამ ხალხს უკვე ველარ აიჯანყებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მტრებს შეუძლია მათი პროვოკაციაზე წამოგება, დროებითი მოტყუება, მაგრამ ისინი მაინც საბჭოურ ნიადაგზე დგანან. თეთრგვარდიელებს მტკიცე დასაყრდენი გამოეცალათ იმ კაზაკებს შორისაც, რომლებიც მტრულად ეკიდებიან საკოლმეურნეო მშენებლობას. როდესაც პოლოვცევი მის მიერ შეკოწიწებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს უხეშად უყვირებს, მეორე წევრი ასეთი სიტყვებით მიმართავს: „თქვენ, ამხანაგო ოფიცრად ნამყოფო, ჩვენს მოხუცებს ნუ უყვირით, ისედაც გიყვირიათ ძველ დროში. იბატონეთ და კმარა, ახლა გაუჯავრებლად უნდა ილაპარაკოთ. საბჭოთა ხელისუფლებაში ჩვენ მაგისთანა პასუხებს გადავეჩვიეთ, გესმით?..." ' ამას ამბობს კაზაკი, რომელიც პოლოვცევმა დიდი რუდუნებით შეარჩია, რათა სხვებთან ერთად იგი მომავალი აჯანყებული რაზმის ყველაზე მტკიცე და საიმედო ბირთვში ყოფილიყო. გასაგები ხდება პოლოვცევის საქმის ჩაფუშვა, იგი ხომ ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა დროებითი შეცდომები და გადახრები კოლექტივიზაციაში, რათა კაზაკების შეიარაღებული გამოსვლა მოეწყო.

სწორედ ის კაზაკები, რომელთა იმედი პოლოვცევს ჰქონდა, „პრავდაში" გამოქვეყნებულ სტალინის წერილის წაკითხვის შემდეგ, ეუბნებიან ნაოფიცრალს: „ახლა ჩვენი გზები გაყრილია, რაკი თვით პატრონი გვიფარველობს, განზე რისთვის უნდა გავიწიოთ?.. ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კი არა, ჩვენი სოფლის უკანონობის წინააღმდეგი ვართ, თქვენ კი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გინდათ ჩვენი მობრუნება. არა, ეს არ ივარგებს..."

რომანის მასობრივ სცენებში ყოველთვის მონაწილეობენ მთავარი გმირებიც. მათი ურთიერთობა ჩაქსოვილია მოვლენათა განვითარების ძირითად ხაზში, ისინი განაპიროვნებენ ხალხთა მასის მოძრაობას. მასობრივი სცენები რომანის პირველი წიგნის ერთგვარ სიუჟეტურ კვანძებად იქცევიან. ყოველი ამგვარი სცენა დაკავშირებულია წინასთან და, ამავე დროს, თითქოს იწყებს მომდევნო სცენათა უწყვეტ ჯაჭვს. მათში ვლინდება ისტორიული ამბების ლოგიკა, ადამიანთა ურთიერთობანი, ხასიათთა ნამდვილი თავისებურება. მაგალითად, გრემიაჩელთა აქტივის კრება იღებს გადაწყვეტილებას განკულაკების თაობაზე. V-IX თავების ყველა ამბავი, უშუალოდ თუ ირიბად, ამ გადაწყვეტილებასთანაა დაკავშირებული.

როგორც წესი, გმირების წინაისტორია პირველ წიგნში მოცემულია აშკარა უკანდახევის გარეშე, მოქმედების შეუფერხებლად, ძირითად მოვლენათა დინამიკაში. პოლოვცევისა და ოსტროვნოვის საუბარი პირველ და მესამე თავში კონტრრევოლუციონერთა მოქმედების კვანძის შეკვრაცაა და რომანის ორი მთავარი მოქმედი პირის წარსულის ჩვენებაც. მხოლოდ მეხუთე თავში ხდება მოჩვენებითი შეფერხება: საფუძვლიანადაა ნაჩვენები ანდრია რაზმიოტნოვის წარსული. მაგრამ ასე დეტალურად მოთხრობილი გმირის წინაისტორია აქვე უკავშირდება დღევანდელს — მარინა პოიარკოვასთან კოლმეურნეობაზე საუბარში.

მეცხრე თავში მკაფიოდაა ნაჩვენები სამი მთავარი გმირის — დავიდოვის, ნაგულნოვისა და რაზმიოტნოვის ხასიათები, გაშიშვლებულია მათი პიროვნების საფუძვლები. მრავალშვილიანი გაევის განკულაკების შემდეგ შეძრწუნებული რაზმიოტნოვი უეცრად უარს აცხადებს ამგვარ მუშაობაზე.

„—მეტს აღარ ვიმუშავებ.

— როგორ არ იმუშავებ, სად?

— განსაკულაკებლად მეტს აღარ წავალ. რას დამაშტერდი თვალებს? ბნელა ხომ არ გინდა მოგივიდეს? — პასუხობს რაზმიოტნოვი ნაგულნოვს.

— მთვრალი ხომ არა ხარ? — თქვა დავიდოვმა შეშფოთებით... — რა მოგივიდა?..

მისმა მშვიდმა წიწკინა ხმამ ანდრია გააცოფა.

— ჩემთვის არ უსწავლებიათ ბავშვებთან ომი! ფრონტზე სხვა საქმეა... გაევს თერთმეტი ბალღი მყავს! მივედით თუ არა, რომ აჭყივლდნენ, ქუდი ამეხადა, თმა ყალყზე დამიდგა! დავიწყეთ ბალღების გარეთ გაყრა...

— ატირდი ბარემ! შეგიმსუბუქებს... — ურჩია ნაგულნოვმა...

— და ავტირდები, შესაძლოა ჩემი ბიჭიც...

დუმილი ჩამოვარდა.

დავიდოვი სკამიდან ნელ-ნელა წამოდგა... ანდრიას მიუახლოვდა... მერე სუნთქვაშეწყვეტით დაიწყო:

— ახლა შენ გებრალება... გეცოდება. მათ კი ვებრალებით? მტრები განა ტიროდნენ ჩვენი ბავშვების ცრემლებზე? დახოცილ ობლებს დასტიროდნენ? აჴ მამაჩემი ქარხნიდან დაითხოვეს გაფიცვის შემდეგ. ციმბირში უკრეს თავი... დედას ოთხნი ვყავდით... მე, უფროსი, ცხრა წლის ვიყავი მაშინ... საჭმელი რომ არა გვქონდა, დედა გავიდა... აქეთ მოიხედე! ქუჩაში წავიდა დედა, რათა შიმშილით არ დავხოცილიყავით! ჩვენ პაწია ოთახში, სარდაფში ვცხოვრობდით, — სტუმარი შემოჰყავს... ერთი ლოგინი დაგვრჩა... ჩვენ ფარდის იქით დავიმალეთ... იატაკზე მივწექით... დიახ, ცხრა წლისა ვიყავი... მთვრალები დაიარებოდნენ მასთან... მე პაწია დებს ტუჩებზე ხელს ვაჭერდი, რომ არ ეყვირათ. ვინ შეგვიშრო ცრემლი? გესმის თუ არა? დილით ვილებ იმ წყეულ მანეთიანს, — დავიდოვმა კბილები ტანჯვით ააკრაჭუნა, — დედის ნაშოვარ მანეთიანს და პურის საყიდლად მივდივარ... — და უეცრად, როგორც ჯირკი, მუშტი მაგიდაზე დაჰკრა და წამოიყვირა: — შენ! როგორ შეგიძლია შეიბრალო?!

... ერთბაშად შეხტა ნაგულნოვიც.

— ქვეწარმავალო! — წივანა ჩურჩულით მიაძახა რაზმიოტნოვს. — ასე ემსახურები რევოლუციას?! გებრალება? მე კი... თუნდაც ათასობით დააყენე პაპები, ბალღები, ქალები... მითხარი კი, რომ საჭიროა მათი განადგ... რევოლუციისათვისაა საჭირო... მე მათ პირდაპირ ტყვიამფრქვევით... ყველას გავათავებ!.. — დაიღრიალა ნაგულნოვმა".

სამი მეგობარი, სამი თანამოაზრე, სამი თანამებრძოლი... როგორი განსხვავებული არიან ისინი, რამდენი ტანჯვაა მათში, როგორი ვნებათაღელვა, რა მწვავე განცდები, და რა დიდი პასუხისმგებლობა!

ამგვარად, რომანის დრამატულ პათოსამდე აყვანილი სიუჟეტური სიტუაციები, გმირთა ხასიათები და ურთიერთობანი ავლენენ ხალხის ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხის ნამდვილ სურათს.

მოვლენათა დრამატიზმი თანდათან იზრდება. მეცხრე თავში აღწერილი საერთო კრება ბუნებრივი შედეგია წინ მოთხრობილი ამბებისა. კოლმეურნეობაში საშუალო გლეხი მოვიდა. ეს იყო წარმატების გადამწყვეტი პირობა. კონდრატ მაიდანიკოვის ცხოვრების ისტორია მოცემულია კოლექტივიზაციის დაჩქარებულ ტემპთან უშუალო კავშირში. პირუტყვის განსაზოგადება, განკულაკება (X თავი), ლარიბი კაზაკის ხოპროვის მკვლელობა (XII თავი), კულაკთა ოლქიდან გადასახლებაზე გადაწყვეტილების მიღება (XIII თავი) — ამ დიდი პროცესის ცალკეული ეპიზოდებია. მოვლენები საფუძველს აცლიან თეთრგვარდიულ-კულაკური ბანაკის გეგმებს. მისი მეთაური პოლოვცევი გამძვინვარებული უვირის: „ფეხქვეშ ნიადაგს მაცლიან! საყრდენს მართმევენ!.. უნდა გაიჟლიტონ, გაიჟლიტონ, გაიჟლიტონ შეუბრალებლად!"

გრემიაჩი ლოგში ჩამოდის აგიტკოლონა. მისი ხელმძღვანელი კონდრატკო და კომკავშირელი ვანია ნაიდიონოვი, რომანში რომ შემოდიან, მაშინვე ბუნებრივად ჩაერთვებიან მოქმედებაში. კონდრატკო და დავიდოვი განსხვავებული ინდივიდუალობის, თაობის, მაგრამ ერთი მიზნის ადამიანები არიან. კონდრატკო დავიდოვზე უფროსია, გამოცდილებაც მეტი აქვს. ერთმანეთის გვერდზე დაყენებულნი, მხატვრულად ისინი თითქოს ავსებენ ერთმანეთს, მათი ხასიათები საშუალებას გვაძლევენ მკაფიოდ დავინახოთ ის არსებითი და მთავარი, რაც ქმნიდა იმ ეპოქის განსაზღვრულ ტიპს.

ნაიდიონოვი ნაგულნოვთან არის შეპირისპირებული. მაკარ ნაგულნოვი თავს ყოველთვის მასაზე მაღლა აყენებდა. ხშირად იგი მკაცრად და ზედმეტად უკომპრომისოდ მოქმედებდა, „მსოფლიო რევოლუციის" იდეით შეპყრობილი, ვერ ეგუებოდა მუშაობის სხვა მეთოდს, გარდა იძულებისა. ამიტომ გაურთულდა საქმე პარტიაში, ამიტომ მისი შეცდომები და გადახრები საქმეს ზოგჯერ უფრო ვნებენ, ვიდრე ხელს უწყობენ. ვანიუშა ნაიდიონოვი, პირიქით, ცდილობს ადამიანებში სიკეთე გაალვიძოს, მათ გრძნობებზე და შეგნებაზე იმოქმედოს, კლასობრივი სოლიდარობის სიმი აახმიანოს. თავისებურ ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლაში იგი დამაჯერებლად სძლევს ნაგულნოვს. მაკარის „სასიხარულო გაკვირვება" ამის გამო არა მხოლოდ დამარცხების აღიარებაა, იგი გზას უხსნიდა კეთილსა და ადამიანურს ამ რთულ, მკაცრ პიროვნებაში. კონდრატკოსა და ნაიდიონოვის ეპიზოდური პერსონაჟები შოლოხოვის ყველა გმირისათვის დამახასიათებელ მკაფიო ინდივიდუალურ თვისებებს ატარებენ.

კულმინაციური ეპიზოდები პირველ წიგნში დაკავშირებულია ე. წ. „ქალთა ბუნტთან". ეს ამბები გამსჭვალულია დიდი ემოციურ-აზრობრივი შინაარსით. „ძველი" და „ახალი" აშკარა და გადამწყვეტ ბრძოლაში შეეტაკნენ ერთმანეთს. ყველაფერმა, რაც საიდუმლოდ და შეუმჩნევლად გროვდებოდა, ამ ეპიზოდებში გრიგალისებური ძალით გამოხეთქა. დააპატიმრეს საბჭოს თავმჯდომარე ანდრია რაზმიოტნოვი, უწყალოდ სცემენ დავიდოვს, იტაცებენ სათესლე ფონდის მარცვალს.

მაგრამ წარსულის ძალთა უმაღლესი წარმატება — გრემიაჩელთა ხუტორის ნაწილის აშკარა გალაშქრება კოლმეურნეობის წინააღმდეგ — ამ ძალთა სასტიკი დამარცხებაც გამოდგა. და ეს დამარცხება ყოველგვარი „გარეშე" ძალის ჩაურევლად მოხდა. მოვლენათა

ტრაგიკული აფეთქება ავლენს იმ ღრმა, შინაგან კავშირს, პარტიას მასებთან რომ აკავშირებდა, გვიხატავს დავიდოვის, რაზმიოტნოვისა და ნაგულნოვის, ამ ჩვეულებრივი ადამიანების, სიდიადესა და ზნეობრივ ძალას. მათ გაითვითცნობიერეს კოლექტივიზაციის ისტორიული მნიშვნელობა და ხალხი მათ გაჰყვა. პირველად აქ, ხუტორელთა საერთო კრებაზე მიმართავენ კაზაკები დავიდოვს, ამ თითქოს „უცხო“ კაცს, მოსულს, „არაჩვენებურს“, გრძნობით გამთბარი სიტყვებით — „საყვარელო დავიდოვ“. „დროებით გზააბნეულნი“ ბრუნდებიან კოლმეურნეობაში, იწყება საგაზაფხულო თესვა.

ამ ისტორიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობის ამბებთან არის დაკავშირებული მაკარ ნაგულნოვის პირადი დრამატული ისტორია: რაიკომის ბიუროს სხდომა, სადაც მისი საკითხი ირჩევა, პარტიიდან გარიცხვა, მტანჯველი ფიქრები თვითმკვლელობაზე... შოლოხოვს შეჰყავს ადამიანები მღელვარე ისტორიული ნაკადის ყველაზე მძლავრ და სწრაფ ზვირთებში. მის რომანში მოქუხს ხალხის ცხოვრების შეუჩერებელი, თითქოს ურყევისა და შეჩვეულ-დახავსებულის წამლეკავი წყალდიდობა. ცალკეულ ადამიანთა ბედ-იღბალი და მთლიანად ხალხის ცხოვრებაც ისტორიული გარდატეხის მომენტებში მჭიდროდაა გადახლართული რომანის სიუჟეტის ერთიან განვითარებაში.

პირველი ტომის დასასრული შეიცავდა ახალი კონფლიქტების დასაწყისს, მიგვანიშნებდა კლასობრივი ბრძოლის ახალ გამწვავებაზე. გადასახლებიდან გამოქცეული კულაკის ვაჟი ტიმოფეი რვანი ძველ ადგილებს უბრუნდება, დაუბრუნდნენ ოსტროვნოვის სახლს თეთრგვარდიელი ოფიცრები — პოლოვცევი და ლიატევსკი. იძაბება ვითარება და მზადდება მომავალი ბრძოლების ახალი ასპარეზი.

შოლოხოვის სხვადასხვა დროის გამონათქვამებიდან ცნობილია, რომ ნაწარმოების მეორე ნაწილში უნდა ასახულიყო 1931 წლის ამბები, საშუალო გლეხის პრობლემას კვლავ ცენტრალური ადგილი უნდა სჭეროდა, პოლოვცევი და ტიმოფეი რვანი ბანდის წევრები უნდა გამხდარიყვნენ, კვლავ დიდი ყურადღება უნდა დათმობოდა ხუტორისა და კაზაკთა ცხოვრების ყოფის აღწერას...

რომანის მეორე ნაწილის გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით მსჯელობისას უნდა დავასკვნათ, ავტორის ზემოთხსენებულმა მოსაზრებებმა არსებითი ცვლილება განიცადეს. კონდრატ მაიდანიკოვი, „საშუალო გლეხი“, რომელიც კოლმეურნეობაში შევიდა, მეორე პლანზე გადადის და ფაქტიურად ეპიზოდური პერსონაჟი ხდება. მისი მხატვრული სახის ძირითადი ფუნქცია რომანის პირველ წიგნში ამოიწურა, მოქალაქეობრივი მომწიფება პარტიაში შესვლით დასრულდა და მეორე პლანზე გადასვლა კანონზომიერად მოხდა. მის გვერდით, მნიშვნელობის მიხედვით, [illegible] მასიდან არჩეული მხატვრული ფიგურები — იპოლიტ შალი, უსტინ რიკალინი, ივან არჟანოვი.

სულ სხვანაირად წარიმართა პოლოვცევისა და ტიმოფეი რვანის ბედი. შოლოხოვმა უფრო დინამიურ გადაწყვეტას მიაგნო: ნაგულნოვის მიერ ტიმოფეის მოკვლის სცენა ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავია რომანის მეორე ნაწილში. ამით ტრაგიკულ სიტუაციათა იმგვარი ჰიდილი იქმნება, რომელიც ალბათ ვერ იქნებოდა მიღწეული სიუჟეტის თითქოს უფრო ბუნებრივი განვითარების შემთხვევაში — ტიმოფეი შეხვდებოდა პოლოვცევს, ისინი შექმნიდნენ უმნიშვნელო ბანდას და ა. შ.

სამაგიეროდ, მხატვრულად განხორციელდა ავტორის პირვანდელი ჩანაფიქრი — უფრო ფართოდ და ღრმად ეჩვენებინა რაიონის პარტიულ ხელმძღვანელთა სახეები. ამის დადასტურებაა რაიკომის მდივნის ნესტერენკოს ფიგურა რომანის მეორე ნაწილში. რაც შეეხება წიგნის ქრონოლოგიას, იგი დასრულდა 1930 წლით და არა 1931, როგორც თავდაპირველად ვარაუდობდა ავტორი. ასე იყო თუ ისე, შოლოხოვის რომანი, როგორც ყველა ჭეშმარიტი მაღალმხატვრული თხზულება, შინაარსითა და აზრით პასუხობდა მრავალ საკითხს, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მიერ იყო დასმული.

მილიონობით მკითხველი მღელვარებით ელოდა რომანის მეორე წიგნის გამოსვლას. როგორ წარმოდგებოდნენ მასში ის გმირები, რომლებიც დიდიხნის წინათ შეიყვარეს?

და აი, გაისმის მძლავრი რექვიემი — ავტორის გამოთხოვება გმირულად დაღუპულ დავიდოვთან და ნაგულნოვთან... „უკანასკნელად უგალობეს დონის ბულბულებმა ჩემი გულისათვის ძვირფას დავიდოვსა და ნაგულნოვს, უჩურჩულეს შემოსული ხორბლის თავთავებმა, ქვებზე მორაკრაკე უსახელო ნაკადულებმა, საიდანღაც, გრემიაჩის ღრანტეს სათავეებიდან რომ მოჩუხჩუხებს... ეს იყო და ეს!“ მწერლის სიყვარულისა და თანაგრძნობის ეს გულისშემძვრელი ჰანგი თანაგანცდის დიდი ძალით იპყრობს და იტაცებს მკითხველს. თითქოს პირადი უბედურების გრძნობას განიცდი, თითქოს სამუდამოდ შორდები ძვირფას და ახლობელ ადამიანებს. მაგრამ დიდი ხელოვნება იმარჯვებს სიკვდილზე, იგი აცოცხლებს მკვდრებსაც!

წარსულის ამბებში მწერალი ბევრს ხედავს იმ ისტორიული სიმაღლიდან, რომელზედაც ცხოვრების წინსვლასა და განვითარებას აუყვანია — უფრო მკაფიოდ, ღრმად და მართლად ჩანს მრავალი რამ იმ სიმაღლიდან.

თუ „გატეხილი ყამირის“ პირველ წიგნში მძლავრად ჟღერდა სოციალურ გარდაქმნათა,

საკუთრების ძველი ფორმების ნგრევის, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამკვიდრების პოეზია, მეორე წიგნში წარმტაცი ლირიზმით ჟღერს ნანატრ მომავალში შებიჯებული ადამიანის „გრძნობათა აღზრდის“ პოეზია. მეორე წიგნში სოციალური თავის გამოვლინებას ხშირად სწორედ ეთიკურსა და ზნეობრივში ჰპოვებს.

აქედან გამომდინარეობს მეორე წიგნის სიუჟეტურ სვლათა თავისებურებაც: მოქმედების გარეგნული სიმდორე, საკუთარ თავზე გმირთა თხრობის სიმრავლე (ივან არჟანოვის აღსარება), ვრცელი საუბრები (იპოლიტ შალისა და დავიდოვის, ნესტერენკოსა და დავიდოვის), დაძაბული ყურადღება პერსონაჟთა ინტიმური განცდებისადმი (დავიდოვი-ლუშკა-ვარია ხარლამოვა, ნაგულნოვი-ლუშკა).

შესამჩნევად იცვლება ნაწარმოების ენობრივი ქსოვილის ხასიათიც. პირველ წიგნში მხოლოდ ერთხელ გაისმა უშუალოდ ავტორის ხმა. მეცხრამეტე თავში მწერალი მეგობარ-მკითხველს მიმართავს: „დააყურე ღამის დუმილს და გაიგონებ მეგობარო, როგორ ხრავს კურდღელი ტოტს ხის წვენით გაყვითლებული კბილებით. მთვარე მუქად ანათებს ალუბლის ხიდან ჩამონადენ ქარვისფერ ფისს. მოგლიჯე იგი და დააკვირდი: ფისის თვალი დამწიფებულ, ხელუხლებელ ქლიავსა ჰგავს...“

მეორე წიგნში კი ხშირად ვლინდება ავტორისეული გრძნობები, მწერალი დაუფარავად შედის თავის გმირთა ცხოვრებაში, როგორც დაინტერესებული და კეთილისმსურველი მეგობარი. ლირიზმი თხრობას განსაკუთრებულ ტონალობას, გულითადობასა და ინტიმს ანიჭებს. ავტორის სიყვარულს აშკარად ვგრძნობთ დავიდოვისა და რაზმიოტნოვის მიმართ, მან მძლავრად იფეთქა ზემოთმოტანილ ნაწყვეტში, რომელიც დავიდოვისა და ნაგულნოვის პოეტური გამოტირებაა.

ლირიკული საწყისის გაძლიერება, უკვე „წყნარი დონის“ ბოლო ნაწილებისათვის დამახასიათებელი, ვლინდება არა მხოლოდ „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნში, არამედ შოლოხოვის ყველა ომისშემდგომ ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი მოთხრობაში „ბედი კაცისა“.

სუბიექტური საწყისის ეს ზრდა ეპიკური თხრობის ჟანრებში გვევლინება, როგორც თანამედროვე პროზის განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერება. იგი ჩანს მარტო ლირიზმში კი არა, არამედ პერიოდის ხასიათის ცვლაში, სადაც გაბედულად იკავებს ადგილს სხვადასხვა სახის ენობრივი პოზიცია — ავტორისეული, გმირთა, არაპირდაპირ-ავტორისეული... ამ უკანასკნელს განსაკუთრებით ფართოდ იყენებს შოლოხოვი, რაც საშუალებას აძლევს შეიტანოს ავტორისეული შეფასების ელემენტი გმირთა უაღრესად ინტიმურ განცდებსა და ფიქრებში.

„გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნი გამსჭვალულია მწერლის დაძაბული შინაგანი ყურადღებით ჭეშმარიტი ადამიანობის, ჰუმანიზმისა და ისტორიული აუცილებლობის პრობლემების მიმართ. სიმონ დავიდოვის, მაკარ ნაგულნოვის, ანდრია რაზმიოტნოვის მოქმედება განპირობებულია მათი მისწრაფებით „მშობლიური სოციალიზმისაკენ“ მათთვის ესაა ოცნება ადამიანთა შორის იმ ახალ ურთიერთობებზე, რომელიც სინამდვილეში ხორციელდება. ისინი თავისუფალი არიან „წყეული საკუთრების“, საკუთარი მეურნეობის მიწის ნაგლეჯისადმი მონური ქედმოდრეკისაგან. „გატეხილი ყამირის“ ჰუმანური პათოსი იბადება სწორედ იმ სამყაროს უარყოფითიდან, სადაც ბატონობდა კერძომესაკუთრული ინტერესების აღვირახსნილი ძალა და კლასობრივი ეგოიზმი ადამიანის სულს ფიტავდა, ამახინჯებდა.

შოლოხოვის რომანი მიმართულია არა მხოლოდ თანადროულობისადმი. შინაარსითა და ოცნებით იგი მომავლისკენაა მიპყრობილი, მშვენიერებისკენაა წარმართული. ეს სწრაფვა მშვენიერებისადმი, იდეალისადმი საშუალებას აძლევს შოლოხოვს *ობიექტურად გახსნას კოლექტივიზაციის ისტორიული მნიშვნელობა, ამ პროცესის ჰუმანისტური შინაარსი.* ცხოვრებისეული ძალისა და ზნეობრივი გრძნობის სისპეტაკით, მშვენიერების იდეალის შთამაგონებელი გავლენით შოლოხოვის ეს რომანი კეთილ ზემოქმედებას ახდენს ჩვენი დღეების ადამიანზე, ეხმარება მას იყოს უფრო უკეთესი, კეთილშობილი და ამაღლებული.

## VII

სამამულო ომის მრისხანე წლებში შოლოხოვი, სხვა საბჭოთა მწერლების მსგავსად, მოქმედი არმიის რიგებში შედის, მუშაობს „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტად, ხშირადაა ფრონტზე, მებრძოლ ნაწილებში. ომის პირველ წლებში, მძიმე უკანდახევის დროს, იგი ჯარისკაცებთან ერთად იყო, ხოლო გამარჯვების ჟამს, მათთან ერთად განიცადა და გაიზიარა უდიდესი სიხარული, რომელმაც მთელი ჩვენი ხალხი მოიცვა. 1945 წელს იგი დააჯილდოვეს სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ომის პირველსავე თვეებში პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა და ცალკე წიგნაკებად გამოვიდა მწერლის ნარკვევები „დონზე“, „სამხრეთში“, „კაზაკები“ და სხვ. საყოველთაო პოპულარობა და აღიარება მოიპოვა მისმა მოთხრობამ „სიძულვილის მეცნიერება“ (1942).

სავსებით აშკარაა ამ მოთხრობის პუბლი-

ცისტური მიმართება. მაგრამ, როგორც ყოველთვის, შოლოხოვის პუბლიცისტიკაში პოლიტიკურმა აზრმა კონკრეტულ-სახეობრივი, მხატვრული ხორცშესხმა განიცადა.

„სიძულვილის მეცნიერებაში" მთხრობელის როლში ლეიტენანტი გერასიმოვი გვევლინება. იგი ურალის ქარხნის მექანიკოსია. ომში წავიდა მშრომელი მასებისადმი სიყვარულისა და ნდობის გრძნობით გამსჭვალული. პირველად ნათლად ვერ წარმოედგინა ვერც უდიდესი საფრთხე, რაც მის სამშობლოს დამუქრებოდა და ვერც მტრის ნამდვილი სახე. გერასიმოვი იცნობდა გერმანელ კლასიკოსთა თხზულებებს, ემუშავნა გერმანულ ჩარხებსა და მანქანებზე, როგორც თვით ამბობს, პატივისცემით ეპყრობოდა გერმანელ ხალხს. პირველ ბრძოლებშიც კი, როცა პირისპირ შეხვდა ფაშისტებს, გერასიმოვი მათში მხოლოდ მოტყუებულ მშრომელ ხალხს ხედავდა. ის და მისი ამხანაგები, საბჭოთა მებრძოლები, ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდნენ გერმანელ ტყვეებს.

საბჭოთა ადამიანების ამ ჰუმანიზმს ავტორი მკვეთრად უპირისპირებს ფაშისტ დამპყრობთა ბარბაროსობას. დაჭრილმა და ტყვედ ჩავარდნილმა გერასიმოვმა საშინელი ტანჯვა და დამცირება განიცადა. მის თვალწინ იღუპებოდნენ ამხანაგები, რაღაც სასწაულით იგი გადარჩა და გაიქცა. ტყვეობის მძიმე განსაცდელმა ვერ გატეხა გერასიმოვი, იგი სასტიკი სიძულვილით განიმსჭვალა მტრისადმი; თავის სიყვარულს სამშობლოსადმი, ხალხისადმი, პარტიისადმი ხანდახან თუ გამოავლენს თავშეკავებული და სიტყვაძუნწი, ადრე გათეთრებული ლეიტენანტი.

გერასიმოვის მონათხრობის, როგორც მთელი ხალხის გრძნობათა და განწყობილებათა ტიპიური გამოვლენის გააზრებაში, თვით ავტორი გვეხმარება. აქაც შეგნებულად მიმართავს შოლოხოვი რეალისტურ პოეტურ სიმბოლიკას: „გაზაფხულის პირას გერმანელების ყუმბარა მოხვდა ძველ მუხას, რომელიც უსახელო ღელის ნაპირას იზრდებოდა. ყუმბარამ ხე გაგლიჯა, შუაზე გახეთქა. ნახევარი ხე გახმა, მაგრამ წყალზე გადახრილი მეორე ნახევარი გაზაფხულზე საუცხოოდ გამოცოცხლდა და ქორფა ფოთლებით დაიფარა. და დღესაც, ალბათ, დასახიჩრებული მუხის ქვედა ტოტები მდინარის წყალში ბანაობენ. ზედა ტოტებს კი კვლავ ხარბად გაუწვდიათ მზისკენ ჩამოქნილი, მკვრივი ფოთლები..."

მოთხრობის დასაწყისშიც — „ომში თითოეულ ხეს, ისევე როგორც ადამიანებს, საკუთარი ბედი აქვს" — იგრძნობა შორეული შეპირისპირება ომის ცეცხლით შეტრუსულ, მაგრამ მძლავრ და ცოცხალ დიდებულ მუხასა და ლეიტენანტ გერასიმოვის მიერ გადატანილ განსაცდელს შორის. ეს შორეული შეპირისპირება მოთხრობის ბოლოს პირდაპირი შედარებითაა გამოხატული: „...ამ ოცდათორმეტ წლის ლეიტენანტს, განცდილი გაჭირვებისაგან მოტეხილს, მაგრამ მაინც ძლიერსა და მუხასავით მაგარ ადამიანს, თვალისმომჭრელად გათეთრებია საფეთქლები..." ეს შედარება გვეხმარება გავიგოთ გმირის ხასიათის მთავარი ღირსება და, ამავ დროს, ჩავწვდეთ სასტიკ ბრძოლაში ჩაბმული საბჭოთა ხალხის ძირითად თვისებას — ცხოვრებისეულ ძალასა და სიმტკიცეს.

ომის დროს და ომის შემდეგ (1943 წლიდან 1959 წლამდე) გამოქვეყნდა ნაწყვეტები შოლოხოვის ახალი რომანიდან „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ". როგორც აღინიშნა, მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მწვავე დაინტერესება იმ რთული, ზოგჯერ დრამატული პროცესებით, რომელთა შედეგად ყალიბდება საბჭოთა ადამიანის ხასიათი. ადამიანის ბედი შოლოხოვის რომანებში, იქნება ეს გრიგორი მელეხოვი თუ მიხეილ კოშევოი „წყნარი დონიდან", სიმონ დავიდოვი თუ კონტრად მაიდანიკოვი „გატეხილი ყამირიდან", ყოველთვის განპირობებული და განსაზღვრულია ისტორიის შემოქმედი ხალხის ბედით.

დამახასიათებელია, რომ შოლოხოვის ომისდროინდელ და ომისშემდგომ ნაწარმოებებში გვხვდება მისთვის სრულიად ახალი ცხოვრებისეული მასალა. თუ „წყნარ დონსა" და „გატეხილ ყამირში" შოლოხოვი ძირითადად ასახავდა დონის კაზაკთა ცხოვრებას, ახლა მისი ყურადღების ცენტრში სხვა გმირებიც შემოდიან: ურალელი მექანიკოსი გერასიმოვი („სიძულვილის მეცნიერება"), დონბასელი მეშახტე ლოპახინი და ყუბანელი კომბაინერი ზვიაგინცევი („ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ"), ვორონეჟელი შოფერი ანდრია სოკოლოვი („ბედი კაცისა"). თითქმის პირველად თავის შემოქმედებაში რომანის ერთ-ერთ მთავარ გმირად შოლოხოვს გამოჰყავს ინტელიგენტი-აგრონომი ნიკოლოზ სტრელცოვი.

რომანის გამოქვეყნებულ ნაწილებში მოქმედება ხდება 1942 წლის ზაფხულში, ჩვენი ჯარების დონისაკენ მძიმე უკანდახევის დროს (თვით მწერლის სიტყვით, ეს მომავალი რომანის პირველი წიგნის დაახლოებით შუა ეპიზოდებია). დონის ველებზე გამართული ბრძოლების სურათები თითქოს შესავალია სტალინგრადთან მომხდარი გიგანტური ბრძოლის დიდებული ეპოპეისა.

თავისი ახალი რომანის ჩანაფიქრის თაობაზე შოლოხოვი ამბობდა: „წარსულ ომში მე მაინტერესებს უბრალო ადამიანთა ხვედრი. ჩვენი ჯარისკაცი სამამულო ომის დღეებში გმირად მოგვევლინა. რუსი ჯარისკაცი, მისი მამა-

ცობა და ხუვორროვისებური თვისებები ცნობილია მსოფლიოსათვის, მაგრამ ამ ომმა ჩვენი ჯარისკაცი სრულიად სხვა შუქზე გვაჩვენა. მე მინდა რომანში გავხსნა საბჭოთა მეომრის სწორედ ის ახალი თვისებები, რომლებმაც ასე აღამაღლეს იგი ამ ომში“... ახალ რომანში ავტორმა ომი გაიაზრა არა მხოლოდ როგორც ხალხის გმირული მხედრული ღვაწლი, არამედ აგრეთვე როგორც საბჭოთა ადამიანის ყველა ზნეობრივი თვისების უდიდესი გამოცდა.

ჯარისკაცები შოლოხოვის რომანში მხოლოდ კი არ ომობენ, ისინი ფიქრობენ და ბჭობენ სახელმწიფოს ბედზე, ლაპარაკობენ ომის მიზნებზე, იგონებენ მშვიდობიან წარსულს, ოჯახებს, შვილებს, საყვარელ ახლობლებს, ბრძოლის ტრაგიკულ დაძაბულობას უეცრად ცვლის კომიკური სცენები და ეპიზოდები. მხატვრული ცხოვრების ჩვენების ეს სიღრმე და სისავსე შოლოხოვის რომანის მეტად დამახასიათებელი თვისებაა. იგი საშუალებას აძლევს მწერალს, ჩაწვდეს ხალხის სიცოცხლისუნარიანობის ჭეშმარიტ საზომს, გვაჩვენოს გმირულის საწყისი.

ის აზრი, რომ საბჭოთა წყობილების პერიოდში ძირფესვიანად შეიცვალა ხალხის შეგნება და მდგომარეობა, განსაზღვრავს შოლოხოვის თხრობის მხატვრულ სტრუქტურას, ადამიანის შეცნობისა და ასახვის ესთეტიკურ პრინციპებს. შოლოხოვის გმირთა სულიერი წყობის სიახლე განსხვავებულად ვლინდება: ზოგჯერ იგი ლოპახინის პუბლიცისტური ხასიათის გამონათქვამებში ჟღერს, ხან სტრელცოვის ფარულ ფიქრებსა და განცდებში იგრძნობა, ხან კი ზვიაგინცევის გულკეთილ იუმორისტულ საუბრებში გამოსჭვივის.

მწერლის დაძაბული ყურადღება მიმართულია იმ ახლისადმი, რაც ვლინდება სხვადასხვა ინდივიდუალობის მქონე ადამიანის ბედში, ცხოვრების პირობებში, ეხმარება მას ღრმად გამოხატოს რომანის მთავარი აზრი — *ხალხის ცხოვრების ულრმეს ფენებში მტკიცედ გამჯდარი ახალი საზოგადოებრივი საწყისების უძლეველობა*: სასტიკ მტერზე ხალხის გარდუვალი გამარჯვების რწმენითაა გამთბარი რომანის ყველაზე დრამატული ფურცლები, რომლებიც უმძიმეს ბრძოლებზე და დიდ მსხვერპლზე გვიამბობენ.

თხრობა თითქოს ორ პლანში ვითარდება: ჯარისკაცული ყოფის სცენებს ცვლიან დიდი ექსპრესიით დაწერილი ბატალური სურათები. სასტიკი ბრძოლის ამ სურათებში ამაღლებული და გმირული ხშირად კომიკურთან მეზობლობს. დრამატულის ყოველდღიურთან, მაღალი პათეტიკის და მგზნებარე ლირიზმის კომიკურთან გაბედული შეხამება შოლოხოვის ერთერთი მკვეთრი დამახასიათებელი თვისებაა, რაც ამ რომანში რელიეფურად გამოვლინდა.

ახალი გამომსახველობითი საშუალებების აღმოჩენა, რასაც შოლოხოვი ოსტატურად უკავშირებს მისწრაფებას, მკაფიოდ გამოჰყოს *გმირული — ჩვეულებრივში*, ამაღლებული — ყოველდღიურში და გაიაზროს იგი, ვითარცა *წამყვანი საწყისი საბჭოთა ადამიანების ხასიათში*, აფართოებს რეალიზმის შესაძლებლობებს გამომსახველობით პლანში, ანიჭებს მას ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ თვისებებს მეცხრამეტე საუკუნის რუსულ კლასიკურ რეალიზმთან შედარებით.

მკითხველი მოთმინებით ელოდება რომანის დამთავრებას. თვით შოლოხოვის აღიარებით, იგი ახლა სწორედ მთლიანად ამ საქმითაა დაკავებული — მუშაობს რომანზე „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“.

როგორც აღინიშნა, შოლოხოვის ომისშემდგომ შემოქმედებაში ძლიერდება ლირიკული, ავტორისეული საწყისი. ამის მკაფიო მაგალითია საქვეყნოდ ცნობილი მოთხრობა „ბედი კაცისა“, ავტორი პირდაპირ „ჩართულია“ თხრობაში, მისი პირადი ფიქრები და განცდები აძლიერებენ მოთხრობის ემოციურ დაძაბულობას, უფრო თვალნათლივ გვიხატავენ უბრალო რუსი ადამიანის ანდრია სოკოლოვის ჭეშმარიტ სიდიადეს, სიძლიერესა და სილამაზეს.

საოცარია ამ პატარა მოთხრობაში მწერლის ჩანაფიქრის მასშტაბურობა, იმ მხატვრული ამოცანის სირთულე, რომელსაც ავტორი წყვეტს: მეორე მსოფლიო ომით განპირობებული ადამიანის ტრაგიკული ისტორია, ხალხისა და სახელმწიფოს უმწვავესი ისტორიული გამოცდა, ბედი კაცისა, რომელსაც თავს დაატყდა ომის ყველა საშინელებანი...

შოლოხოვმა იპოვა არაჩვეულებრივად ტევადი, შთამბეჭდავი ფორმა, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ეპიკურობა და სიმოკლე, უკიდურესი მიზანსწრაფულობა და სიფართოვე. როგორც ზოგიერთი რუსი მკვლევარი ამტკიცებს, „ბედი კაცისა“ წარმოადგენს იმ ახალი ჟანრული ფორმის შექმნას, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს *მოთხრობა-ეპოპეა*.

მოთხრობაში არ არის „კერძო“ ისტორია, „კერძო“ ამბავი ამ ცნების საერთოდმიღებული მნიშვნელობით. ანდრია სოკოლოვის ისტორიიდან ავტორი არჩევს მხოლოდ იმას, რაც საშუალებას აძლევს გაიაზროს ცალკეული ადამიანის ცხოვრება ეპოქის ტრაგიკულ არსთან მჭიდრო კავშირში. ამით ავტორი მსხვილად, განზოგადებულად, ფართო ისტორიული პერსპექტივით, გაუნელებელი სიყვარულისა და შემბრალებლობის გრძნობით იძლევა უდიდესი

პრობლემის — ადამიანისა და ომის პრობლემის — თავისებურ გადაწყვეტას. აჩვენო მცირე მოთხრობაში კეთილის, მშვიდობიანის, ჭეშმარიტად ადამიანურის სრული შეუთავსებლობა უსულგულო სიმკაცრესთან, ბარბაროსობასთან, სადისტურ ულმობლობასთან, კაცის ღირსების შეგნებულ გაქელვასთან, დაუპირისპირო ურთიერთს მშვიდობიანი, მზიური იმედის, სოციალური თანასწორობის, პიროვნული ღირსებებისა და ოჯახური ბედნიერების სამყარო და ბნელეთი ფაშიზმისა, რომელმაც კაცობრიობა სისხლისმღვრელ ომში შთააგდო — თავისთავად უდიდესი მხატვრული ამოცანაა.

სწორედ ამ რთულ სოციალურ-ფილოსოფიურ და კონკრეტულ-ისტორიულ საფუძველს ემყარება შოლოხოვის მოთხრობის ესთეტიკა.

ავტორი-მთხრობელი შოლოხოვის ნაწარმოებში იქცევა აქტიურ მოქმედ პირად და, ამავე დროს, ანდრია სოკოლოვის ტრაგიკულ-სევდიანი თავგადასავლის ერთადერთ მსმენელად რჩება. „გავხედე ალმაცერად და რატომღაც გუნება შემეცვალა. თუ გინახავთ თვალები — მინავლული, მუდამ სამარისებური ნაღველით სავსე, შეხედვა რომ გზარავს? ასეთი თვალები ჰქონდა ამ ალალბედზე გადაყრილ მეინახეს“. ეს თვალები დანახულია სხვისი უბედურებისადმი გულისხმიერი ადამიანის მიერ, რომელიც თანაგანცდის დიდი ძალითაა დაჯილდოებული, იგი უკვე მოუცავს სიბრალულისა და თანაგრძნობის მტანჯველ და კეთილ, განმწმენდ და ამამაღლებელ განცდას. ასეა მთელი მოთხრობის მანძილზე და მკითხველიც იმავე განცდით იმსჭვალება.

ეს შეხვედრა სხვის ტრაგედიასთან, უბედურებასთან, რომელსაც ვერ მკურნავს დრო, — ირგვლივ ყველაფერს თითქოს შეუმჩნევლად უსიხარულო და სევდიან საბურველში ხვევს: „თბილი ნიავი ისევ ზანტად არხევდა მურყნის შემხმარ საყურაყვავილებს; ღრუბლებიც თითქოს თეთრი დატიკული იალქნები ყოფილიყო, წყნარად მიცურავდნენ თვალშეუდგამ ლაჟვარდში. მაგრამ ამ ნაღვლიან დუმილში უკვე სულ სხვანაირად მომეჩვენა ეს უკიდეგანო ქვეყანა, რომელიც დიადი გაზაფხულის, მარადიული სიცოცხლის დამკვიდრებისათვის ემზადებოდა“.

ავტორი-მთხრობელი მკითხველს ეხმარება კიდეც განიცადოს და კიდეც გაიაზროს ერთი ადამიანის ცხოვრება, როგორც ეპოქისმიერი მოვლენა, დაინახოს მასში საკაცობრიო შინაარსი და აზრი. თხრობა უიმედო-ტრაგიკულიდან გადადის გმირული რწმენითა და იმედით გამსჭვალულ ტონალობაში.

მაგრამ ადამიანურ გრძნობასაც ხომ თავისი კანონები აქვს. მას ემორჩილება ავტორის კაცური გულიც. გაისმის დამამთავრებელი აკორდი, სხვისი უბედურებით გულდაკოდილი ადამიანის კვნესასავით სიმღერა. თვალს სწყდება უმწარესი კაცური ცრემლი:

„მძიმე სევდით გავყურებდი მათ გზას... შესაძლოა ყველაფერს კეთილად ჩაევლო ჩვენი დამშვიდობების დროს, მაგრამ ვანიუშკამ, რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, პატარა ფეხები გაებლანდა, პირი ჩემკენ იბრუნა., ვარდისფერი ხელი დამიქნია და უცებ, თითქოს რბილმა, მაგრამ ბრჭყალებიანმა თათმა გული შემიკუმშა. სწრაფად მოვბრუნდი. არა, მარტო ძილში კი არ ტირიან ხანში შესული, ომის წლებში გაჭაღარავებული მამაკაცები. ისინი ცხადშიც ტირიან. აქ მთავარი ის არის — დროულად მობრუნდე. აქ მთავარი ის არის — ყმაწვილს არ დაუკოდო გული, არ დაანახო, როგორ ჩამოგდის ლოყაზე ძუნწი, მწვავე, მამაკაცური ცრემლი“...

მოთხრობის დასასრულს წინ უძღვის ავტორისეული დინჯი ფიქრი, ფიქრი მრავლის მნახველი და მრავლის მცოდნე ადამიანისა: „მინდოდა მეფიქრა, რომ ეს რუსი კაცი, ეს უტეხი ნებისყოფის კაცი, კიდევ გაიწევს. მამის მხარდამხარ გაიზრდება, დავაჟკაცდება ეს ბიჭიკოც, და ის ყველაფერს აიტანს, გადალახავს თავის გზაზე, თუკი ამისათვის მას სამშობლო მოუხმობს“.

ეს ორი, ტრაგიკულისა და გმირულის თემა, გმირობისა და ტანჯვის თემა შოლოხოვის მთელი მოთხრობის მანძილზე ერთმანეთშია გადაწნული, ქმნიან პოლიფონიურ ერთიანობას და ძირითადად განსაზღვრავენ მისი ჟანრისა და სტილის თავისებურებას.

ანდრია სოკოლოვის მონათხრობის ყოველ ნაწილს ახასიათებს შინაარსის შინაგანი დასრულებულობა და, ამავე დროს, ყოველ მათგანში საერთო მოტივებიც ჟღერენ. განმეორებისას ისინი ყველაფერს განცდათა ტრაგიკულ დაძაბულობას ანიჭებენ.

მოთხრობის ყოველ ნაწილში ავტორი საშუალებას გვაძლევს მკვეთრად და გამსხვილებულად დავინახოთ ანდრია სოკოლოვის ხასიათის ახალ-ახალი მხარეები. ჩვენ მას ვეცნობით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინტიმურ-ოჯახურში, ჯარისკაცულში, ფრონტულში, ამხანაგებთან ურთიერთობაში. ტყვეობაში და ა. შ. ადამიანის შეცნობა სიღრმისაკენ მიდის: გარეგნულ-ხილულისაგან შინაარსობრივისაკენ, სოციალურად და ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანისაკენ.

ანდრია სოკოლოვის ნაამბობის პირველმა ნაწილმა მოიცვა მისი ომამდელი ცხოვრების ისტორია, ომის დაწყების აღწერა, ოჯახთან გამოთხოვება.

ნაამბობის მეორე ნაწილი ყველაზე ვრცელია, როგორც დროის, ისე შინაარსის მოცულობით: ომი, ტყვეობა, ტყვეობიდან გაქცევა

ჰოსპიტალი, ცნობა ოჯახის დაღუპვის შესახებ. ამ მოვლენებში ყველაზე უფრო სრულად ვლინდება ის ცნებები, რომლითაც ანდრია სოკოლოვი ცხოვრებაში ხელმძღვანელობს, შიშვლდება მისი ხასიათის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები.

ნაამბობის მესამე ნაწილი და ფინალი გამსჭვალულია სხვადასხვა მოტივების დაძაბული ჭიდილით: ტრაგიკულისა და გმირულის, უიმედო სასოწარკვეთილების („უცხო, გერმანულ მიწას მივაბარე ჩემი უკანასკნელი სიხარული და იმედი. ბატარეამ ზათქით გააცილა თავისი მეთაური შორეულ გზაზე და მე თითქოს რაღაც ჩამწყდა“), ყოველდღიური აუტანელი ტანჯვისა („ღლისით ყოველთვის გულს ვიმაგრებ, ჩემგან ოხვრას ვერ გაიგონებს კაცი, ღამით კი გამეღვიძება და მთელი ბალიში ცრემლით მაქვს დასველებული...“) და იმედის სხივისა, რომელიც უცხო ბიჭუნას ხმასთან ერთად მოევლინა.

ანდრია სოკოლოვის ჭეშმარიტი სიდიადე ვლინდება ობლისადმი, იმ პაწია ვანიუშასადმი დამოკიდებულებაში, რომელიც მისთვის იმედიცა და დაბრუნებული სიხარულიც გახდა...

## VIII

ამრიგად, სამი ძირითადი თემა, სამი ძირითადი მომენტი მშობლიური ხალხის ცხოვრებისა პოულობს ასახვას შოლოხოვის შემოქმედებაში: პირველი — რევოლუციის თემა, ხორცშესხმული „წყნარი დონის“ განუმეორებელ გმირებში; მეორე — კოლექტივიზაცია, სოფლად სოციალისტური ეპოქის დადგომა „გატეხილი ყამირის“ ეპიკურად დახატულ ტილოზე და მესამე — საბჭოთა ხალხის უდიდესი განსაცდელის, სამამულო ომის თემა, აღბეჭდილი იმ გმირების ბედ-იღბალში, რომლებიც შეეწირნენ სამშობლოსათვის დამოუკიდებლობის ბრძოლას და რომლებმაც ძლევამოსილად დააგვირგვინეს კაცობრიობის სამართლიანი ომი ფაშიზმის წინააღმდეგ.

შოლოხოვის თხზულებანი სამყაროს ყველა კონტინენტს გადასწვდა, თითქმის ყველა ხალხი ეზიარა მათ. მისი შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილებად იქცა.

ინდოეთში წერდნენ „წყნარ დონზე“: „რომანი მკითხველს გადაუშლის ახალ სამყაროს, უზარმაზარსა და ფერადოვანს. თუ ოქტომბრის რევოლუცია კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისად იქცა, „წყნარი დონი“ ამ ისტორიის პირველი თავია“.

„ყველაზე დიდი საბჭოთა მწერლის ახალი მსოფლიო ბესტსელერი“ — ასე შეაფასეს იტალიურმა გაზეთებმა „გატეხილი ყამირის“ იტალიური გამოცემა, რომელიც მალევე ხელმეორედ განხორციელდა.

ამერიკული, იაპონური, ფრანგული, ნორვეგიული, დანიური, ყველა ქვეყნის — ჩამოთვლა შეუძლებელია — პრესა, კრიტიკა, მკითხველთა წერილები, დაწყებული 30-იანი წლებიდან დღემდე, შეუნელებელი ინტერესითა და ყურადღებით ეხმაურება შოლოხოვის შემოქმედებას.

რაღა უნდა ითქვას ჩვენი ქვეყნის ხალხებზე? შოლოხოვის რომანები, მოთხრობები, ომისდროინდელი და ომისშემდგომი პუბლიცისტიკა თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე. მის თხზულებათა ტირაჟებმა ჭეშმარიტად ასტრონომიულ ციფრს მიაღწია! შოლოხოვი შესულია სასკოლო სახელმძღვანელოებში, უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში. მის შემოქმედებას სწავლობს, ირკვევს, აანალიზებს, აფასებს ლიტერატურისმცოდნეთა და კრიტიკოსთა დიდი რაზმი.

ქართულად შოლოხოვის თითქმის ყველა თხზულებაა თარგმნილი. არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ის ღვაწლი ამ დარგში, რომელიც ჩვენს ცნობილ მთარგმნელს თინათინ ჯავახიშვილს ეკუთვნის. მან „წყნარი დონი“ თარგმნა. ამ ეპოპეის თარგმნა ჭეშმარიტად დიდ თავდადებასა და გმირულ შრომას მოითხოვს. რომანის თითქმის ყველა გვერდზე უხვად გვხვდება ლექსიკური მასალა, ხატოვანი თქმები, იდიომები, რომლებიც არც ერთ სტაბილურ ლექსიკონში არ მოიპოვება. კაზაკური მეტყველების სპეციფიკასა და ნიუანსებში გარკვევა უდიდეს მოთმინებასა და სიფაქიზეს მოითხოვს.

ასეთივე დიდი დამსახურება მიუძღვის აწ განსვენებულ არისტო ჭუმბაძეს, რომელმაც „გატეხილი ყამირი“ თარგმნა.

მოკლედ, შოლოხოვის შემოქმედება საბჭოთა ხალხის სულიერი ყოფის შემადგენელ ნაწილად იქცა. იგი სამართლიანად ამშვენებს მთელ საბჭოთა ლიტერატურას

არა ერთხელ სწვევია შოლოხოვი საქართველოს. ქართველი მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწენი მისი ხშირი სტუმრები ყოფილან. ეს ურთიერთობა ყოველწლიურად ღრმავდება და ფართოვდება. მწერალს შეუყვარდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ხალხი, მისი თვალწარმტაცი ბუნება. ერთ-ერთი განშორების დროს იგი აღნიშნავდა: „სინანულით დავტოვე თქვენი წარმტაცი ქვეყანა. მოგეხსენებათ, არც თუ ისე იოლია, დატოვო ის, რაც გულში ღრმად ჩაგწვდა. მაგრამ რომ გტოვებთ, იმედი მაქვს, კვლავ შეგხვდებით...“

* * *

„დონის მარცხენა ნაპირის ქვიშიან ფერდობზე მდებარეობს სტანიცა ვეშენსკაია. ძველთაძველი სტანიცა, პეტრე პირველის დროს გა-

ნადგურებულ ჩიგონაცკის სტანიცის ადგილიდან, დონის სათავეებში გადმოიტანეს და ვეშენსკაია უწოდეს. იგი ვორონეჟ-აზოვის სამდინარო გზაზე ოდესღაც ნიშანგეზად ითვლებოდა.

სტანიცის პირდაპირ დონი თათრული მშვილდისარივით იღუნება, მარჯვნივ უხვევს, ხუტორ ბაზკის მახლობლად კი ისევ დიდებულად იშლება; მარჯვნივ ცარცის მთებსა და ხშირ ხუტორებს ჩაუდის, მარცხნივ, აქა-იქ გაშენებული სტანიცების მახლობლად მიაქანებს მომწვანო ტალღებს — აზოვის ლურჯ ზღვამდე მიაქვს ლაჟვარდისფრად გამჭვირვალე წმინდა წყალი...

ვეშენსკაია ყვითელი ქვიშნარით არის მოფენილი... სადაც დონი უხვევს და სტანიციდან ბაზკებთან გამოდის, ალვის ხეების რაყასთან, სახელოსავით შეჭრილია ტბა, რომლის სიგანე გვალვისაგან დალეული დონის სიგანეს არ აღემატება. ამ ტბის ბოლოში სტანიცა თავდება...

ჩრდილოეთით — სტანიცის იქით, ზაფრანისფერი ქვიშით მოფენილ ველზე ალაგ-ალაგ გამოერევა ფიჭვნარის თხელი ნარგავები და წითელი თიხნარისაგან ვარდისფრად შეღებილი ჭაობები. ამ დაუსრულებელ ქვიშნარებში — ვარდისფერი ქვიშის შორეულ ნაფენებში — იშვიათი კუნძულებივით მოჩანს ხუტორები და ჭალები, ტირიფების მუქყვითლად ალანძული კენწეროები...“ — ასე აღწერს „წყნარ დონში“ შოლოხოვი მშობლიურ კუთხეს.

აქ, ამ ბავშვობიდანვე ნაცნობ და საყვარელ დონის განუმეორებელი ბუნების წიაღში უბრალო კაზაკივით ცხოვრობს ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი მიხეილ შოლოხოვი, და ქმნის თავისი მშობლიური ხალხის ცხოვრების მაღალმხატვრულ მატიანეს.

ხალხის წიაღიდან გამოსული მწერალი, ხალხისავე წიაღს უბრუნდება, ხალხსავე ემსახურება და დაუცხრომლად იღვწის მისი უკეთესი მერმისისათვის.

**ავტორისაგან**: ამ წერილის დაწერისას გამოვიყენე რუს მკვლევართა შემდეგი ნაშრომები: ი. ბ. ლუკინი, მიხეილ შოლოხოვი. მეორე გამოცემა, მოსკოვი, 1962; მ. ა. შოლოხოვის შემოქმედება. წერილების კრებული, მოსკოვი, 1964; მიხეილ შოლოხოვი, წერილების კრებული, ლენინგრადი, 1956; ლ. იაკიმენკო, მ. ა. შოლოხოვის შემოქმედება, მოსკოვი, 1964; ნ. მასლინი, შოლოხოვის რომანები, მოსკოვი, 1963; აგრეთვე, „რუსული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“, პროფ. პ. ს. ვიხოდცევის რედაქციით, მოსკოვი, 1970 (ყველა რუსულ ენაზე).

შოლოხოვის თხზულებათა ციტირებას ვახდენდი თინათინ ჯავახიშვილის („წყნარი დონი“), არისტო ჭუმბაძის („გატეხილი ყამირი“, „მოთხრობები“), რ. ინანიშვილისა და გ. ხომერიკის („ბედი კაცისა“) თარგმანთა მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჯაში

# ფერფლისაგან აღმდგარი ქალაქი

ქერჩი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია... პანტიკაპეი, ბოსფორი, კარშა ანუ ჩარშა, კორჩევი, ჩერკიო... ასე ეწოდებოდა საუკუნეების მანძილზე ქალაქ ქერჩს. აქ რამდენიმე ათასწლეულის წინათ ბინადრობდნენ ქიმერიელების მეომარი ტომები. მე-6 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქიმერიელების ბოსფორთან აღმოცენდნენ ბერძნული ქალაქი-პოლისები. ერთ-ერთი მათგანი — პანტიკაპეი — გახდა მონათმფლობელური ბოსფორის სახელმწიფოს დედაქალაქი. ქალაქმა არაერთი რბევა განიცადა ჰუნებისა და თათარ-მონგოლთაგან, იწვნია გენუელებისა და თურქების ბატონობა.

მატიანე გვამცნობს, რომ ყირიმის უძველესი ბინადარნი იყვნენ ქიმერიელების, თავრებისა და სკვითების მრავალრიცხოვანი ტომები. აღმოსავლეთ ყირიმში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ბოლოსა და პირველი ათასწლეულის დამდეგს ქიმერიელთა ტომების არსებობას მრავალი წერილობითი წყარო ადასტურებს (მათ შორის, ჰეროდოტეს, სტრაბონის და სხვათა). გეოგრაფიულ სახელებშიც შენარჩუნებულია მათი ხსოვნა — ბოსფორი ქიმერიელებისა, ქალაქი ქიმერიკი, ქიმერიის გადასასვლელი და ა. შ.

მე-8—მე-7 საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქიმერიელები განდევნეს სკვითებმა, რომლებსაც ეკავათ ჩრდილოეთი შავი ზღვისპირეთი და ყირიმი; ჰეროდოტეს დროს (მე-5 საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სკვითები მისდევდნენ მეცხვარეობასა და მიწათმოქმედებას, აკეთებდნენ რკინის იარაღსაც. მე-6 საუკუნეში ჩვენს ერამდე ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან და მცირე აზიის ქალაქებიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, დნესტრის შესართავიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე მთელი რიგი კოლონიები დააარსეს — ქერჩის ნახევარკუნძულზე იმ დროს გაჩნდნენ ბერძენ-კოლონისტების მრავალრიცხოვანი დასახლებები: პორფილიუსი და პართენიუსი, პანტიკაპეი, მირმენიუსი და ილურატი, ტირიტაკა (ახლანდელი არშინცევის დაბის მახლობლად), ნიმფეოსი (ახლანდელი სოფ. გეროევსკოეს ადგილას), აკრა, კიტეი (ტობეჩინის ტბის სამხრეთით), კიმერიკი და ა. შ.

ბოსფორ-ქიმერიის ქალაქებს — კოლონიებს შორის მალე პირველობა მოიპოვა პანტიკაპეიმ. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ პანტიკაპეი ბოსფორის ქალაქებს შორის ერთ-ერთი პირველი აწარმოებდა მე-6 საუკუნეში ჩვენს ერამდე ლითონის ფულების მოჭრას. 480 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეს ქალაქები პანტიკაპეის მეთაურობით გაერთიანდნენ ბოსფორის სახელმწიფოდ. პანტიკაპეი ბოსფორის მმართველთა რეზიდენცია, მისი დედაქალაქი გახდა, პანტიკაპეის სამხრეთი ნაწილი — ტირიტანა ვაჭარ-ხელოსანთა ქალაქსა და ბოსფორის სახელმწიფოს გამაგრებულ ფორპოსტს წარმოადგენდა.

კლასობრივმა ანტაგონიზმმა მეორე-პირველ საუკუნეებში ჩვენს ერამდე ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ქვეყანაში მონების აჯანყება გამოიწვია. ერთ-ერთმა დიდმა აჯანყებამ მონებისა ბოსფორში იფეთქა. ამ დროს შეურიგებელი ბრძოლა წარმოებდა ბოსფორისა და სკვითების სახელმწიფოებს შორის. სკვითების სახელმწიფოს დედაქალაქი მდებარეობდა ახლანდელი სიმფეროპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში. ვინაიდან ბოსფორის სახელმწიფომ ვერ შეძლო თავისი საზღვრებიდან განედევნა სკვითები, მან ხერსონესის მსგავსად, დახმარებისათვის მიმართა მცირე აზიის სახელმწიფო — პონტოს მეფეს მითრი-

დატე VI ევპატორს. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა ესარგებლა ამ შემთხვევით და ბოსფორისათვის წაერთმია პოლიტიკური დამოუკიდებლობა. სწორედ ამ დროს, 107 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბოსფორში იფეთქა სკვითებისა და მონების აჯანყებამ. ამ აჯანყებამ მოიცვა ქერჩის ნახევარკუნძულის თითქმის ყველა ქალაქი და სოფელი. აჯანყებულებს მეთაურობდა მონა სავმაკი, წარმოშობით სკვითი. მათ ხელში იგდეს ძალაუფლება და სავმაკი მეფედ აღიარეს. სულ მალე პონტოს მთავარსარდალი დიოფანტე თავისი ჯარით დაიძრა ხერსონიდან, დაიპყრო ფეოდოსია, სისხლში ჩაახშო აჯანყება და ხელთ იგდო ქალაქი პანტიკაპეი. სავმაკი ტყვედ ჩავარდა, იგი მცირე აზიაში (ქ. სინოპში) გაგზავნეს და სიკვდილით დასაჯეს.

ქიმერიელთა შთამომავლები — თავრები მისდევდნენ ნადირობას, მეცხოველეობას, მეთევზეობას და ებრძოდნენ რომის აგრესიას. ამ ტომის სახელწოდების მიხედვით ყირიმს ძველად უწოდებდნენ თავრიკას, მოგვიანებით კი თავრიდას და თავრიას.

370 წელს ტამანის სანაპიროდან ქერჩის ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ ჰუნების ურდოები, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით მოსპეს მრავალი ქალაქი და სოფელი. ათსაუკუნოვანმა ბოსფორის სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, მე-4 საუკუნის დამლევიდან ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი ბიზანტიის იმპერიის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი თავის თხზულებაში „ნაგებობათა შესახებ“ აღნიშნავს, რომ როდესაც იმპერატორმა იუსტინიანემ შეიტყო, რომ ბოსფორის, ხერსონესის და სხვა ზღვისპირა ქალაქების კედლები დაინგრა, უმალვე იზრუნა მათი აღდგენისათვის, განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია მან ბოსფორის ციხე-სიმაგრის აღდგენას.

მეათე საუკუნეში ქერჩის ნახევარკუნძულზე საფუძველი ეყრება მომავალ რუსულ სამთავროს — ტმუტარაკანს. ძველი რუსული სახელწოდება კორჩევი (სამჭედლო), რომლითაც ბოსფორი ცნობილია მე-8—მე-9 საუკუნეებში, იმით უნდა ავხსნათ, რომ ქალაქში ბევრი რუსი ცხოვრობდა და მათ მიანიჭეს მას ეს სახელი. პირველად სახელწოდება ტმუტარაკანი გვხვდება კიევის მატიანეში, 988 წელს და შემდეგ მოხსენებულია „კიევის ქალაქების“ ნუსხაში, ნოვგოროდის მატიანეში (1079-1081 წწ) „თქმულებაში იგორის ლაშქრობაზე“ არაერთხელ არის ნახსენები ტმუტარაკანი.

მე-13 საუკუნეში რუსეთს თათარ-მონგოლთა ურდოები შეესივნენ, ყირიმიც მათ დაიპყრეს. ამ პერიოდში ჩნდებიან ყირიმის მიწაზე ვენეციელი და გენუელი ვაჭრების დასახლებები. 1475 წელს იტალიელ ვაჭართა ეს კოლონიები განადგურებულ იქნა თურქთა შეტევის შედეგად, თურქებმა დაიპყრეს ყირიმის სახანო. უკრაინის რუსეთთან შეერთებამ შეასუსტა თურქეთისა და განსაკუთრებით მისი ვასალის — ყირიმის სახანოს პოზიციები. 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით ყირიმის სახანო გამოცხადდა დამოუკიდებლად და რუსეთს მიეკუთვნა აზოვი და ქერჩი ციხე-სიმაგრე ენიგალეთი. ცხრა წლის შემდეგ ყირიმის სახანომ შეწყვიტა თავისი არსებობა და 1783 წელს ყირიმი რუსეთის გამგებლობაში გადავიდა. თურქეთი ვერ ისვენებდა და მას შემდეგ არაერთხელ სცადა ყირიმის დაბრუნება. 1790 წლის 8 ივლისს ქერჩის სრუტესთან მოხდა ცნობილი საზღვაო შეტაკება, რომლის შედეგად ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა რუსეთის ფლოტმა ადმირალ თედორე უშაკოვის მეთაურობით. ამიერიდან ქერჩი — თავრიდის საგუბერნიო ქალაქი გახდა. 1821 წლიდან ქერჩი — სარეიდო ნავსადგურია. 1846 წელს ქერჩის რკინის მადნის საბადოების ბაზაზე მუშაობა დაიწყო თუჯსასხმელმა ქარხანამ. განვითარება პოვეს თევზის მრეწველობამ, მარილის, ქვის მოპოვებამ. ყირიმის ომის დროს, 1855 წელს, ინგლისურმა დესანტმა, თურქებთან ერთად, დაარბია და დაანგრია ქალაქი. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დამდეგს ქერჩი რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს ნავსადგურად გადაიქცა. ქალაქში იყო მეტალურგიული და ფოლადსასხმელი ქარხნები, საკონსერვო წარმოება, თამბაქოს ფაბრიკა.

1891 წელს რუსეთ-საფრანგეთის სპეციალურმა საზოგადოებამ წამოიწყო ქერჩში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. ოთხი წლის შემდეგ აიგო ორი მცირე ბრძმედი, ფოლადსასხმელი და სხვა საამქროები, ქარხანამ თუჯის პირველი ნადნობი მიიღო. ამ დროისათვის ქალაქი 31 ათასს მცხოვრებს ითვლიდა.

ქერჩში მუშების საერთო რაოდენობა 1914 წლისათვის 6 ათასს აღემატებოდა; აქედან 2400 მუშა, ანუ მთელი პროლეტარიატის 40 პროცენტი მეტალურგიულ ქარხანაში იყო დასაქმებული.

ქერჩი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. 1903 წლის თებერვალში ქერჩის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაარსა არალეგალური სტამბა. 1903 წლის ზაფხულში ქერჩის მუშები შეუერთდნენ მასობრივ პოლიტიკურ გამოსვლებს, რომლებმაც მოიცვეს კიევი, ოდესა, ეკატერინოსლავი, ბაქო, თბილისი, ბათუმი. 1906 წლის 9 იანვარს ტაძრის მოედანზე გაიმართა მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი, ხოლო 1 მაისს — გაიმართა მაისობა. 1905-1907 წლებში ქერჩის პროლეტარიატის ბრძოლებს ხელმძღვანელობდა მგზნებარე რევოლუციონერი პეტრე ლაზარეს ძე ვოიკოვი,

შემდგომში ცნობილი საბჭოთა დიპლომატი. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის პ. ვოიკოვი გარიცხეს გიმნაზიიდან. მის სახელს ატარებს ქერჩის მეტალურგიული ქარხანა.

1918 წლის დამდეგს სევასტოპოლიდან ქერჩში გემით რევოლუციური მეზღვაურები ჩამოვიდნენ, მათ ქერჩის ბოლშევიკებთან ერთად შექმნეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი და შეიმუშავეს აჯანყების გეგმა. 1918 წლის 5 იანვრის შუა ღამით ქერჩში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

1918 წლის იანვრის დამლევს მთელ ყირიმში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. თებერვლის შემდეგ გამოცხადდა თავრიდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილი. 1918 წლის აპრილში, გერმანელთა ჯარებმა, დაარღვიეს რა ბრესტის ზავის პირობები, შეიჭრნენ ყირიმში და აპრილის ბოლოს დაიპყრეს ქერჩი, მათ იქ შვიდი თვე იპარპაშეს. 1918 წლის ნოემბერში გერმანელებმა დასტოვეს ყირიმი და მათ ნაცვლად მოვიდნენ ინგლის-საფრანგეთის ინტერვენტები. დეკემბერში ქერჩში მათი საზღვაო ფლოტი დაბანაკდა. არაერთი განსაცდელი გადაიტანა ქერჩმა: აქ თარეშობდნენ დენიკინის ე. წ. „მოხალისეთა არმიის“ ნაწილები, შემდეგ, ვრანგელის ურდოები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ პარტიზანებს და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

1920 წლის 14 ნოემბერს ქერჩის მუშათა კლასმა აჯანყება დაიწყო. ორი დღის შემდეგ მ. ფრუნზე დეპეშით აცნობებდა ვ. ი. ლენინს: „დღეს ჩვენმა ცხენოსნებმა დაიკავეს ქერჩი. სამხრეთის ფრონტი ლიკვიდირებულია“.

დაიწყო სამოქალაქო ომის წლებში დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. მრეწველობისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად დიდდებოდა ქალაქის მოსახლეობაც. ომის წინ ქალაქ ქერჩის მოსახლეობა შეადგენდა 104.500 კაცს. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ქერჩი გადაიქცა ყირიმის დიდ ინდუსტრიულ ცენტრად და ერთ-ერთ აყვავებულ ქალაქად.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრი რამ გადახდა ქერჩის ციხე-სიმაგრეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი განსაცდელი ხვდა წილად მას დიდი სამამულო ომის წლებში. თითქმის მთელი ომის მანძილზე ქერჩი ფრონტის ქალაქი იყო და ომის მთელი სიმძიმე გადაიტანა. გააფთრებული ბრძოლების შედეგად მტერმა ორჯერ ხელთ იგდო ქერჩი და ორჯერვე საბჭოთა არმიამ შეუპოვარი ბრძოლებით გაათავისუფლა ქალაქი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. და მიუხედავად ყველა სიძნელისა და გაჭირვებისა, გმირი ქალაქი არ შედრკა, გაუძლო და გაიმარჯვა.

1941 წლის 22 ივნისიდან ომის მკაცრი კანონებით ცხოვრობდა და შრომობდა ქერჩი. როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, ქალაქი ჯარისკაცის ფარაჯაში გამოეწყო. 15 ათასზე მეტი ქერჩელი ომის პირველი დღეებიდანვე წავიდა ფრონტზე, ქალაქში მზადდებოდა ახალი შევსება ფრონტისათვის — შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები და სახალხო ლაშქარი, მოწესრიგდა ყველა იმათი სამხედრო სწავლება, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ფაბრიკები და ქარხნები ფრონტისათვის აუცილებელი პროდუქციის გამოშვებაზე გადავიდნენ, ხოლო როდესაც მტერი ქალაქს უახლოვდებოდა, ქერჩში შეიქმნა პარტიზანული რაზმები. შემდეგ საჭირო შეიქმნა ქერჩის სრულიად ადამიანთა დიდი მასის, ტექნიკის, დიდძალი პირუტყვის ევაკუაცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ვოიკოვისა და კიროვის სახელობის ქარხნებიდან, რკინის მადნეულის კომბინატიდან ღრმა ზურგში გაიგზავნა 30 ათასი ტონა მოწყობილობა. ქერჩელებმა ღირსეულად შეასრულეს მათზე დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები.

როდესაც ფრონტი ქალაქს მიუახლოვდა, გამანადგურებელი ბატალიონისა, და სახალხო ლაშქარის მებრძოლები, ჩვენი არმიის ნაწილებთან ერთად, იგერიებდნენ მტრის შემოტევებს; ყირიმში შეიქმნა 320-ე დივიზია, რომელიც მთლიანად ქერჩელებისაგან შედგებოდა. მრავალი ქერჩელი კომუნისტი გაიგზავნა 51-ე ცალკეულ არმიაში. შეიქმნა ქალაქის თავდაცვის საქალაქო კომიტეტი.

1941 წლის სექტემბრის ბოლოს ჰიტლერელთა სარდლობამ ყირიმთან დიდ ძალებს მოუყარა თავი. ჩვენს 51-ე არმიას მიეცა ბრძანება, რადაც უნდა დაჯდომოდა, დაეცვა პერეკოპის ყელი. იგი თავდაუზოგავად, მიუხედავად მტრის ჯარების რიცხობრივი უპირატესობისა, შეტევას შეტევაზე იგერიებდა, ოქტომბრის შუა რიცხვებში გერმანელებს საშუალება მიეცათ პერეკოპზე ახალი ძალები გადაესროლათ. 18 ოქტომბერს გერმანელ-ფაშისტთა სარდლობამ იშუნოს პოზიციებისაკენ დასძრა ქვეითი ჯარის, მძიმე არტილერიისა და ტანკების დიდი რაოდენობა, 20 ოქტომბერს მტერმა გაარღვია ფრონტი. ოდესიდან ჩამოსული ზღვისპირეთის არმიის ნაწილების კონტრშეტევებით შესაძლებელი გახდა შეჩერებულიყო მტრის შემოტევა 26 ოქტომბრამდე. როგორც კი მტერმა დაიკავა იშუნის პოზიციები, მან შესაძლებლობა მიიღო ფლანგებიდან შემოევლო ჩვენი ნაწილებისათვის; ალყაში რომ არ მოხვედრილიყვნენ, ზღვისპირეთის არმიის ნაწილებმა ნახევარკუნძულის სამხრეთისაკენ დაიხიეს, 51-ე არმიას უნდა დაეცვა ქერჩის მიმართულება.

ასრულებდა რა ამ ბრძანებას, ზღვისპირეთის არმიამ სევასტოპოლისკენ დაიხია, ხოლო 51-ე არმია მოადგა ქერჩის ნახევარკუნძულს, სადაც დაიკავა აკმონაის პოზიციები, ყველაზე ვიწრო ყელი აზოვსა და შავ ზღვას შორის, რომლის სიგანე 18 კილომეტრია.

დაიწყო მძიმე, სისხლისმღვრელი ბრძოლები. სამი კვირის მანძილზე საბჭოთა არმიამ გაანადგურა მტრის 20 ათასი ჯარისკაცი, 130 ტანკი. ათასობით ქერჩელი სიცოცხლის ფასად იბრძოდა, იცავდა მშობლიურ ქალაქს. 27 ოქტომბრის შემდეგ ფაშისტური ავიაცია ყოველდღე ბომბავდა ქალაქს. მდგომარეობა მეტისმეტად კრიტიკული იყო. სავაჭრო ორგანიზაციებმა მოსახლეობას დაურიგეს სასურსათო საქონლის ნარჩენები. ეს იყო უკანასკნელი რამ, რის გაკეთებაც შეეძლო თავდაცვის საქალაქო კომიტეტს ქერჩში დარჩენილი მოსახლეობისათვის; ერთ ღრუბლიან დღეს მითრიდატის მთაზე გამოჩნდნენ გერმანელი მევტომატეები. ქერჩის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის განკარგულებით დაიწყო ჯარების გადაყვანა ქერჩიდან ტამანის ნახევარკუნძულზე. 1941 წლის 16 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქერჩის ნახევარკუნძული. ქერჩი ცეცხლის ალში იყო გახვეული, იწვოდა.

ისე მოხდა, რომ სამამულო ომის პერიოდში ქერჩი ორჯერ იქნა განთავისუფლებული საბჭოთა არმიის მიერ. 1941 წლის დეკემბრის ბოლოს სადესანტო გემების ქარავნები შეუმჩნევლად გავიდნენ აზოვის ზღვის ნავსადგურებიდან და კურსი ქერჩის ნახევარკუნძულისაკენ აიღეს. მთავარ სადესანტო დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ 224-ე მსროლელი დივიზიისა და საზღვაო ქვეითი ჯარის 83-ე ბრიგადის მებრძოლები. მათ ნაბრძანები ჰქონდათ გადამსხდარიყვნენ ქერჩის ყელთან, ხელთ ჩაეგდოთ პლაცდარმი, გაეფართოებინათ იგი, აეღოთ ქალაქი, იერიში განევითარებინათ მტრის განლაგების სიღრმეში. ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის მიერ შემუშავებული გეგმით ფეოდოსიის მხრიდან 44-ე არმიას, ხოლო აკმონაის მხრიდან 51-ე არმიას უნდა განევითარებინათ შეტევა ქერჩის ნახევარკუნძულის ყველაზე ვიწრო ყელზე და ჩაეკეტათ მტრისათვის უკანდასახევი გზა. ეს სამხედრო აქცია სამამულო ომის ისტორიაში ცნობილია ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციის სახელწოდებით. ოპერაციის მიზანი იყო ქერჩის ნახევარკუნძულის განთავისუფლება, მტრის ძალების ჩამოცილება ალყაშემორტყმული სევასტოპოლისაგან და პირობების შემზადება ყირიმის შემდგომი განთავისუფლებისათვის. სულ ქერჩის ნახევარკუნძულზე და ფეოდოსიაში 26-31 დეკემბერს გადმოსხმულ იქნა ჩვენი დესანტი 40 ათასზე მეტი ჯარისკაცის შემადგენლობით.

30 დეკემბერს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ფეოდოსია და განავითარეს შეტევა ჩრდილოეთით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით. ამან აიძულა ფაშისტები უკან დაეხიათ ქერჩიდან. ქერჩის ნახევარკუნძულიდან უკანდახეული მტერი სევასტოპოლის უბნიდან გადმოსროლილი ორი დივიზიის მხარდაჭერით თავდაცვაზე გადავიდა და 1942 წლის 2 იანვარს ჩვენი ჯარების შეტევა შეჩერდა. შეტევის შედეგად საბჭოთა ჯარებმა წინ წაიწიეს 100-110 კილომეტრით, 30 დეკემბერს გაათავისუფლეს ქერჩიც.

მტერმა ნანგრევებად აქცია ქალაქი, ნავსადგური ააფეთქა, მიუხედავად საშინელი ტერორისა, პარტიზანები შურს იძიებდნენ ფაშისტებზე, მოსვენებას არ აძლევდნენ. 1941 წლის ოქტომბერ-დეკემბერში აჯიმუშკაის სამტეხლოებთან მოქმედებდა პარტიზანული რაზმი ნ. ბანტიშისა და ს. ჩერკეზის მეთაურობით. მტერიც სასტიკად უსწორდებოდა საბჭოთა პატრიოტებს.

1942 წლის ოთხნახევარი თვის მანძილზე ქერჩის ნახევარ კუნძულზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, რომელშიაც უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის შვილებმა. გმირულად დაიღუპნენ სამშობლოსათვის საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ სხულუხია, მწერალი ალექსანდრე სულავა, რუბენ თავაძე, პოლიტხელი დიომიდე ბერიშვილი, მაიორი სერგო დეგელოვი, კომისრები ანდრია რამაზაშვილი, ვლადიმერ უიფიანი, ტიტე კობალაძე, პოლკოვნიკი სიკო ტარიელაშვილი, პოლიტხელები არჩილ ჰაჰიაშვილი, ვლადიმერ კაჭკაჭიშვილი, ბენო ხალვაში, ვახტანგ ჩანადირი, მიხეილ ჯორბენაძე, ტარასი რიგვავა, ვლადიმერ ჯიქიძე და მრავალი სხვა.

1942 წლის 19 მაისს ფაშისტებმა ხელმეორედ დაიპყრეს ქერჩი. ჩვენი ჯარები იძულებული გახდნენ ტამანის ნახევარკუნძულზე გადასულიყვნენ. ფაშისტებმა ქალაქის ბევრი მცხოვრები დახვრიტეს.

ფაშისტებს მამაცურად ებრძოდნენ ჯარისკაცები, მეზღვაურები და ოფიცრები, რომლებმაც 1942 წლის მაისში არაერთგვაროვანი ბრძოლების წარმოებისას ვერ მოასწრეს ქერჩის სრუტეზე გადასვლა, აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებს შეაფარეს თავი და შეძლებისდაგვარად აქედან ებრძოდნენ მტერს.

1942 წლის ოქტომბრის ბოლომდე აჯიმუშკაის ქვისსამტეხლოებში გმირულად იბრძოდა საბჭოთა არმიის ნაწილი, რომელშიც შედიოდნენ საზღვაო ქვეითი 83-ე ბრიგადის, 176-ე მსროლელი პოლკის, 95-ე სასაზღვრო რაზმის, რეზერვის საფრონტო პოლკების, იაროსლავის ავიატექნიკური სასწავლებლის, ვორონეჟის რადიოსპეციალისტთა სასწავლებლისა და სხვა შენაერთების მებრძოლები, სულ 10 ათასზე

მეტი კაცი: ცენტრალურ ქვისსამტეხლოებში თავდაცვას ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკი ბ. იაგუნოვი, პოდპოლკოვნიკი გ. ბურმინი, ბატალიონის უფროსი კომისარი ი. პარახინი, მცირე სამტეხლოებში — პოდპოლკოვნიკი ერმაკოვი, უფროსი ლეიტენანტი მ. პოვაჟნი. ყველა ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მტერს არ დანებდნენ.

აჯიმუშკაის ქვისსამტეხლოებში საბჭოთა პატრიოტების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა დიდი სამამულო ომის ისტორიაში ლეგენდარულ ფურცლად არის ჩაწერილი.

აჯიმუშკაის გმირები სიბნელეში, უჰმელუხმელნი დიდხანს მამაცურად ებრძოდნენ ფაშისტებს, იღუპებოდნენ, მაგრამ მტერს არ ნებდებოდნენ, ეს იყო საბჭოთა ადამიანების უდრეკი ნებისყოფის, უძლეველი სიმტკიცის გამოვლინება. იმ მძიმე დღეებში მტრის მიერ ალყაშემორტყმულ ქვისსამტეხლოებში ერთერთმა მამაცმა აჯიმუშკაელმა პოლიტხელმა სტეფანე ჩებანენკომ სიკვდილის წინ ასეთი წერილი დაწერა: „მე კომუნისტი, სსრ კავშირის მოქალაქე ვარ, და თუ მოვკვდი, ჩემი შვილები, ძმები, დები და ნათესავები ნურასოდეს ნუ დაივიწყებენ, რომ ეს სიკვდილი იყო ბრძოლა კომუნიზმისათვის, მუშებისა და გლეხების საქმისათვის. ომი სასტიკია და ჯერ არ დამთავრებულა. და მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ!“ თავისი გმირობის სიდიადით ქერჩის უძლეველ ციხე-სიმაგრეს აჯიმუშკაის ღირსეული ადგილი უჭირავს ბრესტის ციხე-სიმაგრის შემდეგ.

აჯიმუშკაის გამოქვაბულებში, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად იბრძოდნენ ქართველი მეთაურები და ჯარისკაცები. ამაზე თავის დროზე „თბილისში“ წერილი გამოაქვეყნა აწგარდაცვლილმა ჟურნალისტმა, ომის ვეტერანმა არჩილ კოკილაშვილმა. მან ქვის სამტეხლოების გაქვარტლულ კედლებზე ამოიკითხა ქართული წარწერები. აჯიმუშკაის გარნიზონის მონაწილის ვლადიმერ ბეგალიოვის დახმარებით მოინახა ასამდე ჩვენი თანამემამულე, რომლებიც მიწისქვეშეთიდან ებრძოდნენ ჰიტლერელებს.

ქერჩის შვილები მამაცურად იბრძოდნენ არამარტო მშობლიური ქალაქის კედლებთან, არამედ სხვა ფრონტებზეც: ისინი მედგრად იდგნენ მოსკოვთან და სტალინგრადთან, ანადგურებდნენ მტერს დნეპრზე და ბელორუსიაში, იერიშით იღებდნენ კენიგსბერგსა და ბერლინს.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ქერჩ-ელტიგენის სადესანტო ოპერაციის მონაწილეთა გმირობას. 1943 წლის 4 ნოემბერს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა და შტორმიანი ამინდის მიუხედავად, მე-18 არმიის ნაწილები, შავი ზღვის ფლოტთან ურთიერთმოქმედებით, გადასხდნენ ელტიგენის რაიონში. შემდეგ 56-ე არმიის მეომრებმა და აზოვის სამხედრო ფლოტილიის მეზღვაურებმა ხელთ იგდეს პლაცდარმი ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დაიწყო ყირიმის განთავისუფლება. ელტიგენი ისტორიაში შესულია „ცეცხლოვანი მიწის“ სახელწოდებით. ოცდათექვსმეტ დღეს და ღამეს შეუჩერებლივ ბობოქრობდა აქ ნაღმების ქარიშხალი, ფეთქდებოდა ბომბები, ზუზუნებდნენ ტყვიები. მედესანტეებმა უთანასწორო ბრძოლა გაუმართეს მტერს, საოცარი ვაჟკაცობა, სიმტკიცე და მასობრივი გმირობა გამოიჩინეს.

ელტიგენის რაიონში (ელტიგენი ნავსადგურ ყამიშ-ბურუნის სამხრეთით მდებარე მეთევზეთა დაბაა) დესანტის გადასხმის მომზადებასა და განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მე-18 არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი კ. ლესელიძე, ამ არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, კომუნისტების, ყველა მეომრის მეცადინეობას წარმართავდა ძნელი საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

თანდათან ბრძოლებმა ელტიგენის ქუჩებში და სახლებში გადაინაცვლეს, გაჩაღდა ხელჩართული შეტაკებები. შემტევმა, მოწინავე რაზმებმა მალე გააფართოეს პლაცდარმი, ღრმად შეიჭრნენ მეთევზეთა დაბაში, ხელთ იგდეს ახლო-მახლო მდებარე ყორღანები, გორაკები, სიმაღლეები. ელტიგენში პირველი შეიჭრა კაპიტან ანდრეი მიროშნიკის ასეული. მისი ქვეგანაყოფის ათეულმა, რომელშიც ჯარისკაცი ვლადიმერ ესებუაც იყო, ფაშისტებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა.

ჰიტლერელები ჩვენს ნაწილებს მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ ავიაციითა და ტანკებით, არტილერიით, შეუწყვეტლივ უტევდნენ მტრის ქვეითი ნაწილები. დღეში მტრის ოც შეტევას იგერიებდნენ ელტიგენის დესანტები, იტანდნენ სიცივეს, შიმშილს, ზოგავდნენ ყოველ ვაზნას, ყოველ ნაღმსა და ხელყუმბარას, ბობოქარი ზღვა არ აძლევდა საშუალებას ჩვენ გემებს ნაპირზე მისულიყვნენ. მაგრამ ვერაფერმა ვერ შესძლო გაეტეხა სახელოვანი საბჭოთა მეომრების ყოვლისშემძლე სული. ისინი არ შედრკნენ, ბოლომდე შეასრულეს თავიანთი მხედრული ვალი სამშობლოს, ხალხის წინაშე.

ნოემბრის პირველ რიცხვებში, თითქმის ელტიგენელებთან ერთდროულად ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით დესანტი გადმოსხა 56-ე არმიამ. სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში, ანადგურებდა რა ჰიტლერელებს, ამ არმიის მებრძოლები აფართოებდნენ პლაცდარმს, იკავებდნენ ზღვისპირა ხოფლებსა და

დაბებს. ამ პლაცდარმიდან ხუთი თვის შემდეგ მებრძოლებმა 56-ე არმიისა, რომლებიც ცალკე ზღვისპირეთის არმიად გარდაიქმნა, წამოიწყეს გრანდიოზული შეტევა.

ელტიგენის პლაცდარმისათვის გამოჩენილი მამაცობისათვის, განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა 58 კაცმა, მათ შორის ლეიტენანტმა პლატონ ლუკას ძე წიქორიძემ და რიგითმა ვლადიმერ პეტრეს ძე ესებუამ.

ელტიგენის დესანტის მონაწილეთა პატივსაცემად, იქ დაღუპულ გმირ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართულია დიდებული ობელისკი, ხოლო თვით ელტიგენს გეროევსკოე (გმირული) ეწოდება.

ზღვისპირეთის ცალკე არმია 141 დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ იბრძოდა ქერჩის პლაცდარმზე, მტკიცედ ინარჩუნებდა და აფართოებდა მას, ძალებს იკრებდა და გადამწყვეტი შერკინებისათვის ემზადებოდა. ქერჩის პლაცდარმი, რასაც სათავე დაუდო ელტიგენის ლეგენდარულმა ოპერაციამ, გადამწყვეტი ნიშანსვეტი გახდა ყირიმის ნახევარკუნძულის მთლიანი განთავისუფლებისათვის.

ქერჩის ოკუპაციის პერიოდში ქალაქში და მის მახლობლად მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა პარტიის წევრი 1905 წლიდან, ცნობილი პარტიული მუშაკი და პუბლიცისტი ივანე ანდრიას ძე კოზლოვი; ქვის სამტეხლოებში, სანთურების მბჟუტავი სინათლეს შუქზე პარტიზანები საზეიმო ფიცს დებდნენ დედასამშობლოს წინაშე, რომ სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ მტრის განადგურებისათვის.

1944 წლის აპრილის პირველ რიცხვებში საბჭოთა არმიამ მძლავრი შეტევა წამოიწყო ყირიმში. 8 აპრილს უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა დაიწყეს პერეკოპის შტურმი. ამავე დროს, ცალკე ზღვისპირა არმიამ ქერჩის ნახევარკუნძულზე გამაგრებული პლაცდარმებიდან შეუტია ფაშისტთა პოზიციებს, 10 აპრილს ქერჩის რაიონში მე-16 კორპუსის (სარდალი საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი კ. ი. პროვალოვი) მოწინავე ბატალიონებმა და საზღვაო ქვეითი ბრიგადის ნაწილებმა ცხარე ბრძოლები გამართეს ქერჩისათვის ქალაქისათვის ბრძოლა რთულდებოდა იმის გამო, რომ მითრიდატის მთაზე გამაგრდნენ ფაშისტები. ჩვენი ჯარები ტანკების დახმარებით შტურმით დაეუფლნენ მთას, რამაც მნიშვნელოვანწილად გადაწყვიტა ქერჩის ბედი მტრის თავდაცვა 11 აპრილის 4 საათისათვის გარღვეულ იქნა და მე-16 კორპუსის ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქი და ქერჩის ნავსადგური ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი

ქერჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ღირსეული წვლილი შეიტანა 414-ე ქართულმა მსროლელმა ანაპის დივიზიამ, რომელიც ზღვისპირეთის ცალკე არმიის შემადგენლობაში შედიოდა. დივიზიის ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი საბრძოლო დავალებათა ხანიმუშო შესრულებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. ქერჩისათვის გააფთრებულ ბრძოლებში გმირის სიკვდილით დაეცნენ დივიზიის ათეულის მეთაური ვლადიმერ ჯორბენაძე, ოფიცრები ილია ლომსაძე, მიხეილ ამონაშვილი, მამანტი კვარაცხელია, ივანე ახალბედაშვილი, ივანე კულიკი, დიმიტრი ვორონოვი, ივანე ზახაროვი, გალაქტიონ ლაითიძე, პოლიკარპე ტყემალაძე, გიორგი ყულიევი, ანტონ წულუკიძე, რუბენ ვაშალომიძე, შოთა იაქაშვილი, შალვა ჯანელიძე, ნიკოლოზ ჩიჩუა, ნიკოლოზ პაპიჯანოვი, არჩილ კანდელაკი, იპოლიტე ჭანია, სერგო ფანცულაია, ვასილ ელაგინი, მამუკა გრძელიძე, ალექსანდრე მოლჩანოვი, მიხეილ კალაჩაევი, არჩილ კეჟერაშვილი, ნიკოლოზ ბელოკი, მოსე მურვანიძე, სიმონ გოგიბერიძე, ვასილ ანტონოვი, იასონ ვაისმანი, ათანასე ტრეტიაკოვი, აკაკი სოხაძე, ემელიანე ბრეგვაძე, ალექსი კიკნაძე, წითელარმიელები და უმცროსი მეთაურები: ლუკა ლაბარტყავა, რუბენ იაკობიძე, გიორგი შიუკაშვილი, იოსებ ჯორბენაძე, შოთა კირკიტაძე, ივანე ტრუბინინი, გრიგოლ რიჟამაძე, ალექსი როსტომაშვილი, ლევან ადამია, სიმონ ბაქრაძე, მიხეილ ილიუშკო, გაბრიელ პარხომენკო, გრიგოლ ხუტიევი, ნოე გვენეტაძე, პარმენ კობახიძე, მაქსიმე ბერულავა, შალვა გელაშვილი, ივანე დანკო, ვასილ ლომაშვილი, გერასიმე სავინი, შალვა გაბიტაშვილი, მიხეილ ეფრემოვსკი, კოტე პატარიძე, ფილიპე კონდრატენკო, ალექსი არხიპენკო, ნიკოლოზ დანილოვი, არსენ ფრუიძე, ვახტანგ პატეიშვილი, გიორგი აფციაური, ვასილ ბარათაშვილი, დიმიტრი ვასილიევი, ვლადიმერ კაზარინოვი, ვლადიმერ კლიმენკო, კოტე პაპაშვილი, ვლადიმერ ჩარკვიანი, დიმიტრი შამილოვი, გიორგი ბაკაკური, ალექსანდრე ბარსელიანცი, დავით გედევანიშვილი, იოსებ ჯიოევი, დიმიტრი ყიფშიძე, მოსე მელიქიანი, ნიკოლოზ ტერეხოვი, დავით გოქსაძე, ივანე ბერიკაშვილი, სანდრო განგია, ნიკოლოზ მოროზოვი, ერასტი თუთბერიძე, ისაკ ჩიკვ შვილი. ვლადიმერ კრავჩენკო, თომა კობაძე. ივანე ლაზარაშვილი, სარქის მარტიროსოვი, ვარლამ შაფათავა, მიხეილ ბოლქვაძე, აკაკი გოცირიძე, სანდრო გოგიაშვილი, ივანე ძამუკაშვილი, შალვა ძებისაშვილი, ნიკოლოზ მელაძე, აკაკი ნემსაძე, კონსტანტინე ხვინგია, ვიქტორ ახობაძე, ალექსი დიაკონიძე, ივანე დიმიტრიევი. ივანე ნინოშვილი. ალექსანდრე ფიროსმანიშვილი ივანე პაპიძე, ვახტანგ ლომიძე, ვლადიმერ ჭაბუკიანი ვლადიმერ ბარამაშვილი, პავლე შვიდენკო, ზურაბ ლოსაბერიძე, გიორ-

გი ბოჭგუა, იაკობ მაკარენკო, ალექსანდრე დემიანენკო, ნიკოლოზ ბაკანოვი, ლევან სირაძე და მრავალი სხვა. ყირიმისათვის ბრძოლებში გმირის სიკვდილით დაეცა 414-ე ქართული დივიზიის 841 ოფიცერი, სერჟანტი და წითელარმიელი, დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა 2058 კაცი, ხუთი ათასზე მეტი მებრძოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

ქერჩისათვის სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში, პარტიზანულ რაზმებსა და იატაკქვეშეთში თავი ისახელეს საბჭოთა არმიის ათასობით მეომრებმა და გმირი-ქალაქის მცხოვრებლებმა.

ქერჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი სიმტკიცისათვის და მამაცობისათვის 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 138 მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 18 შენაერთსა და ნაწილს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქერჩისათვის ბრძოლებში მიენიჭათ „ქერჩის“ საამაყო წოდება.

ქერჩის ოპერაციაში მონაწილე ჯარებს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1944 წლის 11 აპრილის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა 224 ქვემეხის ოცი საარტილერიო ბათქით ამცნო ქვეყანას ყირიმის ამ ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის საბოლოო განთავისუფლება.

ქერჩის გმირობა სამუდამოდ შევიდა კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლის ისტორიაში, ომის მკაცრ პერიოდში ქერჩი, ეს ქალაქი-გოლიათი მამაცობის ჭეშმარიტი სიმბოლო გახდა. და სამშობლომ ღირსეულად დააფასა მისი უმაგალითო გმირობა.

1978 წლის 15 სექტემბერს ლ. ი. ბრეჟნევმა გმირი-ქალაქის მშრომელებს, ქერჩის ნახევარკუნძულზე გმირული ბრძოლების მონაწილეებს გამოუგზავნა მისალმება — ქალაქ ქერჩისათვის გმირი-ქალაქის მაღალი და საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. მასში ნათქვამია: „ეს ჯილდო გამოხატავს სამშობლოს, პარტიის, მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის მადლობას ყირიმის ნახევარკუნძულზე გამართული ბრძოლების უშუალო მონაწილე გმირი მეომრებისადმი, საბჭოთა პატრიოტებისადმი, რომლებიც მამაცურად და გმირულად იბრძოდნენ აჯიმუშკაის ქვისსამტეხლოებში, ქალაქის ყველა მშრომელისადმი, რომლებმაც უდიდესი სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს, მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარეს ჩვენს დიად გამარჯვებას“.

1944 წლის 11 აპრილს ქერჩი უკაცრიელი იყო და მკვდარ ქალაქს მოგაგონებდათ. ოკუპაციის პერიოდში ჰიტლერელებმა არნახული მხეცობა ჩაიდინეს. მათ მოწამლეს, დახვრიტეს, დაწვეს, აწამეს და მონებად გარეკეს 37 ათასზე მეტი ქალაქის მცხოვრები და სამხედრო ტყვე. მარტო ტანკსაწინაალმდეგო თხრილში დაბა ბაგეროვოს მახლობლად ფაშისტებმა დახვრიტეს 7 ათასი ქერჩელი, მათ შორის ბავშვები. ქერჩის მცხოვრებლებს, რომლებიც ქალაქს უბრუნდებოდნენ, ბევრი რამ უნდა გაეკეთებინათ. ყოველივე ის, რაც შეიქმნა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, განადგურებულ იქნა. საერთო მატერიალურმა ზარალმა 8 მილიარდ მანეთს მიაღწია.

1945 წელს მწერალი პ. პავლენკო წერდა: „როდესაც მე ვნახე გაცამტვერებული სტალინგრადი, მან ვერ შეაძრწუნა ჩემი წარმოდგენა, რადგან მანამდე მე ნანახი მქონდა ქერჩი...“

სტალინგრადელ ალექსანდრა ჩერკასოვას მაგალითისამებრ, ქერჩში იქმნებოდნენ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, სამრეწველო საწარმოთა აღდგენითი ბრიგადები. ქერჩელებმა გადაწყვიტეს, რომ ყოველმა შრომისუნარიანმა მოქალაქემ აღდგენაზე უსასყიდლოდ იმუშაოს 50-100 საათი.

ქალაქის აღდგენაში ქერჩელებს ეხმარებოდა მთელი ქვეყანა. პარტიამ და მთავრობამ ამისათვის გამოჰყვეს დიდი ფულადი სახსრები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ქერჩში მოდიოდა სამშენებლო მასალები, მექანიზმები, სპეციალისტები. ქალაქი წლითიწლობით იცვლიდა თავის სახეს, სულ უფრო ლამაზი, მშვენიერი ხდებოდა.

დღესაც იმათი შვილები და შვილიშვილები, ვინც აქ იბრძოდა, შრომობენ მეცხრე ხუთწლედის ხარაჩოებზე დევიზით — „შრომაში ისევე, როგორც ბრძოლაში!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ სირაძე

# ძველი ქართული ლიტერატურული აზროვნების საფუძვლებიდან

## 1. ზოგადი საკითხები

ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საფუძვლებს რომ ვიკვლევთ, მრავალ ფაქტორზე შეგვიძლია მივუთითოთ. ღლეისათვის ისინი სხვადასხვა სიღრმითაა შესწავლილი. შედარებით სრულყოფილად შეგვიძლია გავითვალისწინოთ მოძღვრებათა სოციალური საფუძვლები, ასევე ის საერთო კულტურულ-ისტორიული ატმოსფერო, რომელიც განსაზღვრავდა თეორიული პრინციპების გავრცელებას, განსაზღვრავდა მათ შინაარსსა და დანიშნულებას.

მაგრამ ასეთი ვითარება როდი გვაქვს ძველ მწერლობაში გავრცელებული პრინციპების თეორიული წანამძღვრების გამოძიების მხრივ. უმეტესად იძულებულნი ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზოგად ფაქტორებზე მითითებით, ან არადა, ზოგადი კულტურულ-ისტორიული ანალოგიებით, ე. ი. ქართულ მწერლობას ხელოვნურად მივუსადაგოთ ის, რაც თქმულა სხვა მწერლობათა შესახებ.

ჯერჯერობით ეს პრობლემა არაა შესწავლილი არც სხვა აღმოსავლური, ქრისტიანული კულტურის მქონე ერთი ლიტერატურული აზროვნების მიმართ, ბიზანტიური იქნება ეს თუ სომხური, ბულგარული თუ რუსული. მხოლოდ ცალკეული საკითხებია გაშუქებული საბჭოთა (დ. ლიხაჩოვი, ვ. ლაზარევი, შ ხიდაშელი, ს. ავერინცევი, ა. ადამიანი) და უცხოელ (ჯ. მათიუ, მიხელისი, ბ. ნარდი, ე. ჟილსონი, პ. დინეკოვი, ლ. გრაშევა) მეცნიერთა მიერ.

როცა წამოვჭრით საკითხს, თუ რა ქმნიდა ძველ-ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების თეორიულ საფუძვლებს, ერთი შეხედვით, პასუხიც თითქოსდა იმთავითვე მოძებნილია: ძველ-ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საფუძვლებს ქმნიდა ქრისტიანული რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა. მაგრამ ეს უაღრესად ზოგადი პასუხია და არ ჩანს, ამ საერთო სისტემიდან რომელი იყო ის უბანი, ანდა, საკითხთა რა სფერო იყო, რომელიც უშუალოდ, პირდაპირ განსაზღვრავდა ლიტერატურული შეხედულებების შინაარსს, მის საერთო ხასიათს, მისი განვითარების თავისებურებებს.

შუა საუკუნეებში არ არსებობს შემკრებლობითი ცნება „ხელოვნებისა". შესაბამისად არ არსებობს ესთეტიკა, ვითარცა თვითმყოფადი სფერო აზროვნებისა. მაგრამ არსებობს მოსაზრებანი, რომლებიც შეეხებიან ხელოვნების ცალკეულ საკითხებს. რას შეიძლება განეკუთვნებოდეს ისინი? ისინი განიხილებიან როგორც „გარეშე, ამქვეყნიური სიბრძნის" შემადგენელი ნაწილი. ცხადია, აქაა მათი ადგილი იმდროინდელ სიბრძნეთა სისტემაში, რამდენადაც მეორე სფეროა „საღვთო სიბრძნე", რომელიც მხოლოდ ღვთისმეტყველებას მოიცავს. ამიტომ გასაგები უნდა გახდეს საფუძველი ჩვენი მიზანდასახულებისა: ვაჩვენოთ, რომ ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების თეორიულ საფუძვლებს ქმნიდა მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ.

ქართული აზროვნებისათვის ამ მოძღვრების საფუძველდამდები მნიშვნელობის შესახებ ჩვენი მოსაზრება პირველად გამოვთქვით ნარკვევში: მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ და მისი მნიშვნელობა ძველი ქართული მწერლობისათვის (იხ. უნივერსიტეტის ფილოლო-

გიის ფაკ. XI სამეცნიერო სესია, 1967 (თეზისები), გვ. 11).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული მოძღვრება ჩვეულებრივ წარმოდგენილი აქვთ ერთი უცვლელი ზოგადი შინაარსით. **არაა ჯეროვნად გათვალისწინებული, რომ ამ მოძღვრებამ შუა საუკუნეების მანძილზე გარკვეული ცვლილება-განვითარება განიცადა.**

ისტორიულად რელიგიისა და ფილოსოფიის (მეცნიერების) ურთიერთმიმართების ცვლილება-განვითარება ასეთი მოდელის სახით შეგვიძლია წარმოვისახოთ: ანტიკურ ხანაში რელიგიისა და მეცნიერების **პირველადი შერწყმა** და მათი ერთგვარი გაერთმნიშვნელოვანება; არ**ხდება** მათი დიფერენცირება: მოძღვრება ბუნებაზე შეიცავდა რელიგიურ მოძღვრებასაც. შემდეგ ეტაპს ქმნის შუა საუკუნეები: ესაა ეტაპი რელიგიისა და ფილოსოფიის **დიფერენცირებისა:** ფილოსოფია მთლიანად ემორჩილება რელიგიას. შემდეგ, გვიანდელ შუა საუკუნეებში, ხდება მეცნიერების **თვითმყოფადი ფასეულობის** აღიარება ორგვარი ჭეშმარიტების — რელიგიური და მეცნიერული ჭეშმარიტების — პარალელურად არსებობის უფლების აღიარებით. შემდეგ **ფილოსოფიამ დაიმორჩილა რელიგია**, მაგრამ ამ პროცესის პირველ საფეხურზე არ უარუყვია იგი, ერთგვარად შეიერთა, შეირწყა ის ფილოსოფიის ინტერესებისათვის, როგორც ეს, მაგალითად, ჰეგელთან ხდება. დაბოლოს, მარქსიზმში **ფილოსოფია** მთლიანად გამოეთიშა რელიგიურ აზროვნებას, რათა მეცნიერება დარჩენილიყო თავისი თავის წინაშე.

ზემოაღნიშნული ეხება ქართულ აზროვნებასაც.

ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების ზოგადი შინაარსი ასეთია: არსებობსო ორგვარი ცოდნა და აქედან მიღებული ორგვარი სიბრძნე; ერთია — ემპირიული ცოდნა, რომელიც მიიღება ხილული სამყაროს უშუალო შესწავლით, გონებისათვის მისაწვდომ კანონზომიერებათა შეცნობით და შემდგომ მათი განსჯით, ლოგიკურ-სილოგისტური გზით. მეორეს მხრივ, არსებობს კანონზომიერებანი, რომლებსაც საბოლოოდ ვერასოდეს ვერ მივწვდებით და რომლისკენაც მივისწრაფვით კი მარადიულად. ესაა უმაღლესი ცოდნა, ანდა უმაღლესი სიბრძნე. შეიძლება ითქვას, ეს არცაა „ცოდნა“ იმ გაგებით, როგორადაც ამას ემპირიული ცოდნის შესახებ ვიტყოდით. იგი უფრო შინაგანი გამსჭვალვაა იმის რწმენით, რომ არსებობს მიუწვდომელი კანონზომიერებანი, რომლებიც მოქმედებენ, მაგრამ არასოდეს მთლიანად არ მჟღავნდებიან. ასეთი მსოფლმხედველობრივი პოზიცია ბუნებრივი იყო შუა საუკუნეებისათვის. ჯერ ერთი, ბუნებრივი იყო იმ მონისტური მსოფლმხედველობისათვის, რომელსაც მიაჩნდა, რომ არსებობს აბსოლუტური „ერთი“, ვითარცა ყოველივეს საწყისი და მისი შეცნობა ვერ განხორციელდება ცოდნის ცალკეული დარგებით. მისკენ მისწრაფვას ემსახურება ყველაფერი ერთად, ოღონდ ესაა ისეთი სწრაფვა, რომელიც არასდროს არ დასრულდება, როგორც არ ამოიწურება საერთოდ ცოდნის წყურვილიო.

იმდროინდელი ავტორიტეტული სწავლებით, ესაა **„სიბრძნე ღმრთისაჲ“** (ლკ. 11,49 შდრ.: „ზეცათა მღდელთ-მთავრობისათჳს“, 146,22). **„ზეშთასიბრძნე“** (საღმრთოთა სახელთათჳს“, 16,22).

## 2. სიბრძნეთა ურთიერთ-მიმართების საკითხები

„საღვთო სიბრძნისადმი“ დასაპირისპირებლად ყველაზე გავრცელებული ძველ ქართულ მწერლობაში არის ტერმინები: **„გარეშე სიბრძნე“** და **„სიბრძნე ამის სოფლისაჲ“.**

რას გულისხმობდა „გარეშე სიბრძნე“ (ან „სიბრძნე ამის სოფლისა“)?

„გარეშე სიბრძნე“ და ამ რიგის სხვა ტერმინები შეიძლება გულისხმობდეს სამ სფეროს (ხშირად „გარეშე სიბრძნეში“ არასწორად ესმით მხოლოდ ანტიკური ფილოსოფია):

I. ანტიკური წარმართული სიბრძნე; II. ქრისტიანობის თანადროული არასაღვთისმეტყველო სიბრძნე, „ბუნებითი“ მეცნიერებანი, ან სასკოლო-სასწავლო დისციპლინები ე. წ. „ტრივიუმ“ — „ქვადრივიუმის“ „თავისუფალი მეცნიერება“; III. მწვალებელთა სიბრძნე, უფრო იშვიათად სხვა რელიგიათა (ისლამის, ებრაელთა) სიბრძნე.

ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ **„საღვთო სიბრძნის“** მიმართების საკითხი თითოეული მათგანისადმი განსხვავებული იყო. ამის კვალობაზე ჩვენც საკითხებს დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ. არ იქნებოდა მართებული, რომ სიბრძნეთა ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას ზოგადად ვილაპარაკოთ „გარეშე სიბრძნეზე“ და არ გამოვაცალკავოთ მისი თითოეული სახე, არ ვაჩვენოთ თვითეულ მათგანთან „საღვთო სიბრძნის“ მიმართების განსხვავებული ხასიათი.

I. უპირველესად **ანტიკურ-წარმართულ** სიბრძნესთან ურთიერთობის შესახებ.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით როცა **ანტიკური სიბრძნის** შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა მისგან გამოიყოს სხვადასხვა დარგი და, განსაკუთრებით კი, შემდეგი: ა) პოეზია, ბ) მითოლოგია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გ) ფილოსოფია.

ა) დავიწყოთ ანტიკური **პოეზიით.** დიდხანს მისი ძირითადი პრინციპები საერთოდ უარსაყოფად ცხადდებოდა. ქართველი მკითხველი ადრიდანვე გაცნობილი იყო მოთხოვნას, რომ „არა ჯერ არს შენდა, რაჲთა შეიწყნარო უმ-

როს". ცნობილი იყო ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისიც (იხ. მეხოტბენი).

ბ) წარმართული მითოლოგიის მსოფლმხედველობითი შინაარსი საერთოდ დაგმობილი იყო და ეს გასაგებია. ამ მხრივ ქრისტიანობა მთლიანად დაუპირისპირდა ანტიკურობას. არისტოტელე ამბობდა: „ვისაც მითები უყვარდა, ასე თუ ისე ფილოსოფოსიც იყოო" („მეტაფიზიკა", გვ. 29). დაშვებულ იქნა მითის ლიტერატურული შინაარსის გამოყენება **ალეგორიული აზრით.** ამის მაგალითს იძლეოდა ბასილი კესარიელის „სახისა სიტყუაჲ". ასევე შეგვიძლია მივუთითოთ ნონეს კომენტარებზე გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველის) ნაწარმოებების მიმართ და მრავალი სხვა.

დასავლურ აზროვნებაში ამ საკითხებზე გამოთქმული შეხედულებების თავისებურ შეჯამებას იძლევა დანტე ალიგიერი „ნადიმში" (II ტრაქტატის პირველ თავში); იგი გამოჰყოფს ნაწარმოების გააზრების 4 სახეს: 1. სიტყვასიტყვითი (ძველი ქართულით — „განმარტებითი"); 2. ალეგორიული (ძველი ქართულით — „სახისმეტყველებითი"); 3. მორალური და 4. ანაგოგიკური (ამას შეიძლება შევუფარდოთ „ზეშთასიბრძნითი". ი. პეტრიწი ხმარობს „აღმყვანეს". იხ. შრომები, II, 83). ე. ი. „ზეშთასიბრძნის" ანუ საღვთო სიბრძნის ამოცნობა. ხშირად ძველი ქართული „სახისმეტყველება" გულისხმობდა ნაწარმოების გააზრების აქ გამოყოფილ ბოლო სამ სახეს.

ამ უკანასკნელის გამოხატულებაა, მაგალითად, ის კომენტარები, რომლებიც ჰელიოდორეს რომანს „ეთიოპიკას" მიუძღვნეს ფილიპე ფილოსოფოსმა და იოანე ევგენიკოსმა („ვიზანტიისკი ვრემენიკ", 31, გვ. 244).

გ) იმ პრობლემათა შორის, რომლებიც ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების მიერ წარმომდგარა, ერთი არსებითთაგანია ფილოსოფიასთან და, კერძოდ, **წარმართულ ფილოსოფიასთან მიმართების საკითხი.**

როცა ვლაპარაკობთ წარმართულ ფილოსოფიასთან ქრისტიანობის დამოკიდებულების შესახებ, საკითხი განსაკუთრებულ დაკონკრეტებას მოითხოვს. „გარეშე სიბრძნე" სხვადასხვა შემთხვევაში ანტიკური ფილოსოფიის სხვადასხვა მიმდინარეობებს შეიძლება გულისხმობდეს; იგი, „გარეშე სიბრძნე", ზოგჯერ გულისხმობს მის მატერიალისტურ მიმართულებას (კერძოდ, ეპიკურეიზმს); მაგალითად, როგორც მარქსი შენიშნავდა, ეპიკურეიზმი იგულისხმება პავლე მოციქულის სიტყვებში: „გან-მე-რაჲ-აცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ".

სხვაგვარი დამოკიდებულებაა იდეალისტური მიმართულებისადმი. მათგან, როგორც ცნობილია, პლატონი იყო აღიარებული. ერთგვარად ცალკე დგას არისტოტელე, რომლის კულტიც არსებობდა მთელ შუა საუკუნეებში. თვით სიტყვა „ფილოსოფოსი" შუა საუკუნეების სულ სხვადასხვა მწერლობაში კონკრეტულად არისტოტელეს გულისხმობდა. ასე იყო როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ფილოსოფიაშიაც. „არისტოტელეც" ზოგადად „ფილოსოფოსის" აღმნიშვნელ სიტყვად შეიძლებოდა ქცეულიყო, ამიტომ, ვფიქრობთ, შეგვიძლია ასე ზოგადად გავიგოთ პეტრიწის „მეარისტოტელურა".

II. სიბრძნეთა ურთიერთობის თვალსაზრისით ანტიკური სიბრძნის შემდეგ უნდა განვიხილოთ ქრისტიანობას **თანადროულ მეცნიერებებთან დამოკიდებულება.**

საკითხი უპირატესად შეეხება სასწავლო დისციპლინების ე. წ. „ტრივიუმ-ქვადრივიუმის" დისციპლინებთან მიმართებას. ამ დისციპლინების თავისთავადი ღირებულებისადმი კი არ უნდა წარმართულიყო ინტერესი, არამედ ისინი უნდა მომსახურეობდნენ საღვთო სიბრძნით გამსჭვალვას. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა დანტეს „ნადიმი".

ეს თხზულება წარმოადგენს ერთგვარ კომპენდიუმს შუა საუკუნეებში შემუშავებული შეხედულებებისა მეცნიერებათა შესახებ. დანტეს „ნადიმში" (II ტრაქტატის XIII თავი) ორგვარ სიბრძნეზე არსებული ტრადიციული მოძღვრება შეჯამებული სახითაა დალაგებული.

დანტე აქ ალეგორიულ გააზრებებს მიმართავს. ალეგორიის წინასახეა ცათა იერარქია, ცათა წყობაზე შუასაუკუნეობრივი წარმოდგენა, რომელიც აგრეთვე ცნობილი იყო ქართული აზროვნებისათვისაც. ცათა სტრუქტურის ანალოგიით დანტე ცდილობს მოიაზროს მეცნიერებათა იერარქია. იგულისხმება, რომ ეს ალეგორიები არაა ოდენმხატვრული ფაქტი, მას შინაგანი კოსმოლოგიური საფუძველი გააჩნია. საფუძველი კი ისაა, რომ „მსოფლიო სიმპატიის კანონის" მიხედვით, ცათა წყობა მაჩვენებელია მეცნიერებათა ურთიერთმიმართებისა. ამიტომაც დანტე თამამად მოჰყვება არჩეულ ანალოგიებს და მხატვრული ფორმით ფაქტიურად **თეორიულ პრინციპებს გადმოსცემს.**

ცა აქ აღნიშნავს მეცნიერებას, ცანი — მეცნიერებებს. ანალოგიის ერთ-ერთი საფუძველი ასეთია: როგორც ცანი, ასევე მეცნიერებანი, ერთი უძრავი ცენტრის გარშემო ტრიალებენ. ცათათვის ესაა სამყაროს ცენტრი, ანუ აბსოლუტური „ერთი". პირველსაწყისი და პირველსათავე, მეცნიერებისთვის კი ესაა მისი ძირითადი საგანი, რომელიც მარადიულად უცვლელია, რომლის ირგვლივ მარადიულად ტრიალებს ყველა მეცნიერება. საბოლოოდ ეხენი ერთი და იგივეა. წრეობრივ ბრუნვასაც აქ თავისი ალეგორიული აზრი აქვს: იგულისხმება, რომ მეცნიერება ვერასდროს ვერ მიაღწევს თავის საბოლოო მიზანს, „არც ერთი მეცნიერება, — შენიშნავს დანტე, — არ ამტკიცებს

თავის საგანს, მხოლოდ აღმოაჩენს მას".

ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, დანტეს მიხედვით, მეცნიერებათა და უმაღლესი სიბრძნის ურთიერთობის შესახებ შუასაუკუნეობრივი თვალსაზრისი. **ამის მიხედვით შეგვიძლია გავარკვიოთ თვით თეორიულ-ლიტერატურული და ესთეტიკური ნააზრევის ადგილი „სიბრძნეთა" სისტემაში.**

III. სიბრძნეთა ურთიერთობის საკითხების განხილვის ბოლოს შევეხებით არაქრისტიანულ **რელიგიათა** მოღვაწეების სიბრძნისადმი დამოკიდებულებას.

თეორიული თვალსაზრისით საეკლესიო მოღვაწეთა მიერ სხვა რელიგიათა სიბრძნისადმი რაიმე კომპრომისი დაგმობილია. საერთოდ თეორიის სფეროში რელიგიური შემწყნარებლობა ქართული აზროვნებისათვის რენესანსის ეპოქამდე უცნობია.

სხვა რელიგიათა და ერეტიკულ სიბრძნეთა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით საყურადღებოა ქართულ მწერლობაში შემოსული ერთი ნაწარმოები. **არსენ იყალთოელმა** თარგმნა თხზულება: „თეოდორე ყოვლად ღმრთისმოყუარისა მონაზონისა და უფროჲსად ბრძნისა და ფილოსოფოსისაჲ, თუ ვითარ სათანადო არს გულის ხმის-ყოფა საღმრთოისა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყათა" (ხელნაწერი S — 1463,190).

აქ საუბარია სხვა რელიგიათა და უფრო მეტად სხვადასხვა მწვალებლურ მიმართულებებზე. მოცემულია პოლემიკა დოგმატურ შეხედულებებთან დაკავშირებით.

ამ ნაწარმოების სათაურიდან აშკარად ჩანს, რომ „გარეშე ფილოსოფოსობა" აღნიშნავდა მწვალებელთა მოძღვრებასაც.

ავტორი (თეოდორე აბუკურა, IX ს.) ეხება სხვადასხვა ერესს, განიხილავს მათ „სიბრძნეს", ოღონდ ეს განხილვა არაა მოცემული საღვთო სიბრძნის ინტერესებისათვის მწვალებლურ სიბრძნეთა გამოყენების მიზნით. სათაური კი ისეთი აქვს ნაწარმოებს, რომ შეიძლება გვაფიქრებინოს, თითქოს „გარეშე" მოძღვრების გამოყენება ხდება ღვთისმეტყველებისათვისაო. მაგრამ რაკილა ერეტიკული მოძღვრების მოხმობა საღვთო ინტერესებისათვის გამორიცხული იყო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ „გარეშე ფილოსოფოსობა" აქ აღნიშნავს არა კონკრეტულად ერეტიკულ მოძღვრებას. ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის კ. კეკელიძისა და ი. ლოლაშვილის მითითებანი, რომლებიც, ცხადია, დაზუსტებას ითხოვს.

## 3. ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების განვითარების შესახებ

რამდენადმე ზემოთქმულიდანაც ჩანდა, რომ მოძღვრება ორგვარ სიბრძნეებზე სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ სახეს ღებდა, ამჯერად ამ საკითხზე სპეციალურად უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება.

ამ მოძღვრების განვითარების გზაზე ჩვენ გამოვყოფთ რამდენიმე საფეხურს: 1. აპოლოგეტური პერიოდი (I-II სს.). 2. პატრისტიკული პერიოდი (III-IV სს-ში მისი კლასიკური ხანაა, საერთოდ კი ის გრძელდება VIII-IX საუკუნეებამდე), 3. სქოლასტიკური პერიოდი (VIII ს-დან იწყება (იოანე დამასკელი) და X-XI სს-ზე მოდის მისი კლასიკური სახით ჩამოყალიბების ეტაპი); 4. ჰუმანისტური პერიოდი და 5. აღორძინების ხანა.

ქართული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენ გვიხდება გავაერთიანოთ აპოლოგეტიკის და პატრისტიკის პრინციპები ერთი ადრეული ეტაპის სახით. ქართული აზროვნებისათვის ეს იქნება V-X საუკუნეები. ამ პერიოდში ქართულ აზროვნებაში შერწყმულია აპოლოგეტიკური და პატრისტიკული პრინციპები.

ორგვარ სიბრძნეზე ქრისტიანობის ადრეული ხანის თვალსაზრისი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ ახალ აღთქმაში: „განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ" (კორინთ. 1,20), ანდა: „სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისაჲ (1 კორინ. 3,19). ასეთ პოზიციას სხვა მხრითაც ეძლეოდა დასაბუთება: „სიყვარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისაჲ" (კათ. ეპისტ. 11, 4,4); „წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთაჲ" (კორინთ. მიმართ, 1,19) და სხვა. ცხადია, ასეთი თვალსაზრისი გავრცელებული იყო როგორც დასავლურ, ისევე აღმოსავლურ აზროვნებაში. ასე რომ, როგორც სხვა მასალებიდანაც კარგადაა ცნობილი, ყურადღება გამახვილებულია არა ქრისტიანობის წინადროინდელ მოძღვრებებში პოზიტიურ ელემენტებზე, არამედ მათ დაგმობაზე. ასეთ თვალსაზრისს მთლიანად მოჰყვება აპოლოგეტიკა.

ბასილი დიდი (IV ს.) და პატრისტიკის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელი კი უკვე ცდილობენ მონახონ გარკვეული მოდუსები, რომ შესაძლებელი გახდეს წინარე სიბრძნეთა გამოყენება, მაგრამ პატრისტიკამ წარმართული სიბრძნის მნიშვნელობა გამორიცხა პოზიტიური ცოდნის მიღების თვალსაზრისით. აქ მხოლოდ დაშვებულია წარმართული აზრების ალეგორიული გააზრებანი (შემდეგ დავინახავთ, რომ ასეთი თვალსაზრისი კარგა ხანს შემორჩა შუასაუკუნეობრივ აზროვნებას).

ზემოაღნიშნულს თუ შევადარებთ იოანე დამასკელის პოზიციას, მათ შორის უეჭველად განსხვავებას დავინახავთ. იოანე დამასკელმა „გარეშე სიბრძნეთა" სისტემა შექმნა და მათი ქრისტიანობისადმი დამორჩილების გზები დასახა. თუ ბასილ დიდთან წარმართულ მოძღვრებაში მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლიური

გზით საღვთო სიბრძნის ამოცნობაა აქცენტირებული, იოანე დამასკელისათვის არსებითია უმაღლესი სიბრძნისადმი „გარეშეთა“ დაქვემდებარება.

ასე თანდათან აზროვნება გადადის „**პლატონური აზროვნების მინამსგავს თავისუფალი და ფრაგმენტული სპეკულაციიდან არისტოტელურ ლოგიკურ სისტემატიზაციაზე**“ (მსოფ. ფილოს. ანთ., 1(2), გვ. 621).

„წყარო ცოდნისაში“ მოცემული გარეშე სიბრძნეთა ლოგიკური სისტემატიზაცია არის სწორედ ახალ საფეხურზე გადასვლის წინაპირობა.

ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების განვითარების ნათელსაყოფად ზოგიერთ მომენტზე მივუთითებდით დასავლური აზროვნებიდან. ფაქტები გვიჩვენებს, რომ ამ მოძღვრების **განვითარება საერთო ტენდენცია იყო:** 1. აბელიარის რაციონალისტური თვალსაზრისის მიმდევრები (მაიმონიდი, ბეკონი და სხვანი) **მოითხოვდნენ დოგმატების შემოწმებას გონების კრიტერიუმებით;** 2. ავეროესის თვალსაზრისით, **ორთავე ჭეშმარიტებას თავთავისი საგანი** აქვს, მათი შეცნობის გზებიც სხვადასხვაა. ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, თუმცა ცალცალკე ორთავე ჭეშმარიტია. მეცნიერება ვითარდება, თეოლოგია — არა, მაგრამ მეცნიერება ვერასდროს ვერ წვდება საბოლოო ჭეშმარიტებას, რელიგია კი მას აღწევს „ერთბაშად“ — გამოცხადებით; 3. იოანე სალისბერისა და ანალოგიური თვალსაზრისის მიმდევართა მოთხოვნით, ორთავე სიბრძნეს თავთავიანთი საგანი აქვს და საკუთარი მიზანიც. ამით პირობადებულია თითოეულის ავტონომიურობა: **ამიტომ თეოლოგიამ არ უნდა განსაჯოს მეცნიერება და, მეტადრე, მეცნიერებამ** — თეოლოგია; 4. სხვა შეხედულებით (პეტრე დამიანი (1007-1072) და სხვანი), მთლიანად უარყოფილია მეცნიერების მნიშვნელობა. აღნიშნული **სიბრძნეები თავის არსებაშივე ურთიერთსაწინააღმდეგოთ. ამიტომ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი: ჭეშმარიტია** საღვთისმეტყველო სიბრძნეო.

ცხადია, გაცილებით შემწყნარებლურია გარეშე **სიბრძნეთა** მიმართ დანტეს პოზიცია (რაც „**ნადიმის**“ მაგალითზე ჩვენ ზემოთ განვიხილეთ), რომელიც თომა აქვინელის თვალსაზრისს ეყრდნობა.

საყურადღებოა ჩვენი საკითხის თვალსაზრისით მიქელ პსელოსის შეხედულებანი.

მიქელ პსელოსის ნააზრევში უკვე ჩნდება ნიშნები ორი ურთიერთდამოუკიდებელი ჭეშმარიტების აღიარებისა (ვალდენბერგი, ი. ბრილიანტოვი, შ. ნუცუბიძე, ნ. კეჭაყმაძე, შ. ხიდაშელი). იგი ამჟღავნებს თეოლოგიური პრობლემებისადმი ერთგვარი დისკურსიული მიდგომის ტენდენციას: აბსოლუტის ატრიბუტებიდან, მიქელ პსელოსის შეხედულებით, **ზოგიერთი შეიძლება დამტკიცებულ იქნას ლოგიკურ-სილოგისტური გზით;** მაგალითად, პსელოსი ღმერთის კოსმოლოგიური დასაბუთების არისტოტელისეულ მეთოდს მიჰყვება და ამასთანავე პლატონ-არისტოტელის ნეოპლატონურ სიმფონიზმსაც იზიარებს. მეორე მხრივ, იგი აღიარებდა, რომ ტრიადოლოგიის სფეროში ანტიკური ფილოსოფია ვერ მოიხმარებაო. მაშასადამე, მისტიკის სფერო გამოცალკევებული უნდა იქნესო ე. წ. „ბუნებითი თეოლოგიის“ სფეროდან.

საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული აღნიშნულ საკითხზე დაახლოებით იმავე პერიოდის აღმოსავლურ ფილოსოფიაში, კერძოდ, ალ-ყინდის, აბუ-ლ იბნ-სინას და ალ-ღაზალის თხზულებებში (ნ. კილაძე, ალ-ღაზალი, გვ. 59 და სხვ.). საერთო ტენდენცია აქაც იგივეა: გარეშე სიბრძნის აღიარება აზროვნების ტენდენციის გამომხატველია; მაგალითად, ნაზირ ხოსროვის შესახებ აღნიშნავენ, რომ „შედარებით სრულიად ნაზირის შეხედულებანი წარმოდგენილია ტრაქტატში — „ორგვარი სიბრძნის კრებული“ (იხ. „აღმოსავლური ლიტერატურა შუა საუკუნეებში, II, 118. რუსულად). იგი აგებულია დიალოგის ფორმით ბერძენ ფილოსოფოსსა და ისმაილიტს შორის და სრულდება მათ შორის სრული ჰარმონიის აღიარებით“.

იოანე იტალოსის სქოლასტიკურ შეხედულებათა თავისებურება სწორედ ის იყო, რომ იგი მეტაფიზიკური სისტემის აგებას ცდილობდა დიალექტიკის გზით. იოანე იტალოსი საღვთო ატრიბუტების მეცნიერულ დეფინიციის იძლეოდა. ზოგიერთი რელიგიური დოგმატის ლოგიკური დასაბუთების მცდელობა მისთვის უზურპატორთაგან ერთი წაყენებულ ბრალდებათაგანი იყო. ის დოგმატთა აქსიომატურობას უარყოფდა. აშკარა იყო პატრისტიკის პრინციპთა ერთგვარი დარღვევაც: პატრისტიკა დოგმატთა შინაარსის ინტუიციურ წვდომას მოითხოვდა.

ამრიგად, შუა საუკუნეებში მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ ცვალებადობა-განვითარებას განიცდიდა.

## 4. ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების განვითარება და მისი მნიშვნელობა ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების ისტორიისათვის

ორგვარი სიბრძნის შესახებ შემუშავებულ მოძღვრებათა ისტორიული და თეორიული პრობლემების მიმოხილვა სრულიად კონკრეტული მიზნით წარმოვადგინეთ: ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ ეს **მოძღვრება** ედებოდა სა-

ფუძვლად მხატვრული აზროვნების საკითხებზე ძველ ქართულ მწერლობაში გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებებს. როგორიც იყო ამა თუ იმ ეპოქის თვალსაზრისი დასახელებულ სიბრძნეთა ურთიერთმიმართების შესახებ, მისი შესაბამისი იყო თეორიული მოსაზრებანი მხატვრული აზროვნების საკითხებზე.

ამჯერად შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ აღნიშნულმა მოძღვრებამ ცვალებადობა-განვითარება განიცადა ძველ ქართულ მწერლობაშიაც და მას კანონზომიერი შესაბამისობით მიჰყვება ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების განვითარებაც.

ზემოაღნიშნულ მოძღვრებას თავისი ერთ-ერთი უძველესი ფორმით ქართული აზროვნება ეცნობოდა ბიბლიური წიგნებიდან.

ერთ-ერთი საფუძველიც განსხვავებულ სიბრძენთა შესახებ აზრის გაჩენისა აქედანვე იბადება. ქრისტიანობა თავის თავს სრულიად ახლებურ მოძღვრებად აცხადებდა. ქართულ აზროვნებას იმთავითვე ჰქონდა საშუალება იგი შეეპირისპირებინა, ერთი მხრივ, წარმართულ-ბერძნულ სიბრძნესთან და, მეორე მხრივ, აღმოსავლურ-მაზდეანურ მოძღვრებასთან. ეს, რაც შეეხება აზროვნებით ურთიერთობათა სფეროს.

ამ მოძღვრებისადმი ინტერესების გაჩენისათვის არსებობდა სხვაგვარი საფუძვლებიც.

სამყაროს რაციონალური და ინტუიციური წვდომის ურთიერთგანსხვავებულობის შეგნება თავისთავად წარმართავდა ყურადღებას ორგვარი სიბრძნისაკენ. ქრისტიანობა ინტუიციური წვდომის პრიორიტეტს აღიარებდა. ბუნებრივად წარმოდგებოდა საკითხი: როგორ უნდა შევათანხმოთ ერთმანეთს ინტუიციური გზით მიღებული ჭეშმარიტება და ბუნებაზე უშუალო დაკვირვებით შემუშავებული ცოდნა?

ქრისტიანობამ ავტორიტეტის კულტი შექმნა. მიიჩნეოდა, რომ საეკლესიო ავტორიტეტებს შემეცნებული ჰქონდათ უმაღლესი სიბრძნე. მაგრამ წამოიჭრებოდა შემდეგი კითხვა: ვითარდება თუ არა ცოდნა? თუ ცოდნა ვითარდება, ნუთუ ძველი დროის მოღვაწეებისათვის სამუდამოდ დაფარული დარჩა ის სიბრძნე, რომელსაც შემდეგი დროის მოღვაწეები გამოთქვამენ? ამ ფაუსტურ პრობლემას პასუხი ასე გაეცა (უფრო სწორად, ასეთი გამოსავალი გამოინახა): არსებობს უმაღლესი სიბრძნე, იგი არ ვითარდება, მისი წვდომა ერთნაირად შეიძლება სხვადასხვა დროის ჭეშმარიტი მოაზროვნეების მიერ. ოღონდ მისი წვდომისთვის არსებობს გარკვეული პირობა.

გამოსაყოფია შემდეგი საკითხიც: საუკუნეთა მანძილზე ქართული აზროვნება ქრისტიანობასთან ერთად ეცნობოდა აღმოსავლურ ლიტერატურას და ფილოსოფიურ შეხედულებებს. როგორ უნდა შეთანხმებულიყო ეს ორი ურთიერთგანსხვავებული აზროვნებითი ნაკადი? ეს საკითხი ქართულ ნიადაგზე ასეთ კონკრეტულ სახეს იღებდა: როგორ და რამდენად შეიძლებოდა გამართლებულიყო ქრისტიანობის პოზიციებიდან ძველ ქართულ მწერლობაში არსებული დიდი ინტერესები აღმოსავლური ლიტერატურისადმი?

ჩვენში საერო მწერლობის წარმოშობასთან ერთად ზემოაღნიშნული მოძღვრების თვალსაზრისით კვლავ ახალი პრობლემა წარმოდგა: როგორ უნდა მოაზრებულიყო საერო მწერლობის მნიშვნელობა გაბატონებული ქრისტიანული იდეოლოგიის პოზიციებიდან?

* * *

ქართული აზროვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე ორგვარი სიბრძნის თაობაზე გაბატონებული ჩანს შეხედულებანი, რომლებიც წარმოდგენილია ბიბლიაში და განვითარებულია აპოლოგეტიკასა და პატრისტიკაში. ამის კვალობაზე მომხდარა გამიჯვნა ორი ცნებისა: „სიბრძნე“ და „ჭეშმარიტება“. ამ შეხედულებით, „სიბრძნე“ და „ჭეშმარიტება“ ურთიერთგანსხვავებული ცნებებია. ეს ცნებები ერთმანეთს ყოველთვის არ ფარავს. „ჭეშმარიტება“ სიბრძნეს გულისხმობს, მაგრამ ყოველგვარი „სიბრძნე“ როდია ჭეშმარიტება.

ასეთი თვალსაზრისია გამოთქმული იოანე საბანისძის მიერ „აბო ტფილელის წამებაში“:

„დავუტევე მე პირველი იგი კაცთა ხელოვნებით შეთხზული სჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაი და აწ შევუდექ მე ჭეშმარიტსა ქრისტეს მიერ მოცემულსა სარწმუნოებასა“.

აქ ნათლადაა თქმული, რომ არსებობს ისეთი „სიბრძნე“, რომელიც ჭეშმარიტებას მოკლებულია. ამასთანავე, „კაცთა ხელოვნებით შეთხზული“ სიბრძნე და „ზღაპრობის სიბრძნე“ თავისი არსით გაიგივებულია.

ამასთანავე აქ ყურადღებას იქცევს „კაცთა ხელოვნების“ დაპირისპირება „ჭეშმარიტ სიბრძნესთან“. „კაცთა ხელოვნება “აქ უარყოფითადაა შეფასებული. ჩანს, რომ „კაცთა ხელოვნებით“ „ჭეშმარიტი სიბრძნე“ არ მიიღწევა (იგულისხმება: ჭეშმარიტი სიბრძნე ღვთაებრივი გამოცხადებით გვეძლევაო). ამიტომ, ნაწარმოების შინაარსად ჩაითვლებოდა ის, რაც „კაცთა ხელოვნებაზე“ არა იყო დამოკიდებული. „ხელოვნება“ აქ ოსტატობას ნიშნავს, ოღონდ, „მოხერხებულობის“, „მცდელობის“ სემანტიკური ნიუანსით. ასეთი უარყოფითი ელფერი შეიძინა საერთოდ ქრისტიანულ აზროვნებაში და, მათ შორის, როგორც ჩანს, ჩვენშიაც ანტიკურობიდან მომდინარე ცნებამ — „ტექნე“.

ი. საბანისძის ზემომოყვანილ სიტყვებში ქრისტიანობის სიბრძნე დამდაბლებულია იმ

ნიშნით, რომ იგი „კაცთა ხელოვნებითაა“ შეთხზული. ასეთი ყოფილა „ზღაპრობის სიბრძნე“. მაშასადამე, უარყოფილია „სიბრძნე სიცრუისა“, ან, გამონაგონის სიბრძნე. იოანე საბანისძისათვის ცნობილი ეს შეხედულება შემდეგში ფართოდ გავრცელებულა ქართულ მწერლობაში (იგი ზუსტად მიჰყვება ორგვარ სიბრძნეზე ორთოდოქსალურ-ბიბლიურ თვალსაზრისს). აქედან გამომდინარე მხატვრული ნაწარმოების ღირსება თეორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით არ შეიძლება გააზრებულიყო მწერლის „ხელოვნებად“. ამიტომ ლოგიკურია, რომ ნაწარმოები გაიაზრებოდა სული წმინდის მიერ შექმნილად და არა ადამიანის აზროვნების, მწერლური ოსტატობის („კაცთა ხელოვნების“) ნაყოფად. (შდრ.: „არს ხანძთას ხელითა მისითა (გრიგოლ ხანძთელისა. რ. ს.) დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოი იადგარი“).

ძირითადად ზემორე თვალსაზრისს მიჰყვება გიორგი მერჩულის სიტყვები: „მოცემულ არს სიბრძნე ღირსი კეთილისა მიზეზისა ქრისტეს მიერ, ღმრთისა ყოვლელთაისა, ბუნებისა ჭეშმარიტთა ბრძენთასა“.

გიორგი მერჩულის თვალსაზრისი ასეთია: არსებობს „სიბრძნე ღირსი“, არსებობენ „ჭეშმარიტი ბრძენნი“ (იგულისხმება საპირისპიროთა არსებობა). უმაღლესი სიბრძნე არსებობს ღვთაებასთან. მაგრამ არსებობს სხვა სიბრძნეც, ოღონდ გაცილებით მდაბალი ღირსებისა. ასეთია კაცთა მიერ გამოთქმული სიბრძნე. ნებისმიერი ნაწარმოები, რაკიღა ის კაცთა მიერაა გამოთქმული, ასეთი თვალსაზრისით, ღირსებნაკლოვანია. მაშასადამე, სიბრძნის წვდომის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად აქაც სულიერი მოახლოების გზაა დასახული, რადგანაც თქმა, ასე თუ ისე მაინც, მატერიალურობისაკენ წარმართავს ყურადღებას. მერჩულე წერს: „ბრძნად მეტყველებაი ვერცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი ოქროი რჩეული“.

გიორგი მერჩულეს გაცნობიერებული აქვს თეორიისა და პრაქტიკის გათიშულობა, მაგრამ ეს თეორიის ნაკლოვანებით არ შეეძლო მას აეხსნა (აქ მას ჭეშმარიტ ბრძნად მიაჩნია ის, ვინც ბოლომდე მიჰყვება თეორიულ პრინციპებს და დუმილს არჩევს). თავის არათანმიმდევრულობას (რომ ვერ დაიცვა მდუმარების სიბრძნე) გიორგი მერჩულე თავისივე ადამიანური სისუსტით ხსნის. თუმცა თავის ნაწარმოებში გიორგი მერჩულე სხვაგვარადაც არათანმიმდევრულია, რადგან დუმილის აპოლოგიის (თავი I) ცოტა ქვემოთ („ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, თავი II), საღვთო საქმისათვის თავდადებულ ადამიანთა ცხოვრების აღწერის ღირსებებზე ლაპარაკობს.

გიორგი მერჩულეს თეორიულ და პრაქტიკულ პოზიციას შორის არსებული წინააღმდეგობა აიხსნება შემდეგით: თეორიულად იგი მიჰყვება პატრისტიკულ თვალსაზრისს, რომელმაც მწერლობის (გამოთქმის) უარყოფა გამოიწვია. მაგრამ, იმავე თვალსაზრისით, გამართლებული იყო მამათა ღვაწლის გამოთქმა. ეს თეორიისადმი ფორმალურ-ლოგიკური მიდგომის შედეგად გამოწვეული წინააღმდეგობანი იყო და ამ ნიადაგზე თეორიისა და პრაქტიკის ცნობილი წინააღმდეგობის ერთ-ერთი გამოვლინებაც. ჩვენის აზრით, ეს იმის მაჩვენებელიც იყო, რომ ჯერჯერობით სწორედ თეორიულად არ იყო მოძებნილი ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრებიდან ლიტერატურულ საკითხებამდე მისასვლელი გზები.

ზოგიერთი სხვა მომენტიც უნდა გახდეს ყურადსაღები გიორგი მერჩულის ნააზრევიდან. ნაწარმოების პირველ თავში, როგორც ვთქვით, გიორგი მერჩულემ მთლიანად გამორიცხა უმაღლესი სიბრძნის წვდომა გამოთქმა-გამოხატვით (მწერლობით), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს უკანასკნელი მაინც გარკვეული ღირსებით („ვერცხლი წმინდაი“) მოიხსენია. გამოვიდა, რომ მწერლობაც სიბრძნეა, თუმცა მდაბალი სიბრძნე უმაღლეს სიბრძნესთან შედარებით. იქვე ავტორი დასძენს, რომ ესაა „სულელთა სიბრძნისმეტყველებაო“.

მოვიხმობთ გრიგოლ ხანძთელის შესახებ თქმულ სიტყვებს: „ისწავა სწავლა საეკლესიოსიოი... სიბრძნეი იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად და რომელი პოვის სიტყუა კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის... გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობს, სიტყუსაებრ მოციქულისაო“, და იმოწმებს სიტყვებს: „გან-მე-რაიაცოფა ღმერთმან სიბრძნეი იგი ამის სოფლისაიო“.

ვფიქრობთ, შეგვიძლია აქ თავისებურად ახლებური პოზიცია დავინახოთ. ყოველ შემთხვევაში, გიორგი მერჩულის ზემომოყვანილი აზრი მთლიანად არ ემთხვევა პავლე მოციქულის დამოწმებულ სიტყვებს.

მართალია, მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ პავლე მოციქულის ეს სიტყვები კონკრეტულად ეპიკურელთა მოძღვრებას გულისხმობსო, მაგრამ გიორგი მერჩულისათვის ამ სიტყვებს არ უნდა ჰქონოდა ასეთი კონკრეტული მნიშვნელობა. „სიბრძნე ამის სოფლისა“, ზემომოყვანილი კონტექსტის მიხედვით, უნდა გულისხმობდეს თვით გიორგი მერჩულეს მიერ იქვე ჩამოთვლილ სიბრძნეთა დარგებს, გარდა საეკლესიო სიბრძნისა. ე. ი. „სიბრძნე იგი ამის სოფლისაი“ გიორგი მერჩულესათვის გულისხმობდა სასწავლო დისციპლინათა ერთობლიობას. პავლე მოციქულის მიერ სასტიკადაა დაგმობილი („გან-მე-რაცოფა ღმერთმან“) „ამის სოფლისა სიბრძნე“, გიორგი მერჩულეს მიხედვით კი, მასში შე-

ძლება იყოს „სიტყუაი კეთილი". სხვა რომ არაფერი, დამოწმებისას არსებულ წინაუკმობაზე მაინც უნდა ითქვას: მერჩულეს აზრი და მისი აზრის დასამტკიცებლად მოყვანილი სიტყვები რამდენადმე ურთიერთს სხვაობს. გავრცელებული პატრისტიკული თვალსაზრისის ზუსტი დაცვა იქნებოდა, რომ თქმულიყო: გრიგოლ ხანძთელი გარეშე სიბრძნიდან გამოჰყოფდა უფრო მისაღებ ნაწილს, ოღონდ მას შემდგომ გაიაზრებდა სადვთისმეტყველო შინაარსით. ე. ი. უნდა აღნიშნულიყო, რომ „ამა სოფლისა სიბრძნეს" მომავალი ღვთისმსახური ითვისებდა მასში ალეგორიულად („სახისმეტყველებით") უმაღლესი სიბრძნის დანახვის გზით და არა თავისთავადი მნიშვნელობით. გიორგი მერჩულე კი პატრისტიკის იმ წარმომადგენელთა პოზიციას იჩენს, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს მიდიოდნენ გარეშე (ამ შემთხვევაში ანტიკურ) სიბრძნესთან. გიორგი მერჩულეს სიტყვებით, გრიგოლ ხანძთელმა „სიბრძნჱ იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად". კონტექსტის მიხედვით, „კეთილად სწავა" იმაში გამოიხატებოდა, რომ მისაღებ შინაარსს გრიგოლი გამოაცალკევებდა შეუწყნარებელი აზრებისაგან. ვიმეორებთ, აქ მოსალოდნელი იყო აღნიშვნა, რომ თვით მისაღები ნაწილი (რაკილა ის მაინც „გარეშე სიბრძნეა") ალეგორიულად გააზრებული იყო უმაღლესი სიბრძნის თვალთახედვით.

ზემორე თვალსაზრისით ქართულ აზროვნებაში მომდევნო ეტაპის დასახასიათებლად გამოვყოფთ **ეფრემ** მცირის შეხედულებებს.

როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემ თარგმნა აღმოსავლეთის საქრისტიანოს უდიდესი ავტორიტეტის იოანე დამასკელის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაწარმოების — „წყარო ცოდნისაის" ორი — დოგმატიკური და ფილოსოფიური ნაწილი. (რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის" ქართული თარგმანები, თბ., 1966). სიტყვადანართში ეფრემი წერს: „ამა ესერა, გუქონან ასნი თავნი საეკლესიონი ორმოცდაათთა თავთა მიერ საფილოსოფოსთა მიერ გარეშემოზიდვილნი და არცა ესენი სრულ არიან უიმითოდ და არცა ასენი უამათოდ". მეცნიერებაში კარგა ხანია ყურადღებულია ამ დახასიათების მნიშვნელობა ქართული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით. ჩვენ ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ეფრემის სიტყვების შინაარსი ძირითადად ასეთია: (თარგმანში გვაქვს დამასკელის ნაწარმოების) ასი საეკლესიო თავი, რომლებიც შემოზღუდულია 50 ფილოსოფიური შინაარსის მქონე თავით. არც ეს (საეკლესიო შინაარსის თავები) იქნებოდა სრულყოფილი, რომ სხვა (ფილოსოფიური შინაარსის შემცველი) თავები არ ახლდეს და არც ეს უკანასკნელნი იქნებოდნენ სრულყოფილნი პირველთა გარეშეო.

ჯერ ერთი, რომ ამ სიტყვებით, გარეშე სიბრძნე-ფილოსოფია (დამასკელის მიერ მოტანილი მთელი „გარეშე სიბრძნე") **მთლიანად გამოსადეგი შეიძლება გახდეს** რელიგიისათვის. როცა ეფრემი ამბობს ფილოსოფია რელიგიის გარეშე ვერ იქნება სრულყოფილიო, — ამაში არაფერია ახალი. ყურადღებას იქცევს განცხადება, რომ რელიგია ვერ იქნებაო „სრული" ფილოსოფიის გარეშე. ეს უკვე აღარაა იოანე დამასკელის: „რელიგია ბანოვანია და ფილოსოფია — მხევალი".

**შალვა ნუცუბიძე** რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთობის ეფრემისეული გაგების შესახებ წერდა: „მან (ეფრემმა) წამოაყენა ახალი სახე ამ ურთიერთობის გაგებისა. თეოლოგიასა და ფილოსოფიას შორის არა დაქვემდებარების, არა **სუბორდინაციის**, არამედ **შერწყმის, კოორდინაციის** ურთიერთდამოკიდებულების შესახებ" (ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, გვ. 391). ვფიქრობთ, ეს სადავო უნდა იყოს. ჯერ ერთი, რომ რელიგიისა და ფილოსოფიის „შერწყმის" თაობაზე ზემოგანხილული ერთი გამონათქვამით შეუძლებელია მსჯელობა. სხვა მონაცემები ავტორს არ მოუყვანია. მაგრამ, რაც მთავარია, ასეთი გაგება გარკვეულად ეწინააღმდეგება აკად. შ. ნუცუბიძისავე სიტყვებს: „ეფრემ მცირეს დებულებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ფილოსოფიისა და თეოლოგიის თანასწორობა... მან თქვა ის, რაც მის დროს შეეფერებოდა: ორივე მომენტის (თეოლოგიისა და ფილოსოფიის) ერთიმეორისათვის საჭიროება" (იქვე, გვ. 391).

ეფრემის აზრი, რომ რელიგიური სიბრძნე ვერ იქნება სრულყოფილი ფილოსოფიის გარეშეო — არ უნდა გულისხმობდეს მათ შერწყმას თუ **კოორდინაციას**. ჩვენის აზრით, აქ აქცენტირებულია ფილოსოფიური **დასაბუთების აუცილებლობა** საეკლესიო თავებისათვის (ოღონდ, გასათვალისწინებელია, რომ ასეთი საჭიროება რელიგიის ნაკლოვანებით კი არ აიხსნებოდა, არამედ რელიგიურ ჭეშმარიტებებთან მისასვლელი გზების გაადვილების მოთხოვნით). საეკლესიო თავებში მოცემული დოგმები შეიძლება მივიღოთ რწმენით. მაგრამ ეს ვერ იქნება სრულყოფილი. ვერ იქნება სრულყოფილი არა თავისთავად, მათი ჭეშმარიტების თვალსაზრისით (ამაში ეჭვის შეტანა ეფრემის მიერ სრულიად გამორიცხულია), არამედ ჩვენთვის: ჩვენი გაგება ვერ იქნება სრულყოფილიო. ასეთ აზრს ვხედავთ ჩვენ ეფრემის ზემოთმოყვანილ სიტყვებში. ეფრემის ამ ნააზრევს მსგავსებას ვუპოვით პიერ აბელიარის შეხედულებასთან: „გავიგოთ, გავიაზროთ, რათა ვირწმუნოთ". პიერ აბელიარი რწმენისათვის დასაბუთების აუცილებლობაზე

ასეთმა პოზიციამ ეფრემი მეტად დააახლოვა საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობით პრობლემატიკასთან.. (ი. პეტრიწის შეხედულებებს ამავე თვალსაზრისით განვიხილავთ სხვა ნარკვევში (თსუ. შრომები, 1974, 8-9) და ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ი. პეტრიწის თეორიული შეხედულებებისთვისაც საფუძველდამდებია მისივე თვალსაზრისი ზემოაღნიშნულ სიბრძნეთა ურთიერთმიმართების თაობაზე).

* * *

როგორაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“ სიბრძნეთა ურთიერთმიმართების საკითხი? რა დამოკიდებულებაშია ეს საკითხი რუსთაველისავე თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებთან?

რუსთაველის ნააზრევში წარმოდგენილია სრულიად თავისებური პოზიცია ორგვარი სიბრძნის ურთიერთმიმართების შესახებ.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვერ ვხვდებით ზემოგანხილული სახით ორი **ურთიერთდაპირისპირებული** სიბრძნის გამოყოფას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსთაველისათვის უმაღლესი სიბრძნის ცნება მოხსნილია. საქმე სხვაგვარადაა.

რუსთაველისათვის ყოველგვარი სიბრძნის წყარო უმაღლესი სიბრძნეა, აბსოლუტური ერთია. ასეთი თვალსაზრისი უკვე მისი პოემის შესავალშივე მჟღავნდება („ღმერთო ერთო... მომეც მიჯნურთა სურვილი“, ან „...შენგნით მაქვს მივსცე გონება“ და სხვა) და შემდეგ მთელ პოემას გასდევს. რუსთველისათვის ყოველგვარი ადამიანური სიბრძნე უმაღლესი სიბრძნის გამოვლინებაა. ამიტომ ყოველგვარი სიბრძნე, მისი ნებისმიერი სახე, სუბსტანციურად ერთიანია. სიბრძნის ნებისმიერი გამოვლინება უკვე ადამიანობის ღვთიურობით გამსჭვალვის გამოვლინებაა (ზოგადად ასეთ პოზიციამდე მისვლა თუნდაც არეოპაგიტურ მოძღვრებაზე დაყრდნობით არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს). ამრიგად, სიბრძნე მთლიანობაში, მისი ყოველგვარი ფორმა ერთნაირად ცხადყოფს ღვთაებრივ ემანაციას. ამ ნააზრევში, ჩვენის აზრით, თავისებურებას ქმნის შემდეგი მომენტი:

ღვთაებრივი გონების ემანაციით გამოვლენილი სხვადასხვა სიბრძნე მისი გამოვლენის სხვადასხვა საფეხური, ადრეული მოძღვრების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება და ერთმანეთს უპირისპირდება. რუსთაველი კი არ ცდილობს დაპირისპირებას. იგი სულ სხვადასხვა ხასიათის სიბრძნეთა თანხმობასა და მათ ურთიერთშერწყმას უჭერს მხარს (ამის გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისიც, რომ გმირები ფორმალურად აღმოსავლური სიბრძნის წარმომადგენელნი არიან). **„ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთს უპირისპირდება არა ღვთაებრივი და ადამიანური სიბრძნე, არამედ სიბრძნე საერთოდ და უმეცრება. ყოველგვარი სიბრძნე ღვთაებრივია. უმეცრება ღვთაებრიობის ანტიპოდი და არა მდაბალი სიბრძნე.**

მაშასადამე, რუსთაველის მიერ დაპირისპირებულობა: უმაღლესი და კაცობრივი სიბრძნე შეცვლილია ასე: სიბრძნე და უმეცრება.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რუსთაველი საზოგადოდ სიბრძნეთა განსხვავებულობას ვერ ხედავს, ან არ ცნობს. აღნიშნულით მხოლოდ იმის ცხადყოფა ხდება, რომ რუსთაველისათვის სიბრძნეთა შორის განსხვავებულობა გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სიბრძნესა და უმეცრებას შორის არსებული დაპირისპირებულობა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია რუსთაველის მიერ ქრისტიანულ, ანტიკურ თუ აღმოსავლურ-მუსულმანურ სიბრძნეთა შორის უმაღლესი სიბრძნის ძიება.

ახლა ვნახოთ, თუ რაოდენ თანხვდება ამ მოსაზრებებს რუსთაველის თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებანი. ხშირად რუსთაველის განმარტება „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — შემდეგნაირად ესმით: რუსთაველის ამ სიტყვებით ნათქვამია, რომ შაირობა სიბრძნეს უნდა შეიცავდეს, შაირობით სიბრძნე უფრო ადვილსათვისებელია და ა. შ. ასეთი გაგება არაზუსტია. რუსთაველის განმარტებაში აქცენტირებულია სულ სხვა აზრი. თვით ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისითაც, რუსთაველის ეს სიტყვები **განმარტებაა** და არა **დახასიათება.**

რუსთაველის სიტყვებით შაირობა სიბრძნის „დარგია“, ამდენად, შაირობა „სიბრძნის“ რიგის მოვლენაა, ანუ „სიბრძნის“ ერთერთი ქვესახეა. ე. ი. რუსთაველის ზემორე სიტყვებში მოცემულია **„შაირობის“ გვარ-სახეობრივი განმარტება და არა მისი დახასიათება.** შაირობის დახასიათებას იმავე სტროფის ქვემორე, სტრიქონები შეიცავს (იხ. ალ. ბარამიძე, შ. რუსთველი და მისი პოემა, გვ. 25-30).

რუსთაველი ტერმინით — „შაირობა“, ცხადია, საერო პოეზიას გულისხმობს. რუსთაველმა საერო პოეზია „სიბრძნის“ ერთ-ერთ დარგად გამოაცხადა, ოღონდ ის საჭიროდ არ თვლის დააზუსტოს, თუ რომელ სიბრძნეს გულისხმობს. ამის საჭიროება კი რუსთველისთვის საერთოდ არ წარმოდგებოდა, თუ გავიხსენებთ ზემოთქმულს, რომ რუსთველისათვის „სიბრძნე“ ერთიანია (სიბრძნე „უმაღლესი“, თუ კაცობრივი, ყველა საღვთოა). **ამიტომ გასაგებია „შაირობის“ — საერო პოეზიის — შეტანა ზოგადად „სიბრძნეში“ და არა სიბრძნის ერთ-ერთ სახეში, კერძოდ, ამქვეყნიურ სიბრძნეში აქედანვე, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ რუსთაველმა შაირობა, საერო პოეზია „სალმრთოდ“ გამოაცხადა.**

რაც მთავარია, სადავო არ უნდა იყოს, რომ

საცოლქმროთ, მესამეს, რისაც ზღაპრის მიზეზად ეს ლექსი უთქვამს“... ვახტანგს პოემიდან მოყავს შესაბამისი ადგილები. მაგალითად, ღვთის სიყვარულის განმარტებას ხედავს ვახტანგი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში: „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“, „მიჯნურობა არის ტურფა...“ „ამა საქმესა მიჯნური“... და სხვა. ვახტანგის აზრით, ამა და ამდაგვარ სტროფებიდან საღვთო შინაარსი ალეგორიულად კი არ გამომდინარეობს, არამედ უშუალოდ, პირდაპირი გზით — ამ სტროფებში მხოლოდ საღვთო შინაარსიაო.

რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს, როცა ვახტანგი ეხება „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ გამონაგონი შინაარსის მქონე სტროფებს. მაგალითად, ვახტანგი ასეთ შინაარსს ხედავს სტროფში: „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირის“... რაკილა, ვახტანგის აზრით, აქ საღვთო სიყვარულზე არაა საუბარი, იგი შენიშნავს: რუსთველი აქ „თავის ზღაპრის გალექსვას მიჰყვებაო“ („ზღაპარი“ აქ გამონაგონს ნიშნავს). თუ ვახტანგს მივყვებით, დავინახავთ, რომ ამავე სტროფში შეიძლება იყოს საღვთო შინაარსი ;ვახტანგი აქვე ამ საღვთო შინაარსის „გამიფვრას“ გვაძლევს. ეს ხდება იგივე სიტყვების „სხვაგვარი “(ალეგორიული) წაკითხვით. კერძოდ, ვახტანგის აზრით, შეიძლება ალეგორიულად ამ სტროფში ქრისტეზე ტირილი ამოვიკითხოთ („თუ კაცი, ქრისტესათვის სტირის, ტძრის ემართლებისო“).

რუსთაველი რომ როსტევანის ამბებს გვიყვება, ამაზე ვახტანგი წერს: „რადგან საღვთო ხანა რომ არავინ კითხულობდა, სოფლითს ზღაპარს უფრო წაიკითხავდნენ, სოფლითს ზღაპარი მოიგონა, მაგრამ ისეთი ზღაპარი არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოსო“. ვახტანგი როსტევანის ამბავს ზღაპარს უწოდებს. ე. ი. „ზღაპრისა“ და „გამონაგონის“ ცნებებს აიგივებს. „ზღაპრის“ („გამონაგონის“) ფასეულობას ვახტანგი მაშინ აღიარებს, თუ მასში საღვთო სწავლებაა, რაც მისგან ალეგორიული გააზრებით შეიძლება იქნეს ამოცნობილი. ვახტანგი ისეთ მაგალითებსაც გამოჰყოფს, რომელთა, ასე ვთქვათ, ფორმაც და შინაარსიც ზღაპრულია. მაგალითად, რუსთველის სიტყვებს: „...მისებრი მართ დამართებით ვინმცა ყოფილა შობილი“, — ვახტანგი დასძენს: „ამას იმისთვის ამბობს, ამ ამბავს ზღაპრად ხდის, არც დაბადებულა და არც ვის დაბადებულს ამას უდრის. თვარა დიამც გმირები იმათთანა არ ყოფილიყოს! თვარა მას აქეთ რამდენი წმინდა კაცი დაბადებულან, იმათ როგორ აჯობებდა! მაგრამ უბნობს: ზღაპარია, არა იყვნენ რაო. მე, რუსთველმან, გავლექსე ამთენის ტყუილის თქმისათვის ლახვარ გულდასობილმაო“.

ამრიგად, ვახტანგი ცნობს იმგვარი „ზღაპრის“ (გამონაგონის) ფასეულობას, რომელიც ალეგორიულად საღვთო აზრს არ გამოხატავს.

ამ რიგის საკითხებს ეხმაურება თვით სათაურიც სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებისა — „სიბრძნე სიცრუისა“. საბასთან რეაბილიტირებულია გამონაგონის, თვით ზღაპრის („სიცრუის“) სიბრძნე.

საბას განმარტებით: „სიბრძნე არის მშობელი ჭკუისა და განმსჯელი ცნობათა. სიბრძნე და სივარგე ემსგავსებიან: სიბრძნე — კეთილ, სივარგე — არა“. საბას ეს განმარტება სიბრძნეზე მოძღვრების რუსთველურ გაგებას ენათესავება. მათი მსგავსების საფუძველი საერთო ამოსავალია. ეს უნდა იყოს არეოპაგიტური მოძღვრება. საბას განმარტებაში (მის მეორე ნაწილში — „სიბრძნე და სივარგე ემსგავსებიანო“) აქცენტირებულია სიბრძნისა და სივარგის სუბსტანციური ერთიანობა (გამოყენებულია ე. წ. ბოროტების არასუბსტანციურობის თეორია). ამის კვალობაზე სიბრძნე სიკეთეა. მაგრამ საბა არ აზუსტებს, თუ რომელ სიბრძნეზეა ლაპარაკი (საღვთოზე თუ საეროზე), თუ რომელი სიბრძნეა სიკეთე. ამიტომ გამოდის, რომ სიკეთეა ყოველგვარი სიბრძნე, როგორი სახითაც არ უნდა გვეძლეოდეს იგი (ამით უახლოვდება საბა რუსთველს). ზემოთქმულიდან ის კი არ გამომდინარეობს, რომ საღვთო სიბრძნე არაა მაღლა მდგომი საეროსთან შედარებით. ზემოთქმულიდან ის ჩანს, რომ საერო სიბრძნე არაა „სივარგე“, ისიც სიკეთეა, რაკილა სიბრძნეა. მაშასადამე, სიკეთეა თვით „სიბრძნე სიცრუისა“. სიკეთეა ყველგან, სადაც კი სიბრძნეა, „სივარგეა“ უმეცრება (საბა: „სიბრძნე კეთილ, სივარგე არა“).

ასეთია საბას თვალსაზრისი. აღორძინების ხანის ნააზრევიდან სხვა მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ მოძღვრება ორგვარ სიბრძნეზე საფუძვლად ედებოდა თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებს. ასე გრძელდება თვით XVIII საუკუნის დასასრულამდე.

შემდეგ კი კანონზომიერება იცვლება. შემდეგში ლიტერატურული აზროვნება აღარ მიყვება მაინცდამაინც მოძღვრებას ორგვარი სიბრძნის შესახებ. უკვე ახალი ფაქტორები ხდება ლიტერატურული ნააზრევის თავისებურებათა განმსაზღვრელი.

## ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

1. მოძღვრებას ორგვარი (უმაღლესი და ამა სოფლის) სიბრძნეთა შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეების აზროვნებით სისტემაში. მრავალი ფუძემდებლური თუ კერძოობითი პრობლემა ამ მოძღვრების სფეროში იყრის თავს.

2. ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრება, რომელსაც სათავე წინაქრისტიანულ ფილოსოფიაში

უღევს, განსაკუთრებით განვითარდა შუა საუკუნეებში და გავრცელდა მრავალ საქრისტიანო მწერლობაში, მათ შორის, ქართულში (მას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ისლამურ ფილოსოფიაშიც).

3. წინაალმდეგ გავრცელებული თვალსაზრისისა, მოძღვრებამ ორგვარი სიბრძნის შესახებ საუკუნოთა მანძილზე განვითარება განიცადა. არ შეიძლება ამ მოძღვრების წარმოდგენა მთელი შუა საუკუნეებისათვის ერთიანი უცვლელი „ქრესტომათიული“ სახით.

4. ძველ ქართულ მწერლობაში შემუშავებული ლიტერატურულ-თეორიული მოსაზრებების სისტემური სახით შესწავლა საშუალებას გვაძლევს ისინი შევაპირისპიროთ ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების ისტორიულ განვითარებასთან, რასაც მივყავართ დასკვნამდე: **ძველქართულ მწერლობაში შემუშავებულ ლიტერატურულ შეხედულებებს საფუძვლად ედებოდა მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ. თუ როგორ ესმოდათ უმაღლესი და საერო სიბრძნის ურთიერთმიმართება ამა თუ იმ** ეპოქის მოაზროვნეებს, — ეს განსაზღვრავდა მათივე თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებების ხასიათს.

5. ძველ ქართულ მწერლობაში ამ მოძღვრებისა და თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების ურთიერთობის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს შემდეგი საფეხურები:

I — მეათე საუკუნემდე ქართულ მწერლობაში გავრცელებული იყო ამ მოძღვრების ისეთი გაგება, რაც მოცემული გვაქვს ბიბლიურ წიგნებში, აპოლოგეტიკასა და პატრისტიკაში. შესატყვისია ამ პერიოდის ლიტერატურული შეხედულებანი: ისინი არაა გამოცალკევებული თეოლოგიური პრობლემატიკიდან.

II — ცალკე საფეხურად გამოსაყოფია XI ს. ამ დროს (ეფრემ მცირისა და პეტრიწის ნააზრევში) განსაკუთრებით წინ წამოწეულია დასაბუთების მნიშვნელობის საკითხები. თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების ინტერესები მიმართულია ცნებათა დეფინიციისა და ლიტერატურულ პრობლემატიკასთან მიახლოებული პრობლემების გარკვევისაკენ.

III — ამ მოძღვრების განვითარების თვალსაზრისით ახალ საფეხურს ქმნის რუსთაველის შეხედულებანი. რუსთაველის მიერ საღვთო და საერო სიბრძნე გათანაბრებულია იმით, რომ კაცობრივი სიბრძნეც საღვთოდ მიიჩნევა. ამ თვალსაზრისს სავსებით შეესაბამება რუსთაველის მიერ საერო პოეზიის (შაირობის) საღვთოთ გამოცხადება.

IV — შემდეგი საფეხურია აღორძინების ხანა. ამ ხანაში ორგვარ სიბრძნეზე სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი ვითარდება. ამის შესაბამისად ამ პერიოდის მოღვაწეები ავითარებენ სხვადასხვა ლიტერატურულ პრინციპებს. ნიშანდობლივია, რომ მოძღვრებამ ორგვარი სიბრძნის შესახებ გადაინაცვლა სასულიერო და საერო მწერლობათა ურთიერთობის პრობლემების სფეროში.

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონოგრაფია ანთიმოზ ივერიელზე

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა ოთარ გვინჩიძის ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს მე-17 საუკუნის მიწურულისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიის დადგენასა და მისი საქმიანობის გაშუქებას. ნაშრომი ეხება საქართველო-რუმინეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხს, რადგანაც, სწორედ ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწეობდა ეს გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი და ჰუმანისტი, შესანიშნავი მხატვარი, ხუროთმოძღვარი, მწერალი, ორატორი, მბეჭდავი, პოლიგრაფი, რუმინული ლიტერატურული ენის რეფორმატორი, ვლახეთში ბეჭდვითი საქმის დიდი ორგანიზატორი, რომელიც ეროვნებით ქართველი იყო. სამშობლოდან მოტაცებისა და კონსტანტინოპოლში მონად გაყიდვის შემდეგ ანთიმოზმა თავისი მეორე სამშობლო ვლახეთში ჰპოვა და განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველო-რუმინეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორის მიერ შემოთავაზებულ ფორმას — ქართულად ამ პიროვნების საკუთარი სახელის ხმარებას **„ანთიმის“ სახით. ვფიქრობთ**, ავტორის განმარტება იმის შესახებ, რომ ჩვენში მიღებული „ანთიმოზ“ ბერძნული გამოთქმაა და ამიტომ თითქოს უმჯობესია ვიხმაროთ „ანთიმ ივერიელი“, როგორც ამას თვითონ უწოდებდა თავის თავს რუმინულ დოკუმენტებში, ვერ უძლებს კრიტიკას. თუ რუმინული დოკუმენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენ უნდა ვიხმაროთ „ანთიმ ივერიანუ“ და არა „ივერიელი“. საქმეც ის არის, რომ ბერძნული წარმოშობის ეს სახელი ქართულში შემოვიდა „ანთიმოზის“ ფორმით, ისევე, როგორც „ნიკოლოზი“. ხოლო სხვა ენებში განსხვავებული სახით იხმარება.

ჩვენ ვთვლით, რომ ქართულად „ანთიმოზ ივერიელის“ ხმარება უფრო სწორი იქნება.

წარმოშობით ქართველს, ამ გამოჩენილ ადამიანს, რუმინეთის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს და ამიტომ ბუნებრივიც არის, რომ რუმინულ ენაზე მის შესახებ არა ერთი საინტერესო ნაშრომი არსებობს. თანამემამულის ესოდენ საინტერესო ბიოგრაფიით, ცხადია, ბევრი ქართველი მკვლევარი დაინტერესებულა, რომელთა შორის, პირველ რიგში, ჩვენ გვსურს განსაკუთრებით დავასახელოთ პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სახელი.

გ. ლეონიძემდეც არა ერთი ქართველი მეცნიერი შეხებია ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს და მრავალი საყურადღებო დაკვირვება და დასკვნა მოუციათ; თვით ნაშრომთა გამოქვეყნების ქრონოლოგია რომ დავიცვათ, დავასახელებთ ალექსანდრე. ხახანაშვილს, პოლიევქტ კარბელაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძეს, პაატა გუგუშვილს, აკაკი შანიძეს, ნიკო ბერძენიშვილს, ხოლო შემდგომ, 50-60-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ავტორებს შორის აღვნიშნავთ ქრისტინე შარაშიძეს, შ. კურდღელაშვილს, ფ. ჯინჯიხაშვილს და სხვ...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სათანადო მასალების სიმცირის გამო ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფია, მისი საქმიანობა ჯეროვნად გაშუქებული მაინც არ იყო. ოთარ გვინჩიძის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან შეძლო როგორც ქართულ, ისე რუმინულ და სხვა ენებზე არსებული სათანადო ლიტერატურისა და მასალების ფართო გამოყენება და ამის საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა ანთიმოზ ივერიელის საქმიანობა რუმინეთის კულტურის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე. ამდენად, სარეცენზიო ნაშრომიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში ნაჩვენებია ანთიმოზ ივერიელი როგორც მესტამბე, ხოლო მეორეში გაშუქებულია მისი პოლიტიკური მოღვაწეობა.

ო. გვინჩიძის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან შეძლო რუმინულ ენაზე არსებული მასალებისა და ლიტერატურის გაცნობა, რის შედეგადაც ახალი დაკვირვებები და დასკვნები შემოგვთა-

---

ოთარ გვინჩიძე. „ანთიმ ივერიელი“, „მეცნიერების“ გამოცემა.

ვაზა. ბუნებრივია, რომ აქ ჩვენ განსაკუთრებულად ხაზს ვუსვამთ რუმინულ ენაზე არსებულ მასალებსა და ლიტერატურას, რადგანაც ამის გარეშე წარმოუდგენელია ანთიმოზ ივერიელის, როგორც რუმინელი მოღვაწის საქმიანობის რაიმე საფუძვლიანი შესწავლა.

იმის გამო, რომ ანთიმოზ ივერიელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები (განსაკუთრებით რუმინეთში დასახლებამდე პერიოდისა) ძალზე მცირეა, მკვლევარს, ბუნებრივია, ხშირად უხდება მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებების გამოთქმა და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ამა თუ იმ ვერსიის მტკიცება და ამ გზით ბიოგრაფიის დადგენა.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი სამუშაოს ჩატარების შედეგად მან შეძლო ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის საფუძვლიანი გაშუქება; მან არაერთი საინტერესო საკითხის დასმა და ახლებური გადაწყვეტა შემოგვთავაზა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ოთარ გვინჩიძის მსჯელობას და ლოგიკურ დასკვნას იმის თაობაზე, რომ რადგანაც ანთიმოზ ივერიელმა რუმინეთში მის მიერ აშენებული და რეკონსტრუირებული საეკლესიო ნაგებობებსა და გამოცემული წიგნების მოხატულობაში საკუთარი ხელით შეიტანა ქართული ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ როგორც მხატვარი და ხელოვანი ანთიმოზი უდავოდ ქართული კულტურის ნიადაგზე იყო აღზრდილი და რომ მას თავისი ახალგაზრდობა საქართველოში უნდა გაეტარებინა.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ო. გვინჩიძის იმ მოსაზრებას, რომ სასტამბო საქმიანობაში დაოსტატება ანთიმოზს მხოლოდ ქ. იასში ან რუსეთში შეეძლო, და არა სადმე სხვაგან. ო. გვინჩიძის აზრით ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა, რომელმაც კონსტანტინოპოლში ტყვეობიდან გამოისყიდა ანთიმოზ ივერიელი, 1682 წელს ქ. იასში ბერძნული სტამბა დააარსა.

ო. გვინჩიძე კატეგორიულად უარყოფს ანთიმოზ ივერიელის მიერ სასტამბო საქმის შესწავლის შესაძლებლობას ქ. კონსტანტინოპოლში იმ მოტივით, რომ კონსტანტინოპოლის ბერძნული სტამბა თურქების მიერ ჯერ კიდევ XVII საუკუნის 30-იან წლებში იყო განადგურებული და შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში აღარ მოქმედებდა.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ იმავე იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს, რომლის რეზიდენცია გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო ქ. კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, იმავე 1682 წლისათვის კონსტანტინოპოლში აღუდგენია ბერძნული სტამბა, სადაც ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეც წამოუწყია. ამის შესახებ თვით დოსითეოსი ატყობინებდა ასტრახანში მყოფ არჩილ მეფეს 1682 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული წერილით. ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს თამარ ტივაძეს კრებულ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მესამე წიგნში, რომელიც 1971 წელს გამოიცა.

ერთი სიტყვით, მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასტამბო საქმე ანთიმოზ ივერიელს შესწავლილი ჰქონდა ვლახეთში დასახლებამდე, ე. ი. 1689-1690 წლებამდე, სავსებით მართებულია. მაგრამ ავტორის მიერ მტკიცება იმისა, რომ თითქოს ქ. კონსტანტინოპოლში იმ დროს სასტამბო საქმის შესწავლის რაიმე შესაძლებლობა არ არსებობდა, ვფიქრობთ უსაფუძვლოა.

ჩვენ გვსურს შევაჩეროთ ავტორის ყურადღება იმ მომენტზე, რომ ქ. კონსტანტინოპოლში, ბერძნული სტამბის არსებობის შემთხვევაშიც, კარგად ჩანს ის გარემოება, რომ ანთიმოზ ივერიელი აშკარად იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც არჩილ მეფისა და დოსითეოსის სახით დიდ შრომას ეწეოდა საერთოდ სასტამბო საქმიანობისა და კერძოდ ქართული წიგნის დაბეჭდვის დარგში.

დიდ ინტერესს იწვევს წიგნის ის ნაწილი, სადაც განხილულია ქ. თბილისში ვახტანგ VI მიერ ქართული სტამბის დაარსების საკითხი და ნაჩვენებია ამ საქმეში ანთიმოზ ივერიელის მოწაფის — მიხეილ იშტვანოვიჩის აქტიური მონაწილეობა, ხოლო ყოველივე ამის საფუძველზე გამოტანილია გარკვეული დასკვნები თვით ანთიმოზ ივერიელის როლის შესახებ ამ დიდად საპატიო საქმეში.

ცხადია, რომ ყველა აღნიშნული ფაქტი ავტორს განხილული აქვს როგორც საქართველო-რუმინეთის ურთიერთობა. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი უფრო მოიგებდა, რომ მასში ყოფილიყო მეტი მსჯელობა თვით ამ ურთიერთობის რაობისა და მისი ხასიათის შესახებ, რის შედეგადაც მოცემული იქნებოდა სათანადო კვალიფიკაცია.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ანთიმოზ ივერიელის ლიტერატურული და პოლიტიკური მოღვაწეობა ვლახეთში. კარგადაა ნაჩვენები მისი საქმიანობის პატრიოტული ხასიათი, კერძოდ, აქტიური მონაწილეობა რუმინული ენის რეფორმის დარგში, ეკლესიებში ბერძნულის ნაცვლად რუმინული ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლა და სხვ.

წიგნში სათანადო ადგილი უჭირავს ანთიმოზ ივერიელის, როგორც ვლახეთის მიტროპოლიტის საქმიანობის განხილვასაც.

ოთარ გვინჩიძე დეტალურად გვიჩვენებს ანთიმოზ ივერიელის აქტიურ მონაწილეობას თურქეთის ბატონობისაგან რუმინეთის განთა-

ვისუფლების საქმეში რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების გზით.

ავტორი კარგად გვიჩვენებს, რომ ის, რაც წითელ ზოლად გასდევდა ანთიმოზ ივერიელის პოლიტიკურ მოღვაწეობას, იყო დაუცხრომელი ბრძოლა ვლახეთის განთავისუფლებისათვის უცხოელ დამპყრობთა ბატონობისაგან და რომ 1710-1711 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს სწორედ ანთიმოზ ივერიელმა მოიწვია ჰურა ურლაცილორეში ვლახელ ბოიართა სხდომა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთ-ვლახეთის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პეტრე პირველის ცნობილი პრუტის ლაშქრობის ამბების განხილვისას ავტორი სრულად არ იყენებს რუსულ ენაზე არსებულ მდიდარ ლიტერატურას და მასალებს. უფრო მეტიც, მას საგანგებოდ უნდა შეესწავლა რუსეთის საარქივო ფონდები და ეძებნა ახალი მასალები; ჩვენი ღრმა რწმენით, შეუძლებელია, რომ არქივებში, მაგალითად ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში, კერძოდ „პეტრე I-ის კაბინეტის" საქმეებსა ან საეკლესიო დოკუმენტებს შორის არ იყოს რაიმე მასალები ანთიმოზ ივერიელის შესახებ.

ვიმედოვნებ, რომ მომავალში ოთარ გვინჩიძე შეეცდება ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმართვას.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოთარ გვინჩიძის ნაშრომი შესრულებულია მაღალ დონეზე, დიდი ინტერესით იკითხება და, რაც მთავარია, ეძღვნება ქართველი და რუმინელი ხალხების კავშირ-ურთიერთობის საინტერესო ისტორიას, რომელიც დაკავშირებულია გამოჩენილი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის სახელთან.

ამ საკითხის შესწავლა-გაშუქება უდავოდ ხელს უწყობს ქართველი და რუმინელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, საქართველო-რუმინეთის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. იმდენად ცხადია, თუ რაოდენ აქტუალურია ოთარ გვინჩიძის ეს წიგნი; იგი, უდავოდ, ამდიდრებს ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას.

გ. პაიჭაძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ